


376-3

958

ვისწავლოთ ერთად



ინკლუზიური განათლება

2008

ვისწავლოთ ერთად

ინკლუზიური განათლება

2008


376.3
3-58

პასუხისმგებელი რედაქტორი:
თათია კაჭკორია

ნიგნი მოამზადეს:
მარიკა კაკანაძე
ცირა ბარქიაშვილი
ქირსთი თვეითარიძე
ინგა შარიქაძე
თათია კაჭკორია

სატრენინგო მოდულები მოამზადეს:
გიორგი დემეტრაშვილი
მანია ოსიპოვა-შონაძე

მხატვარი-დიზაინერი:
ბუბა ოჩიაური



საქართველოს
განათლებისა
და მკვლევების
ეროვნული ცენტრი



ქართული სწავლო-გადასწავლის
და შეფასების ცენტრი
National Curriculum
& Assessment Centre



NORWEGIAN MINISTRY
OF EDUCATION AND RESEARCH



Norwegian Directorate
for Education and Training

© 2008. ეისნაელოთ ერთად.
ინკლეუზიური განათლება

ISBN 978-9941-0-0537-4

სარჩევნი

■ წინათმება	5
● სალამანკას დეკლარაცია	6
● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია განათლების შესახებ, მუხლი 24-ე	43

თაჟი I

■ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანიები და საზოგადოება	
● ტერმინები, იარლიყები, სტერეოტიპები	46
● სამედიცინო და სოციალური მოდელი	48
● პაციენტიდან მოქალაქემდე	51

თაჟი II

■ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და საზოგადოება	
● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები	69
● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები	90
● ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო	96
● სწავლის უნარის დაქვეითება	
ა) ზოგადი ასპექტები	118
ბ) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და სასწავლო სტრატეგიები	132

თაჟი III

■ ინკლუზიური განათლება	
● მასწავლებელი როგორც ლიდერი	157
● ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	188
● მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეების განათლების საჭიროებები	197
● სმენის დაქვეითება	210
● საკლასო ოთახის საჭიროებები ფიზიკური	

	შეზღუდულობის მქონე ბავშვთათვის	219
+ ●	გონებრივი ჩამორჩენილობა	230
✓ ●	ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლება	253
●	სწავლის უნარის დაქვეითება	274
●	დისლექსია, მეტაკოგნიცია და სწავლის სტილები	280
●	ინდივიდუალური სწავლების მეთოდების პლურალიზმი	292
●	კულტურული ღონისძიებები, როგორც ინტერაქციის, ურთიერთობისა და ინკლუზიის განვითარების საშუალება, განათლება ღირსეული მოქალაქეობისათვის	330

თავი IV

■ სატრენინგო მოდულები

●	<i>მოდული I.</i> ინდივიდუალური სასწავლო გეგმა	365
●	<i>მოდული II</i> <i>ტრენინგ-მოდული: მხედველობის და სმენის დაქვეითებები</i> ქვემოდული 1: მხედველობის დაქვეითება	380
	ქვემოდული 2: სმენის დაქვეითება	404
	<i>ტრენინგ-მოდული: გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვა</i> ქვემოდული 1: ფიზიკური შეზღუდვა	423
	ქვემოდული 2: გონებრივი შეზღუდვა	441
●	<i>მოდული III</i> ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი AD/HD	457
	დისლექსია	470
●	„დათვური სამსახური“	480
■	დეკლარაციები, კონვენციები, კანონები	484
■	ხშირად დასმული შეკითხვები	485
■	ტერმინოლოგიური ლექსიკონი	499
■	ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვებ-გვერდების მოკლე სია	507

წინათქმა

ინკლუზიური განათლება ნიშნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების მაქსიმალურ ჩართვას სასწავლო პროცესში. ინკლუზიური განათლება მიზნად ისახავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობას, მათ სოციალურ ინტეგრაციას, შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებას.

წინამდებარე წიგნი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ინკლუზიური განათლების პროექტის ფარგლებში მომზადდა, განიხილავს ინკლუზიური განათლების ძირითად პრინციპებსა და სასწავლო სტრატეგიებს, წარადგენს სატრენინგო მოდელებს, რომელიც დაინტერესებულ პედაგოგებსა და სპეციალისტებს სათანადო სასწავლო სტრატეგიების შემუშავებაში დაეხმარება და ცდილობს პასუხი გასცეს ინკლუზიის სფეროში წამოჭრილ უმთავრეს შეკითხვებს.

გამოცემას თან ერთვის დეკლარაციების, კანონების, კონვენციებისა და ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვებ გვერდების სია და სპეციალური ტერმინოლოგიური ლექსიკონი.

სალამანკას დეკლარაცია

და სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების

სამოქმედო გეგმა

მიღებული

**სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა
განათლების**

**მსოფლიო კონფერენციის მიერ:
ხელმისაწვდომობა და ხარისხი**

სალამანკა, ესპანეთი, 7-10 ივნისი

გაერთიანებული ერების
საგანმანათლებლო სამეცნიერო და
კულტურული ორგანიზაცია

განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

ნებადართულია ამ გამოცემის თავისუფლად
გამრავლება და ციტირება.

დაბეჭდილია
ESCO-ში 1994 წელს
ED-94.WS/ 18

წინასიტყვაობა

1994 წლის 7-10 ივნისს ესპანეთში, სალამანკაში, ერთმანეთს შეხვდა 92 მთავრობისა და 25 საერთაშორისო ორგანიზაციის, 300-ზე მეტი მონაწილე, რათა ხელი შეეწყობა „განათლება ყველასათვის“ – მიზნისა და ინკლუზიური განათლების მიდგომის წინსვლისათვის, საჭირო ფუნდამენტური პოლიტიკური ხერხების განხილვის გზით. კერძოდ, სკოლებისათვის იმ შესაძლებლობების მინიჭებით, რომელიც საშუალებას მისცემს მოემსახურონ ყველა ბავშვს, მეტადრე მათ, ვისაც გააჩნიათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. UNESCO-სთან ერთად, ესპანეთის მთავრობის ორგანიზებით, კონფერენციამ ერთად შეკრიბა განათლების სფეროს მაღალი თანამდებობის პირები, ადმინისტრატორები, ხელმძღვანელები და სპეციალისტები. ასევე, გაერთიანებული ერების, სპეციალიზირებული სააგენტოების და სხვა საერთაშორისო სამთავრობო ორგანიზაციების, დონორი სააგენტოების წარმომადგენლები. კონფერენციაზე მიღებულ იქნა სალამანკას დეკლარაცია სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკის, პრაქტიკის და სამოქმედო გეგმის შესახებ. ეს დოკუმენტები შემუშავებულია ინკლუზიის პრინციპებით და „სკოლა ყველასათვის“-ინსტიტუციებზე მუშაობის საჭიროების გაცნობიერებით, რაც მოიცავს, განსხვავებულობის მიღებას, სწავლის ხელშეწყობას და ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. მათში ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი წვლილი „განათლება ყველასათვის“ მიზნის მისაღწევად და სკოლების საგანმანათლებლო თვალსაზრისით, უფრო ეფექტურ ინსტიტუციებად ჩამოსაყალიბებლად.

სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლება – ჩრდილოეთის, თუ სამხრეთის ქვეყნებისათვის თანაბრად საზრუნავი საკითხი – ვერ განვითარდება იზოლაციაში. საჭიროა მოხდეს საერთო საგანმანათლებლო სტრატეგიის და რასაკვირველია, ახალი სოციალური და ეკონომიკური კურსის ფორმირება. ეს მოითხოვს ჩვეულებრივი სკოლების მნიშვნელოვან რეფორმას.

ეს დოკუმენტი წარმოაჩენს მსოფლიო სამომავლო მიმართულებების კონსენსუსს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების საკითხში. UNESCO ამაყოფს, რომ ის ასოცირებულია ამ კონფერენციასთან და მის მნიშვნელოვან დასკვნებთან. ამის შემდეგ ყველა

რწმუნებული უნდა დარწმუნდეს, რომ განათლება ყველასათვის, ნამდვილად, ეფექტიანად ყველასათვისაა, მეტადრე მათთვის, ვინც უკიდურესად მონყვლადია და ვისაც ამის ყველაზე დიდი საჭიროება გააჩნია. მომავალი არ არის წინასწარ განსაზღვრული, მაგრამ ის იქნება შემკობილი ჩვენი ღირებულებებით, აზრებით და ქმედებებით. ჩვენი წარმატება მომავალ წლებში დამოკიდებული იქნება არა იმდენად იმაზე, თუ რას გავაკეთებთ, არამედ იმაზე, თუ რას მივალწევთ.

იმედი მაქვს, ამ დოკუმენტის ყველა მკითხველი ხელისშემწყობი იქნება იმისა, რომ სალამანკას კონფერენციის რეკომენდაციებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს და რომ მისი გზავნილი, შესაბამისი პრაქტიკის სფეროში გადავიდეს.

ფედერიკო მაიორი

სალამანკას დეკლარაცია

სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკის, პრაქტიკის შესახებ

კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ყველა ინდივიდის განათლების უფლებას იმ სახით, რომელიც 1948 წლის ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალურ დეკლარაციაშია წარმოდგენილი. ასევე ვადასტურებთ, მსოფლიო საზოგადოების ვალდებულებას, რომელიც მან 1900 წელს, მსოფლიო კონგრესზე – განათლება ყველასათვის – მიიღო და ამ უფლების ყველა პირზე, განურჩევლად ინდივიდუალური სხვაობისა, გავრცელებას გულისხმობს.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რამდენიმე დეკლარაციას, რის საფუძველზეც 1993 წელს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანასწორუფლებიანობის სტანდარტული წესები ჩამოყალიბდა და სახელმწიფოებს მოუწოდა ამ პირთა განათლება, საგანმანათლებლო სისტემის ინტეგრალურ ნაწილად გადააქციოს.

კმაყოფილებით აღვნიშნავთ მთავრობების, მხარდამჭერთა საზოგადოებებისა და მშობელთა ჯგუფების გააქტიურებას. განსაკუთრებით კი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა იმ ორგანიზაციების ჩართულობას, რომლებიც თავად ეძებენ გზებს

სპეციალური საჭიროებების მქონე, ჯერ კიდევ მიუწვდომელ პირთათვის, განათლება ხელმისაწვდომი გახდეს. ყოველივე ამის დასტურად კი, ამ კონფერენციაზე მრავალი მთავრობის, სპეციალიზირებული სააგენტოებისა და ინტერსამთავრობო ორგანიზაციების მაღალი დონის წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობას მივიჩნევთ.

1.

ჩვენ, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების მსოფლიო კონფერენციის დელეგატები, წარდგენილი ოთხმოცდათორმეტი მთავრობისა და ოცდახუთი საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, შეკრებილი აქ, სალამანკაში, ესპანეთში, 1994 წლის 7-10 ივნისს, ვადასტურებთ, რომ მხარს ვუჭერთ განათლებას ყველასათვის და ვალიარებთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების, ახალგაზრდებისა და მოზრდილების ჩვეულებრივ საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვის გადაუდებელ აუცილებლობას. შესაბამისად, ვამტკიცებთ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების შესახებ სამოქმედო გეგმას, რომლის დებულებებითა და რეკომენდაციებით სახელმწიფოებსა თუ ორგანიზაციებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ.

2.

ჩვენ გვჯერა და საჯაროდ ვაცხადებთ, რომ:

- ყველა ბავშვს აქვს განათლების ფუნდამენტური უფლება და მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა მოიპოვოს და შეინარჩუნოს სწავლის მისაღები დონე,
- ყველა ბავშვს აქვს უნიკალური მახასიათებლები, ინტერესები, უნარები და სასწავლო საჭიროებები,
- უნდა შემუშავდეს განათლების სისტემა და დაინერგოს საგანმანათლებლო პროგრამები იმგვარად, რომ ითვალისწინებდეს ამ მახასიათებლთა და საჭიროებათა ფართო მრავალფეროვნებას,
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჩვეულებრივი სკოლები, რომლებიც, ამ საჭიროებების შესატყვისის, ბავშვზე ორიენტირებული პედაგოგიკით, შესაბამისი პირობების შექმნას უზრუნველყოფენ,

- ჩვეულებრივი სკოლები ინკლუზიური ორიენტაციით არის დისკრიმინაციული დამოკიდებულებების წინააღმდეგ ბრძოლის, კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის, ინკლუზიური საზოგადოების შენების და განათლება ყველასათვის-ის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალება; უფრო მეტიც, ბავშვთა უმრავლესობისთვის უზრუნველყოფს ეფექტიან განათლებას და საბოლოო ჯამში, აუმჯობესებს მთლიანი განათლების სისტემის ეფექტიანობასა და რენტაბელურობას.

3.

მოვუნოდებთ ყველა მთავრობას და ვთხოვთ, რომ:

- უმაღლესი პოლიტიკური და საბიუჯეტო უპირატესობა მიანიჭოს განათლების სისტემის გაუმჯობესებას, რათა შესაძლებელი გახდეს მასში ყველა ბავშვის ჩართვა, განურჩევლად მათი ინდივიდუალური განსხვავებულობისა თუ სირთულეებისა,
- კანონის ფორმით ან პოლიტიკური დეკლარაციით დაადასტუროს ინკლუზიური განათლების პრინციპი, რაც გულისხმობს ყველა ბავშვის ჩარიცხვას ჩვეულებრივ სკოლაში, თუ სხვაგვარად მოქცევის რაიმე იძულებითი მიზეზი არა აქვს,
- განავითაროს საჩვენებელი პროექტები და ნაახალისოს გაცვლითი ურთიერთობები ინკლუზიური სკოლების გამოცდლების მქონე ქვეყნებთან,
- დანერგოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის და მოზარდებისათვის დეცენტრალიზირებული და მონაწილეობითი მექანიზმები საგანმანათლებლო უზრუნველყოფის დაგეგმვის, მონიტორინგისა შეფასებისთვის,
- ნაახალისოს გააადვილოს მშობელთა, თემთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციის მონაწილეობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში,
- მეტი ძალისხმევით მოეკიდოს როგორც ადრეული იდენტიფიკაციისა და ინტერვენციის სტრატეგიებს, ასევე ინკლუზიური განათლების პროფესიულ ასპექტებს,

- დარწმუნდეს, რომ პედაგოგთა გაცვლითი წესით მომზადების სისტემურ პროგრამებში, როგორც სამსახურიდან მოწყვეტილი (პრე-სერვისული), ასევე მოუწყვეტლად (ინ-სერვისული), ინკლუზიურ სკოლებში სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების უზრუნველყოფაც გათვალისწინებულია.

4.

ასევე მოვუწოდებთ საერთაშორისო საზოგადოებას, კერძოდ:

- საერთაშორისო კოოპერაციული პროგრამებისა და საერთაშორისო საფონდო სააგენტოების მფლობელ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით განათლება ყველასათვის-ის მსოფლიო კონფერენციის, გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო, კულტურული ორგანიზაციის (UNESCO), გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) და მსოფლიო ბანკის სპონსორებს:
 - მოიწონოს ინკლუზიური სწავლების მიდგომა და მხარი დაუჭიროს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის ინტეგრალური ნაწილის განვითარებას;
 - გაერთიანებულ ერებს და მის სპეციალიზირებულ სააგენტოებს, განსაკუთრებით საერთაშორისო შრომის ოფისს (ILO), მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას (WHO), UNESCO-ს და UNICEF-ს;
 - გააძლიეროს ტექნიკური კოოპერაციის სანყისები, განამტკიცოს თანამშრომლობა და შექმნას ქსელი, რათა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა გაფართოებული და ინტეგრირებული განათლების უზრუნველყოფას მხარი უფრო ეფექტიანად დაუჭიროს,
- ქვეყანაში პროგრამირებისა და მომსახურების პროცესში ჩართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს:
 - გააძლიეროს თანამშრომლობა ოფიციალურ ეროვნულ ორგანიზაციებთან და უფრო ინტენსიური გახადოს მათი მზარდი ჩართულობა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების ინკლუზიური უზრუნველყოფის დაგეგმვა, დანერგვასა და შეფასებაში;

- UNESCO-ს, როგორც გაერთიანებული ერების განათლების სააგენტოს:
 - დარწმუნდეს, რომ ნებისმიერ ფორუმებზე, სადაც განათლება ყველასათვის განიხილება, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების საკითხიცაა ჩართული,
 - გააძლიეროს პედაგოგთა ორგანიზაციების მხარდაჭერა, რათა გაფართოვდეს მასწავლებლების განათლებასთან დაკავშირებული სპეციალური საგანმათლებლო საჭიროებების უზრუნველყოფა,
 - მხარი დაუჭიროს აკადემიურ საზოგადოებას რათა გააძლიერდეს კვლევა და შეიქმნას ქსელები; დააარსოს ინფორმაციული და დოკუმენტაციური რეგიონალური ცენტრები; ამასთანავე, ამ დეკლარაციის აღსრულების მიზნით, ასეთ ღონისძიებებს თუ სპეციფიური რეზულტატებისა და მიღწეული პროგრესის გაცვლის საკითხს თავად მოემსახუროს სახელმწიფო დონეზე, როგორც ანგარიშსწორების პალატა,
 - მოახდინოს ფონდების მობილიზება (1996-2002) ინკლუზიური სკოლებისა და საზოგადოების მხარდაჭერი გაფართოებული პროგრამების საშუალო ვადიანი გეგმის შესაქმნელად, რაც საპილოტო პროგრამების ამუშავებას გახდის შესაძლებელს. ეს კი წარმოაჩენს მომსახურების ახალ მიდგომებს. შექმნას სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებისათვის ყველა საჭირო ინდიკატორი.

5.

და ბოლოს, უდიდეს მადლიერებას ვუხდით ესპანეთის მთავრობასა და UNESCO-ს ამ კონფერენციის ორგანიზებისათვის და ვთხოვთ, არ დაზოგონ ძალისხმევა რათა ეს დეკლარაცია და თანდართული სამოქმედო გეგმა, მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოაქციონ; განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ფორუმებზე, როგორიცაა სოციალური განვითარების მსოფლიო სამიტი (კოპენჰაგენი, 1995) და ქალთა მსოფლიო კონფერენცია (ბეიჯინგი, 1995).

მიღებულია ერთხმად, 1994 წლის 10 ივნისს ესპანეთში, სალამანკაში.

სპეციალური საჭიროებების
მქონე პირთა განათლების

სამოქმედო გეგმა

შინაარსი

შესავალი

- I. ახალი აზროვნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებაში
- II. მითითებები ეროვნულ დონეზე მოქმედებისათვის
 - ა. პოლიტიკა/კურსი და ორგანიზაცია
 - ბ. სკოლის ფაქტორები
 - გ. საგანმანათლებლო პერსონალის რეკრუტირება და ტრენინგი
 - დ. საგარეო მხარდამჭერი სერვისები/ მომსახურებები
 - ე. პრიორიტეტული სფეროები
 - ვ. საზოგადოებრივი პერსპექტივა
 - ზ. რესურსული მოთხოვნები
- III. მითითებები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მოქმედებისათვის

შესავალი

1. ეს, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების სამოქმედო გეგმა მიღებულ იქნა ესპანეთის მთავრობის მიერ UNESCO-თან ერთად ორგანიზებულ და 1994 წლის 7-10 ივნისს ესპანეთში, სალამანკაში გამართულ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების მსოფლიო კონფერენციაზე; მისი მიზანია მთავრობის, საერთაშორისო

ორგანიზაციის, ეროვნული სამაშველო ორგანიზაციების, არასამთავრობო ორგანიზაციების და სხვა კორპუსების მიერ სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკის, პრაქტიკის შესახებ სალამანკას დეკლარაციის დანერგვისათვის საჭირო პოლიტიკის შემუშავება და ქმედებების მართვა. გეგმა ვრცლად მოიცავს მონაწილე ქვეყნების ეროვნულ გამოცდილებას, ისევე როგორც გაერთიანებული ერების სისტემის და სხვა ინტერსამთავრობო ორგანიზაციების რეზოლუციებს, რეკომენდაციებს და პუბლიკაციებს, განსაკუთრებით კი სტანდარტულ წესებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობათა გათანაბრების შესახებ.¹ ის ასევე ითვალისწინებს მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებლად გამართულ ხუთ რეგიონალურ სემინარზე წამოჭრილ წინადადებებს, მითითებებს, რეკომენდაციებს.

2. ყველა ბავშვის განათლების უფლება განცხადებულია ადამიანის უფლებების უნივერსალურ დეკლარაციაში და დამაჯერებლად დადასტურებული განათლება ყველასათვის მსოფლიო დეკლარაციის მიერ.

ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი სურვილები მის განათლებასთან დაკავშირებით. მშობლებს აქვთ ხელშეუვალი უფლება მიიღონ კონსულტაცია განათლების იმ ფორმის შესახებ, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება მათი შვილების საჭიროებებს, მდგომარეობებსა და სანადეღს.

3. ამ გეგმის წამყვანი პრინციპია, რომ სკოლებმა უნდა უზრუნველყონ ყველა ბავშვის აკომოდაცია მათი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობის მიუხედავად. ეს უნდა მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ნიჭიერ ბავშვებს, ქუჩის და მომუშავე ბავშვებს, მოხეტიალე ან

¹ გაერთიანებული ერების სტანდარტული წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესაძლებლობათა გათანაბრების შესახებ, A/RES/48/96, გაერთიანებული ერების რეზოლუცია, მიღებული გენერალური ასამბლეის მიერ მის 1993 წლის დეკემბრის 48-ე სესიაზე.

მომთაბარე პოპულაციის ბავშვებს, ლინგვისტური, ეთნიკური და კულტურული უმცირესობის ბავშვებს და სხვა უარყოფილ ან მარგინალური სფეროების ან ჯგუფების ბავშვებს. ეს პირობები სკოლის სისტემას უქმნის მთელ რიგ გამოწვევებს. ამ გეგმის კონტექსტში, ტერმინი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები“ უკავშირდება ყველა იმ ბავშვს და ახალგაზრდას, რომელთა საჭიროებები მათი შეზღუდული შესაძლებლობებიდან ან სწავლის სირთულეებიდან მომდინარეობს. ბევრი ბავშვი განიცდის სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, ამდენად სასწავლო პროცესის გარკვეულ პერიოდში გააჩნიათ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. სკოლამ უნდა მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები, იმ ბავშვების ჩათვლით, რომელთაც სერიოზული არახელსაყრელი პირობები და სირთულეები გააჩნიათ. ამ სკოლების დამსახურება არის არა მარტო ის, რომ მათ ყველა ბავშვისათვის ხარისხიანი განათლების მიწოდების უნარი აქვთ, არამედ ისიც, რომ მათი დაარსება არის დისკრიმინაციული დამოკიდებულებების შეცვლის, კეთილგანწყობილი გარემოცვის შექმნის და ინკლუზიური საზოგადოების განვითარების მხარდამჭერი კრიტიკული, გადამწყვეტი ნაბიჯი. ცვლილება სოციალურ პერსპექტივაში იმპერატიულია. ძალიან დიდი ხნის განმავლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემები გართულებული იყო შემზღუდველი საზოგადოების მიერ, რომელიც მათ სისუსტეებზე უფრო ფოკუსირდებოდა, ვიდრე პოტენციალზე.

4. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლება აერთიანებს ჯანსაღი პედაგოგიკის დამტკიცებულ პრინციპებს, რომლითაც ყველა ბავშვი ისარგებლებს. ის უშვებს, რომ ადამიანური განსხვავებულობა ნორმალურია და სწავლა უნდა იყოს ბავშვის საჭიროებებთან შესაბამისობაში და არა ბავშვი – მორგებული წინასწარ დადგენილი სწავლის პროცესის ტემპებთან და ბუნებასთან. ბავშვზე ცენტრირებული პედაგოგიკა სარგებლის მომტანია ყველა მოსწავლისათვის და საბოლოო ჯამში მთლიანი საზოგადოებისათვის. გამოცდილებამ აჩვენა, რომ მას შესამჩნევად შეუძლია შეამციროს

ჩავარდნები და განმეორება, რაც ბევრ განათლების სისტემას ახასიათებს, მიღწევის უფრო მაღალი საშუალო დონის უზრუნველყოფის პროცესში. რესურსების ფუჭად ხარჯვა და იმედგაცრუება ხშირად არის განათლების დაბალი ხარისხის ინსტრუქციის და „ყველას ერთი ზომა ერგება“ – მენტალიტეტის შედეგი. ბავშვზე ცენტრირებული პედაგოგიკა არსებითაა ამ პრობლემის თავიდან არიდებაში. გარდა ამისა, ბავშვზე-ცენტრირებული სკოლა არის სავარჯიშო მოედანი ადამიანებზე-ორიენტირებული საზოგადოებისათვის, რომელიც პატივს სცემს ადამიანების განსხვავებულობას და ღირსებას.

5. ეს სამოქმედო გეგმა მოიცავს შემდეგ განყოფილებებს:
- I. ახალი აზროვნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებაში
 - II. მითითებები ეროვნულ დონეზე მოქმედებისათვის
 - ა. პოლიტიკა/კურსი და ორგანიზაცია
 - ბ. სკოლის ფაქტორები
 - გ. საგანმანათლებლო პერსონალის რეკრუტირება და ტრენინგი
 - დ. საგარეო მხარდამჭერი სერვისები/ მომსახურებები
 - ე. პრიორიტეტული სფეროები
 - ვ. საზოგადოებრივი პერსპექტივა
 - ზ. რესურსის მოთხოვნები
 - III. მითითებები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მოქმედებისათვის

I. ახალი აზროვნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებაში

6. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში სოციალური კურსის ტენდენცია იყო ინტეგრაციის და მონაწილეობის ხელშეწყობა და ექსკლუზიასთან ბრძოლა. ინკლუზია და მონაწილეობა არსებითაა ადამიანური ღირსების, ადამიანის უფლებებით სარგებლობის და დაცვისათვის. განათლების სფეროში ეს

აისახება იმ სტრატეგიების განვითარებით, რომელიც ეძებს შესაძლებლობათა ჭეშმარიტად გათანაბრების სისრულეში მოყვანის გზებს. მრავალ ქვეყანაში არსებული გამოცდილება აჩვენებს, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების და ახალგაზრდების ინტეგრაცია ყველაზე კარგად მიიღწევა ინკლუზიურ სკოლებში, რომლებიც ემსახურებიან ყველა ბავშვს საზოგადოებაში. სწორედ ამ კონტექსტშია შესაძლებელი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირებმა მიაღწიონ ყველაზე სრულ საგანმანათლებლო პროგრესს და სოციალურ ინტეგრაციას. მაშინ, როცა ინკლუზიური სკოლები უზრუნველყოფს კეთილგანწყობილ გარემოს თანაბარ შესაძლებლობათა და სრული მონაწილეობის მისაღწევად, მათი წარმატება მოითხოვს არა მხოლოდ მასწავლებლების და სკოლის თანამშრომელთა ერთობლივ ძალისხმევას, არამედ თანატოლთა, მშობელთა, ოჯახების და მოხალისეების ჩართულობასაც. სოციალური ინსტიტუციების რეფორმა არ არის მხოლოდ ტექნიკური სამუშაო; ის ყველაზე მეტად დამოკიდებულია იმ ინდივიდუების მრწამსზე, ვალდებულებასა და კეთილ ნებაზე, ვინც აყალიბებს საზოგადოებას.

7. ინკლუზიური სკოლის ფუნდამენტური პრინციპი არის ის, რომ შესაძლებლობის შემთხვევაში ყველა ბავშვმა უნდა ისწავლოს ერთად, მიუხედავად მათი სირთულეებისა და განსხვავებულობისა. ინკლუზიურმა სკოლებმა უნდა აღიარონ და რეაგირება მოახდინონ მოსწავლეების მრავალფეროვან საჭიროებებზე, სწავლის განსხვავებული სტილებისა და ნორმების მომარაგებით და ყველასათვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფით შესაბამისი სასწავლო გეგმის (კურიკულუმის), ორგანიზაციული შეთანხმებების, სწავლების სტრატეგიების, რესურსების გამოყენების და საზოგადოებებთან თანამშრომლობის გზით. უნდა არსებობდეს ყველა სკოლაში მოულოდნელად წარმოშობილი განუწყვეტელი სპეციალური საჭიროებების შესატყვისი მუდმივი მხარდაჭერა და მომსახურება.
8. ინკლუზიური სკოლების ფარგლებში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებმა უნდა მიიღონ

გარკვეული სახის დამატებითი მხარდაჭერა, რომელიც შესაძლოა დასჭირდეთ მათ ეფექტიანი განათლების უზრუნველსაყოფად. ინკლუზიური სწავლება არის ყველაზე ეფექტიანი საშუალება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებსა და მათ თანატოლებს შორის ერთსულოვნების, სოლიდარობის შესაქმნელად. ბავშვების სპეციალურ სკოლებში ან სკოლის ფარგლებში, მუდმივ ბაზაზე არსებულ სპეციალურ კლასებსა ან განაყოფებში განაწილება – უნდა იყოს გამონაკლისის სახით, და რეკომენდირებული მხოლოდ იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა აშკარადაა გამოხატული, რომ ჩვეულებრივ კლასში განათლება ვერანაირად ვერ ეთანხმება ბავშვის საგანმანათლებლო ან სოციალური საჭიროებებს, ან როცა ეს აუცილებელია ამ ბავშვის ან სხვა ბავშვების კეთილდღეობისათვის.

9. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებასთან დაკავშირებული სიტუაციები სხვადასხვა ქვეყანაში დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, არსებობს ქვეყნები, რომელთაც გააჩნიათ სპეციფიური დარღვევების მქონე პირთათვის სპეციალური სკოლების კარგად ჩამოყალიბებული სისტემები. ასეთ სპეციალურ სკოლებს შეუძლიათ ღირებული რესურსის წარმოჩენა ინკლუზიური სკოლების განსავითარებლად. ამ სპეციალური ინსტიტუციების თანამშრომლები ფლობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეული სკრინინგისა და იდენტიფიკაციისათვის საჭირო გამოცდილებას. სპეციალური სკოლები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი სკოლების თანამშრომელთა სატრენინგო და რესურს ცენტრებად. ბოლოს, სპეციალურმა სკოლებმა ან ინკლუზიური სკოლის ცალკეულმა ერთეულებმა შესაძლებელია გააგრძელონ ყველაზე შესაფერისი განათლების უზრუნველყოფა შედარებით მცირე რაოდენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, რომელთა ადეკვატური მომსახურება შეუძლებელია ჩვეულებრივ საკლასო ოთახსა თუ სკოლებში. არსებულ სპეციალურ სკოლებში ჩადებული ინვესტიცია უნდა გადატანილ იქნას მათ ახალ და გაფართოებულ როლზე – სპეციალური საგანმანათლებლო

საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ჩვეულებრივი სკოლების პროფესიული მხარდაჭერა. მნიშვნელოვანი წვლილი ჩვეულებრივი სკოლებისათვის, რომლის შეტანაც შეუძლია სპეციალური სკოლების პერსონალს, არის კურიკულუმის შინაარსის და მეთოდის შესაბამისობა მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებთან.

10. ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ რამდენიმე ან არც ერთი სპეციალური სკოლა, შესაძლოა ზოგადად მიეცეთ რჩევა, რომ მთელი ძალისხმევა მიმართონ ინკლუზიური სკოლების და სპეციალიზირებული სერვისების განსავითარებლად იმისათვის, რომ შესაძლებელი გახადონ ბავშვების და ახალგაზრდების დიდი უმრავლესობის მომსახურება, - განსაკუთრებით მასწავლებელთა ტრენინგის უზრუნველყოფა სპეციალური საჭიროებების განათლების საკითხში და შესატყვისი პერსონალით და აპარატურით მომარაგებული რესურს ცენტრების დაარსება, რომლებსაც სკოლა მიმართავს დახმარების საჭიროების შემთხვევაში. გამოცდილება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, გვიჩვენებს, რომ სპეციალური სკოლების საშუალებათა მაღალი ღირებულებებით პრაქტიკულად მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილი, როგორც წესი, ქალაქის რჩეული ნაწილი სარგებლობს. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით სასოფლო რეგიონებში, არ არის მომარაგებული რაიმენაირი მომსახურებით. ბევრ განვითარებად ქვეყანაში დადგენილია, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების 1%-ზე ნაკლები ჩართულია არსებულ უზრუნველყოფაში. გარდა ამისა, გამოცდილება გვთავაზობს, რომ საზოგადოების ყველა ბავშვის მომსახურე ინკლუზიური სკოლები ყველაზე წარმატებულია საზოგადოებრივი მხარდაჭერის გამორკვევასა და არსებული, ხელმისაწვდომი, შეზღუდული რესურსების გამოყენების წარმოსახვითი და ინოვაციური გზების მოძიებაში.
11. მთავრობის მიერ საგანმანათლებლო გეგმა უნდა კონცენტრირდებოდეს ქვეყნის ყველა რეგიონში, ყველანაირ ეკონომიურ პირობებში, ყველა პირის განათლებაზე, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სკოლებში.

12. ვინაიდან წარსულში, შედრებით ნაკლები რაოდენობის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს მიუწვდებოდათ ხელი განათლებაზე – განსაკუთრებით მსოფლიოს განვითარებად რეგიონებში, არსებობს მილიონობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრული, რომელიც მოკლებულია ელემენტარულ ბაზისურ განათლებასაც კი. ამიტომ საჭიროა ერთობლივი ძალისხმევა მოზრდილთა საგანმანათლებლო პროგრამების საშუალებით, მოზრდილებისათვის წერაკითხვის, თვლის და ბაზისური უნარების სასწავლებლად.
13. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის აღიარება, რომ ქალები ხშირად ორმაგად იყვნენ დაჩაგრულნი, გენდერისა და მასთან დაკავშირებული შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული სირთულეების გამო. ქალებსა და მამაკაცებს უნდა ჰქონდეთ თანაბარი გავლენა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაზე და მათგან სარგებლობის ერთნაირი შესაძლებლობები. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო საგანმანათლებლო პროგრამაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა მონაწილეობის წასახალისებლად.
14. ეს გეგმა გათვლილია როგორც სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებისათვის მოქმედი საერთო სახელმძღვანელო. ის ცხადია ვერ ითვალისწინებს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებსა და ქვეყნებში არსებულ სიტუაციათა სხვადასხვაგვარობას, შესაბამისად, ისე უნდა იყოს მიღებული, რომ მოერგოს ადგილობრივ მოთხოვნებსა და გარემოებებს. განათლება ყველასათვის მიღწევის ეფექტიანობისათვის, ის უნდა იყოს პოლიტიკური და სახალხო ნებით გამოწვეული; ეროვნული, რეგიონალური და ადგილობრივი სამოქმედო გეგმით დაზუსტებული.

II. მითითებაები

ეროვნულ დონეზე მოქმედებისათვის

ა. პოლიტიკა/კურსი და ორგანიზაცია

15. ინტეგრირებული განათლება და საზოგადოებაზე-დაფუძნებული რეაბილიტაცია წარმოადგენს სპეციალური საჭი-

როებების მქონე პირთა მომსახურების დამატებითი და ორმხრივ-მხარდამჭერი მიდგომების ერთობლიობას. ორივე დაფუძნებულია ინკლუზიის, ინტეგრაციის და მონაწილეობის პრინციპებზე და წარმოადგენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა მისაწვდომობის გათანაბრების ხელშეწყობის ეფექტიან, მაგრამ იაფ მიდგომებს. თითოეული მათგანი არის განათლება ყველასათვის-ის მისაღწევად გამიზნული საჯარო სტრატეგიის ნაწილი. ქვეყნები მოწვეულია იმისათვის, რომ მხედველობაში მიიღონ მათი განათლების სისტემის კურსსა/პოლიტიკასა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული შემდგომი ქმედებები.

16. კანონმდებლობამ უნდა აღიაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის, ახალგაზრდებისათვის და მოზრდილებისათვის შესაძლებლობათა გათანაბრების პრინციპი დაწყებით, საშუალო და შემდგომ განათლებაში იმ დონეზე, რა დონეზეც ეს შესაძლებელია ინტეგრირებულ გარემოცვაში.
17. პარალელური და დამატებითი საკანონმდებლო ღონისძიებები უნდა გატარდეს ჯამრთელობის, სოციალური კეთილდღეობის, პროფესიული გადამზადების და დასაქმების სფეროში საგანმანათლებლო კანონმდებლობისათვის სრული ეფექტის მისაღწევად და მის მხარდასაჭერად.
18. საგანმანათლებლო პოლიტიკამ ყველა, ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე უნდა განაპირობოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სიარული ახლომდებარე სკოლაში, – სკოლაში, რომელშიც ის ისწავლიდა, რომ არ ჰქონოდა შეზღუდულობა. ამ წესთან დაკავშირებული გამონაკლისი დაშვებული უნდა იყოს იმ შემთხვევაში, როცა მხოლოდ სპეციალურ სკოლაში ან დანესებულებაში მიცემული განათლება აჩვენებს იმას, რომ ის პასუხობს ინდივიდუალური ბავშვის საჭიროებებს.
19. „ჩართული“ („mainstreaming“) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრაქტიკა უნდა იყოს ეროვნული გეგმების განუყოფელი ნაწილი განათლება ყველასათვის-ის მისაღწევად. იმ გამონაკლისის შემთხვევებშიც კი, როცა ბავშვებს განათავსებენ სპეციალურ სკოლებში, მათი განათლება მაინც

არ უნდა იყოს სრულად გამოცალკევებული. უნდა ნახალისდეს მათი ჩვეულებრივ სკოლებში ნახევარ-განაკვეთზე დასწრება. ასევე უნდა მოხდეს საჭირო უზრუნველყოფის მიწოდება სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებისა და მოზრდილებისათვის როგორც საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე მოსამზადებელ პროგრამებში ინკლუზიის მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონათა და ქალთა მისაწვდომობის და შესაძლებლობათა გათანაბრების უზრუნველყოფას.

20. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მძიმე და რთული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და ახალგაზრდების საჭიროებებს. მათ, როგორც ზრდასრულებს, ისეთივე უფლებები აქვთ საზოგადოებაში მათქმალური დამოუკიდებლობის მისაღწევად, როგორც სხვებს. ამ შედეგის მისაღწევად კი უნდა მიეცეთ განათლება მათი საუკეთესო პოტენციალის გამოყენებით.
21. საგანმანათლებლო პოლიტიკამ მხედველობაში სრულად უნდა მიიღოს ინდივიდუალური განსხვავებები და სიტუაციები. მაგალითად, ყესტების ენის, როგორც სმენადაქვეითებულობის მქონე პირებთან კომუნიკაციის საშუალების მნიშვნელობა აღიარებულ და განხილულ უნდა იქნას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყველა სმენადაქვეითებულობის მქონე პირის განათლებისადმი მისაწვდომობა მათი ეროვნული სიმბოლოების ენაზე. სმენადაქვეითებულ და სმენადაქვეითებულ/უსინათლო პირთა გარკვეული სახის კომუნიკაციური საჭიროებების ფლობის შემთხვევაში, მათი განათლება შესაძლოა უფრო შესაბამისად იქნას მიწოდებული სპეციალურ სკოლებში ან სპეციალურ კლასებსა და განყოფილებებში.
22. საზოგადოებაზე დაფუძნებული რეაბილიტაცია უნდა განვითარდეს როგორც გლობალური სტრატეგიის ნაწილი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა ეფექტიანი, მაგრამ იაფი განათლების და გადამზადების მხარდასაჭერად. საზოგადოებაზე დაფუძნებული რეაბილიტაცია განხილულ უნდა იქნას,

როგორც სპეციფიური მიდგომა საზოგადოების განვითარებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის, შესაძლებლობათა გათანაბრების და სოციალური ინტეგრაციის მიზნით: ის უნდა დაინერგოს საკუთრივ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათი ოჯახების და საზოგადოების, და შესაბამისი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პროფესიული და კეთილდღეობისათვის საჭირო მომსახურებების კომბინირებული ძალისხმევით.

23. პოლიტიკამ და ფინანსურმა შეთანხმებებმა ხელი უნდა შეუწყოს და წახალისოს ინკლუზიური სკოლების განვითარება. უნდა მოიხსნას ის ბარიერები, რომლებიც აბრკოლებს სპეციალურიდან ჩვეულებრივ სკოლებზე გადასვლას. უნდა გაკეთდეს საერთო ადმინისტრაციული სტრუქტურის ორგანიზება. დიდი სიფრთხილით უნდა განხორციელდეს ინკლუზიის პროგრესის მონიტორინგი სტატისტიკური მონაცემების საშუალებით, რომლებიც გამოავლენს როგორც იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა რაოდენობას, ვინც სარგებლობს სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებისთვის გამიზნული რესურსებით, გამოცდილებით და მონეობილობებით, ასევე იმ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა რაოდენობას, რომლებიც ჩვეულებრივ სკოლებში სწავლობენ.
24. უნდა გაძლიერდეს საგანმანათლებლო ავტორიტეტებთან და ჯამრთელობის დაცვის, დასაქმების და სოციალური სერვისების პასუხისმგებელ პირებთან კოორდინაცია ყველა დონეზე, რათა მოხდეს კონვერგენცია/შეთავსება/და პლემენტარობა. დაგეგმვა-კოორდინაციისას ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის აქტუალური და პოტენციური როლები, რომლებსაც ნახევრადსაზოგადოებრივი სააგენტოები და არასამთავრობო ორგანიზაციები თამაშობენ. განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების საზოგადოებრივი მხარდაჭერის გამოსავლენად.

25. ეროვნული ავტორიტეტები სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების ექსტერნალური დაფინანსებისა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის მონიტორინგზე არიან პასუხისმგებელნი, რათა დარწმუნდნენ, რომ ის პასუხობს განათლება ყველასათვის-ის მისაღწევად გამიზნულ ეროვნულ პრიორიტეტებსა და და პოლიტიკას. ბილატერალურმა და მულტილათერალურმა დამხმარე სააგენტოებმა თავის მხრივ უნდა გაიაზრონ განათლებასა და მასთან დაკავშირებულ სფეროებში პროგრამების დაგეგმვისა და დანერგვის ეროვნული პოლიტიკა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების მხრივ.

ბ. სკოლის ფაქტორი

26. ინკლუზიური სკოლების განვითარება, რომელიც მიეწოდება მოსწავლეთა ფართო, მრავალფეროვან მასებს, როგორც საქალაქო, ისე სასოფლო რეგიონებში, მოითხოვს: ინკლუზიის შესახებ ნათელი და დამაჯერებელი პოლიტიკის არტიკულაციას, ადექვატურ ფინანსურ უზრუნველყოფასთან ერთად, ეფექტიანი საზოგადოებრივი ინფორმაციის ძალისხმევას ცრურწმენებთან საბრძოლველად და დადებითი დამოკიდებულების შესაქმნელად, ორიენტაციისა და პერსონალის გადამზადების ექსტენსიურ პროგრამებს და საჭირო მხარდამჭერი მომსახურებების უზრუნველყოფას. სწავლების ყველა ჩამოთვლილი ასპექტის – სასწავლო გეგმა (კურიკულუმი), შენობები, სკოლის ორგანიზაციები, პედაგოგიკა, შეფასება, პერსონალით მომარაგება, სკოლის ეთოსი და ექსტრაკურიკულარული აქტივობები – ცვლილება, ისევე როგორც სხვა დანარჩენის, არის მნიშვნელოვანი ინკლუზიური სკოლების წარმატების ხელშეწყობისათვის,
27. საჭირო ცვლილებების უმეტესობა არ უკავშირდება უკლებლივ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიას. ის არის ხარისხის და შესაბამისობის გაუმჯობესებისათვის, ასევე ყველა მოსწავლის მიერ სწავლის უფრო მაღალი დონის მიღწევის ხელშეწყობისათვის საჭირო

უფრო ფართო განათლების რეფორმის ნაწილი. განათლება ყველასათვის შესახებ მსოფლიო დეკლარაციამ აღნიშნა ყველა ბავშვის წარმატებული სწავლების უზრუნველსაყოფად გამიზნული ბავშვზე-ცენტრირებული მიდგომის საჭიროება. უფრო მოქნილი, ადაპტური, ბავშვების განსხვავებული საჭიროებების სრულად გათვალისწინების უნარიანი სისტემის მიღება ხელს შეუწყობს როგორც საგანმანათლებლო წარმატებას, ისევე ინკლუზიას. ქვემოთ მოყვანილი მითითებები ფოკუსირდება იმ პუნქტებზე, რომლებიც გასათვალისწინებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების ინკლუზიურ სკოლებში ინტეგრირებისას.

სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) მოქნილობა

28. სასწავლო გეგმები ადაპტირებული უნდა იყოს ბავშვების საჭიროებებთან და არა პირიქით. ამიტომ სკოლებმა უნდა უზრუნველყონ პროგრამული შესაძლებლობები, რათა შეუსაბამონ ის ბავშვის განსხვავებულ უნარებსა და ინტერესებს.
29. სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებმა უნდა მიიღონ დამატებითი ინსტრუქციული მხარდაჭერა ჩვეულებრივი სასწავლო გეგმის კონტექსტში და არა გასხვავებულ სასწავლო გეგმაში. ნამყვანი პრინციპი უნდა იყოს ყველა ბავშვის მსგავსი განათლებით უზრუნველყოფა იმ ბავშვებზე დამატებითი დახმარების და მხარდაჭერის მიწოდებით, ვისაც ეს ესაჭიროება.
30. ცოდნის შექმნა არ არის მხოლოდ ფორმალური და თეორიული ინსტრუქციის შედეგი. განათლების შინაარსი, განვითარებაში სრულად მონაწილეობის თვალსაზრისით, მაღალ სტანდარტებში და ინდივიდუალურ საჭიროებებთან შესაბამისობაში უნდა იყოს მოყვანილი. სწავლება დაკავშირებული უნდა იყოს მოსწავლეთა პირად გამოცდილებასა და პრაქტიკულ საქმეებთან, მათი უკეთ მოტივირების მიზნით.
31. იმისათვის, რომ შემჩნეულ იქნას თითოეული ბავშვის პროგრესი, უნდა გატარდეს შეფასებითი პროცედურები. ფორ-

მაციული შეფასება (Formative Evaluation) შეტანილი უნდა იყოს ჩვეულებრივ საგანმანათლებლო პროცესში, იმისათვის რომ მოხდეს მოსწავლეთა და მასწავლებელთა მუდმივი ინფორმირება შექმნილი სწავლების ოსტატობის შესახებ, ასევე დადგინდეს სირთულეები, რათა მათ გადასალახად მოხდეს მოსწავლეების დახმარება.

32. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს მუდმივი მხარდაჭერა, ჩვეულებრივ კლასში მიწოდებული მინიმალური დახმარებიდან დაწყებული, სკოლის ფარგლებში მიწოდებული დამატებითი სასწავლო მხარდაჭერი პროგრამებით დამთავრებული; საჭიროების შემთხვევაში – დახმარება სპეციალისტი მასწავლებლებისგან და გარე მხარდამჭერი პერსონალისგან.
33. საჭიროების შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნას შესაბამისი და ხელმისაწვდომი ტექნოლოგია სკოლის სასწავლო გეგმის წარმატების გასაზრდელად; კომუნიკაციის, მობილობის და სწავლის ხელშესაწყობად. ტექნიკური ხელშეწყობა შეიძლება შეთავაზებულ იქნას უფრო ეკონომიური და ეფექტიანი გზით, თუ ის თითოეულ ლოკაციაზე მიწოდებული იქნება ცენტრალური ბიუროდან, სადაც არის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისი ხელშეწყობი და სამომსახურეო გამოცდილება.
34. ეროვნულ და რეგიონალურ დონეზე უნდა შემუშავდეს შესაძლებლობები და ჩატარდეს კვლევები, რათა განვითარდეს შესაბამისი მხარდამჭერი ტექნოლოგიური სისტემა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლებისათვის. უნდა მოხდეს იმ სახელმწიფოების ხელშეწყობა, რომლებმაც მოახდინეს ფლორენციის შეთანხმების რატიფიცირება, რათა გამოიყენონ ეს ინსტრუმენტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებთან დაკავშირებული მასალისა და მონყობილობის ცირკულაციის ფასილიტაციისათვის. ამის საპირისპიროდ, ის სახელმწიფოები, რომლებიც არ მიყვება ამ შეთანხმებას მოხმობილნი არიან ამის გასაკეთებლად, რათა მოხდეს მომსახურებათა; საგანმანათლებლო და კულტურული ღირებულების მქონე პროდუქციის ცირკულაცია.

სკოლის მენეჯმენტი

35. ადგილობრივ ადმინისტრაციებს და სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია მნიშვნელოვანი როლის თამაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის სათანადო სკოლების შექმნაში, თუ მათ მიეცემათ საჭირო ძალაუფლება და ადეკვატური ტრენინგი. აუცილებელია მათი მოხმობა უფრო მოქნილი მენეჯმენტის პროცედურების განსავითარებლად, ინსტრუქციული რესურსების გადასახედად, სწავლის შესაძლებლობათა გამოსასხვავებლად, ბავშვის მიერ ბავშვის დახმარების მობილიზებისათვის, სირთულეების მქონე მოსწავლეების მხარდასაჭერად და მშობლებთან და საზოგადოებასთან მჭიდრო ურთიერთობის განსავითარებლად. სკოლის წარმატებული მენეჯმენტი დამოკიდებულია მასწავლებელთა და პერსონალის აქტიურ და შემოქმედებით ჩართულობაზე, ასევე მოსწავლეთა საჭიროებების სათანადო ეფექტიანი თანამშრომლობის და გუნდური მუშაობის განვითარებაზე.
36. სკოლის ხელმძღვანელობას სკოლის საზოგადოების ფარგლებში დადებითი დამოკიდებულების გამოწვევის, ასევე კლასის მასწავლებლებსა და მხარდამჭერი პერსონალის ეფექტიანი თანამშრომლობის მონესრიგების განსაკუთრებული პასუხისმგებლობა აქვს. სხვადასხვა პარტნიორების მიერ სათანადო მხარდაჭერის მონესრიგება და ზუსტი როლი საგანმანათლებლო პროცესში უნდა გადანყდეს კონსულტაციისა და მოლაპარაკებების გზით.
37. თითოეული სკოლა უნდა იყოს თითოეული ბავშვის წარმატებისა და წარუმატებლობის კოლექტიურად პასუხისმგებელი საზოგადოება. არა ინდივიდუალურმა მასწავლებელმა, არამედ საგანმანათლებლო გუნდმა უნდა გაიზიაროს პასუხისმგებლობა სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვთა განათლებაზე. სკოლის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მასწავლებლებმა და მოხალისეებმა. ასე, თუ ისე მასწავლებლები, როგორც საგანმანათლებლო პროცესის მენეჯერები, თამაშობენ გადამწყვეტ როლს ბავშვების რესურსების, როგორც კლასში, ისე კლასის გარეთ გამოყენებაში.

ინფორმაცია და კვლევა

38. კარგი პრაქტიკის მაგალითების გავრცელება სწავლა-სწავლების გაუმჯობესებას დაეხმარება. დროული და შესაბამისი კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ასევე შესაძლოა იყოს ღირებული. გამოცდილების გაზიარება და დოკუმენტაციური ცენტრების განვითარება სახელმწიფო დონეზე უნდა იყოს მხარდაჭერილი, ინფორმაციული წყაროები კი, ყველასთვის ხელმისაწვდომი.
39. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლება ინტეგრირებული უნდა იყოს კვლევითი ინსტიტუციებისა და სასწავლო გეგმის (კურიკულუმის) კვლევისა და განვითარების პროგრამებში. ამ სფეროში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს სამოქმედო კვლევას, რომელიც ფოკუსირებას მოახდენს სწავლა-სწავლების ინოვაციურ სტრატეგიებზე. კლასის მასწავლებლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ასეთი გამოკვლევების როგორც აქტივობაში, ასევე რეფლექსიაში. საპილოტო ექსპერიმენტები და ჩაღრმავებული კვლევების დაწყება ხელს შეუწყობს გადაწყვეტილების მიღებასა და მომავალი აქტოვობის დაგეგმვას. ეს ექსპერიმენტები და კვლევები შეიძლება ჩატარებულ იქნას რამდენიმე ქვეყნის თანამშრომლობის საფუძველზე.

გ. საგანმანათლებლო პერსონალის
რეკრუტირება და ტრენინგი

40. ინკლუზიურ სკოლებთან დაკავშირებული პროგრესის ხელშეწყობაში გადამწყვეტი ფაქტორია ყველა საგანმანათლებლო პერსონალის სათანადოდ მომზადება. უფრო მეტიც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებლების რეკრუტირების მნიშვნელობა, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის შესაძლოა მისაბამ მაგალითად იქცეს, უფრო მეტად და მეტადაა აღიარებული. შესაძლებელია გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები.
41. მომსახურებამდელმა ტრენინგ-პროგრამებმა უნდა უზრუნველყოს ყველა მასწავლებლის პირველადი, მეორადი ან

მსგავსი დადებითი ორიენტაცია შეზღუდული შესაძლებლობისადმი და ამგვარად იმ გაგების განვითარება, თუ რისი მიღწევა შეიძლება სკოლებში ადგილობრივად არსებული მხარდაჭერი მომსახურებებით. საჭირო ცოდნა და უნარები არის ძირითადად კარგი სწავლების მახასიათებელი და მოიცავს სპეციალური საჭიროებების შეფასებას, სასწავლო გეგმის შინაარსის ადაპტაციას, დამხმარე ტექნოლოგიის გამოყენებას, სწავლების პროცედურების ინდივიდუალიზაციას, რათა მოერგოს შესაძლებლობების უფრო ფართო სპექტრს და ა.შ. მასწავლებლის ტრენინგის განმახორციელებელ სკოლებში სპეციფიური ყურადღება უნდა მიექცეს ყველა მასწავლებლის მიერ კურიკულუმებისა და ინსტრუქციების ადაპტაციაში საკუთარი ავტონომიის განხორციელების მომზადებას და მათი უნარების გამოყენებას მოსწავლეთა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, სპეციალისტებთან და მშობლებთან სათანამშრომლოდ.

42. შეფასებითი კვლევებისა და მასწავლებელთა სერტიფიცირების განმავლობაში გათვალისწინებული უნდა იყოს უნარები, რომლებიც პასუხობს სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს.
43. პრიორიტეტულად, ადგილობრივი ადმინისტრატორებისთვის, სუპერვაიზორებისათვის/ზედამხედველებისათვის/, დამრიგებლებისათვის და უფროსი მასწავლებლებისათვის მომზადებული, დაწერილი მასალა და სემინარები ორგანიზებული უნდა იყოს, ამ სფეროში ლიდერობის უზრუნველყოფის მიზნით, მათი კომპეტენციების განსავითარებლად და ნაკლებად გამოცდილი პერსონალის მხარდასაჭერად.
44. მთავარი გამოწვევა ყველა მასწავლებლების მომსახურების პროცესში (in-service) ტრენინგით უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რაც ითვალისწინებს მრავალფეროვან და ხშირად რთულ სამუშაო პირობებს. აქ შესაძლებელია მომსახურების პროცესში მიმდინარე (ინსერვისული) ტრენინგი განვითარდეს, სკოლის დონეზე ტრენინგებთან ურთიერთობის გზით. ამას ხელი უნდა შეუწყოს დისტანციურმა განათლებამ და სხვა თვით-ინსტრუქციულმა ტექნიკებმა.
45. სპეციალიზირებული ტრენინგი სპეციალური საჭიროებების

მქონე პირთა განათლებაში, რომელსაც მოაქვს დამატებით კვალიფიკაცია, როგორც წესი, ინტეგრირებული ან მართული უნდა იყოს ტრენინგთან და გამოცდილებასთან ერთად იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას კომპლემენტარობა და მობილობა.

46. სპეციალური მასწავლებლების ტრენინგი საჭიროა განხილულ იქნას იმ თვალსაზრისით, რომელიც უზრუნველყოფს მათ განსხვავებულ პირობებში მუშაობას და გადამწყვეტი როლის თამაშს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა პროგრამებში. არაკატეგორიული მიდგომა, რომელიც მოიცავს ყველა ტიპის შეზღუდულობას, უნდა განვითარდეს როგორც საერთო ბირთვი ერთი ან მეტი სპეციფიური შეზღუდულობის სფეროში შედგომი სპეციალიზაციისათვის.
47. უნივერსიტეტებს აქვთ მთავარი მრჩეველის როლი სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების განვითარების პროცესში. განსაკუთრებით კვლევის, შეფასების, მასწავლებელთა ტრენინგების მომზადების, ტრენინგის პროგრამებისა და მასალების შემუშავების პროცესში. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების უნივერსიტეტებსა და უმაღლესი განათლების ინსტიტუტებს შორის უნდა დაიხვეწოს ქსელურობა, კავშირები. ამ სახით კვლევისა და ტრენინგის დაკავშირებას დიდი მნიშვნელობა გააჩნია. ასევე მნიშვნელოვანია ამ კვლევებსა და ტრენინგებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური ჩართვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ სრულად არის გათვალისწინებული მათი პერსპექტივები.
48. განათლების სისტემების პერიოდული პრობლემა, ისინიც კი, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთათვის საუკეთესო საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას ახდენენ, არის ასეთი მოსწავლეებისათვის მისაბაძი მაგალითის უქონლობა, ნაკლებობა. სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს ესაჭიროებათ იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებთან ინტერაქცია, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებას. მათ შეუძლიათ ნიმუშის სახით აჩვენონ საკუთარი ცხოვრების სტილი და რეალური მოლოდინების ნადილი. ამას გარდა, შეზ-

ლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის უნდა უზრუნველყოფილ იქნას ტრენინგები და მიენოდოთ მათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებით აღჭურვისა და ლიდერობის მაგალითები, ისე, რომ მათ შეძლონ იმ კურსის და პოლიტიკის ფორმირება, რომელიც შემდგომში მათ ცხოვრებაზე მოახდენს გავლენას. ამრიგად, განათლების სისტემებმა უნდა მოიძიონ და რეკრუტირება გაუწიონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კვალიფიციურ პედაგოგებსა და საგანმანათლებლო პერსონალს და ასევე სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვების განათლებაში ჩართონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ინდივიდები, რომლებმაც მიაღწიეს წარმატებებს.

დ. გარე / ექსტერნალური / მხარდაჭერი მომსახურებები

49. მხარდაჭერი მომსახურების უზრუნველყოფა ინკლუზიური განათლების პოლიტიკის წარმატებისათვის უზენაესი მნიშვნელობისაა. იმ მიზნით, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისათვის ექსტერნალური მომსახურებების ხელმისაწვდომობა ყველა დონეზე იყოს უზრუნველყოფილი, საგანმანათლებლო პირებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი.
50. ჩვეულებრივი სკოლების მხარდაჭერა შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნას როგორც მასწავლებლის განათლების ინსტიტუციების, ასევე სპეციალური სკოლების პერსონალის მიერ. ეს უკანასკნელი უნდა გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი სკოლის რესურს ცენტრად, რომელიც შესთავაზებს უშუალო მხარდაჭერას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს. სატრენინგო ინსტიტუციებმა და სპეციალურმა სკოლებმა შესაძლოა მისაწვდომი გახადოს სპეციალური მექანიზმები, მასალები, ასევე ტრენინგი ინსტრუქციულ სტრატეგიებში, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი ჩვეულებრივ კლასებში.
51. სხვადასხვაგვარი სააგენტოების, განყოფილებების, ინსტიტუტების რესურს-პერსონალის ექსტერნალური მხარდაჭერა, როგორცაა მრჩეველი მასწავლებლები, განათლების

ფსიქოლოგები, მეტყველების და ოკუპაციური თერაპევტები და ა. შ. კოორდინირებული უნდა იყოს ადგილობრივ დონეზე. სკოლის კოლექტივმა დაამტკიცა საგანმანათლებლო რესურსების მობილიზების სტრატეგია და საზოგადოებრივი ჩართულობა. სკოლის კოლექტივებს შეიძლება მიენიჭოთ მონაწილეთა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესატყვისი კოლექტიური პასუხისმგებლობა და მიეცეთ მოთხოვნის შესაბამისი რესურსების განაწილების კომპეტენცია. ასეთი შეთანხმებები ასევე უნდა მოიცავდეს არასაგანმანათლებლო მომსახურებებსაც. მართლაც, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგანმანათლებლო მომსახურება მნიშვნელოვნად სარგებლიანი იქნება თუ მეტი ძალისხმევა ჩაიდება ყველა ხელმისაწვდომი გამოცდილების და რესურსების ოპტიმალურად გამოყენებაში.

ვ. პრიორიტეტული სფეროები

52. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების ინტეგრაცია უფრო ეფექტიანი და წარმატებული იქნება, თუ სპეციალური მოსაზრებები გამოითქმება ჩამოთვლილი სამიზნე სფეროების საგანმანათლებლო განვითარების გეგმებში: განათლება ადრეულ ბავშვობაში, - ყველა ბავშვის განათლების მიღებისუნარიანობის გასაზრდელად, გოგონათა განათლება და სწავლიდან სამუშაო ცხოვრების სტილზე გადასვლა.

განათლება ადრეულ ბავშვობაში

53. ინკლუზიური სკოლის წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ძალიან პატარა ბავშვის ადრეულ იდენტიფიკაციაზე, შეფასებასა და სტიმულაციაზე. უნდა განვითარდეს ან თავიდან მოხდეს წ წლამდე ასაკის ბავშვებისათვის მზრუნველობითი და საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირება ადრეულ ბავშვობაში, იმისათვის რომ მოხდეს ფიზიკური, ინტელექტუალური და სოციალური განვითარებისა და

სკოლისათვის მზაობის ხელშეწყობა. ამ პროგრამებს აქვთ ძირითადი ეკონომიკური ღირებულება თითოეული ინდივიდისათვის, ოჯახისათვის და საზოგადოებისათვის, შემზღუდველი პირობების გაძლიერების თავიდან აცილების მიზნით. ამ დონის პროგრამებმა უნდა აღიაროს ინკლუზიის პრინციპი და განვითარდეს ყოველმხრივად სკოლამდელი აქტივობებისა და ადრეული ბავშვობის ჯამრთელობაზე ზრუნვის შეჯერებით.

54. ბევრ ქვეყანას ადრეულ ბავშვობაში განათლების სასარგებლოდ მიღებული აქვს პოლიტიკა, რაც გამოხატულია საბავშვო ბაღების და დღის ცენტრების განვითარების მხარდაჭერით ან საზოგადოებრივი მომსახურებებთან (ჯანმრთელობის დაცვის, დედათა და ჩვილთა ზრუნვის), სკოლებთან და ადგილობრივ ოჯახთა და ქალთა ასოციაციებთან დაკავშირებული, ოჯახის ინფორმაციული და შემეცნებითი აქტივობების ორგანიზებით.

გოგონათა განათლება

55. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონები ორმაგად დაჩაგრულები არიან. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე გოგონების ტრენინგითა და განათლებით უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ძალისხმევაა საჭირო. ამას გარდა, სკოლის მისანვდომობის მოსაპოვებლად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გოგონებს უნდა ჰქონდეთ ინფორმაციისადმი და მოდელისადმი მისანვდომობა, რომელიც დაეხმარება მათ რეალური არჩევანის გაკეთებასა და მათი მომავალი როლისათვის, როგორც ზრდასრული ქალის, მომზადებაში.

ზრდასრული ცხოვრებისათვის მზადება

56. სპეციალური საჭიროებების მქონე ახალგაზრდებს უნდა გაენიოთ დახმარება სკოლიდან სამუშაო გარემოში ეფექტიანად გადასასვლელად. სკოლებმა ხელი უნდა შეუწყონ მათ გახდნენ ეკონომიურად აქტიურები და უზრუნველყონ ისინი

ყოველდღიური ცხოვრებისათვის საჭირო უნარების დახვეწით. მათ უნდა შესთავაზონ ახალგაზრდებს იმ უნარების ტრენინგი, რომელიც შეესაბამება ზრდასრული ცხოვრების სოციალურ-კომუნიკაციურ მოთხოვნებსა და მოლოდინებს. ეს კი ითხოვს სათანადო სატრენინგო ტექნოლოგიებს, სკოლის გარეთ არსებული რეალური ცხოვრების სიტუაციების განცდის ჩათვლით. უფროს კლასებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა კურიკულუმები უნდა მოიცავდეს სპეციფიურ გარდამავალ პროგრამებს. ამ პროგრამებმა შესაძლებლობის შემთხვევაში მხარი უნდა დაუჭირონ უმაღლეს განათლებას და შემდგომ პროფესიულ გადამზადებას, რომლებიც სკოლის დამთავრების შემდეგ მოამზადებენ დამოუკიდებლად ფუნქციონირებად, საზოგადოებაში საკუთარი წვლილის შემტან პირებს. ეს აქტივობები უნდა წარიმართოს პროფესიული ხელმძღვანელობის, კონსულტანტების, მმართველი ოფისების, საქმიანი გაერთიანებების, ადგილობრივი ავტორიტეტების, სხვადასხვაგვარი მომსახურებებისა და სააგენტოების ჩართვით.

უწყეტი განათლება და ზრდასრული

57. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიენიჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულის უწყეტი განათლების შემუშავებისა და დანერვის პროგრამებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნდა მიენიჭოთ უპირატესი მისაწოდებლობა ასეთი პროგრამებისადმი. ასევე უნდა შემუშავდეს სხვადასხვა ჯგუფის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულთა საჭიროებებისა და მდგომარეობების შესაბამისი სპეციალური კურსები.

ვ. საზოგადოებრივი პერსპექტივა

58. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების წარმატებული განათლების მიღწევის გაცნობიერება არ არის მხოლოდ განათლების სამინისტროების და სკოლების საქმე. ის მოითხოვს ოჯახების თანამშრომლობას,

საზოგადოებრივი და მოხალისეთა ორგანიზაციების მობილიზებას, ასევე ზოგადად საზოგადოების მხარდაჭერას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობათა გათანაბრების პროგრესის მოწმე ქვეყნების ან სფეროების გამოცდილება რამდენიმე საჭირო გაკვეთილს იძლევა.

მშობელთა პარტნიორობა

59. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლება არის მშობლებისა და პროფესიონალების საზიარო, საერთო ამოცანა. მშობლების მხრიდან დადებითი დამოკიდებულება ხელს უწყობს სკოლასა და სოციალურ ინტეგრაციას. მშობელს მხარდაჭერა სჭირდება სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვის მშობლის როლის პასუხისმგებლობის ასაღებად. ოჯახებისა და მშობლების როლის გაზრდა შესაძლებელია საჭირო ინფორმაციის მარტივ და გასაგებ ენაზე ჩამოყალიბებით; ინფორმაციული უზრუნველყოფა და მშობლის უნარების ტრენინგი არის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ამოცანა იმ კულტურულ გარემოში, სადაც სწავლა-აღზრდის ნაკლები წეს-ჩვეულებებია. მშობლებსა და მასწავლებლებს შესაძლოა დასჭირდეთ ერთად, როგორც თანაბარ პარტნიორობად მუშაობის, სწავლის მხარდაჭერა და ნახალისება.
60. შვილების სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებებთან დაკავშირებით მშობლები არიან პრივილეგიების მქონე პარტნიორები და მათი აზრი, გათვალისწინებული უნდა იყოს იმ განათლების ტიპის არჩევაში, რომელიც მათ საკუთარი შვილებისთვის სურთ.
61. სკოლის ადმინისტრატორებს, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის უნდა განვითარდეს კოოპერაციული და მხარდაჭერი პარტნიორობა. მშობელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიური პარტნიორი უნდა იყოს. მშობლებმა სახლში და სკოლაში მონაწილეობა უნდა მიიღონ საგანმანათლებლო აქტივობებში (სადაც ისინი დააკვირდები-

ან ეფექტიან ტექნიკებს და ისწავლიან ექსტრაკურსულარული აქტივობების ორგანიზებას), ბავშვების სწავლის ზედამხედველობასა და მხარდაჭერაში.

62. მთავრობებმა მშობელთა უფლებებთან დაკავშირებული პოლიტიკური და კანონმდებლობითი უწყებებით უნდა უხელმძღვანელონ მშობელთა პარტნიორობის ხელშეწყობას. უნდა განვითარდეს მშობელთა ასოციაციები და მათი წარმომადგენლები ჩართულნი უნდა იყვნენ მათი შვილების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და დანერგვაში. ამასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების კონსულტირება.

საზოგადოების ჩართულობა

63. დეცენტრალიზაცია და ადგილობრივობაზე დაფუძნებული დაგეგმვა ხელს უწყობს საზოგადოების ჩართულობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთა განათლებაში. ადგილობრივმა ადმინისტრატორებმა უნდა წაახალისონ საზოგადოების მონაწილეობა წარმომადგენლობითი ასოციაციების მხარდაჭერით და გადანყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიღების მოხმობით. ადგილობრივი ადმინისტრაციის, განათლების, ჯანმრთელობის და განვითარების ავტორიტეტების, სახალხო ლიდერების და მოხალისეთა ორგანიზაციების შექმნილი მობილიზაციის და მონიტორინგის მექანიზმები გეოგრაფიულ ადგილებში უნდა დაარსდეს, რათა შედგეს საზოგადოების მონაწილეობა.
64. საზოგადოების ჩართულობამ უნდა შეავსოს სკოლის აქტივობები, უზრუნველყოს დახმარება საშინაო დავალების მომზადებაში და მოახდინოს ოჯახური მხარდაჭერის უქონლობის კომპენსირება. აღნიშვნის ღირსია მეზობელთა ასოციაციების როლი წინაპირობათა ხელმისაწვდომობაში. აღსანიშნავია ოჯახთა ასოციაციების, ახალგაზრდული კლუბებისა და მოძრაობების როლი, ასევე ხანდაზმულების, მოხალისეების, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

პირების პოტენციური როლი სკოლისა და სკოლისგარეშე პროგრამებში.

65. როცა ინყება საზოგადოებაზე დაფუძნებული რეაბილიტაციისათვის მოქმედება, სწორედ საზოგადოება წყვეტს გახდება, თუ არა ეს პროგრამა წინმავალი საზოგადოების განმავითარებელი აქტივობების შემადგენელი ნაწილი. საზოგადოებაში არსებულ სხვადასხვა პარტნიორებს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო დაწესებულებები, უნდა მიეცეთ შესაძლებლობა პასუხისმგებლობა აიღონ ამ პროგრამებზე. სამთავრობო სააგენტოებმა საჭიროების შემთხვევაში, როგორც ეროვნულ, ასევე ადგილობრივ დონეზე უნდა უზრუნველყონ ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერა.

მობალისე ორგანიზაციების როლი

66. მობალისე ასოციაციებს და ეროვნულ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოქმედების მეტი თავისუფლება გააჩნიათ. მათ შეუძლიათ უფრო მომზადებულად შეხვდნენ გამოთქმულ საჭიროებებს. ამიტომ უნდა მოხდეს მათი ახალი იდეების განვითარება და ინოვაციური შესრულების მეთოდების გაკვალვა. მათ შეუძლიათ ინოვაციისა და კატალიზატორის როლის თამაშით, გააფართოვონ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი მთელი რიგი პროგრამები.
67. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებმა, აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ საჭიროებების იდენტიფიცირებაში, პრიორიტეტებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოხატვით, მომსახურებათა ადმინისტრირებით, შესრულებული საქმის შეფასებითა და ცვლილებათა ადვოკატირებით.

საზოგადოებრივი ცნობიერება

68. პოლიტიკისა და საზოგადოებრივი აზრის შემმუშავებლებმა ყველა დონეზე, მათ შორის სკოლის დონეზეც, რეგულარულად უნდა დაადასტურონ მათი ვალდებულება ინკლუზიის მიმართ

და ხელი შეუწყონ ბავშვებში, მასწავლებლებში და ზოგადად, მთელ საზოგადოებაში დადებითი დამოკიდებულების შექმნას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირების მიმართ.

69. მას მედიას შეუძლია უძლიერესი როლის თამაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით დადებითი დამოკიდებულების შექმნაში, ცრურწმენების და არასწორი ინფორმაციის გადალახვაში, მაღალი ოპტიმიზმის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უნარიანობის წარმოდგენაში. მედიამ ასევე შესაძლოა ხელი შეუწყოს დამსაქმებლების მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დაქირავებას, დასაქმებას. მედია უნდა გამოყენებულ იქნას განათლების ახალი მიდგომების შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, განსაკუთრებით სპეციალური საჭიროებების მქონე პირების ჩვეულებრივ სკოლებში განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. ეს შესაძლებელია კარგი პრაქტიკისა და წარმატებული გამოცდილების მაგალითების პოპულარიზებით.

ზ. რესურსული მოთხოვნები

70. ინკლუზიური სკოლის, როგორც განათლება ყველასათვის მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალების განვითარება უნდა აღიარებულ იქნას გადამწყვეტ სამთავრობო პოლიტიკად და მას უნდა მიენიჭოს პრივილეგიებული ადგილი სახელმწიფოს განვითარების დღის წესრიგში. მხოლოდ ასეთი გზებითაა შესაძლებელი ადეკვატური რესურსების მოპოვება. პოლიტიკისა და პრიორიტეტების ცვლილება ვერ იქნება ეფექტიანი, თუ რესურსული მოთხოვნები ადეკვატურად არ არის დაკმაყოფილებული. ეროვნულ და საზოგადოებრივ დონეზე პოლიტიკური ვალდებულება საჭიროა დამატებითი რესურსების მოსაპოვებლად და არსებულის გადასატანად. ინკლუზიური სკოლების განვითარებაში გადამწყვეტი როლი საზოგადოებამ უნდა ითამაშოს. ნახალისება და მხარდაჭერა სახელმწიფოს მიერ ასევე არსებითად მნიშვნელოვანია ეფექ-

- ტიანი და ხელმისაწვდომი გადანყვეტილებების დაგეგმვაში.
71. სკოლებში რესურსთა დისტრუბუციისას რეალურად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა ბავშვისათვის სათანადო განათლების უზრუნველყოფისათვის საჭირო ხარჯების განსხვავებულობა, მათი საჭიროებებისა და ვითარების გათვალისწინებით. რეალური იქნება ჯერ იმ სკოლების მხარდაჭერა, რომელთაც ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის სურვილი აქვთ და ზოგიერთ სფეროებში საპილოტო პროექტების ამუშავება ექსპანსიისა და პროგრესული გენერალიზებისათვის /განზოგადებისათვის/ საჭირო გამოცდილების მისაღებად. ინკლუზიური განათლების გენერალიზაციის პროცესში მხარდაჭერა და გამოცდილება უნდა დაემთხვას მოთხოვნის ბუნებას.
72. რესურსების მიწოდება მნიშვნელოვანია ჩართული მასწავლებლების გადამზადების მხარდაჭერი მომსახურებებისათვის, რესურს-ცენტრების უზრუნველყოფისათვის, სპეციალური განათლებისა და რესურს-მასწავლებელთათვის. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო ტექნიკური დახმარება ინტეგრირებული განათლების სისტემის წარმატებით მუშაობისათვის. მაშასადამე, ინტეგრირებული მიდგომები დაკავშირებული უნდა იყოს ცენტრალურ და შუალედურ დონეზე არსებული მხარდაჭერი მომსახურებების განვითარებასთან.
73. სხვადასხვა (განათლების, ჯანმრთელობის, სოციალური კეთილდღეობის, შრომის, ახალგაზრდულ საქმეთა და ა.შ.) სამინისტრო დეპარტამენტთა, ტერიტორიული და ადგილობრივი ავტორიტეტების და სხვა სპეციალიზირებული ინსტიტუტების ადამიანური, ინსტიტუციური, ლოგისტიური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გაერთიანება არის ეფექტიანი გზა მაქსიმალური ხელშეწყობის მისაღებად. საგანმანათლებლო და სოციალური მიდგომების სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლებასთან კომბინირება მოითხოვს ეფექტიან სამენეჯმენტო სტრუქტურებს. ისინი უზრუნველყოფენ სხვადასხვა მომსახურებების კოოპერაციას სახელმწიფო და ადგილობრივ დონეზე. ისინი საზოგადოების წარმომადგენლებს და ასოციაციურ კორპუსებს მოუწოდებენ შეუერთდნენ ამ ძალებს.

III. მითითებები რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მოქმედებისათვის

74. სამთავრობო და არასამთავრობო, რეგიონალური და ინტერრეგიონალური ორგანიზაციების საერთაშორისო თანამშრომლობამ შესაძლოა ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს ინკლუზიური სკოლების წინსვლის ხელშეწყობაში. ამ სფეროში წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ინტერსამთავრობო, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ბილატერალურმა დონორმა სააგენტოებმა უნდა გაიაზრონ ძალებთან შეერთება შემდგომი სტრატეგიული მიდგომების დასაწერად.
75. ინტერვენციის სტრატეგიულ სფეროებში უნდა მოხდეს ტექნიკური უზრუნველყოფა უფრო მრავალფეროვანი ეფექტებით. ეს განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებშია საჭირო. საერთაშორისო კოოპერაციებისათვის მნიშვნელოვანი ამოცანაა ახალი მიდგომების მოსასინჯად და უნარიანობის გასაზრდელად გამიზნული საპილოტო პროექტების ხელშეწყობა.
76. რეგიონალური პარტნიორობის ორგანიზაციებმა ან სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების მსგავსი მოდგომების მქონე ქვეყნებს შორის პარტნიორობამ შესაძლოა შედეგი გამოიღოს ერთობლივი აქტივობების დაგეგმაში, არსებული რეგიონალური და სხვა კოოპერაციული მექანიზმების მფარველობით.
77. საერთაშორისო ორგანიზაციებზე დაკისრებული პრიორიტეტული მისია ქვეყნებსა და რეგიონებს შორის საპილოტო მონაცემთა, ინფორმაციის და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა განათლების პროგრამების შედეგების გაცვლის ფასილიტაციაა. განათლებასა და დასაქმებაში ინკლუზიის პროგრესის საერთაშორისო დონეზე შედარებითი ინდიკატორები უნდა გახდეს განათლების მსოფლიოს მონაცემთა ბაზის ნაწილი. საფოკუსო საკითხები უნდა დადგინდეს სუბრეგიონალურ ცენტრებში, რათა მოხდეს ინფორმაციის გაცვლის ფასილიტაცია. რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე არსებული პოლიტიკის, პროგრამირების, პერსონალის გა-

დამზადების და შეფასების სტრუქტურები უნდა გაძლიერდეს და მათი აქტივობები – გაფართოვდეს.

78. შეზღუდულობის დიდი პროცენტი არის ინფორმაციის ნაკლებობის, სიღარიბის და ჯანმრთელობის დაბალი სტანდარტების შედეგი. ვინაიდან შეზღუდულობის მსოფლიო ბატონობა იზრდება, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, უნდა არსებობდეს ერთობლივი საერთაშორისო მოძრაობა სახელმწიფო ძალებთან მჭიდრო თანამშრომლობით. ეს მნიშვნელოვანია განათლების გზით შეზღუდულობით გამოწვეული მიზეზების თავიდან ასარიდებლად. ეს თავის მხრივ, შეამცირებს შეზღუდულობის გარემოცვასა და ბატონობას.
79. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა საერთაშორისო და ტექნიკური დახმარება მრავალი წყაროდან მომდინარეობს. ამიტომ მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სისტემებსა და სხვა სააგენტოებს შორის თანმიმდევრულობის და კომპლემენტარობის უზრუნველყოფა.
80. საერთაშორისო კოოპერაციებმა ხელი უნდა შეუწყოს განათლების მენეჯერების და სხვა სპეციალისტებისათვის მაღალი დონის ტრენინგ-სემინარების რეგიონალურ დონეზე უზრუნველყოფას, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებისა და მოსამზადებელი ინსტიტუტების თანამშრომლობას შედარებითი კვლევების ჩატარების, სხვადასხვა დოკუმენტაციის გამოცემის და ინსტრუქციული მასალების შექმნის თვალსაზრისით.
81. საერთაშორისო კოოპერაციებმა უნდა უზრუნველყონ რეგიონალური და საერთაშორისო პროფესიონალთა ასოციაციების განვითარება, რაც დაკავშირებული იქნება სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების გაზრდასთან. მან ხელი უნდა შეუწყოს ჟურნალ-გაზეთების შექმნასა და გავრცელებას, ასევე – რეგიონალური შეხვედრებისა და კონფერენციების გამართვას.
82. საერთაშორისო და რეგიონალურ შეხვედრებზე, სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების საკითხი განხილვის არა ცალკე მდგომი, არამედ ინტეგრალური ნაწილი უნდა იყოს. სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების

საკითხი UNESCO-სა და სხვა ინტერსამთავრობო კორპუსების მიერ ორგანიზებული რეგიონალურ-სამთავრობო კონფერენციების დღის წესრიგში უნდა დადგეს.

83. განათლება ყველასათვის-ის განვითარებისა და ხელშეწყობის საერთაშორისო ტექნიკურმა კოოპერაციებმა და საფონდო სააგენტოებმა სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლება უნდა უზრუნველყონ ყველა განმავითარებელი პროექტების განუყოფელ ნაწილად.
84. საჭიროა არსებობდეს საერთაშორისო კოორდინაცია კომუნიკაციური ტექნოლოგიების უნივერსალური მისანვდომობის სპეციფიკაციის ხელშესაწყობად.
85. ეს სამოქმედო გეგმა ერთხმად იქნა მიღებული 1994 წლის 10 ივნისის კონფერენციის დასკვნით სესიაზე განხილვისა და შესწორებების შედეგად. ის გამიზნულია წევრი სახელმწიფოების, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, სალამანკას დეკლარაციის სპეციალური საჭიროებების მქონე პირთა განათლების პრინციპების, პოლიტიკის და პრაქტიკის დანერგვის სახელმძღვანელოდ.

დანვრილებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ
UNESCO

სპეციალური განათლება, ბაზისური განათლების განყოფილება
7th lace de Fontenoy 75352 Paris 07-SP
ფაქსი: (33-1) 40 65 94 05

— შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია —

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღო, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“, რომლის მიზანია უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა რეალიზება. აღნიშნული კონვენცია, რომელიც განიხილებოდა გენერალური ასამბლეის საგანგებო კომიტეტის რვა სესიაზე (2002 დან 2006წლამდე) და გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი ყველაზე სრული დოკუმენტი, ხელმოწერისათვის ღიაა 2007 წლის 30 მარტიდან. 30 მარტს კონვენციას ხელი მოაწერა 81-მა წევრმა ქვეყანამ და ევროპულმა ერთობამ, რაც გახსნის დღეს ხელმოწერათა ყველაზე მაღალ მაჩვენებელს წარმოადგენს. ამჟამად კონვენციას ხელი მოაწერა 118 ქვეყანამ, 7 ქვეყანაში მოხდა მისი რატიფიცირება. 67 ქვეყანამ ხელი მოაწერა და სამ ქვეყანაში მოხდა კონვენციის ფაკულტატური ოქმის რატიფიცირება.

ქვემოთ მოცემულია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ 24-ე მუხლი, რომელიც აღიარებს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განათლების უფლებას.

24-ე მუხლი განათლება

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას განათლებაზე. ამ უფლების დისკრიმინაციის გარეშე და პიროვნების თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას, რაც ემსახურება:

(ა) პოტენციალის სრულ გამოვლენას, ღირსებისა და საკუთარი თავის პატივისცემის გაღვივებას, ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებებისა და ადამიანთა მრავალფეროვნების პატივისცემის განმტკიცებას;

- (ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ საკუთარი პიროვნების, ნიჭისა და შემოქმედებითი უნარების განვითარებასა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას;
- (გ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უზრუნველყოფას თავისუფალ საზოგადოებაში ეფექტიანად ჩართვის შესაძლებლობით.
2. აღნიშნული უფლების რეალიზებისათვის მონაწილე ქვეყნები უზრუნველყოფენ იმას, რომ:
- (ა) არ მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გარიყვა ზოგადი განათლების სისტემიდან შეზღუდული შესაძლებლობის გამო; ამავე მიზეზით არ მოხდეს მათი გათიშვა დაწყებითი ან საშუალო უფასო განათლების სისტემიდან;
- (ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბრად მისაწვდომი იყოს ინკლუზიური, ხარისხიანი და უფასო დაწყებითი და საშუალო განათლება მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- (გ) უზრუნველყოფილ იქნას გონივრული მისადაგება ინდივიდუალური მოთხოვნების გათვალისწინებით.
- (დ) ეფექტური განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იღებდნენ საჭირო დახმარებას ზოგადი განათლების სისტემის ფარგლებში;
- (ე) სრული ინკლუზიის მიზნით, აკადემიური და სოციალური განვითარების მაქსიმალურად ხელშეწყობა გარემოში, უზრუნველყოფილ იქნას ეფექტიანი ინდივიდუალური დამხმარე ზომები.
3. განათლების პროცესსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრული და თანაბარი მონაწილეობის გაადვილების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უზრუნველყოფენ ცხოვრებისა და სოციალიზაციის უნარჩვევების დაუფლების შესაძლებლობით, მათ შორის:
- (ა) ხელს უწყობენ ბრაილის, ალტერნატიული შრიფტის, გამაძლიერებელი და ალტერნატიული მეთოდების,

ურთიერთობის ხერხებისა და ფორმატების, ასევე ორიენტაციისა და მობილურობის უნარ-ჩვევების ათვისებას, თანატოლთა მხრიდან მხარდაჭერასა და დამრიგებლობას;

(ბ) ხელს უწყობენ ჟესტების ენის შესწავლასა და სმენის შეზღუდვის მქონე პირთა ლინგვისტურ თვით-მყოფადობას.

(გ) უზრუნველყოფენ, უსინათლო, ყრუ და უსინათლო-ყრუ ადამიანების, მათ შორის ბავშვების განათლების განხორციელებას ინდივიდისათვის შესაფერისი იმ საკომუნიკაციო ენების, მეთოდებისა და ხერხების საშუალებით, რომელიც მაქსიალურად უწყობს ხელს ცოდნის ათვისებასა და სოციალურ განვითარებას.

4. აღნიშნული უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ შესაბამის ზომებს სწავლების პროცესში ჟესტების ენის ან ბრაილის ანბანის მცოდნე, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პედაგოგების ჩასართავად, რომლებიც ასევე მოამზადდებიან განათლების ყველა საფეხურზე მომუშავე პედაგოგებსა და პერსონალს. ასეთი მომზადება მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარებას კომუნიკაციის გამაძლიერებელი, ალტერნატიული მეთოდების, საშუალებებისა და ფორმატების, სასწავლო ტექნიკისა და მასალების გამოყენებით.

5. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ზოგადი, უმაღლესი, პროფესიული, უფროსებისათვის განკუთვნილი კურსებისა და უწყვეტი განათლების თანაბარ მისაწვდომობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული მიზნით მონაწილე ქვეყნები უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გონივრულ ჩართულობას.

დამატებითი ინფორმაცია კონვენციასა და გაეროს შესაბამისი დოკუმენტების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:

<http://www.un.org/disabilities/>

უზღუდვი უსაადგილონი მონა ადამიანები და საზოგადოება

— ტერმინები, იარლიყები და სტერეოტიპები —

ტერმინები, რომელსაც საუბარში ვიყენებთ, გამოხატავენ არა მარტო ჩვენს დამოკიდებულებას ადამიანებისა და მოვლენების მიმართ, არამედ ნათლად ასახავენ საზოგადოებაში გავრცელებულ სტერეოტიპებსაც. ე.წ. „იარლიყების“ მინიჭებით, ხშირად ხელოვნურად ვუქმნით ბარიერებს მათ, ვინც ჩვენგან „განსხვავებულია“ და არ ჯდება საზოგადოების მიერ აღიარებულ „სტანდარტებში“. მრავალი წლის მანძილზე, ტერმინი „ინვალიდი“ არა მარტო ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ შეზღუდვაზე მიუთითებდა, არამედ ხაზს უსვამდა მის „უსარგებლობას“ და კიდევ უფრო აღრმავებდა საზოგადოებისაგან იზოლაციას.

ბოლო ათწლეულში სოციალურ სფეროსა და საზოგადოებრივ მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე, მიუღებელი აღმოჩნდა მიდგომა მრავალი პრობლემისადმი, მათ შორის „ინვალიდობისადმი“. უპირველეს ყოვლისა, თავად მოტივირებული პირების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები) გააქტიურებამ განაპირობა ახალი სახელმწიფოებრივი ხედვისა და პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება. დაიწყეს რა კონკრეტული პროგრამების შემუშავება-განხორციელება, ისინი აქტიურად ჩაერთვნენ საკანონმდებლო და აღმასრულებელი სტრუქტურების მუშაობაში საკუთარი უფლებების დასაცავად. 1995 წლის 14 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომელმაც განსაზღვრა სახელმწიფო პოლიტიკა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და თანაბარი პირობების უზრუნველყოფის საკითხებში.

კანონები გვეარნახობენ წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზიტიური განწყობის შექმნა. აღიარებულია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი, რომლის გადალახვაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უნევთ, არის საზოგადოების დამოკიდებულება. სამწუხაროდ, საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის მზად

აღიქვას ისინი სრულყოფილ და სრულუფლებიან წევრებად, ჯერ კიდევ ძლიერია გაუცხოების და „სიბრალულის“ ფაქტორი, მათზე საუბრისას ხშირად გაისმის სიტყვები „საბრალო“, „სანყალი“, „უბედური“, რაც არა მარტო არაეთიკური, არამედ დამამცირებელიც კი არის.

ტერმინები, რომელიც არ უნდა გამოვიყენოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საუბრისას:

<i>ტერმინები, რომლებიც არ ქმნიან ნეგატიურ სტერეოტიპებს</i>	<i>ტერმინები, რომლებიც ქმნიან ნეგატიურ სტერეოტიპებს</i>
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი; განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები; ადამიანი, (ბავშვი) რომელსაც განსაკუთრებული ზრუნვა სჭირდება	ინვალიდი, ხეიბარი, ავადმყოფი, დეფექტური, არასრულფასოვანი.
შეუზღუდავი შესაძლებლობის მქონე, ტიპიური ადამიანი	ნორმალური, ჯანმრთელი (<i>შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან შედარებისას</i>)
პიროვნება, (ბავშვი) რომელიც ეტლით გადაადგილდება	ეტლს მიჯაჭვული ადამიანი (ბავშვი)
თანდაყოლილი შეზღუდვა	თანდაყოლილი დეფექტი
გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პიროვნება (ბავშვი)	გონებაჩლუნგი, გონებრივად არასრულყოფილი, დებილი.
ფსიქიკური პრობლემების მქონე პირი, სულიერი ან ემოციური დარღვევების მქონე პირი	გიჟი
სუსტი მხედველობის მქონე, მხედველობის შეზღუდვის მქონე, უსინათლო	ბრმა, ბრუციანი
სმენის შეზღუდვის მქონე, სმენისა და მეტყველების დარღვევის მქონე პირი (ბავშვი)	ყრუ, ყრუ-მუნჯი

— შეზღუდული შესაძლებლობა – სამედიცინო – და სოციალური მოდელი

არ არსებობს ერთი, კონკრეტული პასუხი კითხვაზე – „რა არის შეზღუდული შესაძლებლობა?“ რთულია აბსოლუტური ქეშმარიტების დადგენა მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობების შესწავლას ეხება. ის, თუ როგორ გვესმის ჩვენ **შეზღუდული შესაძლებლობა**, გავლენას ახდენს არა მარტო ჩვენს ლექსიკაზე, არამედ ჩვენს დამოკიდებულებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიმართ. არსებობს აღნიშნული ტერმინის აღქმის ორი ძირითადი მოდელი – სამედიცინო და სოციალური.



სამედიცინო მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამს რაიმე დაზიანებით, დაავადებით ან ავადმყოფობით გამონვეულ მოვლენად, როდესაც ადამიანი ვერ ხედავს, არ ესმის, ან არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება. ასეთი მიდგომა აკნინებს პიროვნებას, როგორც ინდივიდს და გამორიცხავს მის სრულყოფილ ჩართვას საზოგადოებრივ აქტივობაში.

სოციალური მოდელი შეზღუდულ შესაძლებლობას აღიქვამს საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის შესაძლებლობის დაკარგვად, რაც გამონვეულია ფიზიკური ან სოციალური ბარიერებით. ამდენად, მოდელი ხაზს უსვამს, რომ ადამიანის შეზღუდულობას განაპირობებს არა მისი ფიზიკური მდგომარეობა და შესაძლებლობები, არამედ საზოგადოების რეაქცია და დამოკიდებულება. მაგალითად, ეტლში მჯდომი პირისათვის განათლების მიღება შეიძლება შეიზღუდოს არა იმის გამო, რომ მას ეტლი ესაჭიროება, არამედ იმიტომ, რომ მისთვის მიუწვდომელია ინფორმაცია, ტრანსპორტი, სასწავლო დაწესებულება (არ არის ლიფტი, პანდუსი). თუმცა სოციალური მოდელი ასევე აღიარებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს ესაჭიროებათ სამედიცინო დახმარებაც.

სამედიცინო მოდელი გულისხმობს, რომ უნდა შეიცვალოს ადამიანები, ხოლო სოციალური მოდელი გულისხმობს, რომ უნდა შეიცვალოს საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებაში.

შეზღუდული შესაძლებლობის განმარტების სოციალური მოდელი, რომელიც სულ უფრო და უფრო აქტუალური ხდება საქართველოშიც, თავისთავად მოითხოვს ცვლილებებს იმ ლექსიკაში, რომელსაც ჩვენ, საზოგადოება ვიყენებთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ საუბრისას. წინა პლანზე წამოიწევა არა შეზღუდვა, არამედ პიროვნება. მეტი ინფორმირება, ცნობიერების ამაღლება, ყოველდღიური ურთიერთობა, კომუნიკაცია – აი ის მთავარი ფაქტორები, რაც დღეს აუცილებელია საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლისათვის.

მასმედია და მისი როლი პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში

პრესა და ტელევიზია საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მნიშვნელოვანი იარაღია. ინფორმაცია, რომელსაც ისინი წარმოადგენენ, ხშირად ასახავს ე.წ. „ჩარჩოს“, რომლის ფარგლებშიც საზოგადოებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ურთიერთობა აქვს. სამწუხაროდ, სტატიებსა და სიუჟეტებში ჯერ კიდევ სჭარბობს გადამეტებული ემოციები. აქცენტი კეთდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ფიზიკურ და მორალურ დაუცველობაზე, ნაკლებად არის წამოწეული მათი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები. დღეს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან თანამშრომლობით ჟურნალისტებს შეუძლიათ შექმნან ახალი, ჯანსაღი აზრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პრობლემებისადმი. თუ მათ მიერ მომზადებული მასალა იქნება არა ემოციური, არამედ ფაქტებზე დაფუძნებული და კომპლექსური, ეს აუცილებლად გამოიწვევს საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების ნგრევას.


როგორ გავაუმჯობესოთ კომუნიკაცია და მოვამზადოთ მასალა?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემებზე მასალის მომზადებისას კითხეთ საკუთარ თავს:

1. რა არის მასალის მომზადების მთავარი მიზანი – ის, რომ სიუჟეტი ეხება კონკრეტულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, თუ ის, რომ ეს მასალა აქტუალურია;
2. ეხება თუ არა სიუჟეტი შეზღუდულ შესაძლებლობას; თუ პასუხი დადებითია, მაშინ რამდენად იცნობთ და სწორად იყენებთ ტერმინოლოგიას (*მაგ. ეტლით მოსარგებლე და არა ეტლზე მიჯაჭვული*);
3. ხომ არ არის თქვენს მიერ მომზადებული მასალა ზედმეტად მიკერძოებული; გადაჭარბებულად ემოციური და სიბრაღელის გამომწვევი;
4. გააკეთეთ აქცენტი პიროვნებაზე, ეცადეთ წინ წამოსწიოთ მისი ღირსება და სიძლიერე;

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან საუბრისას მიმართეთ პირდაპირ მას და არა მის თანმხლებ პირს; ეცადეთ ზედმეტად არ გაუსვიათ ხაზი განსხვავებულობას;
6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ინტერვიუ ჩატარეთ ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ პიროვნებასთან;

— **პაციენტიდან მოქალაქემდე** —



მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დედამიწის მოსახლეობის თითქმის მეათედ ნაწილს შეადგენენ. მიუხედავად ამისა, ამ ადამიანთა ესოდენ მნიშვნელოვანი ჯგუფი, უმეტეს ქვეყნებში იმყოფება უმცირესობაში – მათი უფლებები და ინტერესები უმრავლესობის მხრიდან დღემდე იგნორირებულია.

ამჟამინდელი დამოკიდებულება, ინვალიდობის მქონე ადამიანებსა და საერთოდ ინვალიდობის მიმართ საქართველოში – არის ქართული

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები და საზოგადოება

საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცნობიერების განვითარების შედეგი, რომელიც ემყარება სოციალურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ფაქტორებს. არსებობისთვის ბრძოლა, ხშირი ომები და ბაზარზე ძალისმიერი შრომის დომინირება კანონზომიერად ამკვიდრებდა ფიზიკური სიძლიერის, **ორგანიზმის ფუნქციონალური და გონებრივი სრულყოფილების კულტს**.

დამახინჯებული მიდგომა ინვალიდობასთან გაამყარა საბჭოური რეჟიმის მრავალწლიანმა ბატონობამ, როდესაც ადამიანის ინვალიდად ცნობა ხდებოდა ძირითადად სამედიცინო დიაგნოზის საფუძველზე, ინვალიდობის ხარისხი გაიგივებული იყო „**შრომის უნარშეზღუდულობასთან**“, ხოლო ამას სამედიცინო – შრომითი კომისიის ექსპერტები განსაზღვრავდნენ. ადამიანები, რომლებიც არ თავსდებოდნენ შესაბამის ფიზიკური და **გონებრივი უნარების სტანდარტებში**, რეალურად კარგავდნენ საზოგადოებაში თვითდამკვიდრების შესაძლებლობას და მათი არსებობა სხვებზე დამოკიდებული ხდებოდა.

ასე ყალიბდებოდა და მკვიდრდებოდა საქართველოში დღეს არსებული მიდგომა ინვალიდობასთან, რაც გულისხმობს ინვალიდობის მქონე ადამიანთა უუნარობას დამოუკიდებლად იცხოვრონ, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები, სხვებთან ერთად, ჩვეულებრივ სასწავლო დაწესებულებებში მიიღონ განათლება და ჩვეულებრივ საწარმოებში და ორგანიზაციებში ინვალიდობის არმქონე სხვა თანამშრომლებთან ერთად დასაქმდნენ. მუდმივ მზრუნველობაზე, დახმარებაზე, გარშემომყოფთა ნებაზე, ქველმოქმედებასა და მხარდაჭერაზე დამოკიდებული, შრომის უუნარო – აი რიგი იმ **სტერეოტიპებისა, რომლითაც „დააჯილდოვა“** საზოგადოებრივმა აზრმა ინვალიდობის მქონე ადამიანები. შესაბამისად, პირობებიც, რომელსაც სთავაზობს დღეს საზოგადოება ინვალიდობის მქონე პირებს საქართველოში, ემყარება სწორედ ამ ცრუ-წარმოდგენებს ანუ აძლევს მათ არჩევანს: ან ფიზიკურად და მატერიალურად დამოკიდებულნი ოჯახის წევრებზე, ახლობლებსა თუ ნათესავებზე იყვნენ ან დანარჩენი საზოგადოებისგან იზოლირებულებმა, სახლში თუ სპეციალურ დაწესებულებებში, სახელმწიფო ხარჯზე იცხოვრონ.

ათეულობით წლის განმავლობაში, დემოკრატიულ, „გაბრწყინებულ“ ქვეყნებში, ანალოგიური დამოკიდებულება და მიდგომა ბატონობდა. მხოლოდ 60-იან წლებში, ინვალიდობის მქონე პირთა მოძრაობის

გაძლიერებასთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში საფუძველი ჩაეყარა დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიას, ხოლო 60-იანი წლების დასასრულისა და 70-იანი წლების დასაწყისისთვის, გაუგონარი პოლიტიკური და სოციალური გააქტიურების შედეგად, სხვადასხვა განვითარებულ ქვეყნებში მცხოვრებმა ინვალიდობის მქონე პირებმა, თანაბარუფლებიანობის მოთხოვნით, საკმაოდ დიდ წარმატებებს მიიღწიეს. ამით შესაძლებლობა მიეცათ გაეუმჯობესებინათ საკუთარი ყოფა და ეცხოვრათ ღირსეული ცხოვრებით.

ინვალიდობის მქონე პირთა მოძრაობა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის გავრცელდა სხვა ქვეყნებშიც. ეს მოძრაობა იქნდა სულ უფრო და უფრო ახალ გამოხატულებებს იმისდა მიხედვით, თუ რა ტრადიციების მატარებელ საზოგადოებაში უწევდა მას დამკვიდრება. თუმცა დამოუკიდებელი ცხოვრების იდეოლოგიის ძირეული დებულებანი – უფლება თავისუფალი არჩევანის, თვითდახმარების, თვითგამორკვევის, საკუთარი უფლებების აღდგენის – უცვლელი დარჩა ყველა ქვეყანაში.

საქართველო პატარა ქვეყანაა, რომელმაც გამოიარა ძალიან რთული ისტორიული ცხოვრების გზა. ჩვენი ქვეყნის ხალხმა კარგად იცის თავისუფლების, დამოუკიდებლობის, შემწყნარებლობის და ურთიერთპატივისცემის ფასი, თუმცა კომუნისტურ – ბოლშევიკური რეჟიმის მრავალწლიანმა ბატონობამ მაინც დატოვა თავისი ნეგატიური კვალი ქართული საზოგადოების სახელმწიფოებრივ ცნობიერებაში. მან მემკვიდრეობით მიიღო ნიჰილისტური დამოკიდებულება და მიდგომა სამოქალაქო აქტივობაში საკუთარი როლის, ცალკეული მოქალაქის ან სოციალური ჯგუფის უფლებათა დისკრიმინაციის, სახელმწიფოებრივი ძალადობის, კანონიერების ტოტალური გაუფასურებისა და უკვე ერთგვარ სისტემად ქცეულ, ღიად თუ ფარულად გამოხატული კორუფციული ურთიერთობების მიმართ.

ინვალიდობის მქონე ადამიანები საქართველოს მოქალაქეთა არც თუ ისე მცირედ ნაწილს შეადგენენ. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2005 წლისთვის მათი რიცხვი 231 280 პირს შეადგენს. საქართველოში 1995 წლის 14 ივნისიდან მოქმედებს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ, რომელიც განისაზღვრება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1975 წლის 9 დეკემბრის დეკლარაციით „შეზღუდული

შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“, მის მიერვე 1993 წლის 20 დეკემბერს მიღებული „ინვალიდთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის სტანდარტული წესებით“. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს სტანდარტულ წესებს ჩვენს ქვეყანაში ამოქმედებისათვის კანონიერი ძალა აქვს მინიჭებული, დღემდე არ არსებობს სოციალური უსაფრთხოებისა და განვითარების სისტემა, რომელიც აღადგენდა ინვალიდობის მქონე პირებისათვის ტრანსპორტის, გზის, არქიტექტურული დიზაინის, საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის, განათლების სისტემის და დასაქმების თანაბარი პირობებით გამოყენების უფლებას.

შედეგად, ინვალიდობის მქონე ადამიანების და მათი ოჯახის წევრების დიდი ნაწილი მოკლებულია ან საერთოდ არ გააჩნია ეკონომიკური აქტივობა და იმყოფება სიღატაკის ზღვარზე. მათთვის პრაქტიკულად ხელმისაწვდომია ერთადერთი უფლების გამოყენება – უფლება მიიღონ ინვალიდობის პენსია, სოციალური კომპენსაცია უმწესოთათვის და ე.წ. შეღავათები ენერგორესურსების მოხმარებაზე, რომელთა რაოდენობა განისაზღვრება ნარჩენობითი პრინციპით და ატარებს სიმბოლურ ხასიათს. არარსებული სოციალური პოლიტიკა კი მხოლოდ უმყარებს მათ წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ მომხმარებლურ ბუნებას და აძლიერებს მათი, როგორც სოციალური ჯგუფის მარგინალიზაციის ხარისხს.

სამოქალაქო საზოგადოების განვითარებასთან ერთად საქართველოში ძლიერდება ინვალიდობის მქონე პირთა მოძრაობაც, რომელიც ცდილობს დაიცვას ინვალიდობის მქონე პირთა უფლებები და დაამკვიდროს ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოში ახალი, თანამედროვე მიდგომა. ამის მიხედვით, ინვალიდობა უპირატესად უნდა განიხილებოდეს სოციალურ და არა სამედიცინო პრობლემად, საჭიროა შევცვალოთ არა თითოეული ინვალიდობის მქონე პირი, არამედ მთლიანად საზოგადოებრივი აზრი, კანონმდებლობა და მატერიალური გარემო. თუმცა, ასევე მნიშვნელოვანია, რომ თავად ინვალიდობის მქონე პირებმა და მათი ოჯახის წევრებმა გამოიჩინონ ინიციატივა, აქტიური მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა დონეზე საკუთარი უფლებების აღდგენაში, რათა ასევე დაცული იყოს სხვათა კანონიერი უფლებები და ინტერესები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებთან დამოკიდებულების ისტორია

თანამედროვე საზოგადოების დამოკიდებულება ინვალიდობის მქონე ადამიანებთან დიდად არ შეცვლილა, იგი დღემდე საკმაოდ მძიმე და ჩამორჩენილია. უამრავი პრობლემა ისევ დაუძლეველი რჩება, რის გამოც დისკრიმინაციას ჩვენს რეალობაშიც მწვავედ განიცდიან.

საზოგადოება თავის აზრებს, შეხედულებებს ააშკარავებს ლიტერატურაში, თეატრში, ფოლკლორში და ფილმებში... აქ არა მარტო მისი განვითარება მოჩანს, არამედ ის მანიკერება და სისუსტეებიც აირეკლება, რაც ასე აშკარაა თავად საზოგადოებაში.

პრობლემა ინვალიდობის შესახებ გუშინ და დღეს არ დაბადებულა, მას გაცილებით დიდი და შეიძლება ითქვას, უხსოვარი ისტორია აქვს. ჩვენთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენს მისი შესწავლა, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს, უფრო ღრმად ჩავწვდეთ დღევანდებლობას და აღმოვაჩინოთ საიდან და როგორ გაჩნდნენ ან რამ გამოიწვია ამა თუ იმ სტერეოტიპისა და ნეგატიური დამოკიდებულების წარმოშობა. ისინი ხომ ფაქტიურად საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდნენ და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მას ხელს უწყობდა თავად საზოგადოება.

მოცემულ მასალაში, თქვენ გაეცნობით, თუ როგორ ყალიბდებოდა ის მცდარი შეხედულებები ინვალიდობის მქონე ადამიანების მიმართ, რომელიც დღესაც ჭარბობს დასავლეთ ევროპის საზოგადოებაში. მსგავსი შეხედულება საუკუნეების მანძილზე ბატონობდა სხვადასხვა ქვეყნის კულტურაში. ქვემოთ მოყვანილი მაგალითების უმეტესობა, სახელმძღვანელოებშიც შეიძლებოდა შეგვეტანა, რათა ბავშვებს ქონდეთ ზუსტი წარმოდგენა, სად უშვებდა შეცდომას ძველი ხალხი და რა იყო მათი დამოკიდებულების უმთავრესი მანიკერება... მით უფრო, რომ ამ მხრივ, საზოგადოების აზროვნება მას შემდეგაც არ განვითარებულა დიდად და ხშირ შემთხვევაში ისევ ძველი სტერეოტიპებით მოქმედებს.

ისტორიული ექსკურსი: ისტორია თავის არსში მოიცავს ძველ საბერძნეთსა და რომს, ფეოდალურ და შუა-საუკუნეების ევროპას, აღორძინების ეპოქას, მე-19 და მე-20 საუკუნეებს, მე-3 რეიხის პერიოდს, მე-20 საუკუნის ბრძოლას და მოძრაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დასაცავად და 21-ე საუკუნეს...

ძველი საბერძნეთი და რომი

ანტიკური სამყარო ქადაგებდა „მშვენიერი სხეულის“ კულტს... აქ გამეფებული იყო მოსაზრება, რომ „ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“, ამიტომ ერთგვარი სკულპტურული ხედვა იყო დამოკიდებული ჩვეულებრივ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც და რაიმე სახის ფიზიკური განსხვავებულობა უკვე დიდ ცოდვად ითვლებოდა. ამიტომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები განიცდიდნენ დისკრიმინაციის უდიდეს ფორმებს და ყველასაგან გარიყულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

ანტიკურ ქალაქ-სახელმწიფო სპარტაში კიდევ უფრო სასტიკი გამოვლინება ქონდა ყოველივე ამას და ფიზიკური შეზღუდულობით დაბადებული ადამიანი იქ იმთავითვე იწირებოდა სიკვდილისათვის... ასეთი ჩველი ბავშვები უფსკრულ „აპოთექში“ პოულობდნენ „უკვდავებას“ (ანუ მათ დაუფიქრებლად ისროდნენ უფსკრულებში). ამ დამოკიდებულების სიმცდარე აჩვენა თავად სპარტის ისტორიამ, რომელიც სპარტელივე მოქალაქის ლალატით დაიღუპა. ასე რომ, ფიზიკური განსხვავებულობა ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავს, აი ლალატის უნარი კი, რომლიც თავისთავად არის კიდევ მანკიერი თვისება, დაბადების ჟამს ეტყობა არავის აწერია...

„ლამაზ სხეულში ლამაზი სულია“, ამ დებულების ტრფობა კარგად ჩანს ანტიკურ სკულპტურებშიც, სადაც იდეალური სხეულის გამოქანდაკება ითვლებოდა ყველაზე დიდ და უნიკალურ ხელოვნებად (თუნდაც დისკობოლის ცნობილი ქანდაკება გავიხსენოთ).

აქ, პატრიციებსა და პლებეებშიც, გაბატონებული იყო უკიდურესი ესტეთიზმი და ყოველგვარი სხვაგვარი გამოვლინება ან იჩქმალებოდა ანდა სასტიკად იგმობოდა და ვინროვდებოდა.

ასეთი მიდგომა ნერგავდა მოსაზრებებს, რის მიხედვითაც, კარგი იყო ის, რაც საამო იყო საცქერლად, ხოლო რის დანახვასაც შეეძლო აღფროთოვანებაში არ მოეყვანა მნახელი, გახლდათ ცუდი და ნაწილი ბოროტებისა...

ფეოდალური და შუა საუკუნეების ევროპა

ფეოდალურ და შუა საუკუნეების ევროპაში ინვალიდობის მქონე პირები ოჯახებში ცხოვრობდნენ. ვისაც შეეძლო თავს

მინათმოქმედებითა და მცირე სახელოსნოებში მუშაობით ირჩენდა, მაგრამ სოციალური შფოთვის ან ქოლერიისა და შავი ჭირის ეპიდემიის დროს ისინი, როგორც წესი, განტევების ვაცად და ბოროტებასთან წილნაყარ არსებებად ცხადდებოდნენ და ამის გამო საშინელ დევნას და ძალადობას განიცდიდნენ.

შავი ჭირის ეპიდემიის დროს ფლაგელანტად წოდებული ათასობით ადამიანი დახეტილობდა მთელ ევროპაში და თვითგვემას ეწეოდა. ისინი თვლიდნენ, რომ ადამიანი საკუთარ სხეულს ბევრ ტანჯვას თუ მიაყენებდა, ამით დაიცავდა სულს, არ დაავადდებოდა ჭირით და არც ოდესმე გახდებოდა ინვალიდი. შიში იმისა, რომ ერთ დღეს შეიძლება ნებისმიერი ადამიანი გამხდარიყო განსხვავებული, მართლაც ძალიან დიდი იყო.

მარტინ ლუთერმა (პროტესტანტიზმის მთავარი პატრიარქი და დამფუძნებელი) ფიზიკური შეზღუდულობით დაბადებულ ბავშვებზე საუბრისას თქვა: „წაიყვანეთ გონებასუსტი ბავშვი მდინარესთან და ჩაძირეთ იგი...“

მე-16 საუკუნის პოლანდიაში კეთრით დაავადებული ადამიანები ითვლებოდნენ ცოდვილებად და მთელ მათ ქონებას სახელმწიფო უკეთებდა კონფისკაციას. თუკი ადამიანი, რომელსაც „ასე ეტყობოდა სახეზე ცოდვა“, მორჩილ და უპრეტენზიო ცხოვრებას გააგრძელებდა, მაშინ ითვლებოდა, რომ სიკვდილის შემდეგ სამოთხე ელოდა.

აღორძინების ეპოქა

აღორძინების ეპოქა ძირითადად ანტიკური სამყაროს, ძველი საბერძნეთისა და რომის ფილოსოფიაზე, ესთეტიკაზე და ხელოვნებაზეა დაფუძნებული. ამრიგად, ისიც წინა პლანზე „მშვენიერი სხეულის“ კულტს წევდა და აღმერთებდა. ათასობით ტილოზე ისახებოდა ადამიანის იდეალური სხეული და სრულყოფილი ფორმა, მიუხედავად იმისა, რომ მაშინდელი რეალობა ასეთი სულაც არ იყო... თუ ხატავდნენ ისეთი ადამიანის პორტრეტს, რომელსაც სხეულის ნაწილი ქონდა დასახიჩრებული, მაშინ მისი იარები იჩქმალეობდა და ტილოზე მხოლოდ „ჯანსაღი სხეული“ რჩებოდა...

XIX საუკუნე

მე-19 საუკუნეში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა სეგრეგაცია გახდა კიდევ უფრო გამოკვეთილი. ფაბრიკა-ქარხნების მუშახელი უნდა ყოფილიყო ფიზიკურად განვითარებული და ძლიერი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს, როგორც ხელიც არ უნდა ქონოდა, განსაკუთრებული პროტექციის გარეშე არ იღებდნენ. იმ ეპოქის საზოგადოება ინვალიდობის მქონე პირების უმეტესობას უყურებდა შემდეგი თვალით – „მათ დაიმსახურეს საკუთარი სიდუხჭირე“. სახელმწიფო კი მათ არ უქმნიდა არავითარ პირობებს და მხოლოდ „საქველმოქმედო ფონდებიდან“ უყოფდა ძალიან მცირე კონპენსაციებს. ამის გამო, ინვალიდობის მქონე ადამიანები სულ უფრო და უფრო დამოკიდებულები ხდებოდნენ მედიკოსებზე და ხშირ შემთხვევაში, მათი ცხოვრება გაუსაძლისიც იყო.

მე-19 საუკუნის ბოლოს სულ უფრო მეტი მეცნიერი, მწერალი და პოლიტიკოსი იზიარებდა დარვინის ევოლუციის თეორიას. „ევგენიკის“ ხსენებული მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ მათ შეეძლოთ „ადამიანის მოდგმის“ განვითარება და სრულქმნა სელექციური არჩევის ხარჯზე. ისინი მიიჩნევდნენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები (განსაკუთრებით ისინი, ვინც ასეთად იზადებოდნენ), ხელს უშლიდნენ ეროვნული გენოფონდის განვითარებას და არ აძლევდნენ საკუთარ ქვეყანას იმის საშუალებას, რომ კონკურენტუნარიანი ყოფილიყო.

ამის გამო, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სულ უფრო დიდი რაოდენობა ექვეოდა აბსოლუტურ იზოლაციაში – ისინი მიყავდათ სპეციალურ სტაციონარებში და იქ ათავსებდნენ. როგორც წესი, ასეთ დროს, ერთი სქესის პირები რჩებოდნენ ერთად, ანდა საერთოდ განიცდიდნენ სტერილიზაციას.

არსებობდა არა ერთი სპეციალური სკოლა და ინტერნატი, რაც არ აძლევდა ინვალიდობის მქონე პირს იმის საშუალებას, რომ ეცხოვრა და ესწავლა სხვა დანარჩენი საზოგადოების გვერდით.

„ევგენიკის“ მომხრენი მხარს უჭერდნენ მსგავს მიდგომებს და ამართლებდნენ კიდევც. მტკიცებულებად ცრუ-მეცნიერების დებულებები მოჰყავდათ, მაგრამ გარკვეულ წარამტებებს თავიანთ ანტიჰუმანურ საქმიანობაში მაინც მიაღწიეს.

მე-19 საუკუნის 90-იან წლებში ევგენიკების აქტიური მიმდევარი მერი დენდი თავის ნაშრომში, რომელიც სასკოლო ასაკის გონებასუსტ ბავშვებს ეხებოდა, ამტკიცებდა, რომ ფსიქიკურად აშლილად მიჩნეული ბავშვების საზოგადოებისგან დაუყოვნებლივი იზოლირება უნდა მომხდარიყო და მათ მთელი სიცოცხლე სპეციალურ დაწესებულებებში უნდა გაეტარებინათ. ამის ნიადაგზე, დიდ ბრიტანეთში შეიქმნა სამეფო კომისია, რომელიც კონტროლს უწევდა გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვების იზოლაციის საკითხს. იმ პერიოდის დიდ ბრიტანეთში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ფაქტიურად ხდებოდნენ „ევგენიკების“ ტუსალები.

მსგავსი თეორიები განსაკუთრებით აქტუალური გახდა მე-19—მე-20 საუკუნეების მიჯნაზე, ვინაიდან ისეთი დიდი სახელმწიფოები, როგორებიც იყვნენ ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი და ა.შ. მძლავრი იმპერიის შექმნაში კონკურენციას უწევდნენ ერთმანეთს. თვითდაჯერება იმაში, რომ სრულყოფილი მხოლოდ მათი რასა იყო, იმპერიის შექმნის საკითხში არსებითი გახლდათ. 1881 წელს, მილანის საერთაშორისო კონგრესზე, **ფესტების ენა კანონგარეშედ** მხოლოდ იმის გამო გამოაცხადეს, რომ შიშობდნენ, სმენის არ მქონე ხალხს საბოლოო ჯამში, ჩვეულებრივი ადამიანები არ შეევიწროვებინა.

XX საუკუნის დასაწყისი

გასული საუკუნის პირველ ნახევარში „ევგენიკის“ მიმდევრებმა მოიპოვეს არაერთი საქველმოქმედო ფონდის დახმარება. ამით ხელი გაეხსნათ, რომ სტერილიზებული ადამიანები, ფიზიკური განსხვავებულობის ადამიანებთან შეერიათ და ერთად მოეთავსებინათ დახურულ დაწესებულებებში.

ამერიკის 37 შტატში დაბადებიდან სმენის არ მქონე ქალები და ყველა ადამიანი, ვინც დაბალი I (ასე იწოდებოდა გონებრივი განვითარების კოეფიციენტი, რომელიც ტენდენციურად ჩატარებული ტესტირების შედეგად ისაზღვრებოდა) აჩვენა, ექვემდებარებოდნენ სტერილიზაციის სასტიკ განაჩენს. ეს ამაზრზენი წესი ამერიკის 17 შტატში 20-ე საუკუნის 80-იან წლებამდე არსებობდა.

დიდ ბრიტანეთში 1913 წლიდან, კანონი გონებრივი არასრულფასოვნების შესახებ, მკაცრად განსაზღვრავდა შრომისუუნარო პირების შემდეგ კატეგორიებს:

იდიოტი – არის გონებრივი შეზღუდულობის მქონე პირი, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ჩვეულებრივ ფიზიკურ საფრთხეს.

იმბეცილი – გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირი (განვითარებით იდიოტზე კიდევ უფრო დაბლა მდგომი), ვისაც არ შეუძლია საკუთარი თავის მოვლა და საქმის მართვა.

გონებასუსტები – გონებრივი ჩამორჩენის უკიდურესი ფორმის მქონე პირები (იმბეცილებზე დაბლა მდგომები), რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ყურადღებას და თვალყურს, მათივე, ან მათ გარშემო მყოფთა ინტერესების დასაცავად.

მენტალურად დეფექტიანები – გონებრივი ჩამორჩენის მქონე პირები, ვისაც გააჩნია ძლიერი პათოლოგიური გადახრა, ახასიათებს აგრესიულობა და მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისაკენ, ამიტომ საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ყურადღებას და მკაცრ კონტროლს მათივე გარშემო მყოფი ადამიანების უსაფრთხოებისათვის.

მე-20 საუკუნის პირველ ნახევარშივე 50 000 ბავშვი, ვისაც გააჩნდა ფიზიკური დარღვეულობა და განიცდიდა სირთულეებს ურთიერთობის დროს, იქნა აყვანილი და გამოკეტილი სპეციალურ დაწესებულებებში. მათმა მცირე ნაწილმა მხოლოდ 80-იან წლებში ნახა მზის შუქი.

ბავშვები, ვისაც გააჩნდა სერიოზული პრობლემები სწავლის სფეროში, ცნეს სწავლის უუნარობად, ხოლო უფრო რთული პრობლემების მქონე ბავშვები 1973 წლამდე იგზავნებოდნენ გონებასუსტების სპეციალურ სასწავლებლებში.

მესამე რაიხი

გერმანიაში, ჰიტლერის მესამე რაიხის დროს, შეიქმნა უამრავი პროპაგანდისტული ფილმი, რომლებიც ინვალიდობის მქონე პირებს „უსაქმურ მუქთახორებად“ წარმოაჩენდა. მაგრამ მხოლოდ ფილმები არ იყო ინვალიდობის მქონე პირთა წინააღმდეგ მიმართული იარაღი. ამ დროის გერმანიაში ინვალიდობა საერთოდ მოიაზრებოდა, როგორც სახელმწიფო დანაშაული და მათი უმეტესობა განიცდიდა სტერილიზაციას, ბევრს კი ფიზიკურად ანადგურებდნენ.

ისეთი სტილის მხატვრული ფილმები, როგორიც იყო „Ich klage“ (მე ვადანაშაულებ) (1941 წ. რეჟ. ვოლფგანგ ლიბენაინერი), თამაშობ-

დნენ გადამწყვეტ როლს კონცეფციაში – „მოკალი სიბრალულის გამო“. ამ ფილმმა 1941 წელს ვენეციის კინოფესტივალზე გაიმარჯვა, ხოლო უკვე 1945 წლისთვის იგი 13,5 მილიონ ადამიანს ქონდა ნანახი გერმანიის ტერიტორიაზე და მან დიდი გავლენა მოახდინა მათ აზროვნებაზე (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი ნაწილი არ იზიარებდა ამ ფილმის კონცეფციას და შიშის გამო შედიოდა კინოსეანსზე).

1839-40 წლებში 140 000 ფიზიკური და გონებრივი დარღვეულობის მქონე ადამიანი შეენირა გერმანელი ექიმების ექსპერიმენტებს. მსხვერპლი იქნებოდა გაცილებით დიდი, რომ არა ის ამბოხება გერმანიაში, რომელიც მიუნხენის არქიებისკოპოსის, ჰალენის თაოსნობით 1940 წელს მოეწყო. თუმცა, ამის შემდგომ, მთავრობა მსგავს ექსპერიმენტებს და სიკვდილიანობას მაინც ატარებდა, ოღონდ ახლა ეს გასაიდუმლოებულ ვითარებაში ხდებოდა. მაგ. ინვალიდობის მქონე ბავშვების მკვლელობა გრძელდებოდა 1945 წლამდე და სამწუხაროდ 100 000-ზე მეტი ბავშვი დაიღუპა ნაცისტის ექიმების ხელებით. ასეთი გამანადგურებელი პროგრამები იგეგმებოდა ბერილინში, თიერგარდენის №4, სადაც მდებარეობდა მათი ცენტრალური შენობა. ამიტომ ეს პროგრამები დღეს ცნობილია „T4-ის“ სახელწოდებით.

მოძრაობა ადამიანთა უფლებების დასაცავად XX საუკუნეში

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა 1890-იანი წლებიდან დაიწყეს აქტიური ბრძოლა სამართლიანობის, საკუთარი უფლებების, ინტერესებისა და ღირსების დაცვისათვის. გასული საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში პირველი მსოფლიო ომის ასობით ვეტერანმა, ვისაც არ გააჩნდა არანაირი უფლება დიდ ბრიტანეთში, გააჩაღა ფართომასშტაბიანი კამპანია დევიზით „უფლება სამუშაოსთვის!“ ეს მოძრაობა ტარდებოდა მხვედველობის არმქონეთა ეროვნული ლიგის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ეგიდით. ინვალიდობის სფეროში მათ შექმნეს პირველი არასამთავრობო გაერთიანებები დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე. ამან კი დიდი რესურსი შეუქმნათ, რათა საზოგადოების მხრიდან მომდინარე დისკრიმინაციის წინააღმდეგ ებრძოლათ. ისინი მართავდნენ მჯდომარე საპროტესტო აქციებს და მოითხოვდნენ ისეთი კანონების მიღებას, რაც საშუალებას მისცემდა სამსახური ეშოვნათ და დასაქმებულიყვნენ. შედეგად, მთავრობა იძულებული გახდა მიეღო 3%-იანი კვოტა, რის საფუძველზეც სხვა-

დასხვა სამსახურის ხელმძღვანელი პირები ვალდებულნი იყვნენ აღირცხვაში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაესაქმებინათ. 1996 წელს ეს კანონი შეიცვალა ახალი კანონით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც ბევრად უფრო სრულყოფილი და ეფექტური იყო.

1990-იან წლებში ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დამცველმა აქტივისტებმა ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოეს ფართო კამპანია ევთანაზიის (ბერძ. iuthanasia - ტკბილი უშფოთ-ველი სიკვდილი. უკურნებელი სენით დაავადებული და ტკივილებით განამებული ადამიანისათვის სიბარალულის მოტივით ისეთი საშუალების მიცემა, რომელიც არა მარტო აყურებს ტკივილის, არამედ ინვეს სიკვდილის) წინააღმდეგ ლოზუნგით „არა T4!“

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებათა დამცველი ორგანიზაციები საკმაოდ მოძლიერდნენ. მოძრაობის აქტივისტები იბრძვიან, რომ სეგრეგაციის ნებისმიერი გამოვლინება საბოლოოდ იქნეს აღკვეთილი, სულ უფრო მეტი მშობელი ერთვება კომპანიაში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებების დაცვა.

როგორც წესი, ორგანიზაციებს, რომლებიც იღწვიან, რათა საზოგადოებაში რადიკალურად შეიცვალოს დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, იშვიათად აწვენივნენ ისეთ ფილმებში, რომელსაც მრავალრიცხოვანი მნახველი ყავს. ნაკლებად შუქდება ეს მასმედიის მხრიდანაც, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებამ მათი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის.

XXI საუკუნე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები განაგრძობენ ბრძოლას, რათა მათ შესძლონ საზოგადო ტრანსპორტით სარგებლობა და შესვლა ისეთ შენობებში, სადაც განთავსებულია სკოლები, კოლეჯები, უნივერსიტეტები, ბიბლიოთეკები, კინოთეატრები, გალერეები, თეატრები და ა.შ. შეეძლოთ დამოუკიდებელი გადაადგილება, აგრეთვე ფიზიკური განსხვავებულობა არ უშლიდეთ ხელს დასაქმებაში. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოქალაქეთა უფლებების დამცველი კანონები, მაგ. კანონი ამერიკელი ინვალიდების შესახებ (1990 წ.) და

კანონი ინვალიდთა დისკრიმინაციის შესახებ (1995 წ.), ინვალიდობის მქონე პირები მაინც აწყდებიან ისეთ პრობლემებს, რასაც ჯერ კიდევ საუკუნეების წინ ქონდა ადგილი. საზოგადოებას ჯერ კიდევ ბევრი უკლია, რათა განთავისუფლდეს სტერეოტიპებისა და ნეგატიური აზრებისაგან.

ნებისმიერი ადამიანი ნებისმიერ დროს შეიძლება დაინვალიდდეს. ნებისმიერ ადამიანს უნდა ქონდეს გაცნობიერებული ეს და აფასებდეს სხვას, ვინც უფრო რთულ პირობებში შესძლო და იმაზე მეტს მიაღწია, ვიდრე თითქოსდა ჩვეულებრივი ადამიანი აღწევდა. მაგრამ კაცის ფსიქოლოგია ისეა მოწყობილი, რომ მისთვის სტერეოტიპების მიღება უფრო იოლია, ვიდრე ინვალიდობის მქონე ადამიანის ინდივიდუალობის აღიარება და მათი პრობლემების გაგება. ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია გაიზიაროს მათი ტკივილი და სიხარული, პატივი სცეს ინვალიდობის მქონე პირთა სამართლიან მოთხოვნებს, დაეხმაროს მათ უფლებათა დაცვის საკითხში, მაგრამ საზოგადოების მხრიდან სათანადო გამომხაურება ჯერ მაინც არ ჩანს. შესაძლოა ამითაც აიხსნება, თუ რატომ დაერქვა ინვალიდობის მქონე პირთა თანასწორობისათვის გაშლილ მოძრაობას „უკანასკნელი მოძრაობა მოქალაქეთა უფლებების აღდგენისათვის“.

ინვალიდობის მქონე ადამიანებს ყველაზე მეტად სურთ, რომ საზოგადოებამ ისინი სწორედ ისეთებად მიიღოს, როგორებიც სინამდვილეში არიან და რომ მათ უფლებებს კანონმდებლობა და საზოგადოებრივი აზრი იცავდეს.

ქველმოქმედება

იუდეისტური, ისლამური და ქრისტიანული ზნეობის ერთ-ერთ საფუძველს და მთავარ ასპექტს ოდითგანვე მოწყალება წარმოადგენდა. მას, როგორც წესი, მოიაზრებენ კეთილშობილურ თვისებად და ხშირ შემთხვევაში ეს მართალიცაა. თუმცა ურთიერთობამ, რომელიც მოწყალების საფუძველზე უყალიბდებოდა საზოგადოებას ინვალიდობის მქონე პირთა მიმართ, მიგვიყვანა იქამდე, რომ მის ზოგიერთ გამოვლინებას შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანები დამამცირებლად მიიჩნევენ. ეს განსაკუთრებით საგრძნობია სკოლაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს შორის.

იდეამ, რომლის მიხედვითაც ქველმოქმედება არის ერთადერთი

გზა, რისი მეშვეობითაც შეიძლება ინვალიდობის მქონე პირებმა იარსებონ, ჩამოაყალიბა უმცდარესი სტერეოტიპული ვექტორი და ამ მიდგომის მიხედვით, ინვალიდობის მქონე პირი ასოცირდება უმწეო და უუნარო ადამიანთან, რომელსაც მუდმივი მფარველეობა და მატერიალური დახმარება სჭირდება.

დღეს ინვალიდობის მქონე პირები მოითხოვენ უფლებებს და არა ნყალობას, თუმცა ზოგიერთი მათგანი მაინც იმედის თვალთ უყურებს ქველმოქმედებას და დამოკიდებული ხდება მათ სახსრებზე.

დღეს ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დაცვისთვის გაჩაღებული მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგია – „ჩვენ ვითხოვთ უფლებას და არა მონყალებას!“

მოძრაობა ინვალიდობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის



ინვალიდობის მქონე ადამიანს აქვს უფლება სრულფასოვან მონაწილეობას იღებდეს საზოგადოებაში მიმდინარე ყველა პროცესში. მათი თანაბარი უფლებების უზრუნველყოფა სოციალურმა სამსახურებმა უნდა შეძლონ.



რაიმე სახის ტრამვის ან დაავადების შემთხვევაში მიღებული ინვალიდობა, არ უნდა იქცეს ადამიანის უფლებების მიზეზად. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ინვალიდობა სამედიცინო პრობლემა კი არაა, სოციალური უსამართლობაა, რომელიც უფლებათა სასტიკი დარღვევის შედეგად ვითარდება. ამიტომ ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა პიროვნებისგან დამოუკიდებელი მიზეზით არავის უფლება არ შეიღახოს.

ინვალიდობა ნიშნავს შესაძლებლობის შეზღუდვას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სენსორული, კულტურული, საკანონმდებლო და სხვა ფაქტორების ხარჯზე, რაც არ აძლევს ინვალიდობის მქონე პირს საშუალებას, მოახდინოს სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში და იყოს ისეთივე უნარქმედითი, როგორც საზოგადოების ყველა სხვა დანარჩენი წევრი. ამიტომ საზოგადოება ვალდებულია გაანეიტრალოს ყველა არსებული დაბრკოლება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს არსებობისთვის ბოლომდე ადაპტირებული გარემო შეუქმნას.

„დამოუკიდებელი ცხოვრების“ გაგება კონცეფციულურ არსში აერთიანებს ორ მაკავშირებელ ვექტორს. ესენია: დამოუკიდებელი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური და ფილოსოფიური ვექტორები.

დამოუკიდებელი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური გაგება გულისხმობს – ადამიანი არის საზოგადოების განუყოფელი ნაწილი და აქვს უფლება იღებდეს აქტიურ მონაწილეობას მასში მიმდინარე ყველა სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესში. ქონდეს არჩევანის თავისუფლება და მისთვის ხელმისაწვდომი იყოს საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი და სხვა ნებისმიერი დანიშნულების შენობა, დაზღვევა, განათლება, საკომუნიკაციო საშუალებანი.

დამოუკიდებელი ცხოვრება – ეს ნიშნავს, გქონდეს საშუალება თვითონ შეაფასო, გააკეთო არჩევანი და მართო საკუთარი ცხოვრება.

დამოუკიდებელი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა არ უნდა იყოს დამოკიდებული ადამიანის ფიზიკურ ფუნქციონირებაზე და თუ მას სჭირდება ამ მხრივ რაიმე სახის მხარდაჭერა, ეს არ უნდა აისახოს მის ქმედითუნარიანობაზე და არ უნდა იმოქმედოს პიროვნების ნებაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში ადამიანის უფლება შეიღახება.

დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიური გაგება არის აზ-

როვნების დონე, იგივე ფსიქოლოგიური ორიენტაცია პიროვნებისა რომელიც დამოკიდებულია სხვა პიროვნებებთან ურთიერთობაზე ფიზიკურ შეზღუდულობზე, გარემო-პირობებზე და მხარდამჭერი სამსახურების განვითარების ხარისხზე. დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიური აღქმა შთააგონებს ინვალიდობის მქონე პირს, რათა მიზნად ზუსტად ის დაისახოს, რაც არა-ინვალიდობის შემთხვევაში იქნებოდა მისთვის სასურველი და იგრძნოს, რომ ნებისმიერ სიტუაციაში ყველას შანსი თანაბარია...

დამოუკიდებულობის კოეფიციენტი ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს, თითოეული ჩვენთაგანი დამოკიდებულია ერთმანეთზე. მაგალითად, ჩვენ დამოკიდებული ვართ მეპურეზე, რომელიც აცხობს პურს; მენაღეზე, რომელიც კერავს ფეხსაცმელს; ინჟინერზე, რომელიც გვანვდის ელექტროენერჯიას, აგრონომზე, რომელიც გვამარაგებს სურსათით და ასე შეიძლება არა ერთი საინტერესო და ჩვენთვის აუცილებელი სფერო დავასახელოთ, მაგრამ მსგავსი დამოკიდებულება არ აისახება ადამიანის თავისუფალი ცხოვრების კოეფიციენტზე, იგი უფრო სხვა, არსებითი მოთხოვნილების კოეფიციენტი. ეს არის ურთერთსაჭიროების დიდი ჯაჭვი, რომლის გამართვა თავად ქმნის საზოგადოების თავისუფლებას და გვეხმარება ცხოვრებაში.

თუ ჩვენ თავად არ შეგვიძლია ტანსაცმლის შეკერვა, მაშინ მივდივართ ატელიეში და ვაძლევთ შეკვეთას ან მაღაზიაში ვყიდულობთ მას. ასე ვიქცევით, როცა საკუთარი ძალებით არ ვაცხობთ პურს და არ შეგვიძლია სხვადასხვა სურსათის მოყვანა. ეს ნორმალურია. თავისუფალი ცხოვრების ფილოსოფიური გაგება ინვალიდობას განიხილავს იმის მიხედვით, თუ სად ექმნება ადამიანს პრობლემა — არ შეუძლია სიარული, არ აქვს განვითარებული მხედველობა ან სმენადობა, უჭირს ლაპარაკი.

ადამიანი ინვალიდობას იძენს იმ შემთხვევაში, თუ იგი არა-ადაპტირებულ გარემოში ცხოვრობს, თუ მას არ შეუძლია დამოუკიდებელი გადაადგილება და ცხოვრება, თუ მისი სურვილები ყოველდღიურად ანიჭებენ ტკივილს, რადგან გარესამყარო სავსეა დაბრკოლებებით და მათ არავინ ეხმარება ყოველივე ამის გადაჭრაში.

სინამდვილეში კი იგი საზოგადოების ისეთივე წევრია, როგორც ნებისმიერი სხვა. უბრალოდ განსხვავება იმაშია, რომ მას პურის და ტანსაცმლის მაღაზიებში სიარულის გარდა, სხვა სახის აუცილებლობაც აქვს, რისთვისაც უნდა შეიქმნას შესაბამისი პირობები. ყოველივე

ამას კონტროლს უნდა უწევდეს სოციალური სამსახურები, რომელიც სრულფასოვნად მოახდენს მისი ფიზიკური შეზღუდულობის კომპენსირებას და ინვალიდობის მქონე ადამიანს მისცემს საშუალებას ამ ტვირთისგან ყოველდღიურობაში მაინც განიკურნოს.

თუკი ჩვენ შევქმნით კარგად გამართულ ინფრასტრუქტურას, სადაც თავის ადგილი ექნებათ მსგავსი ტიპის სოციალურ სამსახურებს, მაშინ ინვალიდობის მქონე პირთა ქმედითუნარიანობა, მიუხედავად მათი შეზღუდული შესაძლებლობისა, გათანაბრებული იქნება საზოგადოების ყველა დანარჩენ წევრთან და ისინი შესძლებენ თვითონ მიიღონ თავისთვის სასურველი ნებისმიერი გადაწყვეტილება. ყოველივე ეს კი სიკეთეს მოუტანს არა მარტო მათ ან მათ ოჯახებს, თავად ქვეყანაც დარჩება მოგებული.

რა არის „დამოუკიდებელი ცხოვრება?“

დამოუკიდებელი ცხოვრება არსებობს მაშინ, როცა ადამიანს შეუძლია თვითონ აირჩიოს როგორი ცხოვრება სურს და მისი განხორციელებისთვის ყველა აუცილებელი შესაძლებლობა და საშუალება აქვს. თავისუფალი ცხოვრების დროს ინვალიდობის მქონე პირი არ იზღუდება ფიზიკური დარღვეულობის გამო, რადგან ადაპტირებული გარემო და საზოგადოებრივი აზრი აცილებს მას სიტყვა „ინვალიდობის“ ტვირთს და ათავისუფლებს სტერეოტიპებისგან. ამ ვითარებაში ინვალიდობის მქონე ადამიანს აქვს უფლება და საშუალება ნავიდეს იქ, სადაც უნდა; შეხვდეს მას, ვისაც სურს და მიიღოს ისეთი განათლება, როგორსაც თვითონ ჩათვლის საჭიროდ. ის შეზღუდულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საზოგადოების თითოეული წევრი და აქვს უფლება დაუშვას ისეთივე შეცდომა, როგორიც ნებისმიერ ადამიანს.

იმისათვის, რომ ინვალიდობის მქონე ადამიანმა მოიპოვოს თავისუფლება, ის ვალდებულია წინ აღუდგეს ყოველგვარ დაბრკოლებებს და არ შეუშინდეს მის სერიოზულობას. მსგავსი დაბრკოლებები შესაძლოა იყოს ხილული (არა-ადაპტირებული გარემოს და კანონმდებლობის სახით), ან ფარული (ადამიანების დამოკიდებულება). მათი გადალახვით ძალიან ბევრის მიღწევა შეიძლება, რადგან ინვალიდობის მქონე ადამიანს შეეძლება შესაძლებლობა – იცხოვროს სრულფასოვანი ცხოვრებით. ეს არის შანსი, რომლის კარგად

გამოყენების შემთხვევაში, ადამიანი საზოგადოების აქტიურ წევრად გახდომას და თვითრეალიზაციას შესძლებს.

დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფიის ფართო გაგება წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დაცვისთვის მთელი მსოფლიოს მასშტაბით წარმოებულ მოძრაობას. ეს არის საპროტესტო ტალღა, რომელიც მიმართულია ინვალიდობის მქონე პირთა წინაშე მოქმედი სეგრეგაციისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, აგრეთვე იგი ეძღვნება ადამიანების, და განსაკუთრებით, ინვალიდობის მქონე პირთა უფლებების დაცვას, რაც საშუალებას მისცემს ამ ხალხს იცხოვრონ საზოგადოებაში ყველა სხვა ადამიანის გვერდით და ერთად გაიზარონ მასში არსებული სიხარული და ვალდებულებანი.

თავისუფალი ცხოვრება, როგორც ფილოსოფია, მთელ მსოფლიოში განისაზღვრება იმ საფუძვლად, რომლის მიხედვითაც ადამიანს ეძლევა საშუალება თვითონვე აკონტროლოს საკუთარი ცხოვრება, ქონდეს თავისუფლების ხელშეუხებლობა და მისი დამოკიდებულების კოეფიციენტი დავიდეს ნულოვან ზღვრამდე. თავისუფლება, ეს არის ცნება, რომელიც ყველა ადამიანს ესმის თავისებურად, მაგრამ არსებობს მისი საფუძველი, რომელიც ნებისმიერი მოქალაქისთვის განუყოფელია. და ეს პირველ რიგში ნების, არჩევანის და შესაძლებლობის თავისუფლებაა.

დამოუკიდებელი ცხოვრების ფილოსოფია ცხადად გვიჩვენებს, თუ რამხელა სხვაობა არსებობს იმ სიტუაციის დროს, როცა ადამიანს უკანონოდ ართმევენ ცხოვრების ნებას და იმ სიტუაციას შორის, როცა მას უქმნიან არსებობისთვის ყველა პირობას და მისი ცხოვრება დაბრკოლებებისგან აბსოლუტურად თავისუფლდება.

თაქი 2

გაეზიადუნი ნაზანანათდუდო ნაჭირთუზი ნათნა მონსაჟდუაჟი და ნაზოგადოუაჟ

შეზლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები

შეზლუდული შესაძლებლობა (უნარი) – არსი და განსაზღვრება

არ არსებობს ერთი, კონკრეტული პასუხი კითხვაზე – „რა არის შეზლუდული შესაძლებლობა (უნარი)“. რთულია აბსოლიტური ქეშ-მარიტების დადგენა მაშინ, როდესაც საქმე ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შესაძლებლობის შესწავლას ეხება. ხშირად, სხვადასხვა მეცნიერების წარმომადგენლები, შეზლუდული შესაძლებლობის ტერმინის განსხვავებულ განმარტებებს გეთავაზობენ. ზოგიერთი მათგანი საერთო ნიშნით გაერთიანებულ პიროვნებათა ჯგუფის ნიშანთვისებების ანალიზს შეიცავს (შემეცნებითი უნარი, სტერეოტიპული ქცევა), სხვა კონცეფციებში კი, წინა პლანზე არის წამოწეული სოციალური საკითხები, რაც უფრო სოციალური ჯგუფების განსაზღვრას წარმოადგენს, ვიდრე ცალკეული პიროვნების თვისებების დახასიათებას.

არსებობს ასევე სხვადასხვა მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად უშლის შეზლუდული შესაძლებლობა პიროვნებას ყოველდღიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ სწორად ორგანიზებული საზოგადოების შემთხვევაში, ცალკეული პიროვნებების შეზლუდული შესაძლებლობა ნაკლებად გამომჟღავნდება. საკითხისადმი ასეთი მიდგომა შეიძლება პოლიტიკური და ეკონომიური კატეგორიებით აიხსნას. სხვა სპეციალისტების აზრით, შეზლუდული შესაძლებლობა არ წარმოადგენს არათანასწორი და არაერთგვაროვანი საზოგადოების შედეგს. „ერთიანობის“ მიღწევის აუცილებლობა აიძულებს ადამიანებს, შეზლუდონ საკუთარი შესაძლებლობა, რათა გვერდით მდგომთ

გაუტოლდნენ. სწორედ ეს ლოგიკა ამცირებს იმ დამატებითი სა-
განმანათლებლო მხარდაჭერის მნიშვნელობას, რაც აუცილებელია
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მაქსიმალური სტი-
მულირებისათვის.

საზოგადოების დამოკიდებულება

საზოგადოების დამოკიდებულება შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე ბავშვების მიმართ ნათლად ვლინდება იმ ტერმინებში, რო-
მელსაც იყენებს, როცა ე.წ. „იარლიყებს“ ანიჭებს. ეს ტერმინები
ხშირად ადრეული ასაკიდანვე გამოყოფენ და იზოლაციაში აქცევენ
მათ, „ვინც არ არის ყველას მსგავსი“. საზოგადოების განვითარებასა
და მენტალიტეტში მომხდარი ცვლილებების ფონზე, დღეისათვის
მიუღებელი ტერმინები „ხეიბარი“, „ინვალიდი“, შეიცვალა ახალი,
უფრო თანამედროვე, დემოკრატიული საზოგადოებისათვის და-
მახასიათებელი განსაზღვრებით – შეზღუდული შესაძლებლობის
მქონე ბავშვები. სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად ვხვდებით
განმარტებას „განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები“, რაც
თავისთავად ხაზს უსვავს მათი საჭიროებების სპეციფიურობას და
ასევე ერთგვარ იარლიყს წარმოადგენს. მთავარი ამ შემთხვევაში
არის დამოკიდებულება – არა ბავშვების, არამედ იმ საზოგადოების,
რომელთანაც ისინი კონტაქტში არიან. კანონები გვკარნახობენ
წესებს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ პოზიტიური განწყობის შექმნა-
ალიარებულია, რომ ყველაზე დიდი ბარიერი, რომლის გადალახვაც
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უწევთ, არის მშობლე-
ბის, პედაგოგების, სხვა ბავშვების დამოკიდებულება. ბავშვისათვის
აუცილებელია იმის შეგრძნება, რომ შეზღუდული შესაძლებლობის
საზღვრებში მას გააჩნია დამოუკიდებლობა.

არასწორია შეზღუდული შესაძლებლობის ავადმყოფობასთან
გაიგივება. შეზღუდვათა უმეტესობა მთელი სიცოცხლის მანძილზე
გრძელდება, თუმცა მისი უარყოფითი ეფექტის შემცირება შე-
საძლებელია, როდესაც პიროვნება სწავლობს, ადაპტირდება და
შესაძლებლობებსაც მაქსიმალურად განავითარებს.

საზოგადოებაში გავრცელებული ნეგატიური მიდგომები:

ადვილია იმის აღიარება, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საკითხისადმი დამოკიდებულებას, თუმცა ძნელია ამოიცნო საკუთარი ნეგატიური მიდგომა. სპეციალურ ლიტერატურაში მეისის მიერ (აშშ, 1978წ.) აღწერილია ექვსი, ყველაზე გავრცელებული ნეგატიური მიდგომა: შიში, სიმპატია, თავის არიდება, არაკეთილგანწყობა, გადამეტებული მზრუნველობა, ზერელე ტოლერანტობა. აღნიშნული მიდგომების გაცნობა დაგვეხმარება ჩვენი საკუთარი დამოკიდებულების ამოცნობასა და საჭიროების შემთხვევაში შეცვლაში.

შიში – ზოგიერთი ადამიანი თვლის, რომ შეზღუდულობა გადამდებია და ზიანს მიაყენებს. მათ მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობა დეპრესიის გამომწვევია, რამდენადაც ისინი უბედურები და დეპრესიულები არიან. ამ შემთხვევაში იოლი დასანახია რატომ არის შიში ნეგატიური მიდგომა.

სიმპატია – გაცილებით რთული შესამჩნევია რატომ არის სიმპატია ნეგატიური დამოკიდებულება. მაგრამ თუ ჩავუკვირდებით სიმპატიის გამომხატველ ფრაზებს, ყველაფერი ნათელი გახდება. ჩვეულებრივ გვემის: „ოჰ, სანყალი“, „ისე მეცოდება“. ასეთ შემთხვევაში სიმპატია მხოლოდ ამცირებს ადამიანის ღირსებას.

თავის არიდება – ზოგიერთი ადამიანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთან ურთიერთობით დისკომფორტს განიცდის, ცდილობს ასეთ სიტუაციებს მაქსიმალურად აარიდოს თავი, რაც თავისთავად, ორივე მხარისათვის მორალურ დანაკარგს წარმოადგენს.

არაკეთილგანწყობა – არასასურველი კონტაქტების თავიდან აცილების ერთ-ერთი შესაძლო რეაქციაა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები გრძნობენ მათდამი ასეთ განწყობას და თუ უფროსებში ეს არასასიამოვნო გრძნობას იწვევს, ბავშვებისათვის – გამანადგურებელია.

გადამეტებული მზრუნველობა – სიმპატიის მსგავსად, გადამეტებული მზრუნველობა, ერთი შეხედვით, შეიძლება პოზიტიურ დამოკიდებულებად ჩაითვალოს. ისმის კითხვა – ხომ უნდა დავიცვათ ბავშვი უსიამოვნებებისა და გაუცხოებისაგან? მაგრამ ბავშვი ვითარდება სირთულეების წარმატებით გადალახვისას. ყველა ბავშვს

უნდა მიეცეს საშუალება შესაძლებლობი მაქსიმალურად გამოავლინოს, რაც გარკვეული დაბრკოლებების გადალახვის გარეშე შეუძლებელია. ჩვენ შეიძლება ხელი შევეწყოთ მათ ამ პროცესში, მაგრამ მათ მაგივრად ვერ განვვითარდებით. გადამეტებული მზრუნველობის ქვეშ მოქცეული ბავშვები ხდებიან დაუცველი, დამოკიდებული მოზარდები და ვერ ახდენენ საკუთარი შესაძლებლობის რეალიზებას.


ზერელე ტოლერანტობა – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების ყველაზე გავრცელებული ფორმაა. მათ, ვისაც ასეთი მიდგომა გააჩნიათ, ახასიათებთ საკითხისადმი ზედაპირული მიდგომა. ისინი მხოლოდ სიტყვიერი, ფინანსური დახმარებით შემოიფარგლებიან და თავს არიდებენ პირდაპირ, ღია კონტაქტებს მათთან, ვისაც უნარშეზღუდულებს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი ყველაზე ნაკლებად გულწრფელი დამოკიდებულებაა. ისინი თავს ვალმოხდილად გრძნობენ და ამით კიდევ უფრო აღრმავებენ იმ ზღვარს, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის არსებობს.

პოზიტიური მიდგომა – თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს ვაღიარებთ ისეთებად, როგორც ისინი არიან და მხოლოდ ამით შემოვიფარგლებით, ეს მათ მხოლოდ ზიანს მოუტანს. ამის ნაცვლად უნდა ვიყოთ „აქტიური მოდიფიკატორები“, ანუ ოპტიმისტურად განწყობილნი ბავშვის შემდგომი განვითარების მიმართ და ხელს ვუწყობდეთ ამ პროცესს შემდეგი პრინციპების გათვალისწინებით:

- ყველა ცოცხალი არსება განიცდის განვითარებას;
- პიროვნება, რომელსაც მე ვასწავლი, ვითარდება;
- მე შემიძლია პიროვნების განვითარებას ხელი შევეწყო;
- მე თავად ვარ პიროვნება, რომელსაც შეუძლია და უნდა განვითარდეს;
- საზოგადოება და საზოგადოებრივი აზრი არის განვითარებადი და უნდა ვითარდებოდეს.

სპეციალური განათლება

სპეციალური განათლება არის განსაკუთრებული სახის სწავლება, რომელსაც სასწავლო დანესებულებები ახორციელებენ შეზღუ-



ლუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განსაკუთრებული (ინდივიდუალური) მოთხოვნების შესაბამისად.

სპეციალური განათლება ხორციელდება როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე სპეციალური განათლების კლასებში და ეფუძნება კონცეფციას ნაკლებად შეზღუდული გარემოს შესახებ; ეს კი, თავის მხრივ, წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებას, შესაბამისი ხელშეწყობით მიიღონ განათლება და განვითარდნენ მათი თანატოლებისათვის ჩვეულ გარემოში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაკლებად შეზღუდულად მიიჩნევა ის გარემო, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ეძლევა პოტენციალის მაქსიმალური განვითარებისა და სოციალიზაციის საშუალება.

ნაკლებად შეზღუდული გარემოს იდეის განხორციელება ანუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვა ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში, განათლების სისტემაში ინტეგრირების გზით ხდება. ინტეგრირება ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ჩართვას მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ ოდენობით, რამდენადაც ისინი მინიმალური დახმარებით აკმაყოფილებენ ტრადიციულ აკადემიურ მოთხოვნებს. ის, თუ რამდენად

იქნება ჩართული ბავშვი სასწავლო პროცესში, დამოკიდებულია თავად ბავშვის მოთხოვნილებების გათვალისწინებით შერჩეულ სპეციალური განათლების სახეობაზე, რაოდენობასა და ინტენსივობაზე. არსებობს მოსაზრება, რომ საუკეთესო გარემოს სპეციალური განათლებისათვის, სპეციალური კლასები წარმოადგენს.

ინკლუზია

ინკლუზია წარმოადგენს რწმენას, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განათლებას უნდა იღებდნენ თანატოლებთან ერთად, განურჩევლად იმისა, აკმაყოფილებენ თუ არა სასწავლო პროგრამების (კურიკულუმის) ტრადიციულ სტანდარტებს. ინკლუზიის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვების ხშირი გამოყვანა საკლასო ოთახიდან მათთვის დახმარების გასანევად, არა მარტო წყვეტს განათლების პროცესს, არამედ ამახვილებს ყურადღებას მათ შეზღუდულობაზე და კიდევ უფრო



აძლიერებს დამოკიდებულების გრძნობას. სწორედ ამის, გამო ბევრი მკვლევარი თვლის, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საუკეთესო ფორმას, სრული ინკლუზია წარმოადგენს.

რატომ იწვევს ინკლუზია აზრთა სხვადასხვაობას?

მიუხედავად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებისა, საზოგადოებრივი აზრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების შესახებ დღემდე არაერთგვაროვანია: ზოგს მიაჩნია, რომ შეზღუდული უნარის მიუხედავად, ყველა ბავშვი, მთელი დროის განმავლობაში, ერთ სასწავლო გარემოში უნდა იყოს, ხოლო სხვათა აზრით ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში მხოლოდ ის ბავშვები უნდა მოთავსდნენ, რომლებიც სავალდებულო სტანდარტებს აკმაყოფილებენ.

ინკლუზიის დამცველთა არგუმენტები:

1. ყველა მოსწავლეს აქვს განათლების მიღების უფლება ერთ სასწავლო სივრცეში, თანატოლებთან ერთად, რაც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაშია შესაძლებელი.
2. ინკლუზიურ განათლებას სარგებლობა მოაქვს ყველა ბავშვისათვის: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები, მათი შესაძლებლობის გათვალისწინებით, აკადემიურ განათლებასთან ერთად, სხვა მოსწავლეების ქცევაზე დაკვირვებით იძენენ სოციალურ ჩვევებს, რაც მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოებაში მათი სრულყოფილი ინტეგრირებისათვის. ინკლუზია ეხმარება ჩვეულებრივი განვითარების მოსწავლეებსაც: ისინი სწავლობენ, რომ შეზღუდული შესაძლებლობა მხოლოდ განსხვავებულობის ერთ-ერთ სახეობაა და სხვადასხვა შესაძლებლობის მიუხედავად, მათ შეუძლიათ ერთად სწავლა და მეგობრობა.
3. როდესაც მოსწავლეები ხშირად ტოვებენ ზოგადსაგანმანათლებლო კლასს სპეციალურ კლასებში დასასწრებად, თანაკლასელებში მათ ხშირად უჩნდებათ შეზღუდულობასთან დაკავშირებული ზედმეტსახელები (ლეიბლები). გას-

- ვლითი პროგრამები ასევე იწვევს ფრაგმენტაციას. მოსწავლეებს უჭირთ სპეციალური განათლების კლასში მიღებული ინფორმაციის შერწყმა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მიღებულ ინფორმაციასთან.
4. ხშირ შემთხვევაში სპეციალურ კლასებში გამოყენებული მიდგომები არ განსხვავდება ზოგადი განათლების კლასში გამოყენებული მიდგომებისაგან.

მათი არგუმენტები, ვინც მიიჩნევს რომ ინკლუზია შესაძლებელია მხოლოდ გარკვეულ პირობებში:

1. იმის აღიარება, რომ ყველა მოსწავლე უნდა მოთავსდეს ზოგადსაგანმანათლებლო კლასში, ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის განსაკუთრებულ თავისებურებათა უარყოფას. ყველა მოსწავლეზე თანაბარი ზრუნვა ასევე ართმევს მას უფლებას მიიღოს ინდივიდუალიზირებული განათლება.
2. ხშირ შემთხვევებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები (უმეტესად ეხება ქცევისა და სწავლის უნარ-შეზღუდვის მქონეთ) სპეციალური განათლების კლასებში ინდივიდუალური მიდგომის საშუალებით იძენენ მეტ ცოდნასა და უნარ – ჩვევას, ვიდრე ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში.
3. ხშირ შემთხვევაში ზოგადსაგანმანათლებლო კლასში შეუძლებელია ამა თუ იმ კონკრეტული უნარშეზღუდვის მქონე ბავშვისათვის საჭირო დახმარების განხორციელება მის შეზღუდვაზე საგანგებო ყურადღების მიქცევის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება პრინციპს ნაკლებად შეზღუდული გარემოს შესახებ.
4. ხშირად ზოგადსაგანმანათლებლო კლასების პედაგოგები არასაკმარისად იცნობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების თავისებურებებს. მრავალრიცხოვანი კლასების პირობებში, ისინი ცდილობენ მაღალი საერთო აკადემიური დონის შენარჩუნებას და ხშირად ანგარიშს ვერ უწევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაძლებლობებს.

5. წარმატებული ინკლუზია შეუძლებელია მოსწავლეებისა და პედაგოგებისათვის დამხმარე მომსახურების გარეშე, რაც ითვალისწინებს დამხმარე მეთოდურ მასალებს, ტრენინგებს, სხვადასხვა პროფესიონალების დახმარებას. ასეთი მომსახურება კი მწირი ფინანსური პირობების შემთხვევაში ვერ განხორციელდება.


ინკლუზია და პედაგოგები

ინკლუზიური განათლებისადმი დამოკიდებულება განსხვავებულია განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალებს შორისაც. ზოგადი განათლების პედაგოგთა და პედაგოგიკის სფეროში მომუშავე სხვა სპეციალისტ-დეფექტოლოგების გარკვეული ნაწილის მიერ გამოთქმული ნეგატიური დამოკიდებულება ძირითადად აიხსნება განათლების სისტემის იმ მოძველებული სტერეოტიპებით, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების ერთადერთ საშუალებად სპეციალურ სასწავლებლებს აღიარებდა.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის ის პედაგოგები, რომელთაც გარკვეული ცოდნა და გამოცდილება გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების საკითხებში, მიიჩნევენ, რომ ინკლუზიის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია მათ აქტივობასა და ქმედებებზე ანუ იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ ისინი მოემზადონ თავად და მოამზადონ კლასი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მისაღებად; რამდენად შეძლებენ ისინი უზრუნველყონ კლასში სასწავლო დონის შენარჩუნება და ამასთანავე, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვისათვის მაქსიმალური დახმარების განევა. ამასთან დაკავშირებით პედაგოგთა უმეტესობა ხაზგასმით აღნიშნავს სხვადასხვა სპეციალისტის მიერ პროფესიონალური დახმარების აუცილებლობას.

ინკლუზია და სასწავლო დაწესებულებების ადმინისტრაცია

სასწავლო დაწესებულებებში ინკლუზიის წარმატებული განხორციელებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დაწესებულების ადმი-



ნისტრაციის დამოკიდებულება. ინკლუზიური განათლებისადმი გარკვეულ შიშს ხშირ შემთხვევაში დირექტორები ხსნიან იმ ფაქტორით, რომ არ გააჩნიათ შესაბამისი ინფრასტრუქტურა, რომ ზოგადი განათლების პედაგოგებს არ გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის გამცდილება, ამიტომ ინკლუზიაზე ლაპარაკი ნაადრევია. ასეთი დამოკიდებულება, რა თქმა უნდა აფერხებს ინკლუზიური პრაქტიკის დანერგვას.

იმ დაწესებულებაში, სადაც ადმინისტრაცია აღიარებს ინკლუზიური განათლების უპირატესობას და გამოთქვამს მზაობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მისაღებად, შესაძლებელი ხდება პედაგოგიური კოლექტივის ინიციატივობის ამაღლება და ინკლუზიის თანმიმდევრული დანერგვა.

სკოლაში ინკლუზიური სწავლების და მომსახურების ფორმები

მომსახურებანი, რასაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები იღებენ, მრავალნაირია და განისაზღვრება სპეციალისტთა გუნდის მიერ ცალკეული მოსწავლის შესაძლებლობიდან გამომდინარე.

მომსახურება ორ კატეგორიად არის დაჯგუფებული:

სპეციალური განათლება — ადაპტირებული მასალა, ალტერნატიული სასწავლო პროგრამები, სპეციალური განათლების პედაგოგი, რომელიც კვალიფიცირებულია ცალკეული შეზღუდულობის მქონე მოსწავლეთა სწავლებაზე და ინდივიდუალიზირებული სწავლება.

დაკავშირებული მომსახურება – ყველა ის დახმარება, რაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს შეიძლება დასჭირდეს სპეციალური განათლების შედეგების მისაღწევად: მეტყველების თერაპია, სარეაბილიტაციო ჩვევების გამომუშავება, ფსიქოლოგის მომსახურება და სოციალური მუშაობა.

სპეციალური განათლების სფეროში მომუშავე პროფესიონალთა გუნდი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები განსაკუთრებული საჭიროების მქონე ინდივიდებს წარმოადგენენ, რომელთაც სხვადასხვა სპეციალისტის მიერ განხორციელებული ფართო სპექტრის მომსახურება ესაჭიროებათ. ინკლუზიური სკოლებისათვის დამახასიათებელია პროფესიონალთა გუნდური მუშაობის პრინციპი, როდესაც თანმიმდევრულად ხდება მიზნების დასახვა და მათი განხორციელება.

ზოგადი განათლების მასწავლებელი – ინკლუზიური განათლების პროფესიონალთა გუნდის უმნიშვნელოვანესი წევრია, რომელიც სრულყოფილად ფლობს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის ყოველდღიური საჭიროებების შესახებ და გადასცემს ინფორმაციას სხვა პროფესიონალებს. ზოგადი განათლების მასწავლებელი ეხმარება სპეციალური განათლების მასწავლებლებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის შესაძლებლობის, საჭიროებებისა და სასწავლო პროგრამის კომპონენტების დადგენაში.

სპეციალური განათლების მასწავლებელი – განათლების სფეროს პროფესიონალები, რომელთაც სწავლების დროს ხანგრძლივი კონტაქტი აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან; შესაბამისად, პასუხს აგებენ მათთვის ინდივიდუალიზირებული სასწავლო გეგმის შედგენაზე, სასწავლო პროცესის წარმართვასა და სპეციალური მომსახურების განევაზე.

ფსიქოლოგი – ვვალებათ მოსწავლეთა შესაძლებლობის ექსპერტიზა, შესაბამისად, აკისრიათ დიდი პასუხისმგებლობა მოსწავლის შემეცნებითი, აკადემიური, სოციალური, ემოციური და ქცევითი ფუნქციონირების დადგენაში. ინკლუზიური განათლების გუნდს ისინი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის რეალური შესაძლებლობისა და საჭიროებების შესახებ წერილობით ანგარიშს აწვდიან. ფსიქოლოგის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ ქცევით პრობლემებზე მიმართული სტრატეგიის შემუშავება. ხშირად ფსიქოლოგები ქცევითი კონსულტანტის ფუნქციას ასრულებენ. ისინი ეხმარებიან პედაგოგებს მთელ კლასთან ან მოსწავლეთა ჯგუფთან სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მუშაობაში.

მეტყველების – ენის თერაპევტი (ლოგოპედი) – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დიდ ნაწილს კომუნიკაციის პრობლემა ახასიათებს. ზოგიერთს მხოლოდ მცირე პრობლემა აქვს და სიტყვებს მკაფიოდ ვერ წარმოთქვამს, ზოგიერთს კი ძალიან შეზღუდული ლექსიკონი გააჩნია და კომუნიკაცია უჭირს. მეტყველების – ენის თერაპევტები არიან ის პროფესიონალები, რომელთა სპეციალიზაცია მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარ-ჩვევებზე მუშაობაა. დაწყებით დონეზე ისინი მუშაობენ მთელ კლასთან ან ცალკეულ მოსწავლეებთან მეტყველების განვითარებაზე, შუალედურ დონეზე სიტყვათა მარაგის შევსებაზე, ხოლო ინდივიდუალურად იმ მოსწავლეებთან, რომელთაც ზომიერი შემეცნებითი შეზღუდვები გააჩნიათ.

სოციალური მუშაკი – ეხმარება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სოციალურ და ემოციურ საკითხებზე მუშაობის დაწყებაში. ისინი, როგორც კონსულტანტები ემსახურებიან პედაგოგებს და ინდივიდუალურ მომსახურებას უწევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს. ამდენად, სოციალური მუშაკები სკოლასა და ოჯახს შორის დამაკავშირებელ რგოლსაც წარმოად-

გენენ. მათ შეუძლიათ მშობლების გამოკითხვით ჩამოაყალიბონ ოჯახის ისტორია, რაც ზოგჯერ გადამწყვეტია იმის დასადგენად, თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება არის საჭირო მოსწავლისათვის.

ოკუპაციური და ფიზიკური თერაპევტები – აფასებენ მოსწავლეების ფიზიკურ მდგომარეობას, საჭიროებებს და ხელს უწყობენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დამოუკიდებელი არსებობის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. (ჩაცმისა და ჭამის ჩვევების გამომუშავება, მარტივი მოტორული ჩვევების აღდგენა). ისინი ასევე მუშაობენ პედაგოგებთან, რათა მოტორული ჩვევების სწავლება კლასის ყველდღიურ საქმიანობაში ჩართონ.

ძიძები, ექთნები – უზრუნველყოფენ კავშირს მოსწავლის სამედიცინო და სასწავლო საჭიროებებს შორის. ისინი ადგენენ მოსწავლეთა სამედიცინო ისტორიას, ამონმბენ მათ მხედველობით და სმენით შესაძლებლობებს, აწვდიან გუნდის სხვა წევრებს ინფორმაციას მოსწავლის სპეციფიური სამედიცინო პრობლემის და იმ შედეგის შესახებ, რაც მოყვება მკურნალობას. ექთნები ასევე ეხმარებიან სხვა პროფესიონალებს დაადგინონ, აქვს თუ არა მოსწავლის სასწავლო ან ქცევით პრობლემას სამედიცინო საფუძველი.

ადმინისტრატორები – სასწავლო დაწესებულებების დირექტორები, ადმინისტრაცია – აქტიურ მონაწილეობას იღებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა მომსახურების საქმეში. ისინი შეიმუშავენ სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებით სკოლის პოლიტიკის პერსპექტივას.

ინკლუზიურ და სპეციალურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტთა გუნდური მუშაობის პრინციპი

ახალი მიზნების დასახვა და მით უმეტეს, მათი განხორციელება შეუძლებელია თანამოაზრეთა გუნდის შექმნის გარეშე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ გუნდის ყველა წევრი ერთნაირად უნდა ფლობდეს საგანს, ან იმყოფებოდეს ერთი დონის სამსახურებრივ საფეხურზე. გუნდის შექმნის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს მისი წევრების ერთიანი სწრაფვა – მიაღწიონ შედეგს, რათა განახორციელონ დაკისრებული საქმე. გუნდურ მუშაობაში აუცილებელია ყველა სახის სპეციალისტის და მშობლების ჩართვა.

ინკლუზიური განათლება და მშობლები

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მშობლებთან ურთიერთობას. სწორედ მათ შეუძლიათ სპეციალისტებს მიანოდონ მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაცია თავიანთი შვილების შესაძლებლობისა და საჭიროებების შესახებ. მეორეს მხრივ, მშობლებს, ყოველდღიური დავალებების შესრულებაში მონაწილეობით, საშუალება აქვთ განამტკიცონ სასწავლო დანესებულებაში მიღებული ახალი ცოდნა და უნარ-ჩვევა.

გარკვეული განსხვავება ინკლუზიური განათლების მიმართ თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა შორისაც შეიმჩნევა. მათი უმეტესი ნაწილი დადებითად აფასებს ინკლუზიურ განათლებას და სოციალური ინტეგრაციის იმ შესაძლებლობებს, რასაც სწავლების ეს ფორმა იძლევა. მშობელთა გარკვეულ ნაწილს კი (უმეტესად მძიმე შეზუდულობის მქონე ბავშვების მშობლებს) მიაჩნია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მათი შვილების ჩართვა კიდევ უფრო გააღრმავებს მათ იზოლაციას, ისინი არა მარტო ვერ აითვისებენ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, არამედ თანატოლების მხრიდან უარყოფითი ემოციების გამოხატვაც მათზე უარყოფითად იმოქმედებს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული ყველა პროფესიონალი ერთხმად აღიარებს, რომ ინკლუზია შეუძლებელია განხორციელდეს მშობელთა მაქსიმალური მონაწილეობისა და აქტიურობის გარეშე.

მშობლებთან თანამშრომლობა

სკოლასა და მშობლებს შორის კარგი ურთიერთობა წარმატებული სწავლისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას, უაღრესად მნიშვნელოვანია თანამშრომლობის მაღალი დონის დამკვიდრება და ერთობლივი მუშაობა. მშობლებმა ინფორმაცია უნდა მიიღონ სკოლის მიზნებისა და გეგმების შესახებ და სკოლას საჭირო ინფორმაცია ბავშვის შესახებ თავადაც უნდა მიანოდონ. ადვილი შესაძლებელია, გაუგებრობები წარმოიშვას და მშობლებმა და სკოლამ ბავშვის ამა თუ იმ ქცევისა ან პრობლემების მიზეზი ერთმანეთში ეძიონ. მსგავსი გაუგებრობები შეიძლება გახდეს:

1. ერთმანეთის როლებისა და მიზნების შესახებ ნაკლები ცოდნა;
 2. იმ ზენოლის არასაკმარისად დაფასება, რა პირობებშიც ადამიანს მუშაობა უხდება;
 3. იმ ფაქტის ნაკლებად გაცნობიერება, რომ ესა თუ ის საქციელი შეიძლება დამახასიათებელი იყოს მხოლოდ კონკრეტული სიტუაციისათვის. მაგალითად, შეიძლება მხოლოდ სკოლაში და არა სახლში ხდებოდეს ან პირიქით.
- (Charlton&David 1997)

მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია, რომ მშობლები და მასწავლებლები არა მარტო მაშინ შეხვდნენ ერთმანეთს, როცა რაღაც „ცუდი ხდება“ ან მორიგი პრობლემა იჩენს თავს. გაცილებით იოლია, ერთმანეთის სამუშაოს მიმართ პატივისცემით გამსჭვალული, პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბება და სასიამოვნო გარემოში რეგულარული შეხვედრა. ბავშვის განათლებაზე პასუხისმგებლობების გადანაწილება და პატივისცემის მაღალი დონე თანამშრომლობისათვის კარგ საფუძველს ქმნის. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ მასწავლებლები „ექსპერტებად“ არ წარადგინოს, რადგან შეიძლება წარმოიშვას აზრი, რომ მშობლების წვლილი ნაკლებად ღირებულია და მათ უფრო პასიური როლი უნდა შეასრულონ. ბევრად უკეთესია დიალოგის გზით, ბავშვის სირთულეებზე მსჯელობა, რაც მასწავლებლებს მისცემს საშუალებას, გამოიყენონ ცოდნა, კომპეტენცია და გაუზიარონ მშობლებს თავისი აზრი. ასევე მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ მშობლებსაც შეიძლება მუშაობის დიდ ცოდნა და გამოცდილება აქვთ და ეს ინფორმაცია ასევე გამოსადეგია სკოლისათვის.

ჩაბმის მოდელი

არსებობს მშობლისა და მასწავლებლის ჩაბმულობის ოთხსაფეხურიანი მოდელი:

1. საწყისი ეტაპი;
2. ინფორმაციის გაზიარების ეტაპი;
3. ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფის ეტაპი;
4. პასუხისმგებლობების განაწილების ეტაპი.



თუ სკოლას მშობლებთან აქტიური პარტნიორობა სურს, საჭიროა, ეს თავიდანვე ნათლად ვუთხრათ მშობლებს. მათ უნდა იგრძნონ, რომ სკოლისათვის სასურველია მათთან ურთიერთობა და ეს საფუძველს ჩაუყრის მომავალ მუშაობას.

საწყისი ეტაპი

საწყის ეტაპზე, როგორც წესი, გარკვეული არ არის როგორ განვითარდება ურთიერთობები და შესრულდება ვალდებულებები. მშობლებსაც და მასწავლებლებსაც განსხვავებული მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეთ და ადრინდელი ურთიერთობების დადებითი თუ უარყოფითი გამოცდილებაც. ამიტომ, მნიშვნელოვანია, ამ ეტაპზე დრო დაეთმოს მონაწილე მხარეების ფუნქციების განსაზღვრას და საშუალება მიეცეს ყველა ჩართულ პირს გამოთქვას აზრი, თუ როგორ წარმოუდგენიათ სასურველი ურთიერთობა. სკოლამ მშობლები და მასწავლებლები იმგვარად უნდა წარუდგინოს ერთმანეთს, რომ მათ თავი კომფორტულად იგრძნონ, გაჩნდეს ურთიერთგაგება და პატივისცემა მოსწავლესა და ერთმანეთის მიზნებისადმი. თუ შესაძლებელი იქნება, მშობლები შეიძლება მიწვეულ იქნან სკოლის სხვადასხვა აქტივობებში მონაწილეობის მისაღებად, რათა თავიან-

თი ბავშვის დღის წესრიგის შესახებ უფრო ნათელი წარმოდგენა შეექმნათ. ამ გზით მშობლებს ასევე ექნებათ შესაძლებლობა, შეკითხვები ნაკლებად ფორმალურ ვითარებაში დასვან. შეზღუდული შესაძლებლობის, სწავლაში დარღვევების ან ქცევითი პრობლემების მქონე ბავშვებთან მუშაობისას ადვილია, ბავშვების სირთულეებში სხვისი დადანაშაულება. ამიტომ, მასწავლებლებმაც და მშობლებმაც ბავშვისათვის კარგი სასწავლო გარემოს შექმნისათვის ერთმანეთის მცდელობა უნდა დააფასონ.

ინფორმაციის გაზიარების ეტაპი

ამ ეტაპზე ყურადღების ცენტრშია უშუალოდ ბავშვის განვითარება, საჭიროებები და ინტერესები და ძირითადად, ხდება ინფორმაციის გაზიარება. მაგალითად, მშობლებს შეუძლიათ, სკოლას მიაწოდონ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ კურიკულუმის რომელი პუნქტების მიმართ გამოიჩინა ბავშვმა განსაკუთრებული ინტერესი ან პირიქით, სკოლის რომელი აქტივობის მიმართ გაუჩნდა ბავშვს უარყოფითი რეაქცია.

მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ მშობლების ინფორმირება მაშინაც მნიშვნელოვანია, როცა ყველაფერი კარგად არის! არსებობს ტენდენცია, რომ მშობლების ინფორმირება მხოლოდ მაშინაა საჭირო, როცა პრობლემა იჩენს თავს, მაგრამ კომუნიკაციის კარგი მოდელის შესაქმნელად, აუცილებელია მშობლების ინფორმირება ასევე პოზიტიური ფაქტების მოვლინების შესახებ. ინფორმაციის მიწოდების ინტენსიურობა დამოკიდებულია გარემოებაზე და შეიძლება ადგილი ჰქონდეს კვირაში ერთხელ, თვეში ერთხელ. ზოგ შემთხვევებში კი პროგრესის შესახებ ინფორმირება შეიძლება, ყოველდღეც იყოს საჭირო. უნდა მოიძებნოს ინფორმაციის გაზიარების ისეთი ფორმა, რომელიც პროგნოზირებადი და მოსახერხებელი იქნებ ყველა ჩართული მხარისათვის.

ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფის ეტაპი

ეს ეტაპი დგება ბუნებრივად წინა ეტაპის შემდეგ. ამ ეტაპზე ინფორმაცია ადექვატური ღონისძიებების დაგეგმვისა და დანერგვის მიზნით უნდა გამოიყენონ.

ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფის ეტაპი შეიძლება განხორციელდეს:

- მთელი კლასისთვის.
- თითოეული ბავშვისათვის.

ერთობლივი ძალებით უზრუნველყოფის ეტაპი თითოეული ბავშვისათვის უამრავი გზით შეიძლება განხორციელდეს. ამ სამუშაოს შედეგიანობა დოკუმენტირებულია. ეს ეტაპი მშობლებსა და მასწავლებლებს ერთად მუშაობისა და ერთმანეთის როლების გაცნობიერებისა და დაფასების შესაძლებლობას აძლევს.

პასუხისმგებლობების განაწილების ეტაპი

წინა სამი ეტაპის მიზანი იყო ურთიერთპატივისცემასა და ნდობაზე დამყარებული სამუშაო ურთიერთობების განვითარება. მეოთხე ეტაპზე, შესაძლებელია ადრეულ ეტაპებზე მიღწეული შედეგები გამოვიყენოთ და ამ მიღწევებზე დაყრდნობით, თანამშრომლობა უფრო გავაუმჯობესოთ.

ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია მშობელ-მასწავლებლის ყოველგვარი ურთიერთობების დროს. განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, როცა ყოფაცქევის პრობლემებთან გვაქვს საქმე. ასეთ შემთხვევაში, როგორც მასწავლებლების ასევე მშობლების წვლილზე, ბევრია დამოკიდებული.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის განათლების სისტემა სულ უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ინკლუზიური განათლების დანერგვას. პროცესის მიმდინარეობა ცხადყოფს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს წარმატებული ინკლუზიისათვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ადრეულ სოციალიზაციასა და ინტეგრირებას იმ გარემოში, სადაც მათი თანატოლები სწავლობენ და ვითარდებიან. ეს კი, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში უნდა ხდებოდეს.

სკოლამდელი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ჩვეულებრივი განვითარების ბავშვების საგანმანათლებლო ამოცანები უმეტესად მიმართულია მეტყველების, შემეცნებითი, სო-

ციალური და მოტორული ჩვევების განვითარებასა და ქცევის ადაპტაციაზე. განვითარების ეს უნარ-ჩვევები შემდგომი სასკოლო განათლების საფუძველს წარმოადგენს, სადაც ძირითადი ყურადღება ფოკუსირებულია ისეთ აკადემიურ განათლებაზე, როგორცაა მათემატიკის და კითხვის, ბუნებისმეტყველებისა და სხვა მეცნიერების სწავლება.

სკოლამდელ დაწესებულებებში ინკლუზია განსხვავდება სასკოლო ინკლუზიისაგან. ამ ეტაპზე ინკლუზიურ განათლებას განსაკუთრებულობას გარკვეული კომპონენტები ანიჭებენ: 1. სკოლამდელი ასაკის ბავშვების განვითარების თავისებურებები და ადრეული სასწავლო პრაქტიკა; 2. ორგანიზაციული სტრუქტურები; 3. პედაგოგების მომზადება.

სკოლამდელი ბავშვების განვითარება, სწავლების ამოცანები და სასწავლო პრაქტიკა

სკოლამდელი ასაკის ბავშვების სასწავლო პრაქტიკა ასევე განსხვავდება უფროსი ასაკის ბავშვების განვითარებისაგან. შეზღუდული შესაძლებლობის და ჩვეულებრივი განვითარების ბავშვების ინიცირებაზე მიმართული სტრატეგიები უზრუნველყოფენ მათ ურთიერთობებს ერთმანეთთან და გარემოსთან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს (განსაკუთრებით ეს ეხება საშუალო და მძიმე უნარშეზღუდვის მქონე ბავშვებს) გაცილებით ნაკლები ურთიერთობა აქვთ თანატოლებთან, ვიდრე ჩვეულებრივი განვითარების მქონე ბავშვებს. ამდენად მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ისეთი სახით დაგეგმვა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვებს შორის ურთიერთობებს. ასეთ სტრატეგიებს განეკუთვნება თამაში, ჯგუფური აქტივობები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დახმარება ჩვეული, ყოველდღიური, რუტინული უნარ-ჩვევების გასამტკიცებლად. როდესაც პედაგოგი ახერხებს აღნიშნული სტრატეგიების გამოყენებით სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობას, ბავშვებს შორის ურთიერთობაში დადებითი ცვლილება მალევე ვლინდება. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სასწავლო დაწესებულებებში ადრეულ ასაკში ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენის მქონე ბავშვებისათვის, როდესაც საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების სა-

შუალებით ბევრ შემთხვევაში სამედიცინო ჩარევის გარეშე შესაძლებელია შემდგომი ჩამორჩენის თავიდან აცილება.

რამდენადაც ბავშვის განვითარების პირველ წლებში უმთავრესი როლი მშობლებს ენიჭებათ, დიდი მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ჩვეულებრივი განვითარების ბავშვების მშობლების პოზიტიურ დამოკიდებულებას ინკლუზიის მიმართ, მათ ენთუზიაზმსა და მცდელობას, რასაც მხარს უნდა უჭერდნენ გუნდის სხვა წევრები. ისინი მაქსიმალურად უნდა უწყობდნენ ხელს ბავშვებს შორის ურთიერთობების დამყარებას. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს უნარების შედარებით მძიმე შეზღუდვასთან, საჭიროა დაკვირვება ბავშვზე, თუ რა ფორმით რეაგირებს იგი სხვადასხვა შემთხვევაში. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები სწავლობენ ურთიერთობებს სხვა ბავშვებთან საუბრით, მიმიკისა და სხეულის სხვადასხვა მოძრაობებით, გრძნობების გამოხატვით, ერთობლივი თამაშებით, ჩანაწერების მოსმენით. პედაგოგი და აღმზრდელები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ჩართვას გუნდურ თამაშებში. მიბაძვითა და ერთი და იგივე დავალების ხშირი გამეორებით ისინი თანდათანობით იძენენ ქცევით უნარ-ჩვევებს. ასევე, პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უჭირს დიდი ხნის განმავლობაში ერთ დავალებაზე ფოკუსირება, (მაგ. ხატვა, კუბების აწყობა) ამიტომ მისი ყურადღება უნდა გადაიტანოს რაიმე სხვა საგანზე, რაც მას მცირე ხნით შესვენების საშუალებას მისცემს. ინდივიდუალური მუშაობის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისათვის იმ კონკრეტული ინსტრუქციების მიცემა, რაც დაკავშირებულია უშუალოდ დავალებასთან, ანუ პედაგოგი დანვრილებით აღწერს შესაბამისი სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობას და საჭიროების შემთხვევაში თავადაც მონაწილეობს მის შესრულებაში. ისევე როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის სწავლების მეთოდურ მასალას მშობლების, დამხმარე სპეციალისტებისა და საჭირო შემთხვევაში, სამედიცინო პერსონალის მონაწილეობით შედგენილი ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა წარმოადგენს. მასში ასახულია ბავშვის შესაძლებლობა და ის ქცევითი, მეტყველების და მოტორული უნარ-ჩვევები, რომლის გამომუშავებაზე

უნდა იმუშაონ პედაგოგებმა და აღმზრდელებმა წლის განმავლობაში.

კონკრეტული წარმატებული შემთხვევების ანალიზმა ცხადჰყო, რომ სკოლამდელი აღზრდის დანსებულებები მნიშვნელოვანი ეტაპია განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების განათლების რთულ გზაზე. აქტიური სოციალური კონტაქტის დამყარება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან, საგრძნობლად ზრდის ჩვეულებრივი განვითარების ბავშვებში „განსხვავებულობის მიღებასა“ და თანაგრძნობას. რაც შეეხება მშობლების წუხილს, ერთი მხრივ „ნეგატიური ზეგავლენის“, ხოლო მეორე მხრივ „სოციალური უარყოფის შიშს“, სწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი და პედაგოგების მხრიდან საქმისადმი პროფესიონალური მიდგომა ინკლუზიის პროცესს ნაკლებად რთულსა და მტკივნეულ ხდის.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის უმთავრესი წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლება ხორციელდება. იგი სპეციალისტთა გუნდის მიერ მშობლების აქტიური მონაწილეობით შედგება წინასწარი დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე და ითვალისწინებს სრულ ინფორმაციას ბავშვის ქცევითი, კომუნიკაციური ჩვევების, შესაძლებლობისა და მისთვის საჭირო მომსახურების შესახებ. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში შედის საჭირო სპეციალურ მომსახურებათა ჩამონათვალი, თუ რომელმა სპეციალისტმა და რა რაოდენობით უნდა გაუწიოს დახმარება მოსწავლეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას აქცენტი კეთდება ბავშვის შესაძლებლობაზე და არა შეზღუდულობაზე, ანუ ის ყოველთვის პოზიტიურ სურათს ასახავს.

ყოველი წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ერთი წლის ვადით და მასში აისახება ის კონკრეტული მიზნები, რისი მიღწევაც უნდა შეძლოს მოსწავლემ წლის განმავლობაში. ზოგიერთი მოსწავლისათვის წლიური მიზნები შეიძლება ძირითადად აკადემიურ სფეროებს ეხებოდეს, მაგ. კითხვის გაუმჯობესება, მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტა და სხვა. ზოგიერთისათვის კი წლიური მიზანი შესაძლოა იყოს ქცევითი ნორმების, ყოველდღიური უნარ-ჩვევის გამომუშავება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში

ასახული მიზნები უნდა იყოს რეალისტური და განხორციელებადი. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტების ჯგუფი დაინახავს, რომ საჭიროა მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, იგი ინვესტს სპეციალისტებს და მშობლებთან ერთად, შეაქვს ცვლილებები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლაში ჩართვასა და წინსვლას ეროვნულ კურიკულუმში სათანადო ადაპტაცია განაპირობებს. ამ მიზნით სკოლა (მასწავლებელი) მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს.

— შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მათი მშობლები —

ოჯახი, სადაც ერთი ან რამდენიმე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იზრდება, მრავალ პრობლემას აწყდება. ბავშვის დაბადება პათოლოგიით – ხშირად ბავშვისა და მშობლებისათვის ამ მოვლენის აღქმისა და მასთან ადაპტირების რთული, ხანგრძლივი პროცესის მხოლოდ დასაწყისია.

მშობლების განცდები აღნიშნული ფაქტის მიმართ პირობითად 6 ეტაპს მოიცავს:

1. შოკი;
2. უარყოფა;
3. დანაშაული და რისხვა;
4. სირცხვილი;
5. დეპრესია;
6. მიღება.

მშობლებისათვის აღნიშნული მოვლენა მხოლოდ პირველი კრიზისული მომენტი იმ ხუთიდან, რომელთა დაძლევაც მოუწევთ. პირობითად გამოყოფენ შემდეგ კრიზისულ პერიოდებს:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დაბადება;
2. მისი თვითდამკვიდრების საჭიროება;
3. განათლების პროცესის დაგეგმვა;
4. გარდატეხის ასაკი;
5. ზრდასრული ასაკისათვის მზადება.



ასეთი ბავშვისადმი დამოკიდებულების მიხედვით, არსებობს მშობელთა რამდენიმე ტიპი:

I ზედმეტად მზრუნველი მშობელი. — ხშირად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, მოზარდი, თუ ზრდასრული ადამიანი მშობელთა ზღვარგადასული მზრუნველობის ქვეშ ექცევა, რაც არც თუ იშვიათად ბავშვის ხასიათის ისეთი არასასურველი თვისებების ჩამოყალიბების მიზეზი ხდება, როგორიცაა ჭირვეულობა, სიჯიუტე, პასიურობა, განურჩევლობა გარშემო მომხდარი მოვლენების მიმართ. ასეთ ბავშვებში მკვეთრად ქვეითდება საზოგადოებასთან

ურთიერთობის მოთხოვნილება, თვითმომსახურების უნარ-ჩვევების დაუფლების, თამაშის და სხვა აქტივობების სურვილი.

II „უყურადღებო მშობელი“. — რომლებიც თავიდან იცილებენ ბავშვზე განსაკუთრებულ მზრუნველობას. მათ ნაადრევად გამოაქვთ დასკვნა, რომ მათი შვილი უიმედოა და ვერასოდეს შეძლებს „ნორმალურ საზოგადოებაში“ ცხოვრებას, აქედან გამომდინარე, ერიდებიან მის ურთიერთობას სხვა ბავშვებთან, არ აქცევენ ყურადღებას მის განათლებას, რაც ესოდენ აუცილებელია შეზღუდული შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოვლენისა და სრულფასოვან პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის.

III „დაბნეული მშობელი“. — რომლებიც სასონარკვეთილებაში ვარდებიან იმის გამო, რომ მაგალითად, ბავშვი განიცდის სირთულეებს ნოვისა და ყლაპვის დროს. მისი გარეგნობისა და რეაქციების (გალიმება, ღულღუნი) გამოხატვის უუნარობის გამო, ისინი ვერ ეალერსებიან და ვერ ეფერებიან მას. ამდენად, ბავშვის წინაშე დგება კიდევ ერთი დაბრკოლება: მშობლებთან სრულფასოვანი კავშირის უკმარისობა.

IV „სასტიკი მშობლები“. — ზოგიერთ მშობელს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილთან ურთიერთობისას გაუმართლებლად მკაცრი პოზიცია უკავია. ისინი მოითხოვენ მისგან ყველა დავალები-სა და ვარჯიშის უნაკლო შესრულებას და არ ითვალისწინებენ მის ფიზიკურ და გონებრივ შესაძლებლობებს. არც თუ ისე იშვიათად მიმართავენ დასჯის სხვადასხვა მეთოდსაც. ასეთი მოპყრობის შედეგად ბავშვის ფიზიკური და ფსიქიური მდგომარეობა უფრო მეტად უარესდება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ძილის დარღვევა, შარდის შეუკავებლობა, კრთომები და კრუნჩხვაც კი.

მშობლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ფსიქო-პედაგოგიური დახმარების ძირითადი მონაწილეები უნდა გახდნენ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დადის სასწავლო დაწესებულებაში. ოჯახში ოპტიმალურად ორგანიზებული პირობების არსებობა ბავშვის წარმატებული განვითარების, სწავლის და შემდგომი სრულფასოვანი ცხოვრების საწინდარია. ასეთი გარემოს შექმნისათვის ოჯახის წევრებმა აუცილებელია, იცოდნენ:

- ბავშვის შესაძლებლობანი და განვითარების პერსპექტივები;
- მიზანმიმართული კორექციული მეცადინეობების ორგანიზება;
- ცხოვრებისათვის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

როდესაც მშობლები საბოლოოდ რწმუნდებიან, რომ მათი შვილი ჩამორჩება გონებრივ თუ ფიზიკურ განვითარებაში, რჩევისათვის ექიმს მიმართავენ, ანტირესებთ, როგორი სათამაშოები და როგორი ნივთები სჭირდება მას, რადგან მიაჩნიათ, რომ მათი შვილი განსხვავებულია და არაფრით არ წააგავს „ნორმალურ ბავშვებს“, მაგრამ „ნორმალური“ ბავშვის მშობელი არ ეკითხება ექიმს და არც სპეციალურ ლიტერატურაში ეძებს, თუ როგორი ინტერესები აქვს მის შვილს, უბრალოდ, თვალს ადევნებს ბავშვის თამაშს და იცის, რომელი სათამაშო მოსწონს და რომელი — არა. დედა ხედავს საით მიუწევს პატარას გული და არჩევანში ეხმარება. რასაკვირველია, სპეციალისტის კონსულტაციები მნიშვნელოვანია, მაგრამ როგორც ყველა მშობელმა, შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვის მშობელმაც თვითონ უნდა განსაზღვროს საკუთარი შვილის ინტერესები. დაგვერწმუნეთ, იგი არაფრით განსხვავდება ყველა დანარჩენისგან. თუ ყურადღებით მიადევნებთ თვალს, ადვილად მიხვდებით, რა ანიჭებს მას კმაყოფილებას. ბავშვს სჭირდება ის სათამაშოები, რაც მას მოსწონს, იმ ბავშვებთან ურთიერთობა, ვისთანაც თავს თავისუფლად და კარგად გრძნობს. ირგვლივ მყოფთ იგი უნდა უყვარდეთ და ილებდნენ ისეთს, როგორიც არის, ჯეროვნად უნდა აფასებდნენ მის დადებით თვისებებს. ეს მას ჰაერივით სჭირდება.

მშობლების მიერ უნდა მოხდეს ბავშვის (მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით) აქტიური ჩართვა ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებაში. მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს იმ მიართულებით, რომ მან იცოდეს არა მხოლოდ თვითმომსახურება (დამოუკიდებლად ჭამა, ჩაცმა), არამედ ჰქონდეს გარკვეული მოვალეობანი (სუფრის გაშლა, ჭურჭლის ალაგება). ამის შედეგად მას გაუჩნდება:

- ინტერესი შრომისადმი;
- საკუთარ ძალებში რწმენა;
- სიხარულის შეგრძნება, რომ იგი საჭიროა.

ზოგიერთი მშობელი იმის შიშით, რომ ბავშვი დავარდება, გატყეს ჭურჭელს ან არასწორად ჩაიცვამს, არ აძლევენ დამოუკიდებლად რაიმეს გაკეთების საშუალებას, რასაც მისი პასიურობა მოსდევს. იგი უარს ამბობს დავალების შესრულებაზე, არ შეუძლია კოლექტიური თამაშის წესების დაცვა. ამდენად, ბავშვისათვის სირთულეების თავიდან აცილების სურვილი, მასზე მუდმივი ზრუნვა, ყველაფრისაგან დაცვა, რამაც შესაძლოა გული დანყვიტოს, განაპირობებს ბავშვის რთულ მდგომარეობაში ჩაყენებას მრავალი წლის მანძილზე.

მოთმინება, ორგანიზებულობა და გამძლეობა – ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის აღზრდის მთავარი პირობებია.

ცხოვრების ჩვეულებრივ რიტმს მონყვეტილი, მცირედი შეზღუდვის მქონე ბავშვთა უმრავლესობაც კი „იკარგება“ იმ გარემოში, სადაც ჩვეულებრივ მისი თანატოლები ცხოვრობენ. ეს რომ არ მოხდეს, ამისათვის:

- ბავშვის რაიმე სახის შეზღუდვა არ უნდა გახდეს ოჯახის წევრების სასონარკვეთაში ჩავარდნის მიზეზი;
- ოჯახში მთელი ყურადღება უნდა იყოს მიმართული არა შეზღუდვისაკენ, არამედ შესაძლებლობების განვითარებისაკენ;

მშობელი უნდა ცდილობდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ადრეული ასაკიდანვე ჰქონდეს კონტაქტი მის „ჯანმრთელ“ თანატოლებთან.

გასათავისნივინებელია ისიც, რომ ამ კატეგორიის ბავშვებისათვის უცხო საგნებისა და მოვლენების გაცნობა უნდა მოხდეს დიდი სიფრთხილით, არ უნდა გადაიტვირთონ ზედმეტი ემოციებით, მაგ: სანამ ბავშვს ვაჩვენებთ რომელიმე შინაურ ცხოველს, აუცილებელია მოვუთხროთ მასზე და ვაჩვენოთ სურათზე.

საკუთარი შეზღუდვებისა და შესაძლებლობების შეფასებისადმი დამოკიდებულებების მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს პირობითად 3 ჯგუფად ყოფენ:

1. ჯგუფი:

ბავშვები, რომლებიც აცნობიერებენ დაავადების სიმძიმეს, ამასთანავე:

- ამ ბავშვებს ნათლად ესმით, რომ მათ წინაში მდგარი სირთულეების დაძლევა პირდაპირ დამოკიდებულებაშია საკუთარ მონდომებასთან. ფიზიკური დისკომფორტისა და ზოგჯერ ტკივილის მიუხედავად, ისინი ხალისით ესწრებიან სამკურნალო ფიზკულტურულ მეცადინეობებს, დადიან ლოგოპედთან, ასრულებენ სპეციალისტების ყველა რეკომენდაციას;
- ისინი აგრეთვე გამოირჩევიან მუდმივი მისწრაფებით, დაეუფლონ რაც შეიძლება რთულ უნარ-ჩვევებს;
- მათთვის დამახასიათებელია მიღწეული წარმატებების ადეკვატური შეფასება.

II ჯგუფი:

ეს ბავშვებიც ასევე ნათლად აცნობიერებენ მათი დაავადებების სიმძიმეს, მაგრამ არაფერს აკეთებენ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

III ჯგუფი:

ამ ბავშვებს საკუთარი გონებრივი შესაძლებლობის შეზღუდვის გამო არ შესწევთ საკუთარი მდგომარეობის აღქმისა და აცნობიერების უნარი.

მათი ჩართვა აქტიურ ცხოვრებაში მხოლოდ უფროსების ძალისხმევითაა შესაძლებელი.

- ოჯახის პირობებში ეს პროცესი უნდა დაიწყოს აქტივობის ისეთი სახეებით, როგორცაა თამაში და ელემენტარული შრომა.
- ბავშვის ცხოვრებაში 3-4 წლის ასაკიდან, შრომის ჩართვისა და შრომითი უნარ-ჩვევების თანდათანობითი დაუფლების შედეგად, ფორმირდება მათი გონებრივი, ფიზიკური, და მორალური თვისებები.
- დავალებების თანდათანობითი გართულება (რა თქმა უნდა, ბავშვის შესაძლებლობის გათვალისწინებით) მასში აყალიბებს ხასიათის სიმტკიცესა და მიზანსწრაფვას.

ამასთანავე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ადეკვატური თვითშეფასების უნარი რომ ჩამოუყალიბდეს, უფროსებმა მისი მოქმედებების შედეგები უნდა შეაფასონ და ნახალისების სხვადასხვა ფორმებიც გამოიყენონ, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვი ძალიან ცდილობდა ამა თუ იმ დავალების შესრულებას.

აუცილებელია აგრეთვე, რომ მან აღიქვას საკუთარი თავი ისეთად, როგორც არის, რათა თანდათან ჩამოუყალიბდეს სწორი დამოკიდებულება საკუთარი შეზღუდვებისა და შესაძლებლობების მიმართ. ამ შემთხვევაშიც წამყვანი როლი მშობლებს ეკისრებათ. სწორედ, მათი რეაქციით და დამოკიდებულების მიხედვით წარმოდგენს იგი თავს:

- ან როგორც ინვალიდს, რომელსაც არ გააჩნია ცხოვრებაში აქტიური ადგილის დაკავების არანაირი შანსი;
- ანდა პირიქით, როგორც ადამიანს, რომელსაც შესწევს წარმატებების მიღწევის უნარი.

მშობლებმა უნდა გაითავისონ და ბავშვსაც შთააგონონ, რომ შეზღუდვა მისი პიროვნების მხოლოდ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს და რომ მას ამის გარდა აქვს ბევრი სხვა ღირსებაც. არავითარ შემთხვევაში მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ „სირცხვილის“ გრძნობა თავისი შვილის გამო, მაშინ ბავშვიც არ ჩათვლის საკუთარ შეზღუდვას ნაკლად და არ იქნება ეგოცენტრული, სიამოვნებით შეასრულებს მისთვის შესაძლებელ ყველა სამუშაოს და სიხარულით შეხვდება ყველა მიღწეულ უმნიშვნელო წარმატებასაც კი. ყოველივე ეს მისცემს საშუალებას, იცხოვროს მდიდარი შთაბეჭდილებებითა და დადებითი ემოციებით სავსე ცხოვრებით.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო

რა არის „ინკლუზიური“?

მრავალი წლის მანძილზე ტერმინში „ინკლუზიური“ იგულისხმებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო კლასებში ჩართვა. წარმოდგენილ მასალაში, „ინკლუზიური“ ნიშნავს გაცილებით მეტს.

„ინკლუზიური“ მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ისეთ კატეგორიებს, როგორცაა მოძრაობის, სმენის, მხედველობისა და სწავლის უნარის შეზღუდვის მქონე ბავშვები. თუმცა, „ინკლუზიური“ ასევე გულისხმობს სკოლებში ყველა იმ ბავშვის ჩართვას, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო გარიყული აღმოჩნდნენ სასწავლო დაწესებულებებიდან: ქუჩის ბავშვები ან შიდსით დაავადებული ბავშვები. „ინკლუზიური“ ნიშნავს, რომ ჩვენ, მასწავლებლებს, გვეყისრება პასუხისმგებლობა ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რათა ყველა ბავშვი იქნას უზრუნველყოფილი განათლების მიღების თანაბარი უფლებით.

უფრო მეტიც, ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ყველა ბავშვი ჩაირიცხოს სკოლაში, თუმცა ფაქტიურად ისინი მაინც გარიყული რჩებიან სწავლის პროცესში მონაწილეობისაგან. ასეთ კატეგორიებს მიეკუთვნებიან ბავშვები, რომლებიც:

- არ იღებენ განათლებას მშობლიურ ენაზე;



- არ იღებენ მონაწილეობას სასწავლო პროცესში;
- არავენ ითხოვს მათგან სასწავლო პროცესში მონაწილეობას;
- ვერ ხედავენ დაფას და არ ესმით მასწავლებლის ხმა;
- დაბალი აკადემიური მოსწრების მიუხედავად, არ იღებენ საჭირო დახმარებას;

ასეთი ბავშვები, სხედან უმეტესად ბოლო მერხებზე და თავისთავად „ეთიშებიან“ სასწავლო პროცესს. ჩვენი, მასწავლებლების მოვალეობაა შევქმნათ სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ყველა ბავშვი იქნება თანაბრად ჩართული, ყოველ მათგანს შეეძლება და ექნება სურვილი მიიღოს განათლება.

რას ნიშნავს „სწავლისადმი კეთილგანწყობილი“?

ბევრი სკოლა მუშაობს იმისათვის, რომ გახდეს „სწავლისადმი კეთილგანწყობილი“, სადაც ყველა ბავშვს მიეცემა საშუალება

უსაფრთხო და კეთილგანწყობილ გარემოში მიიღოს მაქსიმალურად კარგი განათლება. მთავარ მიზანს წარმოადგენს არა კონკრეტულ საგნებსა და გამოცდებზე კონცენტრირება, არამედ სასწავლო პროცესში ბავშვების ჩართულობის გაუმჯობესება.

ბავშვები მოდიან სკოლაში რათა ისწავლონ, მაგრამ ჩვენ, მასწავლებლებიც, ყოველთვის ვსწავლობთ რაღაც ახალს. ჩვენ ვსწავლობთ იმას, თუ როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს, როგორ გაეხადოთ სწავლება ეფექტური ისე, რომ ბავშვებს აინტერესებდეთ მათემატიკისა და სხვა საგნების სწავლა. წარმოდგენილი ბროშურა მოგვცემს აღნიშნული მიმართულებით პირველი ნაბიჯების გადადგმის საშუალებას.

„სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო“ არის „ბავშვისადმი და მასწავლებლისადმი კეთილგანწყობილი“. აქცენტი კეთდება მოსწავლისა და მასწავლებლის ერთობლივი სწავლის მნიშვნელობაზე; ყურადღების ცენტრში ექცევა ბავშვი და სწავლის პროცესში მისი აქტიური ჩართვა. იგი ასევე აკმაყოფილებს ჩვენი, მასწავლებლების საჭიროებებსა და ინტერესებს, რამდენადაც ჩვენ გვინდა და შეგვიძლია მოსწავლეებისათვის საუკეთესო განათლების მიცემა.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს დამახასიათებელი ნიშნები

	<i>ტრადიციული საკლასო ოთახი</i>	<i>ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო</i>
ურთიერთობები	დისტანციური (მასწავლებელი დგას ზურგშექცევით და მიმართავს მოსწავლეებს)	მეგობრული და თბილი. მასწავლებელი ზის სმენის შეზღუდვის მქონე ბავშვის გვერდით და ლიმილით ესაუბრება. მშობელი-დამხმარე აქებს ბავშვს და ეხმარება სხვა ბავშვებს.

ვინ არის საკლასო ოთახში?	მასწავლებელი და დაახლოებით ერთნაირი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები	მასწავლებელი, სხვადასხვა სოციალური წარმოშობისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვები და მშობელი-დამხმარე.
განლაგება	ყველა საკლასო ოთახში ერთნაირი განლაგებაა (ტრადიციულად ბავშვები სხედან მერხებთან რიგებში)	სხვადასხვა ტიპის განლაგება, ბავშვები სხედან წრიულად იატაკზე ან მაგიდებთან.
სასწავლო მასალები	სახელმძღვანელოები, რვეულები, დაფა	სხვადასხვა გაკვეთილისათვის საჭირო მასალები, მაგ. გაზეთები, პოსტერები, თოჯინები უცხო ენების გაკვეთილებისათვის
რესურსები	მასწავლებელს ურთიერთობა აქვს მოსწავლეებთან დამატებითი სასწავლო მასალების გამოყენების გარეშე.	მასწავლებელი წინასწარ გეგმავს დღეს. მოსწავლეებს რთავს მარტივი სასწავლო, დამხმარე მასალების მომზადებაში.
შეფასება	სტანდარტული წერიტი გამოცდა	მიუკერძოებელი შეფასება, დაკვირვება, დროდადრო ბავშვების ნამუშევრების ნაკრების (პორტფოლიოს) შეფასება

მნიშვნელოვანი ელემენტები

ბავშვთა უფლებების კონვენციის მიხედვით, ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება. უფრო მეტიც, ყველა ბავშვს შეუძლია

ისწავლოს, მიუხედავად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, თუ სხვა მდგომარეობისა. აღნიშნული ასევე მოიცავს „ქუჩის ბავშვებს“, შეზღუდული შესაძლებლობისა და ნიჭიერებით გამორჩეულ ბავშვებს, სხვადასხვა კულტურული, რელიგიური, სოციალურად დაუცველი ფენების წარმომადგენლებს.

სხვადასხვა სოციალური ფენისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვების სწავლება სერიოზული ამოცანაა. ასე რომ, ჩვენ უნდა გვესმოდეს, როგორ ვასწავლოთ ასეთ ბავშვებს. ჩვენ არ ვიბადებით ამ ცოდნით და არც ყველაფრის სწავლა შეიძლება ერთი ტრენინგით. უნდა ვისწავლოთ დაკვირვებითა და გამოცდილ პედაგოგებთან საუბრებით, სემინარებში მონაწილეობითა და სპეციალური ლიტერატურის კითხვით. შემდგომში მნიშვნელოვანია მიღებული ცოდნის პრაქტიკული გამოყენება კლასებში. ასე რომ, ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო მნიშვნელოვანია არა მარტო ბავშვების, არამედ ჩვენი, მასწავლებლების განვითარებისათვის.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ყველა იზიარებს იმ ხედვას, რომ ყველა ბავშვი უნდა სწავლობდეს და



ერთობოდეს ერთად. მათ სჯერათ, რომ განათლება უნდა იყოს ინკლუზიური, არადისკრიმინაციული, მგრძობიარე კულტურული განსხვავებულობისადმი, ასევე უნდა შეესაბამებოდეს ბავშვებისა და მათი ოჯახების ყოველდღიურ ცხოვრებას.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო ასწავლის ბავშვებს ყოველდღიურ უნარ-ჩვევებს და ცხოვრების ჯანსაღ ნებს, გამოირიცხავს ბავშვებზე ძალადობას, ფიზიკურ დასჯას.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო მოუწოდებს მასწავლებლებსა და სკოლების ადმინისტრაციას, მშობლებსა და საზოგადოებას, დაეხმარონ ბავშვებს მიიღონ განათლება საკლასო ოთახებსა და მის გარეთ. საკლასო ოთახებში არა მარტო მასწავლებლები, არამედ ბავშვებზე პასუხისმგებელი არიან სწავლების პროცესზე და აქტიურად მონაწილეობენ მასში. სწავლა უკავშირდება ბავშვების ყოველდღიურ ცხოვრებას და იმას, თუ რისი მიღწევა სურთ მათ ცხოვრებაში.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო ასევე მოიცავს ჩვენი, მასწავლებლების საქროებებს, ინტერესებსა და სურვილებს. გვაძლევს რა სწავლებისათვის საუკეთესო რესურსებს, იგი საშუალებას გვაძლევს ვისწავლოთ, თუ როგორ ვასწავლოთ უკეთესად.

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს უპირატესობები

უპირატესობები ბავშვებისათვის:

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში ბავშვები ხდებიან მეტად თავდაჯერებული, უნივთარდებთ მაღალი თვითშეფასება, სწავლობენ დამოუკიდებლობას როგორ სკოლის შენობაში, ასევე მის გარეთ. მაგალითად, სწავლობენ მკაფიოდ ჩამოყალიბებული კითხვების დასმას; სკოლაში მიღებულ ცოდნას იყენებენ ყოველდღიურ ცხოვრებაში; სასიამოვნო ურთიერთობა აქვთ მათთან, ვინც განსხვავებულია; ადვილად ადაპტირდებიან სხვადასხვა გარემოში.

ბავშვები ხდებიან უფრო კრეატიულები, რაც აუმჯობესებს სწავლის დონეს. ისინი აფასებენ მშობლიურ ენას, კულტურას, იუმჯობესებენ კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს და პატივს სცემენ ერთმანეთის უფლებებს.

უპირატესობები მასწავლებლებისათვის:

ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო მნიშვნელოვან უპირატესობებს ანიჭებს მასწავლებლებსაც. სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეებთან მუშაობისას, ისინი იძენენ ახალ ცოდნასა და გამოცდილებას, რაც მათ ზოგადად ბავშვებთან მუშაობასა და სხვადასხვა სიტუაციების მართვას უადვილებს.

მასწავლებლებს ეძლევათ ახალი იდეების შესწავლის მეტი საშუალება როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის გარეთ. ასეთი იდეების გამოყენებით მათ შეუძლიათ მოსწავლეთა დაინტერესება და ნახალისება. შედეგად, მეტია უკუგება ბავშვებისა და მათი მშობლებისგანაც კი.

მასწავლებლები განიცდიან მეტ კმაყოფილებას, როდესაც ყველა ბავშვი მაქსიმალურად არის ჩართული სასწავლო პროცესში და ავლენს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმს. თუმცა, როდესაც ამას ვამბობთ, არ ვგულისხმობთ, რომ ყველამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა. ეს ნიშნავს, რომ ვიღებთ იმ განსხვავებულობას, რომელიც მოსწავლეების შესაძლებლობებში არსებობს; თუ როგორ და რამდენად შეუძლიათ მათ საკუთარი მოსაზრებების მასწავლებლისა და კლასისათვის გაზიარება.

სკოლებში, სადაც ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოა, ყოველთვის მეტი მოხალისე მუშაობს, რაც ამსუბუქებს მასწავლებლის საკმაოდ მძიმე სამუშაოს.

უპირატესობები მშობლებისათვის:

ინკლუზიურ, სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოში მშობლები იღებენ მეტ ინფორმაციას საკუთარი შვილების განათლების შესახებ. ისინი პიროვნულად ხდებიან ჩართული პროცესში და გრძნობენ მეტ პასუხისმგებლობას. როდესაც მასწავლებელი მათ ეკითხება აზრს მათივე შვილების განათლების შესახებ, ისინი სწავლების პროცესში მონაწილე თანასწორუფლებიან პარტნიორებად გრძნობენ თავს და სწავლობენ სახლში იმ ხერხების გამოყენებას, რომელსაც მასწავლებელი იყენებს. აქვთ მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ეხმარებიან სხვებსაც ანალოგიური პრობლემების გადაჭრაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მშობლებმა იციან, რომ მათი შვილები, ისევე როგორც ყველა სხვა ბავშვი, იღებენ ხარისხიან განათლებას.

უპირატესობები საზოგადოებისათვის:

ისეთი სოციალური ხასიათის პრობლემების შემცირებით, როგორცაა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაული, ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოს უპირატესობები მოაქვს საზოგადოებისათვისაც. თავად საზოგადოება მეტად ერთვება სკოლის ცხოვრებაში და უმჯობესდება უკუკავშირი სკოლასა და საზოგადოებას შორის.

არის ჩვენი სკოლა ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი?

ბევრმა სკოლამ უკვე გადადგა ნაბიჯები ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად. ისინი პრაქტიკულად ხედავენ მასწავლებლების, ბავშვების, მშობლებისა და საზოგადოებისათვის მიღწეულ პოზიტიურ ცვლილებებს. ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს მისაღწევად მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ, რამდენად არის უკვე თქვენი სკოლა ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი. ამის შემდგომ, თქვენ გეცოდინებათ რა შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგათ სრული ინკლუზიის მისაღწევად.

ქვემოთ მოყვანილი კითხვარი დაგეხმარებათ თქვენი სკოლის შეფასებაში. იყავით მაქსიმალურად გულახდილი მისი შევსებისას. აღნიშნეთ ყველა ის პუნქტი, რასაც თქვენი სკოლა უკვე აკეთებს. ნუ დალონდებით, თუ ბევრი პუნქტი აღუნიშნავი დარჩება.

სასკოლო პოლიტიკა და ადმინისტრაციული მხარდაჭერა

რამდენად შეესაბამება აღნიშნული თქვენს სკოლას?

- გააჩნია ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მისია ან ხედვა;
- გააჩნია მის რაიონში მდებარე სასკოლო ასაკის ბავშვების სრული სიები მათი სკოლებში ჩართულობის მონაცემებით;
- ატარებს სისტემატიურ კამპანიებს მშობლებისათვის, რათა უზრუნველყოს ყველა ბავშვის სასწავლო პროცესში ჩართვა;

- ხელმისაწვდომია სხვადასხვა შესაძლებლობისა და სოციალური მდგმარეობის ბავშვების განათლების შესახებ არსებული ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო მასალები;
- ფლობს ინფორმაციას, თუ რა დახმარების განევა შეუძლიათ ინკლუზიური განათლების საკითხებზე მომუშავე მხარდაჭერთა ჯგუფებს, პროფესიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს;
- სკოლის ადმინისტრაციასა და მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა;
- გააჩნია ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნაში არსებული ხელშემშლელი დაბრკოლებებისა და მათი დაძლევის გზების ჩამოყალიბებული სია;
- ხელს უწყობს მასწავლებლებს იმ ინოვაციური სასწავლო მეთოდების გამოყენებაში, რომელიც ბავშვებს სწავლას უადვილებს;
- აქვს კავშირები საზოგადოებასთან; პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად ითვალისწინებს მის აზრს;
- ითვალისწინებს მასწავლებლების საჭიროებებს;
- გააჩნია დახმარების, ხელმძღვანელობისა და მონიტორინგის ეფექტური მექანიზმები, სადაც ყველა მონაწილეობს როგორც მიმდინარე ცვლილებების აღწერა-დოკუმენტირებაში, ასევე სამომავლო გადამწყვეტილებების მიღებაში.

სასკოლო გარემო

რამდენად შეესაბამება აღნიშნული თქვენს სკოლას?

- გააჩნია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის მისაწვდომი შესასვლელები (პანდუსი) და საპირფარეშო ოთახები;
- აქვს კეთილგანწყობილი, ჯანსაღი, სუფთა გარემო;
- გააჩნია სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალმომარაგება, იყიდება საღი საკვები;
- გააჩნია მოსწავლის საჭიროებათა შეფასების პროცესში მასწავლებლების, დამხმარე პერსონალის, მშობლებისა და ბავშვების ერთობლივი მუშაობისათვის ჩამოყალიბებული

პროცედურები;

- აქცენტი კეთდება გუნდურ მუშაობაზე და მოსწავლეებზე;
- აქვს კავშირი ჯანდაცვის სამსახურებთან, რომლებიც პერიოდულად ახდენენ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმებას.

მასწავლებელთა ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება

პედაგოგებს:

- შეუძლიათ ახსნან ცნება „ინკლუზიური“ და „სწავლისადმი კეთილგანწყობილი“, კონკრეტული მაგალითების მითითებით;
- სჯერათ, რომ ყველა ბავშვს, მიუხედავად ეთნიკური წარმოშობისა, ენობრივი და სოციალური მდგომარეობისა, ისევე როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, შეუძლიათ სწავლა;
- ჩართული არიან იმ ბავშვების მოძიებაში, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო არ დადიან სკოლებში;
- იციან იმ დაავადებების შესახებ, რომლებიც იწვევს ფიზიკურ, ემოციურ და სწავლის უნარის შეზღუდვას. შეუძლიათ დახმარება გაუწიონ ასეთ მოსწავლეებს;
- იღებენ წლიურ სამედიცინო გამოკვლევას სკოლის მთელ პერსონალთან ერთად;
- ბევრს მოელიან ყველა მოსწავლისაგან და ხელს უწყობენ მათ სკოლის დამთავრებაში;
- ფლობენ ინფორმაციას იმ რესურსების შესახებ, რომელიც მათ დაეხმარება სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობაში;
- შეუძლიათ სასწავლო პროგრამების, გაკვეთილებისა და სასკოლო აქტივობების ადაპტირება სხვადასხვა მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვების საჭიროებათა გათვალისწინებით;
- მუშაობაში იყენებენ იმ ენასა და სტრატეგიებს, რომელიც მათ სხვადასხვა მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობაში ეხმარება;
- არიან გახსნილი სწავლის, ადაპტირების, ცვლილებებისა და ექსპერიმენტებისათვის.

პედაგოგთა კვალიფიკაცია

პედაგოგები:

- ესწრებიან სემინარებს, რეგულარულად იმაღლებენ კვალიფიკაციას ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს საკითხებზე;
- აწყობენ პრეზენტაციებს სხვა პედაგოგებისა და საზოგადოებისათვის;
- იღებენ მიმდინარე დახმარებას სხვადასხვა საგნების (მაგ. მათემატიკა) სწავლებაში არსებული თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების შესახებ;
- იღებენ დახმარებას ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილ გარემოსთან დაკავშირებული სასწავლო მასალების სახით;
- არსებობს ადგილი, სადაც მათ შეუძლიათ ერთმანეთისათვის აზრების გაზიარება და სასწავლო მასალის მომზადება;
- აქვთ ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს „სამოდელი“ სკოლებში ვიზიტის საშუალება.

მოსწავლეები

- ყველა მოსწავლე სისტემატიურად დადის სკოლაში;
- ყველა მოსწავლეს აქვს სახელმძღვანელოები; სასწავლო მასალები შეესაბამება მათ შესაძლებლობას;
- ყველა მოსწავლე რეგულარულად იღებს ინფორმაციას შეფასების შესახებ, რაც მათ საკუთარი წარმატების მონიტორინგში ეხმარება;
- სხვადასხვა მდგომარეობისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვებს საკლასო ოთახსა და სკოლაში გააჩნიათ სწავლისა და საკუთარი აზრის გამოხატვის თანაბარი პირობები;
- გაკვეთილების სისტემატიური გაცდენის შემთხვევაში ხდება ყველა მოსწავლის შემოწმება;
- ყველა მოსწავლეს აქვს სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობა;
- ყველა მოსწავლე მონაწილეობს ინკლუზიური სწავლისადმი

კეთილგანყოფილი გარემოს გათვალისწინებით, საკლასო ოთახსა და სკოლაში მოქცევის წესების ჩამოყალიბებაში.

აკადემიური მოსწრება და შეფასება

- სასწავლო პროგრამა იძლევა სხვადასხვა სასწავლო მეთოდების (დისკუსია, როლების თამაში) გამოყენების საშუალებას;
- ყველა საგნის სასწავლო პროგრამებში ინტეგრირებული მართლწერის, მათემატიკური აზროვნებისა და ზოგადი უნარ-ჩვევები;
- მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ მათთვის ხელმისაწვდომ რესურსებს;
- სასწავლო პროგრამები მოიცავს სურათებს, ინფორმაციასა და მაგალითებს სხვადასხვა სოციალური და ფიზიკური მდგომარეობის (მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის) მქონე პირების ცხოვრებიდან;
- სასწავლო პროგრამები ადაპტირებულია სხვადასხვა სტილითა და დონით, განსაკუთრებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის;
- სწავლის შეზღუდვის მქონე მოსწავლეებს საშუალება აქვთ დამატებით მიიღონ ახსნა-განმარტება;
- სასწავლო პროგრამები და მასალები შედგენილია ენით, რომელთაც მოსწავლეები იყენებენ სკოლასა და მის გარეთ;
- სასწავლო პროგრამები პოპულარიზაციას უწევენ ისეთ ცნებებს, როგორცაა პატივისცემა, ტოლერანტობა, საკუთარი და სხვათა კულტურული განსხვავებულობის პატივისცემა;
- პედაგოგები ფლობენ მოსწავლის ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულების შეფასების უნარს.

სპეციალური სასწავლო დისციპლინები, პროგრამის გარეშე აქტივობები

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს აქვთ ფიზიკური ვარჯიშისა და განვითარების შესაძლებლობა;
- ყველა ბავშვს აქვს მშობლიურ ენაზე წერის, კითხვისა და სწავლის საშუალება;
- სკოლა პატივს სცემს ყველა რელიგიის წარმომადგენელ მოსწავლეს; მათ საშუალება აქვთ გაეცნონ სხვადასხვა რელიგიის კულტურას.

საზოგადოება

- მშობლები და საზოგადოებრივი ჯგუფები ფლობენ ინფორმაციას ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესახებ და შეუძლიათ დაეხმარონ სკოლებს;
- საზოგადოება ეხმარება სკოლას მოიძიოს ის ბავშვები, რომლებიც სკოლაში არ დადიან;
- მშობლები და საზოგადოებრივი ჯგუფები სკოლას სთავაზობენ იდეებსა და რესურსებს ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს დასაწარმოებლად;
- მშობლები იღებენ ინფორმაციას მათი შვილების მიღწევებისა და გაკვეთილებზე დასწრების შესახებ.

თვითშეფასების ეს კითხვარი დაგეხმარებათ თქვენს სკოლაში ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი აქტივობების დაგეგმვაში. ასე რომ, არ დაგავინყდეთ მისი შევსება. გახსოვდეთ, რომ ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა მიმდინარე პროცესია და შესაძლოა თქვენ დაგჭირდეთ პერიოდულად კითხვარის გადახედვა, რათა შეძლოთ მიღებული შედეგების მონიტორინგი.

სკოლაში მდგრადი ცვლილებების განხორციელებისათვის აუცილებელი პირობები

1. **ლიდერობა** – აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც არაფერი შეიძლება. მასწავლებელი, დამხმარე მასწავლებელი, პროცესში ჩართული სხვა პირი, რომელიც ყველაზე მეტადაა დაინტერესებული და მონდომებული ცვლილებების განსახორციელებლად – უნდა გახდეს პასუხისმგებელი პროცესის ორგანიზებასა და მეთვალყურეობაზე.
2. **სემინარები და სხვა სასწავლო შესაძლებლობები** – მნიშვნელოვანია იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც მონაწილეობენ და აქტიურობენ ცვლილებებში. მაგ. გამოყავით „მასწავლებლის განათლების დღე“, რომელიც დაეთმობა ბავშვზე ორიენტირებულ სწავლებას. მიეცით მათ საშუალება გულახდილად გამოთქვან საკუთარი მოსაზრება ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესახებ, დააკვირდნენ ერთმანეთს და დააკეთონ დასკვნები. რამდენადაც სკოლაში ჩარიცხული არიან სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვები, ჩაატარეთ დამატებითი სემინარები მასწავლებლებისათვის შემდეგ საკითხებზე: ა) როგორ სწავლობენ სხვადასხვა საჭიროების მქონე ბავშვები; ბ) სწავლების სხვადასხვა მეთოდები; გ) სკოლაში მიმდინარე ცვლილებების იდენტიფიცირება. მოახდინეთ სემინარების შედეგების მონიტორინგი, თუ რამდენად შედეგიანი იყო ისინი, რომელი მიმართულება საჭიროებს დამატებით მუშაობას.
3. **სწავლებისა და სწავლის გაუმჯობესება საკლასო ოთახში** ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს მიღწევის მთავარ მომენტს წარმოადგენს. გახსოვდეთ, რომ სკოლა თავისთავად საკლასო ოთახია. თუმცა, სკოლა მთლიანი გარემოა, ხოლო თქვენ და თქვენი საკლასო ოთახი, მოსწავლეებისათვის უახლოეს გარემოს წარმოადგენთ. თქვენ ხვდებით მათ ყველაზე ხშირად, თქვენ მუშაობთ მათთან ყველაზე მჭიდროდ და თქვენი სწავლების მეთოდებს უდიდესი გავლენა აქვთ მათზე.
4. **ინფორმაცია** – დადებითი პოზიტიური ცვლილებების მისაწვდომად და სამართავად მოძიებული უნდა იქნას ინფორმაცია

სკოლასა და საზოგადოებაში. შემდგომში ჩვენ განვიხილავთ ინფორმაციის მოძიებისა და ანალიზის გზებს.

5. **რესურსები** – მობილიზებული და ეფექტურად უნდა იქნას გამოყენებული. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ოჯახებსა და საზოგადოებას.
6. **დაგეგმვა** – უმთავრესი აქტივობა. მოქნილი, ხანგრძლივი გეგმა (3–5 წელი) იქნება ნაბიჯ-ნაბიჯ ცვლილებათა მიღწევის სახელმძღვანელო. ის საშუალებას მისცემს მასწავლებლებს, სკოლის პერსონალსა და საზოგადოებას, შეცვალოს ძველი მოსაზრებები და მიდგომები. ამოცანათა ჩამოყალიბებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მასწავლებლები და მშობლები. საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია მათი მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა.
7. **თანამშრომლობითი, გუნდური მიდგომა** – საჭიროა ცვლილებათა მიმდინარე პროცესში. „მონაწილეობს ყველა, სწავლობს ყველა, მოგებულა ყველა.“ ასეთი მიდგომა ახდენს კრეატიულობისა და რწმენის სტიმულირებას, პოპულარიზაციას უწევს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის გაზიარებას.
8. **მისია, ხედვა და კულტურა** – უნდა განვითარდეს ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს მთავარი მახასიათებლების ფარგლებში. ყველანი – მასწავლებლები, ადმინისტრატორები, ბავშვები, მშობლები და საზოგადოებრივი ლიდერები – უნდა ჩაერთონ სკოლის მისიისა და ხედვის ჩამოყალიბებაში.
9. **მიმდინარე კონტაქტი და კომუნიკაცია** – აუცილებელია მშობლებისა და საზოგადოების რწმენისა და მხარდაჭერის მოსაპოვებლად, ყველა ბავშვის სკოლაში ჩართვისა და მათი სრული პოტენციალის გამოვლენისათვის;

ნაბიჯები ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს მისაღწევად

ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის გზაზე თქვენი სკოლის მიერ განვლილი გზის შეფასების შემდგომ, უნდა გადაწყვიტოთ, თუ რა შემდეგი ნაბიჯები უნდა

გადადგათ მეტად ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად, იქნება ეს სკოლაში თუ საკლასო ოთახში. ქვემოთ შემოთავაზებულია ის ნაბიჯები, რომლებიც აუცილებელია ცვლილებების განსახორციელებლად, თუმცა ამ ნაბიჯების რიგითობის დაცვა არ არის აუცილებელი. თქვენ უნდა აირჩიოთ ყველაზე მნიშვნელოვანი თქვენი საჭიროებების გათვალისწინებით. უფრო მეტიც, შესაძლოა არსებობდეს წარმატების მიღწევის სხვა გზებიც, რომელთაც თქვენ თვითონ აღმოაჩენთ. მნიშვნელოვანია, გქონდეთ პოზიტიური დამოკიდებულება ცვლილებებისა და ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისადმი.

გუნდის ფორმირება

გამოყავით ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ დაგეგმვისა და განვითარების პროცესში. ჩამოაყალიბეთ საკოორდინაციო ჯგუფი.

ეს ადამიანები შეადგენენ ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს გუნდს. ჩვეულებრივ, გუნდი შეიძლება შედგებოდეს რამდენიმე მასწავლებლის, უფროსი მასწავლებლისა და რამდენიმე მშობლისაგან. შესაძლოა იგი გაცილებით მრავალრიცხოვანიც იყოს. საკოორდინაციო ჯგუფში შედიან მასწავლებლები, ადმინისტრატორები და სკოლის სხვა პერსონალი; განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკები; მოტივირებული ჯგუფების წარმომადგენლები; უფროსი ასაკის მოსწავლეები; მშობლები, საზოგადოების წევრები და ადგილობრივი ორგანიზაციები.

საჭიროებების შეფასება

- რა იციან უკვე და რა უნდა იცოდნენ ჯგუფის წევრებმა?
1. შეისწავლეთ საკოორდინაციო ჯგუფში არსებული ცოდნა. რა ინფორმაციას ფლობენ უკვე ჯგუფის წევრები ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს თვისებებისა და სარგებლობის შესახებ, რა და როგორ უნდა ისწავლოთ თქვენ. (მაგალითად, სტუმრების მონევა, ვიზიტები რესურს ცენტრებში)?
 2. შეისწავლეთ მოსწავლეებში, პერსონალსა და მშობლებში

არსებული ცოდნის დონე. იმ შემთხვევაში, თუ საკოორდინაციო ჯგუფი საკმაო ცოდნას ფლობს, გადანყვიტეთ რა კითხვებზე გსურთ პასუხის მიღება სხვებისაგან.

შეისწავლეთ ინფორმაცია სკოლისა და მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების შესახებ

1. განიხილეთ თქვენს მიერ შევსებული კითხვარი „სად ვართ ამჟამად“. შეადგინეთ ჩამონათვალი, რას აკეთებს თქვენი სკოლა ამჟამად და რა საჭიროებები აქვს მას ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისათვის.
2. ეცადეთ გამოავლინოთ რომელი ბავშვები არ დადიან სკოლაში.
3. შეაფასეთ თქვენი მოსწავლეებისა და ასევე იმ ბავშვების საგანმანათლებლო საჭიროებები, რომლებიც არ არიან ჩართული სკოლებში. გუნდის წევრებმა უნდა შეაფასონ და რაც შეიძლება სრულად გაიაზრონ ეს საჭიროებები, რათა ამ ბავშვების ჩართვისათვის შექმნან დახვეწილი სასკოლო გეგმები და კარგი საკლასო ოთახები. ამ მხრივ მშობლებს შეუძლიათ გუნდის წევრებს სასარგებლო ინფორმაცია მიანოდონ.
4. განსაზღვრეთ თქვენს სკოლაში და საზოგადოებაში არსებული რესურსები. ჩამოთვალეთ ყველა მისაწვდომი დახმარება და მომსახურება. აღნიშნული ასევე მოიცავს სახელმწიფო სამსახურებს, სამედიცინო კლინიკებსა და კერძო სააგენტოებს.
5. აღწერეთ სკოლაში არსებული გარემო და მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები. აღწერილობა უნდა იძლეოდეს არსებული საშუალებების, ავეჯის, მასალების მკაფიო სურათს. არის თუ არა ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისათვის? თუ არა, როგორ გავხადოთ უფრო ხელმისაწვდომი.
6. განსაზღვრეთ და აღწერეთ საკლასო ოთახებში მიმდინარე სწავლებისა და სწავლის პროცესი. დაესწარით გაკვეთილებს და ზუსტად აღწერეთ რას აკეთებენ მასწავლებლები და მოსწავლეები. არის თუ არა საკლასო ოთახები ინკლუზიური და სწავლისადმი კეთილგანწყობილი.

გაანალიზეთ მიღებული ინფორმაცია. აღწერეთ გასატარებელი ცვლილებები. მხელდევლობაში მიიღეთ კლასის სიდიდე, სწავლების სტილი და სტრატეგია, მასწავლებლისა და მოსწავლეების დამოკიდებულება, გამოყენებული მასალები.

შეაგროვეთ შემდგომი ინფორმაცია. თქვენს მიერ მოძიებულმა ინფორმაციამ შესაძლოა წამოჭრას ახალი და დამატებითი კითხვები. შეაგროვეთ დამატებითი ინფორმაცია ისე, რომ შეგეძლოთ გადაწყვეტილებების მიღება შესაბამის ინფორმაციაზე და არა სხვა-თა აზრებზე დაყრდნობით.

ჩამოაყალიბეთ ხედვა

აღწერეთ თქვენთვის სასურველი ან თუნდაც თქვენი „ოცნების“ (იდეალური) საკლასო ოთახი. „როგორი იქნება იგი, როდესაც თქვენ და თქვენი ბავშვი შეხვალთ კლასში? როგორი ავეჯი გექნებათ? რას გააკეთებთ მასწავლებელი? რას გააკეთებენ მოსწავლეები? რა იქნება კედლებზე? გაითვალისწინეთ ის გოგო-ბიჭები, რომელთაც მხედველობის, სმენის ან ინტელექტუალური განვითარების პრობლემები აქვთ. ასევე ბავშვები განსხვავებული სოციალური და რელიგიური ჯგუფებიდან. ერთი სიტყვით, ყველა ბავშვი. თუ ყველა ბავშვი ჩართულია სკოლაში, რა განსაკუთრებული საჭიროება აქვთ მათ და როგორ უნდა დავაკმაყოფილოთ ისინი. აღწერეთ თქვენი „საოცნებო კლასის“ მაქსიმალურად ზუსტი „ხედვა“, რაც შემდგომში ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის მთავარ მიზნად იქცევა.

აღწერეთ თქვენთვის სასურველი სასწავლო პროგრამა და სასკოლო გარემო. გაითვალისწინეთ ზემოთ ჩამოთვლილი რესურსები. რა სახის დახმარება გესაჭიროებათ თქვენ საზოგადოების, ადგილობრივი ხელისუფლების, განათლების სფეროს სახელმწიფო მოხელეებისაგან? როგორ შეგიძლიათ ამ დახმარების მიღება? ვის შეუძლია დახმარების განწევა? როგორ უნდა ჩაერთონ პროცესში ბავშვები? გაკეთეთ ჩანაწერები. ეს დაგეხმარებათ თქვენი „ხედვის“ გააზრებაში.

ჩამოაყალიბეთ სკოლაში ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის გეგმა

შეიმუშავეთ აქტივობების განრიგი ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისა და განვითარებისათვის. დეტალურად აღწერეთ საჭირო ცვლილებები და მათი განხორციელების ვადები. ასევე შეადგინეთ საჭირო მასალების, მომსახურების, პიროვნებებისა და რესურსების ჩამონათვალი. თქვენი გეგმა უნდა ასახავდეს ამა თუ იმ ცვლილების რეალისტურ ვადებს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს, თუმცა ასევე უნდა ოყოს მოქნილი, რათა საჭიროების შემთხვევაში შეიძლებოდეს მისი შეცვლა.

მხედველობაში იქონიეთ გონება და გული. განავითარეთ პროცესი იმგვარად, რომ ცვლილებები ორი მიმართულებით განხორციელდეს: ერთის მხრივ ანალიზითა და დაგეგმვით და მეორეს მხრივ ადამიანების გონებასა და გულში მომხდარი ცვლილებებით. რა უნდა გააკეთოთ იმისათვის, რომ ასეთი ცვლილებები შესაძლებელი გახდეს? ამ მხრივ მნიშვნელოვანია მშობლებისა და საზოგადოების წევრების ჩართვა სასკოლო ცხოვრებაში, რამდენადაც ისინი უკეთ გაეცნობიან ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს უპირატესობებს და დაგეხმარებიან თქვენ სასწავლო პროცესის წარმართვაში.

განახორციელეთ თქვენი გეგმა

საჭიროების შემთხვევაში, დახმარება გაუწიეთ პერსონალს. იმ შემთხვევაში თუ საჭიროა ისეთი სახის ტექნიკური დახმარება, როგორცაა სემინარები და სპეციალური საკითხების განხილვა, განსაზღვრეთ რა სახის დახმარებას განევა საჭირო, ვინ განახორციელებს, როგორ და რა სიხშირით იქნება განხორციელებული?

სკოლის პერსონალს და მოსწავლეებს ჩაუტარეთ ტრენინგები ბავშვთა უფლებების საკითხებზე, რაც მოიცავს განათლებას, გენდერულ თანასწორობას, კულტურულ და ენობრივ განსხვავებულობას და მსგავსებას, შეზღუდულობის გაგებას, სპეციალურ მზრუნველობასა და პიროვნულ პასუხისმგებლობას.

პოპულარიზაცია გაუწიეთ მშობელთა ჩართულობას. დამგეგმავმა გუნდმა უნდა განავითაროს მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაციის სისტემა. ვინ იქნება პასუხისმგებელი მშობლებთან რეგულარულ ურთიერთობაზე? მშობელთა წვლილი სერიოზულად უნდა იქნას დაფასებული და განხილული პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების დროს.

შეფასეთ თქვენი გეგმა და აღნიშნეთ წარმატება

ანარმოეთ პროცესის მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში შეცვალეთ თქვენი გეგმები. ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს გუნდი არის სასწავლო წლის განმავლობაში მომუშავე რესურსი. მოამზადეთ შეხვედრების განრიგი. განსაზღვრეთ, როგორ ჩატარდება მონიტორინგი და ვინ განხორციელებს მას. დააკვირდით, როგორ მიმდინარეობს არსებული პროგრამა; გადაწყვიტეთ, ადექვატურია თუ არა არსებული დახმარება, საჭიროა თუ არა მისი გაუმჯობესება ან შესუსტება.

აღნიშნეთ თქვენი წარმატება! მნიშვნელოვანი წარმატების მიღება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პროცესში ჩართულია ადამიანური და მატერიალური რესურსები, აღნიშვნის ღირსია! იმ შემთხვევაში, თუ თქვენი საქმიანობის თითოეულ ნაბიჯში ჩართული იყო საზოგადოება, მისი წარმომადგენლები აუცილებლად მოინვიეთ წარმატების აღსანიშნავად გამართულ ისეთ ღონისძიებებზე, როგორცაა: გამოფენა, ფესტივალი, „ღია კარის დღე“ და ა.შ. ღია კარის დღეზე, სადაც წარმოდგენილი იქნება როგორც ბავშვების, ასევე მასწავლებლების წარმატებები, (სწავლებისა და შეფასების ახალი უნარ-ჩვევები) მოინვიეთ მშობლები, საზოგადოებისა და განათლების სფეროს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლები.

მონიტორინგი

რა განსხვავებას ვქმნით ჩვენ? ხდებიან ჩვენი საკლასო ოთახები და სკოლები მეტად ინკლუზიური და სწავლისადმი კეთილგანწყობილი? იმისათვის, რომ გავიგოთ, რამდენად წარმატებით ვახორციელებთ პროცესს, პასუხი უნდა გავცეთ ორ მთავარ კითხვას:

1. ვართ ჩვენ იმგვარად „ინკლუზიური და სწავლისადმი კეთილ-

განწყობილი", როგორც ჩვენ ამას ვკვებავდით? (როგორ შეგვიძლია გაუმჯობესება და რა გავაკეთეთ?)

2. რა სხვაობა მივიღეთ, განსაკუთრებით სწავლის მხრივ?

თქვენ შეგიძლიათ ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს პროცესისა (1) და შედეგების (2) როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური შეფასება. სკოლის სხვა პერსონალთან ერთად შეგიძლიათ შიდა არაფორმალური შეფასების ჩატარება და შემდგომში მიღებული ინფორმაციის გამოყენება თქვენს პროგრამაში საჭირო ცვლილებების შესატანად. არაფორმალურ შეფასებათან ერთად, გონივრული იქნება თუ ფორმალური შეფასებისათვის რეგულარულად მონივევთ გარეშე მეურვეს. ასეთი შეფასება იქნება სკოლის აკრედიტაციის შენადგენელი ნაწილი. კარგ შედეგს იძლევა ღია კარის დღეზე მონეული მშობლების მიერ სპეციალური კითხვარის შევსება სკოლაში არსებული მდგომარეობის (რესურსები და სწავლება) შეფასების შესახებ. ხშირად მათი რეკომენდაციები მეტად სასარგებლოა. ასევე გახსოვდეთ, რომ ბავშვები თავად არიან კარგი შემფასებლები. კითხეთ მათ აზრი!

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შეფასების კითხვარი შეიძლება გამოყენებული იქნას მონიტორინგის ერთ-ერთ ხერხად, რომელიც საშუალებას მოგცემთ შეაფასოთ თქვენი სკოლის მიღწევები ერთი, ორი და მეტი წლის განმავლობაში.

აღნიშნული კითხვარის გარდა ქვემოთ მოცემულია ინფორმაციის შეგროვების ხუთი გზა.

1. **აწარმოეთ დღიურები და ჩანაწერები:** თქვენ შეგიძლიათ აწარმოოთ თვის განმავლობაში ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის პროცესში მომხდარი მიღწევების მოკლე დღიური, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სკოლაში განხორციელებულ აქტივობებზე, ჩატარებულ შეხვედრებზე. კლასის მორიგეებმა ან სხვა მოსწავლეებმა შესაძლოა ასევე აწარმოონ მარტივი დღიურები მომხდარი მოვლენების შესახებ და განიხილონ ისინი მასწავლებლებთან და სხვა მოსწავლეებთან ერთად ყოველი

თვის ბოლოს. რეგულარული ვიზიტებისა და ჩანაწერების გაკეთება შეუძლიათ ასევე მშობლებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს.

2. **ესაუბრეთ სხვებს:** ასეთი საქმიანობა ძირითადად არა-ფორმალური სახით ხორციელდება, თუმცა ზოგჯერ სასაუბროდ განსაკუთრებული ღონისძიებების დაგეგმვაც დაგჭირდებათ. შეიძლება გამოიყენოთ შეკითხვებისა და პასუხების ჩანაწერთა ჩამონათვალი. ისაუბრეთ ხალხთან, მშობლებთან, სხვა მასწავლებლებთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. თქვენთვის მნიშვნელოვანია დასვით არა ისეთი შეკითხვები, რომელზეც თქვენთვის სასურველ პასუხს მიიღებთ, არამედ შეკითხვები, რომელიც ინფორმაციის მოპოვებასა და აზრის გამოტანაში დაგეხმარებათ.
3. **მიიღეთ ცოდნა და უნარ-ჩვევები გამოცდილებიდან:** როგორ მოქმედებენ სხვა მასწავლებლები და რა იცით თქვენს სკოლაში ჩართული სხვადასხვა კატეგორიის მოსწავლეების შესახებ? შეიძლება სთხოვოთ სხვა მასწავლებლებს დაწერონ მოკლე თხზულება თუ რა იციან მათ და რისი სწავლა სურთ კიდევ. ასეთი სახის საქმიანობა სასარგებლოა მოსწავლეებისათვისაც.
4. **დააკვირვება:** ვის და რას უნდა დავაკვირდეთ? უფროსი მასწავლებელი (კლასის დამრიგებელი) უნდა აკეთებდეს ჩანაწერებს კლასში მასწავლებლის აქტივობების შესახებ. ასევე გუნდური მუშაობის დროს მნიშვნელოვანია ურთიერთდაკვირვება. მასწავლებლებს შეუძლიათ დააკვირდნენ სხვადასხვა კლასის მოსწავლეებს, გააკეთონ ჩანაწერები და კომენტარები, რომელთაც პერიოდულად განიხილავენ ჯგუფებში.
დააკვირდით თქვენს გარშემო მდებარე შენობებს და გარემოს.

მოახდინა თუ არა რაიმე გავლენა ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნისათვის ჩატარებულმა აქტივობებმა თქვენს სკოლაზე? არის ის „ბარიერებისაგან თავისუფალი“? არის თუ არა სათამაშო მოედნები ყველა ბავშვისათვის მისაწვდომი?

დააკვირდით ცვლილებებს მოსწავლეებსა და მათ ქცევებში. არის თუ არა ცვლილება იმაში, თუ როგორ ეხმარებიან ისინი ერთმანეთს?

5. **დოკუმენტაცია:** გადახედეთ ისეთ სასკოლო დოკუმენტაციას, როგორცაა საინფორმაციო ფურცლები, მშობელთა წერილები, მიღწევათა ჩანაწერები, სასწავლო და გაკვეთილის გეგმები. ასახავენ თუ არა მშობლებისა და საზოგადოებისათვის მისაწვდომი თქვენი წერილობითი დოკუმენტები იმ ფაქტს, რომ თქვენ მუშაობთ სკოლაში ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შესაქმნელად? ასახავენ თქვენი პედაგოგების გაკვეთილის გეგმები ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს მოთხოვნებს?

ინკლუზიური, სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა დროს მოითხოვს, თუმცა თუ „განათლება ყველასათვის“ რეალობად უნდა იქცეს, ინკლუზიური სწავლისადმი კეთილგანწყობილი გარემო მისი განხორციელების „ერთადერთ“ გზას წარმოადგენს. ის მოითხოვს თავდადებას, მძიმე შრომას და ახალი ცოდნის ათვისებისადმი პოზიტიურ განწყობას. ყოველივე ამას კი, მოაქვს კმაყოფილება იმის გაცნობიერების გამო, რომ სულ უფრო ნაკლები ბავშვი რჩება გარიყული სკოლიდან.

სწავლის უნარის დაქვეითება

1 ზოგადი ასაქმტავი

განათლების სისტემის რეფორმის ფონზე ბოლო წლებში სპეციალისტებისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ინკლუზიური განათლება, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვას და ჩვეულებრივი განვითარების ბავშვებთან ერთობლივ სწავლებას გულისხმობს. თავდაპირველად, მთავარი აქცენტი გაკეთდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებზე, რამდენადაც მრავალი წლის მანძილზე ისინი პრაქტიკულად იზოლირებული იყვნენ თანატოლებისაგან. დღეისათვის შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე ბავშვები რამდენიმე საპილოტე სკოლაში რეალურად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში.

ინკლუზიური განათლების არსის უფრო ფართე გაგება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა ბავშვის (სოციალურად დაუცველი, ობოლი, „ქუჩის“, რელიგიური, კულტურული ნიშნით განსხვავებული ბავშვები) ჩართვას სასწავლო პროცესში. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჯგუფს განეკუთვნებიან აგრეთვე სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები. ხშირად, მათ ნათლავენ „ზარმაც“, „უზრდელ“ ბავშვებად. პედაგოგები არ ფლობენ ინფორმაციას, რომ ამ კატეგორიის ბავშვების მიმართ სპეციალური მიდგომა და განსაკუთრებული სასწავლო სტრატეგიების გამოყენება სჭირდებათ.

რა არის სწავლის უნარის დაქვეითება?

სწავლის უნარის დაქვეითება არის ნევროლოგიური სახის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობაზე აღიქვას, გაიაზროს, დაიმახსოვროს და გადაცეს ინფორმაცია. იგი არ ატარებს ერთსახად შეზღუდვის ხასიათს და შეიძლება განმარტებული იქნას როგორც ჩავარდნა პიროვნების ინტელექტსა და მის ასაკობრივ კატეგორიაში მიღწეულ უნარ-ჩვევებს შორის.

რა უნდა ვიცოდეთ სწავლის უნარის დაქვეითებაზე?

- სწავლის უნარის დაქვეითება რეალობაა. შესაძლოა ადამიანს, რომელსაც არა აქვს მთავარი სენსორული დარღვევები (როგორცაა მხედველობა და სმენა) და აქვს საშუალო ან საშუალოზე მეტი ინტელექტი, უჭირდეს სწავლა და თავისი ასაკისათვის შესაბამისი ყოველდღიური აქტივობების შესრულება.
- სწავლის უნარის დაქვეითება არ არის გონებრივი ჩამორჩენა, აუტიზმი, სმენის სრული დაკარგვა, უსინათლობა, ქცევითი დარღვევები ან სიზარმაცე. სწავლის უნარის დაქვეითება არ არის გამოწვეული ეკონომიკური პრობლემებით, მას არ განაპირობებს გარემო და კულტურული ფაქტორები.
- სწავლის პროცესის ყველა პრობლემა არ უკავშირდება

სწავლის უნარის დაქვეითებას. ბევრ ბავშვში ამა თუ იმ უნარ-ჩვევის გამომუშავება ხდება ნელ-ნელა, რამდენადაც ისინი განვითარების ტემპით ბუნებრივად განსხვავდებიან. ზოგჯერ საქმე გვაქვს არა სწავლის უნარის დაქვეითებასთან, არამედ მხოლოდ მოგვიანებით მომნიფებასთან.

- სწავლის უნარის დაქვეითებამ შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლისა და ფუნქციონირების პროცესზე. იგი შეიძლება წარმოიჩინდეს სხვა დარღვევებთან ერთად (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტიურობის სინდრომი, ინფორმაციის აღქმის დარღვევები.)
- არავისთვის არ არის ცნობილი წამალი ან საშუალება, რომელიც სწავლის უნარის დაქვეითებას კურნავს, თუმცა ამ მოვლენის შემსუბუქება შეიძლება სწავლის, განთავსებისა და მოდიფიცირების საშუალებით.

რა ინვესტს სწავლის უნარის დაქვეითებას?



ექსპერტები ვერ იძლევიან ზუსტ პასუხს, თუ რა ინვესტს სწავლის უნარის დაქვეითებას. ეს შეიძლება იყოს:

- **მემკვიდრეობითი** – ხშირად სწავლის უნარის დაქვეითებას ოჯახური ისტორია აქვს. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეების მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს ხშირად თავადაც აქვთ ანალოგიური პრობლემა;
- **პრობლემები მუცლადყოფნისა და მშობიარობისას** – პრობლემები შეიძლება გამოწვეული იყოს მუცლადყოფნის ან მშობიარობის პროცესის გართულებით, ასევე ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მიღებით ფეხმძიმობის პერიოდში, ჟანგბადის ნაკლებობით, ადრეული ან დაგვიანებული მშობიარობით;
- **დაბადების შემდგომი ტრავმები** – თავის ტრავმები, კვების ნაკლებობა და ტოქსიკურ ნივთიერებებთან კონტაქტი.



როგორ ხდება სწავლის უნარის დაქვეითების პირველადი გამოვლენა?

აკადემიური სიმპტომები – ჯგუფურ ტესტებში კითხვისა და წერს პროცესში დაბალი შედეგები ვლინდება, ძნელდება დავალების შესრულების თანმიმდევრული საფეხურების დაცვა და სამუშაოს დასრულება.

შემეცნებითი სიმპტომები – სირთულეები ზომის, ფორმის, ფერის და დროის აღქმაში, სხეულის ფორმის დამახინჯებული აღქმა, სუსტი ორგანიზაციული უნარ-ჩვევები, სირთულე აბსტრაქტულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრაში.

ფიზიკური სიმპტომები – ზოგადი მოუქნელობა, სუსტი ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია, ჰიპერაქტიურობა, ზედმეტი აღზნებადობა, ყურადღების კონცენტრაციის ნაკლებობა.

ქცევითი/სოციალური სიმპტომები – იმპულსური ქცევა, გაუაზრებელი მოქმედება, მიდრეკილება ფრუსტრაციისადმი, მოუსვენრობა ძილის დროს, ზედმეტი აღზნებულობა ჯგუფური თამაშის დროს, გრძნობების არასწორი, ხშირად გადაჭარბებული გამოვლენა, ცუდი კონტაქტი თანატოლებთან, სიტუაციისათვის შეუფერებელი საქციელი, ზედმეტი მიმნდობლობა, ხასიათის რადიკალური ცვლებადობა, სირთულეები გარემოსთან შეგუებასა და გადანყვეტილების მიღებაში.

ფრუსტრაცია, შფოთვა, დაძაბულობა


სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა უმრავლესობისათვის დამახასიათებელია არასაარსებელი განცდები, როდესაც მასწავლებელი:

- სარკასტულია, რაც კლასში ინვეეს სიცილს და მსხვერპლის მდგომარეობაში აყენებს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს;
- იმდენად სწრაფად წარმართავს კითხვა-პასუხის პროცესს, რომ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს არა თუ უქრება მოხალისეობის სურვილი, არამედ ვერ პასუხობს მისთვის დასმულ შეკითხვასაც;
- აშინებს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს და მოითხოვს, რომ საუბრის დროს მან თვალბში უყუროს მასწავლებელს.

სირთულეები მეტყველების დარღვევაში

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვის მეტყველების სისწრაფეში არსებული სირთულეების დაძლევა მასწავლებლისაგან მოითხოვს:

- შედარებით დაბალი ტემპით ჩაატაროს საკლასო დისკუსიები, განსაკუთრებით კითხვა-პასუხი (მაგალითად, ჩამოთვალეთ



5 ქვეყანა, რომელსაც სწავლობთ. შემდეგ დანერეთ ეს დასახელებები დაფაზე, რაც საშუალებას მისცემს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს აღიქვას კითხვა. შემდეგ პირველი კითხვა დაუსვით სწორედ მას. მაშინ, როდესაც ყველა სხვა მოსწავლე ფიქრობს ხუთივე დასახელებაზე, შეიძლება სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვმა დაასახელოს მხოლოდ ერთი. მაშინ, როდესაც სხვა მოსწავლეები უკვე პასუხზე ფიქრობენ, სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვი ჯერ კიდევ კითხვის გააზრების პროცესშია);

- სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვი დაიცვას მოულოდნელობისაგან, შეუქმნას წინასწარი

რი მზაობა პასუხის გასაცემად. (მაგ. სხვა მოსწავლეების დაუსწრებლად შეუთანხმდეს მას, რომ კითხვას დაუსვამს მხოლოდ მაშინ, როდესაც დადგება მისი მერხის წინ)

რისკი

ზოგჯერ საკლასო ოთახში არსებული დაძაბული სიტუაციები იწვევს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლის აქტივობის შეფერხებას, რაც თავის მხრივ იწვევს:

- საკლასო დისკუსიებში მონაწილეობისაგან თავის არიდებას, რაც მცდარი პასუხის გაცემის შიშით არის გამოწვეული;

- სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვების იმ ზრდასრულ პიროვნებებზე ჩამოყალიბებას, რომელთაც უჭირთ ცვლილებების მიღება.

მხედველობითი აღქმა

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებში ვიზუალური აღქმის პრობლემები ართულებს მათ მიერ დანახულის დაუყოვნებლივ შემეცნებას (ისინი შესაძლოა ხედავდნენ, მაგრამ ვერ აღიქვამდნენ). პრობლემა მწვავედება, თუ მასწავლებლი:



- უფრო დაუინებით მოითხოვს მოსწავლისაგან გაიგოს ის, რისი აღქმაც მას უძნელდება;
- ცდილობს „მოისყიდოს“ მოსწავლე მისთვის ნაკლები საშინაო დავალების ან ვადამდე ადრე დასვენების უფლების მიცემით (მოტივაცია არ შევლის იმას, რისი გაკეთებაც ჩვენ არ შეგვიძლია);
- ცდილობს შეაშინოს მოსწავლე მისთვის დასვენების უფლების წართმევით; ადანაშაულებს სწავლის უნარის

დაქვეითების მქონე ბავშვს, რომ ის საკმარისად არ ცდილობს.

კითხვის დაუფლება

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ხშირად აქვთ პრობლემები კითხვის დაუფლებაში მაშინაც კი, როდესაც ისინი წინადადებაში ცნობენ ყველა ასოს. მათ შესაძლოა ქონდეთ დისლექსია ან არ გააჩნდეთ ის საფუძველი, რასაც წაკითხულის გაგება მოითხოვს.

ვიზუალურ-მოტორული კოორდინაცია

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს წერის პროცესში ბევრ პრობლემას უქმნის ვიზუალურ-მოტორული კოორდინაციის სირთულეები.

ზეპირმეტყველება

დამახსოვრებული ლინგვისტური ინფორმაციის გადმოცემის სირთულეს დისნომია ეწოდება.

ასეთი პრობლემის არსებობის დროს მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს პასუხისთვის დამატებითი დროის მიცემით, შინაარსიდან გამომდინარე კონკრეტული კითხვების დასმით.



კითხვა და დეკოდირება

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები ხშირად დისლექსიურები არიან, მათ არ შეუძლიათ ინფორმაციის ისევე სწრაფად დეკოდირება, როგორც ამას სხვები ახერხებენ.

აუდიო და ვიზუალური შესაძლებლობები

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს ინფორმაციის აღქმისათვის ხშირად ესაჭიროება მისი მოსმენა. ბევრი მათგანისათვის განსაკუთრებული სარგებლობა მოაქვს აუდიო ფირზე ჩანერილ ტექსტებს.



სამართლიანობა

მასწავლებლებმა უნდა გადახედონ ცნებას „სამართლიანი“. „სამართლიანი“ არ ნიშნავს, რომ ყველა ბავშვს ერთნაირად უნდა ექცეოდნენ, მაგრამ ყველა ბავშვმა უნდა მიიღოს ის, რაც მას ესაჭიროება.


რა უნდა გავაკეთოთ მოსწავლის დასახმარებლად?

მასალის წარდგენის მოდიფიცირება:

- დავყოთ დავალება სეგმენტებად ან მცირე დავალებებად;
- ნაწყვეტის სწავლებამდე მთავარ კონცეფციებთან დაკავშირებით მივანოდოთ კონკრეტული მაგალითები;
- გაკვეთილის დაწყებამდე მივანოდოთ მისი მიმოხილვა (სასურველია ვიზუალური, სქემატური სახით);
- ინსტრუქტირების პროცესში მონიტორინგი გავუწიოთ მოსწავლის მიერ მეტყველების დაუფლებას;
- ახალი მასალის წარდგენამდე გავაკეთოთ წინა გაკვეთილის შედეგობრივი მიმოხილვა, რაც მოსწავლეს დაეხმარება წინა გაკვეთილზე მიღებული ცოდნის განმტკიცებაში;
- ხაზგასმით გამოვყოთ ტექსტში სასწავლად მნიშვნელოვანი ელემენტები;
- მონიტორინგი გავუწიოთ მასალის გადმოცემის ხარისხს;
- მასალის დაუფლებისას მოვითხოვოთ ვერბალური პასუხები;
- ხშირ-ხშირად შევახსენოთ საშინაო დავალება;
- საშინაო დავალების შესასრულებლად მივცეთ მკაფიო, გამოკვეთილი მიმართულება და კონკრეტული მაგალითები;
- მივცეთ მოსწავლეს მისთვის დასაძლევე მასალა;
- დავრთოთ ტექსტის ზეპირად ჩაბარების უფლება;
- შევამოწმოთ საშინაო დავალების შესრულების აკურატულობა.

გარემოს მოდიფიცირება:

- მოსწავლე დავსვათ ისეთ ადგილას, სადაც ნაკლებად არის ყურადღების გაფანტვის გარეშე მიზეზები, მაგ. აუდიო



და ვიზუალური გამლიზიანებლები; შეეუწიოთ მისთვის საუკეთესო ადგილი ან უფლება მიეცეთ მოსწავლეს თავად შეარჩიოს ადგილი;

- მოსწავლის სამუშაო ფართობი გავათავისუფლოთ არასაჭირო ნივთებისაგან;
- მონიტორინგი გავუწიოთ სტუდენტის მიერ დავალების შესრულებას;
- მიეცეთ მოსწავლეს მოძრაობის საშუალება.

დროის მოდიფიცირების მოთხოვნები:

- გაზარდეთ დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დროის ინტერვალი;
- შეამცირეთ შესასრულებელი სამუშაოს ან ტესტის მოცულობა;
- გასაზღვრეთ საშინაო დავალებების პრიორიტეტულობა და შესრულების ეტაპები;

- შენაცვლეთ მუშაობისა და შესვენებების ინტერვალები, ან შეცვალეთ დავალება;
- სისტემატიურად შეასრულეთ სპეციფიკური რუტინული აქტივობები; შენაცვლეთ აქტიური და მშვიდი სახის დავალებები;
- დააწესეთ ლიმიტირებული დრო კონკრეტული დავალებების შესასრულებლად.

მასალების მოდიფიცირება:

ვიზუალურ – მოტორული ინტეგრაცია და წერილობით გამოხატვის პრობლემები

- ნუ მიაქცევთ ყურადღებას მართლწერის შეცდომებს;
- მოსწავლეს დართეთ ნება გამოიყენოს ბექდური ან გადაბმული ასოები;
- აკურატულობის მისაღწევად დასახეთ რეალისტური და ორმხრივად შეთანხმებული მოლოდინები;
- ნება მიეცით მოსწავლეს დაბეჭდოს, ფირზე ჩაწეროს ან წერის ნაცვლად ზეპირად ჩაგაბაროთ გამოცდა;
- ზედმეტად ნუ გააკეთებთ აქცენტს დავალების სწრაფ და აკურატულ შესრულებაზე;
- რთული წინადადებების ნაცვლად, მიიღეთ მოკლე პასუხი მთავარი სიტყვების გამოყენებით.

მასალების მოდიფიცირება:

ვიზუალური აღქმის პრობლემები

- გამოყავით სასწავლად აუცილებელი ინფორმაცია;
- მიანოდეთ მკაფიო და კარგად ჩამოყალიბებული სავარჯიშოების ფურცელი;
- დაუბრუნდით ვიზუალურ დავალებას და დარწმუნდით, რომ მოსწავლეებმა თავიდანვე კარგად გაიგეს დავალების ყველა დეტალი;
- შეეცადეთ მოსწავლეს არ დაჭირდეს დავალების დაფიდან გადაწერა;
- მოსწავლეებს მიეცით საშუალება დავალების შესრულების

დანყვამდე სიტყვიერად გადმოგცენ მისი შესრულების ინსტრუქციები;

- ეცადეთ არ გამოიყენოთ გადატვირთული, უნესრიგოდ შედგენილი სავარჯიშოების ფურცელი, (დავლების მცირე ბლოკებად დაყოფა, სამუშაო ფურცლის დაყოფა სექციებად, აკინძული ფურცლები, ფერადი კოდირება ან ხაზგასმა).

მასალების მოდიფიცირება:

მეტყველების აღქმის პრობლემები

- ვერბალურის ნაცვლად გამოიყენეთ წერილობითი ღირეტივები;
- შეანელეთ მასალის წარდგინების სისწრაფე;
- გაკეთეთ მოკლე, საკითხთან პირდაპირ დაკავშირებული განაცხადები;
- ეცადეთ არ გამოიყენოთ აბსტრაქტული ენა, მეტაფორები, იდიომები და სიტყვათა თამაში;
- შეეცადეთ მოსწავლესთან დაამყაროთ უკუკავშირი, რათა შეამოწმოთ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის აღქმა;
- გაკვეთილის დანყვამდე მოსწავლეს გააცანით ახალი სიტყვები და ლექსიკონი, რომელსაც იყენებთ;
- ეცადეთ შეამცროთ გარეშე ხმები: რადიო, ტელევიზორი, ქუჩიდან შემოსული ხმაური;
- მთავარ საკითხებზე საუბრის დანყვამდე მიიზიდეთ მოსწავლის ყურადღება;
- შესაძლებლობის შემთხვევაში გამოიყენეთ მანიპულაციური, აქტიური ქმედებები;
- ყოველთვის ეცადეთ ახალი მასალა თვალნათლივ დაუკავშიროთ უკვე ნასწავლ ინფორმაციას;
- დაასახელეთ მოსწავლის სახელი კითხვის დასმამდე.

მასალების მოდიფიცირება:

ორგანიზაციული პრობლემები

- ჩამოაყალიბეთ ყოველდღიური რუტინული აქტივობები;
- ჩამოაყალიბეთ მკაფიო წესები და სისტემატიურად დაიცა-

ვით ისინი;

- გამოიყენეთ ნახალისების მეთოდი ურთიერთშეთანხმებული პირობის შესრულებისათვის;
- განსაზღვრეთ წერიტი დავალების ჩაბარების დღე;
- გამოყავით სპეციალური ადგილი დასრულებული დავალების ჩასაბარებლად.

ჯგუფებისა და თანატოლების ჩართვა:

- საჭიროების შემთხვევაში გამოიყენეთ კოოპერაციული სასწავლო სტრატეგიები;
- წახალისეთ თანატოლების მიერ სწავლის დაქვეითების მქონე მოსწავლის დახმარება, რომელიც დაფუძნებული იქნება არა უპირატესობის, არამედ თანამშრომლობის პრინციპებზე;
- აირჩიეთ დამხმარე თანატოლი, რომელიც შეამონმებს მოს-



წავლის მიერ მინოდებული მასალის აღქმას;

- აირჩიეთ დამხმარე თანატოლი, რომელიც ნაუკითხავს მოსწავლეს მნიშვნელოვან ინსტრუქციებსა და მთავარ ინფორმაციას;
- აირჩიეთ მეურვე თანატოლი, რომელიც ჩაინერს მოსწავლის მიერ ნაკარნახევ ინფორმაციას.

დახმარება ყურადღების ფოკუსირებაში:

- ეცადეთ შექმნათ სწავლის მოტივაცია და პროცესი დაუკავშიროთ წინა გამოცდილებას;
- დასვით მოსწავლე მასწავლებელთან ახლოს;
- გამოთქვით პირადი პოზიტიური კომენტარი ყოველთვის, როდესაც მოსწავლე გამოხატავს სწავლისადმი ინტერესს;
- ხშირად შეამოწმეთ დავალების შესრულების პროგრესი – დასრულება;
- გამოიყენეთ ფიზიკური სიახლოვე, ხელის მსუბუქი შეხებით დაეხმარეთ მოსწავლეს ფოკუსირებაში.

როგორ დავეხმაროთ მოსწავლეს, რომელსაც არ სურს სამუშაოს დაწყება?

- მოსწავლეს მიეცით პერსონალური შეტყობინება მუშაობის დაწყებისათვის;
- დავალება დაყავით პატარა ნაწილებად;
- დარწმუნდით, რომ წიგნები და სხვა მასალები გადაშლილია საჭირო გვერდზე;
- შეამოწმეთ რამდენად სწორად გაიგო მოსწავლემ ინსტრუქციები;
- პირველი ხუთი წუთის განმავლობაში ხშირად შეამოწმეთ დავალების შესრულების მიმდინარეობა;
- ყოველი დავალების შესასრულებლად შეარჩიეთ მოსწავლისათვის ოპტიმალური დროის ინტერვალი;
- დიდი, დეტალური დავალების შესრულების დროს მოსწავლე უზრუნველყავით ჩამონათვალის სიით.

მოქმედება არასწორი ქცევის დროს:

- ჩამოაყალიბეთ კლასში მოქცევისა და მოსწავლეთა ქცევაზე რეაგირების მკაფიო და ზუსტი წესები;
- მოქცევის წესები ჩამოაყალიბეთ ვიზუალური სახით და განათავსეთ მოსწავლეების მუდმივი მხედველობის არეში;
- ზუსტად და მუდმივად დაიცავით წესები;
- ეცადეთ თავიდან აიცილოთ კონფლიქტური სიტუაციები;
- უზრუნველყავით მოსწავლეები ალტერნატივით;
- დასახეთ აქტივობები, რომელიც მოძრაობას მოითხოვს;
- ხშირად შეაქეთ მოსწავლე;
- საკლასო ოთახში გამოყავით ადგილი ხანმოკლე შესვენებისათვის;
- გქონდეთ ხშირი ურთიერთობა მშობლებთან;
- გაგებით მოეკიდეთ მოსწავლეს და ყურადღება მიაქციეთ მასში ფრუსტრაციის ნიშნების გამოვლინებას;
- თანატოლების დასწრების გარეშე, პირადად ესაუბრეთ მოსწავლეს მისი არასწორი საქციელის შესახებ.

ბ

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და სასწავლო სტრატეგიები

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მნიშვნელოვან ნაწილს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები წარმოადგენენ. მათ ახასიათებთ კითხვის, წერის, მათემატიკური უნარ-ჩვევების ათვისების პრობლემები და ხშირად ყოველგვარი სპეციალური საგანმანათლებლო დახმარების გარეშე რჩებიან. ეს პრობლემები უმეტესად სიზარმაცეს მიეწერება, არ ხდება მათი უნარების შეფასება და შეფასების შედეგად ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების განსაზღვრა.

დღეს, როდესაც ინკლუზიური განათლება განათლების სისტემის ერთ-ერთი პრიორიტეტად მოიაზრება, მიგვაჩნია, რომ დროა დავინყუთ საუბარი იმ მოსწავლეებზე, რომელთაც მიუხედავად „ფიზიკური ჯანმრთელობისა“, ახასიათებთ სწავლის უნარის დაქვეითება.


სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები და მათი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები

ისევე როგორც ქცევის დარღვევის, სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეებსაც ხშირად ახასიათებთ სერიოზული ემოციური დარღვევები, მსუბუქი კოგნიტური პრობლემები. ასეთი მოსწავლეების აკადემიური და სოციალური მახასიათებლები ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. მათ მნიშვნელოვანი სირთულეები აქვთ, როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე საკლასო ოთახში მოქცევის წესების ათვისებასა და თანატოლებთან ურთიერთობაში. მიუხედავად აღნიშნულისა, სწავლის პროცესში მათი შესაძლებლობები ხშირად განსხვავებულია. ამდენად, სხვადასხვა შეზღუდვის მქონე ბავშვებთან მუშაობისას თავიდან უნდა ავიცილოთ ე.წ. „მზა იარაღის“ გამოყენება. ყოველი მოსწავლის რეალური შესაძლებლობები უნდა შეფასდეს და შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოხდეს სასწავლო მასალისა და გარემოს ადაპტირება. ინდივიდუალური მიდგომა წარმოადგენს მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვის სტრატეგიის მთავარ აზრს.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ხშირად განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვთ. მათ უჭირთ კითხვის, მათემატიკის, წერის სანყისი უნარ-ჩვევების დაუფლება, არ აქვთ განვითარებული სწავლის პროცესისათვის ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევები, როგორცაა დავალებაზე ყურადღების გამახვილება, დამახსოვრება, დამოუკიდებელი მუშაობა, მეტყველება და განზოგადება, მოტორიკა და სასკოლო ყოფაქცევის უნარ-ჩვევები.

კითხვის უნარ-ჩვევები:

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს კითხვის დაუფლებაში ორი ძირითადი პრობლემა ახასიათებთ: დეკოდირება და აღქმა. დეკოდირების პრობლემა მოიცავს სიტყვების ზუსტ და მკაფიო აღქმას. ეს ყველაზე ხშირად გამოიხატება კითხვის პროცესში, როდესაც მოსწავლე არასწორად წარმოთქვამს, ტოვებს ან ერთმანეთს ანაცვლებს სიტყვებს. კითხვის დაუფლებაში პრობლემის მქონე მოსწავლეები სიტყვებს სწორად



კითხულობენ, თუმცა მათ სწორად ვერ აღიქვამენ. ისინი კითხულობენ ნელა, თითო-თითო სიტყვას და ვერ ახერხებენ მათ აზრობრივად დაჯგუფებას. მოსწავლეებს, რომელთაც წაკითხულის დეკოდირების სერიოზული სიძნელეები აქვთ, ახასიათებთ დისლექსია (Dyslexia).

რა არის დისლექსია?

დისლექსია ხშირად განისაზღვრება, როგორც მეტყველებაზე დაფუძნებული სწავლის უნარის დაქვეითება და წარმოადგენს მის ყველაზე გავრცელებულ ფორმას. განასხვავებენ დისლექსიის სხვადასხვა ხარისხს. პროგნოზი დამოკიდებულია

დაქვეითების ხარისხზე, ინდივიდის სუსტ და ძლიერ მხარეებზე, მისთვის განუღი დახმარების ეფექტურობაზე. დისლექსია არ წარმოადგენს მოტივაციის ნაკლებობის, სენსორული დარღვევების, არაადექვატური ინსტრუქციების, დაბალი ინტელექტისა და შეზღუდულ გარემო შესაძლებლობების შედეგს. მას აქვს ნევროლოგიური ხასიათის საფუძველი, რომელსაც ხშირად ოჯახურიდან მემკვიდრეობით იღებენ. დროული და ეფექტური დახმარების შემთხვევაში დისლექსიის მქონე მოსწავლეები კარგ შედეგებს აღწევენ.

რატომ არის შეფასება მნიშვნელოვანი და როდის უნდა ჩატარდეს იგი?

ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, როდესაც დისლექსიაზე გვაქვს ეჭვი, უნდა მოხდეს მოსწავლის მდგომარეობის შეფასება, რაც პრობლემისა და სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებათა

უკეთ განსაზღვრის საშუალებას იძლევა. შეფასება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისათვის შესაბამისი ტესტების გამოყენებით. დაბალ ასაკობრივ ჯგუფში უნდა შეფასდეს მოსწავლის მიერ ბგერისა და შესაბამისი სიმბოლოს დაკავშირების უნარი, მეტყველების აღქმის, ზეპირმეტყველების შესაძლებლობები, ფონოლოგიური ანალიზისა და ფონოლოგიური სინთეზის შესაძლებლობები (მაგ. მოსწავლე ვერ ახერხებს სიტყვიდან ბგერის დიფერენცირებას, სიტყვიდან „სკო – ლა“ ბგერა კ-ს გამოყოფა; ბგერების, მარცვლების ერთ სიტყვად გათლიანებას, როგორცაა სკო – ლა, სკოლა) პრობლემის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა მოხდეს ეფექტური ჩარევა.


ვის შეუძლია მოსწავლის შეფასება?

შეფასება შეიძლება ჩატარდეს როგორც ერთი პროფესიონალის, ასევე სპეციალისტთა გუნდის მიერ. მათ აუცილებლად უნდა ქონდეთ ფსიქოლოგიის ცოდნა და განათლების სფეროში მიღებული გამოცდილება. გამომცდელი კარგად უნდა იცნობდეს წერა-კითხვის დაუფლების პროცესის მიმდინარეობას და უნდა შეეძლოს ეფექტური დახმარებისა და რეკომენდაციების განსაზღვრა. არ არსებობს ერთი ცაკლე ტესტი, რომელიც გამოიყენება მოსწავლის შეფასებისათვის. ტესტები შეირჩევა იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეიძლება გაიზომოს მისი შედეგები და იძლევა თუ არა შესაბამისი რეკომენდაციების განსაზღვრის საშუალებას. მიუხედავად სხვადასხვა ტესტების გამოყენებისა, უცვლელი უნდა რჩებოდეს შეფასების ძირითადი კომპონენტები. ძირითადად გამოყენებული უნდა იყოს მეტყველების აღქმის, აზრის ზეპირად და წერილობით გადმოცემის უნარის, ინტელექტუალური ქმედითობის, კოგნიტური აღქმისა და საგანმანათლებლო მიღწევების შეფასებაზე მიმართული ტესტები.

რატომ არის აუცილებელი დახმარება დისლექსიის დროს?

დისლექსია ბავშვებსა და მოზარდებში ხშირად ხდება ისეთი ემოციური პრობლემების მიზეზი, როგორცაა გაუცხოება, სიბრაზე, დეპრესია. ხშირად მასწავლებელს და მშობელს მიაჩნია, რომ მოსწავ-

ლე „ნიჭიერია, მაგრამ საკმარისად არ ცდილობს“. სინამდვილეში კი არავინ იცის, თუ რა ძალისხმევას მოითხოვს მოსწავლისაგან მასალის ათვისება. დისლექსიის მქონე მოსწავლეებს პრობლემები ხშირად სოციალურ ურთიერთობებშიც უჩნდებათ. ისინი თავიანთ თანატოლებთან შედარებით სოციალურად მოუმწიფებელი არიან, რაც მათში დაბალ თვითშეფასებას აყალიბებს.




წაკითხულის აღქმა

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ასევე ახასიათებთ წაკითხული მასალის აღქმის პრობლემა. დაწყებით კლასებში ეს ეხება პატარა მოთხრობებს, ხოლო მაღალ კლასებში სახელმძღვანელოებში მოყვანილ ტექსტურ მასალას და დამატებით ლიტერატურას. ეს სირთულეები ნაწილობ-

რივ წარმოიშვება დეკოდირების ცუდად განვითარებული უნარის გამო და ასევე იმით, რომ მოსწავლეები ვერ ფლობენ ტექსტურ მასალაში მთავარი ელემენტების განსაზღვრის შესაძლებლობას. მაგ. მოთხრობის წაკითხვის შემდეგ მოსწავლე ვერ პასუხობს კითხვებს, თუ სად ვითარდება მოქმედება ან რა არის მოთხრობის არსი? ამ შემთხვევაში მიზეზი ისაა, რომ წაკითხულ მასალაში პირდაპირ არ იყო მითითებული პასუხები, ხოლო მოსწავლემ თავად ვერ შეძლო მათი განსაზღვრა.

წერის უნარ-ჩვევები

წერის უნარ-ჩვევების შეზღუდვას დისგრაფია ეწოდება. ტერმინი დისგრაფია ზოგადად გამოიყენება ცუდი კალიგრაფიის შემთხვევაში და აზრის წერილობით გადმოცემის პრობლემებთან მიმართებაში. ხშირად საკამათო ხდება, განეკუთვნება თუ არა დისგრაფია სპეციალური განათლების სფეროს. დისგრაფია ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მოსწავლეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს. თუმცა, სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს წერის უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში აქვთ გარკვეული პრობლემები, რომელთა შორის მთავარი კალიგრაფია, მართლწერა და აზრის წერილობით გადმოცემა.



კალიგრაფიის პრობლემები შესაძლოა გამოწვეული იყოს ნაკლებად განვითარებული ნატიფი მოტორული კოორდინაციით, ასევე ასოებისა და ციფრების ვიზუალური სახის არასწორი აღქმით და საკლასო ოთახში მიღებული არასაკმარისი ინსტრუქტიციებით. მოსწავლეებს ხშირად უჭირთ ასოების ფორმის, ზომის, დახრილობის ხაზის ზუსტი ფორმირება (ზედმეტად მუქი ან ბაცი ხაზები), ასოების სისწორისა და ინტერვალების დაცვა (ძალიან დიდი, ან პირიქით პატარა ინტერვალები სიტყვებს, ასოებსა და ხაზებს შორის). პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მოსწავლეებს უჭირთ, როგორც ბეჭდური, ასევე ასოების გადაბმით წერა.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეთა კიდევ ერთ პრობლემას მართლწერა წარმოადგენს. მოსწავლეები ხშირად ერთმანეთში ურევენ ისეთ ასოებს, როგორცაა „ხ“ და „ძ“, მ“ და „ნ“, „ც“ და „წ“.


სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს აზრის წერილობითი გადმოცემის ორი მთავარი პრობლემა აქვთ: პროდუქტული და პროცესუალური. მათი მზა პროდუქტი (ნაწერი მასალა) შეიცავს მოკლე, არასრულ, გაუმართავ წინადადებებს, ერთი და იმავე სიტყვის ხშირ გამეორებას. მასალა არ არის სტრუქტურულად გამართული, შეიცავს ბევრ მექანიკურ შეცდომას მართლწერის მხრივ: არასწორი ასოები, სასვენი ნიშნების არასწორი გამოყენება.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ აზრის წერილობით გადმოცემა. მთელ ძალისხმევას წერის მექანიკურ მხარეზე ხარჯავენ, (ასოების გამოყვანა, ინტერვალების დაცვა), არ აკეთებენ პაუზებს, რათა გაიაზრონ მათ მიერ დაწერილი ტექსტი და წინადადებები ერთმანეთს დაუკავშირონ.

მათემატიკური უნარ-ჩვევები

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეებს ხშირად პრობლემები აქვთ მათემატიკური უნარ-ჩვევების დაუფლებაში, რაც სხვადასხვა სახით ვლინდება:

1. *სივრცის ორგანიზება.* შესაძლოა მოსწავლეებს უჭირდეთ ციფრების სვეტებში განლაგება (ქვეშმინწერა), უკულმა წერდნენ



ციფრებს (მაგ. 6 და 9; 25 და 52) ან ქვეშმინერით გამოკლების დროს უშვებდნენ შემდეგი სახის შეცდომას:

$$\begin{array}{r} 75 \\ - 39 \\ \hline 44 \end{array}$$

2. **უყურადღებობა ვიზუალური ნიშნები-სადმი:** მოსწავლეები არასწორად კითხულობენ მათემატიკურ ნიშნებს, ან ავიწყდებათ სხვადასხვა სიმბოლოების და მათედების გამოყენება საჭიროების შემთხვევაში.
3. **პროცედურული თანმიმდევრობა:** დავალების შესრულებისას მოსწავლეებს მიმატება-გამოკლების დროს ავიწყდებათ გონებაში დამახსოვრებული ციფრის დამატება ან გამოკლება, მაგ:

$$\begin{array}{r} 29 \\ + 53 \\ \hline 72 \end{array} \quad \begin{array}{r} 41 \\ - 28 \\ \hline 23 \end{array}$$

4. **სირთულეები ერთი მოქმედებიდან მეორეზე გადართვაში:** მოსწავლეები ასრულებენ ერთი სახეობის დავალებას, მაგრამ

როდესაც საჭიროა სხვა სახის დავალებაზე გადართვა, ისინი განაგრძობენ მის შესრულებას ისევე, როგორც ასრულებდნენ წინა დავალებას. მაგ. მოსწავლემ დაასრულა მაგალითები მიმატებაზე და შემდგომში მას ხვდება მაგალითი გამოკლებაზე, იგი განაგრძობს ციფრების მიმატებას.

5. **სირთულეები ციფრების გრაფიკულ გამოხატვაში:** მოსწავლეები ხშირად წერენ უფორმო, დიდ ციფრებს, რაც კიდევ უფრო უძნელებს მათ დავალების შესრულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავად ვერ კითხულობენ საკუთარ დაწერილს.
6. **სირთულეები დამახსოვრებაში:** მოსწავლეებს ხშირად არ შეუძლიათ ძირითადი მათემატიკური წესების გახსენება.
7. **სირთულეები მათემატიკურ ანალიზსა და დასაბუთებაში:** მოსწავლეები შესაძლოა ვერ ხვდებოდნენ, რატომ არის მათი პასუხი არასწორი ისეთი მაგალითის ამოხსნისას, როგორცაა: $9-6=15$ ან $4+3=43$. მათ ასევე შესაძლოა უჭირდეთ ტექსტური მასალის აღქმა, ანუ ამოცანის პირობიდან ვერ მიხვდნენ, რომელი მათემატიკური მოქმედება არის შესასრულებელი.
8. **სირთულეები „მათემატიკური ენის“ დაუფლებაში:** მოსწავლეებს შესაძლოა არ ესმოდეთ ისეთი ძირითადი მათემატიკური ტერმინები, როგორცაა დაჯგუფება, გამოკლება, უჭირდეთ ზეპირი სავარჯიშოების ან მაგალითის ამოხსნის ლოგიკური თანმიმდევრობის სიტყვიერად ახსნა.

სწავლის უნარ-ჩვევები

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ იმ უნარ-ჩვევების გამომუშავება, რომელიც განაპირობებს სწავლისადმი მათ მზადყოფნას. ერთ-ერთ ასეთ უნარ-ჩვევას ყურადღება წარმოადგენს. მოსწავლეს შესაძლოა უჭირდეს დავალებაზე ყურადღების კონცენტრირება ან მასში მოცემული პირობის გაგება. *მაგალითი 1.* მოსწავლე ვერ ახერხებს ტექსტური დავალების დროულად შესრულებას იმიტომ, რომ ვერ აკეთებს ფოკუსს კითხვის მთავარ კომპონენტებზე და არ იცის როგორ დაიწყოს სამუშაო; *მაგალითი 2.* მოსწავლემ გამოტოვა გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებლის მიერ მიწოდებული მნიშვნელოვანი ინფორმაცია,

რადგან მას 5 წუთი დასჭირდა მასწავლებლისათვის ყურადღების მისაქცევად. მაგალითი 3. მოსწავლემ იცის, თუ რა ფერის ქამარი ან ყელსაბამი უკეთია მასწავლებელს, მაგრამ არ იცის თუ რაზე საუბრობს იგი. გარდა აღნიშნული მაგალითებისა, ხშირად სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს უჭირთ დავალებაზე კონცენტრირება მაშინაც კი, როდესაც დანყებული აქვთ მისი შესრულება.

დამახსოვრების პრობლემამ ასევე შეიძლება მოსწავლეებს შეუქმნას სირთულეები. ზოგჯერ პრობლემები წარმოიშვება ახალი მასალის ათვისებისას. მაგ. მოსწავლეს უჭირს ახალი მასალის გაგება, ზოგჯერ კი მრავალჯერ გამეორებულ მათემატიკურ მაგალითსაც ვერ იმახსოვრებს. მოსწავლეებს ასევე უჭირთ ნასწავლის დამახსოვრება, მაგ. მოსწავლემ ისწავლა მიმატების შესრულება შემოდგომაზე, მაგრამ გაზაფხულზე, ტესტირების დროს მას ნასწავლის მხოლოდ 50% ახსოვს და ბოლოს, ზოგჯერ მოსწავლე სწავლობს მასალას, თუმცა ვერ ახერხებს მისი გამოყენებას კონკრეტულ შემთხვევაში, მაგ. მოსწავლემ რესურს ოთახში ისწავლა ჩანანერების გაკეთება, თუმცა ამ ცოდნას ვერ იყენებს ჩვეულებრივ საკლასო ოთახში.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს, მიუხედავად ადექვატური მხედველობითი და სმენითი უნარ-ჩვევებისა, შესაძლოა უჭირდეთ ზეპირი და ვიზუალური ინფორმაციის ორგანიზება და განმარტება. მაგ. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეს ხშირად უჭირს ვიზუალური დავალების შესრულება: კითხვისას მას ხშირად ერევა სტრიქონები, ვერ ახერხებს დაფიდან მასალის გადმოწერას, სურათებზე, რუკებზე, ფოტოებზე ვერ ამჩნევს დეტალებს; მას ადვილად აბნევს დავალებათა ისეთი ფურცელი, სადაც დიდი რაოდენობით ვიზუალური ინფორმაცია არის მოთავსებული. ანალოგიურად მოსწავლეს შეიძლება პრობლემები ქონდეს სმენითი დავალებების შესრულებაში, როდესაც მას უჭირს ზეპირი ინსტრუქციების შესრულება, არასწორად იგებს და ვერ იმახსოვრებს მოსმენილს.

მოსწავლეებს სწავლაში წარმატების მისაღწევად ხშირად ხელს უშლის არგუმენტაციისა და დასაბუთების დაბალი უნარი, რაც მოიცავს: ნაკითხულის გააზრებას, განზოგადებას (საგნებს, მოვლენებსა და გამოყენებულ ლექსიკონს შორის მსგავსების შემჩნევა); ადექვატურ ლექსიკურ და ინფორმაციულ საფუძველს; დასკვნების



გამოტანას (სხვადასხვა სიტუაციიდან საერთო წესისა და პრინციპების განსაზღვრა); შედეგობრიობას. მაგ. მოსწავლე ვერ ითვისებს ინფორმაციას „ადამიანის უფლებების დეკლარაციიდან“, რამდენადაც მან არ იცის რას ნიშნავს ტერმინი „ადამიანის უფლება“. მაგ. 2. მიუხედავად მოსწავლელის მიერ მიწოდებული, არსებითი სახელის ბრუნვის რამდენიმე მაგალითისა, მოსწავლე მაინც ვერ გეზულობს საერთო წესს.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე ზოგიერთ მოსწავლეს ახასიათებს მოტორული კოორდინაციისა და ნატიფი მოტორული მოძრაობების შეზღუდვა. მაგ. დაბალი კლასის მოსწავლეს აქვს კოორდინაციის პრობლემები, იგი ვერ იჭერს ხელში მაკრატელს, ვერ ავლებს სწორ ხაზს, ვერ იკრავს თასმებს. ზოგჯერ უფროსი ასაკის მოსწავლის ხელწერა არეული და გაურკვეველია. მოსწავლეს უჭირს სპორტულ აქტივობებში ჩაბმა, არასოდეს მონაწილეობს სასკოლო შეჯიბრებებში, ეს კი ამცირებს მის სოციალურ ჩართულობას საერთო პროცესში.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს პრობლემები ექმნებათ მასალის დამოუკიდებლად სწავლის პროცესშიც. მათ ხშირად მიიჩნევენ ე.წ. „პასიურ მოსწავლეებად“, რომელთაც არ სჯერათ საკუთარი შესაძლებლობების, არ ფლობენ პრობლემების გადაჭრის სტრატეგიებს და თუ ფლობენ, სათანადოდ ვერ იყენებენ მათ საჭირო შემთხვევებში. პასიურობა განსაკუთრებით პრობლემმატურია მაღალ კლასებში, როდესაც მოსწავლეებს მეტი

დამოუკიდებლობა მოეთხოვებათ. მაგ. 1. მოსწავლე კითხულობს სახელმძღვანელოში ტექსტს და ვერ აცნობიერებს, რომ გარკვეული მასალა ვერ გაიგო. ამდენად, იმის ნაცვლად რომ გამოიყენოს ისეთი სტრატეგია, როგორცაა მასალის თავიდან ნაკითხვა, სხვისი დახმარება, ის ტოვებს მასალას დაუსწავლელს და ამით მომავალში მისი აკადემიური მოსწრება უარესდება. მაგ. 2. მოსწავლე კითხულობს სწრაფად, მაგრამ არ იყენებს დამახსოვრების ისეთ სტრატეგიებს, როგორცაა კითხვების დასმა და მათზე პასუხის გაცემა, ინფორმაციის გამეორება, მასალიდან მთავარი ელემენტების გამოყოფა.

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს პრობლემები აქვთ ისეთ უნარ-ჩვევებში, როგორცაა სკოლაში სისტემატიური სიარული, თვითორგანიზება და დამოუკიდებლობა სკოლასა და სკოლის გარეთ; მათ უჭირთ თანატოლებთან კონტაქტი.

რა სოციალური და ემოციური საჭიროებები აქვთ სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევითი დარღვევის მქონე მოსწავლეებს?


დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა სოციალური საჭიროებების გათვალისწინებას, რამდენადაც სოციალური პრობლემები ხშირად დაბალი აკადემიური მოსწრების მიზეზი ხდება. სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს დახმარება სჭირდებათ ისეთ სოციალურ სფეროებში, როგორცაა საკლასო ოთახში მოქცევა, ურთიერთობის უნარ-ჩვევები, პიროვნული და ფსიქოლოგიური თვისებების განვითარება.

საკლასო ოთახში მოქცევის უნარ-ჩვევები

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეები ხშირად აქტიურად ერთვებიან ყვირილში, ჩხუბში, ნაკინკლავებაში. მასწავლებლები ასეთ საქციელს ხშირად „არანორმალურს“ უწოდებენ და თვლიან, რომ ასეთი მოსწავლეები ცუდ მაგალითს აძლევენ დანარჩენებს, თუმცა ასეთი საქციელი ზოგჯერ შეიძლება ნებისმიერ მოსწავლეს ახასიათებდეს.

ურთიერთობის უნარ-ჩვევები:

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს პრობლემები აქვთ თანატოლებთან ურთიერთობაში. მრავალწლიანი გამოცდილება ცხადყოფს, რომ მათ ნაკლებად ყავთ მეგობრები, ხშირად ისინი უარყოფილი არიან თანატოლებისაგან, მათ პრობლემებზე ხშირად საუბრობენ მასწავლებლებიც. ამ პრობლემების წარმოშობას განაპირობებს ის, რომ ვერ ხერხდება მოსწავლეების ჩაბმა სოციალურ აქტივობებში, მეგობრებთან დიალოგსა და ურთიერთობაში.



არსებობს რამდენიმე ახსნა იმისა, თუ რატომ აქვთ მოსწავლეებს სოციალური პრობლემები. ზოგიერთმა მოსწავლემ არ იცის, როგორ მოიქცეს ამა თუ იმ სიტუაციაში. არცოდნა კი თავისთავად გამოწვეუ-

ლია იმით, რომ მოსწავლე ვერ ითვისებს ურთიერთობის უნარ-ჩვევებს ვერც სკოლაში და ვერც მის გარეთ. სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე ზოგიერთ მოსწავლეს ახასიათებს იმპულსურობა, ისინი ჯერ მოქმედებენ და მერე ფიქრობენ, ხოლო ზოგიერთი მოსწავლე პირიქით ცდილობს ნაკლებად გამოავლინოს აქტიურობა, რათა არ დაიმსახუროს უარყოფითი შეფასება.

პიროვნული და ფსიქოლოგიური კორექცია

მოსწავლეებს, რომელთაც დაბალი აკადემიური მოსწრება და ცუდი სოციალური ურთიერთობები აქვთ, ხშირად ფსიქოლოგიური პრობლემები უჩნდებათ. ერთ-ერთ გავრცელებულ პიროვნულ პრობლემას დაბალი თვითშეფასება წარმოადგენს, რაც ხშირად დამახასიათებელია სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის. ისინი არ არიან დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში. დაბალმა თვითშეფასებამ, კი თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სწავლის უნარის დაქვეითება. ასეთი მოსწავლეები ერთმანეთს არ უკავშირებენ ძალისხმევას და შედეგებს და მიღწეულ წარმატებას მხოლოდ ბედნიერ შემთხვევას მიაწერენ, ხოლო წარუმატებლობას საკუთარ უუნარობას აბრალებენ. ხშირად, როდესაც სიძნელეებს აწყდებიან, მათ უჩნდებათ კითხვა – „რა მნიშვნელობა აქვს? მე ვერასოდეს შევძლებ წარმატების მიღწევას.“

სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ასევე ახასიათებთ დეპრესია და შფოთვა. ასეთი მოსწავლეები გაურბიან კლასში საუბარს, პესიმისტურად არიან განწყობილნი და არ აინტერესებთ საკუთარი ცხოვრების უმთავრესი მომენტებიც კი; ხშირად ნერვიულობენ დავალების მიღების ან თუნდაც სკოლაში წასვლის დროსაც.

რა სახის ადაპტაცია არის საჭირო სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის?

როგორც უკვე ნახეთ, სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლეებს სწვადასხვა საგანმანათლებლო და სოციალურ-ემოციური საჭიროებები აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ეს საჭიროებები ხელს უშლიან სწავლასა და სოციალიზაციაში,

ადექვატური დახმარების შემთხვევაში, მათ წარმატებების მიღწევაც შეუძლიათ. ქვემოთ მოყვანილია ზოგიერთი მოსაზრება საკლასო ოთახში სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე მოსწავლის განთავსების შესახებ.

აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება:

როგორც უკვე განვიხილეთ, „ჩართულობის“ სტრატეგიის გამოყენებით უნდა გავაანალიზოთ ესაჭიროება თუ არა მოსწავლეს ადაპტაცია, რათა კონკრეტულად განვსაზღვროთ საჭირო ცვლილებები საკლასო ოთახის მოთხოვნათა გათვალისწინებით. შეიძლება გამოვიყენოთ ადაპტაციის სამი სხვადასხვა სახე: მოსწავლეთა მიერ კომპენსატორული სასწავლო სტრატეგიების გამოყენება; საკლასო ოთახის ორგანიზების, მასალების, მეთოდების ადაპტაცია; მოსწავლეებისათვის პირდაპირი ინსტრუქციების მიწოდება ზოგადად სწავლის ან დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევებზე.

სოციალური და ემოციური საჭიროებები


ინკლუზიური განათლების პოპულარიზაციის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიზეზს ის სოციალური უპირატესობები წარმოადგენს, რაც მას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და „ნორმატიულად ჯანმრთელი“ ბავშვებისათვის მოაქვს. სამწუხაროდ, პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სწავლის უნარის დაქვეითებისა და ქცევის დარღვევის მქონე ბავშვები სასკოლო გარემოში თავისთავად ვერ ითვისებენ სოციალურ უნარ-ჩვევებს. ნებისმიერი პედაგოგის მოვალეობაა აკადემიურ ცოდნასთან ერთად ყველა მოსწავლეს, მიუხედავად მისი საგანმანათლებლო საჭიროებებისა, განუვითაროს სოციალური უნარ-ჩვევები. რაც შეეხება აკადემიური ცოდნის მიღებას, ეს დიდად არის დამოკიდებული მოსწავლის სპეციფიკურ სოციალურ პრობლემებზე.

მოსწავლეები, რომელთაც ქცევის სერიოზული პრობლემები აქვთ, ყველაზე კარგად გრძნობენ თავს კლასში, სადაც ჩამოყალიბებულია კარგად სტრუქტურირებული სისტემა; კლასში, სადაც წესები და მათგან გამომდინარე შედეგები მკაფიოდ არის განსაზღვრული და სისტემატიურად გამოიყენება. მოსწავლის ქცევას ასევე აუმჯობესებს ისეთი დავალების შესრულებაში ჩართვა, სადაც მას წარმატების

მიღწევა შეუძლია. მიუხედავად ამისა, ზოგჯერ ქცევის დარღვევა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ განსაკუთრებულად ინტენსიურ და ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

სადაპტაციო საჭიროებები დამოკიდებულია მოსწავლის პიროვნულ თვისებებზე. იმ მოსწავლეებისათვის, რომელთაც არ შეუძლიათ თანატოლებთან ურთიერთობა, შეიძლება გამოვიყენოთ სოციალური უნარ-ჩვევების ტრენინგი. მაგ. მოსწავლეს უჭირს თავის თანატოლთან საუბრის დაწყება. მასწავლებელი საკლასო ოთახში გარკვეულ დროს უთმობს ურთიერთობის სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებას: თეორიულად უხსნის ამა თუ იმ მოქმედების ან ჟესტის მნიშვნელობას, შემდგომ ყოფს კლასს ორ ჯგუფად და სთავაზობს მათ გარკვეული სიტუაციების გათამაშებას. შედეგად ის ხვდება, რომ ასეთი სახის დახმარება არა მარტო სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვისათვის, არამედ სხვა ბავშვებისათვისაც მნიშვნელოვანია.

იმ მოსწავლეებს, რომელთაც იციან რა უნდა გააკეთონ ამა თუ იმ სიტუაციაში, მაგრამ უჭირთ საკუთარი მოქმედებების თვითკონტროლი, ესაჭიროებათ თვითკონტროლის გამომუშავებაზე მი-



მართული ტრენინგი. ასეთი ტრენინგის დროს მოსწავლე სწავლობს იმ სტრატეგიებს, თუ როგორ შეიკავოს თავი თვითკონტროლის გზით. მაგ. მოსწავლე, ადვილად ბრაზდება სხვა მოსწავლეების საქციელზე (წვალება, დაცინვა) და თავისი მწვავე რეაქციით კიდევ უფრო ამძაფრებს დაპირისპირებას. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელი მას უხსნის, რომ უმჯობესია გამოიყენოს ქცევის სხვა სტრატეგია: პასუხის გაცემამდე დაითვალოს ხუთამდე, გაიაზროს, რომ მისთვის ნათქვამი სიმართლეს არ შეესაბამება ან სრული იგნორირება გაუკეთოს მონინალმდევის სიტყვებს.

ზოგიერთ მოსწავლეს, მიუხედავად იმისა, რომ აქვს გარკვეული სოციალური უნარ-ჩვევები, არ აქვს მათი გამოყენების შესაძლებლობა. მაგ. მოსწავლე ხვდება ახალ გარემოში და ნაკლებად აქვს თანატოლებთან ურთიერთობის შესაძლებლობა. ურთიერთობების გაუმჯობესების ერთ-ერთ გზას ასეთ სიტუაციაში ჯგუფური აქტივობა წარმოადგენს. სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვი მუშაობს სხვა ბავშვებთან ერთად სხვადასხვა ჯგუფებში და ერთობლივი სწავლის პროცესში ამყარებს ურთიერთობებს.

მოსწავლეებისათვის, რომელებიც საკუთარ ძალებში არ არიან დარწმუნებული, საუკეთესოა ე.წ. „მიკუთვნების“ ტრენინგი, რომლის აზრს წარმოადგენს მოსწავლის დარწმუნება იმაში, რომ მისი მარცხი გამონვეულია არასაკმარისი მცდელობით. ასეთ შემთხვევაში მოსწავლე გაცილებით მეტ ძალისხმევას ახმარს მასალის დასწავლას და წარმატებასაც აღწევს.

საკუთარ თავზე წარმოდგენის შეცვლა და თვითშეფასების ამაღლება შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიების გამოყენებით:

1. **დასახეთ რაციონალური და მიღწევადი მიზნები.** მოსწავლისათვის კონკრეტული მიზნების დასახვის დროს დარწმუნდით, რომ ისინი რეალურად მიღწევადი და არც ზედმეტად ადვილია. მოსწავლის თვითშეფასება მაღლდება მაშინ, როდესაც ის მიზნის მიღწევას გარკვეული ძალისხმევის შედეგად ახერხებს.
2. **მოსწავლის ყოველ საქციელზე იქონიეთ შესაბამისი რეაქცია.** რეაქცია მოსწავლის საქციელზე უნდა იყოს პოზიტიური, თუმცა ამავე დროს უნდა იყოს საქციელის შესაბამისი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსწავლე იფიქრებს,

რომ თქვენ მას უბრალოდ მფარველობთ და მას არ შეუძლია დავალების კარგად შესრულება. ყოველთვის მიუთითეთ მოსწავლეს, როდესაც ის შეცდომებს უშვებს.

3. დააკისრეთ მოსწავლეს პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობის დაკისრება, მოსწავლეში აყალიბებს გრძნობას, რომ თქვენ მას ენდობით და გჯერათ მისი. შესაძლოა, ეს იყოს ისეთი დავალებები, როგორიცაა არდადაგებზე საკლასო ოთახის მცენარის დროებით სახლში წაღება და მოვლა, რვეულების აკრეფა-დარიგება, მოსწავლის კონკრეტული დავალების შესასრულებლად გაგზავნა და ა.შ.



4. ასწავლეთ მოსწავლეს საკუთარი ძალების მობილიზება. დაბალი თვით-შეფასების მქონე მოსწავლეები სშირად საკუთარ თავს უარყოფითად აფასებენ. თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ მათ, თუ ყურადღებას გაუმახვილებთ მათ ძლიერ მხარეებზე, მიაწოდებთ დადებით მოსაზრებებს და ასწავლით მათ საკუთარი ძალების მობილიზებას.
5. მიეცით მოსწავლეს შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი სიძლიერე. ჩართულობის სტრატეგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს მოსწავლის ძლიერი მხარეების განსაზღვრა, კლასში მათი დასაქმებისათვის პირობების შექმნა. მაგ. მოსწავლეს აქვს წერს ცუდი უნარჩვევა, მაგრამ ის კარგად კითხულობს. მასწავლებელს შეუძლია სხვა ბავშვების მიერ წერიითი დავალების დასრულების შემდგომ, მოსწავლეს დაავალოს თემის ხმამაღლა წაკითხვა მთელი კლასის წინაშე.

სწავლის უნარის შეზღუდვა – რას მივუძღვით ყურადღება:
პირველი სასიგნალო ნიშნები

მეტყველება	სკოლამდელი	უმცროსი კლასები	საშუალო კლასები	მაღალი კლასები
	აქვს გამოთქმის პრობლემები, მწირი ლექსიკონი. თხრობისადმი იჩენს დაბალ ინტერესს	კითხვის დროს ახასიათებს დეკოდირების ცუდი უნარი. აქვს ცუდი მართლწერა.	ძნელად აღიქვამს ნაკითხულს. ნაკლებად გამოხატავს აზრს ვერბალურად.	ძნელად აღიქვამს ახსნილ მასალას. უჭირს უცხო ენების სწავლა, დასკვნების გამოტანა, აზრების წერილობით გადმოცემა.
მეხსიერება	აქვს პრობლემები ციფრების, ანბანის, კვირის დღეების დამახსოვრებაში. უჭირს რუტინული მოქმედებების დამახსოვრება	უჭირს ფაქტების გახსენება. აქვს ორგანიზაციული პრობლემები, ცუდი მართლწერა. ძნელად ითვისებს ახალ უნარ-ჩვევებს.	ძნელად ან ცუდად იხსენებს მათემატიკურ წესებს. უჭირს მეხსიერების აქტივაცია.	ვერ სწავლობს ტექსტებს. ახასიათებს ცუდი კომუნიკაციური მეხსიერება, მუშაობის წელი ტემპი

საეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და საზოგადოება

თავი 2

<p>ყურადღება</p>	<p>აქვს მშვიდად ჯდომის პრობლემა. ახასიათებს გადაჭარბებული მოუსვენრობა. ვერ ახერხებს დავალებზე კონცენტრირებას.</p>	<p>იმპულსურია, ვერ გეგმავს დავალებებს. ახასიათებს ყურადღების გაფანტვა, რის გამოც უშვებს შეცდომებს</p>	<p>არის ართანმიმდევრული. უჭირს თვითკონტროლი. უჭირს შესაბამისი დეტალების ამოცნობა.</p>	<p>აქვს უყურადღებოთი გამოწვეული მესიურების პრობლემები. შეინიშნება გონებრივი გადაღლა.</p>
<p>ნატივი მოტივული უნარ-ჩვევები</p>	<p>აქვს პრობლემა თვით მომსახურების უნარ-ჩვევების სწავლაში (მაგ. თასმების შეკვრა). მოუქნელობა; ნაკლებად აქვს ხატივის, ხაზვის სურვილი.</p>	<p>ვერ იჭერს კალამს კარგად. უჭირს ასოების ფორმის გამოყვანა</p>	<p>კალამი უჭირავს მუჭში. წერს გაურკვევლად, ვერ იცავს ხაზებს. ნაკლებად აქვს წერის სურვილი.</p>	<p>ახასიათებს ნატივი მოტივული უნარ-ჩვევის შესუსტება</p>
<p>სხვა ფუნქციები</p>	<p>უჭირს მასალის დასწავლა მარცხნიდან მარჯვნივ (შესაძლოა მხედველობის სივრცითი დორღვევის გამო) აქვს ურთიერთობის პრობლემები (დაბალი სოციალური უნარ-ჩვევების გამო)</p>	<p>უჭირს დროს აღქმა (დროითი შედეგობრივი დიორგანიზაცია). უჭირს მათემატიკური კონცეფციების სწრაფად აღქმა.</p>	<p>აქვს კითხვის ცუდი სტრატეგიები. ვერ ახერხებს დროსა და სივრცეში ორგანიზებას. უარყოფილი თანატოლებისაგან</p>	<p>უჭირს აბსტრაქტული ცნებების სწრაფად აღქმა. უჭირს თავის წესრიგში მოყვანა. ვერ ასრულებს ტესტებს, უჭირს არჩევანის გაკეთება.</p>

მომარაგის შეზღუდვის მქონე პირები

გიცდიათ თუ არა, ამა თუ იმ ფუნქციონალური დარღვევის მქონე პირთან ურთიერთობა? თუ არა, მაშინ შესაძლოა თქვენ ხელიდან გაუშვით არაორდინალური, საინტერესო პიროვნების გაცნობის შანსი. გარკვეული კატეგორიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრების წესი ხელს უწყობს მათი შესაძლებლობის განვითარებას (მომარაგის შეზღუდვის მქონე, მხედველობისა და მეტყველების პრობლემები, ა.შ). მათი უმრავლესობა არის ძალიან ინფორმირებული; განათლებული. ისინი განსაკუთრებული მგრძობიარობითა და ინტუიციით გამოირჩევიან და ადვილად განასხვავებენ სიყალბესა და ნამდვილ მეგობრობას. მათთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანია აქცენტი გაკეთდეს პირად თვისებებსა და შესაძლებლობებზე და არა ფიზიკურ შეზღუდვებზე.

თუ თქვენ ურთიერთობა გაქვთ პიროვნებასთან, რომელსაც უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება, ან ეტლით გადაადგილება, მოგცემთ რამდენიმე რჩევას, მასთან ურთიერთობისათვის:



- იყავით ყურადღებიანი; კითხეთ, ხომ არ სჭირდება მას დახმარება, მიანოდეთ მისთვის საჭირო ნივთი;
- საუბრისას პირდაპირ მას მიმართეთ. თუ საუბარი რამდენიმე წუთზე მეტს გრძელდება. დაჯექით ისე, რომ აღმოჩნდეთ ერთ დონეზე მოსაუბრის პირისპირ. არ გამოთქვათ სინანული, რომ ეტლში ზის. ეს დამაცირებელია.
- იყავით ბუნებრივი.
- კითხეთ, ხომ არ სჭირდება დახმარება ეტლით გადაადგილებაში. თანხმობის შემთხვევაში, ყურადღება მიაქციეთ რამდენიმე მომენტს: წინასწარ აირჩიეთ გზა, სადაც ეტლი უნდა წაიყვანოთ, შეამოწმეთ, ხომ არ არის ორმოები, თხრილები ან სხვა რაიმე ხელისშემშლელი ბარიერები. აირჩიეთ უსაფრთხო გზა.
- თუ თქვენ სადმე პატიუბთ მოძრაობის შეზღუდვის მქონე ან ეტლში მჯდომ პიროვნებას, შეამოწმეთ არის თუ არა დაწესებულებაში ლიფტი ან პანდუსი, საკმაოდ ფართოა თუ არა შესასვლელი საპირფარეშოში. თუ ამ მხრივ რამე სირთულეებია, სასურველია წინასწარ შეატყობინოთ მას ამ სირთულეების შესახებ.
- ეცადეთ წინასწარ დაგეგმოთ ისეთი ღონისძიებები და გასართობი თამაშები, რომელშიც ეტლში მყოფი თქვენი მეგობარიც შეძლებს მონაწილეობის მიღებას.

მხედველობის შეზღუდვის მქონე პირები

- მხედველობა დაქვეითებულ ან მხედველობის სრული შეზღუდვის მქონე პირთან შეხვედრისას, მას ხელი ჩამოართვით, წარუდგინეთ თქვენი თავი და თქვენს გვერდზე მდგომნი.
- თუ საჭიროა ოთახში გადაადგილება, ხელის მსუბუქი შეხებით დაეხმარეთ მას სივრცეში ორიენტირებაში
- თუ შესთავაზებთ დაჯდომას, დაადებინეთ ხელი სკამის, სავარძლის ზურგზე ან სახელურზე.

სმენის დაქვეითების ან სრული შეზღუდვის მქონე პირები

- როდესაც მოსაუბრეს სმენის დაქვეითება, ან სმენის სრული შეზღუდვა აქვს, მისი ყურადღების მიქცევა შეგიძლიათ მხარზე ხელის შეხებით, მიმიკისა და შესტების გამოყენებით.
- თუ მოსაუბრეს სმენა დაქვეითებული აქვს, გამოიყენეთ ხმების სხვადასხვა დონეები. საუბარი დაიწყეთ ოდნავ ხმამალა და შემდეგ გადადით ჩვეულებრივ ტონზე.
- თუ თქვენს თანამოსაუბრეს სმენის ნაწილობრივი დაქვეითება აქვს, შეეკითხეთ მას, თუ რომელი მხრიდანაა მოსახერხებელი, რომ ესაუბროთ მას. არასოდეს ელაპარაკოთ ადამიანს პირდაპირ ყურში.
- მიეცით თანამოსაუბრეს საშუალება დაინახოს თქვენი სახის გამომეტყველება. არ დაიფაროთ პირი ხელებით, ეს მოსაუბრეს საშუალებას მისცემს წაიკითხოს თქვენი ტუჩების მოძრაობა.
- ილაპარაკეთ ჩვეულებრივი სიჩქარით, არც ჩქარა და არც ნელა. შეგიძლიათ გამოიყენოთ შესტებიც, თუმცა არ არის საჭირო ზედმეტი არტიკულირება და ყვირილი. თუ მოგეჩვენათ, რომ თქვენ ვერ გაგიგეს, გაიმეორეთ შეკითხვა.
- ხშირად ყველაზე ადვილი საშუალება არის ჩანაწერების გაკეთება. ასეთ შემთხვევაში გესაჭიროებათ ფანქარი და ბლოკნოტი.

მეტყველების შეზღუდვის მქონე პირები

ნუ აღიქვამთ მეტყველების შეზღუდვას, როგორც გონებრივ ჩამორჩენილობას. უმრავლესობა ადამიანებისა, რომელთაც მეტყველების პრობლემები აქვთ, განათლებითა და ინტელექტუალური პოტენციალით გამოირჩევიან. მხედველობაშია მისაღები, რომ ტვინის სასაუბრო ცენტრები შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს დაზიანებული: ქალას ტრავმა, ინსულტი, ცერებრალური დამბლა.

- მიეცით მეტყველების შეზღუდვის მქონე პიროვნებას აზრის გამოთქმის შესაძლებლობა და არ შეანყვეტინოთ საუბარი. დაუსვით კითხვები, რომელიც მოკლე პასუხის გაცემის ან

თავის დაკვრით პასუხის გაცემის საშუალებას მისცემს.

- თუ თქვენთვის გაუგებარია მეტყველების შეზღუდვის მქონე პირის საუბარი, არ მოაჩვენოთ თავი, რომ ყველაფერი გაიგეთ, გაუმეორეთ მას მისივე ფრაზები და კითხვით, სწორად გაიგეთ თუ არა მისი სიტყვები.
- თუ პიროვნება თქვენთან ურთიერთობაში იყენებს ახლობელი ადამიანების დახმარებას, რომელსაც შეუძლია გაუგოს და მოგანოდოთ ინფორმაცია, უნდა გახსოვდეთ, რომ თქვენ საუბარი მიგყავთ უშუალოდ იმ ადამიანებთან, რომელსაც მეტყველების ნაკლი აქვს და უნდა მიმართოთ კონკრეტულად მას. თუ გინევთ საუბარი დამხმარეს გარეშე, მაშინ უნდა იხელმძღვანელოთ შემდეგი პრინციპით: გაუმეორეთ თქვენს თანამოსაუბრეს ხმამაღლა ყოველი სიტყვა; არ მოგერიდოთ თხოვნა, რომ გაიმეოროს თქვენთვის გაუგებარი სიტყვები. ეს სულაც არ შეურაცხყოფს მას. პირიქით, დაარწმუნებს, რომ თქვენ დაინტერესებული ხართ მასთან საუბრით. შესაძლოა თქვენ მოგიწიოთ ყველა ბგერის ჩამოთვლა, რომ გაუგოთ მოსაუბრეს. მთავარია, რომ შეგეძლოთ მოსმენა. სასაუბროდ საჭიროა, გქონდეთ საკმარისი დრო. თუ თქვენ გეჩქარებათ, მაშინ უმჯობესია, შეთანხმდეთ საუბრის სხვა დროს გაგრძელებაზე.

ფსიქო-ფუნქციონალური შეზღუდვის მქონე ადამიანები

ჩვენ ყველას გამოგვიცდია შიში, როდესაც ჩვენთვის უცნობ გარემოში ვხვდებით. ფსიქო-ფუნქციონალური შეზღუდვის მქონე პირები გარემოს გაცილებით რთულად აღიქვამენ. ისინი ადვილად იბნევიან მათთვის უცხო გარემოში, უჭირთ ორიენტაცია, ვერ აღიქვამენ მითითებებს, ახასიათებთ გაღიზიანებულობა, აღგზნებადობა. ხშირად ვერ იგებენ, რომ თქვენ მისი დახმარება გასურთ.

- იყავით მომთმენნი; რამდენჯერმე წყნარი, მშვიდი ტონით გაიმეორეთ ნათქვამი, ეცადეთ მისცეთ მარტივი და მოკლე დავალებები.
- აზრი გამოთქვით მოკლედ და დაუსვით კითხვები პირველებმა.
- მიეცით საშუალება დააკვირდნენ თქვენს საქციელს და გაიმეორონ ის.

ინტელუიუი პანათეპა

მასწავლებელი, როგორც ლიდერი

კარინ ბორნესი, ტერჯე ოვერლანდი, ერლინგ როლანდი, და კირსტი ტვეიტერეიდი.

მასწავლებელი, როგორც ლიდერი და მისაბაძი მაგალითი ბავშვებისა და მოზარდებისათვის

სასკოლო მუშაობა შეიძლება აღწეროთ როგორც „დიდაქტიკური შეხვედრა“, ადამიანებსა და დისციპლინებს შორის. ადამიანები და საგნები ერთმანეთზე გავლენას ახდენენ. არსებობს კავშირი ამ შეხვედრის ხარისხსა და იმ დონეებს შორის, რომელსაც მოსწავლეები აღწევენ. სკოლის უმაღლესი მიზანია ჰყავდეს კომპეტენტური პიროვნება, ვისაც შეუძლია არა მხოლოდ მოერგოს სკოლას, არამედ შემდგომ ისეთი საზოგადოება განავითაროს, რომელიც ჰუმანისტურ ღირებულებებზე იქნება დაფუძნებული. მასწავლებლის, როგორც ლიდერის მთავარ პასუხისმგებლობაა დიდაქტიკური შეხვედრის წარმატებულობა უზრუნველყოს. ეს პირობითად გულისხმობს იმას, რომ მასწავლებელს პირადი ძალაუფლება, პედაგოგიური და პროფესიონალური უნარ-ჩვევები უნდა გააჩნდეს. სწავლების ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალება თავად მასწავლებელია.

მასწავლებლები იმ ზრდასრულ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებიან, ვისთანაც ბავშვებსა და მოზარდებს ყველაზე მეტი ინტერაქცია აქვთ, ამიტომ ისინი მზად უნდა იყვნენ გაცნობიერებულად მოიყვანონ წესრიგში ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების მკაფიო და ნათელი მაგალითები, რომელიც მომავალ თაობას გადაეცემა.

სკოლის მასწავლებლებისათვის კურიკულუმი სავალდებულოა. სკოლის კანონით დადგენილ ფარგლებსა და რეგულაციებთან ერთად, ის მშობლებისათვის ქმნის გარანტიებს, რომ ბავშვი დაცული იქნება და სტიმული მრავალმხრივ განვითარებას მიიღებს. ამიტომაც არსებობს წინაპირობა და მოლაპარაკებით გაუთვალისწინებელი მო-



თხოვნა, რომ მასწავლებლები კანონით დადგენილ ჩარჩოებს და რეგულაციებს უნდა იცნობდნენ. საზოგადოება, თავისი მმართველი ინსტრუმენტებით, მასწავლებელს, როგორც მუშაკს, პირობებს უყენებს და შეზღუდვებს უწესებს. მიუხედავად ამისა, ყოველთვის უნდა დარჩეს თავისუფალი სივრცე რათა მან, თავისი პროფესიონალური უპირატესობის უფლებით და საკუთარი „პიროვნული და განსაკუთრებული ხასიათით“, ინდივიდუალური მასწავლებლის როლი განავითაროს. გარანტირებულად ხარისხიანი სკოლა დამოკიდებულია მასწავლებლებზე, ვინც ინდივიდუალურად და კოლექტიურად იყენებენ დამოუკიდებელი მოლაპარაკებების მექანიზმებს, ეს კი სკოლაში ჩამოყალიბებულია როგორც სისტემა.

თავისუფლების განსაზღვრა და გამოყენება, მოქმედების სტილის შესარჩევად, ინდივიდუალურ სკოლაში სასწავლო გარემოს განვითარებისათვის გადამწყვეტი იქნება. მომავლის სკოლაში სავარაუდოდ, მოსწავლეების აქტივობა გაძლიერდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მასწავლებლის როლი შეიცვლება.

მასწავლებლის როლი ხელმძღვანელობის პრინციპით და პრობლემის გადაწყვეტაზე რეაგირებით უფრო მეტად გამოირჩევა, ვიდრე აქტიური ლიდერობით. ამიტომაც, დღევანდელი მასწავლებლების ამოცანა მათი პროფესიული მოვალეობის განვითარება იქნება მოსწავლის ასევე შეცვლილი როლის პარალელურად. ორი ნორვეგიელი მკვლევარი, დაილი და უერნესი, ასკენის, რომ *მოსწავლის აქტივობის დონე უნდა დავინახოთ ახლო კავშირში მასწავლებლის აქტივობასთან*. სკოლაში მასწავლებლისა და მოსწავლისათვის საერთო ფოკუსს აკადემიური დისციპლინა და სწავლა წარმოადგენს, ეს კი შემადგენელი ნაწილია იმ მთავარი მიზნისა, რასაც განვითარების პროცესი ქვია. ამ მიზნის მიღწევა მთელი რიგი სხვადასხვა მოქმედებების ჩართვას მოითხოვს. გარდა იმისა, რომ საგნის (დისციპლინის) შესახებ ინფორმაციის გადაცემა ხდება, მოსწავლის ინდივიდუალური და ჯგუფთან დაკავშირებული მოქმედებებიც უწყვეტ შეფასებასთან კავშირში განიხილება, რათა სასწავლო მიზნები უფრო ცხადი გახდეს. სკოლაში ჩასატარებელი სამუშაო რთული და თავისებურია. ამიტომაც, მოსწავლეების აქტივობაზე ორიენტირებული სკოლა მკაფიო, ნათელი და ზოგადი შეხედულებების მქონე ლიდერებს მოითხოვს, რათა მათ მოსწავლეების ყოველდღიურ საქმიანობაში სტრუქტურისა და თანმიმდევრობის ჩამოყალიბება შესძლონ.

„დიდაქტიკური შეხვედრის“ დროს გადამწყვეტ ფაქტორს ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების ხარისხი წარმოადგენს. პედაგოგის როლი – როგორც ადამიანს, მასწავლებლისა და თანამშრომლის – ისეთ ორ ასპექტად განიხილება, რომლებიც ერთმანეთს რთულად უკავშირდება. ეს ნიშნავს, რომ საკმარისი არ არის რომელიმე საგნის ცოდნა, რათა სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტრუქტურის ჩამოყალიბება შესძლო. „დიდაქტიკური შეხვედრა“ არის აგრეთვე პირადული შეხვედრა, რომელიც მასწავლებლებისაგან ერთერთ პირობად თვითგანათლებასა და იმის უნარსაც მოითხოვს, რომ თავისი საკუთარი მოსწავლეებისგან ისწავლონ. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იქნება ბავშვებისა და მოზარდების მიმართ, ვისაც მასწავლებლისგან განსხვავებული სოციალური და კულტურული საფუძველი აქვთ.

ბავშვებმა და მოზარდებმა საზოგადოებაში ახალ მდგომარეობას მიაღწიეს და ახალი როლი მიიღეს, რომელიც ახალ შესაძლებლობებს გულისხმობს. ბავშვებს სურთ, რომ მათ მოუსმინონ როგორც სახლში, ასევე სკოლაში და აქვთ კიდევ ამის უფლება. სკოლაში უნდა

უზრუნველყოს ფიზიკური და ფსიქო-სოციალური სამუშაოს, ასევე სასწავლო გარემოს მიერ ჯანმრთელობის, კარგად ყოფნისა და სწავლის ხელშეწყობა.

ბავშვებმა მოიპოვეს უფლებები და არჩევანის გაკეთების უფლება, მაგრამ ამასთანავე მზარდი საჭიროება წარმოიშვა იმ ზრდასრული ადამიანებისა, ვისაც შეუძლია მათ უხელმძღვანელოს. იმატა გაურკვეველობამ, უნდობლობამ, რადგან მიღებული გადაწყვეტილება ბავშვის და საზოგადოების ქეშმარიტ ინტერესებს უნდა ესადაგებოდეს. ისტორია გვიდასტურებს, რომ იზრდება მასწავლებლების წინაშე მდგარი ახალი მიზნების რაოდენობა, რასაც ისინი უნდა წარუძღვნენ გაურკვეველი მომავლისაკენ. ტერმინი *~the bargaining child~* „მოლაპარაკებებში ჩაბმული ბავშვი“, მხოლოდ განვითარების მიმართულებას კი არ აფიქსირებს, ასევე იძლევა საფუძველს უფრო კარგად აისახოს, ვინ იმალება ამ გამარტივებული აღწერილობის უკან.

დღევანდელი ბავშვები და მოზარდები არსებითად, პოზიტიურად თავდაჯერებულნი და სკოლის მიმართ კომპეტენტურნი არიან. მათ საკუთარი მოსაზრებები, ფიქრები, წარმოდგენები და ენა გააჩნიათ და მოკლედ ახასიათებს იმ ადამიანებს, ვინც მათ ცხოვრებაში იღებს მონაწილეობას. ისინი არ არიან პასიური მიმღებები, ვინც უფლებას აძლევს მასწავლებელს თავი ჩამოაყალიბებინოს, მაგრამ მათ მაინც სჭირდებათ დახმარება და გვერდით დგომა, რათა საკუთარ თავს ცხოვრებაში მიზნები დაუსახონ. მათ სჭირდებათ ცოდნა, რათა კვალიფიციურნი იყვნენ მომავალი როლებისათვის. ზრდასრული ადამიანის კომპეტენტურობა არ ვითარდება ნაბიჯ-ნაბიჯ ბავშვის და მოზარდის განვითარების პარალელურად, ამის შედეგად ჩვენ არაადექვატურები ვხდებით, როცა ალზდის და ჩამოყალიბების პრობლემებს ვაწყდებით. სკოლები, რომელთაც დღის წესრიგში კვლავ ძველმოდური «ეტიკეტი» აქვთ, განიხილება როგორც დროის საინტერესო ფენომენი და ნიშანი იმისა, რომ ზრდასრული ადამიანის როლი სკოლაში ახალ ფოკუსში უნდა იქნეს გადაწყვეტილი.

აქედან გამომდინარე, რას წარმოადგენს მასწავლებლის სპეციფიკური გამოცდილება განათლებული საზოგადოების საზღვრებში და რით შეუძლიათ მასწავლებლებს დაასაბუთონ, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ რაღაც ისეთი გააკეთონ, სადაც უბრალოდ ვერ მოხდება სხვებით ჩანაცვლება? მასწავლებლებს ყოველთვის უწევთ თავიანთი

კვალიფიციურობის დასაბუთება. დღევანდელმა მასწავლებლებმა კი, სკოლა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი და იოლად აღსაქმელი უნდა გახადონ.

ახალი სილაბუსი (პროგრამა) – ცოდნის ხელშემწყობი რეფორმისათვის – საგანმანათლებლო წესდების გათვალისწინებით ადგენს, რომ სკოლამ არა მხოლოდ უნდა გამოიყენოს, არამედ უწყვეტად განავითაროს მასწავლებლების კვალიფიციურობა. ეს, დაწყებული სრული საერთო წარმოდგენით კვალიფიციურობაზე, იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მასწავლებელი თავად უნდა ანვითარებდეს როგორც იმ საგნის ცოდნას, რომელსაც ასწავლის, ასევე თავის პირად შესაძლებლობებს, რათა მოსწავლეების სხვადასხვა წინაპირობების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის ორგანიზება შეძლოს. მჭიდრო ურთიერთობა მასწავლებლის საქმის ცოდნასა და მის მიერ საკუთარი პიროვნების განვითარებას შორის, კვალიფიციურობის კონცეფციის სამუშაო ეთიკის კომპონენტში აისახება. ყოველივე ამას პროფესიონალურ მოთხოვნებამდე მივყავართ. მასწავლებლებმა პრაქტიკაში უნდა განახორციელონ ის, რასაც სიტყვიერად ქადაგებენ და თავადაც პროფესიონალური მოღვაწეობით მიღებულ იმ სასურველი შედეგის მაგალითს უნდა წარმოადგენენ, რისთვისაც მათი სამუშაოზე აყვანა მოხდა.

მასწავლებლებს, როგორც ცოდნის ლიდერებს, მომავალზე ორიენტირებულ, მოსწავლეების აქტივობით გამორჩეულ სკოლაში, თეორიის და ემპირიული გამოცდილების ერთობლიობა სჭირდებათ, რაც რთულ სასწავლო გარემოში მართვის მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს წარმოადგენს. მასწავლებლებისგან ელოდებიან უწყვეტ განვითარებას, ყურადღებიან მიდგომას საკუთარი პრაქტიკული საქმიანობის მიმართ, რადგან დღევანდელი, ცოდნაზე ორიენტირებული საზოგადოება მასწავლებლებისგან მათი არჩევანის სისწორის დამტკიცებას და მხარდაჭერას მოითხოვს მუდმივად მზარდ ცოდნის ბაზარზე. დღევანდელი მასწავლებელი აქტიური ცოდნის მაძიებელი უნდა იყოს, ყოველივე ეს კი კვლავ ადასტურებს, რომ მასწავლებლებმა, თავიანთი პედაგოგიური მოღვაწეობის მიმართ, მეცნიერული მიდგომა უნდა განავითარონ.

ცოდნის მხარდამჭერი გეგმა სკოლაში პერსპექტიული ცვლილებების გატარებას მოითხოვს. ბევრ ადამიანს განსხვავებული, თუმცა კი ძლიერი და სუბიექტური აზრი გააჩნია იმის თაობაზე, თუ რა არის

სწავლების წამახალისებელი. ახალ პერსპექტივას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენ, როგორც საზოგადოება, ველარ მივცემთ უფლებას საგანმანათლებლო მოღვაწეობის სფეროს იყოს იდეოლოგიზებული და დატვირთული „კეთილი ზრახვებით“, თუ, იმავე დროს, არ ვამონებთ, რომ იდეა და რეალობა ერთმანეთს ეთანხმება. პედაგოგიკური თეორიები მნიშვნელოვანია, თუ ისინი შემონეზულია და ემპირიულად კონტროლდება. სასწავლო სკოლაში ემპირიული კვლევის შედეგები იქნება მასწავლებლების პედაგოგიური აზროვნების, ინტერპრეტაციისა და მიმართულების პროფესიონალური არჩევანის გაკეთების საფუძველი. ამგვარად, მასწავლებელს, როგორც ლიდერს, შეეძლება მუდმივად იყოს მისაბაძი მაგალითი, როცა საჭირო იქნება სტიმულის მიცემა მოსწავლეების ისეთი შესაძლებლობებისათვის, როგორცაა კრიტიკული აზროვნება და ცოდნის აქტიური წყურვილი.

ემანსიპირებული ბავშვი აღარ არის ნაკლებად თავისუფალი, თუკი საქმე აქვს მასწავლებელთან, რომელიც მკაფიოდ გამოხატული ლიდერისათვის დამახასიათებელ ვალდებულებებს და პასუხისმგებლობას იღებს და უზრუნველსაყოფს, რომ ინდივიდი და საზოგადოება, ორივე დაცული იყოს. მომავლის სკოლა ალბათ დაინტერესებული იქნება ლიდერობაზე პასუხისმგებელი მასწავლებლით და ისეთი მოსწავლით, რომელიც სიცოცხლესა და სწავლაზე პასუხისმგებლობას აიღებს და სრულწლოვანებას თანდათანობით ასე მიაღწევს.

მასწავლებელი, როგორც ლიდერი ინკლუზიურ სკოლაში

მზარდ ყურადღებასა და ინტერესს მასწავლებლის, როგორც ლიდერის მიმართ, თავისი საფუძველი გააჩნია საგანმანათლებლო წესდებებსა და კვლევაში. ეს აქცენტი მასწავლებელზე, როგორც ლიდერზე მიანიშნებს, რომ მასწავლებლის ლიდერობა მნიშვნელოვანია ცოდნის მხარდამჭერი რეფორმის განხორციელებისათვის. მკვლევრებმა სისტემაში მოიყვანეს აქტივობები, რომელიც უნდა განახორციელოს ლიდერმა და ამ აქტივობების შინაარსი ქვემოთ არის მოცემული:

- სწავლების და შესწავლის დაგეგმვა და ორგანიზება;
- მოტივაცია და მოსწავლეების მხარდამჭერა;
- სასწავლო პროცესის მომზადება და მონიტორინგი;

- სწავლა/სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტა;
- კონსულტაცია და უფლებების გადაცემა;
- კონფლიქტების გადაწყვეტა;
- გუნდის და ქსელის აგება.

როგორც ყველა ორგანიზაცია, სკოლაც მუდმივად უნდა მუშაობდეს იმ განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, რომელსაც ის იძლევა და რომელიც დაინტერესებულია მოსწავლის აკადემიური განათლებით, სოციალური და პიროვნული განვითარებით. ნორვეგიულ სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ის, რომ მასწავლებელს გაცნობიერებული აქვს თავისი, როგორც კლასის ლიდერის როლი და საქმიანობანი, რასაც ეს პოზიცია რეალურად მოითხოვს სკოლაში ყოველდღიური მუშაობის დროს. თუმცა, მასწავლებლისათვის, როგორც ლიდერისათვის,



აუცილებელია შეასრულოს მთელი რიგი, ლიდერისათვის აუცილებელი აქტივობები, რაც საკმარისი მაინც არ არის, რომ კარგი ლიდერი იყოს კლასისათვის. ლიდერობა ასევე დაკავშირებულია კარგი სასწავლო გარემოს შექმნის უნართან, როგორც ამას კლასის ლიდერობის განმსაზღვრელი შემდგომი განმარტება უჩვენებს:

კლასის ლიდერობა გაგებულა როგორც მასწავლებლის შესაძ-

ლებლობა, შექმნას დადებითი ატმოსფერო კლასში, დაამყაროს მშვიდობიანი გარემო, რომელშიც მოსწავლეებს მუშაობა შეეძლებათ და ბევრთად სწავლის მოტივაცია ექნებათ (ნორდალი 2002 ს 125).

ეს განმარტება ხაზს უსვამს, რომ კლასის ლიდერობა მეტწილად მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის არსებული ურთიერთობით დანტერესებას და მოსწავლეებისათვის კარგი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას გულისხმობს, რაც ასევე ლიდერის ამოცანების არსებითი ნაწილია.

რას ნიშნავს „მასწავლებელი, როგორც ლიდერი ინკლუზიურ სკოლაში“

სკოლებმა სამი საგანმანათლებლო პრინციპი უნდა დაიცვან, რომელიც შეიძლება საგანმანათლებლო უზრუნველყოფის ხერხემლად ჩათვალოს. ეს პრინციპები განათლების ყველა ასპექტის და ყველა მოსწავლის მიმართ გამოიყენება. სკოლა უნდა იყოს ინკლუზიური, რათა ინდივიდუალურმა სკოლამ შეძლოს თავისი მოსწავლეებისათვის ისეთი განათლების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს სწავლას და განვითარებას. სადაც ყველას ექნება შეგრძნება, რომ გარკვეულ



სოციალურ საზოგადოებას ან ერთობას ეკუთვნის. სკოლის მიერ მოწოდებული განათლება უნდა იყოს ადაპტირებული, რათა ინდივიდის მოლოდინებს და საჭიროებებს შეესაბამებოდეს. ამას გარდა, უნდა არსებობდეს თანასწორობა განათლების საკითხში, რომ სხვასთან შედარებით ვერაფერს მიიღოს უკეთესი ან უარესი პირობები. ანუ ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს ერთი და იგივე შესაძლებლობები, რათა სკოლაში სასწავლო მიზნების განხორციელებას მიაღწიოს.

ამ პრინციპებს ყველა ტიპის განათლება უნდა ასახავდეს. ეს გულისხმობს, რომ მასწავლებელი არა მხოლოდ იცებს ამ პრინციპებს, არამედ გააზრებულიც აქვს, თუ როგორ მართავს ეს პრინციპები პრაქტიკულ საქმიანობას. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია შესაბამისად ადაპტირებული განათლების პრინციპი თანასწორობის პრიციპთან ერთად, რადგან ამ პრინციპების განხორციელება შეიძლება შეფასდეს როგორც წინაპირობა ინკლუზიური სკოლის შექმნისათვის. ქვემოთ უფრო დეტალურადაა მოცემული მასწავლებლის, როგორც ლიდერის დამახასიათებელი თვისებები, როგორც განზოგადებული სახით, ასევე ადაპტირებული განათლების პრინციპის მიმართ.

საზოგადოება და ინდივიდუალიზაცია

შესაბამისად ადაპტირებული განათლების პრინციპის განხორციელება გულისხმობს, რომ მასწავლებელმა იცის როგორ უნდა გარდაქმნას ადაპტირებული განათლების პრინციპი განსაკუთრებულ პედაგოგიურ მიდგომად, რომელიც ინდივიდის განვითარებას და სწავლებას წაახალისებს. ამ საკითხს ართულებს ის ფაქტი, რომ შესაბამისად ადაპტირებული განათლების პრინციპი ზუსტი პრინციპი არ არის, მას შეიძლება განსხვავებული ინტერპრეტაციები ჰქონდეს.

შესაბამისად ადაპტირებული განათლების პრინციპი შეიძლება ინტერპრეტირებულ იქნას როგორც განათლება, რომელიც მოსწავლეთათვის შესაფერისია საკლასო სწავლების სტილიდან გამომდინარე, ანუ ადაპტირებულია იმგვარად, რომ განსხვავებული მოლოდინების მქონე მოსწავლეები კარგ სარგებელს იღებენ. მაგრამ პრინციპი ასევე შეიძლება ასოცირებული იყოს სპეციალურ განათლებასთან, ინდივიდუალურ სწავლებასთან საკლასო ოთახში, ან მის გარეთ. ყოველივე ეს წამოჭრის კითხვას, თუ როგორ უნდა მოახდინონ მასწავლებლებმა პრინციპის ინტერპრეტაცია და როგორ მოხდება ამის განხორციელება სკოლის ყოველდღიურ საქმიანობაში.

კვლევის ავტორებმა შესაბამისად ადაპტირებული განათლების პრინციპი შემდეგნაირად განსაზღვრეს:

შესაბამისად ადაპტირებული განათლება მოითხოვს, რომ ინდივიდუალურ მოსწავლეს ჰქონდეს ისეთი სასწავლო გარემო, რომელიც ყველაზე უკეთ შეეფერება მის საჭიროებებს, მოლოდინებსა და ინტერესებს. ეს ყოველივე ეთანხმება სკოლის უმაღლეს ღირებულებებს, როგორცაა სწავლა და ფსიქო-სოციალური განვითარება.

ამ კვლევის ფოკუსი დაკავშირებულია შესაბამისად ადაპტირებული განათლების გაგებასთან, მეტწილად როგორც მიზნობრივ, ინდივიდუალიზირებულ განათლებასთან და უფრო ნაკლებად, როგორც მიზნობრივ საკლასო/ჯგუფურ სწავლებასთან. ბახმანი და ჰაუგი (ნორვეგიელი მკვლევრები) 2006 წ. ამ ხედვას ახასიათებენ როგორც პრობლემას და გამოწვევას, რადგან აცხადებენ, რომ საკლასო სწავლება არ არის აუცილებლად შეუსაბამო სათანადოდ ადაპტირებულ განათლებასთან. ამ თვალსაზრისს მხარს უჭერენ სხვა მკვლევარებიც, ვინც ცალმხრივ ინდივიდუალიზმს უფრთხის საზოგადოების ხარჯზე, რადგანაც სკოლაში კარგი კოლექტიური სასწავლო გარემოს განვითარება მნიშვნელოვანი წინაპირობა გახლავთ ინკლუზიური სკოლის რეალიზაციისათვის.


ლიდერობის პრაქტიკულად განხორციელების განსხვავებული ფორმები კლასში

კაუფმანი და კაუფმანი (1998) მიუთითებდნენ, რომ ლიდერობის განმარტებების დიდ რიცხვს ორი საკვანძო სიტყვა აქვს საერთო, სახელდობრ, სოციალური გავლენა და მიზნის მიღწევა. თუ სკოლისათვის ინტერპრეტაციას მოვახდენთ, სოციალური გავლენა შეეხება იმ ფაქტს, რომ მასწავლებელს სულაც არა აქვს ისეთი პოზიცია, საიდანაც კლასსა და ინდივიდუალურ მოსწავლეზე გავლენის მოხდენა შეუძლია. ასე რომ ბავშვები, სკოლის მიზნებთან შესაბამისობაში სწავლობენ და ვითარდებიან. სხვა მიზეზებთან ერთად, მასწავლებელს მოსწავლეების სწავლაზე ასეთი გავლენა თავისი შესაძლებლობების და კომპეტენციის საშუალებით აქვს.

იყოს ავტორიტეტი

მასწავლებლის გავლენა ჩანს, მაგალითად, ისეთ სიტუაციებში, როცა მასწავლებელი მოთხოვნებს უყენებს მოსწავლეებს, როდესაც წესების დადგენა და გატარება ხდება, ან როცა კონფლიქტების გადაჭრის საჭიროება დგება. ის მანერა და ქცევის წესი, რომელსაც მასწავლებელი ასეთ სიტუაციაში მიმართავს, შემდგომში საკვანძო ხდება იმ სოციალური გავლენისათვის, რასაც მასწავლებელი აღწევს და იმ შედეგებისათვის, რომელიც უკვე მიღწეულია. სურათზე ნაჩვენებია გავლენის ოთხი განსხვავებული სტილი:

მაღალი ხარისხის კონტროლი




დაბალი ხარისხის კონტროლი

ტერმინი „კონტროლი“, ნიშნავს, რომ მასწავლებელს წარმოდგენა აქვს რა ხდება კლასში, დადგენილი აქვს მკაფიოდ გამოხატული წესები კლასისათვის, როგორც სასწავლო გარემოსათვის, 100%-ით მოქმედებს იმ შეთანხმებით, რაც საუკეთესოა კლასისათვის, თავის საკუთარ გრძნობებს აკონტროლებს და ა. შ. დამატებითი კონტროლი ნიშნავს, რომ მასწავლებელს აქვს ზოგადი წამოდგენა ინდივიდის სასწავლო პროცესზე, გააჩნია მკაფიო წარმოდგენა კლასში რა მოთხოვნები და წესები არსებობს და მათ მართებულად იყენებს. ტერმინი სიტობო ნიშნავს, რომ მასწავლებლის დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ გამოირჩევა პოზიტიური განწყობით, დადებითი ინტერესე-

ბით ინდივიდების მიმართ. მასწავლებელი აქებს ყველა მოქმედებას, რაც დადებითია, უსმენს მოსწავლეებს და საშუალებას უქმნის მათ თავიანთი წვლილი შეიტანონ სასწავლო პროცესში, თავი გამოიჩინონ და სხვ.

იდეალური პრაქტიკული საქმიანობაა პედაგოგისათვის იყო ავტორიტეტული მასწავლებელი, ვისაც მაღალი თვითკონტროლისა და სიბოძის გაცემის უნარი აქვს. ასეთი ტიპის მასწავლებლები მოსწავლეებისათვის ავტორიტეტს წარმოადგენენ. ავტორიტეტული მასწავლებლები არიან უსაფრთხო და არაორაზროვანი, ისინი თავიანთ მოლოდინებს მოსწავლეების მიმართ მარტივად და ნათლად გამოხატავენ. კლასში ადგენენ და ატარებენ წესებს ისე, როგორც ეს მოსწავლეებისათვის არის მისაღები. ასეთი ტიპის მასწავლებელს იმავდროულად ახლო და პოზიტიური ურთიერთობა აქვს მოსწავლესთან, მაგრამ ახერხებს აუცილებელი დისციპლინის დაცვას, რაც ხშირად მოითხოვება. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ავტორიტეტული მასწავლებელი არ ბრაზდება ან არაფრის ეშინია, მაგრამ მისგან მოითხოვება აკონტროლოს თავისი გრძნობები და არ მისცეს უფლება გაველენა მოახდინონ წესებზე ან მის მიერვე მიღებულ გადაწყვეტილებებზე.



ავტორიტეტული სტილი უპირისპირდება ავტორიტარულ მასწავლებელს, რომელსაც დაბალი შეფასება აქვს სიტბოს გამოხატვის მხრივ. ასეთი ტიპის მასწავლებელი ცალმხრივ გადანყვეტილებებს იღებს, მოსწავლეებისგან დამორჩილებას ითხოვს და ხშირად ბრაზდება. ეს სტილი ხშირად შეუთავსებელია უსაფრთხოების შეგრძნებასთან, სიახლოვესა და ნდობასთან. მომთმენი, ლიბერალური მასწავლებელი ბევრ საკითხში ავტორიტარული მასწავლებლის სანინააღმდეგო ცნებაა. ლიბერალურ მასწავლებელს აქვს ბევრი სიტბო მოსწავლეებისათვის, მაგრამ ხშირად უთმობს მოსწავლეების შემხვედრ პრეტენზიებს და ხშირად აქვს პრობლემები წესების დაცვასთან და სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით.

მოსწავლეთა ნდობის მოპოვება

აზრი არა აქვს ლიდერობის ფორმალური მდგომარეობის მოპოვებას, თუ მასწავლებელს, როგორც ლიდერს, არა აქვს აუცილებელი ნდობა მოსწავლეების მხრიდან. მოსწავლეთა ნდობის გარეშე უკიდურესად ძნელი იქნება ლიდერობის განხორციელება კლასში. როდესაც მოსწავლეები ენდობიან მასწავლებელს, ისინი აღიარებენ მის ლიდერობას მხარდაჭერით და კეთილგანწყობიბ.

მასწავლებელმა ნდობა უნდა მოიპოვოს. ამას ვერაფერს მოითხოვს. მასწავლებლები მოიპოვებენ მოსწავლეთა ნდობას მათი შექებით და კარგად შესრულებული სამუშაოსათვის ან მონდომებისათვის, დადებითი შეფასების მიცემით, ასევე დაინტერესების გამოხატვით თითოეული ინდივიდის მიმართ. ისინი მოიპოვებენ მოსწავლის ნდობას, თუ შეეცდებიან მათ არა მხოლოდ სასკოლო სამუშაოთი იცნობდნენ, არამედ სკოლის გარეთ მოსწავლეების ქცევითაც დაინტერესებინან.

მასწავლებელს შეუძლია ეფექტურად განახორციელოს ლიდერობა, თუ მოსწავლეებს უნიკალურ ადამიანებად აღიარებს, ლიდერის ფუნქციებს შეასრულებს და იმოქმედებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მასწავლებელი მოსწავლეების აკადემიურ განათლებასთან ერთად, მათი პირადი და სოციალური განვითარებითაც უნდა დაინტერესდეს. მოსწავლეების პოზიტიური მხარეების დანახვა და აღიარება სკოლის შიგნით და მის გარეთ, მასწავლებელს დადებით ურთიერთობას დაუმყარებს ყველა მოსწავლესთან და ნდობასაც მოუპოვებს, რაც კარგი ლიდერობისათვის აუცილებელია.

კლასის მკაფიოდ გამოხატული და უსაფრთხო ლიდერი

მოსწავლეებთან ურთიერთობაში გასაგები და ნათელი რომ იყოს, მასწავლებელი ლიდერის როლში თავს უსაფრთხოდ უნდა გრძნობდეს. ასე რომ, სხვადასხვა გამოწვევები, რაც ყოველდღიურად წამოიჭრება კონსტრუქციული მიდგომის საშუალებით უნდა გადაწყდეს. ვისერი (2000) აღნიშნავს ცენტრალურ ფაქტორებს, რაც მასწავლებელს უსაფრთხოდ აგრძნობინებს თავს, როცა სკოლაში სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება უწევს. ორი ფაქტორი, რომელიც ახლო კავშირშია მასწავლებლის სტილთან, შემდგომში მდგომარეობს: მასწავლებელს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მოლოდინები მოსწავლეების მიმართ და მასწავლებელი ცნობს საკუთარ თავს მასწავლებელად.

- მკაფიოდ განსაზღვრული მოლოდინები

მკაფიოდ გამოხატულ მოლოდინებს შედეგად მოაქვთ მასწავლებლის, როგორც ნათელი პიროვნების დანახვა. როდესაც დადებითი ურთიერთობა არსებობს მასწავლებელსა და მოსწავლეს ან მასწავლებელსა და მშობლებს შორის, ნათლად გამოხატულ მოლოდინებს შეუძლიათ მოტივირება და მიღწევების თვალსაზრისით მათრახის როლის შესრულება. მკაფიოდ გამოხატული მოლოდინები გამოიყენება მოსწავლეების სწავლის და ქცევის სხვადასხვა ასპექტების მიმართ. მოსწავლეთა მუშაობის და სწავლის გაკონტროლება აქტიურ მასწავლებელს მოითხოვს. ასეთი მასწავლებელი ნათლად გამოხატავს თავის მოლოდინებს მოსწავლეების მიმართ და აქტიურად მუშაობს, რათა მოლოდინები პროაქტიური მოქმედებით განახორციელოს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასწავლებელი წინასწარ აცნობს თავის მოლოდინებს მოსწავლეებს და არასაკმარის აკადემიურ მოსწრებაზე ან პრობლემურ ქცევაზე რეაქციას არ გამოხატავს.

- ცნობდენ თავს მასწავლებლად

როდესაც მასწავლებელი აცნობიერებს, რომ თავს ვერ ართმევს სკოლის სხვადასხვა გამოწვევას, ეს შეიძლება პიროვნულ მარცხად აღიქვას. ბუნებრივია, აჯობებს, რომ მარცხის ეს შეგრძნება პი-

როვნებამ თავის თავში შეინახოს. ეს განსაკუთრებით ხშირად ხდება სკოლებში, სადაც ტრადიციულად მასწავლებლისგან ელოდებიან, რომ თავს გაართმევს აკადემიური და ყოფაქცევის გამოწვევების მეტ ნაწილს, რასაც ყოველდღიურად სკოლაში მუშაობა განაპირობებს. წარუმატებლობის მუდმივი შეგრძნება და დეფექტები შეიძლება მასწავლებლის პროფესიონალურ შესაძლებლობებსაც და პიროვნულ მდგომარეობასაც დაემუქროს. რათა თავიდან აირიდოს ასეთი მდგომარეობა, მასწავლებელს უნდა შეეძლოს თავისი როლის – როგორც პედაგოგის გააზრება, ჰქონდეს გამჭრიახობა, დაინახოს, თუ რა წვლილი შეაქვს მის საკუთარ მოქმედებებს პრობლემების გადაწყვეტასა თუ გამოწვევების გამკლავებაში. პირველ რიგში, მნიშვნელოვანი იქნება პოზიტიური გამოცდილებების გახსენება და შესაძლებლობების განხილვა რთულ სიტუაციებში. მასწავლებლებს, ვისაც საკუთარი ქმედებები გაცნობიერებული აქვთ, გაუმკლავდნენ მშობლებისა და მოსწავლეების გამოწვევებს უფრო იოლად უმკლავდებიან. ვისერი (2000) ამტკიცებს, რომ ამ ტიპის მასწავლებლებს კარგად ესმით თავიანთი ძლიერი და სუსტი მხარეები, მათ ყოველთვის ჰყავთ ვიღაც, ვისთანაც შეუძლიათ გამოცდილების გაზიარება და განხილვა. ასეთ მასწავლებლებს წინსვლაზე კონცენტრირებაც შეუძლიათ.

ცოდნაზე დაფუძნებული კლასის ლიდერობა

მასწავლებლის, როგორც ლიდერის ცენტრალური ამოცანა არის არჩევანი და გადანყვევტილების მიღება ყველაზე საუკეთესო გამოცდილებაზე დაყრდნობით. ეს უზრუნველყოფს ცოდნაზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიას საკლასო ოთახსა და სკოლაში. კვალიფიციურობის მთავარი წყარო ასეთი პრაქტიკული საქმიანობისას არის კვლევაზე დამყარებული და გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა და მასწავლებლის საკუთარი გამოცდილება სხვა ისეთ სფეროებში, როგორც არის სამართლებრივი ჩარჩო, პროფესიული სახელმძღვანელო პრინციპები, ეთიკა და სკოლის წამყვანი პრინციპები. ცოდნაზე დაფუძნებულ პრაქტიკულ საქმიანობაში ერთ წყაროს მეორეზე მეტი წონა არა აქვს. ნაცვლად ამისა, სხვადასხვა წყაროებიდან მოცემული გამოცდილება გაერთიანებულია.

კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა

კვლევაზე დაფუძნებული ცოდნა კვლევას ემყარება და ობიექტური, ეფექტური და საიმედოა. ასეთი ცოდნა არსებობს – მტკიცებულებებზე დამყარებული პროგრამებიდან დაწყებული, რომელიც სკოლებში, განსაკუთრებული მიზნობრივი ჯგუფებისათვის განვითარდა, მაგალითად:

1. მოსწავლეები სპეციფიკური სწავლის სირთულეებით;
2. პრობლემური ქცევის მოსწავლეები;
3. მოსწავლეები, ვისაც მრისხანების გაკონტროლების სწავლება სჭირდებათ;
4. მოსწავლეები, ვისაც სოციალური უნარ-ჩვევების სწავლა სჭირდებათ;
5. პროგრამები დაშინების აღსაკვეთად (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტერორი ბავშვის მიმართ თანაკლასელების მხრიდან).

იმ სწავლებებიდან შედეგების კვლევამდე, რომელსაც კმაყოფილების არსებობა აინტერესებს სკოლის ფარგლებში. კვლევა აჩვენებს ლიდერობის კარგ ფორმებს განსხვავებული მოსწავლეების ჯგუფებისათვის, საქმის ცოდნას, მოტივაციით დაინტერესებას და სხვ.

ვისერი (2000) ამტკიცებს, რომ განსხვავებული სტრატეგიების ცოდნა, რომელიც მიზნად ისახავს სხვადასხვა გამოწვევების გამკლავებას სკოლაში, შეიძლება დაეხმაროს მასწავლებელს თავი უსაფრთხოდ და დაცულად იგრძნოს. როგორც ლიდერი, მასწავლებელი უნდა იცნობდეს სხვადასხვა სტრატეგიებს, პროგრამებს და მოდელებს (ნიმუშებს), რომელიც შეიძლება სკოლაში იქნას გამოყენებული. როგორც ლიდერს, მასწავლებელს აქვს პირადი პასუხისმგებლობები, რომ ასეთი პროგრამების საშუალებით სრულყოფილებას მიაღწიოს და იმავდროულად, მისი, როგორც ლიდერის მოვალეობაა გამოიყენოს ასეთი მეთოდები საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, ამ ტიპის ცოდნა ყოველთვის წარმატების გარანტი არ არის. ეს ნაწილობრივ იმიტომ, რომ წამოყენებული პირობები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ შედეგზე. ასეთი პროგრამების გამოყენება მოითხოვს იმის ცოდნას, თუ როგორ უნდა გამოიყენო და განახორციელო ეს პროგრამები. მტკიცებულებებზე დამყარებული პროგრამები და მოდელები შეიძ-

ლება განსაკუთრებულად მგრძობიარე აღმოჩნდეს, რადგან მათი გამოყენების ბევრი ასპექტი არსებობს, ამიტომ დაცული უნდა იყოს, რათა დადებით შედეგებს მიაღწიონ. თუ ასეთი კვალიფიკაცია კვლევით დადასტურებულისგან განსხვავებული მანერით გამოიყენება, შედეგები არასაიმედო იქნება.

გამოცდილებზე დაფუძნებული ცოდნა

გამოცდილებაზე დაფუძნებული ცოდნა გამომდინარეობს გამოცდილებიდან მიღებული ცოდნიდან, რომელიც მასწავლებლებმა სკოლაში სწავლების და სწავლის პერიოდში შეიძინეს. დაფიქრების შედეგად, გამოცდილება, მაგალითად, შეიძლება დაკავშირებული იყოს თეორიასთან და ფაქტზე დამყარებული ჰიპოთეზების საფუძველი ჩამოაყალიბოს. ამ ჰიპოთეზების შემოწმება მოგვიანებით არის შესაძლებელი. ეს არის მასწავლებლის, როგორც მკვლევარის და სასწავლო ორგანიზაციების ცენტრალური ასპექტი.

ყოველივე ეს განაპირობებს მასწავლებლის, როგორც ლიდერის ჩართვას პროცესში, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობა განავითაროს გამოცდილებაზე დამყარებული ცოდნა სკოლაში. არსებობს ხუთი ნაწილისგან შემდგარი სტრატეგია, რომელიც შეიძლება კვალიფიკაციის განვითარებისათვის გამოიყენო. პირველი ნაწილი მოიცავს კითხვების დასმას. გამომხატავს დაინტერესებას იმ ფაქტორებით, რომელიც უკავშირდება განსაკუთრებულ მოვლენებს. რა გავაკეთე მე, როგორც მასწავლებელმა? როგორი იყო მოსწავლეების რეაქცია და მოქმედება? რა ვთქვი ისეთი, რის გამოც მშობლების რეაქცია იყო ისეთი, როგორიც იყო? ასეთი კითხვების დასმით კარგი საფუძველი ეყრება პროცესის მეორე ნაწილის დაწყებას. სახელდობრ პასუხის გაცემას კითხვაზე, როგორ განვითარდა ის სიტუაცია, როგორც მივიღეთ. მოდელის მესამე ნაწილი ნიმუშებს და კავშირებს განსაზღვრავს. არსებითად, აუცილებელი იქნება კავშირების ნიმუშების გააზრების მცდელობა, რათა გამოჩნდეს, თუ რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა, რათა გარკვეული გამოწვევები დაძლიოს. ასეთ სიტუაციებში მნიშვნელოვანი იქნება სხვებისგან ინფორმაციის მოპოვება, თუ როგორ აფასებენ და ხედავენ ისინი გარკვეულ მოვლენებს, ასევე სხვადასხვა ინტერპრეტაციების განხილვა. ეს არის მოდელის მეოთხე ნაწილი. კოლეგა მასწავლებლები მნიშვნელოვანი ინფორმატორები არიან და

სხვადასხვა საკითხების განხილვა საჭიროა. სხვებისათვის კითხვით შესაძლებელია საერთო აზრი გამოიკვეთოს. ეს შესაძლებელს გახდის მოდელის დადგენას, თუ როგორ არიან დაკავშირებული განსხვავებული ფაქტორები და როგორ შეიძლება გაგებული იქნას მოვლენები. ეს გულისხმობს, რომ მასწავლებელს შეუძლია განსაზღვროს მოდელში ფაქტორები, რომელიც შეიძლება შეიცვალოს სტრატეგიის მიხედვით და ინდივიდუალური მასწავლებლის მცდელობებს მოითხოვს. მოდელის მეხუთე და ბოლო ნაწილი ამიტომაც ასაბუთებს იმ სტრატეგიის განხორციელების აუცილებლობას, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრულ სიტუაციებსა და კონკრეტულ პრობლემებთან.

მომხმარებლის ცოდნა

„მომხმარებლის ცოდნა“ ნარმოიშობა მოსწავლეების და მშობლების იმ გამოცდილებისგან, რომელიც სკოლის სხვადასხვა ასპექტისგან გამომდინარეობს. ასეთი ცოდნის ნარმოიშობა გულისხმობს ღია დიალოგს მომხმარებლებთან, ვინც დაინტერესებულია ცენტრალური შეკითხვებით, რაც მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ, პირად განათლებასა და განვითარებას უკავშირდება. მომხმარებლის ცოდნა შეიძლება საკვანძო მნიშვნელობის იყოს მეორეხარისხოვანი და სერიოზული პრობლემების გადაწყვეტისათვის სკოლაში. მშობლებსა



და მოსწავლეებთან დიალოგის საშუალებით მასწავლებელს, როგორც ლიდერს, შეუძლია მიაღწიოს უფრო დიდ და მტკიცე, საიმედო საფუძველს მისი გადაწყვეტილებებისა და არჩევანისათვის. მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი მოსაზრებები და გამოცდილება. ყოველივე ამას, მასწავლებელი მიჰყავს იმ შედეგამდე, რომ ის თავის შეზღუდულებს გადააფასებს, ხელახლა ახდენს პრობლემის ფორმულირებას, წესრიგში მოჰყავს ან ცვლის სასწავლო პროგრამას და სხვ.

სხვა ცოდნა

„სხვა ცოდნის„ წყაროები მოიცავს კვალიფიციურობას, რომელიც არსებითია სკოლაში მუშაობისათვის. საქმის ასეთი ცოდნა არეგულირებს მკაფიოდ გამოხატულ ხელმძღვანელობას სკოლაში პრაქტიკული მუშაობის, ინსტრუქციების, კანონით დადგენილი ჩარჩოების, ეთიკური პრინციპების და სხვა საშუალებებით. ამგვარი კვალიფიციურობა დაარეგულირებს სკოლის პრაქტიკულ საქმიანობას და ამასთან, მნიშვნელოვანი იქნება მასწავლებლის მუშაობისათვის. სკოლის კანონების, წესების და პრინციპების სრულყოფილი ცოდნა განაპირობებს, რომ მასწავლებელი, როგორც ლიდერი, მოსწავლეთა და მშობელთა უფლებებს დაიცავს და იმავდროულად საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებას უზრუნველყოფს მოცემულ ჩარჩოში.

კლასის მართვა

კლასისათვის კარგი ლიდერობის განევით მასწავლებლისადმი ნდობა იზრდება და კლასში მეტი მეგობრობა, წესრიგი და პოზიტიური ნორმები ვითარდება. კლასის კარგი მენეჯმენტის საშუალებით მასწავლებელი პირდაპირი და არაპირდაპირი გზებით ყოფაქცევის პრობლემებს აღკვეთს. მასწავლებლისადმი ნდობა და დადებითი გარემო უკიდურესად მნიშვნელოვანია, როცა მასწავლებელს ჩარევა ან მოსწავლის საქციელში შეწორების შეტანა სჭირდება. კლასში ლიდერობის გავლენა განსაკუთრებით ძლიერია, როცა ახალი კლასი ან ჯგუფი დგება. მაგალითად პირველი, მერვე კლასი ან ზედა საშუალო განათლების დასაწყისი ეტაპის კლასები. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, დაძაბულობა და უწესრიგობაა, რომელიც



თანდათან მეფდება. მოსწავლეები მასწავლებელს არ იცნობენ და ისინი სრულიად ან ნაწილობრივ უცხოები არიან ერთმანეთისათვის. ამ სოციალურ ვაკუუმში ნათელი ხდება, რომ კლასის ყურადღებით მართვა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ კარგი რუტინა, ურთიერთობები და ნორმები სწრაფად ჩამოყალიბდეს. თუ ეს ასე არ მოხდება, დიდი რისკია იმისა, რომ მოსწავლეთა შორის გამოჩნდეს არაფორმალური, უარყოფითი ტიპის ლიდერი, რომელიც კონტროლს აიღებს და მასწავლებლის წინააღმდეგ იმოქმედებს. ეს სოციალურად ზიანს მოუტანს სხვა მოსწავლეებს და სასწავლო გარემოს დააზარალებს.

თანამშრომლობა სხვებთან

მასწავლებლისთვის როგორც ლიდერისათვის, არსებითად მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი მოქმედებაა კოლეგებთან, მშობლებსა და სხვადასხვა დამხმარე მომსახურებებთან თანამშრომლობა.

თანამშრომლობა კოლეგებთან

მასწავლებლისთვის მნიშვნელოვანია კოლეგებთან თანამშრომლობა და გუნდის მონაწილედ გახდომა, რათა განავითაროს ნდობის, დამაჯერებლობის და უსაფრთხოების შეგრძნება. გუნდის მონაწილე მხარს უჭერს და ამხნეებს სხვებს. იგი ბედნიერია მათი წარმატებით. გუნდის მონაწილე აღიარებს კარგ მცდელობებს, იმ შემთხვევაშიც კი, როცა შედეგები სასურველი არ არის. გუნდის მონაწილე გამოცდილებას და ახალ იდეებს თავის კოლეგებს უზიარებს. კარგი საკლასო მენეჯმენტი მასწავლებლებს შორის ინფორმაციის გაცვლის საშუალებით, საკლასო ოთახში მეტად და ნაკლებად წარმატებული სტრატეგიების გაზიარებით ვითარდება. მასწავლებლები, რომლებიც არ შედიან დიალოგში სხვებთან საკლასო ოთახში, არსებული გამოწვევების თაობაზე, მხოლოდ რამდენიმე სტრატეგიას ფლობენ და შესაბამისად ექნებათ ტენდენცია, იყვნენ ნაკლებად ექსპერიმენტულები, ასევე ნაკლები შანსი აქვთ სამომავლოდ, ვიდრე სხვა მასწავლებლებს. გამოცდილების გაცვლით მასწავლებლებს შეეძლებათ აღმოაჩინონ ახალი შესაძლებლობები და ალტერნატივები, რაც შეიძლება გამოიცადოს.

თანამშრომლობა მშობლებთან

მასწავლებელს, როგორც ლიდერს, აკისრია პასუხისმგებლობა მშობლებთან თანამშრომლობისას, რათა ხელი შეუწყოს სწავლის ნახალისებას, ბავშვთა და მოზარდთა განვითარებას სკოლაში.

სკოლასა და სახლს შორის თანამშრომლობისას მშობლები თანაბარუფლებიან პარტნიორებად მოიაზრებიან. მნიშვნელოვან საფუძველს თანასწორი დიალოგისათვის მშობლებსა და სკოლას შორის წარმოადგენს შეხედულება, რომ მშობლები თავიანთი შვილების აღზრდისა და სკოლაში დასწრების უზრუნველყოფის რესურსად უნდა ჩაითვალოს. მასწავლებლებსა და მშობლებს შორის პოზიტიური თანამშრომლობისათვის არსებითად მნიშვნელოვანი სტრატეგია მოკლედ ქვემოთ არის მოცემული.

კონცენტრაცია პოზიტივზე

მშობლებთან შეხვედრისას მასწავლებელი გამამხნეველი და მხარდამჭერი უნდა იყოს. საქმე ორმხრივ ამოცანას ეხება, რომელიც დგას სკოლისა და სახლის წინაშე. ეს ნიშნავს, რომ მასწავლებელი მხოლოდ მაშინ არ უნდა უკავშირდებოდეს მშობელს, როდესაც რაღაც წესრიგში არ არის ან როცა აკადემიური ან ყოფაქცევის პრობლემები არსებობს. ბევრად უფრო კონსტრუქციული იქნება, თუ მასწავლებელი ასევე აცნობებს მშობელს, როცა სკოლაში საქმეები კარგად მიდის. იმისათვის, რომ შეძლონ ნეგატიური ინფორმაციის მოსმენა თავიანთი ბავშვების შესახებ ისე, რომ არ დაიჭირონ დაცვის მხარე, მშობლისათვის მნიშვნელოვანია მეტწილად კარგი ჰქონდეს მოსმენილი თავის შვილზე. კარგი დასაწყისი არის „ერთიდან ხუთი“ წესი, რომელიც აცხადებს, რომ ერთი ნეგატიური ინფორმაციის გასანეიტრალებლად, ხუთი დადებითი საჭირო. ეფექტური სტრატეგია მასწავლებლისათვის ითვალისწინებს რეგულარული კონტაქტის შენარჩუნებას მშობლებთან, ასევე მხარდაჭერას და პატივისცემას პრობლემის მათეული გადაწყვეტის მიმართ. რეგულარული კონტაქტის საშუალებით პოზიტიური საპასუხო რეაქციის მიღების მეტი შესაძლებლობაა. გარდა ამისა, მასწავლებელი და მშობელი უკეთ იცნობენ ერთმანეთს.

ფოკუსი „აქ და ახლა“ ზე — სიტუაცია და მომავალი

ბავშვების მშობლებთან შეხვედრისას, ვისგანაც მოდის გამონევეა სკოლის და მასწავლებლების მიმართ, მნიშვნელოვანია, ნათელი იყოს საუბრის ფოკუსი და მიზანი. გამოცდილება აჩვენებს, რომ აქცენტი უნდა გაკეთდეს „აქ და ახლა“ სიტუაციაზე, რაც მიზანმიმართულია ბავშვის მომავალზე ან მოზარდზე, ვისი საკითხიც დგას. ცოტა შეიძლება იქნეს მიღწეული შეხვედრით, თუ ეს დრო წარსული საქმეების კონფორმაციისათვის დაიხარჯება. უმჯობესია, იმ სურვილები-სა და მიზნების განხილვა, რაც სკოლას და მშობელს აქვს ბავშვის მომავალი განვითარებისათვის. უმჯობესია შესწავლა და განსჯა, როგორ უნდა იქნას ეს მიზნები მიღწეული.

ბრალის დადების თავიდან აცილება

ბრალის დადება იშვიათად არის გამოსავალი. მშობლები იოლად ხვდებიან დამცველის როლში იმ ემოციური ძაფების გამო, რაც შვილებთან აკავშირებთ. იოლი არ არის იყო იმ ბავშვის მშობელი, რომელიც სხვადასხვა გზით პრობლემების მიზეზს წარმოადგენს სკოლაში და მასწავლებლებს ცხოვრებას ურთულებს. ნაცვლად ამისა, აჯობებს ყურადღება მიექცეს, რა ხდება მოსწავლეებს შორის ან მასწავლებელს, როგორც პედაგოგსა და მოსწავლეს შორის. უმჯობესია შედეგების გაანალიზება ან ინტერაქტივი კონფლიქტურ სიტუაციაში მონაწილეთა შორის, ვიდრე თითოეული მათგანის დადანიშნულების მცდელობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სცენარების გაანალიზება, რაც ხშირად ხდება. კონტაქტის ამ მანერის გამოყენება პრობლემურ სიტუაციაში მშობლებს უიოლებს თქვენთან გონივრული შემოთავაზებებით მოსვლის პრობლემას. იმავდროულად ეს საშუალებას აძლევს მასწავლებელს უკეთ წარმართოს დიალოგი მშობლებთან.

გადანწყვეტაზე ორიენტაციის აღება

როდესაც მასწავლებელი პრობლემებს წამოჭრის და განსჯის მშობლებთან, უფრო მომგებიანია კონცენტრირება შესაძლო გადაჭრის გზებზე, რათა არ დაიხარჯოს დრო პრობლემაზე, როგორც ფაქტზე. პრობლემაზე აქცენტის გაკეთებას ხშირად დიდი დრო და ენერჯია მიაქვს და ყველაფერი არასასურველი და ცუდი ზედაპირზე ამოდის. უმჯობესია პრობლემის აღწერა და შემდეგ იმ სიტუაციების შესწავლა, რომელშიც ეს პრობლემა არ გვხვდება. უპრობლემო სიტუაციების შესწავლისას პრობლემის გადანწყვეტის გზა თავად პრობლემურ სიტუაციებში ჩნდება. რატომ არ არის პრობლემა სიტუაცია ა-ში, როცა ის გვხვდება სიტუაცია ბ-ში? რა განსხვავებაა ა და ბ სიტუაციებს შორის? რას გავაკეთებდი განსხვავებულად ა და ბ სიტუაციებში? განსხვავებული სასწავლო აქტივობა ა და ბ სიტუაციებში მოგვცემს თუ არა განსხვავებას? ასეთ კითხვებზე პასუხის გაცემით მასწავლებელი იპოვის საფუძველს იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოს ჰიპოთეზა, თუ რას შეაქვს წვლილი ბ სიტუაციის პრობლემის წარმოქმნაში, რაც არ ხდება ა სიტუაციაში. ასეთი ჰიპოთეზები კარგ საფუძველს ქმნის

კონკრეტული გადაწყვეტილებების შესამოწმებლად განსხვავებულ პრობლემურ სიტუაციებში.

ატმოსფეროს ღიაობით გამორჩეული სკოლები ხშირად ხასიათდებიან მზრუნველობის მაღალი დონით და სკოლის დირექტორის მხრიდან არსებული კონტროლით სკოლის სოციალური და აკადემიური ასპექტების მიმართ. მასწავლებლების მოვალეობები მაღალია და ჩანს როგორც სამუშაოთი კმაყოფილება, ასევე კარგი სამსახურებრივი ურთიერთობები. სკოლის ლიდერები, ვინც გამჭრიახობით გამოირჩევა და ესმის, თუ როგორ ვითარდება და იცვლება კულტურა, განმავითარებელი აქტივობების გასაღებს ფლობენ. კულტურის გაგება პასიური პროცესი კი არა, ლიდერის აქტიური ფუნქციაა, დამყარებული იმ წინაპირობებზე, რასაც ორგანიზაციაში მყოფი, ცვლილებისა და განვითარების შემომტანი ადამიანები ჰქვია.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

იანი სთონი, ერიკ ნორდგრინი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა არის უმთავრესი წერილობითი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლება ხორციელდება. იგი სპეციალისტთა გუნდის მიერ მშობლების აქტიური მონაწილეობით შედგება წინასწარი დაკვირვებისა და შეფასების საფუძველზე და ითვალისწინებს სრულ ინფორმაციას ბავშვის ქცევითი, კომუნიკაციური ჩვევების, შესაძლებლობისა და მისთვის საჭირო მომსახურების შესახებ. ასევე ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში შედის საჭირო სპეციალურ მომსახურებათა ჩამონათვალი, თუ რომელმა სპეციალისტმა და რა რაოდენობით უნდა გაუწიოს დახმარება მოსწავლეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას აქცენტი კეთდება ბავშვის შესაძლებლობაზე და არა შეზღუდულობაზე, ანუ ის ყოველთვის პოზიტიურ სურათს ასახავს.

ყოველი წლის დასაწყისში ინდივიდუალური სასწავლო გეგმა დგება ერთი წლის ვადით და მასში აისახება ის კონკრეტული მიზნები, რისი მიღწევაც უნდა შეძლოს მოსწავლემ წლის განმავლობაში. ზოგიერთი მოსწავლისათვის წლიური მიზნები შეიძლება ძირითადად

აკადემიურ სფეროებს ეხებოდეს, მაგ. კითხვის გაუმჯობესება, მათემატიკური პრობლემების გადაწყვეტა და სხვა. ზოგიერთისათვის კი ნლიური მიზანი შესაძლოა იყოს ქცევითი ნორმების, ყოველდღიური უნარ-ჩვევის გამომუშავება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ასახული მიზნები უნდა იყოს რეალისტური და განხორციელებადი. იმ შემთხვევაში, თუ სპეციალისტების ჯგუფი დაინახავს, რომ საჭიროა მოსწავლის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, იგი იწვევს სპეციალისტებს და მშობლებთან ერთად, შეაქვს ცვლილებები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლის სწავლაში ჩართვასა და წინსვლას ეროვნულ კურიკულუმში სათანადო ადაპტაცია განაპირობებს. ამ მიზნით სკოლა (მასწავლებელი) მოსწავლისათვის ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ადგენს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გულისხმობს, რომ:

- ა. გათვალისწინებულია კონკრეტული მოსწავლის ის თავისებურებები, რაც მას ხელს უშლის საერთო სასწავლო გეგმაში სრულად ჩაერთოს;
- ბ. გააზრებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის განსხვავებული და სპეციფიური საგანმანათლებლო მოთხოვნები და შესაძლებლობები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა უნდა ასახავდეს ინდივიდის საჭიროებებს, უნარებს და ეროვნულ მიზნებსა თუ განათლების შესახებ კანონებზე დაყრდნობით, სასწავლო გეგმის სპეციფიკური აღწერა უნდა შემოგვთავაზოს. გეგმა განხორციელებადი უნდა იყოს და, ამავე დროს, კრიტიკულად შეფასების საშუალებას უნდა იძლეოდეს.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას საჭიროა ზოგიერთი მთვარი პრინციპის გათვალისწინება: ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოითხოვს თითოეული მოსწავლის ყოველმხრივ, საფუძვლიან შესწავლას; იგი უნდა ასახავდეს როგორც ეროვნულ, ასევე სკოლის მიზნებს და პირდაპირ კავშირში უნდა იყოს ყოველდღიურ პრაქტიკასთან.

მთავარი საკითხები, რაც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას უნდა გავითვალისწინოთ:

უნარები/რესურსები

- რა შეუძლია ბავშვს?
- რა უყვარს?
- რა აინტერესებს?
- კარგი ურთიერთობა აქვს სხვა მოსწავლეებთან? მასწავლებლებთან?
- შეიძლება ბავშვის ინტერესების პოზიტიურად გამოყენება საკლასო ოთახში?

საჭიროებები/მოთხოვნილებები

- რა ესაჭიროება მოსწავლეს დამაკმაყოფილებლად ფუნქციონირებისათვის;
- რა არის მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები ფიზიკურ გარემოსთან მიმართებაში (ავეჯი, სინათლე, სპეციალური მოწყობილობა);
- ესაჭიროება თუ არა დეტალური განრიგი.

მოსწავლემ უნდა იგრძნოს, რომ შეუძლია სხვადასხვა სახის დავალებების შესრულება და მოსწავლემ წინდანინ უნდა იცოდეს, თუ რა არის გეგმაში.

როგორ გავუგოთ მოსწავლეს?

- შეეცადეთ „სამყაროს მოსწავლის თვალით დაინახოთ“.
- აღწერეთ, თუ როგორ იქცევა ბავშვი სხვადასხვა სიტუაციებში;
- რას აკეთებს და რატომ აკეთებს ამას?
- რომელი გარე ფაქტორის შეცვლა დაეხმარება ბავშვს უკეთესად ფუნქციონირებაში?

მოსწავლეს უნდა მიეცეთ ადვილად გასაგები დავალებები.

პრობლემები

- რა პრობლემა იჩენს თავს ყველაზე უფრო ხშირად უშუალოდ სასწავლო პროცესში?
- აღწერეთ ბავშვის (მო)ქმედებები.
- რა გზით ჯობს, გავაცნოთ ბავშვს რაიმე მეთოდოლოგიური სიახლე?
- დაახასიათეთ თითოეული პრობლემა, შეეცადეთ, დაინახოთ იგი ბავშვის პოზიციიდან და იყავით, რაც შეიძლება, კონკრეტული.

ძირითადი მიზანი

მასწავლებლები, მშობლებთან ერთად, პასუხისმგებელნი არიან, დასახონ განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლისათვის ძირითადი მიზანი. მიზანი მოსწავლის უნარებისა და კვალიფიკაციის შესაფერისი უნდა იყოს.

ძირითადი მიზნები საზოგადოებრივ კონტექსტში

სკოლამ უნდა დასახოს მიზნები, რომლებიც მოსწავლეს დაეხმარება თავი იგრძნოს კლასის სრულფასოვან წევრად და განუვითარებს საკუთარი თავის პატივისცემას.

მაგალითად:

- შესამჩნევი იყოს საკლასო ოთახში დადებითი ქცევით;
- საკუთარი პოტენციალისა და სუსტი მხარეების შეცნობა-აღიარება;
- მეტი თვითდაჯერებულობა სკოლის დავალებებთან მიმართებაში.

სფეროები, რომლებშიც ბავშვი დახმარებას საჭიროებს

- უნდა განისაზღვროს ის კონკრეტული საგნები ან სფეროები, რომელშიც მოსწავლეს ინდივიდუალური გეგმა საჭიროდება;
- გეგმაში აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლესა და გარემოს შორის ინტერაქციაზე;
- ინდივიდუალურ გეგმაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ასევე სოციალური სწავლის პროცესზე.

გეგმის შეფასება

- ინდივიდუალური გეგმის შეფასება უნდა მოხდეს, სულ

მცირე, ყოველ ექვს თვეში ერთხელ და ახალი, (შესაძლებელია გადამუშავებულიც) გეგმა უნდა შემუშავდეს ყოველი ახალი სასწავლო წლისათვის. ყველამ, ვინც ჩართულია ბავშვთან მუშაობაში, მონაწილეობა უნდა მიიღოს შეფასებაში. (მშობლის მონაწილეობა მნიშვნელოვანია!).

შეფასება

- ყოველ ექვს თვეში უნდა დაინეროს შემაჯამებელი რაპორტი განვლილი სასწავლო პროცესის შესახებ და უნდა შეფასდეს პროგრესი ბავშვის განვითარებაში. ასევე მნიშვნელოვანია, შეფასდეს არის თუ არა ბავშვი კლასის ნაწილი, ჰყავს თუ არა მეგობრები და ა.შ.

პედაგოგიური შეფასება

მოსწავლის უნარებისა და საჭიროებების ძირფესვიანად შესწავლა აუცილებელი ფაქტორია ადექვატური ინდივიდუალური სწავლებისათვის. აქედან გამომდინარე, საფუძვლიანი ინდივიდუალური გეგმა უადრესად მნიშვნელოვანია. გეგმა დგება ინდივიდუალურად თითოეული მოსწავლისათვის და წარმოადგენს ინდივიდუალიზირებულ დოკუმენტს. საჭირო ინფორმაციას ინდივიდუალური გეგმის შესადგენად სათანადო პედაგოგიური შეფასება გვაძლევს. სხვა მასწავლებლებს ბავშვის საჭიროებებში გასარკვევად საშუალება უნდა ჰქონდეთ, გაეცნონ შედგენილ გეგმას. გეგმა შედგენილი უნდა იყოს ისეთი ფორმით, რომ შეფასების საშუალებას იძლეოდეს.

ბუნებრივია, ბავშვის დიაგნოზი ინდივიდუალური გეგმის დაწერის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ. თუმცაღა, აუცილებელია, გვახსოვდეს, რომ ბავშვი მთლიანობაში გაცილებით მეტია, ვიდრე მისი დიაგნოზი. მაშინ, როცა დიაგნოზი ხშირად აქცენტს აკეთებს ბავშვის პრობლემებსა და სისუსტეებზე, ინდივიდუალურ გეგმაში აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ რა ღონისძიებები უნდა განვახორციელოთ და რა გზით. დიაგნოზი თავისთავად, ღირებულ ინფორმაციას იძლევა, რამდენადაც ბავშვის ფუნქციონირების დონის ზოგად სურათს გვაძლევს. მაგრამ მხოლოდ დიაგნოზი საკმარისი არ არის კარგი სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

აქცენტი ბავშვის უნარზე

რადგან დიაგნოზი აქცენტს აკეთებს მოსწავლის სისუსტეებზე, პედაგოგიური შეფასებისას აქცენტი უნდა გაკეთდეს მოსწავლის პოტენციალზე/რესურსებზე.

ზოგიერთი ფიქრობს, რომ მნიშვნელოვანია, გავაძლიეროთ მოსწავლის სუსტი მხარეები და ეს, რა თქმა უნდა, სწორი მიდგომაა, მაგრამ პედაგოგიური შეფასებისას აქცენტი ძირითადად უნდა გაკეთდეს რესურსებზე. რესურსებში ვგულისხმობთ, თუ რა შეუძლია ბავშვს, რა აინტერესებს, რა მოსწონს, რა მოტივაცია აქვს ან განსაკუთრებით რა ეხერხება. მოსწავლეებს თუ ვაგრძნობინებთ, რომ რაიმეს გაკეთება შეუძლიათ, კარგად ართმევენ თავს იმას რაც მათთვის მნიშვნელოვანია. უმეტეს შემთხვევებში მათ ეს კმაყოფილებისა და ბედნიერების შეგრძნებას მისცემს და სწავლაში მოტივაციას აუმაღლებს. კლასში სხვა ბავშვებისათვისაც მნიშვნელოვანია ნახონ, რომ შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვშიც არის რესურსები.

ფიზიკური სასწავლო გარემო

ზოგჯერ მოსწავლეს უკეთ ფუნქციონირებისთვის შესაძლოა ესაჭიროებოდეს საკლასო ოთახის ადაპტირება. ზოგიერთ ბავშვს ადვილად ეფანტება ყურადღება და სჭირდება შეძლებისდაგვარად ხმაურისა და იმ ფაქტორებისგან დაცვა, რამაც შეიძლება ყურადღება გაუფანტოს. სხვებს სჭირდებათ ოთახი კარგი განათებით ფართო კარებები, კორიდორები და სხვ. ზოგ ბავშვს შეიძლება ესაჭიროებოდეს კართან ახლოს ჯდომა, პირველ რიგში, ისე, რომ სხვა ბავშვები მის



ზურგს უკან ისხდნენ, ან პირიქით, – უკანა რიგში ჯდომა, საიდანაც კარგად დაინახავს მთელ საკლასო ოთახს. ზოგიერთი ბავშვისთვის ძალიან მნიშვნელოვანია დღის აქტივობების გეგმას წინდანი გაეცნოს, ანუ საჭიროა იცოდნენ, რა არის დღის წესრიგში. ასეთ შემთხვევაში სასურველია დღის დეტალური განრიგის დაწერა და კედელზე დაკიდება, მაგიდაზე ან სადმე, თვალსაჩინო ადგილზე გაკერა.

მოსწავლის ქცევის გაგება

როცა მოსწავლის ქცევის გაგებას ვცდილობთ, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, თუ რა კონტექსტში აქვს ამა თუ იმ ქცევას ადგილი. საქციელი უშუალო კავშირშია კონტექსტთან და თუკი ვეთანხმებით იმ აზრს, რომ მოსწავლეების უმეტესობას სურს თანატოლებმა მიიღონ, უნდა შევეცადოთ, გავიგოთ, თუ რა ამოძრავებს ბავშვს. ბავშვების საქციელი, როგორც წესი წინასწარ გამიზნულია და ზოგჯერ აუცილებელია, კონტექსტს დაუვკვირდეთ კონკრეტული საქციელის გასაგებად.

პრობლემის მიზეზი

ყოველთვის ადვილი არ არის საკლასო ოთახში წარმოქმნილი პრობლემების გამომწვევი მიზეზების აღმოჩენა. ხშირად ვფიქრობთ, რომ მიზეზები ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარება ან უშუალოდ ბავშვთან კავშირშია, ბავშვიდან გამომდინარეობს, ანუ პრობლემა თავად ბავშვშია და პრობლემებიდან გამოსავალი ბავშვის შეცვლაა.

სისტემური თეორიის მიხედვით, თითოეული ბავშვი მთელ რიგ ისეთ სისტემებშია ჩართული, როგორცაა, მაგალითად, ოჯახი, მეგობრები და სკოლა. ბავშვის საქციელის გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ მას ამ კონტექსტებით დავინახავთ. სისტემის თეორიის მიხედვით, ადამიანი სოციალური ცხოველია და მისი საქციელი არსებითად გამომდინარეობს სოციალური პერსპექტივიდან. აქედან გამომდინარე, თუ ბავშვის საქციელი გვაშფოთებს, ძალიან დიდია იმის შესაძლებლობა, რომ პრობლემების მიზეზები ბავშვის ირგვლივ გარემოშია და არა თავად ბავშვში.

თითოეული ბავშვის საფუძვლიანი შეფასება იმ კონტექსტების გათვალისწინებით, რომლის წინააღმდეგ იგი გვევლინება, მნიშ-

ნელოვანია, რათა შევძლოთ ბავშვებს მივცეთ ადაქვატური განათლება, მათი განსაკორექტებელი საჭიროებების გათვალისწინებით.

არ არსებობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ერთი, უნიფიცირებული ფორმა, რომელსაც იყენებს ესა თუ ის ქვეყანა. შესაბამისად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაძლებელია განსხვავდებოდეს ფორმით, თუმცა ის აუცილებლად უნდა მოიცავდეს ზემოთაღნიშნულ ქვეპუნქტებს და უნდა იყოს მაქსიმალურად ინფორმაციული. თანდართულ ტრენინგ მოდულში შეგიძლიათ იხილოთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმა, სადაც დეტალურად არის განერილი მულტიდისციპლინური გუნდის (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ექიმი-ნევროლოგი, სპეც. განათლების პედაგოგი) მიერ მოსწავლის შეფასების, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების აღწერის, წლიური და მოკლევადიანი მიზნების, კონკრეტული სასწავლო სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმის დასახვის, გეგმის მიმდინარეობისა და მისი მოდიფიკაციის საკითხები.

წარმოგიდგინებ ქვეთავში კი გაგაცნობთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გამარტივებულ ნიმუშს, რომელსაც მიხედვითაც ყველა პედაგოგს, სკოლაში არსებული რესურსის (ფსიქოლოგი, ლოგოპედი, დამხმარე პედაგოგი) და მშობლის მონაწილეობით შეუძლია შეაფასოს მოსწავლის განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებები, განსაზღვროს სასწავლო მიზნები და ჩამოაყალიბოს სამოქმედო სტრატეგიები ყოველ კონკრეტულ საგანთან და სასკოლო აქტივობასთან მიმართებაში.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

გამართივებული ფორმა

სკოლა კლასი/ი კლასი

მოსწავლე მარიამი

დაბადების თარიღი ასაკი..... 8 წლის

მშობელი/მეურვე

მისამართი/ტელეფონი

შეხვედრის თარიღი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა 2007 წლის ოქტომბრიდან
2008 წლის ივნისამდეინდივიდუალური სასწავლო გეგმა გადაიხედება 2008 წლის
მარტში.

შეხვედრის ტიპი (შემოხაზეთ)

საწყისი გადაფასება საჭიროებისამებრ

დაგეგმილი შეფასება

წლიური შეფასება

მონაწილეები:

პედაგოგი

ფსიქოლოგი

სპეც. განათლების პედაგოგი

ლოგოპედი

მშობელი/მეურვე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
<p>ძლიერი მხარეები</p>	<p>რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს?</p> <p>რა აინტერესებს?</p> <p>რა მოსწონს?</p> <p>რაშია მოსწავლე ყველაზე ნარმატებული?</p> <p>(აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)</p>	<p>- ცნობს რიცხვებს 10-ის ფარგლებში, უმატებს ციფრებს ჩხირების ან თითების დახმარებით;</p> <p>- შეუძლია კარნახით ასოების ჩაწერა და სიტყვების გადანერა წიგნიდან, რვეულიდან ან დაფიდან;</p> <p>- ყვება მარტივ ისტორიებს საკუთარი ცხოვრებიდან;</p> <p>- უყვარს ცეკვა, ხატვა, სიმღერა, სპორტული აქტივობები;</p> <p>- სიამოვნებით ასრულებს მორიგობასთან დაკავშირებულ დავალებას: დაფის განმენდა, რვეულების ჩამორიგება, ყვავილების მორწყვა.</p>
<p>პრობლემური სფეროები</p>	<p>რა პრობლემები უჩნდება მოსწავლეს ყველაზე ხშირად?</p> <p>როდის იჩენენ პრობლემები თავს?</p> <p>(აღწერეთ დაწვრილებით და ზუსტად)</p>	<p>პრობლემები თავს იჩენს გაკვეთილზე: მარიამი არ ასრულებს საკლასო დავალებებს: არ კითხულობს, არ პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებს, არ წერს კლასთან ერთად. ხშირად ითხოვს გაკვეთილიდან სხვადასხვა მიზეზით გასვლას (წყალზე, ტუალეტში).</p>

<p>მიზეზები</p>	<p>თქვენი აზრით რა იწვევს პრობლემებს სწავლის პროცესში?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	<p>მარიამს უჭირს მეორე კლასის პროგრამის ათვისება: კითხულობს ნელა, ასო-ასო, საკუთარი წაკითხულიდან უჭირს აზრის გამოტანა; ვერ ანგარიშობს ზეპირად ათის, ფარგლებში, ვერ ანგარიშობს ოცის ფარგლებში; მცვადნიეობისას სწრაფად ილღება და სწყინდება.</p>
<p>საჭიროებები</p>	<p>რა ჭირდება მოსწავლეს იმისათვის, რომ უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები?</p> <p>რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის რომ მოსწავლემ უკეთესად იგრძნოს თავი სკოლაში, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	<p>მარიამს სჭირდება: მისი შესაძლებლობების შესაბამისი მასალის მისთვის საინტერესო ფორმით მიწოდება;</p> <p>მეტი თვალსაჩინოება, როგორც ქართულის ასევე მათემატიკის გაკვეთილზე; ყოველი, თუნდაც მცირედი წარმატების შექებით განმტკიცება;</p>
<p>წლიური მიზანი</p>	<p><i>რისი მიღწევა გვინდა სასწავლო წლის განმავლობაში?</i></p> <p><i>/გაიწერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</i></p>	<p>მარიამი ჩართულია გაკვეთილის მსვლელობის პროცესში და ასრულებს მასწავლებლის ინსტრუქციებს;</p> <p>ასრულებს მიმატება-გამოკლებას 10-ის ფარგლებში;</p> <p>გადამით კითხულობს მოკლე წინადადებებს და ესმის წაკითხულის შინაარსი;</p> <p>კითხვებზე მოკლე პასუხების გაცემით ყველა გაკვეთილს.</p>

<p>მოკლევადიანი მიზანები</p>	<p><i>რისი მიღწევა გვინდა სანყის, მეორად და შემდგომ ეტაპზე წლიური მიზნის მისაღწევად?</i></p> <p><i>/გაინერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</i></p>	<p>მარიამი ასრულებს მასწავლებლის მარტივ ინსტრუქციებს (მაგ. გადაშლენ წიგნი, ამოიღე რვეული, არ გახვიდე საკლასო ოთახიდან);</p> <p>ასრულებს მიმატება-გამოკლებას 5-ის ფარგლებში;</p> <p>გადაბმით კითხულობს მარტივ სიტყვებს და იცის მათი შინაარსი;</p> <p>ყვება გაკვეთილს სურათების დახმარებით ან კითხვებზე მოკლე პასუხის გაცემით.</p>
<p>პრაქტიკული საკითხები</p>	<p><i>რა დამატებითი მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ ?</i></p> <p><i>რა მეთოდი ავირჩიოთ სწავლებისათვის?</i></p> <p><i>როგორ მოვარგოთ გარემო ბავშვის საჭიროებებს?</i></p> <p><i>როგორ გავზარდოთ სწავლის მოტივაცია ?</i></p>	<p>გაკვეთილის შინაარსის შესაბამისი დამხმარე თვალსაჩინო მასალა;</p> <p>მარიამს ეძლევა მოკლე, მარტივი ინსტრუქციები და შეკითხვები;</p> <p>მარიამი დეველებს ასრულებს ნახატების, ჩხირების დახმარებით;</p> <p>მარიამი ზის მასწავლებელთან ახლოს, მის წასახალისებლად გამოიყენება სიტყვიერი შექება, რაიმე სიმბოლო (ვარსკვლავი, დროშა, გაღიმებული მზე).</p>

**პასუხის-
გებელი
პირები**

*ვინ არის
პასუხისმგებელი
ინდივიდუალური
სასწავლო გეგმის
განხორციელებაზე*

*რა კონკრეტული
მოვალეობები ეკისრება
გუნდის წევრებს?
(პედაგოგი, მშობელი,
ფსიქოლოგი და სხვ)*

მარიამის კლასის
დამრიგებელი – ახდენს
ინდივიდუალური
სასწავლო გეგმის
მონიტორინგს;

ფსიქოლოგი – ამზადებს
მარიამისათვის საჭირო
თვალსაჩინო მასალებს,
აძლევს რეკომენდაციებს
პედაგოგს, მშობლებს;

მშობელი – ახდენს
სკოლაში მიღებული
ცოდნის განმტკიცებას,
თვალყურს ადევნებს
სახლში დავალების
შესრულების პროცესს და
სისტემატიური კონტაქტი
აქვს პედაგოგთან.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი*

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

* მოკლედ აღწერეთ დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და/ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სახშირით შეასრულა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილი დავალება)

ნ ი მ უ შ ი

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
გამარტივებული ფორმა

სკოლა კლასი

მოსწავლე

დაბადების თარიღი ასაკი

მშობელი/მეურვე

მისამართი/ტელეფონი

შეხვედრის თარიღი

ინდივიდუალური
სასწავლო გეგმა დან მდე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
გადაიხედება

შეხვედრის ტიპი (შემოხაზეთ)

საწყისი გადაფასება საჭიროებისამებრ დაგეგმილი შეფასება
ნლიური შეფასება

მონაწილეები:

პედაგოგი

ფსიქოლოგი

სპეც. განათლების პედაგოგი

ლოგოპედი

მშობელი/მეურვე

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის კომპონენტები	დამხმარე კითხვები	შეფასება
ძლიერი მხარეები	<p>რისი გაკეთება შეუძლია მოსწავლეს?</p> <p>რა აინტერესებს?</p> <p>რა მოსწონს?</p> <p>რაშია მოსწავლე ყველაზე წარმატებული?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
პრობლემური სფეროები	<p>რა პრობლემები უჩნდება მოსწავლეს ყველაზე ხშირად?</p> <p>როდის იჩენენ პრობლემები თავს?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
მიზეზები	<p>თქვენი აზრით რა იწვევს პრობლემებს სწავლის პროცესში?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	

<p>საჭიროებები</p>	<p>რა ჭირდება მოსწავლეს იმისათვის, რომ უკეთ გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობები?</p> <p>რა შეიძლება გაკეთდეს იმისათვის რომ მოსწავლემ უკეთესად იგრძნოს თავი სკოლაში, თანაკლასელებთან და მასწავლებლებთან?</p> <p>(აღწერეთ დანვრილებით და ზუსტად)</p>	
<p>წლიური მიზანი</p>	<p><i>რისი მიღწევა გვინდა სასწავლო წლის განმავლობაში?</i></p> <p><i>/გაინერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</i></p>	
<p>მოკლევადიანი მიზანები</p>	<p><i>რისი მიღწევა გვინდა სანყის, მეორად და შემდგომ ეტაპზე წლიური მიზნის მისაღწევად?</i></p> <p><i>/გაინერება ცალ-ცალკე მიზანი ყველა იმ საგანისა და სასწავლო აქტივობასათვის, სადაც მოსწავლეს პრობლემა აქვს/</i></p>	

<p>პრაქტიკული საკითხები</p>	<p>რა დამატებითი მასალა შეგვიძლია გამოვიყენოთ</p> <p>რა მეთოდი ავირჩიოთ სწავლებისათვის?</p> <p>როგორ მოვარგოთ გარემო ბავშვის საჭიროებებს?</p> <p>როგორ გავზარდოთ სწავლის მოტივაცია ?</p>	
<p>პასუხისმგებელი პირები</p>	<p>ვინ არის პასუხისმგებელი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაზე</p> <p>რა კონკრეტული მოვალეობები ეკისრება გუნდის წევრებს? (პედაგოგი, მშობელი, ფსიქოლოგი და სხვ)</p>	

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი*

ვის მიერ ხორციელდება მონიტორინგი

დასახული აქტივობები	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი

* მოკლედ აღწერეთ დასახული აქტივობების განხორციელების რაოდენობრივი და/ან თვისობრივი მაჩვენებლები (როგორ და რა სახშირით შეასრულა მოსწავლემ მისთვის განკუთვნილი დავალება)

მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეების განათლების საჭიროებები

დვიდ სმიტი

განათლების მიღებისას მხედველობის პრობლემის მქონე ბავშვს შესაძლოა აღმოაჩნდეს ისეთი საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილება მხოლოდ ძალზედ სპეციალიზებულ დაწესებულებაში, მაგალითად სკოლა-ინტერნატში ან სპეციალურ დღის სკოლაში არის შესაძლებელი. ბრაილის შრიფტის გამოყენების შესწავლა ხშირად ყველაზე უკეთ ამგვარ გარემოში მიმდინარეობს. თუმცა არსებობენ ბავშვები, რომლებსაც მხოლოდ სპეციალურად მომზადებული მასწავლებელი ესაჭიროებათ, რათა განათლება ჩვეულებრივ სკოლებში მიიღონ.

წარსულში, მხედველობის პრობლემის მქონე ბავშვთა უმეტესობა სპეციალიზებულ სკოლა-ინტერნატებში იღებდა განათლებას. დღეს ამგვარი ბავშვების უმეტესობა ჩვეულებრივ სკოლებში დადის და საჯარო სკოლების პროგრამებს გადის. ხდება ისეც, რომ მათი გარკვეული ნაწილი დროებით სპეციალურ კლასებში სწავლობს მსგავსი პრობლემის მქონე თანატოლებთან ერთად. თუმცა უმეტესობა მაინც ჩვეულებრივ საკლასო ოთახებში სწავლობს მათი ასაკისა და აკადემიური მოსწრების შესაბამისად. ეს ბავშვები უზრუნველყოფილები არიან სპეციალური საგანმანათლებლო სერვისებით, რომლებსაც მათ მასწავლებლები ან სპეციალური განათლების მონვეული მასწავლებლები აწვდიან. ეს უკანასკნელნი რეგულარულად ატარებენ მუშაობას მოსწავლეებთან და აგრეთვე კონსულტაციას უწევენ მათ მასწავლებლებს.

ზოგადად რომ ვთქვათ, მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეებს უფრო მეტი საერთო აქვთ თანატოლებთან, ვიდრე განსხვავება. მათ იგივე საჭიროებები აქვთ, ერთნაირად უხარიათ და განიცდიან. თუმცა, ამ შემთხვევაში, განათლებასთან დაკავშირებით განსხვავებული საჭიროებები არსებობს, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია. მოსწავლეთა ამ კატეგორიის სწავლებისას საჭიროა ყურადღება მიექცეს სამ ძირითად პრინციპს (ლოვენფილდი 1975).

კონკრეტული გამოცდილება. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეებს უჭირთ გარემოს მხედველობითი აღქმა, მათ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, რომ

გარემომცველ სამყაროს სხვა გრძნობების მეშვეობით დაუკავშირდნენ. ამგვარ მოსწავლეებს საჭიროა გააჩნდეთ იმგვარი საგნები, რომლებსაც შეეხებიან და ამით გაიიოლებენ მათ გამოყენებას. გარდა ამისა, მათ საშუალება მიეცემათ მიიღონ ინფორმაცია ხარისხის, ფორმის, ზომის, აგებულების შესახებ, რაც სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა.

გამაერთიანებელი გამოცდილება. ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანები სამყაროს ნაწილებად აღიქვამენ. როდესაც ჩვენ ვათვალისწინებთ საკლასო ოთახს, მაგალითად, ვხედავთ საგნებს, რომლებიც ამ საკლასო ოთახს ეკუთვნის (წიგნები, დაფა, მერხები). ჩვენ ამ საგნების ერთმანეთთან კავშირსაც ვხედავთ (მაგალითად, მასწავლებლის მაგიდა წინ დგას, მოსწავლეებს მერხები რიგებადაა ჩამწკრივებული), რაც საკლასო ოთახის ერთიანად აღქმაში გეხმარება. იმისათვის, რომ იგივე განიცადონ, მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს ხშირად ესაჭიროებათ სისტემატური კვლევა და გამოცდილების მიღება სხვა გრძნობათა ორგანოების მეშვეობით.

სწავლა კეთებით. ცხადია, რომ მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეებს უჭირთ ან არ შეუძლიათ „სწავლა ყურებით“. ამიტომაც,



მათი განათლებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია მათი აქტივობა და ჩართულობა. მოსწავლეს უნდა ქონდეს სტიმული, რათა მან მონაწილეობა მიიღოს საკლასო აქტივობებსა და სწავლის პროცესში.

მიუხედავად იმისა, რომ დღეს დღეისობით სულ უფრო და უფრო დიდი ყურადღება ექცევა მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეების არასპეციალიზებულ საჯარო სკოლებში განათლებას, სადაც მათთვის იგივე აკადემიური მიზნები ისახება, არსებობს დამატებითი აკადემიური მიზნები, რომლებიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც საქმე ამ კატეგორიის ბავშვების განათლებას ეხება. ეს დაკავშირებულია იმ უნარებთან, რომლებიც მათ ესაჭიროება კომუნიკაციის, სწავლისა და მოძრაობისთვის.

კითხვა და წერა ბრაილის შრიფტით


მოსწავლეები უსინათლოებად მიიჩნევიან, თუ მათ არ შეუძლიათ ნაბეჭდის ნაკითხვა სპეციალურ პირობებშიც კი. ამგვარი მოსწავლეებისთვის ბრაილის შრიფტის მეშვეობით კითხვა და წერა გადამწყვეტია კომუნიკაციისა და სწავლის პროცესში.

ბრაილი არის სისტემა, რომელიც იყენებს ამობურცულ ნერტილებს ასოების, რიცხვების და სხვა სიმბოლოების გამოსახატავად. ეს სისტემა ეფუძნება უჯრას, რომელიც სიგანეში ორი ამობურცული ნერტილის, ხოლო სიგრძეში – სამი ნერტილისგან შესდგება.

ბრაილის პირველი დონე გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია სიტყვების ამოკითხვა ასო-ასო. დადგინდა, რომ ეს მეთოდი უსაშველოდ აგრძელებს კითხვის პროცესს და მოუხერხებელია იმ ადამიანების უმეტესობისთვის, რომლებსაც ბრაილი ესაჭიროებათ. ამის საფუძველზე, შემუშავებულ იქნა მეორე დონე, რომელიც ამოკლებს ბევრ სიტყვას და ამით აჩქარებს ბრაილით წერა-კითხვის პროცესს.


მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეების უმეტესობა ბრაილის გამოყენებას პირველ დონეზე იწყებს, რასაც უფრო მეტი დრო მიაქვს, ვიდრე ნორმალური მხედველობის მქონე მოსწავლეებისთვის ბეჭდური ასოებით კითხვის სწავლას. ბრაილით კითხვა თითქმის ყოველთვის უფრო ნელი პროცესია, ვიდრე ბეჭდური კითხვა. ის მოსწავლეებიც კი, რომლებიც განსაკუთრებით ხელოვნდებიან ბრაილით კითხვაში, უფრო ნელა კითხულობენ, ვიდრე ნორმალური მხედველობის მქონე საშუალო მკითხველი.

ბრაილის შესწავლისას, მოსწავლეებს ასწავლიან, რომ მათ უნდა იკითხონ ერთი ხელის საჩვენებელი თითით, ხოლო მეორე ხელი უნდა მწკრივს მიაყოლონ. მათ ასევე ასწავლიან, რომ უნდა იკითხონ თანაბარი სიჩქარით ჰორიზონტალური მოძრაობით და მაქსიმალურად შეზღუდონ ვერტიკალური მოძრაობა. თითის დაწოლა და სინათლე აუცილებელია იმისთვის, რომ მოსწავლემ კარგად შეიგრძნოს ამობურცული წერტილების ფორმა და ხელი გააყოლოს მათ. განაფული მკითხველები ხშირად ორივე ხელის საჩვენებელ თითებს იყენებენ კითხვის პროცესში (იხ. სურათი 1).



სურათი 1

მოსწავლეები ბრაილით წერას დაფის, ჯოხის და პერკინსის ბრეილერის მეშვეობით სწავლობენ. ისინი ჯოხს არჭობენ დაფაზე დატანებულ ნახვრეტებში. (იხ. სურათი 2)



სურათი 2

ამ მოქმედებით წარმოიშობა ამობურცული წერტილები ქალაქდ-ზე, რომელიც მოთავსებულია დაფის ორ გადაკეცილ ნაწილს შორის. დაფითა და ჯოხით სწავლება საკმაოდ რთულია, რადგან სწორი ნაწერისთვის აუცილებელია ასოების დაწერა საპირისპირო მიმართულებით. ბრაილის შრიფტით წერის უფრო იოლი გზაა პერკინსის ბრეილერის გამოყენება. საბეჭდი მანქანის მსგავსად, ბრეილერი შესდგება ექვსი პატარა და ერთი გრძელი ლილაკისაგან, რომელიც სიტყვებს შორის დაცილებისთვის გამოიყენება. წერტილების ყველა შესაძლო განლაგება სწორედ ამ პატარა ლილაკების ერთდროული დაჭერის შედეგად მიიღწევა.

კლავიატურა

სტანდარტული კლავიატურის გამოყენება საშუალებას აძლევს უსინათლოს მიიღოს სხვა ადამიანებთან კომუნიკაციის პროცესში მონაწილეობა. ეს ფაქტორი გადამწყვეტია იმ მოსწავლისთვის, რომელიც არასპეციალიზებულ საკლასო ოთახში იღებს განათლებას ნორმალური მხედველობის მქონე თანატოლების გვერდით. უსინათლო მოსწავლეებს მაქსიმალურად ადრე ასწავლიან კლავიატურის გამოყენებას, რა თქმა უნდა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

კლავიატურა გამოიყენება ტესტირების, საშინაო დავალების შესრულების და სხვა ისეთი აქტივობებისას, სადაც ბრაილის შრიფტის გამოყენება მიზანშეწონილი არაა. ერთადერთი წერიტი უნარი, რაც აქტუალურია უსინათლოებისთვის, არის ხელმოწერის დაფიქსირება.

ანგარიში

მათემატიკაში საანგარიშო ტრადიციულად მნიშვნელოვანი დამხარე საშუალებაა უსინათლოებისთვის. ერთ ხაზზე აცმული მარცვლების მეშვეობით ისინი ასრულებენ ძირითად მათემატიკურ მოქმედებებს, ხოლო შედეგებს კან-კუნთოვანი შეხებით იგებენ. დღეს უფრო გავრცელებულია მცირე ზომის ელექტორნული ხელსაწყო გამოყენება, რომელიც ახმოვანებს როგორც მათემატიკურ ოპერაციებს, ასევე მიღებულ შედეგებს. ეს ხელსაწყო საშუალებას აძლევს უსინათლოებს არა მარტო დარწმუნდნენ შესრულებული

ოპერაციის სისწორეში, არამედ სწორი შედეგიც მიიღონ. გარდა ამისა, გამომთვლელი მანქანა რთული ოპერაციების შესრულებასაც აადვილებს.

ობტაკონი

ობტიკურიდან კან-კუნთოვან ალქმაზე გადამყვანი ხელსაწყო, ანუ ობტაკონი სტენფორდის უნივერსიტეტის ელექტრონულ ლაბორატორიაში შეიმუშავეს. ეს მანქანა, რომელიც ზომით პატარა დიქტოფონს არ აღემატება, ნაბეჭდ მასალას მომხმარებლის თითის წვრებზე ვიბრაციის პატერნებად გარდაქმნის. ობტაკონი ფოტოსენსიტიური ელემენტით ალჭურვილი კამერისგან შესდგება, რომელიც კან-კუნთოვანი შეგრძნების ღილაკებს უკავშირდება. კამერის ქვეშ გამავალი ნაბეჭდი თითოეული ასო ამ ღილაკებზე ვიბრაციის კონკრეტულ პატერნს ქმნის. ამ ხელსაწყოს მომხმარებელი საჩვენებელ თითს ღილაკებზე ადებს და ამით შეიგრძნობს კონკრეტულ პატერნებს. კამერის არეალი ერთი ასოთი შემოიფარგლება და მისი გამოყენება ინტენსიურ მომზადებას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელსაწყოს მეშვეობით უსინათლოებს საშუალება ეძლევათ გაცნონ იმ მასალებს, რომლებზეც აქამდე ხელი არ მიუწვდებოდათ, მისი ღირებულება და გამოყენების სირთულე მეტისმეტად ზღუდავს გამოყენებას. სხვა გაუმჯობესებულმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა უკვე ჩაანაცვლეს ობტაკონის გამოყენება კითხვისას.

კურცველის საკითხავი მანქანა

ამ მანქანის გამოსაგონებლად ინჟინრებსა და ლინგვისტებს დაახლოებით ათი წლის მუშაობა დაჭირდათ. მანქანა კითხულობს ნაბეჭდ წიგნებს და ახმოვანებს ნაკითხულს. როდესაც ნაბეჭდი ფურცელი მოთავსდება ელექტრო სკანირების შუშის ქვეშ, მანქანა ღილაკზე დაჭერით იწყებს მუშაობას და სინთეზირებული ხმა ხმამალა კითხულობს ნაწერს. შესაბამისი ღილაკების მეშვეობით ხმა შესაშური მოთმინებით იმეორებს ცალკეულ სიტყვას, წინადადებას ან პარაგრაფს, იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა. მანქანის გაუმჯობესებასთან ერთად, სავარაუდოდ შემცირდება მისი ზომა და შესაბამისად, ფასიც. ადრეული მოდელები 50.000 დოლარი ღირდა.

ახლა ორი მოძრავი მონყობილობა, რომლებიც ზომით ორ დიდ ჩემოდანს უტოლდება, დაახლოებით 20.000 დოლარი ღირს (თითო). ტექნოლოგიების გაუმჯობასთან ერთად ნავარაუდებია ფასების საგრძნობი დაკლება (ბარეგა და ერინი, 1992).

კომპიუტერული ტექნოლოგიები

კომპიუტერული ტექნოლოგიების გაუმჯობესება დადებითად აისახება მხედველობის პრობლემების მქონე მოსწავლეების განათლებაზე. შემუშავებულია პროგრამები, რომლებიც კომპიუტერის ეკრანზე ნაბეჭდს მნიშვნელოვნად ადიდებს, ხოლო ამობეჭდილ მა-სალას სტანდარტული ზომის შრიფტით ბეჭდავს, რაც საშუალებას აძლევს მხედველობის პრობლემის მქონე მოსწავლეს მოცემული დავალება სტანდარტულ ფორმატში შეასრულოს.

არსებობენ ისეთი კომპიუტერული სისტემები, რომლებიც იღებენ ბრაილის შრიფტით დანერილს და ჩვეულებრივ ფორმატში გადაქმნიან მას, რაც საშუალებას აძლევს უსინათლო მოსწავლეს უფრო აქტიურად იმუშაოს და ისწავლოს ინკლუზიურ კლასებში.

კომპიუტერულმა ტექნიკამ და პროგრამებმა ასევე შესაძლებელი გახადა ნაბეჭდი თუ ბრაილის შრიფტით შექმნილი მასალების ხმამაღლა კითხვა. მსგავსი ტექნოლოგიები სწრაფი ტემპით ვითარდება და ცხადია, რომ კიდევ უფრო შეუწყობს ხელს მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანების განათლებას.


მოძრაობისა და ორიენტაციის ტრენინგები

მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეები ხშირად არიან შეზღუდულები გადაადგილების მხრივ. იმისათვის, რათა შეძლოს დამოუკიდებლად გადაადგილება სახლსა თუ სკოლაში, მოსწავლეს უნდა შეეძლოს უშუალო გარემოს შეცნობა და კავშირის დამყარება მასთან – ანუ ორიენტაცია. აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეს შეეძლოს უსაფრთხოდ გადაადგილება – ანუ მოძრაობა. ტრენინგი ამგვარი უნარების შესაძენად საჭიროა სახლის პირობებში დაიწყოს, სადაც მშობლებს შეეძლებათ დაეხმარონ სახლისა სპეციფიკისა და შვილის ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუმცა, მოძრაობისა და ორიენტაციის ფორმალური ტრენინგი სა-

სურველია დაიწყოს მაშინვე, როდესაც ბავშვი რომელიმე პროგრამაში ჩაირიცხება. ქვემოთ ჩამოთვლილია ის ტექნიკური საშუალებები, რომლებიც მხედველობის დაქვეითების მქონე პირებისთვის გამოიყენება:

ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანის დახმარება

ამგვარი დახმარება ხშირ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია გასაკუთრებით ხალხით სავსე ადგილებში, უცხო ტერიტორიაზე ან შენობებში. მარტივი ტექნიკის გამოყენებით გიდს შეუძლია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიანოდოს უსინათლოს მდგომარეობის, სიარულის ტემპის და მიმართულების საჭირო ცვლილებასთან დაკავშირებით. მხედველობის პრობლემების მქონე ადამიანმა ხელი უნდა მოკიდოს გიდს მკლავზე, იდაყვის ოდნავ ზემოთ და იაროს მისგან ნახევარი ნაბიჯით უკან. ამგვარად მას საშუალება მიეცემა



განსაზღვორს პოზიციის, მიმართულების და სიარულის ტემპის ცვლილება. ეს მეთოდი უზრუნველყოფს ორი პირის ბუნებრივ და იოლ გადაადგილებას ხალხით გადაჭედულ ადგილებშიც კი. გიდმა არ უნდა უბიძგოს მხედველობის პრობლემების მქონე პირს ზურგიდან. გარდა იმისა, რომ ამგვარი მოქმედება დამაბნეველია უსინათლო პირისთვის, ის დგება დაბრკოლების გადაულახაობის რისკის წინაშეც, რამაც შეიძლება ზიანი მიაყენოს.

ჰუვერის ჯოხი

მხედველობის დაქვეითების მქონე პირების გადაადგილებისთვის ყველაზე გავრცელებული დამხმარე ჰუვერის ჯოხია, რომელსაც სახელი მისი გამომგონებლის ექიმ რიჩარდ ჰუვერის პატივსაცემად ეწოდა. ექიმმა ჰუვერმა ჯოხის გამოყენება მეორე მსოფლიო ომის მხედველობა დაკარგულ ვეტერანებთან მუშაობისას დაიწყო. გავრცელებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით უსინათლოები ჯოხს უსისტემოდ იქნევენ შესაძლო დაბრკოლების აღმოსაჩენად, ჯოხის გამოყენება ძალზე მეთოდურია. უსინათლო პირი ჯოხს ამოძრავებს ნახევარწრეზე და თან ეძებს შესაძლო დაბრკოლებებს. როდესაც ჯოხი პატრონის მარჯვენა მხარეს ხვდება, ნაბიჯი კეთდება მარცხენა ფეხით და პირიქით. ამ პროცედურით, უსინათლო პირი ყოველთვის დაბრკოლებების გარეშე გადაადგილდება. ჯოხის ვერტიკალური მოძრაობით ხდება შემოგარენისა და მისი შესაძლო ცვლილებების შეცნობა (მაგალითად, ტროტუარი ან კიბეები). ჯოხის გამოყენების სწავლება უსინათლო მოსწავლეთათვის მოძრაობის ტრენინგების უმეტესობის ნაწილია.

ელექტრონული დამხმარებები

შემუშავებულია მოძრაობის დამხმარე რამდენიმე ელექტრონული მოწყობილობა. რასელის ყელსაბამი ხმას გამოსცემს მაშინ, როდესაც წინ მოსალოდნელი დაბრკოლებაა. მოვატის სენსორი ხელის მოწყობილობაა, რომელიც ულტრაბგერით ენერგიას ასხივებს. როდესაც სხივი საგანს ეცემა, მიმღებში იგზავნება სიგნალი, რომელიც თავის მხრივ უსინათლო პირს ატყობინებს საგნის ბუნებისა და დაშორების მანძილის შესახებ. მსგავსი პრინციპი უდევს საფუძვლად სონიკურ გიდს, რომელიც შუშის ჩარჩოშია მოთავსებული.

თვითდახმარებისა და ყოველდღიური უნარ-ჩვევები

ჩაცმა, ბანაობა, დასუფთავება და სუფრის მანერები ძალიან მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები ანუხებთ. ამ კატეგორიის მოსწავლეებს, განსხვავებით მათი თანატოლებისგან, ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა დააკვირდნენ სხვებს და მიბაძონ მათ. ამის შედეგად, ხშირად საჭირო ხდება მათთვის მკაფიო და სისტემატური მითითებების მიცემა ამ უნარების ასათვისებლად. თანდათანობით შემუშავდა ისეთი ინსტრუქციები, რომლებიც საშუალებას აძლევს მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანებს მოახდინონ საჭირო ადაპტაცია მათი ცხოვრების ამ და სხვა სფეროებშიც.

მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეების წარმატების გზები ინკლუზიურ გარემოში

მხედველობის დაქვეითების მქონე ბავშვების ინკლუზიური სწავლების საჭიროების ზრდასთან ერთად, უფრო და უფრო მეტი მასწავლებელი ცდილობს გამონახოს გზები მათი სპეციფიკური საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან პირველმა კონტაქტმა, შეიძლება ყველაზე გამოცდილი მასწავლებელიც კი ჩააფიქროს. ძირითად პრინციპი, რაც ამგვარ სიტუაციაში მყოფ ყველა მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, როგორც უკვე ვახსენეთ არის ის, რომ მხედველობის დაქვეითების მქონე და სხვა მოსწავლეებს საერთო უფრო მეტი აქვთ ვიდრე, განსხვავება. მათ იგივე ძირითადი საჭიროებები აქვთ. როგორც წესი, მასწავლებლების შემოფოთება მალევე ქრება ხოლმე, როგორც კი ისინი გაეცნობიან მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლის პირად თვისებებს და შესაძლებლობებს.

მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეების სწავლების მიზნები ძირითადად იგივეა, რაც ჩვეულებრივი მოსწავლეების შემთხვევაში. მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეების ინკლუზიურ კლასებში წარმატებული სწავლების ძირითად ფაქტორი, როგორც ჩანს, არის სენსიტიურობისა და საჭირო მოდიფიკაციების შესაბამისი ნაზავი, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეს განავითაროს საკუთარი თავისადმი რწმენა და დამოუკიდებლობა. აქვე უნდა

გავითვალისწინოთ, რომ ამ კატეგორიის მოსწავლეთა ჯგუფი არ არის თვისობრივად მსგავსი. ისინი ინდივიდუალები არიან და მხოლოდ ერთ მახასიათებელს – დაქვეითებულ მხედველობას იზიარებენ. ქვემოთ მოცემულია რჩევები იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთან ინყებენ მუშაობას:

რჩევები მასწავლებლისთვის: როგორ უნდა დავეინყოთ მუშაობა მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან

- * შემოატარეთ ბავშვი საკლასო ოთახში და დარწმუნდით, რომ ძირითადად მაინც ესმის საკლასო ოთახის მოწყობა;
- * აუცილებლად შეატყობინეთ მას განლაგებაში ნებმისმიერი ცვლილების შესახებ;
- * გამოიარკვიეთ რა სახის დამხმარე მოწყობილობებს იყენებს ბავშვი (მაგალითად, გამადიდებელი, საბეჭდი მანქანა ან ხმის ჩამწერი), როგორ ხდება მათი მუშაობა და შენახვა;
- * გაეცით მაქსიმალურად ზუსტი სიტყვიერი მითითებები. თავდაპირველად ხშირად შეამოწმეთ, რამდენად კარგად გაიგო ბავშვმა თქვენი მითითება;
- * გააცანით კლასის სხვა ბავშვებს მხედველობის დაქვეითების მქონე ბავშვის პრობლემები. მას შეიძლება სურვილი გაუჩნდეს უჩვენოს თანაკლასელებს როგორ ხდება ბრაილის შრიფტის, ჯოხის ან გამადიდებლის გამოყენება, რაც ურთიერთობის გაღრმავებას შეუწყობს ხელს, თუმცა ყველაფერი ეს დამოკიდებულია ბავშვის ბუნებაზე;
- * წახალისეთ ბავშვი, რათა ის იყოს მაქსიმალურად დამოუკიდებელი ყველა შესაბამის აქტივობაში;
- * ნუ გამოიჩინებ ზედმეტ ყურადღებას;
- * გამოიყენეთ მენყვილებების სისტემა იმ აქტივობებში, სადაც საჭიროა;
- * ნუ შეაქვთ მეტისმეტად ხშირად. ნუ გაამახვილებთ ყურადღებას, რომ ბავშვმა შეძლო იმის გაკეთება, რასაც დანარჩენები ყოველ დღე აკეთებენ;
- * ნუ მოგერიდებთ სხვა სპეციალისტების რჩევის მიღება, როდესაც არსებობს ამის საჭიროება.

ნანილობრივი მხედველობის გამოყენება

ნანილობრივი მხედველობის მქონე მოსწავლეებმა უნდა მიიღონ მითითებები იმის შესახებ, თუ რა გზით უნდა გამოიყენონ მაქსიმალურად მხედველობა. მოსწავლეების ამ კატეგორიისათვის ძირითად აკადემიურ მიზანს ნაბეჭდი მასალის ნაკითხვის შესაძლებლობა წარმოადგენს. რადგანაც ნანილობრივი მხედველობის მქონე მოსწავლეებში მხედველობის დაქვეითების ხარისხი განსხვავებულია, საჭიროა ზედმინევით ყურადღებით შევისწავლოთ თითოეული მათგანის საჭიროებები და ავარჩიოთ საინსტრუქციო დამხმარე საშუალებები. კითხვის პროცესში მხედველობის დაქვეითების მქონე ბავშვების დასახმარებლად ყველაზე ხშირად გამოიყენება განათება, ნაბეჭდი ასოების ზომის გადიდება და სხვა გამაღიებელი საშუალებები.

განათების კონტროლი

საკლასო ოთახის სწორად შერჩეული განათება ძალიან მნიშვნელოვანია მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისთვის. გასათვალისწინებელია ნათების როგორც სიძლიერე, ასევე ტიპი. მოსწავლეების ნანილი უკეთ ხედავს ნაკლები სიძლიერის განათების ფონზე, თუმცა ზოგს მერხზე დასამაგრებელი სპეციალური ნათურებიც კი შეიძლება დასჭირდეთ. სიკაშკაშე ყველზე გავრცელებული პრობლემაა და სხვადასხვა საშუალებებით, როგორცაა სპეციალური დამცავები, რეგულირდება. რეკომენდებულია ისეთი საწერი ქაღალდის გამოყენება, რომელიც არ პრიალებს და არ ბზინავს. ბავშვები იმგვარად უნდა იხდნენ მერხებთან, რომ ფანჯრებიდან შემომავალი მზის შუქი არ უშლიდეს ხელს მათ მხედველობას.

გამოიყენეთ მსხვილი შრიფტი

მასალები, რომლებიც მსხვილი შრიფტითაა დაბეჭდილი ძალზედ მოსახერხებელია მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისთვის. ამ შემთხვევაში, შრიფტის ყველაზე ოპტიმალური ზომაა 18 და ასე გამოიყურება:

აი, ეს არის 18 ზომა შრიფტი

თუმცა, შესაძლებელია უფრო მსხვილი შრიფტების გამოყენებაც. ამგვარი შრიფტის გამოყენება ასაკობრივი პროცესების გამო (პრესბიოპია) მხედველობის დაქვეითების მქონე ხანდაზმული ადამიანებისათვისაც ხელსაყრელია.

გადიდება

ოპტიკური გამადიდებელი ხელსაწყოები მრავალ მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეს ეხმარება. სპეციალური შუშის და ხელის გამადიდებლები ხშირად გამოიყენება ჩვეულებრივი ნაბეჭდის გასადიდებლად. დაფაზე დანერილის წასაკითხად შესაძლებელია აგრეთვე ტელესკოპის მსგავსი მოწყობილობების გამოყენება. რაც შეეხება ტელევიზორებს, არსებობს სპეციალური სისტემა, რომელიც ტელეეკრანის წარწერებს ადიდებს და იოლად აღსაქმელს ხდის.

ნანილობრივი მხედველობის მქონე მოსწავლეები ხშირად ვერ აცნობიერებენ თუ რამდენად უკეთესად შეუძლიათ გამოიყენონ საკუთარი მხედველობა. მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ, რომ ტრენინგებისა და დახმარების მეშვეობით ბავშვები შეძლებენ მათი მხედველობის ოპტიმალურად გამოყენებას.

წარსულში ჩვეულებრივი მხედველობის მქონე ადამიანების დამოკიდებულება ხშირად ხელს უშლიდა მხედველობის დაქვეითების მქონე პირებს ყოფილიყვნენ დამოუკიდებლები და საზოგადოების სრულფასოვანი წევრები. ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ამ კატეგორიის ადამიანების მიმართ სოციალური დამოკიდებულების გამოსასწორებლად. თუმცა, დღევანდელი სოციალური კლიმატი საშუალებას აძლევს მხედველობის დაქვეითების მქონე პირებს სრულად მიიღონ მონაწილეობა სოციალურ ცხოვრებაში. იმ მასწავლებლების ძალისხმევა და მონდომება, რომლებიც კარგად აცნობიერებენ მოსწავლეების საჭიროებებს და უნარებს, ამგვარ შესაძლებლობებს რეალობად აქცევს.

სმენის დაქვეითება

ბოდბილ ფიკსდალი და ჰილდე ჰეგნა,
ნედრე გაუსენის რესურს-ცენტრი, ნორვეგია

ყური და სმენა

სმენის მექანიზმი გასაოცრად რთული სისტემაა. სამი ნაწილისგან შემდგარი ყური პასუხს აგებს სმენასა და ბალანსზე. ეს სამი ნაწილია: გარეთა ყური, შუა ყური და შიგნითა ყური. სმენის პროცესი იწყება ხმოვანი ტალღების მოგზაურობით, რომლებიც ყურიდან აღწევს გარეთა ყურამდე ანუ პინამდე. ამის შემდეგ ბგერითი ტალღები აგრძელებენ გზას პინადან სასმენ მილამდე და მიდიან შუა ყურამდე. როდესაც დაფის აპკი ვიბრაციას იწყებს, სასმენი ძვლები აძლიერებენ ვიბრაციას და მიაქვთ ის შიგნითა ყურამდე, რომელიც მას ელექტრულ სიგნალებად გარდაქმნის და გადასცემს ტვინთან დაკავშირებულ სმენის ნერვს. როდესაც ნერვული იმპულსები აღწევს ტვინს, ისინი ბგერებად გარდაიქმნება.



ბგერა

ბგერა იმ ენერჯის ჩვეულებრივი ტიპია, რომელიც წარმოიშობა ბგერის წყაროსთან რაღაც ძალის ურთიერთქმედების შედეგად წარმოშობილი წნევით. მაგალითად, ჩაქურჩის ლურსმანზე დარტყმის შედეგად წარმოიშობა ვიბრაცია, რომელიც ვრცელდება ჰაერით, ჩაქურჩით და ხით. ბგერა წარმოიშობა, როდესაც საგანი ამოძრავდება და რხევადი წნევით გადასცემს ტალღებს. ეს პროცესი ხასიათდება სიხშირითა და ბგერის ინტენსივობით.

სიხშირე

სიხშირე არის ვიბრაციის სიჩქარე და დაკავშირებულია ბგერის სიმაღლის აღქმასთან. სიხშირე პერცეპტით იზომება. ახალგაზრდა, ნორმალური სმენის მქონე ადამიანს შეუძლია მოისმინოს ბგერები 20 ჰერციდან 20.000 ჰერცის სიხშირით (აუდიო ვარიაცია). ფორტეპიანოზე ალებულ შუა სის 500 მეგაჰერცის სიხშირე გააჩნია.

ინტენსივობა

ბგერის სიდიდე აღინერება, როგორც მისი ინტენსივობა. ინტენსივობა დაკავშირებულია ხმაურის აღქმასთან და იზომება დეციბალებით. ახალგაზრდა, ჯანრმთელი ყური იწყებს 0 დეციბალზე მაღალი ინტენსივობის მქონე ბგერების აღმას, რომელიც ყველაზე ალქმადი ბგერის ნიშნულადაა მიჩნეული.

სმენის დაქვეითება

არსებობს სმენის დაზიანების გამომწვევი რამდენიმე მიზეზი. მათი დაზიანების ყველაზე გავრცელებული საშუალებაა იმ სიტუაციების აღწერა, როდესაც ადგილი აქვთ ამ მიზეზებს:

პრენეტალური/დაბადებამდელი მიზეზები

დაბადებამდელი პერიოდის სმენის დაქვეითება შეიძლება გამოწვეული იყოს შემდეგი მიზეზებით:

- თანდაყოლილი პათოლოგიები.
- ფეხმძიმობის პირველ სამ თვეში გადატანილი დაავადებები (მაგალითად წითურა ან ვირუსით გამოწვეული სხვა დაავადებები).
- ტოქსიკური ნივთიერებებით და მედიკამენტებით გამოწვეული დაზიანებები.
- სინდრომები.
- მემკვიდრეობითი სმენის დაქვეითება, რომელიც არ განეკუთვნება სინდრომებს.
- ყველაზე გავრცელებული ანუ სმენის ამოუცნობი თანდაყოლილი დაქვეითება.

მშობიარობასთან დაკავშირებული მიზეზები

სმენის დაქვეითება, რომელიც დაკავშირებულია მშობიარობის დროს მიღებულ ტრამევებთან:

- ფიზიკური დაზიანება.
- სისხლჩაქცევა ტვინში, სისხლდენა ტვინის სისხლძარღვებიდან.
- სისხლმომარაგების შეფერხება.
- ჟანგბადის ნაკლებობა.

პოსტნატალური მიზეზები

დაბადების შემდგომი სმენის დაქვეითება:

▪ გარეთა ყური

ყურის გოგირდი, ყურის მწვავე ეგზემა, სასმენ მილში მოხვედრილი უცხო სხეულები, სიმსივნეები.

▪ შუა ყური

შუა ყურის კატარი (ოტიტის მედია გამონადენით), შუა ყურის ანთება (მწვავე ოტიტის მედია), შუა ყურის ძვლების დაზიანება (ოტოსკლეროზი), იშვიათი ფორმის კიბო.

▪ სმენის ცენტრალური სტრუქტურები

ხმაურით გამოწვეული დაზიანება, თავის ტრავმის ან ჟანგბადის

ნაკლებობით გამოწვეული ტვინის დაზიანება, ქირურგიული ჩარევები, გარკვეული მედიკამენტების ჭარბი გამოყენება, წნევის უეცარი ცვლილება და სხვადასხვა დაავადებები (მაგალითად: მენინგიტი, სიმსივნეები, სისხლჩაქცევა ტვინში ან სისხლდენა ტვინის სისხლძარღვებიდან, მენიერის დაავადება) და პრესბიკუსისი (დაბერებით გამოწვეული სმენის დაქვეითება).

▪ **სმენის ფსიქოგენური დაქვეითება**

ფსიქოსომატურია სმენის დაქვეითება, რომელიც არ არის გამოწვეული ორგანული დაზიანებით. ხშირად იწვევს სმენის უმნიშვნელო დაქვეითებას.

სიმპტომები, რომლებიც მიუთითებს სმენის შესაძლო დაქვეითებაზე

ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს, რომლებიც:

- არ რეაგირებენ უეცარ ხმაურზე.
- არ აბრუნებენ თავს ხმაზე, განსაკუთრებით დაბალი სისხირის ხმაზე.
- ძნელად ახერხებენ ხმების წარმომავლობის დადგენას.
- ხშირად ჰქონდათ შუა ყურის ინფექციური დაავადებები.
- არ რეაგირებენ ყვირილზე ან მაშინ, როდესაც მათ ზურგიდან ან სხვა ოთახიდან ესაუბრებიან.
- განიცდიან სტაგნაციას/ჩამორჩენას ენობრივი განვითარების მხრივ.
- იყენებენ მწირ ლექსიკას.
- დამახინჯებულად წარმოთქვამენ სიტყვებს.
- ლაპარაკობენ ძალიან ძლიერი ან ძალიან სუსტი ხმით.
- მოსაუბრებს დაჟინებით უყურებენ სახეში.
- ძალიან ახლოს მიდიან მოსაუბრესთან.
- ცდილობენ აიცილონ თვალით კონტაქტი.
- ვერ იგებენ მარტივ ინფორმაციას.
- ხშირად თხოულობენ ნათქვამის გამეორებას.
- იყურებიან სივრცეში, როდესაც გარშემო ხმაურია.



- ვერ ახდენენ ფოკუსირებას და იჩენენ უყურადღებობას.
- ემჩნევათ იმედგაცრუება და მოწყენა, განსაკუთრებით, ზეპირი აქტივობების დროს.
- ახლოს სხდებიან ტელევიზორთან, რადიოსთან ან CD მაგნიტოფონთან.
- მაღალ ხმაზე უსმენენ ტელევიზორს, რადიოს ან მაგნიტოფონს.

დაქვეითებული სმენის გავლენა

სმენის დაქვეითების გავლენა მჭიდროდ არის დაკავშირებული კომუნიკაციასა და სოციალიზაციასთან და ხშირად აისახება მეტყველების განვითარებაზე. სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს უჭირთ ზეპირი ინფორმაციის გაგება. სირთულე დამოკიდებულია სიტუაციაზე ანუ იმაზე, თუ როგორია მოსმენის პირობები, არის თუ არა ხმაური, რა მანძილითაა დაშორებული მოსაუბრე, შესაძლებელია, თუ არა ვიზუალური აღქმა და რამდენად არის მისთვის ცნობილი საუბრის თემა. ეს ვარიანტები ხშირად ხელს უშლის ადამიანებს განსაზღვრონ სმენის დაქვეითების სიმწვავე. სმენადაქვეითებული პირი უფრო დაძაბული უსმენს მოსაუბრეს და ცდილობს ბაგეებით კითხვას, რათა მოახდინოს დაქვეითებული სმენის კომპენსირება. დროის გასვლასთან ერთად, ეს პროცესი დამქანცველ ხასიათს იძენს. სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეები დიდ ენერჯიას ხარჯავენ მოსმენის, აღქმის, გაგებისა და ფიქრის პროცესში. მათ შეიძლება არ აინიონ ხელი ვაკვეთილზე და გახდნენ პასიურები. ძალიან ხშირად, მათ აქვთ განცდა, რომ არ აქვთ საკმარისი დრო პასუხის მოსაფიქრებლად, მაშინ როდესაც თანაკლასელებს აქვთ ამის საშუალება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა, რომლისთვისაც ცნობილია ამ ფაქტის შესახებ, მიაწოდოს მათ როგორც ზეპირი, ასევე ვიზუალური ინფორმაცია.

ვერბალური კომუნიკაციის გაგების ზემოთ აღწერილმა სიძნელეებმა შეიძლება გამოიწვიოს ლექსიკური მარაგის სიმწირე და წინადადებების მარტივი სტრუქტურა სხვა ბავშვებთან შედარებით. ამ პრობლემის მქონე ბავშვები ხშირად ვერ იგებენ აზრსა და შინაარსს. განსხვავებით ჩვეულებრივი სმენის მქონე თანატოლებისგან, სმენის დაქვეითების მქონე ბავშვები ვერ სარგებლობენ ტელევიზიითა და რადიოთი გადმოცემული ინფორ-

მაციით. მათთვის შეიძლება ძნელი აღმოჩნდეს უცნობი აქცენტების გაგება, რაც ასევე ვრცელდება უცხო ენებზე. ამ მხრივ ისინი რეგულარულ და უშუალო დახმარებას საჭიროებენ.



სმენის დაქვეითების მქონე ბევრ მოსწავლეს უჭირს ამ ფაქტის აღიარება. მათ ეშინიათ იყვნენ სხვა ბავშვებისგან განსხვავებულები. ისინი ხშირად ისე აჩვენებენ თავს, თითქოს კარგად ესმით და ყველაფერს აკეთებენ დაქვეითებული სმენის შესანიღბად. მაგალითად, ისინი არ სთხოვენ მოსაუბრეს გაიმეოროს ნათქვამი, ალაპარაკებენ სხვებს და აჩვენებენ თავს, თითქოს ყველაფერი გაიგეს. ამ კატეგორიის მოსწავლეები ხშირად თავს არიდებენ არასტრუქტურირებული კომუნიკაციის გარემოს. ბევრ მათგანს არ გააჩნია საკმარისი ცოდნა საკუთარი პრობლემის შესახებ, რაც დაუცველს ხდის მათ. მნიშვნელოვანია, რომ სმენის დაქვეითების მქონე ბავშვებმა იცოდნენ ამ პრობლემის შესახებ. ძალიან კარგი იქნება, თუ მათ მიეცემათ შესაძლებლობა შეხვდნენ იგივე პრობლემის მქონე თანატოლებს.

სმენის დაქვეითება და მასთან გამკლავება

გამკლავება ნიშნავს სტრესული სიტუაციებიდან თავის დაღწევას. ამგვარი სიტუაციებისგან თავის დაღწევის ნებმისმიერი მცდელობა კვალიფიცირდება როგორც გამკლავება და ყველა ჩვენთაგანს გააჩნია ამის სოციალური სტრატეგიები. არ არსებობს ისეთი სტრატეგია, რომელიც თავისდავად უკეთესია მეორე სხვა სტრატეგიასთან შედარებით და შესაბამისად არ არსებობს კარგი და ცუდი სტრატეგიები. სტრატეგია შეიძლება იყოს მეტ-ნაკლებად წარმატებული გამომდინარე იქედან, თუ რა ამოძრავებს თითოეულ ადამიანს. აქ გასათვალისწინებელია როგორც მოკლევადიანი, ასევე გრძელვადიანი შედეგები. მნიშვნელოვანია, თუ იქნება რამდენიმე სტრატეგია, საიდანაც არჩევანი საუკეთესოზე შეჩერდება.

სმენის დაქვეითება თავდაპირველად არ არის შესამჩნევი. გამკლავების სტრატეგიებიდან ბევრი მიზნად ისახავს მის გამოაშკარავებას. იმისათვის, რომ ორგანიზებულად წარიმართოს ყოველდღიური ცხოვრება საჭიროა დაქვეითებული სმენა გარკვეულ დონემდე გამოაშკარავდეს. სმენის დაქვეითების მქონე პირისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფაქტის გამოაშკარავების საკუთარი კონტროლის მექანიზმი, ხოლო ამ მექანიზმის არსებობა, პირიქით – არასასიამოვნოა.

არსებობს დაქვეითებული სმენის გამოაშკარავების რამდენიმე გზა:

- სასმენი აპარატის გამოყენება;
- ტექნიკური სასმენი საშუალებების გამოყენება;
- მცირერიცხოვანი ჯგუფი საკლასო ოთახში;
- საკლასო ოთახში არსებული ხმაურის შემცირებისკენ მიმართული ზომები;
- მასწავლებლების გაძლიერებული ყურადღება;
- სიტუაცია, სადაც სმენის დაქვეითების მქონე პირს ესმის ყველაფერი;
- ინფორმაციით უზრუნველყოფა (მაგალითად, თანაკლასელებისთვის მიწოდებული ინფორმაცია);
- თხოვნა გამეორების შესახებ.

სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეებისთვის არსებობს მთელი რიგი სტრატეგიები, მაგალითად:

- რაც შეიძლება მეტი ინფორმაციის მიღება საკუთარი პრობლემის შესახებ;
- მოსაუბრესთან მანძილის შემცირება;
- არსებული ხმაურის შემცირება (შესაძლებლობის შემთხვევაში);
- ადგილის ამორჩევა;
- ჯანმრთელი ყურის მიტრიალება ხმაურის წყაროსკენ;
- ნორმალურობის ხაზგასმა;
- სმენის დაქვეითებულობის დამალვა;
- ინფორმაციის მიწოდება ამ პრობლემის შესახებ;
- მცდელობა, თავიდან იქნეს აცილებული კავშირი სმენის დაქვეითებისათვის დამახასიათებელ ნიშნებთან და სიმბოლოებთან (აქ იგულისხმება სასმენი აპარატი, ტექნიკური სასმენი საშუალებები, გაძლიერებული ყურადღება მასწავლებლის მხრიდან და სხვა ზომები);
- მოჩვენებითობა, რომ თითქოს ყველაფერი ესმის;
- თხოვნა გამეორების შესახებ, რათა დარწმუნდეს, რომ ყველაფერი სწორად გაიგო;
- მასწავლებლის შეტყობინება კარგად ვერ გაგების შემთხვევაში;
- მეგობრებისა და თანაკლასელების გამოყენება მეკავშირეებად;
- იუმორი ან თვითირონია.

ადაპტაცია და სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეების სწავლება

სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეები, როგორც წესი, საჭიროებენ:

ინფორმაციას საკუთარი პრობლემისა და კომუნიკაციის პირობების შესახებ და მასწავლებლებს, რომლებიც:

- ეცნობიან ინფორმაციას სმენის პრობლემებისა და მათი გავლენის შესახებ;
- კარგად ირგებენ მასწავლებლის როლს;
- ცდილობენ ახლო მანძილზე იმყოფებოდნენ სმენის დაქვეითე-

ბის მქონე მოსწავლესთან;

- საუბრის დროს დგანან სახით სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან (რათა გაუიოლოს მას ბაგეებით კითხვა);
- გაკვეთილის ახსნისას იშველიებენ დაფას, პროექტორს, სურათებს, კონკრეტულ საგნებს, სხეულის ენას, წერილობით შეტყობინებებს და ა.შ;
- ცდილობენ არ იარონ საკლასო ოთახში;
- აკონტროლებენ კომუნიკაციას მოსწავლეებს შორის საკლასო ოთახში (სახელების გამოყენებით);
- ინარჩუნებენ გაკვეთილის სტრუქტურას, არიან პროგნოზირებადნი;
- ამზადებენ მოსწავლეს ახალი თემისთვის;
- ნათლად მინიშნებენ თემის ან აქტივობის შეცვლაზე;
- იყენებენ გამეორებას, როგორც ინსტრუმენტს;
- იყენებენ ასომთავრულად დაწერილ სიტყვებს და განსაზღვრებებს;
- იმეორებენ მოსწავლეებისგან მიღებულ პასუხებს;
- საჭიროების შემთხვევაში ეხმარებიან მოსწავლეს კომუნიკაციის პროცესში;
- ამომწებენ ყურადღებით არის თუ არა მოსწავლე, სანამ გააცნობდნენ მნიშვნელოვან ინფორმაციას;
- არ საუბრობენ, როდესაც ბავშვი სხვა რამითაა დაკავებული – გახსოვდეთ თვალთ კონტაქტის მნიშვნელობა;
- საუბრობენ გამოზომილად, თანაბარი რიტმით და ცდილობენ არ გააკეთონ პირით ზედმეტი მოძრაობები;
- ადაპტირებას უკეთებენ ჯგუფურ აქტივობებს;
- იყენებენ ხელმისაწვდომ ტექნიკურ დახმარებებს.

კარგად ინფორმირებულ თანაკლასელებს (მოსწავლეთა და მშობლეთა კონსულტირება).

მცირე ზომის ჯგუფებს (რაც ამარტივებს ბაგეებით კითხვის პროცესს და ამცირებს არსებულ ხმაურს).

- საკლასო ოთახის კარგად გააზრებული წყობა;
- კარგი აკუსტიკა;
- გარე ხმაურიდან მაქსიმალურად დაცული ოთახი;
- კარგი განათება (განათება უნდა იყოს მიმართული მას-

ნავლებლისა და თანაკლასელების სახეებზე);

- მოსწავლე უნდა იჯდეს წინ და სახით ფანჯრის მიმართულე-ბის პირდაპირ, ამავე დროს კარგად ხედავდეს კლასელებს (წრე ან ნალისებრი ფორმით მოწყობა კარგი გამოსავალი იქნებოდა).

გამომდინარე სმენის დაქვეითების მახასიათებლებიდან, მოსწავლეებს შეიძლება დამატებით დასჭირდეთ:

- სასმენი აპარატი/ან სხვა ტექნიკური დამხმარე მოწყობილობა;
- მეტყველება ნიშნების/ფესტების გამოყენებით;
- ფესტების ენის სწავლება;
- სპეციალური ტრენინგი მეტყველებაში, მოსმენასა და ბა-გეებით კითხვაში;
- მეტყველების გაუმჯობესებისკენ მიმართული ტრენინგები.

საკლასო ოთახი ფიზიკური შეზღუდულობის მქონე ბავშვთათვის

დევიდ სმიტი

ფიზიკური შეზღუდულობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების მქონე ბავშვები ხშირ შემთხვევებში არ საჭიროებენ დიფერენცირებულ სასწავლო პროგრამას. მათი უმეტესობის შემეცნებითი ფუნქცია კარგად მუშაობს და არ ჩამორჩება მათი თანატოლებისას. თუმცა, მნიშვნელოვანია, გავაცნობიეროთ, რომ ამ კატეგორიის ბავშვების უმეტესობა საკლასო ოთახებში არ იღებს განათლებას და შეზღუდული ბავშვების დიდი ნაწილი სკოლებს დიპლომებისა და მონმებების გარეშე ტოვებენ. ამ ფაქტებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ საკლასო ოთახებისა და სკოლების მოწყობა მათი სრული ინკლუზიის შესაძლებლობას იძლეოდეს.

ფიზიკური შეზღუდულობისა და ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სხვა პრობლემები იმდენად მრავალრცხოვანია, რომ ძნე-



ღია ზოგადად ვისაუბროთ მათზე, როდესაც საქმე მოსწავლეებს ეხება. ამ კატეგორიის მოსწავლეების საკლასო ოთახების მოწყობასთან დაკავშირებული საჭიროებები იცვლება მათი ასაკის, შეზღუდულობის ტიპისა და სიმწვავის მიხედვით. თუმცა, ამგვარი მოსწავლეებისთვის განათლების ოპტიმალური გზების ძიებისას საჭიროა გავითვალისწინოთ ოთხი მნიშვნელოვანი აპექტი, რათა მაქსიმალურად კარგი პირობები შევუქმნათ მათ საკლასო ოთახებში.

მოძრაობა და პოზიცია

მოძრაობის შეზღუდვები ვარირებს მსუბუქიდან მძიმემდე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ნაწილს ელექტროსავარძლები სჭირდებათ, ნაწილს – ყავარჯნები და ან სხვა დამხმარე საშუალებები. არსებობს ისეთი კატეგორიაც, რომლებიც თავისუფლად გადაადგილდება საკლასო ოთახსა თუ სკოლაში, მაგრამ ამას გაცილებით მეტ დროს ანდომებს. მოძრაობის უნარი იმ ჭრილშიც უნდა განვიხილოთ, თუ რამდენად რთულია მოსწავლისთვის გადაადგილება. მაგალითად, მას სიარული შეუძლია, მაგრამ ამისთვის იმდენ ძალას და ენერგიას ხარჯავს, რომ სავარძელი მისთვის აუცილებელია (ო'კონელი, ბარნჰარტი და პარკი, 1992).

სავარძელში ჯდომისას მისი პოზიცია ძალზედ მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა მან შეძლოს თავისუფლად ამოდროს მკლავები და ტანი, ისევე როგორც ისუნთქოს და ყლაპოს სწორად. ბავშვების ნაწილს ესაჭიროება პოზიციის ხშირი ცვლა მწვავე ტკვილის და კანთან დაკავშირებული პრობლემების თავიდან აცილების მიზნით.

მასწავლებლებს შესაძლოა დასჭირდეთ ოკუპაციური თერაპევტის ან ექიმის დახმარება და რჩევა იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გადაადგილებას და სწორად ჯდომას ეხება. ეს საკითხები სხვადასხვა სპეციალისტებისგან დაკომპლექტებულმა ჯგუფმა უნდა განიხილოს, რომლებსაც თანაბარი უფლება აკისრიათ ბავშვის მიმართ.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების განათლებასთან დაკავშირებით უფრო ყურადსაღებია სკოლის ფიზიკური გარემო, ვიდრე თვითონ მოსწავლეები. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სკოლები რაც შეიძლება მისაწვდომი იყოს იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც სავარძლებით მოძრაობენ. უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია სკოლის შენობამდე, ინდივიდუალურ საკლასო ოთახებამდე და სხვა ადგილებამდე (მაგალითად, ბიბლიოთეკა, აუდიტორიები და სპორტული დარბაზები) მისვლის შესაძლებლობის საკითხი. არის თუ არა ტროტუარები საკმარისად ფართო და გლუვი იმისათვის, რათა სავარძლებმა თავისუფლად იმოძრაოს? აქვს თუ არა ტროტუარებს გასამიჯნი ზოლი? სკოლების შესახველელი დაბალია თუ მაღალი? არის თუ არა ისეთი ტუალეტი, რომლის შესასვლელიც საკმარისად ფართოა სავარძლისთვის? აქვს თუ არა მოაჯირები?

მნიშვნელოვანია შეფასდეს თითოეული ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლის საჭიროებები და დადგინდეს, რამდენად პასუხობს სკოლის გარემო ამ საჭიროებებს.

კომუნიკაცია

შეზღუდული ფიზიკური შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს სხვადასხვაგვარად აქვთ გავითარებული მეტყველება და წერა-კითხვის უნარები. მათი ნაწილისთვის ენა პრობლემას არ წარმოადგენს და წარმატებებს აღწევს ამ სფეროში. თუმცა, არსებობს მოსწავლეთა კატეგორია, რომლებიც კომუნიკაციის ალტერნატიულ საშუალებებს საჭიროებენ. მაგალითად, მწვავე ცერებრული დამბლით დაავადებულ

ბავშვებს ხშირად არ შეუძლიათ იმ კუნთების გამოყენება, რომლებიც მეტყველებისა და წერის პროცესში მონაწილეობს. აგრეთვე შესაძლებელია კარგად ვერ ამოძრავებდნენ თვალებსა და თავს, რაც ხელს უშლის კითხვას. მოსწავლეების ამ კატეგორიისთვის საჭიროა გამოინახოს კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები.

არსებობს კომუნიკაციის საშუალებები, რომლებსაც შეუძლია ფასდაუდებელი დახმარება გაუწიონ ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეს. ამისათვის მარტივი დაფაც კი შეიძლება გამოდგეს. ახლა უკვე ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი ელექტრო და კომპიუტერიზებული საკომუნიკაციო მოწყობილობები. ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული მიკრო კომპიუტერების მეშვეობით მეტყველების პრობლემების მქონე ადამიანებს საშუალება აქვთ ლექციაც კი წაიკითხონ სინთეზატორებისა და სხვა საშუალებების დახმარებით (მირენდა და იაკონო, 1990).

დღეისათვის ხელმისაწვდომი კომპიუტერული დანადგარები და პროგრამები საშუალებას აძლევს მეტყველების პრობლემების მქონე ადამიანებს აწარმოონ ეფექტური კომუნიკაცია. ხმის გამაქტიურებელი მოწყობილობები, მაგალითად, საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მოიპოვონ ინფორმაცია და უკეთ მართონ უშუალოდ მათ გარშემო არსებული გარემო.

კომუნიკაცია ის სფეროა, რომელიც, მოსწავლის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვის მიზნით, ყველაზე უფრო საჭიროებს თანამშრომლობას. თერაპევტებმა, ფსიქოლოგებმა, ექიმებმა და განათლების სპეციალისტებმა ერთად უნდა იმუშაონ კომუნიკაციის ოპტიმალური საშუალებებისა და ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებისთვის ინსტრუქციების საუკეთესო გზების მიგნების მიზნით.

თვითდახმარების უნარები

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებს შესაძლოა დასჭირდეთ მომზადება და/ან დახმარება ისეთ საკითხებში, როგორიცაა თვითდახმარება. ისეთი პრობლემები, როგორიცაა შეზღუდული კომუნიკაციის უნარები, ხშირად განიხილება, როგორც სტანდარტულ საკლასო ოთახებში მოსწავლეთა ამ კატეგორიის სწავლების დამაბრკოლებელი ფაქტორი. თუმცა, შესაბამისი დახმარების მეშ-

ვეობით, ეს დაბრკოლება ამოიძირკვება და არ გამოიწვევს არასაჭირო სეგრეგაციას.

კუნთებთან დაკავშირებულმა ზოგიერთმა პრობლემამ, რაც კომუნიკაციას აფერხებს ბავშვებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზრდილებში, შესაძლოა საკვების მიღებასთან დაკავშირებული პრობლემებიც წარმოშვას. სხულის, მკლავების, ხელების და პირის მოძრაობის შეზღუდვები ხშირად იწვევს ღებვასთან და ყლაპვასთან დაკავშირებულ პრობლემებს. არსებობს მრავალი სახის მონყობილობები და აპარატები, რომლებიც შესაძლოა დაეხმარონ ამგვარი პრობლემების მქონე მოსწავლეებს. დანა-ჩანგლის დამუშავება აიოლებს ჩაჭიდებას, ასევე შესაძლებელია სახეულურების ამგვარადვე დამუშავება. პლასტიკური ღეროები სითხის მისაღებად და ჭიქის დამჭერი ასევე აიოლებს მათ გამოყენებას. მოდიფიცირებული კომპიუტერის კლავიატურები და დისტანციური პულტები ტელევიზორისთვის, აგრეთვე ჩართვა-გამორთვის ღილაკები საშუალებას აძლევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს თითებით, თვალებით ან სუნთქვითი კონტროლის მეშვეობით ისარგებლონ სხვადასხვა მონყობილობებით.

ტუალეტი ძალზედ მწვავე პრობლემაა ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეთა ნაწილისთვის. შარდის ბუშტის პათოლოგიების მქონე ადამიანები ხშირად ვერ აკონტროლებენ მის მოქმედებას. ამ პრობლემის მქონე მოსწავლეებთ ხშირად პატარა დანადგარი აქვთ მიმაგრებული მუცლის ქვედა ნაწილში ქირურგიული ჩარევის გზით. შარდი სწორედ ამ დანადგარში გამოიყოფა და დღის განმავლობაში მისი რამდენიმეჯერ დაცლაა საჭირო. ეს დანადგარი საშუალებას აძლევს ბავშვს შეინარჩუნოს სიმშრალე და თავიდან აიცილოს შარდის სუნი. სხვა გამოსავალი არსებობს ნაწლავების პრობლემის მქონე მოსწავლეებისთვის. ამგვარი მოდიფიკაციები ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვებისთვის, როგორც ფიზიკური ასევე სოციალურ-პიროვნული თვალსაზრისით. უმეტეს შემთხვევებში, მასწავლებლებს მოეთხოვებათ მხოლოდ ის, რომ გაგებით მოეკიდნონ მოსწავლეების ამ პრობლემებს.

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეები ხშირად იმყოფებიან მედიკამენტოზურ მკურნალობაზე, რაც მოითხოვს განრიგის დაცვას. ხშირ შემთხვევაში, ამ კატეგორიის მოსწავლეები თავადვე აცნობიერებენ მკურნალობის მნიშვნელობას და პასუხს

აგებენ მედიკამენტების მიღებაზე, ისე, რომ არ საჭიროებენ დახმარებას. თუმცა, არსებობს ისეთი შემთხვევები, როდესაც ამგვარ მოსწავლეებს სკოლის მედდის დახმარება სჭირდებათ და არა მხოლოდ მედიკამენტების მიღებასთან დაკავშირებით.

ზოგ შემთხვევაში, მასწავლებლებს შეიძლება მოუწიოთ მედიკამენტების დაყოფა ან სხვა მარტივ სამედიცინო პროცედურებზე დასწრება. ეს ფაქტი აზრთა სხვადასხვაობებს იწვევს და მასწავლებლებიც ვალდებული არიან კარგად იცნობდნენ საკუთარ ქვეყნებში მოქმედ წესებს ამ საკითხთან დაკავშირებით (მაკკოი, 1995). სანამ განახორციელებენ რაიმე სახის სამედიცინო ჩარევას ან ასწავლიან მოსწავლეს თვითონ განახორციელოს სამედიცინო მოქმედება, სპეციალისტების ჯგუფმა უნდა დაუსვას მას შემდეგი კითხვები:

- ვის აქვს კანონიერი უფლება განახორციელოს ეს ქმედება?
- ვის აქვს შესაბამისი გამოცდილება და უნარი განახორციელოს ეს ქმედება ან ასწავლოს მოსწავლეს?
- ვისი მომზადებაა კიდევ შესაძლებელი ამისთვის?
- ვინ იმყოფება მუდმივად მოსწავლის სიახლოვეს, რათა შეასრულოს ეს საქმე ან ასწავლოს მოსწავლეს?
- როდის, სად და როგორ არის უკეთესი სწავლება?
- სავარაუდოდ რამდენად სწრაფად აითვისებს მოსწავლე ამ საქმეს? (კირკი, გალაჰერი და ანასტასიოვი, 1993).

ფსიქოლოგიური საჭიროებები

სხვადასხვა ფიზიკური საჭიროებები, რომლებიც ახასიათებს ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებს ასევე ვრცელდება მათ ფსიქოლოგიურ საჭიროებებზე. ზოგი მოსწავლისთვის ფიზიკური შეზღუდულობა არ წარმოადგენს პრობლემას ფსიქოლოგიური განვითარებისა და სოციალური ურთიერთობებისთვის. რიგ შემთხვევებში მათ ისეთივე პრობლემები და საჭიროებები აქვთ, როგორც სხვა ბავშვებსა და მოზარდებს.

თუმცა, მოსწავლეთა გარკვეული ნაწილის მიერ, შეზღუდულობა მწვავედ აღიქმება. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებს ხშირად დაბალი აქვთ თვითშეფასება და ნაკლებად არიან მშვიდები სხვა თანატოლებთან შედარებით (ჰარვი და გრინვეი, 1984). გამოვლენილია სხვადასხვა

ფსიქოლოგიური ხასიათის რეაქცია ფიზიკურ შეზღუდულობაზე. ბავშებისა და მოზრდილების ნაწილი წარმატებული სტრატეგიების შედეგად ახერხებს ამ პრობლემასთან გამკლავებას, თუმცა, სხვებს უფრო უარყოფითი დამოკიდებულება აღენიშნებათ ამ პრობლემასთან (რაითი, 1983). ისიც ცხადია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ირგვლივ მყოფი ადამიანების დამოკიდებულება და ქცევა ნაწილობრივ განსაზღვრავს ამ შეზღუდულობის ფსიქოლოგიურ შედეგებს. როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის ოჯახის წევრები, მეგობრები, მასწავლებლები და კლასელები გამოხატავენ მხარდაჭერას მის მიმართ, მოსწავლეს, სავარაუდოდ, მიიღებს საკუთარ თავს, ისეთად, როგორიც არის (ბესტი, კარპიჯანო, სირვისი და ბიგი, 1991; ჰაინემანი და შნოცი, 1984).

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების სწავლების საუკეთესო გზები ინკლუზიურ კლასში

ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების უმეტესობისთვის სწავლის ყველაზე უკეთესი გარემო ინკლუზიური კლასია. იმისათვის, რათა ისწავლონ მრავალფეროვან და ინტეგრირებულ საზოგადოებაში ცხოვრება, ბავშვებსა და მოზარდებს ესაჭიროებათ ინკლუზიურ კლასებში სწავლება, რომლებიც შეესაბამება მათ საგანმანათლებლო, სოციალურ და ფიზიკურ საჭიროებებს. როგორც წინა ნაწილში აღვნიშნეთ, შესაძლებელია საჭირო გახდეს ფიზიკური გარემოს მოდიფიცირება. ამ კატეგორიის სტუდენტების ინტეგრირებაში შესაძლებელია ასევე საჭირო გახადოს კლასში კონსულტანტების გამოცდილების ინტენსიური გამოყენება. თუმცა, ფიზიკური ადაპტაციისა და სამედიცინო-თერაპიულ ხასიათის კონსულტაციებთან ერთად, თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება სხვების დამოკიდებულებას ამ ბავშვებისადმი. კლასის მიერ მათი მიღება განაპირობებს შემდგომში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების დამოუკიდებელ პიროვნებად ჩამოყალიბებას.

სწავლება ოპტიმალური დამოუკიდებლობისთვის

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებმა შეიძინონ

მაქსიმალური დამოკიდებულება და შესძლონ თვითგანსაზღვრა. იმ უნარების სწავლებით, რაც შესძენს მათ პიროვნულ დამოუკიდებლობას და საკუთარი თავისადმი რწმენას, მათ ასევე აუმაღლებათ თვითშეფასებაც. შესაბამისად, რაც უფრო დამოუკიდებელი გახდება მოსწავლე, მით უკეთ შეძლებს სოციალური კავშირების დამყარებას.


ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეებში თვითგანსაზღვრის წახალისების რამდენიმე საშუალება:

- ასწავლეთ არჩევანის გაკეთება, გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი თავის ადვოკატირება;
- მოაწყვეთ სკოლის გარემო იმგვარად, რომ მისცეთ მათ არჩევანის საშუალება;
- შეეცადეთ შეცვალოთ თემის დამოკიდებულება და იმუშავეთ მშობლებთან;
- მხარი დაუჭირეთ თემს, რათა მათ შესძლონ ამ ბავშვების საჭიროებების დაკმაყოფილება;
- დაამყარეთ კავშირები ბიზნეს-სექტორთან და თემის ლიდერებთან (ბროზერსონი და სხვები, 1995)

დაჯგუფების პატერნები

მოსწავლეების დაჯგუფება სკოლებში გავრცელებული პრაქტიკაა, რაც მიზნად ისახავს თანაბარი უნარებისა და შესაძლებლობის მქონე ბავშვების ერთად თავმოყრას. როგორც ამას შემდგომში დავინახავთ (ანუ იმ თავში, რომელიც განსაკუთრებით ნიჭიერ მოსწავლეებს ეხება), ამგვარი პრაქტიკა იწვევს გარკვეული დონის სეგრეგაციას, რაც არ პასუხობს მოსწავლეთა ჭეშმარიტ ინტერესებს და არ ქმნის თანაბარ გარემოს ყველა მოსწავლისთვის. თუმცა, არსებობს დაჯგუფების სხვა პრაქტიკებიც, რომლებიც რეალურად ხელს უწყობენ უფრო დადებითი გარემოს შექმნას და უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ინკლუზიას.

ფლექსიური დაჯგუფება საშუალებას აძლევს როგორც ჩვეულებრივი განვითარების, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს იმუშაონ ერთად კონკრეტული მიზნების მისაღწევად. ამგვარი ფორმირება შეიძლება შეიცვალოს კონკრეტული მიზნის



მიღწევის შემდეგ, როდესაც ხდება ახალი მიზნის დასახვა. ამგვარ დაჯგუფებაში მოსწავლეთა რიცხვი ვარირებს ორი-სამი მოსწავლიდან მაქსიმუმ ათამდე. ჯგუფის თითოეულ წევრს საკუთარი წვლილი შეაქვს დასახული მიზნის მიღწევაში საკუთარი შესაძლებლობის მიხედვით (ანსვორთი, 1984). ფლექსიური ჯგუფები ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ფიზიკური შეზღუდულობის მქონე მოსწავლეების შემოქმედებით და სოციალური ხასიათის პროექტებში ჩართვისათვის, რაც საშუალებას იძლევა იმისათვის, რომ ჯგუფის თითოეულმა წევრმა წვლილი გაიღოს საერთო მიზნის მისაღწევად საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

კოოპერაციული დაჯგუფება გულისხმობს მოსწავლეების დაყოფას მცირე ჯგუფებად, სადაც თავმოყრილია სხვადასხვა უნარებისა და შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები. ოთხი ან ხუთი მოსწავლისგან


დაკომპლექტებული ამგვარი ჯგუფები დგება საერთო ინტერესების ან მეგობრობის საფუძველზე. ამ ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან დასახული მიზნის მელწევაში. კოოპერაციული დაჯგუფება განსაკუთრებით ეფექტურია კითხვითი ან მათემატიკური დავალებების შესრულებისას. კვლევებმა დაადასტურა, რომ ამგვარი დაჯგუფება კიდევ უფრო აძლიერებს ურთიერთობას მოსწავლეთა შორის და ზრდის აკადემიურ მოსწრებას (სლაინი, 1987).

ამგვარი ტიპის დაჯგუფებამ შეიძლება კმაყოფილება მოგვაროს მოსწავლეებს ერთანეთის ნახალისებისა და დახმარების გამო. თუმცა, უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ მან შესაძლებელია ხელი შეუწყოს დამეგობრებას, რაც, სხვა შემთხვევაში არ მოხდებოდა. სტრული და სტრული (1989) ამტკიცებენ, რომ ეფექტურია ჩვეულებრივი განვითარების მქონე მოსწავლეების მომზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან სამეგობროდ როგორც საკლასო, ასევე სასკოლო აქტივობების შესრულებისას.

ჯგუფური სწავლება

ინკლუზიური სკოლებისა და საკლასო ოთახების ორგანიზების პროცესში, განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტების თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეებისთვის ნაყოფიერი სასწავლო გარემოს შესაქმნელად. მასწავლებელთა გაერთიანებული მცდელობები წაადგება არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებს, არამედ აუმჯობესებს სხვა მოსწავლეების სასწავლო შედეგებსაც. დადგინდა, რომ ფრთხილი დაგეგმარების და საგანმანათლებლო მიზნების მკაფიოდ ჩამოყალიბების შედეგად, შესაძლებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ეფექტიანი სწავლება მათი თანატოლების გვერდით (ჯოუნსი და კარლიერი, 1995).

ჯგუფური სწავლება ეფექტიანია როგორც შეზღუდული, ასევე ჩვეულებრივი შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. სწავლების ამგვარი ტიპის შედეგად მოსწავლეებს უვითარდებათ დაგეგმვის, პრობლემების გადაწყვეტის უნარ-ჩვევები, უშუალოდესდებათ თვითშეფასება და კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, უვითარდებათ სოციალური უნარები, გარდა ამისა, იმატებს მათი აკადემიური მოსწრებაც (კონი, 1986; პუტნამი, 1993).



მასწავლებელთა პარტნიორობა უნდა ეფუძნებოდეს თანამშრომლობას, ნდობას და კომუნიკაციას. ეს ურთიერთობები ხშირად ითხოვენ ცვლილებას და კომპრომისს პარტნიორისგან. ერთ-ერთ პილოტურ პროგრამაში მონაწილე მასწავლებლებმა ხაზი გაუსვეს თანამშრომლობის ღირებულებების საჭიროებას და განაცხადეს, რომ პარტნიორებს უნდა მიეცეთ საშუალება კარგად გაიცნონ ერთმანეთი და დაუსვან ერთმანეთს უამრავი შეკითხვა (ჯენი და სხვები, 1995). აღშანიშნავია, რომ მასწავლებელთა ჯგუფები ხშირად უწოდებენ საკუთარ პარტნიორობას „ქორწინებას“ (ინკლუზიური სკოლების სამუშაო ფორუმი, 1994). ჩვეულებრივი კლასის და სპეციალური განათლების მასწავლებლების „ქორწინება“, რომელსაც საფუძვლად უდევს მათი ძლიერი მხარეები, სავარაუდოდ მყარი და პროდუქტიულია. ზოგადი პროფილის მასწავლებელმა ამ კავშირს შეიძლება შესძინოს კონკრეტული საგნების უფრო ღრმა ცოდნა, ხოლო სპეციალური განათლების მასწავლებელმა – სასწავლო პროგრამის ადაპტირების გამოცდილება და იმ მეთოდოლოგიებით მუშაობა, რომელიც საჭიროა ინდივიდუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს „ქორწინება“ უფრო ეფექტურია ყველა ბავშვისთვის საჭირო და პროდუქტიული სასწავლო გარემოს შესაქმნელად.

გონებრივი ჩამორჩენილობა

თომ სმიტი, ედვარდ პოლოუეი,
ჯეიმს პეტონი, ქეროლ დოუდი

გონებრივი ჩამორჩენილობის ძირითადი კონცეფცია

ტერმინი „გონებრივი შეზღუდულობა“ ნიშნავს ფუნქციონირების საშუალოზე დაბალ დონეს. ეს მრავალმნიშველოვანი ტერმინი ასოცირდება მთელ რიგ ისეთ სტერეოტიპულ წარმოდგენებთან, როგორცაა, მაგალითად, დაუნის სინდრომით დაავადებული ახალგაზრდები, სიღარიბეში მცხოვრები, სტიმულაციას მოკლებული მცირენლოვანი ბავშვები და საზოგადოებასთან შეგუების უნარდაქვეითებული ზრდასრული ადამიანები.

ვინაიდან ეს ტერმინი ზოგადია, იგი მოიცავს ინდივიდთა ჯგუფების მრავალსახეობას და გულისხმობს გონებრივი შეზღუდულობის სხვადასხვა ფორმას, ამავდროულად, იგი არ შეესაბამება არცერთ გონებრივ დაავადებას.

ტერმინოლოგია

ამ კონცეფციისადმი კომპლექსური მიდგომისას ტერმინი „გონებრივი ჩამორჩენილობა“ არ გამოიყენება. ინტელექტუალური ჩამორჩენილობა, შეზღუდული შესაძლებლობა და სხვა ტერმინები მიჩნეულია მოცემული მდგომარეობის ასახვის მისაღებ ტერმინებად.

მე-20 საუკუნეში გონებრივი ჩამორჩენილობის საკითხებისადმი მიდგომა მნიშვნელოვნად შეიცვალა; მომსახურების განსხვავებული ფორმების შექმნამ სრულიად შეცვალა დამამცირებელი რეალობა გონებრივი ჩამორჩენილობის მიმართ.

გონებრივად ჩამორჩენილი ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების შეცვლამ და შეთავაზებული მომსახურებისა და დახმარების ფორმების მრავალფეროვნებამ აღნიშნულ სფეროში ძირეული ცვლილებები გამოიწვია. შესაბამისად, დადგა საუკეთესო დრო უნარშეზღუდულობის დაძლევის პერსპექტივებში ცვლილებების შესატანად.

მაშინ როცა გონებრივი ჩამორჩენილობის განმატებითი ასპექ-


ტები სამსუხაროდ დეფიციტზე ფოკუსირდება, 21-ე საუკუნეში შესაძლებელი გახდა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანების ძლიერი მხარეებისა და შესაძლებლობების გამოყენებით მათი მდგომარეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

გონებრივი ჩამორჩენილობა ფართო კონცეფციაა და მოიცავს ფუნქციონალური დონეების ფართო სპექტრს, მსუბუქი ჩამორჩენილობით დაწყებული, მწვავე ფორმებით დამთავრებული.

გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება

პროფესიონალებისათვის რთული აღმოჩნდა გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტების ისეთი ფორმულირება, რომელიც მიესადაგება პაციენტთა შეფასებასა და კატეგორიებად დაყოფას, თუმცა განმარტებითი კონცეფციის მთელი რიგი ასპექტები წლების განმავლობაში გამოიყენებოდა.

გონებრივი ჩამორჩენილობა, უმეტესწილად, ხასიათდებოდა ორი განზომილებით — ინტელექტუალური შესაძლებლობების შეზღუდულობითა და გარემოს სოციალურ მოთხოვნებთან შეგუების



სირთულით. გრინსპენმა (1996 წ.) გონებრივი ჩამორჩენილობა აღწერა, როგორც გონების „ყოველდღიური რუტინული“ პრობლემა; აქედან გამომდინარე, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანები განიხილებიან როგორც ცხოვრებისა და საზოგადოების მოთხოვნებთან ადაპტაციის თვალსაზრისით პრობლემების მქონე პირები.

განმარტების მიხედვით, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ყველა პირი უნდა ავლენდეს გონებრივი შესაძლებლობების გარკვეული ხარისხით დაქვეითებას, რაც ინტელექტუალური შესაძლებლობების (IQ) საშუალოზე დაბალ დონეში აისახება. გარდა ამისა, ეს პიროვნებები უნდა ავლენდნენ ისეთი ადაპტაციური უნარების დაბალ დონეს, როგორიცაა სოციალური, ქცევითი და ფუნქციურ-აკადემიური უნარები. ამ შემთხვევაში ეს გამოიხატება 6-დან 21 წლამდე ასაკში, როცა პიროვნება ხვდება სკოლის გარემოში და არ შესწევს უნარი შეასრულოს აკადემიური მოთხოვნები, პრობლემა ჩნდება თანატოლებთან ურთიერთობისას.

1983 წლის განმარტება

გონებრივი ჩამორჩენილობის ამერიკული ასოციაცია ათწლეულობის განმავლობაში მუშაობდა გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტებაზე. გროსმანის (1983 წ.) მიხედვით, გონებრივი ჩამორჩენილობა ნიშნავს საშუალოზე გაცილებით დაბალ ინტელექტუალურ ფუნქციონირებას, რაც დაკავშირებულია განვითარების პერიოდში გამოსხატულ ადაპტაციური ქცევის დაქვეითებაში.

აღნიშნულ განმარტებაში გამოიყოფა სამი ცენტრალური ცნება: ინტელექტუალური ფუნქციონირება, ადაპტაციური ქცევა და განვითარების პერიოდი.

ინტელექტუალური ფუნქციონირება მოიცავს კოგნიტური (შემეცნებითი) შესაძლებლობების ფართო სპექტრს, მაგალითად, სწავლის, პრობლემების გადაწყვეტის უნარს, სიტუაციაში ადაპტაციისა და აბსტრაქტული აზროვნების უნარს, თუმცა პრაქტიკაში იგი ფასდება ინტელექტის ტესტის შესრულების შედეგების მიხედვით. განმარტების მიხედვით, დიაგნოზის გამოტანისათვის ინტელექტის საზომი ტესტის ქულები არ არის საკმარისი, საჭიროა ადაპტაციის უნარის გაზომვაც.

ინდივიდის ადაპტაციური ქცევა წარმოადგენს იმ დონეს,

რომელიც შეესაბამება სიმნიფის სტანდარტებს, სწავლის შესაძლებლობებს, პიროვნულ დამოუკიდებლობასა და/ან სოციალურ პასუხისმგებლობას, შესაბამისი ამავე ინდივიდის ასაკისა და კულტურული ჯგუფისათვის, რომელსაც ის მიეკუთვნება (გროსმანი, 1983). აღნიშნულ კონცეფციასთან დაკავშირებით გროსმანი ხაზს უსვამს შეგუების იდეას: „ადაპტაციური ქცევა ასახავს გარემოს მოთხოვნათა შესაბამისი ყოველდღიური საქმიანობის შესრულებას; ადაპტაციური ქცევა ასახავს უფრო თავის მოვლისა და სხვა ადამიანებთან ყოველდღიური ურთიერთობის უნარს, ვიდრე აბსტრაქტული აზროვნების პოტენციალს, რომელიც ასახავს გონიერების დონეს.“ ადაპტაციური ქცევის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პერიმეტრია მთელ რიგ სიტუაციებში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და სოციალური ურთიერთობის შენარჩუნების უნარი.

მესამე კომპონენტი — *განვითარების პერიოდი*, განისაზღვრება ჩასახვის მომენტიდან 18 წლის ასაკამდე პერიოდით. საშუალოზე დაბალი ინტელექტუალური ფუნქციონირება და შეზღუდული ადაპტაციური ქცევა, რომელიც განსაზღვრავს გონებრივ ჩამორჩენილობას, ამ პერიოდში ვლინდება.

1992 წლის განმარტება

1992 წელს გონებრივ ჩამორჩენილობას მიაკუთვნებენ ფუნქციონირების მნიშვნელოვან შეზღუდულობას. იგი გამოიხატება ინტელექტუალური ფუნქციონირების საშუალოზე გაცილებით დაბალ დონეში და, შესაბამისად, ორი ან მეტი გამოყენებითი ადაპტაციური უნარების შეზღუდვაში, როგორცაა კომუნიკაცია, საკუთარი თავის მოვლა, სოციალური უნარები, თემის გამოყენება, თვითმართვადობა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, აკადემიური ფუნქციონირება, თავისუფალი დროის გამოყენება, მუშაობა.

გონებრივი შეზღუდულობა იწყება 18 წლამდე ასაკში. 1992 წელს გამოყენებული განმარტება მეტწილად ეყრდნობა ფუნქციონალურ მიდგომას და ამით ფოკუსი ინაცვლებს უფრო ინდივიდის საზოგადოებაში ფუნქციონირების უნარზე, ვიდრე ფსიქომეტრულ და კლინიკურ ასპექტებზე, (მაგალითად, IQ ტესტის ქულა, შეზღუდული ადაპტაციური ქცევის შეფასება და სხვ.)

2002 წლის განმარტება

2002 წელს შემოთავაზებული განმარტება შეიცვალა, (ლაკასონი და სხვ.). ამ დეფინიციის თანახმად, გონებრივი ჩამორჩენილობა ხასიათდება ინტელექტუალური ფუნქციონირებისა და ადაპტაციური ქცევის მნიშვნელოვანი შეზღუდულობით და აისახება კონცეპტუალური, სოციალური და პრაქტიკული ადაპტაციის უნარებში. ამგვარი შეზღუდულობა ვლინდება 18 წლამდე ასაკში. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შემდეგი 5 დაშვების გათვალისწინება:

1. ფუნქციონირების შეზღუდულობა უნდა განიხილებოდეს თემის, გარემოს, კონტექსტში ინდივიდის ტიპური ასაკისა და კულტურის გათვალისწინებით;
2. სრულყოფილი შეფასება უნდა ითვალისწინებდეს კულტურას, ენობრივ სხვაობას, კომუნიკაციის უნარს, სენსორული და მოტორული ქცევის ფაქტორების თავისებურებას;
3. ინდივიდში შეზღუდულობასთან ერთად არსებობს უნარები რომლებიც კარგადაა განვითარებული. ეს ინდივიდის ძლიერი მხარეა;
4. შეზღუდულობის აღწერის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს საჭირო დახმარების პროფილის შემუშავება;
5. ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაწეული ინდივიდუალური დახმარების შემთხვევაში გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირთა ფუნქციონირების დონე ზოგადად უმჯობესდება.

კლასიფიკაცია

აღნიშნულ დარგში კლასიფიკაცია ისტორიულად ითვალისწინებდა ეტიოლოგიასა (მიზეზს) და სიმძიმის დონეს. მაშინ, როდესაც პირველი იშვიათად იყო გამოყენებული არასამედიცინო პრაქტიკაში, უკანასკნელი ხშირად გამოიყენებოდა მთელ რიგ დისციპლინებში, განათლებისა და ფსიქოლოგიის ჩათვლით. პროფესიულ ლიტერატურაში გამოყენებული კლასიფიკაციის სისტემა გროსმანს (1983 წ) ეკუთვნის.

აღნიშნული სისტემა იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა გონებრივი ჩამორჩენილობის მსუბუქი, საშუალო, მწვავე და პროგ-

რესული ფორმები, რომლებიც ასახავენ შეზღუდულობის ყველაზე მნიშვნელოვან დონეებს, როგორც ინტელექტუალური შესაძლებლობის, ასევე ადაპტაციური ქცევის შეფასების მიხედვით, თუმცა ხშირ შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა მხოლოდ ინტელექტის ტესტის ქულეებზე, რომლითაც, სამწუხაროდ, ხდებოდა ფუნქციონირების დონის გაზომვა.

ამ მეთოდის ერთ-ერთი ალტერნატივაა გონებრივი ჩამორჩენილობის კლასიფიკაცია ფუნქციონირების ორი დონის მიხედვით, (მსუბუქი და მწვავე), რითაც თავს ავარიდებთ გონებრივი ჩამორჩენილობის სიმძიმის განსაზღვრას მხოლოდ ინტელექტის საზომ ტესტზე დაყრდნობით. ამგვარი ნაკლებად ფორმალური მიდგომის მიხედვით, ადაპტაციური უნარი წარმოადგენს შეზღუდულობის დონის ძირითად საზომს, რომელსაც ეფუძნება უფრო ფართო, მაგრამ ნაკლებად ზუსტი კლასიფიკაციის სისტემა. ეს მიდგომა ხშირად გამოყენებულია და ზოგადად ასახავს სხვაობას შეზღუდულობის მსუბუქსა და მწვავე ფორმებს შორის.

ამ მიდგომის ალტერნატივას წარმოადგენს ლუკასონის (Luckasson et al., 1992 წ.) კლასიფიკაციის სისტემა, რომლის გამოყენება განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ინკლუზიურ გარემოში. ამ სისტემის მიხედვით, კლასიფიკაცია ეფუძნება არა შეზღუდულობის ან დეფიციტის დონეებს, არამედ საჭირო დახმარების დონეებს. ლუკასონის მიხედვით, „დახმარება“ გულისხმობს რესურსებსა და სტრატეგიას, რომელიც საჭიროა ინდივიდის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის: აუცილებელ განვითარებას, განათლებას, ინტერესს და პიროვნულ კეთილდღეობას. აქედან გამომდინარე, ეს სისტემა ახდენს არა დეფიციტის, არამედ საჭიროებების კლასიფიკაციას.

ინდივიდებს ყოფენ თითოეული მათგანის ადაპტაციის უნარის შესაბამისი იმ საჭიროებების კლასიფიკაციის მიხედვით, როგორიცაა *პერიოდული, შეზღუდული, ვრცელი და ფართო* კატეგორია. თუმცა, შესაძლებელია, რომ ინდივიდი წარმატებული ფუნქციონირებისათვის ერთ კონკრეტულ, მოცემულ სფეროში არ საჭიროებდეს დახმარებას.

დახმარების დონეები განისაზღვრება შემდეგნაირად:

პერიოდული: დახმარება „საჭიროებისამებრ“, რომელიც ხასიათდება ეპიზოდურობით (პიროვნება საჭიროებს პერიოდულ დახმარებას), ან მოკლევადიანობით, (გარდამავალ პერიოდში საჭირო

დახმარება, მაგალითად, სამსახურის დაკარგვის ან მწვავე სამედიცინო კრიზისის დროს); პერიოდული დახმარება, შესაძლოა, იყოს მაღალი და დაბალი ინტენსიობისა.

შეზღუდული: დახმარების ინტენსიობა ხასიათდება მოკლევადიანობით, რაც განსხვავდება „პერიოდული“ დახმარებისაგან და მოითხოვს ნაკლებ სახსრებსა და ადამიანურ რესურსებს, ვიდრე დახმარების უფრო ინტენსიური დონეები (მაგალითად, დასაქმების მოკლევადიანი ტრენინგი ან დახმარება გარდამავალ პერიოდში);

ვრცელი: დახმარება ხასიათდება ჩართულობის რეგულარობით, (მაგ. ყოველდღიური), ხორციელდება ერთ გარემოში, (მაგ. სკოლა, სამსახური ან სახლი), არ არის შეზღუდული დროის თვალსაზრისით, (მაგ. ხანგრძლივი დახმარება სახლის პირობებში).

ფართო: დახმარება ხასიათდება მუდმივობით, მაღალი ინტენსიობით, გარემოებების მრავალსახეობით, ის პოტენციურად სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. ფართო დახმარება გულისხმობს მეტი ადამიანებისა და სხვა რესურსების გამოყენებას, (ლუკასონი და სხვ. 2002).

ცხრილი 1. ასახავს დახმარების განსხვავებულ დონეებსა და ინტენსიობას და წარმოადგენს კლასიფიკაციის მოცემული სისტემის პრაქტიკაში გამოყენების მეთოდს.

ცხრილი 1: დახმარების ღონეები - ინჟინერიის განყოფილება

	პერიოდული	შეზღუდული	ვრცელი	ფართობი
დროის ხანგრძლივობა	საჭიროებისამებრ	დროში შეზღუდული, დრო-და-დრო მიმდინარე	ჩვეულებრივ ხანგრძლივი	სიცოცხლის განმავლობაში
დროის სიხშირე	ხანმოკლე, დაბალი სიხშირით	რეგულარული, მოსალოდნელი სიხშირით	მოსალოდნელი, შესაძლოა მაღალი სიხშირით	მაღალი სიხშირე, ხანგრძლივი, მუდმივი
გარემო	რამდენიმე გარემო, როგორც წესი, ერთი ან ორი	რამდენიმე გარემოში	რამდენიმე გარემოში, ჩვეულებრივ ყველაში არა	ყველა ან თითქმის ყველა გარემოში
რესურსები პროფესიული/ტექნოლოგიური დახმარება	პერიოდული კონსულტაცია ან დისკუსია, შემოწმების ჩვეულებრივი გრაფიკი, პერიოდული მონიტორინგი	ხანმოკლე, მაგრამ რეგულარული კონტაქტი	რეგულარული, ხანგრძლივი კონტაქტი ან მონიტორინგი (სულ მცირე ყოველკვირული) პროფესიონალების მიერ	მუდმივი კონტაქტი და მონიტორინგი პროფესიონალების მიერ
აკვიატება	უპირატესად ყველა სახის ბუნებრივი დახმარება, არჩევანისა და ავტონომიის მაღალი დონე	უპირატესად ყველა სახის ბუნებრივი დახმარება, არჩევანისა და ავტონომიის მაღალი დონე	ბუნებრივი და მომსახურებაზე დაფუძნებული დახმარება, არჩევანისა და ავტონომიის შედარებით მცირე დონე	უპირატესად მომსახურებაზე დაფუძნებული სტრუქტურის მქონე კონტრიბუციონული დახმარება

მიზეზები და მახასიათებლები

არსებობს გონებრივი ჩამორჩენილობის ასობით მიზეზი და ამავდროულად არსებობს მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც მიზეზი უცნობია. მე-2 ცხრილში ასახულია ამ სფეროში არსებული სირთულეები. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანების მრავალფეროვნებას თუ გავითვალისწინებთ, მახასიათებლების ჩამონათვალი უნდა გაკეთდეს განსაკუთრებული სიფრთხილით, თუმცა გარკვეული დონის განზოგადოებაც დასაშვებია.

ცხრილი 2: გონებრივი ჩამორჩენილობის შერჩევითი მიზეზები

მიზეზი	პრობლემის ბუნება	მოსაზრებები
დაუნის სინდრომი	21-ე წყვილი ქრომოსომის ტრისომია (ამ წყვილში სამი ქრომოსომა) IQ დონე – მწვევე შეზღუდულობიდან ნორმამდე	სწავლის მახასიათებლების დიდი ნაირსახეობა კლასიკური ფიზიკური ნიშნები ხშირი ქრომოსომული ანომალია
გარემოს ნაკლოვანება	ღარიბი გარემოს ელემენტები (მაგალითად, ღარიბი ოჯახი, რესურსების ნაკლებობა, საგანმანათლებლო როლის მოდელების არ არსებობა	შეიძლება მიეკუთვნებოდეს მსუბუქ ჩამორჩენილობას, რომელიც ასოცირდება სწავლის პრობლემებთან
ფეტალური ალკოჰოლიზმის სინდრომი	გამონეწეულია ფეხმძიმობის დროს ალკოჰოლის მიღებით და ალკოჰოლის ტოქსიკური ეფექტით	ასოცირდება შეზღუდულობის დიდ მრავალფეროვნებასთან და შესაძლოა თან ერთვის სახის ან სხვა რამის სიმახინჯე და ქცევის ანომალიები. ჩამორჩენილობის სამ მიზეზში – ყველაზე ხშირად განმეორებადი ბიოლოგიური მიზეზით გამოწვეული შეზღუდულობა

<p>მყიფე X სინდრომი</p>	<p>გენეტიკური დაავადება, რომელიც დაკავშირებულია გენებთან ან X ქრომოსომასთან</p>	<p>ხშირ შემთხვევაში გადადის დედისგან ვაჟიშვილზე. ხშირად მამაკაცებში გამოხატულია გონებრივი ჩამორჩენილობის სახით, ხოლო ქალებში სწავლის უნარის დაქვეითებით (ზოგ შემთხვევაში). შესაძლოა თან ერთვოდეს ქცევის სხვადასხვა პატერნები (მაგალითად, თვითსტიმულაცია), შეზღუდული სოციალური უნარები, მეტყველების დარღვევა.</p>
<p>ჰიდრო- ცეფალია</p>	<p>მრავალი გამომწვევი მიზეზი (მაგალითად გენეტიკური, გარემო). ტვინის ცერებროსპინალური სითხის მოძრაობის ანომალია</p>	<p>ადრე ასოცირდებოდა თავის დიდ ზომასთან და ტვინის დაზიანებასთან. კონტროლდება შუნტის იმპლანტაციით</p>
<p>ფენილკე- ტონურია-</p>	<p>ავტოსომური რეცესიული გენეტიკური დაავადება</p>	<p>ასოცირდება მეტაბოლურ (ნივთიერებათა ცვლის) პრობლემებთან მაღალ-პროტეინული შემდაგენლობის საკვების მონელებაში. ემორჩილება კონტროლს დაბადებისას დიეტის დაცვის მეშვეობით.</p>
<p>პრადერ- ვილის სინდრომი</p>	<p>ავტოსომური ტიპის ქრომოსომური დაავადება</p>	<p>ასოცირდება ქამის უკონტროლობით გამოწვეულ ქარბ კვებასთან. გარდა ჩამორჩენილობისა, ამ დაავადებას ახასიათებს სიმსუქნე.</p>

**ტაი-საქსის
სინდრომი**ავტოსომური რეცესიული
გენეტიკური პათოლოგია

აშკენაზის ებრაული
წარმოშობის პირებისთვის
წარმოადგენს რისკის
მაღალ ფაქტორს.
ახასიათებს მწვავე
შეზღუდულობა და
ნაადრევი სიკვდილიანობა.
არ იკურნება.
პრევენცია შესაძლებელია
გენეტიკური სკრინინგის
საფუძველზე.

გონებრივი შეზღუდვა ასოცირდება მთელ რიგ მახასიათებლებთან, რომლებიც თავის მხრივ წარმოადგენს შესწავლის სპეციფიკურ საგანს. ცხრილი 3 წარმოგვიდგენს სასწავლო დომენს, პრობლემების ჩამონათვალს და გარკვეულ ინსტრუქციების ჩამონათვალს. გარდა ამისა ამ ცხრილში ხდება მოტივაციის, შემეცნების, ენის, აკადემიური და სოციალური ქცევის განვითარების ინფორმაციის შეჯამება.

ცხრილი 3. გონიერების შეზღუდულთა მასისათვის და ჩარევის შესაძლებლობები

ადგილი	პრობლემის სფეროები	ჩარევის ინსტრუქციები
ყურადღება	ყურადღების ხანგრძლივობა (დავლებაზე კონცენტრირების დროის მონაკვეთი); ფოკუსი (ყურადღების გადატანის სტიმულის შექმნა); შერჩევითი ყურადღება (მნიშვნელოვან სტიმულთა მასისათვის გამოსვლები)	ყურადღების მნიშვნელობის შესახებ მონაცემების ინფორმირება. ყურადღების შენარჩუნების ინსტრუქციები (ე.ი. თვით-მონიტორინგი). სიჩუმის მნიშვნელობის სწავლება.
შუამავალი სტრატეგიების გამოყენება	სწავლაში დახმარების სტრატეგიების შემუშავება. მიღებული ახალი ინფორმაციის ორგანიზება.	სპეციალური სტრატეგიის სწავლება (გამეორება, დახარისხება). მოსწავლის სწავლის პროცესში აქტიური ჩართვა (ვარჯიში, გამოყენება, გადახედვა). მნიშვნელოვანის გამოყოფა.
მეხსიერება	მოკლევადიანი მეხსიერება (ე.ი. წამები და წუთები) – დეფიციტის ზოგადი სფერო. გრძელვადიანი მეხსიერება – ჩვეულებრივ ელონდება არა-შეზღუდული შესაძლებლობის არ მქონე ადამიანებში (ინფორმაციის მიღების შემდეგ)	სტრატეგიის შემუშავების სირთულის გამო მნიშვნელოვანია მოსწავლის ინსტრუქტირება სტრატეგიის გამოყენებასთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანი საკითხების გამოყოფა.

<p>განზოგადოების სწავლა</p>	<p>ცოდნისა და უნარების გამოყენება ახალი დავალებების, სიტუაციის ან პრობლემის გადაჭრის დროს. წინათ მიღებული გამოცდილებების გამოყენება პრობლემების გადაჭრის დროს.</p>	<p>მრავალ-კონტექსტიანი სწავლება. განზოგადოების გაძლიერება. უნარების შესაბამის კონტექსტში სწავლება. სტუდენტებისათვის ნასწავლის გამოყენების შეხსენება.</p>
<p>მოტივაცია</p>	<p>გარე ლოკუსის კონტროლი (მოქმედებაზე სხვების ზეგავლენის მიკუთვნება). მართვადობა (სწავლის სტილში). მიღწევის წახალისებისა და მილოდინების ნაკლებობა. ნარუმბატებლობა (ნარუმბატებლობის პირადი მოლოდინი)</p>	<p>წარმატებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა თავდაჯერებულობის ხაზგასმა თვითმართვის სტრატეგიის სტიმულირება. აკადემიური დავალებებისთვის სწავლის სტრატეგიების შემზავება. სწავლის სწავლაზე ფოკუსირება. პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიების სტიმულირება (მზა სწორი პასუხის სანაცვლოდ).</p>
<p>კოგნიტიური განვითარება</p>	<p>ასტრაქტული აზროვნების უნარი. თვითდაკვირვების შედეგად პიზიოზების განვითარების შედეგად მიღებული სიმბოლური აზროვნება</p>	<p>ინსტრუქციების დროს კონკრეტული მაგალითების მოყვანა. კონტექსტური სწავლის გამოცდილების უზრუნველყოფა. მოსწავლეებსა და გარემოს შორის ინტერაქციის წახალისება ირგვლივ მყოფ ადამიანებთან და საგნებთან დამოკიდებულების განსაზღვრის მიზნით.</p>

<p>ენობრივი უნარის განვითარება</p>	<p>შეფერხება ლექსიკისა და მეტყველების უნარების განვითარებაში კულტურული მრავალფეროვნებისა და დიალექტების აღქმასთან დაკავშირებული პრობლემები. მეტყველების დარღვევები</p>	<p>ენის განვითარებისა და ევრბალური კომუნიკაციისთვის სასურველი გარემოს შექმნა: ენის მისაღები მოდელი შეშუადება. განსვავებული აუდიტორიის დასწრებით მოსწავლეების ენის სხვადასხვა მიზნობისთვის გამოყენების შესაძლებლობის მიცემა. კულტურული განსვავების დიფერენცირება. მოსწავლეების მეტყველებისა და აქტიური მონაწილეობის სტიმულირება.</p>
<p>აკადემიური განვითარება</p>	<p>კითხვის, წერისა და მათემატიკის უნარებში ჩამორჩენა. მათემატიკური ამოცანების ამოხსნის პრობლემები.</p>	<p>ეფექტიანად მეცადინეობისათვის საჭირო სასწავლო სტრატეგიების შემუშავება. სწავლის სურვილის სტიმულირება. სიტყვების სწავლება მათი ფუნქციური გამოყენების ხაზგასმით ახალი სიტყვების მნიშვნელობის მიხედვით სტრატეგიები და შესწავლილი სიტყვების კონტექსტში გამოყენება. ეფექტიანი კურიკულუმის/სასწავლო გეგმის შედგენა.</p>

სოცოში და ქვევა

სოციალური ადაპტაცია, სოციალური აღქმა და ცნობიერება, თავის თავისადმი პატივისცემა, თანატოლების მიღება, კლასში ქცევის პრობლემები (მაგალითაად, ჩართულობის ნაკლებობა, დეზინტეგრაცია)

სოციალური უნარების სწავლება პირდაპირი ინსტრუქციების მეშვეობით.
მისაღები ქცევის გამტკიცება.
არასწორი ქცევის მიზეზების დადგენა.
საკლასო ქცევის მოდელის დემონსტრირების მიზნით პროცესში თანატოლების ჩართვა.
სოციალური მიმდებლობის პროგრამა.
ინტერვენციების განმტკიცების პროცესში თანატოლების ჩართვა.

სტრატეგიის ტრენინგი ინსტრუქციების გამოყენების თვალსაზრისით წარმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირთა სწავლების დროს მნიშვნელოვანია კონცენტრირების მოხდენა არა მხოლოდ სწავლის საგანზე, არამედ სწავლის პროცესზე, რათა სისტემატური სტრატეგიის გამოყენების ხარჯზე მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის დეფიციტის შევსება. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია მათთვის მისაღები სწავლის სტრატეგიის გამოყენება და დანერგვა, რათა მათ შეძლონ ცოდნის მიღება, შენარჩუნება და თავიანთი კურიკულუმის/სასწავლო გეგმის ფარგლებში მისი გამოყენება.

მაშინ როცა გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეების სწავლება მიმდინარეობს კოგნიტურ მახასიათებლების გათვალისწინებით, ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ-ემოციური ფაქტორების გათვალისწინება, რადგან ეს უკანასკნელი ძალზედ მნიშვნელოვანია გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანების წარმატებული ფუნქციონირებისას.

იდენტიფიკაცია, შეფასება, მიზანშეწონილობა და კატეგორიზაცია

ზუსტი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მიზანშეწონილობის კრიტერიუმების დადგენის პროცედურები ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში წარმოადგენდა გარკვეულ პრობლემას. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეები წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, რომლებსაც აქამდე არ ღებულობდნენ ზოგად საგანმანათლებლო კლასებში. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეების კატეგორიზაციის დროს (ისევე, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების შემთხვევაში), პედაგოგმა უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტი, რომ ამ პირების ამა თუ იმ კლასში მოთავსება მათთვის წარმოადგენს გარკვეულ „მკურნალობას“. ხშირ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე ეფექტიანი ინსტრუქციების პრაქტიკაც. ფაქტიურად, დადებითი შედეგის მიღწევა დამოკიდებულია ინსტრუქციების (და არამარტო ინსტრუქციების) თვისობრივ ხარისხზე. აქედან გამომდინარე გარემო მაკრო ცვლადია. საკითხავია, რა ხდება ამ გარემოში?

გარდამავალ პერიოდთან დაკავშირებული მოსაზრებები

ოკუპაციური წარმატება და თემში ცხოვრების უნარი წარმოადგენენ ცხოვრების კრიტიკულ ცვლადებს, რომელთა შექმნა ხდება ასაკობრივ გარდამავალ პერიოდში. ნამუშევრებისა და სასწავლო შემთხვევების მთელი რიგი წარმოადგენს პიროვნებების წარმატების დასტურს. ხშირ შემთხვევაში წარმატება მიღწეულ იქნა პედაგოგის, ოჯახისა და მეგობრების ერთობლივი ძალისხმევით. თანაბრად მნიშვნელოვანია ორი ზოგადი მოსაზრება: (1) რის ხარჯზე ახერხებს მოსწავლე სპეციალური განათლების მიღებას? და (2) მათ მიერ ზრდასრული ასაკის მიღწევისას რა შესაძლებლობებსა და დახმარებას ღებულობენ ისინი მიღებული განათლების ხარჯზე? ზოგადად, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ზრდასრული ადამიანების უმრავლესობა წარმატებით ახერხებს გარდამავალი პერიოდის გადალახვას და ღებულობს და ინარჩუნებს სამსახურს. ეს წარმატება განპირობებულია მთელ რიგი კრიტიკული ფაქტორებით.

პირველი, სკოლის შემდგომი წარმატება დამოკიდებულია მათი პიროვნული უნარების დემონსტრირებაზე და სოციალური ქცევის შესაბამისობაზე. მეორე, გარდამავალი პერიოდის პროგრამირება განაპირობებს მომდევნო წარმატებას. ეს პროგრამები უნდა ითვალისწინებდნენ და ასახავდნენ თავდაყირა პერსპექტივას (ტოპ-დონ პერსპექტივე) (ე.ი. თემის გარემოებიდან სკოლის კურიკულუმამდე), რის საფუძველზეც ხდება ადამიანის მომდევნო მოსალოდნელი გარემოსთვის მომზადება (სამსახური, დასვენება, სოციალიზაცია). მესამე, მომავალი სამუშაო ადგილი აგრეთვე წარმოადგენს სპეციალურ გამოწვევას. სამუშაოს უფრო კომპლექსური მოთხოვნები ამ ჯგუფისათვის მეტად პრობლემური გახდება. სამსახურების რაოდენობა, რომლებზეც ტრადიციულად გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანები მუშაობდნენ თანდათან მცირდება (მაგალითად მომსახურების ინდუსტრია). და ბოლოს, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანებს აქვთ ბევრი თავისუფალი დრო. შესაბამისად, გარდამავალი პერიოდის სწავლება უნდა ითვალისწინებდეს თავისუფალი დროის კომპონენტს.

გარდამავალი პერიოდის მნიშვნელოვანი თვისებები

- გარდამავალი პერიოდისთვის მომზადება უნდა დაიწყოს ადრე და დაგეგმარება უნდა იყოს გასაგები;


- გადანყვეტილებამ უნდა დააბალანსოს რა არის იდეალური და რა რეალურად შესაძლებელი;
- მოსწავლეების აქტიური და გააზრებული მონაწილეობა და ოჯახის ჩართულობა ძალზედ მნიშვნელოვანია;
- დახმარებას აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს;
- თემზე დაფუძნებული ინსტრუქციების გამოცდილებას გააჩნია დიდი გავლენა სწავლაზე;
- გარდამავალი პერიოდის დაგეგმვის პროცესი უნდა განიხილებოდეს როგორც შესაძლებლობების განვითარების აქტიობა;
- გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა საჭიროა ყველა მოსწავლისთვის.

გარდამავალი პერიოდის დაგეგმვა კრიტიკულია გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეების წარმატების თვალსაზრისით, ამიტომაც სკოლები აუცილებლად უნდა ითვალისწინებდნენ თავიანთი კურსდამთავრებულების ცხოვრების ანალიზს.

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთათვის სასწავლო გეგმების შემუშავებისა და ინსტრუქტირების სტრატეგიები

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა განათლება ინკლუზიურ ქსელში წარმოადგენს უნიკალურ შესაძლებლობას როგორც აღნიშნული მოსწავლეების, ისე მათი თანატოლებისა და მასწავლებლებისათვის. მასწავლებლებმა უპირობოდ უნდა მიაწოდონ მათ ხარისხიანი პროგრამები, რის გარეშეც, როგორც ეს ადრეც იყო აღნიშნული, მოსალოდნელია, რომ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოზარდებმა ვერ შეძლონ იცხოვრონ იმ ცხოვრებით, რომელსაც ყველა ადამიანი ესწრაფვის. ეს ფაქტი ყოველთვის უნდა იქნას გათვალისწინებული, როცა სპეციალური განათლების პროფესიონალთა მიერ ხდება სასწავლო გეგმის შემუშავება და ინსტრუქტირების დაგეგმვა. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირებისათვის განსაზღვრულია ოთხი პირველადი ამოცანა: პროდუქტიული დასაქმება, დამოუკიდებლობა და ეკონომიკური თვითმყოფადობა, ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ფლობა და

შესაძლებლობა, სკოლისა და საზოგადოების ცხოვრებაში წარმატებით მონაწილეობა (პატონი, 1996).



აღნიშნული ამოცანების განხორციელებით უნდა იყოს ნაკარნახევი ყველა სხვა გრძელვადიანი გეგმა ამგვარი სტუდენტებისათვის საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლებმა ისე დაგეგმონ პროგრამები, რომ მათ მიერ შემუშავებული სასწავლო გეგმები და ინსტრუქტაჟი ხელს უწყობდეს ზემოთ მოცემული პრიორიტეტული მიზნების განხორციელებას.

დასაქმებასთან მიმართებაში, მასწავლებლებმა ხელი უნდა შეუწყონ დასაქმების (კარიერის) ცნობიერების განვითარებას მოსწავლეებში და დაანახონ მათ, თუ რა მნიშვნელობა აქვს აკადემიურ ცოდნას აღნიშნული პერსპექტივის განხორციელებისას. შემდგომ დონეზე ეს ძალისხმევა უნდა მოიცავდეს ტრეინინგს პროფესიული ცოდნის დასაუფლებლად ამა თუ იმ სფეროში.ამგვა-

რი დამოკიდებულება უნდა წარმოადგენდეს უმთავრეს მიზანს იმ პედაგოგთათვის, რომლებიც პროფესიულ განათლებას აძლევენ აღნიშნული კატეგორიის მოსწავლეებს.

დამოუკიდებლობისა და ეკონომიკური თვითმყოფადობის მისაღწევად საჭიროა, მოზარდები აღიჭურვონ პასუხისმგებლობის გრძნობით იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა წარმატებული ინკლუზია დამოკიდებულია მასწავლებელთა და თანატოლთა უნარზე, ასევე, სასწავლო გეგმაზე, რომელიც ხელს უწყობს სტიმულირებისათვის საჭირო ატმოსფეროს შექმნას. სტიმულირება მოიცავს ეფექტიანობას, პიროვნული კონტროლის გრძნობას, თვითშეფასებას, საზოგადოებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების შეგნებას. სტიმულირება არ არის ინკლუზიური კლასის ავტომატური პროდუქტი. თუმცა, როცა სტუდენტები თავს გრძნობენ ჯგუფის წევრად და პრაქტიკულად ახორციელებენ საკუთარ უფლებას, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილება, ეს მნიშვნელოვნად ზრდის მათ მზაობას ცხოვრებისეული პრობლემების გადასაჭრელად და წარმატებების მისაღწევად. სტიმულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია თვითგანსაზღვრა, რაც გულისხმობს საჭირო შეხედულებებისა და უნარების ქონას, რისი საშუალებითაც პიროვნებას საშუალება ეძლევა, სხვათა ზეგავლენისა და ჩარევის გარეშე გააკეთოს არჩევანი და მიიღოს გადაწყვეტილებები საკუთარი ცხოვრების შესახებ.

მესამე ძირითად ამოცანას წარმოადგენს **ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების ჩართვა პროგრამაში**, რაც მეტად მნიშვნელოვანია ყოველდღიური აქტივობისათვის აუცილებელი კომპეტენციის გასავითარებლად. ეს სფერო მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) საზოგადოებრივი რესურსების გამოყენებას, საოჯახო და სამეურნეო საქმიანობას, სოციალურ და ადამიანთა შორის ურთიერთობის უნარს, ზრუნვას ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, თავისუფალი დროის გამოყენებას, მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საკანონმდებლო და კულტურული სტანდარტების თანახმად. ინკლუზიისადმი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მიდგომის შემთხვევაში, როგორც ზოგადი, ისე სპეციალური განათლების მესვეურთათვის მეტად მნიშვნელოვანი ამოცანაა ცხოვრებისეული უნარ-ჩვევების განვითარებასა და გარდამავალ პერიოდზე ორიენტირებული სწავლების ჩართვა ზოგადი განათლების პროგრამაში,

დანყებული ელემენტარული სასკოლო დონიდან სწავლების მთელი პერიოდის განმავლობაში.

მთავარი საზრუნავი სკოლასა და საზოგადოებასთან ინკლუზიონსა და ცხოვრებასთან შეგუების საკითხებში სოციალური უნარჩვევების დაუფლებაა. ამ თვალსაზრისით მეტად სასარგებლოა სარგენტის (1991 წ.) მიერ შემუშავებული ნიმუში, რომელიც მოიცავს სამ პროცესს: სოციალური ეფექტის განვითარებას (საკუთარი თავის წარდგენა სხვათა წინაშე), სოციალურ უნარ-ჩვევებს (სპეციფიური ქცევები, რომელიც უმთავრესია ურთიერთობისას), და სოციალურ კოგნიციას (გააზრების შესაძლებლობა და უნარი, ადექვატური რეაგირება მოახდინოს სხვადასხვაგვარ სოციალურ სიტუაციაზე).

მეთხე ამოცანა საზოგადოებაში წარმატებული ჩართულობა მოსწავლისგან მოითხოვს ინკლუზიური გარემოს გამოცდილებას. ზოგადსაგანმანათლებლო კლასის ფარგლებში გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეებს შეუძლიათ ისწავლონ, როგორ მიიღონ მონაწილეობა სასკოლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში; მართალია, ინკლუზია სკოლაში ზოგიერთის მიერ აღიქმება როგორც საბოლოო მიზანი, თუმცაღა უმჯობესია, იგი განხილული იქნას როგორც საშუალება, რომელსაც შეუძლია აღჭურვოს მოსწავლე ინსტრუქციითა და ტრენინგით, რაც ხელს შეუწყობს მას, წარმატებას მიაღწიოს ინკლუზიურ საზოგადოებრივ აქტივობებში. აღნიშნული მიზნის მისაღწევად გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ინდივიდები არსებული შესაძლებლობის ფარგლებში მაქსიმალურად უნდა იქნენ ჩართული ისეთ სერვისებში, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, ისწავლონ და სათანადოდ მოემზადონ ზრდასულობისათვის.


ზოგადი მოსაზრებები ინკლუზიის შესახებ

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა ინკლუზიისათვის ზოგადსაგანმანათლებლო კლასში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სათანადო მხარდაჭერის აღმოჩენას, რაც მოიცავს ინდივიდუალურ მხარდაჭერას, ბუნებრივ მხარდაჭერას (მშობლები, მეგობრები), დამხმარე სერვისებსა და ტექნიკურ მხარდაჭერას. აღნიშნული მოდელი გულისხმობს, რომ ინდივიდი უნდა რჩებოდეს ინკლუზიურ კლასში და მაქსიმალურ ხელშეწყობას იღებდეს, რათა წარმატებით გაართვას თავი სწავლას.

პრობლემა შეიქმნა დამხმარე მოდელის განხორციელებისას, როცა შემჩნეული იქნა ტენდენცია, მოსწავლე უბრალოდ მოეთავსებინათ ინკლუზიურ კლასში, ნაცვლად იმისა, რომ მისი იქ მოთავსების საშუალებით განეხორციელებინათ დასახული მიზანი მხარდაჭერის საშუალებით განათლების შესახებ.

ინკლუზია უნდა მოიცავდეს განათლებას მხარდაჭერის საშუალებით და ემსახურებოდეს გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირების მოზიდვასა და ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო კლასში. სტუდენტთა უბრალო მოთავსება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, სოციალური ინტეგრაციის, აქტიური მონაწილეობისა და ჩართულობის გარეშე, არ წარმოადგენს ინკლუზიის არსს და მეტად საეჭვოა, ამან პოზიტიური შედეგი მისცეს სტუდენტს. გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ზრდასრულნი, რომლებიც ცხოვრობენ საზოგადოებაში, მაგრამ არ მონაწილეობენ საზოგადოებრივ საქმიანობაში, არ განიცდიან ჭეშმარიტ ინკლუზიას.

სქემა 1-ში წარმოდგენილი მოდელი, ასახავს იმ ფაქტს, რომ სასწავლო გეგმის შედგენისას აუცილებელია მიღებულ იქნას მთელი რიგი უმთავრესი გადაწყვეტილებები, რათა ზოგადსაგანმანათლებლო კლასში მოსწავლეს მიეცეს საშუალება, მიაღწიოს წარმატებას. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებას, პროგრამის ადაპტაციას, პროგრამის გაფართოებას სტრატეგიული ტრენინგის საშუალებით და ალტერნატიული პროგრამის შემოტანას, რომელიც უფრო მეტადაა ორიენტირებული ფუნქციონალურ დატვირთვაზე, რაც ხშირ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროგრამებში.



სქემა 1:
 ზოგად სასწავლო გეგმაში მონაწილეობის შესაძლებლობის მოდელი

დასკვნა

გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების დროს სპეციალური და ზოგადი განათლების პედაგოგებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს მოსწავლეები საჭიროებენ გასაგებ და ვრცელ კურიკულუმს მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ეფექტიანი სასწავლო გეგმები სწავლების პროცესის გაადვილების მიზნით შეიცავს შესაბამის აკადემიურ ინსტრუქციებს. კურიკულუმი არ უნდა ატარებდეს მხოლოდ აკადემიური ორიენტაციის ხასიათს, არამედ უნდა შეიცავდეს სოციალური და ცხოვრებისეული უნარებისა და გარდამავალ პერიოდში საჭირო უნარების განვითარების ხერხებს, რათა მოსწავლეებს მისცეს არა მარტო ზოგადი განათლება, არამედ ჩაუნერგოს მათ საზოგადოებაში ინკლუზიის უნარი.

სასწავლო გეგმის შერჩევისას პედაგოგმა უნდა შეაფასოს კლასის ზოგადი სწავლების უნარი და მიუსადაგოს კურიკულუმი გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეების საჭიროებებს. საბოლოო მიზანს წარმოადგენს არა სკოლაში ინკლუზია, არამედ ინკლუზია საზოგადოებაში ან „ცხოვრებაში;“ ის სასწავლო გეგმა, რომელიც გათვლილია ამ მიზნის მისაღწევად ითვლება წარმატებულად. მოსწავლეების პროგრამების ეფექტიანობის შეფასების საკვანძო შეკითხვაა, *რისთვის არის ეს პროგრამა ეფექტიანი?* რას აძლევს სკოლა მოსწავლეებს (კესიდი და სტივტონი, 1959)? გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე მოსწავლეთა ინკლუზიის გამომწვევა მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ სასწავლო გეგმა მათ მომავლისათვის მოამზადებს.

— ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლება, სახელმძღვანელო სტრატეგიები და პრაქტიკა (2006)

წინამდებარე ანგარიში, ანუ მისი შემოკლებული ვერსია ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისათვის. ნებადართულია მისიმთლიანი ან ნაწილობრივი გამოცემა. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშის გამოქვეყნებისთვის საჭირო არ არის სპეციალუ-

რი ნებართვა, აუცილებელია შემდეგი ციტატის ჩართვა: აშშ-ს განათლების დეპარტამენტი, სპეციალური განათლებისა და სარეაბილიტაციო სამსახურების განყოფილება, სპეციალური განათლების პროგრამების სამსახური, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების სწავლება: სახელმძღვანელო სტრატეგიები და პრაქტიკა. ვაშინგტონი, D.C., 2006.

ანგარიშის სრული ვერსიის შესაკვთად


გაგზავნეთ თქვენი მოთხოვნა შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
edpubs@inet.ed.gov

შეუკვეთეთ ინტერნეტით შემდეგ მისამართზე:
www.edpubs.org/webstore/Content/search.asp.

ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია ამერიკის შეერთებული შტატების განათლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე:
www.ed.gov/about/offices/list/osers/osep

შესავალი

უყურადღებობა, ჰიპერაქტიულობა და იმპულსურობა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის (ADHD-ის) ძირითადი სიმპტომებია. ბავშვის აკადემიური მოსწრება ხშირად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას ყურადღების მინიმალური მონყვევით შეასრულოს დავალებები და გაამართლოს მასწავლებლისა და კლასის მოლოდინები. ამგვარი უნარ-ჩვევები საშუალებას აძლევს მოსწავლეს მიიღოს საჭირო ინფორმაცია, შეასრულოს დავალებები და მონაწილეობა მიიღოს საკლასო აქტივობებსა და დისკუსიებში (ფორნესი და კავალე, 2001). როდესაც ბავშვი ამჟღავნებს ყურადღების დეფიციტს, როდესაც შეიმჩნევა ჰიპერაქტივობის სინდრომთან დაკავშირებული ქცევა, ამას შეიძლება პრობლემები აკადემიური მოსწრების მხრივაც მოჰყვეს. გარდა ამისა, ბავშვს, შესაბამისი ინსტრუქციული მეთოდოლოგიებისა და



ინტერვენციების გარეშე ურთიერთობა შესაძლოა თანატოლებთანაც გაუჭირდეს.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომით უფრო ხშირად ბიჭები ავადდებიან ვიდრე გოგონები. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ვაუებში მაჩვენებელი 4-9-ჯერ უფრო მეტია, ვიდრე გოგონებში (ბენდერი, 1997; ჰალოუელი, 1994; რიფი, 1997). წლების განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ეს დარღვევა სამი წლის ასაკში მჟღავნდებოდა და ასაკის მატებასთან ერთად უჩინარდებოდა. ახლა კი დადგენილია, რომ ეს მდგომარეობა მხოლოდ ადრეული ასაკით არ შემოიფარგლება. უკვე ცნობილია, რომ სიმპტომები ასაკის მატებასთან ერთად შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ბავშვების მნიშვნელოვანი ნაწილი მათ თავს ვერ აღწევს (მანუცა, კლაინი, ბლესერი, მელიო და ლაპადულა, 1998).

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომისათვის დამახასიათებელი ქცევები ასაკთან ერთად შესაძლებელია შეიცვალოს. მაგალითად, სკოლამდელი ასაკის ბავშვი ამჟღავნებს მოტორულ ჰიპერაქტივობას – სულ დარბის, ცოცავს ან ხშირად ცვლის ერთ აქტივობას მეორეთი. უფრო მოზრდილი ასაკის ბავშვმა შესაძლებელია გამოამჟღავნოს მოუსვენრობა, მაგალითად ითამაშოს სკამითა და მაგიდით. ისინი ხშირად ვერ ახერხებენ საშინაო დავალების ბოლომდე შესრულებას ან საერთოდ უყურადღებოდ ეკიდებიან დავალებას. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოზარდები ხშირად თავშეკავებულები და ნაკლებად კომუნიკაბელურები არიან, ხშირად მოქმედებენ იმპულსურად და სპონტანურად, ისე რომ არ ითვალისწინებენ გეგმებს ან აუცილებელ დავალებებს.

ამერიკელ პედიატრთა ასოციაციის (APA) (1994) გონებრივი დარღვევების დიაგნოსტიკური სტატისტიკის სახელმძღვანელოს მეოთხე გამოცემის მიხედვით (DSM-IV), შესაძლებელია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოსტიკა ქცევების მიხედვით ანუ ამ მდგომარეობაში მყოფი ინდივიდები ამჟღავნებენ ქცევების შემდეგ კომბინაციას:

- ხელებით ან ფეხებით თამაში, ცმუკვა სკამზე (ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოზარდები გამოირჩევიან მოუსვენრობით);
- უჭირთ ერთ ადგილას ჯდომა, როდესაც ეს სავალდებულოა;
- უჭირთ ყურადღების კონცენტრაცია და საკუთარი რიგის ლოდინი პასუხის გაცემის, თამაშის ან ჯგუფური აქტივობების დროს;
- შეკითხვის დასრულებამდე ნაჩქარევად ცდილობენ პასუხის გაცემას;
- უჭირთ მითითებებისა და ორგანიზებული დავალებების შესრულება;
- გადადიან ერთი დაუმთავრებელი აქტივობიდან მეორეზე;
- უჭირთ ყურადღების შენარჩუნება დეტალებზე და დაუდევრობით გამოწვეული შეცდომების თავიდან აცილება;
- კარგავენ დავალებისა და აქტივობის შესრულებისთვის საჭირო საგნებს;

- უჭირთ მოსმენა;
- ხშირად ეცვლებათ განწყობილება;
- უჭირთ ემოციებისა და სურვილების მოთოკვა.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებს აღენიშნებათ ამ ქცევათა კომბინაცია და როგორც წესი ამჟღავნებენ ქცევას, რომელიც ორ ძირითად კატეგორიად იყოფა: ყურადღების სუსტი კონცენტრაცია და ჰიპერაქტივობა-იმპულსურობა. DSM-IV-ში აღწერილია ამ სინდრომის სამი სტერეოტიპი: უპირატესად უყურადღებო ტიპი, უპირატესად იმპულსური ტიპი და კომბინირებული ტიპი (ამერიკის პედიატრთა ასოციაცია, ციტირებულია ბერკლიში, 1997). მაგალითად, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვები, რომლებსაც არ აღენიშნებათ ჰიპერაქტივობა და იმპულსურობა, არ ახორცილებენ ექსესიურ აქტივობებს ან მოუსვენრობას, მაგრამ ისინი ხშირად იყურებიან სივრცეში, აქვთ მიდრეკილება ძილისადმი ან დაღლილებივით არიან, ხშირად ბოლომდე არ ასრულებენ საშინაო დავალებას. ამ ქცევების ყველა ტიპი ყველა სიტუაციაში არ მჟღავნდება. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვები ხშირად ახდენენ კონცენტრირებას მკაცრი კონტროლის ქვეშ. კონცენტრაციის უნარი ხშირად უფრო ძლიერია ახალ სიტუაციებში ან პირისპირი კონტაქტის დროს. საერთოდ ბავშვები ხშირად ამჟღავნებენ ამ ქცევის ზოგ ნიშანს, მაგრამ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებში ეს სიმპტომები უფრო ხშირად და უფრო მწვავე ფორმით გვხვდება, ვიდრე მათ სხვა თანატოლებში.


მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ბავშვს აღენიშნება მხოლოდ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი, ზოგს შესაძლებელია დამატებითი აკადემიური ან ქცევითი სიმპტომებიც ახასიათებდეს. მაგალითად, ცნობილია, რომ ამ სინდრომის მქონე ბავშვების ერთი მეთოხედიდან ერთ მესამედს ასევე აღენიშნება სწავლასთან დაკავშირებული უნარების შეზღუდვა (ფორნესი და კავალე, 2001; რობელია, 1997; შილერი, 1996) ისეთ ჯგუფებში, სადაც თანაავადობის მაჩვენებელი 7-დან 92 პროცენტამდე მერყეობს (დეპოლი და სოტნერი, 1994; ოსმანი, 2000). ანალოგიურად, სინდრომის მქონე ბავშვებს ასევე აღენიშნებათ თანაარსებული ფსიქიკური

დარღვევები და მაჩვენებელიც გაცილებით უფრო მაღალია. კვლევებმა დაადასტურა, რომ ქცევის ან წინააღმდეგობრივი ხასიათის მაჩვენებლები მერყეობს 43-დან 93%-მდე, ხოლო შფოთვის ან განწყობის დარღვევები – 13-დან 51%-მდე (ბერტი, კრუგერი, მაკგიუ და იაკონო, 2001; ფორნესი, კავალე და სან მიგელი, 1998; იანსენი, მარტინი და კანტველი, 1997; იენსენი, შერვეტი, ზენაკისი და რიხტერსი, 1993). ოფიციალური სტატისტიკა სპეციალური განათლების მიმღები ბავშვების შესახებ სხვა ამოცნობად უნარშეზღუდულობასთან ერთად, ამ დამატებითი დაავადების არსებობასაც ადასტურებს. ემოციური ლაბილობის მქონე 6-13 წლამდე ბავშვების მშობლების 65 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ შვილებს ასევე აღენიშნებათ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი. ეს მაჩვენებელი 28 პროცენტს უტოლდება ათვისების პრობლემების მქონე ბავშვების შემთხვევაში (ვაგნერი და ბლეკორბი, 2002).

საერთო სტრატეგია და წარმატებული ინსტრუქციები ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის

სტრატეგიებისა და პრაქტიკების სახელმძღვანელო წარმატებით რომ ავირჩიოთ, აუცილებელია კარგად ვიცოდეთ ბავშვის თვისებები უნარშეზღუდულობისა და დიაგნოზების ჩათვლით. ეს ცოდნა დაგვეხმარება ისეთი წარმატებული პრაქტიკების შეფასებასა და განხორციელებაში, რომლებიც ხშირად ამ სინდრომის არმქონე მოსწავლეებთანაც ეფექტურია.

მასწავლებლები, რომლებიც წარმატებით მუშაობენ ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებთან, იყენებენ სამგანზომილებიან სტრატეგიას. მუშაობის პროცესი თითოეული ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრით იწყება. მაგალითად, მასწავლებელი ადგენს როგორ, როდის და რატომ არის ბავშვი უყურადღებო, იმპულსური და ჰიპერაქტიური. ამის შემდეგ, მასწავლებელი ირჩევს სხვადასხვა საგანმანათლებლო პრაქტიკებს, რაც დაკავშირებულია აკადემიურ მითითებებთან, ქცევით ინტერვენციებთან და კლასში გამოყენებად ისეთ მასალებთან, რომლებიც პასუხობს ბავშვის საჭიროებებს. და ბოლოს, მასწავლებელი ამ პრაქტიკებს აერთიანებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმასთან



და ახდენს მათ ინტეგრაციას სხვა ბავშვებისთვის განკუთვნილ საკლასო აქტივობებში. დასკვნის სახით, ქვემოთ მოცემულია სამგანზომილებიანი სტრატეგია, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი:

- ბავშვის საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების შეფასება. შეაფასეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე თითოეული ბავშვის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებები და ძლიერი მხარეები. სხვადასხვა სპეციალისტებით დაკომპლექსებულ ჯგუფთან და ბავშვის მშობლებთან ერთად განიხილეთ ბავშვის, როგორც აკა-

დემიური, ასევე ქცევითი საჭიროებები. ამ პროცესში გამოიყენეთ სადიაგნოსტიკო საშუალებები და დაკვირვებები საკლასო აქტივობების დროს. შეფასების ისეთი ინსტრუმენტები, როგორიცაა სასწავლო ინვენტარის გამოყენება შესაძლებლობას მოგცემთ განსაზღვროთ ბავშვის ძლიერი მხარეები და მითითებები დააფუძნოთ მის შესაძლებლობებზე. შეფასებაში უნდა გაითვალისწინოთ ის კონტექსტი და გარემო, სადაც თავს იჩენს ხოლმე ქცევითი პრობლემები.

- შეარჩიეთ მართებული საინსტრუქციო პრაქტიკები. განსაზღვრეთ თუ რომელი საინსტრუქციო პრაქტიკა შეესაბამება ყველაზე უკეთ ბავშვის აკადემიურ და ქცევით საჭიროებებს. შეარჩიეთ ის პრაქტიკა, რომელიც შეესაბამება გარემოს, ასაკს და ამავე დროს საინტერესოა ბავშვისთვის.
- მოახდინეთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში შესაბამისი პრაქტიკის ინტეგრირება ბავშვებისათვის, რომლებიც სპეციალური განათლების სერვისებით სარგებლობენ. სხვა განმანათლებლებსა და მშობლებთან ერთად, საჭიროა შეიქმნას განათლების ინდივიდუალური პროგრამა, რომელშიც აისახება ყოველწლიური მიზნები და განათლებასთან დაკავშირებული სხვა სპეციალური სერვისები, დამატებითი დამხმარე სერვისებსა და ამ მიზნების მიღწევისთვის საჭირო სერვისებთან ერთად. დაგეგმეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე და სხვა ბავშვებისთვის განკუთვნილი საკლასო აქტივობების ინტეგრაცია.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებში, როგორც წესი, ორ ერთნაირთს ვერ მოძებნით. ამიტომ მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ არ არსებობს განათლების პროგრამა, პრაქტიკა ან კონტექსტი, რომელიც ყველა ბავშვისთვის თანაბრად ეფექტური იქნება.

როგორ განვახორციელოთ სტრატეგია: ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი წარმატებული პროგრამების სამი კომპონენტი

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის შემუშავებული წარმატებული პროგრამები აერთიანებს შემდეგ სამ კომპონენტს:

- აკადემიური ინსტრუქციები.
- ქცევითი ინტერვენციები.
- საკლასო ინვენტარი და გარემო.

წინამდებარე დოკუმენტის შემდეგ ნაწილში აღწერილია თუ როგორ ხდება პროგრამის ინტეგრირება ზემოთ მოცემული სამი კომპონენტის გამოყენებით. დოკუმენტი ასევე გვთავაზობს იმ პრაქტიკებს, რომლებიც დახმარებას გაუწევენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებს საკლასო აქტივობებისას. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ შემოთავაზებულ ტექნიკებს დამატებითი სარგებლის მოტანა შეუძლიათ – ისინი ხელს უწყობენ სხვა ბავშვების სწავლის დონეს. ამას გარდა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ეს ტექნიკები ძირითადად დაწყებითი კლასების ბავშვებისთვის გამოიყენება, შემდეგი პრაქტიკები თავისუფლად შეიძლება იქნეს გამოყენებული უფროსი ასაკის მოსწავლეებშიც.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის განკუთვნილი პირველი ყველაზე უფექტური კომპონენტი არის აკადემიური ინსტრუქციები. ეფექტიანი პრინციპების გამოყენებით, მასწავლებლებს ყოველი გაკვეთილის ახსნის, წარმართვის ან დასრულებისას შეუძლიათ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებისთვის წარმატების მიღწევაში დახმარება. შემდეგი ეტაპი ანუ დისკუსია და მომდევნო ტექნიკები იგივე პრინციპს ეყრდნობა. კონკრეტული საგნისთვის საჭირო სტრატეგიები ასევე აქტუალურია მომდევნო განყოფილებაში „ინსტრუქციური პრაქტიკის ინდივიდუალიზირება“.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეები ყველაზე უკეთ ყურადღებით სტრუქტურირებულ

იმ აკადემიურ გაკვეთილებზე სწავლობენ, სადაც მასწავლებელი მიმდინარე გაკვეთილის მასალას წინა გაკვეთილებისას მიღებული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის კონტექსტში ათავსებს. წარმატებული მასწავლებლები გადასინჯავენ ხოლმე საკუთარ მოლოდინებს იმასთან დაკავშირებით, თუ რას შეისწავლიან მოსწავლეები და როგორ უნდა მოიქცნენ ისინი გაკვეთილის დროს. არსებობს მთელი რიგი სასწავლო პრაქტიკებისა, რომელთა ეფექტურობა ამ პროცესში დადასტურებულია:

- წინასწარ გააცანით მოსწავლეებს დღის გეგმა. მოამზადეთ ისინი გაკვეთილისთვის – მოკლედ აღწერეთ სხვადასხვა დაგეგმილი აქტივობების თანამიმდევრობა. ასხენით, მაგალითად, რომ განვილილი მასალის გამეორებას მოჰყვება ახალი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვს როგორც ინდივიდუალურ, ასევე ჯგუფურ მუშაობას;
- გადახედეთ განვილილ მასალას. მიმოიხილეთ ინფორმაცია წინა გაკვეთილების დროს გავლილი თემების შესახებ. მაგალითად, შეახსენეთ ბავშვებს რაზე იყო ყურადღება გამახვილებული გუშინდელ გაკვეთილზე. შეეხეთ სხვადასხვა პრობლემას მიმდინარე გაკვეთილის აღწერამდე.
- ჩამოაყალიბეთ მოლოდინები. დააფიქსირეთ რის ათვისებას ელოდებით მოსწავლეებისგან ამ გაკვეთილზე. მაგალითად, აუხსენით, რომ მეტყველების ხელოვნების გაკვეთილი გულისხმობს მოთხრობის კითხვას და მასში ახალი სიტყვების განსაზღვრას;
- განსაზღვრეთ ქცევითი მოლოდინები. აღწერეთ თუ როგორ ქცევას მოელოთ მოსწავლეებისგან გაკვეთილის მიმდინარეობის დროს. მაგალითად, უთხარით ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ დაბალ ხმაზე გაესაუბონ გვერდით მჯდომ თანაკლასელს დავალების შესრულებისას ან ასწიონ ხელი თქვენი ყურადღების მისაპყრობად;
- განსაზღვრეთ საჭირო მასალები. უთხარით მოსწავლეებს რა ინვენტარი დასჭირდებათ მათ გაკვეთილზე. ნუ მიანდობთ მათ ეს თავად განსაზღვრონ. მაგალითად, დააკონკრეტეთ, რომ ბავშვებს დასჭირდებათ რვეულები და ფანქრები ან ფლომასტერები, მაკრატელი და ფერადი ფურცლები;

- ახსენით დამატებითი რესურსები. უთხარით ბავშვებს როგორ მიიღონ დახმარება დავალების შესრულებისას, მაგალითად, მიუთითეთ მათ კონკრეტული გვერდი სახელმძღვანელოში, რაც დაეხმარება მათ დავალების შესრულებაში;
- გაამარტივეთ მითითებები, არჩევანი და განრიგი. რაც უფრო მარტივი მოლოდინები მიენოდება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეს, მით უფრო იოლად და დროულად დასძლევს ის დავალებას;

გაკვეთილის ჩატარება

გაკვეთილი უფრო პროდუქტული რომ იყოს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის, მასწავლებელი პერიოდულად ამოწმებს, თუ როგორ გაიგო მოსწავლემ მასალა, ცდილობს მისგან სწორი პასუხი მიიღოს, სანამ სხვა მოსწავლეების გამოკითხვაზე გადავა. მასწავლებელმა უნდა გამოარკვიოს, ხომ არ სჭირდება რომელიმე მოსწავლეს დამატებითი დახმარება. მასწავლებლებს უნდა ახსოვდეთ, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს ერთი გაკვეთილიდან მეორეზე ან ერთი საგნიდან მეორეზე გადასვლა განსაკუთრებით უჭირთ. ბავშვების ის კატეგორია, რომელიც გადასასვლელად მზად არის, სავარაუდოდ უკეთ რეაგირებს და დავალებებსაც უკეთ მიყვება. ეფექტური გაკვეთილისთვის, მასწავლებელს დაეხმარება ქვემოთ მოყვანილი სტრატეგიები:

- **იყავით პროგნოზირებადი.** სტრუქტურა და თანმიმდევრულობა ძალიან მნიშვნელოვანია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებისთვის. მათი დიდი ნაწილი ვერ ახერხებს ცვლილებებთან გამკლავებას. ბავშვების ამ კატეგორიისთვის ყველაზე ეფექტურია მინიმალური წესები და ალტერნატივები. მათთვის მნიშვნელოვანია იცოდნენ რას მოელოან მათგან და გაცნობიერებული უნდა ქონდეთ მოლოდინებისადმი დაუმორჩილებლობის შედეგები;
- **მხარი დაუჭირეთ ბავშვების მონაწილეობას საკლასო აქტივობებში.** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის

- სინდრომის მქონე მოსწავლეებს სხვებისგან შეუმჩნეველად ესროლეთ ისეთი რეპლიკები, რომლიც დაეხმარება მათ შეინარჩუნონ კონცენტრაცია და ვალდებუბზე. გამოძახებამდე აცნობეთ მათ ამის შესახებ. ნუ გაამახვილებთ ყურადღებას იმ განსხვავებებზე, რომლებიც არსებობს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებსა და მათ თანაკლასელებს შორის. დაუშვებელია სარკაზმი და კრიტიციზმი ბავშვების ამ კატეგორიის მიმართ;
- **გამოიყენეთ აუდიოვიზუალური მასალები.** აკადემიური გაკვეთილის ასახსნელად გამოიყენეთ სხვადასხვა აუდიოვიზუალური მასალები და პროექტორი იმ პრობლემის გადაჭრის საილუსტრაციოდ. მოსწავლეებს შეუძლიათ, იმუშაონ პრობლემაზე სამუშაო მაგიდასთან, ხოლო თქვენ – პროექტორთან;
 - **შეამონმეთ მოსწავლეთა მოსწრება.** ინდივიდუალურად გამოკითხეთ მოსწავლეები, რათა შეამონმოთ რამდენად დაეუფლნენ ისინი გაკვეთილს. მაგალითად, შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეს იმუშაოს სამუშაო მაგიდასთან, რათა დაგანახოთ, თუ როგორ მივიდა ის ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრამდე ან სთხოვოთ მოსწავლეს საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს მთავარი პერსონაჟის ემოციები მოთხრობის ფინალში;
 - **დასვით გამოსაცდელი კითხვები.** შეეცადეთ მიიღოთ მოსწავლისგან სწორი პასუხი, ხოლო მანამდე მიეცით მას საკმარისი დრო შეკითხვაზე პასუხის მოსაფიქრებლად. დაითვალეთ სულ მცირე თხუთმეტამდე, სანამ იტყოდეთ პასუხს ან გადახვიდოდეთ სხვა მოსწავლეზე. დასვით შეკითხვები იმგვარად, რომ მოსწავლეებს მიეცეთ საკუთარი ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობა;
 - **მუდმივად შეაფასეთ მოსწავლეები.** გამოავლინეთ ის მოსწავლეები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. თვალყურით ადევნეთ ნიშნებს, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ მოსწავლემ სათანადოდ ვერ გაიგო ახსნილი მასალა. ეს ნიშნები შეიძლება იყოს თვალის გაშტერება ან იმედგაცრუების ვერბალური მიმანიშნებლები. ამ მოსწავლეებისთვის კიდევ ერთხელ ახსენით მასალა ან სთხოვეთ მათ რომელიმე

თანაკლასელს შეასრულოს თანასწორ-განმანათლებელის როლი გაკვეთილზე;

- **დაეხმარეთ მოსწავლეებს თავადვე გამოასწორონ საკუთარი შეცდომები.** აღწერეთ როგორ შეუძლიათ მოსწავლეებს გამოავლინონ და გამოასწორონ საკუთარი შეცდომები. მაგალითად, შეახსენეთ მოსწავლეებს, რომ მათ უნდა გადაამოწმონ გამოთვლები მათემატიკის გაკვეთილის დროს. გაუმეორეთ მათ გადამოწმების გზები, შეახსენეთ მათ განსაკუთრებით რთული მართლწერის წესები და ასწავლეთ მათ იოლი შეცდომების თავიდან აცილება;
- **დაეხმარეთ მოსწავლეებს ფოკუსირებაში.** შეახსენეთ მოსწავლეებს განაგრძონ მუშაობა და ყურადღება გაამახვილონ დავალებაზე. მაგალითად, შეგიძლიათ მისცეთ დამატებითი მითითებები ან მიანოდოთ სწავლის მეთოდი. ამ პრაქტიკის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, ისე მთელი კლასისთვის;
- **ყურადღება მიაქციეთ მითითებებს.** ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების მასწავლებელმა საჭიროა უხელმძღვანელოს მათ დამატებითი მითითებების მეშვეობით;
- **ზეპირი მითითებები.** მთლიანი კლასისთვის მითითებების მიცემის შემდეგ, დამატებითი ინსტრუქციები მიეცით ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს. მაგალითად, ჰკითხეთ მოსწავლეს გაიგო თუ არა მითითება და გაიმეორეთ ეს მითითება ერთად.
- **წერილობითი მითითებები.** მიეცით მოსწავლეებს წერილობითი მითითებები. მაგალითად, დაფაზე დაწერეთ შესასრულებელი დავალების გვერდის ნომერი და უთხარით ბავშვებს, რომ მათ შეუძლიათ გადაამოწმონ გვერდი, თუ დაავინწყდათ;
- **შეამცირეთ ხმაურის დონე.** გააკონტროლეთ ხმაურის დონე საკლასო ოთახში. საჭიროების შემთხვევაში გააკეთეთ მაკორექტირებელი კომენტარები. იმ შემთხვევაში თუ ხმაური საკლასო ოთახში აღემატება იმ დონეს, რომელიც დასაშვებია გაკვეთილის კონკრეტული ტიპისთვის, შეახსენეთ ყველა

მოსწავლეს ქცევის ის წესები, რომლებიც გაკვეთილის დასაწყისში აცნობეთ;

- **დაყავით სამუშაო მცირე ნაწილებად.** დაყავით დავალებად მცირე და ნაკლებად რთულ დავალებებად. მაგალითად, საშუალება მიეცით მოსწავლეებს გააკეთონ ხუთი მათემატიკური ამოცანა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცით მათ დანარჩენი ხუთი გასაკეთებლად;
- **ხაზი გაუსვით ძირითად საკითხებს.** ხაზი გაუსვით ძირითად სიტყვებს მითითებებსა თუ სამუშაო ფურცლებზე, რათა დაეხმაროთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებს ყურადღების კონცენტრაციაში. მოამზადეთ სამუშაო ფურცლები გაკვეთილის დაწყებამდე ან ხაზი გაუსვით ძირითად სიტყვებს მოსწავლესთან ერთად ინსტრუქციების კითხვის პარალელურად. კითხვის დროს, აჩვენეთ ბავშვს როგორ უნდა განსაზღვროს და გამოყოფს ძირითადი წინადადებები ან ამოაწერინეთ ამგვარი წინადადებები ფურცელზე, სანამ დასკვნას სთხოვდეთ მთელი წიგნის შესახებ. მათემატიკის გაკვეთილებზე უჩვენეთ მოსწავლეებს როგორ უნდა გამოყოფს მნიშვნელოვანი ფაქტები ან მოქმედებები, მაგალითად წინადადებაში „მერის აქვს ორი ვაშლი, ხოლო ჯონს კი სამი“ გახაზეთ „ორი“ და „სამი“;
- **საერთოდ ამოიღეთ ან შეამცირეთ დროში შეზღუდული ტესტების სიხშირე.** დროში შეზღუდულმა ტესტებმა შეიძლება არ მისცენ საშუალება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს გამოავლინონ ცოდნა, რადგან ისინი მეტისმეტად არიან ხოლმე შემფოთებულები დროის დეფიციტით. საშუალება მიეცით ამ სინდრომის მქონე მოსწავლეებს მეტი დრო მოანდომონ ტესტის შესრულებას და „საგამოცდო სტრესის“ თავიდან აცილების მიზნით, აირჩიეთ ისეთი მეთოდები ან საგამოცდო ფორმატი, რაც საშუალებას მისცემს მათ გამოავლინონ საკუთარი ცოდნა;
- **გამოიყენეთ კოოპერაციული სასწავლო სტრატეგიები.** ამუშავეთ მოსწავლეები ერთად მცირე ჯგუფებში, რათა მათ შეძლონ საკუთარი და თანკლასელის ცოდნის მაქ-

სიმალიზაცია. გამოიყენეთ ისეთი სტრატეგიები, რომლის დროსაც, მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს დაფიქრდნენ კონკრეტულ თემაზე, აირჩიონ მენწყვილე, განიხილონ ეს თემა მასთან ერთად და შემდეგ გაუზიარონ კლასს;

- **გამოიყენეთ დამხმარე ტექნოლოგიები.** უკლებლივ ყველა მოსწავლე, რომ არაფერი ვთქვათ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებზე, აუცილებლად მიიღებს დამატებით სარგებელს იმ ტექნოლოგიის გამოყენებისგან (მაგ. კომპუტერები და საპროექციო ეკრანები), რომლებიც მიზნად ისახავს ინსტრუქციების ვიზუალიზაციას და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა.

შემაჯამებელი გაკვეთილები

გამოცდილი მასწავლებლები თავიანთ გაკვეთილებს ასრულებენ გაფრთხილებით გაკვეთილის დასრულების შესახებ, ამონმბევენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლის მიერ შესრულებულ დავალებას და მითითებას აძლევენ მოსწავლეებს მომდევნო აქტივობისათვის მზადების დასაწყებად.

- **წინასწარ გააფრთხილეთ მოსწავლეები:** გააფრთხილეთ მოსწავლეები, რომ გაკვეთილი უნდა დამთავრდეს. ეს გაკვეთით გაკვეთილის დასრულებამდე 5 ან 10 წუთით ადრე (განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება სამაგიდო ან ჯგუფურ სამუშაოს). შესაძლებელია ბავშვებს გაკვეთილის დასაწყისშივე უთხრათ მას რა დრო დაეთმობა;
- **შეამონმეთ დავალებები.** შეუმონმეთ დავალებები მოსწავლეთა ნაწილს მაინც. გადახედეთ რა შეისწავლეს მათ გაკვეთილის განმავლობაში, შეიტყვეთ რამდენად მზად იყო კლასი გაკვეთილისთვის და დაგეგმეთ მომდევნო გაკვეთილი;
- **გადახედეთ მომდევნო გაკვეთილის მასალას.** მითითება მიეცით მოსწავლეებს მომდევნო გაკვეთილისთვის მზადების დაწყების შესახებ. მაგალითად, აუხსენით რომ მათ ჯერ-ჯერობით არ დასჭირდებათ სახელმძღვანელოები. სამაგიეროდ ყველა ერთად უნდა შეიკრიბოს ჯგუფური აქტივობისთვის.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ზოგადი სტრატეგიებისა, ახსნის, ჩატარების და შეჯამებისას, წარმატებული მასწავლებლები ასევე ახდენენ მათი ინსტრუქციული პრაქტიკების ინდივიდუალიზაციას სხვადასხვა აკადემიურ საგნებთან და მოსწავლეების საჭიროებებთან. ეს პრაქტიკა გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეები განსხვავებულად ითვისებენ და ინარჩუნებენ ინფორმაციას – ამ შემთხვევაში ტრადიციული კითხვა და მოსმენა ყოველთვის არ არის ეფექტური. წარმატებული მასწავლებლები პირველ რიგში ახდენენ იმ სფეროების იდენტიფიკაციას, რომლებშიც თითოეული ბავშვი საჭიროებს დამატებით დახმარებას. ამ პროცესში ისინი სპეციალურ სტრატეგიებს იყენებენ, რათა უზურნველყონ თითოეული ბავშვი სტრუქტურირებული შესაძლებლობებით იმ აკადემიური გაკვეთილის მიმოხილვისა და დაუფლებისთვის, რომელიც მანამდე მთელ კლასს აუხსნა მასწავლებელმა.

ეფექტური ქცევითი ინტერვენციების ტექნიკები

წარმატებული მასწავლებლები მთელ რიგ ქცევითი ინტერვენციების ტექნიკებს იყენებენ, რომელთა მიზანია დაეხმარონ მოსწავლეებს გააკონტროლონ საკუთარი ქცევა. ამ ტექნიკებიდან, ალბათ, ყველაზე ეფექტური და მნიშვნელოვანია ადეკვატური ქცევის ვერბალური წამახალისებლები. ვერბალური წახალისების ყველაზე გავრცელებული ფორმაა შექება, რომელსაც მოსწავლე იმსახურებს კონკრეტული აქტივობის დანებისა და დასრულებისთვის და აგრეთვე კონკრეტული სასურველი ქცევისთვის. ისეთი მარტივი ფრაზები, როგორიცაა „ყოჩაღ!“ სტიმულს აძლევს მოსწავლეს მოიქცეს კარგად. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების შემთხვევაში კარგი მასწავლებელი მათ ხშირად აქებს, სანამ ისინი დავალების კეთებას შეუდგებოდნენ. ქვემოთ მოყვანილი სტრატეგიები დაგეხმარებათ სწორად გამოიყენოთ შექება:

- შექებისას განსაზღვრეთ შესაბამისი ქცევა. შეაქეთ მოსწავლე კონკრეტული დადებითი საქციელისთვის. კომენტარი უნდა ეხებოდეს ზუსტად იმას, რაც მოსწავლემ სწორად გააკეთა. იმის ნაცვლად, რომ შეაქეთ მოსწავლე, იმისთვის, რომ მან არ იხმაურა, შეაქეთ იმისათვის, რომ მან უხმაუროდ

- და დროზე დაასრულა მათემატიკის გაკვეთილი;
- **შეაქეთ მოსწავლე დაუყოვნებლივ.** რაც უფრო სწრაფად შეაქებთ მოსწავლეს კარგი საქციელისთვის, მით უფრო სავარაუდოა, რომ ის შემდეგშიც კარგად მოიქცევა;
- **შეცვალეთ ქების გამომხატველი წინადადებების სიტყვიერი შედგენილობა.** მასწავლებლის კომენტარები კარგ ქცევასთან დაკავშირებით უნდა იცვლებოდეს. როდესაც მოსწავლეები ყოველთვის ერთსა და იმავე სიტყვებს ისმენენ, ეს ამცირებს ნახალისების ეფექტურობას;
- **იყავით თანმიმდევრულები და გულწრფელები მოსწავლის შექებისას.** კარგი საქციელი მუდმივად იმსახურებს შექებას. მასწავლებლის მიერ გამოჩენილი თანმიმდევრულობა შესაქებ ქცევასთან დაკავშირებით ძალზე მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ თავიდან აიცილოს დაბნეულობა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებში, ხოლო არათანმიმდევრულობა ნაკლებად ეფექტურს გახდის შექებას.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ყველაზე წარმატებული მასწავლებლები ქცევითი ინტერვენციების სტრატეგიას აგებენ არა დასჯაზე, არამედ შექებაზე. დასჯას მხოლოდ დროებითი და ხანმოკლე შედეგი მოაქვს, მაგრამ იწვიათად ცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას და შეიძლება უფრო გაახშიროს და ინტენსიური გახადოს მოსწავლის უარყოფითი საქციელი. უფრო მეტიც, დასჯა უჩვენებს მოსწავლეებს რა არ უნდა ჩაიდინონ, მაგრამ არ ასწავლის მათ მოიქცნენ ისე, როგორც მათგან მოელიან. პოზიტიური ხაზგასმა ცვლის მოსწავლის დამოკიდებულებას და ქცევას და მას უფრო ხანგრძლივადიანი შედეგები მოაქვს.

გარდა ვერბალური ნახალისებისა, დამტკიცებულია, რომ შემდეგი განზოგადებული ქცევითი ინტერვენციები განსაკუთრებით ეფექტიანად მოქმედებს ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას:

- **სელექციურობა.** ხანდახან ეფექტურია თუ მასწავლებელი მიზანმიმართულად არ მიაქცევს ყურადღებას არასასურველ ქცევას. ეს ტექნიკა განსაკუთრებით კარგად მუშაობს,

როდესაც არასასურველი საქცილი არაგამიზნულ ხასიათს ატარებს და სავარაუდოდ აღარ განმეორდება ან მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებლის და არა თანაკლასელების ყურადღების მიქცევას ან სხვების სწავლის პროცესში ხელშეშლას;

- **ნუ გამოიყენებთ მოუხერხებელ საგნებს.** მასწავლებლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ისეთი საგნები, როგორცაა სათამაშოები, ართობენ ბავშვებს, განსაკუთრებით კი ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს. ამგვარი საგნების ჩამორთმევა განსაკუთრებით ეფექტურია, თუ ჯერ გააფრთხილებთ ბავშვებს გვერდზე გადადონ და ისინი ამ მითითებას ვერ ასრულებენ;
- **უზრუნველყავით ბავშვები დამაშვიდებელი საგნებით.** მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი საგნები და სათამაშოები ყურადღებას აფანტვინებენ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს, არსებობს აგრეთვე ისეთი საგნები, რომლების ხელში ჭერა და მანიპულირება დადებითად მოქმედებს მოსწავლეების ამ კატეგორიაზე;
- **ნება დართეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს დატოვონ საკლასო ოთახი ცოტა ხნით, მაგალითად წიგნის დასაბრუნებლად ბიბლიოთეკაში.** ეს საშუალებას მისცემს მათ დაწყნარდნენ და მეცადინეობას უფრო კონცენტრირებულები დაუბრუნდნენ.
- **აქტივობების წახალისება.** ეს ხდება მაშინ, როდესაც მასწავლებელს სურს წახალისოს მოსწავლეები განახორციელონ მათთვის ნაკლებად სასურველი ქმედებები;
- **დაბრკოლებების გადალახვა.** მასწავლებლებს შეუძლიათ გაამხნეონ მოსწავლეები, მხარი დაუჭირონ მათ და დაეხმარონ, რათა თავიდან ააცილონ დავალებებით გამოწვეული იმედგაცრუება. ამგვარი დახმარება შეიძლება მრავალი ფორმით იყოს გამოხატული, დაწყებული თანაკლასელის მიმავრებით დახმარების მიზნით, დამთავრებული დამატებითი მასალით ან ინფორმაციით უზრუნველყოფით;
- **შეხვედრები მშობლებთან.** მშობლებს უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრიათ ბავშვების განათლების საქმეში, გან-

საკუთრებით ეს ეხება ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებს. მშობლები, როგორც პარტნიორები, აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ დაგეგმარებაში, რომლის საბოლოო მიზანია მოსწავლეთა წარმატება. მშობლებთან პარტნიორობა გულისხმობს მათი წვლილის შეტანას ქცევით ინტერვენციებში, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის მუდმივი კავშირის შენარჩუნებასა და თანამშრომლობას მოსწავლეთა პროგრესის მონიტორინგში;

- თანატოლთა შუამავლობა. მოსწავლეთა ჯგუფების წევრებს შეუძლიათ დადებითი გავლენა იქონიონ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვების საქციელზე. ბევრ სკოლაში ჩამოყალიბებულია საშუამავლო პროგრამები, სადაც მოსწავლეები გადიან სპეციალურ მომზადებას იმ კამათისა და უთანხმოების გადასაწყვეტად, რაც შეიძლება მათ თანაკლასელებში წარმოიშვას.

წარმატებული მასწავლებელი ხშირად იყენებს ქცევით მინიშნებებს მოსწავლეებთან ურთიერთობისას, რაც მიზნად ისახავს, მოსწავლეებს შეახსენონ, რას მოელოან მათგან. ქვემოთ მოცემულია სამი ყველაზე ეფექტიანი მინიშნება:

ვიზუალური მინიშნებები. აირჩიეთ მარტივი ვიზუალური მინიშნება, რათა შეახსენოთ მოსწავლეს, რომ მან კონცენტრაცია დავალებაზე უნდა მოახდინოს. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ მიანიშნოთ მოსწავლეს, როდესაც ერთმანეთს უყურებთ ან შეგიძლიათ ბავშვთან ახლოს ყოფნისას გაიშვიროთ ხელი ისე, რომ ხელისგული ქვემოთ მოექცეს. ეს მიანიშნებს მას, რომ ყურადღება დავალებაზე უნდა გაამახვილოს.

სიახლოვის კონტროლი. როდესაც ბავშვს ელაპარაკებით, მიდით ახლოს, იქ, სადაც ბავშვი დგას ან ზის. თქვენი ფიზიკური სიახლოვე ბავშვთან დაეხმარება მას ყურადღება გაამახვილოს ნათქვამზე.

ხელის შესტები. გამოიყენეთ ხელის სიგნალები ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვთან პირადი კომუნიკაციისთვის. მაგალითად, სთხოვეთ ბავშვებს ასწიონ ხელი ყოველთვის, როცა შეკითხვას დაუსვამთ. მუშტი ნიშნავს იმას, რომ

ბავშვმა იცის პასუხი ხოლო გაშლილი ხელი მიუთითებს იმაზე, რომ მან არ იცის პასუხი კითხვაზე. თქვენ შეგიძლიათ აპასუხებინოთ ბავშვს, მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მუშტს გიჩვენებთ.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბევრი ბავშვისთვის ფუნქციური ქცევითი ინტერვენციული შეფასებები და დადებითი ქცევითი ინტერვენციები თუ მხარდაჭერა, რაც გულისხმობს მართვით გეგმებსა და კონკრეტულ ჯილდოებს, ეფექტურია იმისთვის, რომ მათ შეძლონ საკუთარი ქცევის მართვა. გამომდინარე იქიდან, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები განსხვავებულია, მასწავლებლებისთვის, ისევე როგორც სხვა სპეციალისტებისა და ოჯახის წევრებისთვის, მნიშვნელოვანია ამ პრაქტიკების ეფექტურობის რეგულარულად გადამოწმება.

ქცევითი შეთანხმებები და მართვის გეგმა. დაუნესეთ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეს კონკრეტული აკადემიური ან ქცევითი მიზნები. ასევე განსაზღვრეთ მისი ის ქცევა, რომლის გამოსწორებაც საჭიროა და სტრატეგიები ამ მიზნის მისაღწევად. იმუშავეთ ბავშვთან ერთად შესაბამისი მიზნების განსაზღვრისთვის. მიზანი შეიძლება იყოს შემდეგი: საშინაო დავალების დროულად შესრულება და სათამაშო მოედანზე უსაფრთხოების წესების დაცვა. ქცევითი შეთანხმებები და მართვის გეგმა გამოიყენება როგორც ცალკეულ ბავშვთან, ასევე მთელ კლასთან. გეგმა უნდა მომზადდეს მშობლებთან თანამშრომლობით.

საკლასო ოთახი

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეთა ეფექტური განათლების სტრატეგიის მესამე კომპონენტი გულისხმობს საკლასო ოთახს და მის გარემოს. ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებს ხშირად უჭირთ საკლასო ოთახის სტრუქტურირებულ გარემოსთან შეგუება, პრიორიტეტების განსაზღვრა და კონცენტრაციის შენარჩუნება დავალებაზე. მათ ყურადღებას ხშირად იპყრობს სხვა ბავშვები ან საკლასო ოთახში მიმდინარე აქტივობები. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლეებზე დადებითად მოქმედებს ისეთი გარემო, რომელიც ნაკლებად იზიდავს მათ ყურადღებას და უადვი-

ლებს მათ კონცენტრაციის შენარჩუნებას დავალებასა და სწავლის პროცესზე.

როდესაც საკლასო ოთახის გარემოზე ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია თუ სად ზის ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე მოსწავლე. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია სამი კონკრეტული ვარიანტი:

- **დასვით ბავშვი მასწავლებელთან ახლოს.** მიუჩინეთ ბავშვს ადგილი თქვენს მაგიდასთან ან წინა რიგში, რაც საშუალებას მოგცემთ მუდმივად გაუწიოთ მას მეთვალყურეობა და დააკვირდეთ მის ქცევას;
- **დასვით ბავშვი სამაგალითო მოსწავლესთან ახლოს.** მოათავსეთ ბავშვი სამაგალითო მოსწავლესთან ახლოს, რაც საშუალებას მისცემს მიბაძოს სანიმუშო მოსწავლეს და იმუშაოს მასთან ერთად კონკრეტულ დავალებებზე;
- **უზრუნველყავით მშვიდი სამუშაო გარემო.** მასწავლებელმა უნდა აირჩიოს მშვიდი გარემო, რათა მოსწავლეებმა წყნარად შეძლონ დავალების შესრულება.

დასკვნა

მოცემულ გზამკვლევაში მითითებულია ის საინსტრუქციო სტრატეგიები, რომელთა ეფექტურობაც დადასტურებულია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე ბავშვებთან მუშაობისას. თუმცა, საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ ტექნიკების გამოყენება ყველა ბავშვთან არის შესაძლებელი. წინამდებარე დოკუმენტი შემოკლებული ვერსიაა. მთლიანი დოკუმენტი ინგლისურ ენაზე შეგიძლიათ მიიღოთ სპეციალური განათლებისა და სარეაბილიტაციო განყოფილებაში ან სპეციალური განათლების პროგრამების ვებ-გვერდზე, რომლის მისამართია:

<http://www.ed.gov/about/offices/list/osers/osep/index.html>

სწავლის უნარის დაქვეითება

ედვარდ ბარსი

სწავლის უნარის დაქვეითებასთან მრავალი პრობლემა არის დაკავშირებული, თუმცა უკვე ინერგება ცვლილებები, რომლის მიხედვით ხდება სწავლის უნარის დაქვეითების გადატანა შეუსაბამობის მოდელიდან (შეუსაბამობა გონებრივ შესაძლებლობებსა და მიღწევებს შორის) ინტერვენცია-რეაგირების მოდელზე. მაგრამ, კონკრეტულად რა არის სწავლის უნარის დაქვეითება? ეს ცნება ოთხ ასპექტს მოიცავს: (1) მნიშვნელობა; (2) გამოვლინება; (3) გარემოებები და (4) გამონაკლისები.

1. **მნიშვნელობა:** სწავლის უნარის დაქვეითება ნიშნავს იმ ერთი ან მეტი ძირითადი ფსიქოლოგიური პროცესის მოშლას, რომელიც საჭიროა ენის ზეპირი ან წერილობითი გამოყენების ან გაგებისთვის.

2. **გამოვლინება:** ეს პრობლემა შეიძლება გამოვლინდეს შემდეგი უნარების დარღვევით:

- მოსმენა;
- წერა;
- ფიქრი;
- დამარცვლა;
- ლაპარაკი;



- მათემატიკური ოპერაციები;
- კითხვა.

3. გარემოებები:

- ალქმის დაქვეითება;
- დისლექსია;
- თავის ტვინის დაზიანება;
- და განვითარების აფაზია;
- ტვინის მინიმალური დისფუნქცია.

4. გამონაკლისები: სწავლის უნარის დაქვეითება არ მოიცავს სწავლის იმ პრობლემებს, რომლებიც გამონვეულია:

- მხედველობის დაქვეითებით;
- სმენის დაქვეითებით;
- მოტორული შეზღუდულობით;
- გონებრივი ჩამორჩენილობით;
- ემოციური აშლილობით;
- გარემოს უარყოფითი ზეგავლენით;
- კულტურის უარყოფითი ზეგავლენით;
- უარყოფითი ეკონომიკური ზეგავლენით.

ამ ჩამონათვალს შეიძლება დაეფუძნოს ენის შეზღუდული ცოდნა და ინსტრუქციების ნაკლებობა. არსებობს სხვა ისეთი დაქვეითებები, რომელთა გარჩევაც საკმაოდ რთულია სწავლის უნარის დაქვეითებისაგან. მაგალითად, საკმაოდ ძნელია განვავსხვავოთ სწავლის უნარის დაქვეითება ემოციური აშლილობისგან ან ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომისგან. ემოციური აშლილობის შემთხვევაში ჩნდება კითხვა: სწავლის უნარის დაქვეითება წარმოშობს ემოციურ აშლილობას, თუ პირიქით – ემოციური მღელვარება იწვევს სწავლის უნარის დაქვეითებას. მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი *ჯანმრთელობის სხვა პრობლემების* კატეგორიას მიეკუთვნება, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომს ხშირად მოიხსენიებენ როგორც სწავლის უნარის დაქვეითების ერთ-ერთ მახასიათებლად.

სწავლის უნარის დაქვეითების დასადგენი კრიტერიუმები	
•	საშუალოზე დაბალი მოსწრება
•	რეფერალამდე არსებული კვლევაზე დაფუძნებული ინსტრუქცია
•	განმეორებითი საბომები
•	საშუალოზე დაბალი მაჩვენებელი რვა სფეროდან ერთ-ერთში
•	ძლიერი და სუსტი მხარეები
•	სახელმწიფო სტანდარტებთან შეუსაბამობა
•	არ არის გონებრივი ჩამორჩენილობის, ემოციური აშლილობის, კულტურის, გარემოცვის, ან ინსტრუქციის შედეგი
•	გონებრივი შესაძლებლობებისა და მიღწევების შეუსაბამობა

რა ზომები უნდა მივიღოთ?

საშუალოზე დაბალი მოსწრება:

სწავლის უნარის დაქვეითება მოიცავს ბავშვის ასაკთან ან სახელმწიფოს მიერ მიღებული დონის სტანდარტებთან შესაბამის საშუალოზე დაბალ მოსწრებას. სწავლის უნარის დაქვეითება გულისხმობს, რომ შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების მიღების შემდეგაც კი მოსმენის, ზეპირსიტყვიერების, კითხვის ძირითადი და სხვა უნარ-ჩვევების მხრივ, ბავშვი ამჟღავნებს საშუალოზე დაბალ მოსწრებას, რომელიც განისაზღვრება ბავშვის ასაკთან ან სახელმწიფოს მიერ მიღებული დონის სტანდარტებთან შესაბამისობით. სწავლის უნარის დაქვეითების ძირითადი პრინციპის მიხედვით, აქცენტი უნდა გაკეთდეს შესაბამის ინსტრუქციებსა და სწავლის გამოცდილებაზე რეფერალამდე და შეზღუდულობის განსაზღვრამდე. მასწავლებელს გადამწყვეტი ფუნქცია აკისრია შესაბამისი ინსტრუქციებისა და სწავლის სტრატეგიების უზრუნველყოფის გზით კლასში სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვების რიცხვის შემცირებაში.

რეაგირება ინტერვენციაზე: სწავლის უნარის დაქვეითების ახალი კონცეპტუალიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია, მაღალი ხარისხისა და კვლევაზე-დაფუძნებული სათანადო ინსტრუქციების უზრუნველყოფა ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში. ინტერვენციისა და რეაგირების მოდელი მოითხოვს მიღწევათა განმეორებითი შეფა-

სებების მონაცემებზე დაფუძნებული დოკუმენტაციის წარმოებას მისაღებ ინტერვალებში. დოკუმენტი უნდა ასახვდეს მოსწავლეთა პროგრესის ფორმალურ შეფასებას ინსტრუქტაჟის პერიოდში. ცხადია, რომ მასწავლებელი სწავლის უნარის დაქვეითების ინტერვენციაზე რეაგირების მიდგომის ძირითადი ფიგურაა. იგი ძირითად როლს ასრულებს ბავშვებისათვის მონაცემებზე დაფუძნებული, სისტემატური და მაღალხარისხიანი ინსტრუქციების გაცემისას, რაც ჩვეულებრივი და არა სპეციალური სკოლის გარემოში ხდება. აქედან გამომდინარე, ბავშვს არ შეიძლება ჰქონდეს სწავლის უნარის დაქვეითება კითხვაში შესაბამისი ინსტრუქციების არქონის გამო, თუ მას ეს სათანადო ინსტრუქცია არ მიენოდა ჩვეულებრივ სასწავლო გარემოში, ან იმის გამო, რომ მოსწავლის პროგრესის შესახებ არ არსებობს მონაცემებზე დაფუძნებული დოკუმენტაცია.

შეზღუდულობა: სფეროებს, რომლებშიც ბავშვმა შესაძლებელია გამოავლინოს სწავლის უნარის დაქვეითება, დაემატა თავისუფლად კითხვის უნარი და ამდენად, მათი რიცხვი შეიდიდან რვა მდე გაიზარდა. დანარჩენი სფეროებია: ზეპირსიტყვიერება, მოსმენა, წერა, კითხვის ძირითადი უნარები, ნაკითხულის გაგება, მათემატიკური გამოთვლები და მათემატიკური ამოცანების ამოხსნა.

სფერო	უნარი (1 = ცუდი... 5 = კარგი)				
მოსმენა	1	2	3	4	5
ზეპირსიტყვიერება	1	2	3	4	5
კითხვის ძირითადი უნარები	1	2	3	4	5
თავისუფლად კითხვის უნარები	1	2	3	4	5
ნაკითხული გაგება	1	2	3	4	5
წერა	1	2	3	4	5
მათემატიკური გამოთვლები	1	2	3	4	5
მათემატიკური ამოცანების ამოხსნა	1	2	3	4	5

სტანდარტი: როდესაც შეფასება ხდება მეცნიერული, კვლევაზე დაფუძნებული ინტერვენციის პროცესის საპასუხოდ, შეფასების მთა-

ვარი სტანდარტი არის სახელმწიფოს მიერ დადგენილი შედეგებით გათვალისწინებული პროგრესის არარსებობა.

პატერნი: სწავლის უნარის დაქვეითების ერთ-ერთი ნაკლოვანებაა „უზუსტობა“. მრავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მიუთითებს, რომ ბავშვს აქვს სწავლის უნარის დაქვეითება ყველა სფეროში, მაგრამ არ ხდება შეზღუდულობის განსაზღვრა ან ინდივიდის სუსტი და ძლიერი მხარეების მითითება. ახალი კონცეფციის თანახმად, ბავშვმა უნდა გამოავლინოს ძლიერი და სუსტი მხარეები მოსწრებაში, მიღწევებში ან ორივეში ერთად მისი ასაკის, სახელმწიფო სტანდარტებისა ან ინტელექტუალური შესაძლებლობების შესაბამისად.

სწავლის უნარის დაქვეითების დადგენა

პირველი: დამახსოვრეთ, რომ ყურადღება უნდა მიაქციოთ სწავლის უნარის დაქვეითების „სპეციფიკას“. არ არსებობს სწავლის „ზოგადი“ დაქვეითება, რომელიც ახსნიდა რომელიმე ან ყველა პრობლემას. სწავლის უნარის დაქვეითებას ადგილი აქვს მაშინ, როცა ბავშვის მიღწევები ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში არ ემთხვევა მისსავე ასაკის მიღწევებს მაღალ-ხარისხიანი ინსტრუქციის მიწოდების შემთხვევაშიც კი.

1. ზეპირსიტყვიერება;
2. მოსმენა;
3. წერა;
4. კითხვის ბაზისური უნარები;
5. თავისუფლად კითხვის უნარები;
6. წაკითხულის გაგება;
7. მათემატიკური ანგარიში;
8. მათემატიკური ამოცანების ამოხსნა.

იმისათვის, რომ ბავშვს დაუდგინდეს სწავლის უნარის დაქვეითება, იგი უნდა ამჟღავნებდეს უნარშეზღუდულობას ზემოთ ჩამოთვლილ რვა სფეროდან ერთ-ერთში მაინც. არ შეიძლება უბრალოდ იმის თქმა, რომ ბავშვს ზოგადად აქვს სწავლის უნარის დაქვეითება.

მეორე: კვალიფიცირებული კადრების მიერ მიწოდებული მაღალხარისხიანი ინსტრუქციები არის რეფერალური პროცესის ნაწი-

ლი და უნდა გაკეთდეს სწავლის უნარის დაქვეითების დადგენამდე. როგორც უკვე ითქვა, მასწავლებელი მნიშვნელოვან როლს თამაშობს არა მხოლოდ სწავლის უნარის დაქვეითების არსებობის განსაზღვრაში, არამედ ამ კატეგორიის შემცირებაშიც მაღალი ხარისხის, სისტემატური და მონაცემებზე დაფუძნებული ინსტრუქციების მეშვეობით.

მესამე: პროგრესის დამადასტურებელი (ან მისი არარსებობის დამადასტურებელი) არსებული მონაცემები, რომელიც ასახავს ინსტრუქტაჟის განმავლობაში პროგრესის ფორმალურ შეფასებას, მისაღებ ინტერვალებში მიღწევის განმეორებითი შეფასებების გზით, მიენოდება მშობლებს.

მეოთხე. იმისათვის, რომ ბავშვს დაუდგინდეს სწავლის უნარის დაქვეითება, ის ვერ უნდა აღწევდეს ისეთ პროგრესს, რომელიც შეესაბამება სახელმწიფოს მიერ დამტკიცებულ შედეგებს მეცნიერული და კვლევებზე დაფუძნებული ინტერვენციის პროცესზე რეაგირებისას, ან ბავშვი უნდა ამჟღავნებდეს ძლიერი და სუსტი მხარეების იმგვარ პატერნს, რომელიც შეესაბამება სწავლის უნარის დაქვეითებას. ძლიერი და სუსტი მხარეების ზემოხსენებული პატერნი შესაძლებელია გამოვლინდეს მოსწრებაში, მიღწევებში ან ორივე მათგანში ინტელექტუალური განვითარების შესაბამისად.

მეხუთე. ყურადღება გაამახვილეთ ფუნდამენტურ პრობლემაზე. თუ ბავშვს პრობლემები აქვს კითხვის ბაზისურ უნარებში, ცხადია, მას წერაც გაუჭირდება. მაგრამ, წერა არ არის უმთავრესი პრობლემა, ისევე როგორც არ არის სწავლის „სპეციფიური“ დაქვეითება. წერა შეიძლება იყოს პრობლემა მანამ, სანამ ბავშვი არ გამოიმუშავებს კითხვის სათანადო უნარებს. ანალოგიურად, თუ ბავშვი ვერ კითხულობს თავისუფლად, ეს გავლენას იქონიებს წაკითხულის გაგებაზე. თუ ბავშვი ამჟღავნებს ნორმალურ გაგებისუნარიანობას სხვა სფეროებში, წაკითხულის ცუდად გაგება შეიძლება იყოს თავისუფლად კითხვის არადაამაკმაყოფილებელი უნარის შედეგი.

მეექვსე. სწავლის უნარის დაქვეითების დადგენისას საჭიროა გავითვალისწინოთ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა სენსორული ფაქტორები, ზოგადი შემეცნების უნარები, ემოციური პრობლემები, კულტურული ფაქტორები, გარემოს უარყოფითი ზეგავლენა ან ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა, ინსტრუქციის ნაკლებობა ან არარსებობა.

დისლექსია, მეტაკოგნიცია და სწავლის სტილები

გავინ რეიდი

წინამდებარე სტატია ეძღვნება დისლექსიური ბავშვების წერა-კითხვისა და სწავლის საჭიროებებს. ბავშვების ამ კატეგორიის საჭიროებებზე საუბრისას, საჭიროა გავითვალისწინოთ სწავლასთან დაკავშირებული ისეთი ასპექტები, როგორცაა მეტაკოგნიცია და სწავლის სტილები, აგრეთვე ის სტრატეგიები და პროგრამები, რომლებიც აძლიერებს კითხვისა და მართლწერის უნარს. აქედან გამომდინარე, სტატიაში განიხილება დისლექსიასთან დაკავშირებული ზოგადი ფაქტორები, ასევე მეტაკოგნიციის როლი ბეჭდვისადმი ხელმისაწვდომობისა და ტექსტის გაგების პროცესში, სწავლის სტილების მნიშვნელობა ბავშვების სასწავლო უპირატესობების განსაზღვრაში და მათი გამოყენება წერა-კითხვის შემსწავლელ პროგრამებში.

დამკვიდრებული პრინციპები

ტრადიციული შეხედულება დისლექსიის მქონე ბავშვების სწავლების შესახებ ეფუძნება მთელ რიგ კარგად დასაბუთებულ პრინციპებს (პამფი და რიზონი 1992, რეიდი 1998, ოტი 1998, ჯონსონი, ფილიპსი და პირი 1999). ამ პრინციპების მიხედვით, დისლექსიის მქონე ბავშვებისთვის გამოსადეგი იქნება ის სასწავლო პროგრამები, რომლებიც ხასიათდება მულტისენსორული, თანამიმდევრული, კუმულაციური და სტრუქტურირებული ბუნებით. ამგვარი პროცედურები შეიძლება ეფექტური იყოს იმ ბავშვებისთვის, რომლებსაც თავდაპირველად წერა-კითხვის დაბალი დონე აღენიშნებოდათ. თუმცა, მან უკურეაქციაც შეიძლება გამოიწვიოს დისლექსიის მქონე ბავშვებში, თუ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა სწავლის სტილებს, განსჯის უნარ-ჩვევების პოტენციალს და სწავლის მეტაკოგნიციურ ასპექტებს. ეს უკანასკნელი საკმაოდ მნიშვნელოვანია. სწავლის ზოგი საკვანძო ასპექტი გულისხმობს სწავლას წინა სწავლის პროცესიდან, განსაკუთრებით კი მისი სტრატეგიებისა და წესების გამოყენებას, რაც გაზრდის სწავლის ეფექტიანობას.

მეტაკოგნიციისა და სასწავლო სტილების როლი

არსებობს მოსაზრება, რომ დისლექსიურ ბავშვებს პრობლემები აქვთ სწავლის მეტაშემეცნებით ასპექტებთან (ტუნმერი და ჩეპმენი 1996), ანუ, მათ ჩვენება სჭირდებათ როგორ უნდა ისწავლონ, რაც გულისხმობს, მაგალითად, სხვადასხვა სასწავლო დავალებებს შორის კავშირებისა და დამოკიდებულებების განსაზღვრას. აღსანიშნავია, რომ არაა აუცილებელი აქცენტი გაკეთდეს შინაარსზე ან სწავლის პროდუქტზე, მთავარი პროცესია, ანუ როგორ მიმდონარეობს სწავლა. ამასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ სწავლის პროცესი უნდა იყოს თანმიმდევრული და შეესაბამებოდეს იმ საკითხებს, რომლებსაც დისლექსიური ბავშვები ანიჭებენ უპირატესობას. აქედან გამომდინარე, მეტაშემეცნებითი ცნობიერების განვითარების საჭიროებასთან ერთად, საჭიროა სწავლის სტილების გათვალისწინება. ეს ორი ასპექტი ურთიერთდამოკიდებულია და ერთობლიობაში ყურადღებას ამახვილებს არა დისლექსიური პრობლემების სიმპტომებზე, როგორც ეს მრავალი ტრადიციული პროგრამების შემთხვევაში ხდება, არამედ სწავლისა და სასწავლო პროცესის ფუნდამენტურ პრინციპებზე (გივენი და რეიდი 1999). ეს მოსაზრება კიდევ უფრო ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ დისლექსიის შემეცნებით და გადამუშავებით ასპექტებს, რაც იმას გულისხმობს, რომ დისლექსია უფრო მეტია ვიდრე კითხვის სირთულე, პრობლემა თავს იჩენს ინფორმაციის გადამუშავების დროსაც. სასწავლო პროცესის შემეცნებითი და მეტაშემეცნებითი ასპექტები, ძალიან მნიშვნელოვანია და გვეხმარება, განვსაზღვროთ სტრატეგიები, რომლებიც საჭიროა დისლექსიის მქონე ბავშვების სირთილებების დასაძლევად.

დისლექსიის კვლევა – განვითარება და მიმართულებები

უდავოა, რომ ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა დისლექსიისა და მისი გავლენის კვლევა. მაგალითად, აქტიურად მიმდინარეობს კვლევები ფონოლოგიური ცნობიერების სფეროში, რაც აისახება შეფასებებისა და ისეთი მეთოდოლოგიური მასალების შემუშავებაში, როგორიცაა *ფონოლოგიური უნარების ტესტი* (მუტერი, პულმე და სნოულინგი 1997), *ფონოლოგიური შეფასება* (ფრედიკსონი და სხვები 1997), მრავალი ფონოლოგიური სწავლების

სახელმძღვანელო, მაგალითად, ბგერების კავშირი (ჰეტჩერი 1994), ფონოლოგიური ცნობიერების ტრენინგის პროგრამა (უილსონი 1993) და მულტიენსორული სწავლების სისტემა კითხვისთვის (ჯონსონი, ფილიპსი და პირი 1999). კვლევის ეს კონკრეტული სფერო ყურადღების ცენტრში მოექცა სწავლებასა და სწავლების პროცესზე მისი უშუალო ზეგავლენის გამო.

განისაზღვრება სამი ურთიერთგადამკვეთი მიმართულება, კერძოდ, ნევროლოგიურ/ბიოლოგიური, ფსიქოლოგიურ/მემეცნებითი და საგანმანათლებლო/სასკოლო. ეს მიმართულებები მიუთითებს დისლექსიასთან დაკავშირებული მიმდინარე კვლევების ფართო მასშტაბებზე და აგრეთვე იმ პროფესიონალების სიმრავლეზე, რომლებიც ამ საკითხზე სხვადასხვა სფეროებში – განათლებაში, ფსიქოლოგიაში, მეტყველებისა და ენის თერაპიაში, ოკუპაციურ და მოძრაობის თერაპიაში მუშაობენ. ამ პროცესში ასევე მონაწილეობენ კლინიკურ და სამეცნიერო სფეროში მომუშავე სპეციალისტები.

ნევროლოგიურ/ბიოლოგიური მიმართულება

გალაბურდას ნაშრომმა (1993) მნიშვნელოვანი გავლენა იქონია როგორც დისლექსიის კონცეპტუალიზაციაზე ასევე მის შედეგებზე პრაქტიკაში. გალაბურდას მოსაზრებით დისლექსიური ადამიანების მარჯვენა და მარცხვენა ნახევარსფეროები განსხვავდება არადისლექსიური ადამიანის ნახევარსფეროებისგან დამუშავების პატერნების მხრივ; ეს კი გულისხმობს, რომ დისლექსიურ ბავშვებსა და მოზრდილებს აღენიშნებათ მარჯვენა ნახევარსფეროსთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები, რაც მათ არაპრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს იმ დავალებებთან მიმართებაში, რომელიც მარცხენა ნახევარსფერომ უნდა შეასრულოს. მაგალითისათვის – კითხვის სიზუსტე. მარჯვენა ნახევარსფერო ასრულებს ისეთ დავალებებს, რომლებიც მოითხოვს „გლობალურ“ მიდგომას, ხოლო მარცხენა ნახევარსფერო – დეტალების ანალიზს და ინფორმაციის მცირე დოზებს.

უესტმა (1997) გამოიყენა გალაბურდას კვლევები, რათა ეჩვენებინა, რომ დისლექსიური ადამიანები, რომლებსაც მარჯვენა ნახევარსფერო აქვთ უფრო განვითარებული, შესაძლებელია უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ მთელ რიგ სიტუაციებში. ეს ფაქტორი ხაზს უსვამს დისლექსიის დადებით მხარეს.

ბეკერი (1994) თავის კითხვის „ბალანსის მოდელში“, რომელიც მრავალ ქვეყანაში დაინერგა (რობერტსონი 1997), განსაზღვრავს მკითხველის ორ სხვადასხვა ტიპს: „პერცეპტუალურს“ და „ლინგვისტურს“, რომლებსაც სხვადასხვა ნახევარსფეროები აქვთ განვითარებული. ეს ფაქტორი ყურადსაღებია სწავლებისთვის.

არსებობს დისლექსიასთან დაკავშირებული ვიზუალური ფაქტორების მტკიცებულებაც. ედენი (1996) ადასტურებს, რომ დისლექსიის მქონე ადამიანებს შესაძლებელია ალენიშნებოდეთ მხედველობის ზონის მაგნო-უჯრედოვან ქვესისტემასთან დაკავშირებული ანომალიები.

ფოკეტი, ნიკოლსონი და დინი (1996) აღწერენ თუ როგორ შეიძლება, რომ ცერებრულმა პრობლემებმა გავლენა იქონიონ დისლექსიაზე და დაუკავშირდნენ ფონოლოგიური დამუშავებისა და ბალანსის პრობლემებს. ყველა ეს ფაქტორი წარმოდგენილია დისლექსიის სკრინინგის ტესტსში (ფოკეტი და ნიკოლსონი 1996).

ფსიქოლოგიურ / შემეცნებითი მიმართულება

ზოგადად რომ ვთქვათ, დისლექსია განიხილება როგორც ფონოლოგიური დამუშავების პრობლემა. სტანოვიჩის ფონოლოგიური დეფიციტის მოდელმა გავლენა იქონია ამ სფეროში შექმნილ ნაშრომებზე. ფრედისონი, ფირთი და რიზონი (1997) ყურადღებას ამახვილებენ ფონოლოგიური ბატარეის შეფასების განვითარებაში ამ ფაქტორის მნიშვნელობაზე.

პატრეცემა (1997) ნორვეგიაში ჩატარებული კვლევის საფუძველზე დაადასტურა, რომ ფონოლოგიური დეფიციტი ექვსი წლის ასაკში არის კითხვასთან დაკავშირებული პრობლემის ყველაზე მყარი ინდიკატორი. სხვა კვლევებში, მაგალითად ჰულმეს (1997) კვლევაში მითითებულია, რომ მეტყველების ტემპი დისლექსიური გართულებების ყველაზე სანდო ინდიკატორია, რაც აისახა ფონოლოგიური უნარების ტესტის შემუშავებისას (მუტერი, ჰულმე, სნოულინგი 1997). ვულფი (1996) ყურადღებას ამახვილებს „ორმაგი დეფიციტის ჰიპოთეზაზე“, და მიუთითებს, რომ დისლექსიურ ადამიანებს შესაძლოა ჰქონდეთ პრობლემები როგორც ფონოლოგიურ დამუშავებასთან, ასევე მიმართვის ტემპთან. საინტერესოა, რომ დამუშავების სისწრაფე და სემანტიური თავისუფლება შეადგენს დისლექსიურ

ბავშვებისთვის ახლახანს გამოცემული ტესტების ნაწილს. ბადიანმა (1997) შემდგომ კვლევებში დაადასტურა სამმაგი დეფიციტის ჰიპოთეზა. ეს კი იმას გულისხმობს, რომ საჭიროა გათვალისწინებული იქნას ორთოგრაფიული ფაქტორები, სადაც ჩართულია ვიზუალური უნარები.

ამის მსგავსად, ავტომატიზაციის სიძნელეები (ფოსეტი და ნიკოლსონი 1992) გულისხმობს, რომ დისლექსიის მქონე ადამიანებმა შეიძლება ერთბაშად ვერ შეძლონ ახლად ათვისებულის კონსოლიდაცია და გაუჭირდეთ არასწორი სასწავლო ჩვევების შეცვლა. დისლექსიასთან არის დაკავშირებული აგრეთვე დამუშავების სხვა სიძნელეები, როგორცაა, მაგალითად, სმენითი დამუშავება (იოჰანსონი 1997), რამაც საფუძველი ჩაუყარა ბგერითი თერაპიის პროგრამებს.

ამ კვლევასვე დაეფუძნა მოტორული ინტეგრაციის მსგავსი პროგრამები (დობი 1998).

განათლების/სასკოლო მიმართულება

იმედის მომცემია, რომ კვლევა პრაქტიკაშიც აისახა. დიდი ბრიტანეთში, განათლების სფეროში მომუშავე მრავალი უწყება ითვალისწინებს დისლექსიას თავის სამუშაო სტრატეგიებში ისეთი კომპონენტების ჩათვლით, როგორცაა თანამშრომელთა განვითარება, საკლასო ოთახზე დაფუძნებული შეფასება, კომპიუტერული პროგრამები და სასწავლო პროგრამის მასალები. ამათგან ყველა კომპონენტი ხელს უწყობს დისლექსიური ბავშვებისთვის სრული სასწავლო პროგრამები ხელმისაწვდომი იყოს. ადრეული გამოვლენა და პრევენცია პრიორიტეტებადაა მიჩნეული და ბოლო დროინდელი კვლევებიც ადასტურებს ამ მოსაზრებას. მაგალითად, უიდონი და რეიდი (2001) და სმიტი (2000) მუშაობენ დისლექსიის საერთაშორისო ტესტსზე, რომელიც რამდენიმე ენაზე იქმნება.

მეტაშემეცნება

მეტაშემეცნება უდიდეს როლს ასრულებს სწავლაში და დაკავშირებულია მოსწავლის ფიქრისა და სწავლის უნართან. ტუნმერი და ჩეპმენი (1996) აღწერენ, რომ დისლექსიურ ბავშვებს ცუდად აქვთ

განვითარებული მეტაშემეცნებითი უნარი რაც, თავის მხრივ, იწვევს მათ მიერ არასწორი სასწავლო ქცევების ჩამოყალიბებას კითხვასა და მართლწერაში.

ძირითადად, მეტაშემეცნება დაკავშირებულია ფიქრთან ფიქრის შესახებ, სადაც ასევე გასათვალისწინებელია სასწავლო პროცესი და მისი გამოყენება ახლებურ სწავლაში, ამიტომ, მასწავლებელს ინსტრუმენტული როლი აკისრია მეტაშემეცნებითი ცნობიერების ამაღლებაში (პირი და რეიდი 2001). ეს შეიძლება გაკეთდეს მოსწავლისთვის რამდენიმე ძირითადი კითხვის დასმით ან სწავლის ქცევებზე მეთვალყურეობით, მაგალითად:

მეტაშემეცნებითი ცნობიერების ამაღლება

როდესაც გვსურს იმის გარკვევა, თუ რამდენად უმკლავდება ბავშვი ახალ დავალებებს, მიეცით მას კითხვები თვითშეფასებისთვის:

- გამიკეთებია თუ არა ეს აქამდე?
- როგორ გადავჭერი ეს?
- იოლი იყო?
- ძნელი იყო?
- რატომ გამიიოლდა ან გამიძნელდა?
- რა ვისწავლე?
- რა უნდა გავაკეთო, რომ შევასრულო ეს დავალება?
- როგორ უნდა გადავჭრა ეს პრობლემა?
- იმგვარადვე უნდა მოვიქცე, როგორც მანამდე?

მეტაშემეცნებითი სტრატეგიები

მეტაშემეცნებითი სტრატეგიები გეხმარებათ განავითაროთ კითხვის და წერის უნარები. ზოგიერთ კონკრეტულ მეტაშემეცნებით სტრატეგიად ითვლება:

- ვიზუალური წარმოსახვა – ტექსტიდან ნახატების განხილვა და ჩანახატების გაკეთება;
- დასკვნითი წინადადება – ტექსტში ძირითადი იდეის განსაზღვრა;
- ქსელი – ტექსტში მოცემული იდეების საფუძველზე კონ-

ცეპტუალური რუქების შედგენა;

- თვითნარმოსახვა – დასვით შეკითხვები იმის გამოსარკვევად, თუ რა იციან მოსწავლეებმა ამ თემის შესახებ და რის შესწავლას მოელიან ახალი მასალიდან.

მნიშველოვანია გავითვალისწინოთ რეის მიერ განსაზღვრული ის ელემენტები, რომლებიც ეხება კარგი მკითხველის უნარებს და წარმოადგენს მეტაშემეცნებითი ცნობიერების კარგ მაგალითს:

კარგი მკითხველისთვის დამახასიათებელი უნარები (რეი 1994)

- კარგ მკითხველს ებადება კითხვები კითხვის პროცესში.
- ის აკონტროლებს და ჭრის გააზრებასთან დაკავშირებულ პრობლემებს;
- ქმნის მენტალურ სურათებს კითხვის პროცესში;
- ხელახლა კითხულობს საჭიროების შემთხვევაში;
- უსწორებს საკუთარ თავს, თუ კითხვის პროცესში დაუშვა შეცდომა.

რეის მიერ აღწერილი ფაქტორების გამოყენების მეშვეობით მნიშველოვანია დავრწმუნდეთ, რომ მკითხველი სრულად იაზრებს თუ რა არის კითხვის მიზანი და აქვს ინფორმაცია იმ ტექსტის შესახებ, რომელის წაკითხვასაც აპირებს.

სწავლის სტილები

სწავლა არის პროცესი, რომელიც მოითხოვს წერა-კითხვის ცოდნას და ასევე სხვა ასპექტებსაც, მაგრამ წერა-კითხვის ცოდნა აუცილებელია, რადგანაც ის წამყვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში. აქედან გამომდინარე, მნიშველოვანია ყურადღება გავამახვილოთ ინფორმაციის დამუშავების ციკლზე და ამავე დროს გავითვალისწინოთ მეტაშემეცნებითი და სწავლის სტილების ასპექტები ინფორმაციის დამუშავების პროცესში.

ინფორმაციის დამუშავების ციკლის ეტაპები ძირითადად უკავშირდება ინფორმაციის მიღებას, შემეცნებას და შედეგს. ქვემოთ მოცემულია ზოგიერთი მოსაზრება და თითოეული ეტაპის მნიშვნე-

ლობა. ეს ძალზე მნიშვნელოვანია დისლექსიური ბავშვებისთვის, რადგან ისინი სიძნელებს ინფორმაციის დამუშავების ყველა ეტაპზე აწყდებიან.

ინფორმაციის მიღება

- დაადგინეთ ის სასწავლო სტილი, რომელსაც მოსწავლე უპირატესობას ანიჭებს;
- ინფორმაცია დაყავით მცირე ნაწილებად;
- დარწმუნდით, რომ გამოყენებულია დამატებითი სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც გამოყენებული უნდა იყოს მასალების მრავალფეროვნება;
- აუხსენით მოსწავლეებს ძირითად საკითხები ახალი მასალების შესწავლის საწყის ეტაპზე.

შემეცნება

- საჭიროა წავახალისოთ ორგანიზაციული სტრატეგიები, რაც იმას ნიშნავს, რომ ახალი მასალა უნდა მივანოდოთ მოსწავლეს დანაწევრებულად ინფორმაციის დამუშავების თითოეულ ეტაპზე;
- ინფორმაცია კავშირში უნდა იყოს მოსწავლის მანამდე მიღებულ ცოდნასთან, რათა დავერწმუნდეთ, რომ მას კარგად ესმის საკითხი, რომელიც თავსდება სასწავლო ჩარჩოში ან სქემაში;
- შესაძლებელია გამოვიყენოთ დამახსოვრების ისეთი სტრატეგიები, როგორცაა მეფინგი და მნემონიკა.

შედეგი

- გამოიყენეთ სათაურები და ქვესათაურები წერილობითი დავალებებისას, რათა უზრუნველყოთ მოსწავლეები სტრუქტურით;
- წავახალისეთ დასკვნების გამოყენება ძირითადი საკითხების განსაზღვრის მიზნით.

სასწავლო სტილების განმსაზღვრელი რომლებიც დაკვირვების კრიტერიუმები

სტანდარტული ინსტრუმენტების გამოყენების გარდა, სასწავლო სტილების გარკვეულ დონეზე განსაზღვრა ხდება საკლასო ოთახში დაკვირვებების შედეგად. აღსანიშნავია, რომ ამგვარი დაკვირვება თავისთავად არ არის ხოლმე საკმარისი სასწავლო სტილების განსაზღვრავად, მაგრამ შედეგების შეგროვებამ შესაძლებელია მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვცეს და ამით სრულყოფს სხვა, უფრო ფორმალური შეფასებებიდან მიღებული შედეგები.

დაკვირვებითი შეფასება შეიძლება იყოს დიაგნოსტიკური და მისი მოქნილი ბუნებიდან გამომდინარე, ასევე ადაპტირებადი. გარდა ამისა, მისი გამოყენება ბუნებრივ გარემოშიც შესაძლებელია ინტერაქციურ აქტივობებთან ერთად. რეიდმა და გივენმა (1999) შეიმუშავეს ამგვარი ბაზისი – ინტერაქციული დაკვირვებითი სტილების განსაზღვრა (IOSI). ქვემოთ მოცემულია ამ შრომის ძირითადი საკითხები

ემოციური

► მოტივაცია:

- რა საგნები, დავალებები და აქტივობები აინტერესებს ბავშვს?
- რა სახის კარნახი ან რეპლიკა არის საჭირო ბავშვის მოტივაციის ასამაღლებლად?
- რა სახის წამახალისებელი მოქმედებს ბავშვზე – ლიდერობის გამოყენების შესაძლებლობები, სხვებთან მუშაობა, თავისუფალი დრო თუ ფიზიკური აქტივობა?

► დაჟინება:

- ასრულებს თუ არა ბავშვი ბოლომდე მიცემულ დავალებას შესვენებების გარეშე?
- საჭიროა თუ არა ხშირი შესვენებები დავალების დასასრულებლად?
- პასუხისმგებლობა:
- რამდენად აგებს პასუხს ბავშვი საკუთარ სწავლაზე?
- ბავშვი წარმატებას ან მარცხს საკუთარ თავს მიაწერს თუ სხვებს?

► სტრუქტურა:

- არის თუ არა ბავშვის პირადი ნივთები მონესრიგებული?
- როგორია ბავშვის რეაქცია, როდესაც მას ათავსებენ ორგანიზაციულ სტრუქტურაში?

სოციალური

- ▶ ინტერაქცია:
 - როდის ასრულებს ბავშვი მიცემულ დავალებას ყველაზე წარმატებით – როდესაც მარტო მუშაობს, მეწყვილესთან ერთად თუ მცირე ჯგუფში?
 - საჭიროებს თუ არა ბავშვი მოწონების გამოხატვას მის მიმართ ან ხომ არ სჭირდება მას ხშირად შემოწმება?
- ▶ კომუნიკაცია:
 - არჩევს თუ არა ბავშვი ძირითად მოვლენებსა და დეტალებს?
 - აწყვეტინებს თუ არა ბავშვი საუბარს სხვებს?

შემეცნებითი

- ▶ უპირატესი მოდალობა:
 - რა ტიპის ინსტრუქციას იღებს ბავშვი ყველაზე უკეთ – ნერილობითს, ზეპირს თუ ვიზუალურს?
 - ბავშვი უფრო სწრაფად ნაკითხული მოთხრობის შესახებ სცემს პასუხებს თუ მოსმენილის?
 - თანამიმდევრული თუ პარალელური კითხვა:
 - მისდევს თუ არა ბავშვი ეტაპობრივად თანამიმდევრულ ინფორმაციას თუ პრობლემები აქვს?
 - არის თუ არა ბავშვის განმარტებები ლოგიკური თუ მისი ფიქრები ერთი იდეიდან მეორეზე მონაცვლეობს?
- ▶ იმპულსური/დაფიქრებული:
 - ბავშვის პასუხები სწრაფი და სპონტანურია თუ დაყოვნებული და დაფიქრებული?
 - ითვალისწინებს თუ არა ბავშვი წარსულ მოვლენებს კონკრეტულ ქმედებამდე?

ფიზიკური მობილობა

- დადის თუ არა ბავშვი საკლასო ოთახში ხშირად ან ხომ არ ცმუკავს, როდესაც ზის?

საკვების მიღება

- ხომ არ ღეჭავს ბავშვი ფანქარს, როდესაც მეცადინეობს?

დღე და დრო

- დღის რომელ ნაწილში არის ბავშვი ყველაზე მეტად მოუსვენრად?
- არის თუ არა რაიმე არსებითი განსხვავება დილას და შუადღეს შესრულებულ სამუშაოს შორის?

რეფლექსია**ხმაური**

- ხომ არ ეძებს ბავშვი განსაკუთრებით მყუდრო ადგილებს?

სინათლე

- მოსწონს თუ არა ბავშვს ნახევრად განათებულ ოთახში მეცადინეობა, თუ იქ ურჩევნია, სადაც მეტი სინათლეა?

ტემპერატურა

- ხომ არ ზის ბავშვი თბილ ტანისამოსში, როდესაც სხვებს არ სცივათ?



ავეჯის დიზაინი

- როდესაც აძლევენ არჩევანის საშუალებას, როგორ ურჩევნია ბავშვს წაკითხვა – იატაკზე დამჯდარს, დანოლილს თუ სკამზე გამართულად მჯდომს?

მეტაშემეცნება

- აცნობიერებს თუ არა ბავშვი საკუთარ ძლიერ მხარეებს სწავლის სტილებთან დაკავშირებით?
- ამუღანებს თუ არა ბავშვი თვითშეფასების მცდელობებს?

პროგნოზულობა

- ადგენს თუ არა ბავშვი გეგმებს, მუშაობს თუ არა დასახული მიზნების მისაღწევად თუ თავის ნებაზე უშვებს მოვლენებს?

უკუკავშირი

- როგორ პასუხობს ბავშვი უკუკავშირის სხვადასხვა ტიპებს?
- რამდენად ესაჭიროება მას კარნახი საკუთარი ცოდნის გამოსაყენებლად?

რადგან სწავლის სტილების მრავალი გამოვლინება არსებობს, მათზე ერთდროული დაკვირვება რთულია. დაკვირვების დაწყების ერთ-ერთი გზაა კონკრეტული სწავლის სისტემის არჩევა. შედეგები, როგორც წესი, უფრო მეტია, რაც უფრო ხანგრძლივია დაკვირვება.

დასკვნა

ამ დოკუმენტის მიხედვით, სწავლის სტილებისა და მეტაშემეცნებითი მიდგომების გათვალისწინება სასარგებლოა არა მხოლოდ დისლექსიურ, არამედ ზოგადად, ყველა ბავშვთან მიმართებაში. თუმცა, დისლექსიური ბავშვების სპეციფიური სიძნელეებიდან გამომდინარე, რაც დაკავშირებულია ინფორმაციის მიღებასთან, შემეცნებასთან და შედეგთან, სწავლის სტილების გათვალისწინება განსაკუთრებით შედეგიანია, რადგანაც მისი მეშვეობით ამ კატეგორიის ბავშვებს საშუალება ეძლევათ მოახდინონ უკეთესი კონცენტრაცია და საკუთარი განმასხვავებელი თვისებები მიმართონ სწავლისა და სრული სასწავლო პროგრამის დაძლევისაკენ.

ინდივიდუალური სწავლების მეთოდების კლუსალიზმი

ინკლუზიური კლასისა და სკოლის
ჩამოყალიბების მეთოდი

ბერიტ. ჰ. იონსენი

განათლება ინკლუზიურ გარემოში

სალამანკას დეკლარაცია ყველა სახელმწიფოს მოუწოდებს კანონმდებლობის სახით მიიღოს ინკლუზიური განათლების პრინციპი და უზრუნველყოს ყველა ბავშვის გაერთიანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში (UNESCO 1994:ix). მელ აინსკოუ აღნიშნავს, რომ ბევრმა ქვეყანამ სწორედ სალამანკას დეკლარაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბა ინკლუზიური გარემოს შექმნის სტრატეგიები. მას მაგალითად მოჰყავს ისეთი ქვეყნები, როგორცაა ავსტრალია, განა, უნგრეთი და ჩინეთი (Ainscow 1997:1). ერთ-ერთი ნიშანდობლივი მაგალითია, რომ უგანდის მთავრობამ ახლახან დამტკიცა უნივერსალური დანყებითი განათლების პროგრამა (UPE), რომლის ერთ-ერთი მიზანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პრიორიტეტულობის უზრუნველყოფა. 1997 წელს, მას შემდეგ, რაც პროგრამა ამოქმედდა, სკოლებში 200000-დან 300000-მდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე დარეგისტრირდა (Kristensen, Kristensen 1997). მეორე მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ნორვეგიის გამოცდილება. აქ 1975 წლიდან განმტკიცდა კანონით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების თანაბარი უფლება განათლების მიღებაზე. კანონის მიხედვით, სკოლამ უნდა უზრუნველყოს ინდივიდუალური მოთხოვნების შესაბამისად ადაპტირებული განათლების სისტემა, რომელიც ერთიან ეროვნულ კურიკულუმზე იქნება დაფუძნებული (Johnsen 1998; Royal Norwegian Ministry of Education, Research and the Church 1996:21 - 22). ინკლუზიურ სკოლაში სათანადოდ ადაპტირებული განათლების სისტემა დიდ მოთხოვნებს უყენებს როგორც მასწავლებლებს, ისე ამ სფეროში მომუშავე თეორეტიკოსებს. ეს გულისხმობს განათლების ტრადიციული მეთოდების შეცვლას. მოს-

წავლევებს სხვადასხვა ინტერესები, შესაძლებლობები, ურთიერთობისა და სწავლის სტრატეგიები აქვთ; ზოგს შეიძლება ჰქონდეს შეზღუდული შესაძლებლობებიც. ისეთ გარემოში, სადაც ომი, შიმშილი და ბუნებრივი კატაკლიზმები მძვინვარებს, ასეთ მდგომარეობაში შეიძლება ნებისმიერი ბავშვი და მოზრდილი ადამიანი აღმოჩნდეს. შეიძლება არსებობდეს სიძნელეებიც სწავლასთან დაკავშირებით. ამიტომ აუცილებელია ყველა კლასში შეიქმნას ისეთი გარემო, რომელიც ყველა მოსწავლის შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებს შეესაბამება, ანუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უნდა იყოს ნებისმიერი შესაძლებლობის მქონე ბავშვების გაერთიანების ადგილი. ინკლუზიურ სკოლაში ადაპტირებული განათლების ეს პრინციპი ბაღებს სერიოზულ შეკითხვებს, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლების სფეროში მომუშავე მასწავლებლებისა და მეცნიერების მიერ. რა პროფესიული ცოდნაა საჭირო ინკლუზიური კლასის ჩამოყალიბებისათვის? ეს კითხვა ეხება ინკლუზიური სკოლის – საყოველთაო სკოლის განვითარებას. იგი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეხება სკოლის პოლიტიკას, კულტურას და განათლების პრაქტიკას მიუხედავად იმისა, ზოგად საგანმანათლებლო სკოლაა ის, განსაკუთრებული დაწესებულება თუ სპეციალური სკოლა. როგორც აღვნიშნეთ, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ინკლუზიის განვითარების შესახებ მრავალი წიგნი და სტატია დაიწერა. მათში წარმოდგენილია თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა პროფესიული მიდგომა, მოდელი და მეტაფორა, თუმცა, ბუნებრივია, ვერცერთი წიგნი ვერ განიხილავს ყველა მნიშვნელოვან საკითხს ერთდროულად. ასე მაგალითად, კურიკულუმის მოდელის მთავარი მიზანია ნათელი მოჰფინოს ზოგიერთ ძირითად საკითხს, რომელიც მნიშვნელოვანია ადაპტირებული განათლების განსახორციელებლად ინკლუზიურ კლასში.

კურიკულუმის მოდელი

კურიკულუმის მოდელი არის პროფესიული მეთოდი, რომელიც გულისხმობს ინდივიდუალური შესაძლებლობების პლურალიზმის უზრუნველყოფას სწავლების პროცესში. მისი ძირითადი მიზნებია:

- სწავლების პროცესების მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა;

- ამ ასპექტებსა და პროცესებს შორის ურთიერთდამოკიდებულების მხარდაჭერა;
- მნიშვნელოვანი სუბ-ასპექტებისა და პროცესების აღმოჩენა, შესაბამისი ცოდნის შექმნა და სწავლების უნარ-ჩვევების გაუმჯობესება იმ მიზნით, რომ ხელი შეეწყოს ინკლუზიური კლასის ჩამოყალიბებას;
- მოკლე და გრძელვადიანი გეგმების განხორციელება;
- სწავლების პროცესის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების სისტემატიურობა.

მოდელის აღწერამდე საჭიროა აღვნიშნოთ, მისი ორი ძირითადი ასპექტი.

პირველი, ეს არის თეორიები და მოდელები რომლებიც მუდმივი კომპლექსური რეალობის გამარტივებული აღწერილობაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი არასოდეს მოიცავენ რეალობის ყველა დეტალს. ეს ასევე ეხება ქვემოთ წარმოდგენილ მოდელს (Bjorndal 1987:10; Bjorndal and Lieberg 1978:132, 136; Burke 1994:28; Gundem 1991:115; Kjeldstadli 1992:126, 135 - 140; Kvernbekk 1994:18-21; Lave & March 1975:3-4).


მეორე ასპექტი ეხება კურიკულუმს. ვინაიდან ზემოთხსენებული თეორიები და მოდელები ბევრს არაფერს ამბობენ უშუალოდ სწავლების პროცესზე, ამ ინფორმაციას კურიკულუმში გაგვაცნობს. კურიკულუმის მოდელი ხანგრძლივი კვლევის პროცესის დროებითი შედეგია, მისი პირველი ნიმუში 1994 წელს გამოქვეყნდა, თუმცა პრეზენტაციის შემდეგ, 1998 წელს მნიშვნელოვანი ცვლილებებიც განიცადა (Johnsen 1994; 1998). ეს მოდელი ეფუძნება რვა კლასიკურ საგანმანათლებლო კერას, რომელთაგან რამდენიმეს ისტორიული ფესვები აქვს (Johnsen 1998/2000). თავდაპირველად ამ მოდელს ბორნდალმა და ლიბერგმა დიდაქტიკური ურთიერთობის მოდელი უწოდეს. იგი მრავალი წლის სწავლისა და კურიკულუმის განვითარების შედეგს წარმოადგენდა. (Bjorndal 1987; Bjorndal & Lieberg 1978).

კურიკულუმის რვა ძირითადი ასპექტი ერთმანეთზეა დამოკიდებული. ეს ასპექტები გახლავთ:

- მოსწავლე (მოსწავლეები);
- შემზღვეველი ფაქტორები;
- მიზნები;
- შინაარსი;

- სტრატეგიები, მეთოდები და ორგანიზაცია;
- შეფასება;
- ურთიერთობა;
- მზრუნველობა.

მომდევნო თავში მოკლედ მიმოვიხილავთ ამ ასპექტებს მაგალითებითურთ.



ნახატზე: კურიკულუმის მოდელი, რომელიც ასახავს სწავლების მნიშვნელოვან ასპექტებს.

მოსწავლე

მოსწავლე ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტია განათლების მიღების პროცესში და, შესაბამისად, კურიკულუმის მოდელის მთავარ ფოკუსსაც იგი წარმოადგენს. ზემოაღნიშნულ პროცესში უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის გამოცდილება, ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები. ამგვარი ხედვა შეესაბამება ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო ტრადიციებს. მის საწინააღმდეგო მოსაზრებას წარმოადგენს დისციპლინაზე ორიენტირებული

განათლება, რომელიც ითვალისწინებს დისციპლინის ლოგიკასა და შინაარსს. როდესაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება მოსწავლეს მიკრო პერსპექტივაში განიხილავს, სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები ყურადღებას ამახვილებენ ან მოსწავლეზე, ან სასკოლო განათლების მიზნებსა და შინაარსზე. აქ წარმოდგენილ მოდელში, მოსწავლისა და სკოლის როლი, ისევე როგორც შინაარსი, განხილულია სხვა მნიშვნელოვან ასპექტებთან ერთად. დისციპლინაზე ორიენტირებული განათლება უშუალოდ არის დაკავშირებული პრაქტიკული სწავლების პროცესთან, რომელიც ხშირად ითვალისწინებს მოსწავლის სწავლის შედეგების შეფასებას. სწავლისა და შეფასების ამგვარი მეთოდი ეწინააღმდეგება ინდივიდუალურად ადაპტირებულ განათლებას.

ინკლუზიის განვითარება მოითხოვს შემდეგი ცვლილებების გატარებას:

- ვიწრო დისციპლინაზე ორიენტირებული მეთოდის შეცვლა მოსწავლეზე ორიენტირებული განათლებით;
- მოსწავლის სწავლების შედეგების ვიწრო შეფასების მეთოდის შეცვლა სწავლების პროცესისა და შედეგების ზოგადი შეფასებით.

როდესაც მთავარი ფოკუსი ორიენტირებულია მოსწავლეზე, მასწავლებლების ცნობიერებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას. ეს ფაქტორები სხვადასხვა ანტაგონისტური იდეებიდან, ტრადიციებიდან, თეორიული, პრაქტიკული ცოდნიდან და მოსწავლის კონკრეტული გამოცდილებებიდან იღებს სათავეს. მოსწავლეზე ორიენტირებისას მნიშვნელოვანია ჩვენი დამოკიდებულება ზოგადად ადამიანის ბუნების, ბავშვობისა და სწავლების პროცესის მიმართ. ეს დამოკიდებულება და შეხედულებები განსხვავდება, კულტურების მიხედვით და ამასთან, მეტ-ნაკლები მიზანშეწონილობით, კულტურული გარემოდან გამომდინარე. (Johnsen 1998/2000).

მოსწავლის ბუნების პროფესიული კუთხით გაგება დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- სწავლების და განვითარების პროცესის ზოგადი ცოდნა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების სწავლების სტრატეგიების ცოდნა;
- ინდივიდუალური სწავლების სტრატეგიების, ინტერესების და ურთიერთობის ცოდნა (Nafstad 1993).

თუ განვაზოგადებთ, ეს დამოკიდებულია იმაზე, როგორ ვსწავ-

ლობთ და როგორ ვითარდება ჩვენი განათლება. სხვადასხვა ტრადიციას ამ კითხვაზე განსხვავებული პასუხი აქვს. გავიხსენოთ რუსი მეცნიერის, ლევ ვიგოდსკის სიტყვები: სწავლის პროცესში ერთი ნაბიჯის წინ გადადგმის დროს ბავშვი ორი ნაბიჯით დანიშნულდება განვითარების მხრივ. ანუ, სწავლისა და განვითარების პროცესები არ ემთხვევა ერთმანეთს. (Vygotsky in Cole et.al. 1978:84).

ვიგოდსკი ასევე ამბობს:

როდესაც ბავშვი გარკვეული მოქმედების შესრულებას ისწავლის, იწყებს სხვა სფეროს სტრუქტურული პრინციპების ასიმილაციას შესწავლილ მოქმედებასთან (Vygotsky in Cole et.al. 1978:83-84).

ვიგოდსკის თანახმად, განვითარება არის სწავლების თანამდევო პროცესი, რომელიც წინ უძღვის იმ სპეციფიკურ სოციალურ ბუნებას და პროცესს, სადაც ბავშვები ინტელექტუალებად ვითარდებიან (Vygotsky in Cole et.al. 1978:88). სწავლების პროცესი ხორციელდება განვითარების ზონაში. მან ეს ზონა შემდეგნაირად დაახასიათა:

ეს არის მანძილი აქტიური განვითარების დონესა და პოტენციური განვითარების დონეს შორის, რომელიც განისაზღვრება პრობლემის გადაწყვეტის გზით (Vygotsky in Cole et.al. 1978:86).

ამ განმარტების თანახმად, სწავლების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მასწავლებელი, კლასელები და ზოგადად არსებული სიტუაცია. შედეგად, მოსწავლის შეფასება არის მხოლოდ ნაწილი საჭირო ინფორმაციისა მოსწავლის შესახებ და ამდენად არ არის საკმარისი მისი შემდგომი განვითარების შეფასებისთვის. ამრიგად, გასათვალისწინებელია მთელი რიგი გარე ფაქტორები. კურიკულუმის მოდელი განიხილავს ამ რთული გარემოს ძირითად ასპექტებს. როგორ ჩავწვდეთ მოსწავლის ბუნებას? ამ კითხვას შეიძლება ვუპასუხოთ შეფასების კრიტერიუმების გათვალისწინებით. არსებობს ინფორმაციისა და თანამშრომლობის რამდენიმე მნიშვნელოვანი წყარო. აქ განვიხილავთ ურთიერთობას მოსწავლესთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან. ინფორმაციისა და თანამშრომლობის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა მოსწავლე. მოსწავლის საჭიროებათა შეფასება ხდება რეგულარული ურთიერთობის და მისი მუშაობის ფორმალური და არაფორმალური შეფასების შედეგად. აუცილებელია ვესაუბროთ მოსწავლეებს მათ განათლებაზე. უფრო მეტიც, მნიშვნელოვანია მოვუსმინოთ და გავიგოთ მათი ინტერესებისა და პრიორიტეტების შესახებ,

სწავლების რა მეთოდებსა და სტრატეგიებს ირჩევენ ისინი. თუკი მოსწავლე ბავშვობის ასაკშია, დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობას და თანამშრომლობას მის მშობლებთან, რადგან ისინი მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების მთავარი შემფასებლები არიან. ისინი, როგორც წესი, კარგად ფლობენ ინფორმაციას თავიანთი ბავშვების შესახებ, მაგრამ არანაკლებ სჭირდებათ მასწავლებლებთან თანამშრომლობა, რათა მეტი შეიტყონ ბავშვის შესაძლებლობების შესახებ. ამრიგად, მშობლებთან ინფორმაციის რეგულარული გაცვლა და ურთიერთობა მეტად მნიშვნელოვანია.

არსებობს მშობლებთან თანამშრომლობის რამდენიმე გზა. იმ შემთხვევაში, როცა არსებობს ხელშემწყობი პირობები, საჭიროა შეხვედრის დაგეგმვა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მშობლები ხშირად სხვებზე მეტად იმყოფებიან მძიმე განცდებში ან დაძაბულ, ალგზნებულ მდგომარეობაში. ეს ბუნებრივია, მშობლები მუდამ განიცდიან და ზრუნავენ ბავშვის მომავალზე, მაშინაც კი, როცა სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები მინიმალურია. გარდა ამისა, ბევრი მშობელი სკეპტიკურად უყურებს სკოლაში შექმნილ მდგომარეობას და მასწავლებლებთან შეხვედრაზე თავს არაკომფორტულად გრძნობს. ინდივიდუალური კურიკულუმის არსებობა წერილობითი სახით მშობლებს დაეხმარებოდათ ბავშვის სწავლების პროცესზე ფოკუსირებაში.

ინდივიდუალური კურიკულუმისა და განათლების პროგრამების შესახებ არსებული ლიტერატურის ნაწილი მშობლებს ურჩევს შეუერთდნენ კურიკულუმის შემდგენელთა თანამშრომლობით ჯგუფებს (Fox & Williams 1991; Strickland & Turnbull 1993). თუმცა, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ, მიუხედავად ასეთი კომიტეტის წევრობისა, მშობლები შეიძლება „დაფრთხნენ“ სპეციალისტებთან ოპონირების დროს. ამიტომაც საჭიროა ადაპტირება და მათი მოთხოვნილებების გათვალისწინება. მნიშვნელოვანი ფაქტორია, აგრეთვე, მასწავლებლების თანამშრომლობა იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ ინდივიდუალური და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მოთხოვნილებები. მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლის და სპეციალური განათლების სფეროში მომუშავეების ურთიერთობა ერთსა და იმავე მოსწავლესთან (Dalen 1982; Dyson 1998; Fox & Williams 1991; Strickland & Turnbull 1993). მაგალითად, ნორვეგიულ დაწყებით სკოლებში ამ ფუნქციას, ჩვეულებრივ, მასწავლებელი ახორციე-

ლებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების სფეროში მომუშავე პირები უფრო ზოგად შეფასებაზე მუშაობენ. ზოგიერთ ქვეყანაში მშობლებთან თანამშრომლობა ევალებათ საგანმანათლებლო-ფსიქოლოგიური სამსახურის ჯგუფებს და დახმარების ცენტრებს. მათ ფუნქციებში შედის სამეცნიერო კვლევის განახლებაც. პოტენციურ თანამშრომლებად გვევლინებიან ასევე სხვა პროფესიის წარმომადგენლები. თანამშრომლობა შეიძლება შედგეს მოკლევადიანი შეხვედრის სახით ან რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბებით. მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების მონაწილეობა ინკლუზიის პრინციპის განვითარებაში.

შემზღუდველი ფაქტორები

როდესაც მოსწავლე ყურადღების ცენტრშია, მის არჩევანსა და შესაძლებლობებზე დიდ გავლენას ახდენენ გარე ფაქტორები, რაც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ინდივიდუალური და საკლასო კურიკულუმის შედგენისა და შეფასებისას. სკოლა, როგორც დანესებულება, დამოკიდებულია და მოქმედებს გარკვეულ ჩარჩოში, რომელიც რამდენიმე ფაქტორს აერთიანებს. ეს ფაქტორებია კანონმდებლობა, ეკონომიკური და ადამიანური რესურსები, ფიზიკური, სოციალური და კულტურული ასპექტები. ეს შემზღუდველი ფაქტორები განსაზღვრავენ პროცესების მიმართულებას, თუმცა, ამავე დროს ქმნიან შესაძლებლობებს. სწორედ ამიტომ მიიჩნევენ მათ კურიკულუმის მოდელის ერთ-ერთი მთავარ ასპექტად.

ბევრ ქვეყანაში განათლების პოლიტიკა ოფიციალურ საგანმანათლებლო უფლებებს, მოვალეობებს და მიზნებს გულისხმობს. უმრავლეს შემთხვევაში, ეს დაკავშირებულია ისეთ საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან, როგორიცაა ინკლუზიური სკოლის პრინციპი. თუმცა, ეროვნული საკანონმდებლო აქტები და კურიკულუმები ზოგჯერ აწესებენ განსხვავებულ მიზნებს, რომლებიც ერთმანეთს არ შეესაბამება. ეს მოვლენა ნაკლებად ახასიათებს იმ ქვეყნებს, სადაც დემოკრატიის პროცესი აქტიურად ვითარდება. ეს შეიძლება განპირობებული იყოს იმით, რომ კანონმდებლობა სხვადასხვა ინტერესების კომპრომისების შედეგია (Englung 1986;

Johnsen 1998/2000). ინდივიდუალური და საკლასო კურიკულუმის შედგენის დროს, ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა ინტერპრეტირებული უნდა იყოს. განხორციელების პროცესში ისინი ასევე უნდა შეესაბამებოდნენ კურიკულუმის ძირითად ასპექტებს და შემზღუდველ ფაქტორებს.

ეროვნულ ბიუჯეტს ზოგ ქვეყანაში მეტსახელად უწოდებენ „კანონთა კანონს“, რადგან განათლებასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებული საბიუჯეტო საკითხები გავლენას ახდენს კანონის მიზნებზე. შემზღუდველ ფაქტორთა შორის ყველაზე დიდი მსჯელობის საგანია ეკონომიკა. ყველაზე ხშირად გვავინყდება, რომ ეკონომიკური რესურსების განაწილება დამოკიდებულია პოლიტიკოსებისა და სახელმწიფო მესვეურების მიერ დადგენილ პრიორიტეტებზე.

განათლების რესურსებთან არა მარტო ეკონომიკაა დაკავშირებული. ინკლუზიური სკოლის განვითარების პროცესში, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია პროფესიონალიზმი, მასწავლებლების განათლების ხარისხი და პერსპექტიულობა. ინკლუზიური სკოლის პრინციპების რეალობად ქცევა მოითხოვს პროფესიონალიზმს, სათანადო უნარ-ჩვევებს და შემოქმედებითობას. შედეგად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სკოლებისა და კლასების ადაპტირების პროცესში. ანალოგიური შემთხვევაა სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებითაც.

სკოლის შენობა და მისი გარემო გავრთიანებულია ფიზიკურ ფაქტორში. სკოლების ფიზიკური ფაქტორი დიდად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. საკლასო ოთახი შეიძლება იყოს ბნელი და ცივი, ხოლო კარები – მეტად ვიწრო. სკოლის ეზო შეიძლება იყოს მეტად პატარა და დაუსუფთავებელი, ხოლო ქუჩები გადატვირთული. შენობები შეიძლება იყოს პატარა, მაგრამ უსაფრთხო ისეთ გარემოში, სადაც არის მინდორი, ხეები და ყვავილები, აქ ბავშვებს ექნებათ თამაშისა და სწავლის შესაძლებლობა. შენობები შეიძლება იყოს სუფთა და ლამაზიც, ხოლო მაგიდებისა და სკამების ზომა მოსწავლეების შესაბამისად ადაპტირებული. ზოგან სკოლის შენობა ადგილობრივი საზოგადოების თავშეყრის ადგილია, ანუ წარმოადგენს განათლების კერასაც და საზოგადოების კულტურულ ცენტრსაც. ზოგ ქვეყანაში შესაფერისად ადაპტირებული განათლების სისტემის შექმნა და სკოლაზე ზრუნვა მეტად პრიორიტეტული საკითხია.

ფიზიკური გარემოს მცირედი ცვლილებამაც კი შეიძლება გამოიწვიოს სწავლების სიძნელების შემცირება ან აღმოფხვრა. მაგალითად, ბნელი საკლასო ოთახი შეიძლება განათდეს და მოსწავლეებისთვის უფრო ადვილი გახდეს ტექსტებისა და დაფაზე ნაწერის ნაკითხვა. სხვა მაგალითი შეიძლება იყოს სმენადაქვეითებული მოსწავლე, რომელიც კლასში მასწავლებლის სახის გამომეტყველებას აკვირდება. ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია საკლასო ოთახის ტექნიკური აღჭურვა და სამუშაო პირობები. გასული ათწლეულების განმავლობაში განვითარდა ახალი ტექნოლოგიები, რომელთაც რადიკალურად გაზარდეს მასწავლებლის შესაძლებლობები. თუმცა, ახალი ტექნოლოგია დამოკიდებულია ეკონომიკურ ფაქტორზე და ინფრასტრუქტურაზე. არსებობს საფრთხე, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიის შედეგად ბზარი დასავლურ სკოლებსა და სამხრეთის საგანმანათლებლო შესაძლებლობებს შორის კიდევ უფრო გაღრმავდება, ვინაიდან მათ შორის ეკონომიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით დიდი განსხვავებაა და ამ ტექნოლოგიის დანერგვა ნაკლებად მისაწვდომი იქნება სამხრეთში.

არსებობს რიგი სხვადასხვა *სოციალური და კულტურული ჩარჩო-ფაქტორები*, რომლებიც განსაზღვრავს სკოლის შიდა ღონისძიებებს. ური ბრონფენბრენერი (1979) ადამიანის განვითარებისადმი მიძღვნილ ნიგნში აღწერს ადგილობრივ საზოგადოებას და მის სოციალურ და ეკონომიკურ სტრუქტურას, ბუნებრივი გარემოსა



და დასაქმების შესაძლებლობებს, როგორც სწავლების პროცესის განმსაზღვრელ ფაქტორებს. ნორვეგიაში, დაწყებითი სკოლის ადგილობრივმა პროექტმა ნათელი მოჰფინა წინააღმდეგობებსა და დილემას, როდესაც ცენტრალიზებული ეროვნული კურიკულუმი მორგებული იყო დედაქალაქის სოციალურ და კულტურულ ფაქტორებს (Hogmo 1981). პროექტში გამოხატულმა კრიტიკამ და ალტერნატიული კურიკულუმის შედგენამ დიდი გავლენა მოახდინა ნორვეგიულ საგანმანათლებლო მსჯელობასა და ოფიციალურ პოლიტიკაზე. მომდევნო ეროვნულმა კურიკულუმმა (1987) ადგილობრივი კურიკულუმი განათლების პროცესის დაგეგმვის სავალდებულო ნაწილად გამოაცხადა. მთავარი მიზანი იყო ზოგადი ეროვნული მიმართულებების ადგილობრივი გარემოს შესაბამისად განხორციელება.

სკოლასა და მოსწავლის სწავლების შესაძლებლობებზე გავლენას ახდენს მთელი რიგი სოციალური და კულტურული ფაქტორები. მრავალ ქვეყანაში კითხვის სწავლასთან დაკავშირებით პრობლემას წარმოადგენს სხვა ენების შესწავლა და კითხვა. ასევე საჭიროა მშობლების გაუნათლებლობის ფაქტორის გათვალისწინება სკოლის კურიკულუმში. განათლების საკითხების პრიორიტეტები განისაზღვრება სოციალური და კულტურული ფაქტორებით როგორც ადგილობრივ, ისე ეროვნულ დონეზე. მნიშვნელოვანი ასპექტია შეხედულებები და დამოკიდებულებები, რომლებიც გავლენას ახდენენ იმაზე, თუ როგორ არის ინფორმაცია გაგებული და გადაწყვეტილებები მიღებული. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ შემდეგი კითხვები: საჭიროა თუ არა სკოლამ პრიორიტეტები მიანიჭოს ე.წ. „ყველაზე ჭკვიან“ მოსწავლეებს? დგანან თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები საფრთხის წინაშე? აღიქვამენ თუ არა მათ როგორც ბუნებრივ

მრავალფეროვნებას?

აშკარაა, რომ რამდენიმე ფაქტორი ნათლად არის განსაზღვრული და დაკონკრეტებული; მათ შორისაა, მაგალითად, ეკონომიკური ფაქტორი. თუმცა არსებობს უფრო რთული ფაქტორებიც, რომელნიც ხშირად სახელმწიფოთაშორისი დებატების და დისკუსიების საგანს წარმოადგენენ. ზოგადად, ეს ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიის განვითარებაში და არანაკლებ მნიშვნელოვანია თითოეული მასწავლებლისათვის, შეზღუდული შესა-

ძლებლობის მქონე ბავშვების განათლების სფეროში მომუშავე სპეციალისტთა ჯგუფისთვის. მათ შეუძლიათ შეაფასონ და გაითვალისწინონ, თუ როგორ მოქმედებენ ეს ფაქტორები განათლების შესაძლებლობებზე, თითოეული მოსწავლის სიძნელეებზე კონკრეტულ კლასებსა და სკოლებში.

მიზნები

სკოლებში სპეციალიზებული განათლება განსაზღვრულია განათლების შესახებ საკანონმდებლო აქტებითა და სხვა კანონებით. მასწავლებლების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების სფეროში მომუშავე პირების პროფესიული საქმიანობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს კონკრეტული სახის მიცემას ზოგადი მიზნებისათვის და მათ ადაპტირებას მოსწავლეების საჭიროებებისა და შესაძლებლობების მიხედვით.

ტრადიციულად განსაზღვრულია განათლების სამი ძირითადი მიზანი, რომელიც გათვალისწინებულია სხვადასხვა დონეზე და დროის პერსპექტივაში. ჩვეულებრივ, მათში განასხვავებენ ზოგად, მოკლე და გრძელვადიან მიზნებს, თუმცა ამ ტერმინოლოგიას სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად იყენებენ.

საზოგადოებამ ეს ტრადიციები უნდა გადასცეს ახალ-ახალ თაობებს, რათა ხელი შეეწყოს მათი პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას. განათლების ეროვნული აქტები მკაფიოდ ასახავს ამ აუცილებლობას თავის მიზნებში. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია, რომ მოსწავლეებს აქვთ პირადი მიზნები და არჩევანის უფლება, სამომავლო გეგმები და ოცნებები.

ინდივიდუალური კურიკულუმის სასწავლო მიზნები შედგება შემდეგი სამი კომპონენტისგან:

- განათლების შესახებ საკანონმდებლო აქტებით და სხვა კანონებით გათვალისწინებული მიზნები;
- ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები;
- მოსწავლის ცოდნის, უნარ-ჩვევების და პოტენციალის შეფასება.

ამრიგად, მიზნები და ამოცანები შეესაბამება კონკრეტული საგანმანათლებლო რეფორმების განხორციელების მომენტში არსებულ პოლიტიკას. თუ კი არსებული კანონმდებლობა მეტად

შეზღუდულია იმისათვის, რომ უზრუნველყოს მოსწავლის მოთხოვნილებები, ლოგიკური გამოსავალი იქნება გარკვეული გამოწვევების დაშვება. ადაპტაციის ამ პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლესთან დიალოგს და თანამშრომლობას. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, მშობლებთან, მასწავლებლებთან და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობა, განსაკუთრებით კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას. კონკრეტული მიზნების გარდა, განათლების სფეროში ასევე აუცილებელია ალტერნატიული მიზნების დასახვა და სამომავლო პროფესიული შესაძლებლობების უზრუნველყოფა.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების ბევრი მშობელი ზრუნავს მათ მომავალზე. რეგულარული დიალოგი და თანამშრომლობა მშობლებსა და სკოლას შორის მეტად მნიშვნელოვანია რეალური გრძელვადიანი მიზნების განსახორციელებლად. სხვადასხვა ქვეყანაში ადგილობრივი მომსახურების ქსელი დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მომავლის განსაზღვრა ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა მოხდეს. თანამშრომლობა კი საფუძველს დაუდებს ახალი იდეების ჩამოყალიბებას. თუმცა, ე.წ. კარგი იდეები უცვლელად ვერ და არც უნდა განხორციელდეს ყველა საზოგადოებაში. მნიშვნელოვანია იდეების განხილვა და გაანალიზება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

სკოლაში არსებული მდგომარეობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების პირობების გათვალისწინებით, უნდა დაისახოს ინდივიდუალური მიზნები და ამოცანები. ჰაუარდ გარდნერის (1993; 1993ა) იდეა მრავალმხრივი ინტელექტის შესახებ ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ არ არის გამართლებული ნაკლები ყურადღება სხვა საგნებისადმი, რაკი ბავშვს გარკვეულ საგნებში განსაკუთრებული წარმატებები აქვს. ეს დამატებით სიძნელეებს წარმოქმნის საერთო განვითარებაში. გარდნერი აკრიტიკებს თანამედროვე განათლებაში ლინგვისტური და ლოგიკურ-მათემატიკური ინტელექტისადმი ყურადღების შემცირებას და აღნიშნავს, რომ, ამას გარდა, არსებობს მუსიკალური, პერსონალური, სოციალური ინტელექტი. ინტელექტის ყველა სახეობას სჭირდება სკოლაში განვითარება. ამრიგად, განათლება არის არა მხოლოდ საგნის შესწავლა და მასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება, არამედ აქტიური და პასუხისმგებლობის

გრძნობის მქონე ინდივიდების ჩამოყალიბება. შესაბამისად, არსებობს ზოგადი მიზნები – მოსწავლეს განუვითარდეს პასუხისმგებლობის გრძნობა, თვითდაჯერებულობა, ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, მოთმინება, თანაგრძნობა და მზრუნველობა. ლიტერატურაში ინდივიდუალური კურიკულუმის შესახებ შეინიშნება ადამიანის ზოგადი ბუნების განვითარების მიზნების დასახვის მზარდი ტენდენცია. ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი უფრო ტრადიციულ ლიტერატურაშიც (Ekeberg & Holmberg 2000; Fox & Williams 1991; Gunnestad 1992; Nordahl & Overland 1996; Putnam 1993; Strickland & Turnbull 1993; Vedeler 1990).

დახმარების თვალსაზრისით განვიხილოთ განათლების მიზნების სუბკატეგორიები. კერძოდ, განვიხილოთ ოთხი განსხვავებული კატეგორია თავისი მაგალითებითურთ, რომელიც ეხება გარკვეული უნარ-ჩვევების შესწავლას, ცოდნას, დამოკიდებულებების განვითარების შესაძლებლობებს და სწავლის გამოცდილებას. სწავლების პროცესის მიზნების განსახორციელებლად გარკვეული უნარ-ჩვევების შესწავლის საკითხი გულისხმობს დანერჩილებით კატეგორიზაციას. ზემოაღნიშნულ კატეგორიზაციაში იგულისხმება ყოველდღიური მოქმედებები, მათ შორის ჩაცმა ან სუფრის დამოუკიდებლად განყოფილება. სხვადასხვა საგნის მიზნები შეიძლება გავაერთიანოთ ცოდნის სფეროში, რომელიც მოსწავლეებს სხვადასხვა სახით მიეწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი უნარ-ჩვევა შეიძლება ადვილად იქნას ტრანსფორმირებული კონკრეტულ შემთხვევაში, ზოგჯერ მათი აღწერა უფრო რთულია. უფრო მეტიც, არსებობს უფრო სერიოზული ეთიკური პრობლემები რომლებიც დაკავშირებულია მოსწავლის ქცევასთან და შეუძლებელია მათი განსაზღვრა ნიშნების ან წერილობითი დასკვნის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, დადებითი დამოკიდებულებების განვითარება განათლების სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია და არ შეიძლება მათი იგნორირება შეუფასებლობის გამო. კურიკულუმის გეგმაში ისინი დახასიათებულია, როგორც დამოკიდებულებების განვითარების შესაძლებლობები ლიტერატურის, ფილმის, პოეზიის, მუზეუმებში სიარულის და სხვა ღონისძიების მეშვეობით.

მიზნების მეოთხე კატეგორია ეხება გამოცდილების შექმნას. განვიხილოთ ფართოდ გავრცელებული მაგალითი: ქალაქის რამდენიმე სკოლას განზრახული აქვს ფერმაში სტუმრობა იმ მიზნით, რომ ბავშვებმა შეძლონ რეალურად ნახონ და შეეხონ ცხოველებს,



რომელთა ნახვა აქამდე მხოლოდ სურათებიან ნიგნებსა და ტელევიზორში შეეძლოთ. მოსწავლისათვის ამ და სხვა ისეთი შესაძლებლობების მიცემა, როგორცაა გამოფენაზე, თეატრებში სიარული, გამოცდილების შექმნას ნიშნავს. ზოგიერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს არა აქვს ამგვარი შესაძლებლობა, თუ ჩვენ არ შევეუქმნით სათანადო პირობებს. შეხებითი ხელოვნება ვითარდება მხედველობა დაქვეითებული ბავშვებისათვის, მუსიკას უკრავენ სმენადაქვეითებული ბავშვებისათვის, რათა შეიგრძნონ ვიბრაცია და ა.შ. ეს გახლავთ როგორც საგანმანათლებლო, ისე საზოგადოებრივი მიზნები, რომელთა ფორმულირება შეიძლება შემდეგი სახით: გამოცდილებების შექმნის თანაბარი შესაძლებლობების შექმნა.

ზემოაღნიშნული არის მხოლოდ მოკლე დახასიათება იმ ასპექტებისა, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ ინდივიდუალურ და საკლასო კურიკულუმის შედგენის დროს.

შინაარსი

განათლების სისტემის მიზანი და შინაარსი მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან. ორივე მათგანი პასუხია კითხვაზე, თუ რას წარმოადგენს კონკრეტული განათლება და რა მიზნებს ემსახურება იგი. განათლების სისტემის შინაარსი შეიძლება გავიგოთ როგორც საფუძველი და ფასეულობები, რომლებიც განათლებულ პიროვნებად აყალიბებენ მოსწავლეს. ეს განსაზღვრება წარმოადგება ზოგადი შეხედულებებიდან განათლებული პიროვნების შესახებ. ამასთან დაკავშირებით გერმანელი მეცნიერი ვოლფგანგ კლაფკი აღნიშნავდა:

... რელატივიზმი შეიცავს განათლების შინაარსს, ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მის ფასეულობებს. თუ რა იგულისხმება განათლების შინაარსში, ამის გაგება შესაძლებელია იმ კონკრეტული მოსწავლეებისა და მოზრდილების შესწავლით, რომლებიც განათლებას იღებენ. ზემოაღნიშნულის შესწავლა ასევე შესაძლებელია კონკრეტული ისტორიული სიტუაციით, წარსულისა და მომავლის გათვალისწინებით (Klafki 1999:148).

ბორნდალი და ლიბერგი (1978) სოციალურ-კულტურულ და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომაზე საუბრისას განათლების შინაარსის სხვა მთავარ კრიტერიუმებთან – ხარისხობრივ და რაოდენობრივ კრიტერიუმებთან ერთად ყურადღებას ამახვილებენ განათლების სისტემის შინაარსის შესაბამისობაზე. თუმცა, ზოგადი განათლების სფეროში მოღვაწე სხვა ნორვეგიელი მეცნიერები შინაარსსა და მოსწავლეების სხვადასხვა ჯგუფებს შორის დამოკიდებულებას ნაკლებად ეხებიან. კლასში მოსწავლის ინდივიდუალობაზე ორიენტირება ინკლუზიურ პროცესში აქცევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების ტრადიციას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. განათლების სისტემის შინაარსის შესახებ დებატებსა და გადანყვეტილებებს ადგილი აქვს როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე. მაკრო დონეზე ფილოსოფიური და თეორიული მსჯელობა სათავეს იღებს ანტიკური ხანის პერიოდიდან, ხოლო სამეცნიერო კვლევა შედარებით თანამედროვე ფენომენია. პოლიტიკური გადანყვეტილებები მიიღება მაკრო დონეზე. განათ-

ლების სისტემის შინაარსი სხვადასხვა გზით გამოიხატება. ზოგი ეროვნული კურიკულუმი მას ზოგადად განსაზღვრავს, ხოლო ზოგი დეტალურ მიმართულებებს იძლევა. მიკრო დონეზე იგი წარმოადგენს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მასწავლებლების პროფესიულ მოვალეობას, რათა ერთმანეთთან დააკავშიროს ოფიციალური კურიკულუმი და კონკრეტული სასწავლო სიტუაცია. სპეციალურ ლიტერატურასა და ეროვნულ კურიკულუმებში განათლების სისტემის შინაარსის ამსახველი სხვადასხვა კონცეფციაა ჩამოყალიბებული. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია კატეგორიზაცია სკოლის საგნებისა და თემების მიხედვით, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება უფრო დეტალური სახით დაიყოს. შემდეგი ნაბიჯი ვახლავთ მაკრო და მიკრო დონეების შერწყმა და ალტერნატიული სასწავლო ღონისძიებების ჩატარება. პრაქტიკოს მასწავლებლებთან თანამშრომლობის საფუძველზე, ბორნდალმა და ლიბერგმა (1978:116-118) ჩამოაყალიბეს სასწავლო ღონისძიებების ზოგადი კრიტერიუმები:

- ♦ ზოგადი სასწავლო პროგრამის თანმიმდევრობა;
- ♦ მიზნების შესაბამისობა;
- ♦ მრავალფეროვნება;
- ♦ ინდივიდუალურ მოსწავლეებთან და ჯგუფთან ადაპტირება;
- ♦ ბალანსი და შეჯამება;
- ♦ შესაბამისობა;
- ♦ სხვა სასწავლო ღონისძიებებთან ოპტიმალური ინტეგრირება;
- ♦ მოსწავლეების არჩევანის გათვალისწინება.

ასევე პრაქტიკოს მასწავლებლებთან თანამშრომლობით, ინგლისელმა მეცნიერებმა ბუთმა და აინსკოუმ (2000:77) განათლების სისტემის შინაარსის აღსანიშნავად შემოიღეს ცნება „გაკვეთილი.“ სკოლის ინკლუზიურ განვითარებასთან დაკავშირებით მათ ჩამოაყალიბეს გარკვეული კითხვები საკლასო ოთახის მონიტორინგისათვის:

- ♦ იღებს თუ არა ყველა ბავშვი ცოდნას გაკვეთილზე?
- ♦ აგებულია თუ არა გაკვეთილის ფორმატი მოსწავლეების გამოცდილებების მრავალფეროვნებაზე?
- ♦ გათვალისწინებულია თუ არა გაკვეთილის მიმდინარეობისას მოსწავლეების ცოდნის დონის განსხვავებულობა?

- ◆ შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა საგნის სხვადასხვა გზით შესწავლა?

ეს არის მხოლოდ რამდენიმე მაგალითი კურიკულუმის შედგენის პრაქტიკიდან. მოსაზრებები განათლების სისტემის შინაარსთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა, გაცილებით ვრცელია და მოიცავს უამრავ კონკრეტულ მაგალითს, ფენომენებს, სიტუაციებს, ექსპერიმენტებს, ილუსტრაციებს და ა.შ. მასალის სწავლა და საკლასო ოთახის ტექნიკით აღჭურვა განათლების სისტემის შინაარსის ერთ-ერთი მთავარი აუცილებლობაა. თუმცა, მეთოდოლოგია დიდ გავლენას ახდენს მასალის, აღჭურვილობის და კურიკულუმის მოდელის სხვა ასპექტების განსაზღვრაზეც. ინდივიდუალური და ჯგუფური კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრა ეფუძნება საზოგადოების მოთხოვნილებებსა და მიზნებს, მოსწავლის ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებსა და ჯგუფის მიზნებს. არსებითი საკითხია საგნებისა და თემების ადაპტირება ეროვნული კურიკულუმიდან ადგილობრივ კურიკულუმში. ეს ასევე წარმოშობს კითხვას: როგორ შეგვიძლია სასწავლო გარემოს შექმნა და საჭირო მასალის, აღჭურვილობის შექმნა თითოეული მოსწავლისათვის? როგორ შეგვიძლია განსხვავებული ინდივიდუალური სწავლების კოორდინირება?

სწავლების სტრატეგიები, მეთოდები და კლასის ორგანიზება

შინაარსის გარდა ჯგუფური და საკლასო ღონისძიებების ორგანიზების მიზნით საჭიროა გავითვალისწინოთ სწავლების მეთოდები და ორგანიზება ინდივიდუალური სწავლების სტრატეგიების მრავალფეროვნების გზით. თუმცა, ზემოაღნიშნულის ცოდნა უნდა ემყარებოდეს მოსწავლის მიერ არჩეულ სწავლების სტრატეგიებს. ამრიგად, თავდაპირველად განვიხილოთ სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების საილუსტრაციო მაგალითები და შემდეგ, მოკლედ გავცნოთ სწავლების მეთოდებისა და კლასის ორგანიზების შედეგებს.

მოსწავლეები სწავლობენ სხვადასხვა სტრატეგიების, ღონისძიებების, მედიის და მეთოდების მეშვეობით. ზოგი ცოდნას იღებს ლიტერატურის კითხვით, სხვები დაკვირვებით, ზოგი უკეთ იმახსოვრებს ჩანერით, ზოგი კონცენტრაციითა და მოსმენით. ზოგს მო-



საზრებების ჩამოსაყალიბებლად სჭირდება ფანქარი და ფურცელი, ზოგი უკეთ ითვისებს დაკვირვების შედეგად, ზოგი ამჯობინებს განცალკევებით სწავლას, როდესაც დანარჩენები ჯგუფურად სწავლობენ.

პილდა ტაბას (1962:307) საინტერესო ნაშრომი აქვს იმის შესახებ, რომ სხვადასხვა ინდივიდს სწავლების სხვადასხვა მეთოდი სჭირდება. ტერმინი „სწავლების სტრატეგიები“ ფართოდ გამოიყენება შემეცნებით თეორიასა და სამეცნიერო კვლევაში. იგი მიუთითებს ყურადღების ფოკუსირების ინდივიდუალურ ხერხებზე და გულისხმობს პრობლემის გადანყვეტას და მახსოვრობას, სწავლების პროცესის მონიტორინგს.

სწავლების პროცესში სიძნელეები შეიძლება წარმოიშვას სტრატეგიების და მეთოდების პრობლემებიდან, რაც ხშირად გამოწვეულია ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური ან გარე ფაქტორებით, ან მათი კომბინაციის შედეგად. განვიხილოთ ზოგიერთი მაგალითი: ინფორმაციის მიღების ერთ-ერთი ბარიერია მხედველობის ან სმენის დაქვეითება. ტვინის მინიმალურ დაზიანებამ შეიძლება მწვავედ იმოქმედოს კონცენტრაციის უნარზე. წერა-კითხვის სიძნელეთა სამეცნიერო კვლევა ყურადღებას ამახვილებს ისეთ სიძნელეებზე, როგორცაა მოკლევადიანი მახსოვრობა ან მეტა-ლინგვისტური

ოპერაციები. სწავლების სტრატეგიები ასევე ეხება არითმეტიკის სწავლასთან დაკავშირებულ სიძნელეებს, სწავლების ზოგად სიძნელეებს და ჩამორჩენას განვითარებაში. ურთიერთობის ბარიერები მეორე მნიშვნელოვანი ასპექტია და დაკავშირებულია უნარის როგორც ზოგად, ასევე მრავალმხრივ შეზღუდულობასთან. კომუნიკაციის სტრატეგიების განვითარება მნიშვნელოვანია იმ მოსწავლეებისათვის, რომლებსაც აქვთ ცერებრალული დამბლა, ფუნქციური მხედველობისა და სმენის დაქვეითება და ა.შ. (Lyster 2001; Nafstad 1993; Ostad 1989; 2001; Rye 1993; 2001).

კონცეფცია სწავლების სიძნელეთა შესახებ სწავლების მეთოდებისა და კლასის ორგანიზებასთან დაკავშირებით გარკვეული პრობლემებით ხასიათდება. ინკლუზიის პრინციპთან მიმართებაში იგი წარმოშობს გარკვეულ შეკითხვებს:

- რაშია ინდივიდუალური სწავლების მეთოდის სიძნელე?
- რა როლს ასრულებს გარემო (კლასში სწავლება ან კურიკულუმის სხვა ფაქტორები) სწავლების სპეციფიკური მეთოდის სიძნელედ წარმოდგენაში, როდესაც შესაძლებელია მისი აღქმა პლურალიზმის სახით?

მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მოსწავლეებს აღიქვამენ „არანორმალურ“ ან „სიძნელეების მქონე“ პირებად, რითაც ზოგადად ჯგუფისგან გამოყოფენ მათ. საყოველთაო სკოლის პრინციპი გვთავაზობს ალტერნატიულ დამოკიდებულებას, რომელიც გულისხმობს ყველა მოსწავლის ინკლუზიას მათი ინდივიდუალური განსხვავებებისა და პლურალიზმის გათვალისწინებით.

სწავლების ინდივიდუალური სტრატეგიების გათვალისწინება გულისხმობს, რომ მასწავლებელმა უნდა მოახდინოს სასწავლო გარემოს ადაპტაცია ისე, რომ ყოველმა მოსწავლემ შეძლოს სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების განვითარება და გამოყენება თავის სასარგებლოდ. ამავდროულად, უნდა შეექმნათ სტრატეგიების გამოყენების ინდივიდუალური და საერთო შესაძლებლობები.

ამგვარი მრავალფეროვნების უზრუნველყოფა, ბუნებრივია, ადვილი არ არის. ამას გარდა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების სფეროში მომუშავეს სჭირდება სპეციფიკური მეთოდებისა და ტრადიციული პროგრამების ცოდნა. იყო შემთხვევები, როდესაც მონაწილეობა მივიღეთ პროგრამაში, რომელიც გარკვეულ პროფესიას უწევდა პოპულარობას და მოსწავლეების

დიდი რაოდენობით მონანილეობას გულისხმობდა, მაგრამ ასეთ შემთხვევებში ხშირად მონანილეობდნენ მხოლოდ პროგრამის გამო, და არა მოსწავლეებისათვის. სწავლების პროგრამებში მონანილეობის ტენდენცია სათავეს ჯერ კიდევ მე-16 საუკუნიდან იღებს, როდესაც მაგალითად, სმენადაქვეითებულთა განათლების სფეროში მომუშავე განმანათლებლები მოგზაურობდნენ და სწავლების პროგრამებს სთავაზობდნენ მდიდარ ოჯახებს. თუ კი შეძლებდნენ ოჯახის დაინტერესებას, თავად იღებდნენ გასამრჯელოს და მდიდრდებოდნენ. მთავარი არგუმენტი ის, რომ არ არსებობს მეთოდი ან პროგრამა, რომელიც გამოსადეგია ყველა მოსწავლისათვის და მასწავლებლისთვის. პირიქით, მათი ინდივიდუალური განხორციელება მასწავლებლების პროფესიული მოვალეობა და თავისუფლებაა.

როგორც აღვნიშნეთ, განათლების მეთოდოლოგიის სფერო იმდენად ვრცელია და განსხვავებული, რომ თითქმის შეუძლებელია მისი განხილვა პოლისტიკური მიდგომით. ამ სფეროში პროფესიული განათლების ამაღლებას მრავალი ცხოვრებისეული სიძნელე ელოება წინ. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ რამდენიმე ასპექტსა და მაგალითს. მეთოდოლოგიის შესახებ დისკუსია არ არის ახალი ფენომენი. 1830-იან წლებში, დანიელმა თეოლოგმა და მეცნიერმა გერჰარდ ბრამერმა (1838) თავის ნაშრომებში დიდაქტიკური და პედაგოგიური მეთოდების შესახებ განიხილა შემდეგი ოთხი ძირითადი სასწავლო მეთოდი:

- განსაზღვრებითი მეთოდი: ლექცია, კარნახი და დემონსტრაცია;
- განგრძობითი მეთოდი: შეუწყვეტელი, მონოტონური ლექცია;
- დიალოგის მეთოდი: საუბარი კითხვა-პასუხის თანხლებით;
- ექსპერიმენტული მეთოდი: მასწავლებელი სვამს კითხვებს, მოსწავლეები დამოუკიდებლად სცემენ პასუხს.

ბრამერის კლასიფიკაცია პირველ მეთოდოლოგიურ დისკუსიას როდი წარმოადგენდა, ამგვარი დისკუსიები ანტიკური ხანიდანაც ხორციელდებოდა (Brammer 1838; Johnsen 1998/2000). ბრამერის მიერ განხილული ძველი მეთოდოლოგიური კატეგორიები წარმოადგენენ მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერაქციის მეთოდების ილუსტრაციებს. ამ გამოცემაში წარმოდგენილია ჰენინგ რაის (2001) რვა პრინციპი, რომელნიც შეიძლება განვიხილოთ როგორც ძველი დიალოგის პრინციპის განვრცობილი ვარიანტი, რომელიც ეფუძნება

ინტერაქციის, ურთიერთობისა და მედიაციის შესახებ ახალი სამეცნიერო კვლევის შედეგებს.

ქვემოთ გთავაზობთ ამ რვა პრინციპს ოდნავ შეცვლილი სახით:

1. დადებითი გრძნობების გამოხატვა;
2. მოსწავლის (მოსწავლეების) გაგება და ადაპტაცია;
3. მოსწავლესთან (მოსწავლეებთან) საუბარი;
4. შექება და აღიარება;
5. მოსწავლის (მოსწავლეების) დახმარება კონცენტრაციასა და ყურადღების ფოკუსირებაში;
6. მოსწავლის (მოსწავლეების) გამოცდილების გამდიდრება;
7. ახსნა-განმარტება;
8. მოსწავლის (მოსწავლეების) თვითდისციპლინის განვითარება.

სწავლების კიდევ ერთი ეფექტური მეთოდია მოთხრობების მოყოლა. რა ახასიათებს კარგად მოყოლილ მოთხრობას თუ ამბავს, რომელიც მსმენელში გრძნობებს და ინტერესს იწვევს? შესაძლებელია თუ არა, ერთმა და იმავე მოთხრობამ ერთდროულად გამოიწვიოს სხვადასხვა საგანმანათლებლო მოთხოვნილებების მქონე ბავშვების ინტერესი? 1850-იან წლებში, ნორვეგიელმა მეცნიერმა ოლე ვიგმა ასე აღწერა ამბის თუ მოთხრობის მოყოლის პროცესი ანუ „ცოცხალი სიტყვა“:

ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ მასწავლებელი პირდაპირ წიგნიდან კი არ გვიყვებოდა ამბავს, არამედ ზეპირად. ამბის შინაარსი ყველა მოსწავლემ უნდა გაიგოს. იგი უნდა იყოს ილუსტრაციული და მოიცავდეს ბევრ მაგალითს, ახსნასა და გამეორებას. მხატვრული კითხვა ცოცხლად და სასიამოვნოდ უნდა შესრულდეს. ეს მოსწავლეებს გაუღვივებს ინტერესს და შეგრძნებას, რომ სწავლა ნებაყოფლობითია და არა ნაძალადევი (Johnsen 1998/2000: 174.).

როგორც ლიტერატურის ხარისხი, ისე მხატვრული კითხვა სხვადასხვა გამოცდილებისა და შესაძლებლობის მქონე აუდიტორიას მსგავს გრძნობებს აღუძრავს. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიფრთხილე არ გვმართებს, როცა კლასში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები არიან. მაგალითად, თუ რომელიმე ბავშვი დამოკიდებულია ჟესტური ენის გამოყენებაზე, მოთხრობა შეიძლება ერთდროულად წაიკითხოს ორმა ადამიანმა, ერთმა — წარმოთქმით, მეორემ — ჟესტური ენით. შეიძლება მოთხრობა ორივე ენით წაიკითხოს



ერთმა პიროვნებამაც. უესტური ენის გამოყენება პრეზენტაციას ხელმისაწვდომს გახდის მთელი აუდიტორიისათვის. მოთხრობის კითხვას შეიძლება თან ახლდეს სურათების ჩვენება, მოსწავლეთა შეკითხვები და ა.შ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლებას რამდენიმე კლასიკური მეთოდოლოგიური ასპექტი აქვს – სასწავლო მასალის დანაწილება, სისტემატური გამეორება და სხვა. სხვა მეთოდების უშუალო განხილვამდე შევეხოთ მეთოდებისა და მიდგომების პლურალიზმთან ადაპტაციის ზოგად კრიტერიუმებს:

- ახალი მეთოდების და მიდგომების მუდმივი შესწავლა;
- სხვადასხვა მეთოდისა და მიდგომის განხილვა;
- მეთოდების და მიდგომების ადაპტირებული განხორციელება;
- მეთოდების და მიდგომების მრავალმიზნობრივი გამოყენება.

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მეთოდოლოგია დიდ გავლენას ახდენს სასწავლო მასალისა და ტექნიკური მოწყობილობის არჩევანზე. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს ლიტერატურა, ქალაქი, ფანქარი, კომპიუტერი, პროგრამები, ვიდეო და ა.შ. ზოგიერთ მოსწავლეს სჭირდება განსხვავებული სასწავლო მასალა და ტექნიკური მოწყობილობა. მაგალითად, მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს

სჭირდებათ ბრაილის ტექნიკური მოწყობილობა. დღეს შესაძლებელია ახალი ტექნოლოგიის გამოყენება ნიგნების ბრაილის ენაზე თარგმნისათვის. კითხვის სიძნელეების მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ სპეციალური ნიგნები და სხვა სატრენინგო მასალები. როგორც ლევ ვიგოდსკიმ აღნიშნა მრავალი წლის წინ, მოსწავლეებს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებათ წინამძღოლობა. უფრო აბსტრაქტული და ზოგადი შემეცნებითი განვითარებისათვის (Vygotsky in Cole et.al. 1978).

შინაარსისა და მეთოდების არჩევა მჭიდროდ არის დაკავშირებული კლასის ორგანიზების საკითხთან. კლასიკური სასწავლო გარემო არის საკლასო ოთახი. ინკლუზიის შესახებ ლიტერატურაში ხაზგასმით არის აღნიშნული ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები სასიამოვნოდ იგრძნობენ თავს. ამას გარდა, არსებობს სასწავლო გარემოს შექმნის სხვა ისეთი შესაძლებლობებიც, როგორიცაა ექსკურსიები, სასწავლო ვიზიტები და ა.შ. (Klafki 1999; Smith 1998; Putman 1993). ინკლუზიის ფუნდამენტური კრიტერიუმია ყველა მოსწავლის ერთ კლასში ან ჯგუფში გაერთიანება. ნორვეგიულ კონტექსტში ეს ნიშნავს ერთი ასაკის ყველა ბავშვის განწევრიანებას კლასებში. ასაკი კლასში გაერთიანების ერთ-ერთი კრიტერიუმია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ინკლუზიის ფუნდამენტური პრინციპია, არ ნიშნავს იმას, რომ საკლასო ოთახი შეუცვლელი მიმართულებით ვითარდებოდეს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ საკლასო ოთახი მუდმივად არასდროს ყოფილა სკოლის შემადგენელი ნაწილი. ადრეულ ისტორიაში, სკოლები ფუძნდებოდა ქუჩის კუთხეებსა და საბაზრო ადგილებში, ეკლესიებში და სხვა შენობებში. ყველა ასაკის ადამიანი ერთიანდებოდა ჯგუფებად და ამგვარად სწავლობდნენ. ნორვეგიული დაწყებითი სკოლის პირველი განმანათლებლები ყველა მოსწავლის მასწავლებლებად ითვლებოდნენ მათი ასაკის მიუხედავად. ყველა მასწავლებელს ჰქონდა საკუთარი სკოლა. კლასების დაყოფა პირველად დაიწყო კერძო სკოლებში და შემდეგ სახლემწიფო სკოლებშიც შემოიღეს. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ კლასი მნიშვნელოვანია, როგორც ორგანიზაციული ერთეული, ამავე დროს გათვალისწინებული უნდა იყოს სხვა ასპექტებიც, როგორიცაა:

- კლასების დიდი რაოდენობით ორგანიზება (ორი ან მეტი კლასის გაერთიანება);
- ჯგუფების ორგანიზება;

- ინდივიდუალური სწავლება;
- ღონისძიებების ჩატარება საკლასო ოთახში და მის გარეთ.

ზოგადად კლასის სტრუქტურასთან ერთად, ეს ორგანიზაციული ერთეულები სწავლების მრავალფეროვანი შესაძლებლობების არენას წარმოადგენენ. ავილოთ ნათელი მაგალითი, როდესაც ინდივიდუალური სწავლება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მოსწავლისა და მასწავლებლის მუშაობით. ამგვარი დაწყვილებული სწავლება სხვადასხვა მიდგომის განვითარების უნიკალურ შესაძლებლობას ქმნის. თუმცა, ინდივიდუალურ სწავლებას ასევე გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები. მისი მუდმივი გამოყენება ხელს შეუშლის ტრადიციული საკლასო მენეჯმენტის რადიკალურ ცვლილებებს. შედეგად კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი იზოლირებული აღმოჩნდება დანარჩენი კლასის ღონისძიებებისაგან და დაკარგავს ინტერაქციის მნიშვნელოვან შესაძლებლობებს. თუმცა, ეს პრობლემა ხშირია მხოლოდ ეკონომიკურად მდიდარ სასკოლო გარემოში.

კლასში მოსწავლეების ორგანიზება დაკავშირებულია საკლასო ოთახის ფიზიკურად შემზღუდველ ფაქტორებთან. ინკლუზიის პრინციპის მიხედვით, ჯგუფებში უნდა იყოს ასახული პლურალიზმი და მრავალფეროვნება უნდა გვექონდეს.

ჯგუფების მუშაობა, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოსწავლეების თანამშრომლობას პრობლემის გადაწყვეტის პროცესში. თანამშრომლობითი სწავლება მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ვიგოდსკის მოსაზრებაში თანატოლების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოსწავლეები დავალებას ერთმანეთში ინანილებენ, განიხილავენ, ერთმანეთს ეხმარებიან, გამოაქვთ დასკვნა და აფასებენ. ამ სახის ორგანიზება ნებისმიერი სახის დავალებასთან დაკავშირებით შეიძლება ჩატარდეს. ამას გარდა, იგი ხელს უწყობს შემოქმედებით აზროვნებას, კრიტიკულ და ანალიტიკურ მსჯელობას, შემეცნებით განვითარებას, სხვებთან მუშაობის დაფასებას. საბოლოოდ, მან შეიძლება ხელი შეუწყოს სოლიდარობის და მზრუნველობის გრძნობების განვითარებას. თანამშრომლობითი სწავლება უკიდურესად მნიშვნელოვანი მიდგომაა დემოკრატიული უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებისათვის. წარმატებულ თანამშრომლობას თან ახლავს უარყოფითი მხარეები და ამიტომ საჭიროა მისი შესწავლა თანდათანობით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.

თანამშრომლობითი სწავლება ასევე მოითხოვს საკლასო ოთახში რამდენიმე მასწავლებლის მუშაობას, რაც თავის მხრივ, მოითხოვს

ჩვენი პროფესიული დამოკიდებულებებისა და სწავლების სტილის შეცვლას. ტრადიციულად, მასწავლებლები დამოუკიდებლად წყვეტდნენ კლასში სწავლების პროცესის მიმდინარეობას. კლასში ერთობლივი მუშაობა გულისხმობს მეთოდის ერთობლივ შერჩევას და მომზადებას. ამასთან, სამუშაოს განაწილებას კოლეგებს შორის. ამ შემთხვევაში არავინ რჩება პასიური. კლასში თანამშრომლობის გარდა, აუცილებელია სისტემატიური ჯგუფური მუშაობა (Bigge & Stump 1998; Dalen 1982; Dixon - Krauss 1996; Dyson 1998; Johnsen 1998; 1998/2000; Mittler 2000; Booth et.al. 2000; Skrtic 1995:203-205, 243).

საკლასო ოთახის ორგანიზების მნიშვნელოვანი ასპექტია გარკვეული ღონისძიებების ჩატარება მის გარეთ. მოსწავლეები იღებენ დავალებებს, რომელიც უნდა შეასრულონ საკლასო ოთახის გარეთ, სასკოლო ბიბლიოთეკაში, სხვა საკლასო ოთახში და ა.შ. მათ შეიძლება სთხოვონ სკოლის ეზოში გასვლა და ხის დიამეტრის გაზომვა, ან უახლოეს მაღაზიაში წასვლა არითმეტიკული ვარჯიშის მიზნით. ყველაზე ფართოდ გავრცელებული მეთოდია ინდივიდუალური ან ჯგუფური სამუშაოებისთვის გასვლა საკლასო ოთახიდან. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები ყველაზე ხშირად სწორედ ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობენ. ეს უკანასკნელი პრობლემას ქმნის იმ მხრივ, რომ ხდება მოსწავლეების კატეგორიზაცია.

ინკლუზიური სკოლაში რაც შეიძლება ხშირად უნდა ტარდებოდეს სხვადასხვა ღონისძიებები საკლასო ოთახსა და მის გარეთ. იდეალურია, როდესაც მოსწავლეები ან მოსწავლეთა ჯგუფები ყოველდღიურად გადიან კლასიდან სხვადასხვა სასწავლო ღონისძიებებისათვის. ეს ამდიდრებს ყველა მოსწავლის სასწავლო გარემოს, გზას უხსნის მათ სპეციფიკური სწავლებისაკენ და ეხმარება ინდივიდუალური ინტერესების ადაპტირებაში. ამ ღონისძიებების მნიშვნელობას ზრდის ასევე ის ფაქტი, რომ მოსწავლეებს — სჭირდებათ სივრცე სწავლისა და განვითარებისათვის. ყველაზე კეთილმოწყობილი საკლასო ოთახიც კი ძალიან პატარაა იდეალური სასწავლო გარემოსათვის.

შეფასება

შეფასება გულისხმობს სხვადასხვა ინფორმაციის შეკრებას და ინტერპრეტირებას გარკვეული მიზნის მიღწევისათვის. განათლების შეფასება გულისხმობს სასწავლო გარემოს, პროცესებისა და

შედეგების შეფასებას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების შეფასებისას სასწავლო გარემოსთან, პროცესებთან და შედეგებთან ერთად ყურადღება ექცევა მათ სპეციფიკურ საკომუნიკაციო სიძნელეებს, შესაძლებლობებსა და ადაპტაციას.

ტრადიციულად, შეფასების მთავარი ობიექტია მოსწავლე. მისი ცოდნის დონე კლასში სხვა ბავშვებთან შედარებით ფასდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ კლასი ვერ იქნება ერთგვაროვანი, რადგან აქ სხვადასხვა ინდივიდუალური და სპეციფიკური მოთხოვნილებების მქონე მოსწავლეებს ვხვდებით, შეფასების ეს მეთოდი განაპირობებს ზოგიერთი მათგანის სტიგმატიზაციას და გამოცალკევებას კლასის ე.წ. „კარგი კომპანიიდან“, რასაც ხშირად სერიოზული შედეგები მოსდევს. შეფასება ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეების სპეციალურ სკოლებსა და კლასებში მოთავსების დროს. შეფასების ამგვარი მეთოდი ჯერ კიდევ მრავალ ქვეყანაში მოქმედებს, მიუხედავად საერთაშორისო და ეროვნული მცდელობისა, ხელი შეუწყონ მრავალფეროვნების დანერგვას ინკლუზიურ სკოლაში.

ინკლუზიის პრინციპის და კურიკულუმის მოდელის თანახმად, შეფასების მიზანი არ არის ნიშნების დანერა ან მოსწავლეების დახარისხება, ტრადიციულ შეფასებასთან შედარებით იგი დინამიურობით ხასიათდება. შეფასება არის:

- განვრცობადი, რადგან მოსწავლეების ცოდნის შეფასების გარდა სხვა ასპექტებსაც მოიცავს;
- ადაპტაციის უნარის მქონე, რადგან შეფასების ფორმა და შინაარსი ინდივიდუალურ მოსწავლეზეა ორიენტირებული;
- დინამიური, რადგან შეფასება უნდა განხორციელდეს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან დიალოგის გზით.

შეფასების მიზანი შეიძლება ასევე განვიხილოთ როგორც კურიკულუმის გადახინჯვა ყველა დონეზე. ეს გულისხმობს ყოველი მოსწავლის ინდივიდუალური კურიკულუმის, კლასის და სკოლის კურიკულუმის პროგრამებისა და ეროვნული კურიკულუმის გადახედვას (Befring & Nilsen 1990). კურიკულუმის მოდელის მიხედვით შეფასება ხდება რვა ძირითადი ასპექტით.

ტრადიციული და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების სფეროში შეფასების სხვადასხვა მეთოდები და მიდგომები არსებობს. აქ ყურადღებას გვაგამახვილებთ შეფასების ტრადიციულ

მეთოდებზე, რომლებიც ნათელს მოჰფენს სასწავლო პროცესის ბევრ მნიშვნელოვან ასპექტს, ისევე როგორც ვიგოდსკის განვითარების ზონის თეორიას. სასწავლო პროცესის შეფასება ყველაზე უკეთ მოსწავლეებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შეუძლიათ. თუმცა, შეფასების პროცესს უთუოდ წაადგება გამოცდილებისა და სპეციფიკური განათლების მქონე სხვა ადამიანებთან დიალოგიც.

ქვემოთ მოცემულია შეფასების სხვადასხვა მეთოდის მაგალითები. მიუხედავად იმისა, რომ მეთოდები განსხვავებულია მოსწავლესთან და კლასთან მიმართებაში, ზოგიერთი მათგანი ორივე ასპექტს აერთიანებს. უფრო ქვემოთ მოკლედ განვიხილავთ კურიკულუმის შეფასებას.

კლასის შეფასების კრიტერიუმები:

- მიზნები;
- მოსწავლეებთან დიალოგი;
- დაკვირვება;
- ყურნალი ან დღიური;
- მოსწავლის ნამუშევრები;
- ტესტები;
- შესრულებული ნამუშევრების ერთობლიობა.

ინდივიდუალური შეფასების კრიტერიუმები:

- ინტერვიუ და გასაუბრება;
- გამოკითხვა;
- მოსწავლის თვითშეფასება;
- შეფასება, როგორც მედიაციის ნაწილი;
- ტესტები;
- სპეციფიკური ტესტები უნარ-ჩვევების გამოსავლენად.

შეფასების ეს მეთოდები ძირითადად ორიენტირებულია მოსწავლეზე, როგორც ინდივიდზე და ჯგუფის წევრზე. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შეფასების ერთადერთი ობიექტი მხოლოდ მოსწავლე არ არის. მოსწავლის შეფასების პარალელურად საჭიროა კურიკულუმის ყველა ასპექტის განხილვა, რათა სასწავლო გარემოს შეცვლა მოხდეს მოსწავლეების სხვადასხვა მოთხოვნილების შესაბამისად. ეს ინკლუზიის პროცესის განვითარებისა და პლურალიზმის საფუძველია.

ინდივიდუალური კურიკულუმის შეფასება გრძელვადიანი პროცესია. ხანგრძლივი შეფასების პროცესი ყოველდღიურად ხორციელდება მოსწავლეების სწავლების პროცესში. შეფასების ეს პროცესი მუდმივად ინვესტს კურიკულუმის გეგმის ცვლილებებს.

ინდივიდუალური კურიკულუმის სისტემატური გადახედვა აუცილებლობას წარმოადგენს. ნორვეგიული განათლების აქტის მიხედვით, ფორმალური ინდივიდუალური კურიკულუმი უნდა შეფასდეს წელიწადში ორჯერ (განათლების აქტი 1998, 5-5). ეს ყოველწლიური შეფასებები საჭიროებს დამატებით ფინანსურ მხარდაჭერას მუნიციპალიტეტების მხრიდან. პროფესიული განათლების სფეროში უფრო მრავალმხრივი შეფასება საჭირო, ვიდრე ადგილობრივი სკოლების კურიკულუმის გადახედვის დროს. ზოგიერთი საგანმანათლებლო ჯგუფი უფრო გრძელვადიანი შეფასებების მომზადებას ირჩევს, ვიდრე სემესტრული მოხსენებების წერას.

კურიკულუმის მოდელი განსაზღვრავს ინდივიდუალურად ადაპტირებული განათლების კონტექსტუალურ შეფასებას. შესაძლებელია ჩატარდეს გამოცდები კურიკულუმის თითოეულ რვა ასპექტში და შედეგად წარმოჩინდეს მნიშვნელოვანი სუბ-ასპექტები მოსწავლეების საგანმანათლებლო მოთხოვნილებებთან დაკავშირებით. ზოგიერთ მოსწავლეს ზოგადი კურიკულუმისაგან განსხვავებული სპეციფიკური მოთხოვნილებები აქვს. ინდივიდუალური კურიკულუმი ეხება ცალკეულ მოსწავლეს მაშინ, როდესაც კოლექტიური კურიკულუმი ჯგუფის ან კლასის მოთხოვნილებებზეა ორიენტირებული.

სკოლის შესახებ ინფორმაციის შეფასებისას, ყველა მასწავლებელი ასახელებს ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროს. ინფორმაცია შეიძლება მიწოდებული იქნას მოსწავლის გარემოცვის მიერაც. ყოველივე ეს ხელს უწყობს კონტექსტუალური ასპექტების ხელმისაწვდომობას და ზრდის მშობლების, როგორც ინფორმატორების როლს. ზუსტი და დეტალური შეფასებისთვის უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი ფაქტორები:

- საჭიროა თუ არა პრიორიტეტების შეცვლა?
- საჭიროა თუ არა კონკრეტული საგანმანათლებლო მიზნების შეცვლა ან გამეორება?
- რამდენად შეესაბამება შინაარსი მოსწავლის განვითარების პროცესს და ინტერესებს?
- რამდენად შეესაბამება შინაარსისა და სასწავლო გარემოს

ადაპტირება მოსწავლის სწავლების სტრატეგიებსა და პროცესს?

- საჭიროა თუ არა ინდივიდუალურ კურიკულუმში მნიშვნელოვანი ასპექტების გათვალისწინება?
- საჭიროა თუ არა ინდივიდუალური კურიკულუმიდან გარკვეული ასპექტების ამოღება?
- რამდენად შეესაბამება ერთმანეთს ინდივიდუალური და კლასის კურიკულუმი, რათა განხორციელდეს ინკლუზიის პროცესი?

როგორც აღვნიშნეთ, ინდივიდუალურად ადაპტირებული განათლების უზრუნველყოფისათვის უნდა მოხდეს კლასის კურიკულუმის შეფასება და გადასინჯვა. კლასის კურიკულუმის შეფასების და გადასინჯვის საფუძველია მოსწავლეების საგანმანათლებლო მოთხოვნები, ეს არ ნიშნავს, რომ იგნორირებულია სტატუსებსა და კანონებში ჩამოყალიბებული განათლების მიზნები, თუმცა არის მოსაზრებები, რომ კურიკულუმის მორგება მოსწავლის ინდივიდუალობას ეწინააღმდეგება ტრადიციულ საკლასო კურიკულუმის გეგმას, რომელიც ტრადიციული გაგებით იქმნება სახელმწიფო სტრუქტურების მიერ და სავალდებულო ხასიათისაა (Johnsen 1998).

ურთიერთობა

კურიკულუმის მოდელის შემდეგი ორი ასპექტი – ურთიერთობა და მზრუნველობა – უფრო წარმოადგენენ განათლების ცნების განვრცობილ ფორმას, ვიდრე იმ ტრადიციულ ასპექტებს, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ. ისინი მოდელის შუაში მდებარეობენ, რაც ნიშნავს, რომ ყველა ასპექტის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ კურიკულუმის დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების და გადასინჯვის პროცესში.

ურთიერთობის გარეშე განათლების მიღება შეუძლებელია შინაარსის, მეთოდების და კვალიფიციურობის მიუხედავად. ურთიერთობა ცოდნასა და მგრძობიარობაზეა დამყარებული. სწავლის პროცესში ურთიერთობის გაღრმავების და გაუმჯობესებისთვის საჭიროა განათლების პროცესის მუდმივი მზადება და შეფასება.

ურთიერთობის ცნება მოიცავს მთელ რიგ ასპექტებს. იგი არის განათლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველი, რომელსაც ინგლანდმა (1997) დემოკრატიული სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ასპექტი უწოდა. იგი ურთიერთობას განიხილავს, როგორც გამოცდილების, არგუმენტაციის და პრაქტიკის განუყოფელ ნაწილს. ამრიგად, ინგლანდის მოსაზრებები განაგრძობს ძველბერძნული განათლების პრაქტიკას. ფრეიერეს მიხედვით (Freire 1972), ურთიერთობა გამოცდილების, დიალოგის და აღქმის ცნებების მსგავსად ძირითადი კონცეფციაა. ურთიერთობა ნამდვილად წარმოადგენს ინტერაქციის და მედიაციის განხორციელების საშუალებას, როგორც ეს აღნიშნეს ვი გოდსკიმ (1978), ბრუნერმა (1996) და ფერშტეინმა (1991). მათ ასევე ყურადღება შეაჩერეს შემდეგ ფაქტორებზე:

- ♦ მოსწავლეები სწავლობენ თანატოლებთან და გარემოსთან ინტერაქციის გზით;
- ♦ სწავლების და შემეცნების განვითარების აუცილებელი საშუალებაა ენა და ურთიერთობა;
- ♦ მშობლებს, მასწავლებლებს და თანატოლებს შეუძლიათ იყვნენ მედიატორები პარტნიორების სწავლების პროცესში.

ურთიერთობის და მედიაციის თეორიები ხელს უწყობენ ინდივიდუალური და კლასის კურიკულუმის ღონისძიებების ჩატარებას. მაშასადამე, ისინი მნიშვნელოვანია განათლების სფეროში კონკრეტული მიზნების, შინაარსის, მეთოდების და შეფასების განხორციელებისას. რაიმ (2001) განაგრძობს ურთიერთობისა და მედიაციის ასპექტები ამ ნიგნის ერთ-ერთ თავში.

ურთიერთობა დაკავშირებულია კოგნიტურ, ლინგვისტურ, კულტურულ, ფიზიკურ და ტექნიკურ ასპექტებთან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. ურთიერთობის სიძნელეები შეიძლება წარმოიშვას როგორც ინსტრუქციული და ინდივიდუალური, ისე კულტურული ბარიერების გამო. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვების უმრავლესობამ უნდა ისწავლოს უცხო ენა, რასაც ხშირ შემთხვევაში თან სდევს გარკვეული სიძნელეები კითხვის და წერის პროცესში. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ მოსწავლე, რომელიც ეკუთვნის ენობრივ უმცირესობას სკოლაში არსებულ უმრავლესობასთან შედარებით. როგორც ადრე აღვნიშნეთ, ურთიერთობაში სიძნელეები ასევე

შეიძლება წარმოიშვას შეზღუდული შესაძლებლობების გამო. სპეციალურმა ნიშნებმა, როგორცაა პიქტოგრამა და სხვ. შეიძლება დიალოგის წარმართვის შესაძლებლობა წარმოიშვას. იმ შემთხვევაში თუ კი ეკონომიკა ამის საშუალებას იძლევა, ურთიერთობის ეს მარტივი და შედარებით იაფი საშუალებები შეიძლება გარკვეული კომპიუტერული პროგრამების სახით განვითარდეს. სულ რამდენიმე ათწლეულის წინ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს არ ჰქონდათ დიალოგის წარმართვის, საუბრის შესაძლებლობა. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი მოსწავლედაც კი არ ითვლებოდა.

მზრუნველობა

ზოგადი განათლების პროცესის კიდევ ერთი ფუნდამენტური მნიშვნელობის ასპექტია მზრუნველობა. ურთიერთობის მსგავსად იგი პროფესიული განათლების განვრცობილი ნაწილია ტრადიციულ შეზღუდულ დისციპლინებთან შედარებით. იგი გულისხმობს, რომ სწავლების პროცესის პოზიტიური ხასიათი დამოკიდებულია ისეთი მოთხოვნილებების უზრუნველყოფაზე, როგორცაა კვება და თავშესაფარი, უსაფრთხოება, სიყვარული, სოციალური აღიარება. მაშასადამე, უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას არა მარტო მოსწავლის, არამედ მის გარემოში არსებული პირების შესახებ. ასევე უნდა გავითვალისწინოთ კულტურული მემკვიდრეობა და პირობები, რომლებსაც მოსწავლეებს ვუზიარებთ და ყურადღება მივაქციოთ მათ პოტენციალს და შესაძლო სიძნელეებს. მასწავლებლების მუშაობის ერთ-ერთი ურთულესი ასპექტია მოსწავლეების პერსონალური განვითარება და მოთხოვნილებების გათვალისწინება. მოსწავლეებმა ჩვენი მხრიდან უნდა იგრძნონ ემპათია, რაც გამოიხატება არაფორმალურ საუბრებში ან თვალთ კონტაქტში და ა.შ. მზრუნველობა თავისთავად მოიცავს დაგეგმვას, განხორციელებას და კურიკულუმის მოდელის ყველა ასპექტის შეფასებას.

უკანასკნელ პერიოდში ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური განათლების ყურადღება მიიპყრო მზრუნველობის ეთიკამ. ნილ ნოდინგსი (1984; 1992) განიხილავს სკოლაში მზრუნველობის საკითხს. იგი აღნიშნავს, რომ საჭიროა კურიკულუმისა და სწავლების ფორმის რადიკალური შეცვლა. მისი ინტერპრეტაციით, მზრუნველობა არის ურთიერთობის ფორმა, რომელიც ეფუძნება მზრუნველისა და მისი

ზრუნვის ქვეშ მყოფის პასუხისმგებლობას და ურთიერთკავშირს. იგი ასევე დაკავშირებულია კონკრეტული მოთხოვნილებების აღიარებულ ბასთან ზრუნვის ქვეშ მყოფის მხრიდან. ნოდინგსი აღნიშნავს, რომ მზრუნველობას დიდი ტრადიცია აქვს. ქალები ზრუნავდნენ ბავშვებზე, მოხუცებზე, ავადმყოფებზე და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებზე. ნოდინგსი მიუთითებს კაროლ გილიგანზე (1993), რომელმაც ინტერვიუებიდან დაასკვნა, რომ ქალებს ზრუნვის მორალური უპირატესობა აქვთ კონკრეტულ სიტუაციებში, ხოლო მამაკაცები ადამიანის უფლებების უფრო აბსტრაქტულ პრინციპებზე ამახვილებენ ყურადღებას.

მზრუნველობა მრავალი სპეციალური სკოლის აღმშენებლობის წინაპირობა იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში. მას დიდი ყურადღება მიექცა ნორვეგიაში 1960-იან წლებში ინკლუზიის შესახებ გამართულ დისკუსიებში (1987:16-17). თუმცა, 1970-80-იანი წლების ბოლოს, მზრუნველობის ცნება გააკრიტიკეს და ადგილი ჰქონდა ტერმინოლოგიის შეცვლის მცდელობას, რაც ასევე აისახა ნორვეგიულ ეროვნულ კურიკულუმში (1997), სადაც ტერმინი „მზრუნველობა“ იშვიათად შეგხვდებათ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკანასკნელ წლებში, მზრუნველობის ეთიკა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე სპეციალური განათლების პერსპექტივაში იქნა განხილული.

ნორვეგიაში ედვარდ ბეფრინგი (1996; 1997; 1997ა) მზრუნველობას განიხილავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების პერსპექტივიდან. მისი ხედვით, მზრუნველობა და სწავლა ერთმანეთთან დაკავშირებული ფუნქციებია. ინკლუზიურ სკოლაში მზრუნველობა ნიშნავს სწავლების მხარდაჭერას. იგი ასევე ნიშნავს მოსწავლეების ნახალისებას გამოხატონ საკუთარი ინტერესები, გამოავლინონ თავდაჯერებულობა და კომპეტენტურობა, ანუ ეთიკური ინტელექტუალური ქცევა.

მზრუნველობა გამოიხატება კონკრეტულ ქცევაში, რომელსაც ავლენს მასწავლებელი მოსწავლესთან ურთიერთობაში სწავლების შინაარსის, მეთოდების და ორგანიზების გზით. გროსი (1996) და ვებსტერ-სტრატონი (1999) აღწერენ კონკრეტული მზრუნველობის ქცევის მაგალითებს, რომელიც შეესაბამება ბეფრინგისა და ნოდინგსის რეკომენდაციებს. ქვემოთ მოცემულია გარკვეული მოქმედებების ნუსხა, რომელიც მოსწავლესთან ინტერაქციის პროცესში მზრუნველობის გამოხატვას უწყობს ხელს:

- ♦ მოსწავლეების წახალისება და მონაწილეობა თამაშებსა და ღონისძიებებში;
- ♦ მოსწავლეების მოსმენა;
- ♦ მოსწავლეებისათვის გამოცდილების გაზიარება;
- ♦ გრძნობების გამოხატვის შესაძლებლობის შექმნა სხვადასხვა თამაშისა და ისეთი შემოქმედებითი ღონისძიებების გზით, როგორცაა ხატვა, დრამა, ლიტერატურა, დისკუსიები, თემების წერა და ა.შ.;
- ♦ მოსწავლეების გამხნევება იმედგაცრუების და ტრავმის მიღების შემდეგ;
- ♦ მოსწავლეების მხარდაჭერა განავითარონ დადებითი სტრატეგიები;
- ♦ თვითდაჯერებულობის განვითარება საუბრის და სხვა სტრატეგიების გზით;
- ♦ მოსწავლისადმი ნდობის გამოხატვა.

მზრუნველობითი მოქმედებების ეს მაგალითები შეესაბამება რაის (2001) პრინციპებს მოსწავლისა და მასწავლებლის ინტერაქციის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებული მთავარი მესიჯი არის ის, რომ იგი ეთანხმება ძირითად ფილოსოფიას, აღნიშნავს, რომ მზრუნველობა მოსწავლის ინდივიდუალიზმის დანახვასა და მხარდაჭერას ნიშნავს.

თუმცა, მასლოუ და ვიგოდსკი განსხვავებულ ფილოსოფიურ პოზიციებს იკავებენ გამომდინარე იქედან, რომ, ჩვენ, როგორც ადამიანები, არა მხოლოდ ინდივიდები ვართ, არამედ ჯგუფის, საზოგადოების წევრებიც. ამრიგად, მზრუნველობა უნდა ხორციელდებოდეს არა მხოლოდ ინდივიდზე, არამედ ზოგადად კლასზე, ჯგუფზე. გროსი (1996) აღნიშნავს მნიშვნელობას კლასზე ისეთი მზრუნველობისა, კლასის ისეთი მონყობისა, სადაც მოსწავლეებს ექნებათ პირადი ავტონომია და თვითრწმენის განვითარების საშუალება.

თეტლერი (2000) გვთავაზობს რამდენიმე რეკომენდაციას, რომელიც ეხება ინკლუზიური კლასის განვითარებას. ინკლუზიას იგი ცვლის მეტაფორით „გულუხვი დიდაქტიკა“ და აღნიშნავს, რომ ინკლუზიური კლასის განვითარებისათვის საჭიროა მოსწავლეების კატეგორიზაციის შეცვლა მრავალფეროვნებით. მისი რეკომენდა-

ციები ჩამოყალიბებულია ნორვეგიელი მეცნიერების ჰიიმის და ჰიპის (1997) დიდაქტიკური მოდელის მიხედვით, რომელთაც, თავის მხრივ, ეს მოდელი ჩამოაყალიბეს თავიანთი ნორვეგიელი კოლეგების ბორნდალის და ლიბერგის (1978) სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით. მათი მოდელის თეორიული და ისტორიული ასპექტი განხილულია ჯონსენის ნიგნში (1998/2000).

ინკლუზიურ კლასში თითოეულ მოსწავლეს ზრუნვას გააჩნია ასევე სხვა ასპექტი, რომელიც მნიშვნელოვანია კლასის და უფრო მეტად – კლასგარეშე ატმოსფეროსათვის. მასწავლებლების პროფესიული ეთიკური მოვალეობაა დაიცვან მოსწავლეების უფლებები ინკლუზიურ სკოლაში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისათვის.

როგორც ურთიერთობის ხელოვნება, ისე მზრუნველობაც გარკვეული უნარია, რომლის სწავლა შესაძლებელია, მაგრამ ამ მხრივ არასდროს ვიქნებით სრულყოფილად კვალიფიციურნი.

პრაქტიკული მოსაზრებები

კურიკულუმის მოდელის რვა ძირითადი ასპექტიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავად მოდელის განხორციელება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორ შეუძლიათ მასწავლებლებს მუშაობის ორგანიზება ინდივიდუალური მოსწავლეების და მთლიანად კლასის მუშაობის გათვალისწინებით? როგორ შეიძლება სხვადასხვა ინდივიდუალური მოთხოვნილებების უზრუნველყოფა? ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მარტივი პასუხი ამ შეკითხვებზე.

ინდივიდუალურ და ტრადიციულ საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ბევრი ნიგნი გეთავაზობს ნაცადი ლონისძიებებისა თუ მოქმედებების ნუსხას, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობისას. ეს ნუსხა დიდად დაგვეხმარება მუშაობის დასაწყისში, მნიშვნელოვანი ასპექტების დამახსოვრებაში. ეს დაგვანახებს აგრეთვე, თუ როგორ შეუძლია კონკრეტულ მაგალითსა და ილუსტრაციას გამოხატოს თეორიის არსი. თუმცა, მსგავსი ნუსხები გარკვეულ შეზღუდვებსაც აწესებენ. არსებობს სხვადასხვა სახის, მაგრამ არა ერთიანი, ზოგადი ნუსხა, რომელიც შეესაბამება აბსოლუტურად ყველა მოსწავლეს, მასწავლებელს და სკოლას. ამან კი შეიძლება

შეზღუდოს ინდივიდუალური მოთხოვნილებების გათვალისწინება და ინდივიდუალური კურიკულუმი დახმარების მაგივრად დამაბრკოლებელ ფაქტორად აქციოს.

პრაქტიკული რჩევა იქნებოდა კურიკულუმის მნიშვნელოვანი ცნებების პერსონალურ-პროფესიული ნუსხის ან დღიურის შექმნა.

როგორც აღვნიშნეთ, განათლების სფერო კომპლექსურია, ხოლო ინდივიდუალური მოთხოვნილებები — განსხვავებული. მასწავლებლებმა მეტნაკლებად ყველაფერი იციან თავიანთი სამუშაო სფეროს შესახებ. ამ ცოდნის სისტემატიზაციის მიზნით საჭიროა შეიქმნას კურიკულუმის მნიშვნელოვანი ტერმინოლოგიის ჩამონათვალი. მაგალითად, კურიკულუმის მოდელის რვა ძირითადი ასპექტი შეიძლება გაერთიანდეს ძირითადი ასპექტების სათაურის ქვეშ. ყოველი მასწავლებელი ამ ტერმინოლოგიის ნუსხას განავრცობს თავისი ცოდნის შესაბამისად, თუმცა შეიძლება არაერთხელ გადახედოს და შეავსოს პროფესიული ზრდის შესაბამისად. განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი, როცა მხედველობადაქვეითებულ მოსწავლესთან ვმუშაობთ, ნუსხა, ბუნებრივია, შეიცავს სუბ-ასპექტებს, რომელიც სპეციალურ განათლებას, კერძოდ კი მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებთან მუშაობას ეხება. კითხვის სიძნელეების მქონე ბავშვებთან მუშაობისას პერსონალურ-პროფესიულ ნუსხაში ვწერთ ამ სიძნელეებთან და კავშირებულ საკითხებს. ამრიგად, ინდივიდუალური კურიკულუმის დაგეგმვა და შეფასება ხელს შეუწყობს ინდივიდუალური სწავლების პროცესს და მოსწავლეების მოთხოვნილებების გათვალისწინებას.

კურიკულუმის ტერმინოლოგიის პერსონალურ-პროფესიული ნუსხის შედგენა და გადასინჯვა არ მოითხოვს რთული სახის ან ძვირი სასწავლო მასალის შექმნას. პირიქით, მუდმივი ცვლილებების გამო პრაქტიკულია მისი ჩამოწერა ან კომპიუტერში შენახვა. რადგანაც ნუსხა მუდმივი გადასინჯვის პროცესშია, ეს გაგვიიოლებს მასში ცვლილებების შეტანას. ასევე პრაქტიკულია ნუსხის ჩამოწერა ალბომში.

კურიკულუმის ტერმინოლოგიის პერსონალურ-პროფესიული ნუსხის და ალბომის გარდა რეკომენდებულია დღიურის წარმოება. დღიურში ვაგროვებთ ინფორმაციას მოსწავლის ყოველდღიური მუშაობის შესახებ, როგორ ართმევს იგი თავს კონკრეტულ დავალებას. აქვე ვწერთ მოსაზრებებს მისი მიღწევების, ბარიერების,

საჭიროებების შესახებ. შეგვიძლია ჩამოვწეროთ კომენტარები სწავლების მეთოდების, ინდივიდუალური კურიკულუმის ასპექტების შესახებ. დაკვირვებების აღნიშვნა დღიურში, რასაც ყოველდღიურად სულ რაღაც ხუთი-ათი წუთი სჭირდება, დიდად დაგვეხმარება გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელებაში. უნდა გვახსოვდეს, რომ დღიური სხვისთვის ხელმიუწვდომელ ადგილას უნდა შევინახოთ.

მოსაზრებები

დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ სამი მნიშვნელოვანი საკითხი. პირველი ეხება კურიკულუმის ძირითად ასპექტებს, მეორე მოიცავს კომენტარებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების პრობლემების და დილემების შესახებ, რომელთა აღნიშვნისათვის გამოვიყენებთ დისონის (1998) მაგალითებს. საბოლოოდ კი განვიხილავთ ინკლუზიურ სკოლებში ადაპტირებული განათლების პერსპექტივებს.

როგორც აღვნიშნეთ, კურიკულუმის რვა ძირითადი ასპექტი გავლენას ახდენს სწავლების პროცესის მნიშვნელოვან ასპექტებზე. ვერცერთი მოდელი და ტერმინოლოგია ვერ მოიცავს რეალობაში არსებულ ყველა ასპექტს. ტერმინოლოგია მნიშვნელოვანია რეალობის სხვადასხვა ასპექტის დასაფიქსირებლად. რამდენიმე ძირითადი ასპექტი წარმოდგენილია კურიკულუმის კლასიკური ასპექტის ან ზოგადი თვისების სახით. ზოგადი თვისება გულისხმობს ამ ასპექტების გაგებასა და შეთანხმებას. მიზნები, შინაარსი, მეთოდი, ორგანიზაცია, შეფასება და სწავლება კლასიკური მაგალითებია საგანმანათლებლო იდეების ისტორიაში, მაშინ როდესაც შემზღუდველი ფაქტორები, ურთიერთობა და მზრუნველობა მთავარი ასპექტებია ყურადღების მიპყრობის პროცესში. თუმცა, არსებობს მზარდი კრიტიკა ამ ზოგადი ასპექტების არასწორ გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი შინაარსი და ფექტი პრობლემატური ხასიათისაა (Englund 1997; Popkewitz 1997). ზოგიერთი კრიტიკოსის აზრით საჭიროა მათი შეცვლა სხვა ცნებებით. თომას ინგლანდმა თავისი შეხედულება შემდეგნაირად ჩამოყალიბა:

კურიკულუმის თეორიასა და დიდაქტიკაში ხშირად ვხვდებით ცნებებს – სწავლება, დაგეგმვა, სასკოლო განათლება. ამის ნაცვლად, ვფიქრობ, უმჯობესია დავენერგოთ ისეთი ტერმინოლოგია, როგორი-

ცაა გამოცდილება, ურთიერთობა, მიზანშეწონილობა, პრაქტიკა და ა.შ. (Englund 1997:22).

ურთიერთობის და მზრუნველობის ასპექტებს კურიკულუმის მოდელში ცენტრალური ადგილი უჭირავს. ურთიერთობისა და მზრუნველობის უნარი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სწავლების პროცესში განათლების ყველა სხვა ასპექტი მათზე დამოკიდებული. ამრიგად, ურთიერთობის და მზრუნველობის ასპექტები უნდა განვიხილოთ სხვა მიმართულებებთან შესაბამისობაში.

როგორც აღნიშნეთ, განათლების, კერძოდ, კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლება მეტად რთული და კომპლექსური პროცესია, ზოგიერთ შემთხვევაში წინააღმდეგობრივიც, რაც გარკვეულ დილემებს წარმოქმნის. დისონი (1998:11) აღნიშნავს, რომ დილემის არსებობა გვაძლევს საშუალებას დეტალურად შევისწავლოთ და გავაცნობიეროთ განათლება არა მხოლოდ ზოგადად, არამედ როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლებაც. მისი აზრით, დილემის წარმოქმნა არ არის შემთხვევითი და დროებითი სიძნელე კონკრეტულ სიტუაციაში – განათლება და კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება დილემის არსებობით ხასიათდება. მაგალითად, დისონი აღნიშნავს მსგავსებისა და მრავალფეროვნების დილემას და დასძენს, რომ თუმცა ამ დილემის გადასაწყვეტად ბევრი რამ ხორციელდება, იგი არ უჩინარდება და ახალი სახით წარმოჩინდება.

ამგვარი დილემა გვხვდება რვა ძირითად ასპექტშიც. განვიხილოთ ორი მაგალითი. არსებობს დილემა მასწავლებლის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის მოთხოვნილებების შეფასებასა და მათი კატეგორიზაციის საფრთხეს შორის. კატეგორიზაციას ნეგატიური ეფექტი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე და მის მიმართ სხვების დამოკიდებულებაზე.

მეორე მაგალითი ეხება იმას, თუ როგორ არის ჩამოყალიბებული განათლების კონკრეტული მიზნები. არსებობს დილემა ზოგადი მიზნების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რაც მოსწავლეს უტოვებს უფლებას თავად მოახდინოს ინტერპრეტაცია და გამოიტანოს დასკვნა. ინკლუზიურ კლასში კურიკულუმის განხორციელება დაკავშირებულია საგანმანათლებლო დილემის გადაწყვეტასთან.

დისონი (1998) ასევე აღნიშნავს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლება და ინკლუზიის პრინციპი

ნარმოიშობა არა სოციალური ვაკუუმიდან, არამედ კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, რომელიც აღსავსეა ისტორიული გამოცდილებით, ცოდნით, ინტერესებითა და ძალაუფლებით. რამდენიმე გასხვავებული პრინციპი მწვავე დისკუსიის საგანია. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ წინააღმდეგობა სოლიდარობის (თანადგომის), თანამშრომლობისა და ინკლუზიის პრინციპებსა და კონკურენციას შორის (Johnsen 1998:11). ინკლუზიურ სკოლაში ადაპტირებული განათლების პრინციპი გარკვეულ სიძნელეებს ხვდება. ერთ-ერთი მათგანია ე.წ. გენიოსის არსებობის ტრადიცია.

აუცილებელია ინკლუზიის ახალი პერსპექტივების მუდმივი წარმოშობა. ერთ-ერთ მათგანს სათავე დაუდო ბეფრინგმა სტატიაში სოციალური განვითარების პერსპექტივის შესახებ (Befring 1997; 2001). ამ ხედვის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის „კარგი“ სკოლა ისაა, რომელიც მას შესთავაზებს იდეალურ სასწავლო გარემოს, ორიენტირებულს თითოეული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე.

**კულტურული ღონისძიებები, როგორც
ინტეგრაციის, ურთიერთობისა და ინკლუზიის
განვითარების საშუალება, განათლება ღირსეული
მოქალაქეობისათვის**

მირიამ დ. შერტენი

შესავალი

ამ სტატიაში განხილულია კულტურული ღონისძიებები, როგორც ბავშვების განათლების აუცილებელი პირობა, რომელიც ხელს შეუწყობს მათი როგორც აქტიური და ღირსეული მოქალაქეების ჩამოყალიბებას. იგი ასევე წარმოადგენს განვითარების მნიშვნელოვან პირობას როგორც ბავშვების და მოზრდილების, ასევე ერთიანი საზოგადოების უკეთესი ცხოვრების წარმართვის მიზნით. ამ სტატიაში აქცენტს ვაკეთებთ კულტურული ღონისძიებების როლზე ინტეგრაციისა და ურთიერთობის განვითარების პროცესში. იგი ასევე

განსაზღვრავს ემოციურ და სოციალურ განვითარებას ფორმალური და არაფორმალური ინკლუზიური განათლების სფეროში.

ინკლუზიური გარემო მოიცავს თემის, საზოგადოების ყველა წევრს მათი ასაკის, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის, სენსორული, ფიზიკური ან შემეცნებითი ფუნქციონირების, კულტურული წარმომავლობისა და გამოცდილების მიუხედავად. ფორმალური განათლების სფეროში, რომელიც ჩვეულებრივ ორგანიზებულია ბავშვის ასაკობრივი ცენზის მიხედვით, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს თანატოლ ბავშვებთან ერთად. როდესაც ვსაუბრობთ ინკლუზიაზე, ვგულისხმობთ საზოგადოების ბუნებრივ მრავალფეროვნებას საკლასო ოთახებში და საზოგადოებაში. ინკლუზიის პროცესი ხელს შეუწყობს თითოეული ინდივიდის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

ცნება – „კულტურული ღონისძიებები“ – გულისხმობს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია კულტურის ისეთ დარგებთან როგორცაა ცეკვა, მუსიკა, დრამა, ხელოვნება, ხელოსნობა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ხატვა და სკულპტურა) და მხატვრული კითხვა. სტატიაში ვიყენებთ ტერმინს „კულტურული ღონისძიებები“ და არა „ხელოვნება“, ვინაიდან ზოგიერთ კულტურაში ხელოვნება შეიძლება მივიჩნიოთ ნაწილობრივ ხელოვნურ და უცხო სხეულად.

კულტურული ღონისძიებები მოიცავს მრავალმხრივ გამოცდილებას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. იგი ასევე მოიცავს ბავშვებისა და მოზრდილების ინდივიდუალურ შემოქმედებას და ექსპერიმენტებს. შემოქმედებითობა ვლინდება როგორც განმარტებით, ისე სხვებთან ინტერაქციის დროს ინდივიდუალურობის და ჯგუფური ინტერაქციის საჭიროების გათვალისწინებით.

კულტურული მემკვიდრეობა ნიშნავს სიმღერების, ცეკვების, მოთხრობების, ტრადიციული გრაფიკული ნამუშევრების შედევრებს და მათი შესრულების სტილს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა. კულტურული ღონისძიება კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად ასევე მოიცავს იმპროვიზაციებს და ახალი შედევრების შექმნას, რათა ისინიც ასევე მომავალ თაობებს გადაეცეთ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ჯაზმუსიკა.

კულტურული ღონისძიებები, ერთი მხრივ, მოიცავს მონაწილეობას და, მეორე მხრივ, აუდიტორიის, მსმენელების აქტიურობას.

ორივე ასპექტი მონაწილეების გამოცდილების გამდიდრების წინაპირობაა. შესაბამისად, ეს წარმოადგენს ჯგუფებს შორის გამოცდილების გაზიარების და აქტიური, ღირსეული მოქალაქეების ჩამოყალიბების მნიშვნელოვან ბერკეტს.

ეს სტატია გახლავთ ბავშვებთან, მასწავლებლებთან მუშაობის და ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილების შედეგი. პრაქტიკა, თეორია და ცნობიერება თანდათან განვითარდა დისკუსიების, პრაქტიკული მუშაობის, სამეცნიერო და თეორიული კვლევა-ძიების შედეგად.

მრავალფეროვნება და სოციალური განვითარება – წარსული და აწმყო

წარსულში არსებობდა ხელოვნური, არაბუნებრივი ტიპის საზოგადოება, სადაც ადამიანები დაყოფილი და დანაწილებული იყვნენ სოციალური, კულტურული და ფიზიკური მონაცემების მიხედვით. ამგვარმა სეგრეგაციამ გამოიწვია გარკვეული „სოციალური ტიპების“ ჩამოყალიბება.

სეგრეგაციას (იზოლაციას) ადგილი ჰქონდა და აქვს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური კუთვნილების ან შეზღუდული შესაძლებლობების გამო. სეგრეგირებული პირები გარიყულნი აღმოჩნდნენ საზოგადოებისგან, ვინაიდან არ მიეცათ სწავლის, განვითარების და ე.წ. „პრივილეგირებულ“ საზოგადოებაში ცხოვრების უფლება. თუმცა ე.წ. „პრივილეგირებული“ საზოგადოებაც ასევე შეიძლება აღმოჩნდეს გარიყული, ვინაიდან კარგავს ნორმალური სოციალური განვითარების შესაძლებლობას, რაც სეგრეგირებულ პირებთან ინტერაქციით ვითარდება. ბოლო ათწლეულების განმავლობაში გავაცნობიერეთ, რომ საზოგადოების ამგვარი სახით არსებობით ადამიანებმა დაკარგეს მნიშვნელოვანი ფასეულობები და ამჟამად ცვდილობთ მოვიძიოთ გზები, რათა საზოგადოებამ გააცნობიეროს, რომ მრავალფეროვნება „ნორმალურია“ და მასში ყველა პირი ვითარდება სოციალურად.

„ნორმალური“ საზოგადოება შედგება სხვადასხვა მოთხოვნილებების, ინტერესების, შესაძლებლობებისა და აზრის მქონე წევრებისაგან. როდესაც ვსაუბრობთ „ნორმალიზაციაზე“ ან „ნორმალურ საზოგადოებაზე“, ვგულისხმობთ არა მხოლოდ ისეთ საზოგადოებას,

რომელიც აღიარებს მრავალფეროვნებას, არამედ ისეთს, რომელიც მრავალფეროვნებას აღიქვამს როგორც სოციალური განვითარების წინაპირობას და არა სოციალურ ტვირთს. ამგვარი საზოგადოება თავისი წევრებისადმი პატივისცემას გამოხატავს და აძლევს მათ გამოცდილების შექმნის თანასწორ უფლებას. აღნიშნული კი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძველია. ბავშვები შორს არიან თვითიზოლაციისაგან, თუმცა ასაკის მატებასთან ერთად მშობლებისგან, მასწავლებლებისგან, სასკოლო სისტემისგან და მედიისაგან სწავლობენ ამას. ეს განაპირობებს რეორიენტაციის აუცილებლობას ამ პერიოდში. რეორიენტაცია გულისხმობს, რომ ბავშვები მეტად მნიშვნელოვან ბირთვს წარმოადგენენ (არა მხოლოდ როგორც მომავალი მოქალაქეები) და საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ისინი შესაბამისი პირობებით. ეს არ გულისხმობს იმას, რომ მხოლოდ განსხვავებული მდგომარეობის მქონე ბავშვები თუ მოზრდილები არიან ის პირები, რომლებმაც უნდა განიცადონ ცვლილებები, რათა მიღებულ იქნენ საზოგადოებაში.

ინკლუზიის პროცესის თანდათანობით განვითარება

პრაქტიკული გამოცდილება, სამეცნიერო კვლევა, საკანონმდებლო აქტები (ეროვნული და საერთაშორისო) ისევე როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მოღვაწეთა თეორიები, ცდილობენ გვასწავლონ როგორ ჩამოყალიბდეს სამართლიანი საზოგადოება.

ხალილ გიბრანი 1923 წელს წერს:

„მიუხედავად იმისა, რომ ისინი შენთან არიან, შენ არ გეკუთვნიან, შენ შეგიძლია გაუზიარო მათ სიყვარული, მაგრამ ვერ შეძლებ გაუზიარო შენი ფიქრები, ვინაიდან მათ აქვთ საკუთარი ფიქრების სამყარო.“

მასწავლებლებთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს:

„თუ ბრძენია, არ მოგთხოვს შესვლას თავის სიბრძნის სახლში, იგი გაგიძღვება შენი სიბრძნის კარიბჭისკენ“

ჯონ დუის (1859-1952) შემდეგ პაულო ფრეირემ (1921-1997) დაგვარწმუნა, რომ სწავლა ემყარება მეთოდს — „სწავლა შესრულებით“, რაც მოიცავს დიალოგს, ინტერაქციას და მონაწილეობას მოსწავლის რეალური მდგომარეობის და გამოცდილების გათვალისწინებით

(ეს ასევე მოიცავს წერა კითხვისა და არითმეტიკის შესწავლას). მთავარი ფოკუსი ასევე გაკეთდა ერთობლივ მუშაობაზე და არა ერთმანეთში პაექრობაზე. ური ბრონფრენბრენერი თავის სოციალურ გამოკვლევაში ასახავს, თუ რა გავლენას ახდენს სხვადასხვა სისტემა, გარემო მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებაზე. ქვემოთ იხილავთ მოდელს, რომელიც შეეკმენი და ნაწილობრივ წააგავს ბრონფრენბრენერის მოდელს. ლევ ვიგოდსკიმ (1896-1934) ასევე ხაზი გაუსვა სწავლის პროცესში სოციალური გარემოს მნიშვნელობას. მიუხედავად ზემოაღნიშნული თეორიებისა და ცნებებისა, სასკოლო სისტემა და მასწავლებელი მაინც უპირატესობას ანიჭებს „სიმართლეს,“ რომელიც აღწერილია ნიგნებში, ან სხვა პირების მიერ არის გადმოცემული, რის შედეგადაც ბავშვების აზრის იგნორირება ხდება. 70-80-იან წლებში UNESCO ჩაატარა გამოკითხვა ბავშვებთან, რათა დაედგინა, რას ნიშნავს ცნება „კარგი მასწავლებელი“ ბავშვების წარმოდგენით (რედაქტორები ელიზაბეთ კავაჯიკიე, ანა მიულერი, სიგრიდ ნედერმაიერი, სილა უნგერტ ხოლისი. გამოქვეყნებულია UNESCO მიერ ინგლისურ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე). კვლევის შედეგები ძალზე საინტერესოა და პასუხობს დღევანდელობას.

უფლებებისა და ინკლუზიის მხარდამჭერ საერთაშორისო აქტებს შორის

აღსანიშნავია:

- ♦ ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია – 10.12.1948;
- ♦ ბავშვთა უფლებების კონვენცია, 1989, გაერო;
- ♦ განათლება ყველასათვის: ჯომთიენის (ტაილანდი) მსოფლიო კონფერენცია;
- ♦ სტანდარტული წესები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის შესახებ 1994, გაერო;
- ♦ სალამანკას დეკლარაცია – მსოფლიო კონფერენცია სპეციალური საჭიროებები და განათლება; ხელმისაწვდომობა და ხარისხი (UNESCO, 1994);
- ♦ დაკარის სამოქმედო გეგმა, განათლება ყველასათვის: ჩვენი შესაძლებლობების კოლექტიური განხორციელება, 2000, UNESCO.

ზემოაღნიშნულის გარდა, არსებობს ეროვნული პოლიტიკა, კა-

ნონები საყოველთაო განათლების, ინკლუზიის, თანასწორუფლებიანობის და ა.შ. შესახებ.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მიზნების განხორციელებამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი. დღეს ადრინდელზე გაცილებით უფრო მეტი ბავშვი ცხოვრობს არასასურველ მდგომარეობაში, რომელიც აქტიური და ღირსეული მოქალაქეობის განვითარების მეტად მწირ შესაძლებლობას იძლევა. ინკლუზიის პროცესის განხორციელების მიზნით აუცილებელია ბავშვთა უფლებების კონვენციის შესწავლა (რაციფიცირებულია ყველა ევროპული ქვეყნის და მსოფლიოს სხვა დანარჩენი ქვეყნის მიერ). საკუთარ თავს უნდა დავუსვათ შეკითხვა: რამდენად სერიოზულად აღვიქვამთ ბავშვებს, მათ მოთხოვნილებებს, უფლებებს და ინდივიდუალობას?, იძლევა თუ არა ჩვენი განათლების სისტემა საკმარის შესაძლებლობებს სწავლების, განვითარებისა და აქტიურობის თვალსაზრისით? წინამდებარე სტატიაში განათლება გულისხმობს ფორმალურ და არაფორმალურ განათლებას, რომელიც ასევე ინკლუზიურ, მეგობრულ გარემოში ხორციელდება. თამაშსა და თამაშობებს, მათ შორის სხვა კულტურულ ღონისძიებებს, უდიდესი მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. ეს ღონისძიებები თავისი ხასიათით გაცილებით ადვილად წარმოშობს მრავალფეროვნების, დიალოგის და გაზიარების შესაძლებლობას, ვიდრე მონოტონურობა და შეჯიბრებითობა. გამომდინარე იქედან, რომ კონკურენტულ ეპოქაში ვცხოვრობთ, ზემოაღნიშნული კულტურული ღონისძიებები მეტ მნიშვნელობას იძენენ.

კულტურული ღონისძიებების როლი

კულტურული ღონისძიებები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ:

- ინდივიდების, როგორც საზოგადოების (სოციალური ერთეულის, ოჯახის, კლასის, თემის) წევრების ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და შემეცნებით განვითარებაში;
- ჯგუფის, როგორც ერთიანობის გაძლიერებაში (ინდივიდუალური წევრების მრავალფეროვნების შედეგად).

კულტურული ღონისძიებები თავიანთი ემოციური განცდების გამოვლენის და სოციალური გამოცდილების გამდიდრების საშუალებ-

ბას აძლევს ბავშვებსა და მოზრდილებს. ეს შესაძლებლობები ხშირად იგნორირებულია ფორმალური განათლების სისტემის მხრიდან. მეორე მხრივ, წარმოადგენს დემოკრატიულობისა და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბების პირდაპირ და არაპირდაპირ საშუალებას. ემოციური და სოციალური განვითარება მნიშვნელოვანია არა მარტო ბავშვის კეთილდღეობისათვის, არამედ დროთა განმავლობაში ხელს უშლის უმწეობის გრძნობის განვითარებას, როდესაც ბავშვი წარმატებით ვერ შეასრულებს დავალებას. თუმცა, როდესაც კულტურული ღონისძიებები სკოლაში საგანია და არა ინდივიდუალური ინტერესი, ისინი ასევე შეიძლება მოსაწყენი აღმოჩნდეს ბავშვებისათვის. მნიშვნელოვანია კულტურული ღონისძიებების განხილვა არა მხოლოდ მონაწილის თვალსაზრისით, არამედ დამკვირვებლის, მსმენელისა და აუდიენციის თვალთახედვითაც. 1970-80-იან წლებში, როდესაც მათ ისეთივე მნიშვნელობა შეიძინეს, როგორც განათლება, ხშირად აღიარებდნენ, რომ ამგვარ ღონისძიებებში მონაწილეობაც კი, მაგალითად, სიმღერა, ცეკვა, როლური თამაშები და სხვა, ღირებული იყო. მაყურებლის, აუდიტორიის როლში ყოფნა მიიჩნეოდა პასიურ გართობად, რომელიც მხოლოდ სიამოვნების მომგვრელია. აღმოჩნდა, რომ ცქერისა და მოსმენის პროცესში პიროვნებას შეუძლია იაქტიუროს კიდევ, კულტურული ღონისძიება არ არის მხოლოდ რელაქსაციის საშუალება, უფრო მეტიც, მოსმენა და თვალყურის დევნება შეიძლება სოციალური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყოს და გაზარდოს პიროვნების აქტიურობა და შემოქმედებითობა. ეს ასევე ხელს უწყობს დაკვირვებისა და ანალიზის შესაძლებლობების განვითარებას. თუმცა, აუცილებელია ანალიტიკური და აქტიური მოსმენა და თვალყურის დევნება. „შემსრულებლის“ შესახებ დადებითი ან უარყოფითი მოსაზრების გამოთქმა ორივე მხარისთვის აუცილებელია. ასევე ვისაუბრებთ მრავალფეროვნებაზე, რომელიც შემდეგში გამოიხატება — ზოგს უყვარს მუსიკის მოსმენა, მაგრამ არა სიმღერა ან მუსიკალური ინსტრუმენტზე დაკვრა, ზოგს უყვარს ამბების მოყოლა, მაგრამ არა მოსმენა. ზოგ ადამიანს სურს იცეკვოს, მაგრამ არ შეუძლია. ზოგს უყვარს მხოლოდ მოსმენა და ცქერა, რადგან, როგორც მონაწილეებს, გარკვეული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სიამოვნებას არ ჰგვრით.

მასწავლებლები და კულტურული ღონისძიებები

თუ მართლა გვსურს კულტურული ღონისძიებების გამოყენება სოციალური განვითარების და არა გართობის მიზნით, მაშინ ამ საკითხს ფრთხილად და სერიოზულად უნდა მივუდგეთ. აუცილებელია მასწავლებლები და ტრენერები, მშობლები, ხელოვნების მუშაკები და მოყვარულები ფლობდნენ ინფორმაციას, თუ როგორ და რატომ არის კულტურული ღონისძიებები მნიშვნელოვანი. ასევე, კურიკულუმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირები და ფინანსური მხარდამჭერები უნდა იზიარებდნენ მის მნიშვნელობას. მნიშვნელოვანია საკმარისი ხანგრძლივობის კომპეტენტური ტრენინგის ჩატარება მასწავლებლებისათვის სკოლასა და საბავშვო ბაღებში. მასწავლებლები უნდა ჩაერთონ ამგვარ ღონისძიებებში და უნდა გაიგონ მათი ჩატარების ტექნიკა, რათა მომავალში სწავლების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების განათლების) საკუთარ მეთოდებში ასახონ. მათ უნდა იცოდნენ, თუ როგორ გამოიყენონ კულტურული ღონისძიებები ბავშვების და საკუთარ ძალებში რწმენის განვითარების მიზნით. მათ ასევე უნდა იცოდნენ თუ რა როლის შესრულება შეუძლია ამ ღონისძიებებს ინკლუზიის პროცესში. მასწავლებლებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ მონაწილეობის მიღება. მათ უნდა ისწავლონ ამგვარი ღონისძიებების ანალიზი და ის, თუ რა გავლენას მოახდენს ღონისძიებები მოსწავლეებზე.

მასწავლებლებს და სხვა სპეციალისტებს, რომლებიც მოზარდებთან მუშაობენ, უნდა ჰქონდეთ კვალიფიკაციის ამაღლების და კულტურული ღონისძიებების ინდივიდუალური განვითარების მიზნით ჩატარების შესაძლებლობა. ეს არ ნიშნავს მხოლოდ უნარ ჩვენებისა და მეთოდების სწავლას. მასწავლებლებმა საკუთარი გამოცდილებიდან უნდა გაიგონ, თუ რა ემოციურ გავლენას ახდენს კულტურული ღონისძიებები მოსწავლეებზე.

კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებული ხასიათი

როგორც აღვნიშნეთ, კულტურული ღონისძიებები — ცეკვა, მუსიკა, დრამა, თეატრი, გრაფიკა, სკულპტურა, ხელოვნება, მხატვრული კითხვა, პოეზია — ერთობლივად მოიხსენიება, როგორც

ხელოვნება. ყველა მათგანი მნიშვნელოვანი და გამორჩეულია. მათი განსაკუთრებულობა მდგომარეობს იმაში, თუ როგორ შეუძლია პიროვნებას მათი მეშვეობით სხვადასხვა გრძნობების, კონტრასტის, ნიუანსების გამოხატვა. მათ ასევე შეუძლიათ გამოხატონ წარსულში, აწმყოში განცდილი, გადატანილი და სამომავლო ოცნებები, ისევე როგორც არარეალური ფანტაზიები. მაშასადამე, კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებული ხასიათი ვლინდება შემდეგში:

- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- გრძნობებისა და აზრების ინტეგრირება და აბსტრაქტულად წარმოდგენა;
- მოძრაობის, რითმის, ხმის და ფორმის პარმონიზაცია;
- ერთის მხრივ, მოძრაობის და ხმის და მეორეს მხრივ, ჩუმად ყოფნისა და უძრაობის პარმონიზაცია;
- დაძაბულობისა და რელაქსაციის პარმონიზაცია;
- დროის, სივრცის, ძალის და დინების დაკავშირება;
- სხეულის და სულის ან ფიზიკური და სულიერი მდგომარეობის პარმონიზაცია;
- თამაშისა და რიტუალის ერთმანეთთან დაკავშირება;
- სიმართლის და ზღაპრის, ფაქტის, ფანტაზიის და ოცნების გაერთიანება;
- ინდივიდუალური და საერთო, სოციალური ინტერესების გაერთიანება.

უმრავლესობა დაგვეთანხმება, რომ ეს დადებითი თვისებებია. თუმცა ეს ღონისძიებები შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს ექსტრემალური პოლიტიკური იდეოლოგიების, განცხადებების წასაქვებლად, რომელიც აცდუნებს ინდივიდებს იყიდონ ის, რაც მათ არ სჭირდებათ, ეზიარონ ფანატიზმს და ა.შ.

გარდა ამისა, ხელოვნებას აქვს ორი სხვა მნიშვნელოვანი თვისება. პირველი გახლავთ წარმოდგენების, გრძნობების, ატმოსფეროს, აზრების, იდეების და სხვა ორგანიზება და სტრუქტურის და ფორმის მიცემა. მაგალითად, როდესაც მუსიკა გარკვეული წყობით და რიტმით არის გადმოცემული, იგი სხვაგვარად გაიჟღერებს სხვა წყობით და რიტმით გადმოცემის შემთხვევაში. ასევე, ხაზებისა და ფერების შერწყმა სხვადასხვა წარმოდგენას გვთავაზობს. მაგალითად, ოკეანეს და უდაბნოს შეიძლება ჰქონდეს საერთო უსაზღვროება, მაგრამ სხვადასხვა ფერი.

მეორე თვისება მდგომარეობს შემდეგში: ხელოვნებას შეუძლია რეალობიდან გარკვეული მესიჯის (შეტყობინების) გადმოცემა და არარეალობის კოპირება. ამას რეალობის აბსტრაქცია ეწოდება. ბუნება, საგნები და აზრები გამარტივებულია, რათა გამოიწვიოს მოგონებები, ემოციები და ფიქრები. ამ მხრივ, შეტყობინება უნივერსალური ხასიათისაა. აბსტრაქციის გამოყენებით პირადი გამოცდილება შეიძლება გარდაიქმნას უნივერსალურ გამოცდილებად.

ფოტოგრაფია იმდენივე დეტალს აფიქსირებს, რამდენის შესაძლებლობასაც ტექნოლოგია იძლევა მაშინ, როდესაც მხატვრობა ამდენი დეტალის გამოხატვის შესაძლებლობას არ იძლევა. ზომა, ფორმა და ფერი შეიძლება ან გაზვიადებული ან შემცირებული სახით წარმოჩინდეს. მიკროფონი ჩაიწერს სიმღერას რეალური სახით, მაშინ როდესაც მუსიკოსს შეუძლია შეცვალოს სიჩქარე, რიტმი, ხმის ტემბრი და ამგვარად ყველაფერი მასზეა დამოკიდებული.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კულტურული ღონისძიებების სხვადასხვა ფორმას ერთი მხრივ გააჩნია გამოხატვის საერთო საშუალებები და მეორე მხრივ ემოციებისა და ნიუანსების გამორჩეული და უნიკალური გამოხატვის შესაძლებლობა. ზოგი რამ შეიძლება გამოიხატოს თავისებური ფორმით. ეს დამოკიდებულია არა მხოლოდ ობიექტზე, არამედ შემსრულებელზეც. მაგალითად, შეიძლება ერთმა პიროვნებამ გამოხატოს ემოცია ცეკვით, ხოლო სხვამ – ხატვით.

კულტურული ღონისძიებების სხვადასხვა ფორმა ერთნაირად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია, რომ ცეკვას, მოძრაობას და სიმღერას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მათ ვასრულებთ სხეულში. ხელოვნების ისეთი დარგები, როგორიცაა დრამა, მხატვრობა, სკულპტურა, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა – ასევე სრულდება სხეულის მოძრაობით.

ხელოვნების ისეთი დარგები, რომლებიც ვერბალური გზით სრულდება, ხშირად პირდაპირ ან არაპირდაპირ არის დაკავშირებული სხეულის მოძრაობებთან.

**თავდაპირველად ყველგან ქაოსი სუფევდა,
ერთმანეთში იყო აღრეული ხმა და სინათლე,
მოძრაობა და ფორმა.**

**მოძრაობის შედეგად წარმოიშვა გარკვეული სივრცე
და ყველას მიეცა შესაძლებლობა წარმოეჩინა საკუთარი თავი.**

მხოლოდ შემდეგ გაჩნდა კაცი და ქალი,
მათ დაიწყო აზრის გამოთქმა სიტყვებით.

როდესაც ახალი ადამიანი იბადება,
ცხოვრება იწყება სხეულით და მოძრაობით.

ამრიგად, სხეულის შეგრძნება და მოძრაობის კონტროლი ბავშვისთვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც მოზრდილისთვის.

სხეულის დადებითი იმიჯი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ სხეულებრივი მოძრაობების გამოყენებით, რაც დაკავშირებულია ემოციურ, სოციალურ და ინტელექტუალურ მოქმედებებთან. ამიტომ მხოლოდ მოძრაობის უნარ-ჩვევის განვითარება ვერ მოგვცემს იმ შედეგს, რომელსაც მე ვვულისხმობ. კარგი სხეულებრივი იმიჯის, თავდაჯერების, აზროვნების და თანაგრძნობის მქონე ადამიანებს აქვთ გაცილებით მეტი შესაძლებლობა ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად.

რატომ კულტურული ღონისძიებები?

კულტურულ ღონისძიებების გამორჩეული ხასიათი გამომწვეულია მათი მრავალფეროვნებით. მათ შეუძლიათ მრავალი სახის ინტერესი, დამოკიდებულება, აზრები და გრძნობები მოიცვან. რეალობაში არ არსებობს კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის „ცუდი“ და „კარგი“ მხარე. რა თქმა უნდა, ერთ მხრივ შემოქმედს შეუძლია აირჩიოს და გაყვეს მრავალჯერ ნაცად, გზას, ჩვეულებრივ ტრადიციას ან „სკოლას“ ცეკვისას, მუსიკის წერისას, ხატვისას თუ სპექტაკლის დადგმისას, მაგრამ, მეორე მხრივ, შემოქმედი არ არის ვალდებული მიეჯაჭვოს ტრადიციას. მას უფლება აქვს ქონდეს თავისი მოტივაცია და აირჩიოს სრულიად განსხვავებული გზა შემოქმედებაში.

მეორე მხრივ, არსებობს მკაცრი წესები, თუ როგორ უნდა დაიმარცვლოს სიტყვები, როგორ უნდა შესრულდეს ართიმეტიკული გამოთვლა ან ისტორიული მოვლენის დათარიღება.

კულტურული ღონისძიებები სახლში, საზოგადოებასა და სკოლაში ჩვენი ცხოვრების ნაწილი უნდა იყოს. მათი ჩატარების მიზანია:

- ინფორმაციის მიღება;
- ურთიერთობის განვითარება, როდესაც სიტყვები არასაკმარისია;

- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება;
- რეაბილიტაცია და თერაპია;
- განათლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლების და ინკლუზიის პროცესის ხელშეწყობა.

ქვემოთ განვიხილავთ კულტურულ ღონისძიებებს, როგორც ინკლუზიის პროცესის განხორციელების საშუალებას, ხოლო დანარჩენი ასპექტებს მოკლედ მიმოვიხილავთ. ასევე განვიხილავთ კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და მოზრდილების სწავლებაში, განვითარებასა და ურთიერთობებში.

კულტურული ღონისძიებები და ინფორმაცია

ინფორმაცია

კულტურულ ღონისძიებებს შეუძლიათ ფაქტობრივი ინფორმაციის გავრცელება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კულტურული ღონისძიებები გამომხატავენ ემოციებს და მისი მიზანია, რომ ფაქტობრივი ინფორმაცია უფრო მნიშვნელოვანი და მისაღები გახდეს. ნიგნები და საინფორმაციო ბუკლეტები ძირითადად პრაქტიკულ და ტექნიკურ ინფორმაციას იძლევა, ხოლო კულტურულ ღონისძიებებს უკეთესად შეუძლიათ დამოკიდებულებების გამოვლენა და შეცვლა.

ეს მნიშვნელოვანია ნებისმიერ უმცირესობასთან მიმართებაში მათი კულტურული განსხვავებულობის, სოციალური სტატუსის, სქესის, კანის ფერის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა მდგომარეობის გამო.

კულტურულ ღონისძიებებს უფრო მეტად შეუძლიათ ცნობიერების და თანაგრძნობის გაღვივება და განვითარება, ვიდრე მხოლოდ ფაქტიურ ინფორმაციას და ეს ინვესტ დამოკიდებულებათა თანდათანობით შეცვლას.

ადამიანები წლების განმავლობაში ცდილობდნენ ინფორმაციის გავრცელებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისა და ოჯახების და მათი შესაძლებლობების, მოთხოვნილებების შესახებ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დღევანდელი



სტატუსი იმის მაჩვენებელია, რომ მიუხედავად სიტუაციის გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი საბოლოო მიზნის მიღწევამდე. რეალური თანამშრომლობის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მარგინალური პირების გამოცდილების, პოტენციალისა და საჭიროებების შესახებ იცოდნენ ადამიანებმა, რომლებიც არ არიან მარგინალური და არა აქვთ შეზღუდული შესაძლებლობა.

აქვთ თუ არა შეზღუდვის არმქონე პირთა მიმართ თანაგრძნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს? გააჩნიათ თუ არა უმცირესობათა წარმომადგენლებს თანაგრძნობა უმრავლესობის მიმართ? შეუძლია თუ არა კულტურულ ღონისძიებებს მათი შეკავშირება?

იმ შემთხვევაში, თუკი ინფორმაცია მიზნად ისახავს ამ გამოცდილებების გაზიარებას და კავშირის დამყარებას, იგი აუცილებლად უნდა გავრცელდეს. იგი ასევე ხელს შეუწყობს ხელოვან (შემოქმედ) ადამიანებს უფრო აქტიური როლი შეასრულონ იმ ბავშვების და მოზრდილების განვითარების საქმეში, რომლებიც „უმცირესობას“ ან „უმრავლესობას“ წარმოადგენენ. ეს შეიძლება გან-

ხორციელდეს წერის, მხატვრობის, მუსიკალური ინსტრუმენტებზე დაკვრის, სიმღერის, ცეკვის, სპექტაკლების დადგმის და ზღაპრების მოყოლის გზით.

ნორვეგიელი ნოველისტი და მწერალი ფინ კარლინგი, რომელსაც ცერებრალური დამბლა აქვს, თავის შემოქმედებაში ასახავს ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებულ სიძნელეებს (Carling 1976), პიროვნების ღირსების დაცვისათვის ბრძოლის საკითხებს (Carling 1988), აღწერს, თუ როგორ ცხოვრობს გარიყული ადამიანი საზოგადოებაში, რომელიც უგულვებელყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს (Carling 1975).

ამერიკის შეერთებულ შტატების სმენადაქვეითებულთა ეროვნულმა თეატრმა წარმოადგინა ამ ადამიანების წინაშე მდგარი სიძნელეები და მათი გადალახვის გადალახვის გზები.

ბარბრო სეტერსდალის (1979) პოეზიაში ასახულია მისი დამოკიდებულება დედისადმი, რომელსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე შვილი ჰყავს.

ტორდის ორასეტერმა (1976) კარი გაგიღო იმ ნუხილის, სიხარულის გრძნობების შესაცნობად, რომლებსაც განიცდიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები.

ვიდეოფილმი „Gayas Born“ (1998) ეხება ხუთი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის გრძნობებს, ფიქრებს და ცხოვრების ფილოსოფიას. იგი ასევე წარმოგიდგენს ერთ-ერთი მათგანის ფერწერულ შედეგებს და მათი მეშვეობით მოგვითხრობს მისი გრძნობებისა და გამოცდილებების შესახებ.

საბოლოოდ, საჭიროა აღინიშნოს იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანის მხატვრული ნამუშევრების შესახებ, რომელსაც არ შეუძლია გამოხატოს თავისი ფიქრები და გრძნობები ვერბალურად, მაგრამ მხატვრობის მეშვეობით ქმნის თავისი გამოცდილებებისა და გრძნობების მდიდარ სამყაროს.

ეს მაგალითები ჩვენ, მკითხველებს, მსმენელებს გვაძლევს შესაძლებლობას, გავიგოთ ის ინფორმაცია და გამოცდილება, რომელსაც სხვა არავინ გაგვანდობს.

ხელოვნება გვესაუბრება ვერბალური და არავერბალური ენით. ხელოვან ადამიანებს თავიანთი გრძნობებისა და გამოცდილების განსაკუთრებული გზით წარმოდგენის მეშვეობით შეუძლიათ ჩვენში ისეთი გრძნობების გამოწვევა და მოგონებების გაღვიძება, რაც ჩვეულებრივი ინფორმაციით შეუძლებელია.

როცა სიტყვები არ არის საკმარისი გრძნობების გამოსახატავად

როდესაც ბავშვები ახალ გამოცდილებებს ეზიარებიან, ზოგჯერ შეუძლებელია მისი სიტყვებით გადმოცემა. მაგალითად სურათებიანი წიგნებით ჩვენ შეგვიძლია შევამზადოთ ბავშვები სტომატოლოგთან ან საავადმყოფოში წასასვლელად, ჩვენ შეგვიძლია ავუხსნათ მათ, რომ ბებია ავადა და შესაძლოა გარდაიცვალოს, ან მოვამზადოთ ისინი იმისათვის, რომ დედა მალე წავა საავადმყოფოში ბავშვის გასაჩენად. იმისათვის, რომ ჩასწვდეს ინფორმაციას, ბავშვი უნდა მომზადდეს მაღალკვალიფიციური პიროვნების მიერ.

ზოგჯერ ისე ძლიერი განცდებისას, როგორცაა წუხილი, პრაზი, შიში, სიხარული, ფოკუსირება ძნელდება და შეუძლებელიც კია ზუსტი და სწორი სიტყვების მოძებნა. თუმცა, სიტყვების კომბინირება ისეთ არავერბალურ ურთიერთობასთან, როგორცაა ფერი, ხმა, მოძრაობა, ემოციის მნიშვნელოვანი გამოხატვის წინაპირობაა.

ყოველივე ეს მნიშვნელოვანია ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ბავშვებისთვის, რომლებსაც არ შეუძლიათ ლაპარაკი. ამის გათვალისწინება აუცილებელია განსაკუთრებით მაშინ, თუ გვსურს მრავალფეროვანი, ინკლუზიური საზოგადოების შექმნა.



კულტურული ღონისძიებები და კულტურული მემკვიდრეობა

ხელოვნება ასახავს ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობას, ხოლო კულტურული მემკვიდრეობა ჩვენი წარმომავლობის საფუძველია. სწორედ იგი განსაზღვრავს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას, ქმნის ისტორიას.

კულტურული მემკვიდრეობა ასევე დაკავშირებულია მშობლიურ ენასთან. იგი საზოგადოების ყველა წევრის გამაერთიანებელია. დღეისათვის, როდესაც ადამიანები უცხო ქვეყნებში მკვიდრდებიან, ბავშვები და მოზრდილები გამოხატავენ პატივისცემას ერთმანეთის კულტურის და მემკვიდრეობის მიმართ. ამას ადგილი აქვს ასევე მაშინაც, როცა ადამიანები თავისივე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში გადაადგილდებიან. ევროპის ქვეყნების კულტურა და მსოფლიოს დანარჩენი ნაწილი ხშირად აწყდება კონფლიქტს ტრადიციულსა და თანამედროვე შეხედულებებს შორის. ეს უკანასკნელი უკავშირდება ბავშვების მოთხოვნილებების გაზიარებას და მათ პატივისცემას.

კულტურული ღონისძიებები გვაძლევს უნიკალური შესაძლებლობას დავეხმაროთ ბავშვებს და დავაკმაყოფილოთ მათი საჭიროებები, პატივი ვცეთ და სერიოზულად მოვეკიდოთ მათ. როდესაც ბავშვებს პატივს სცემენ, ისინი ანალოგიურად განიმსჭვალებიან სხვების მიმართ და ექმნებათ აქტიურ და ღირსეული მოქალაქეებად ჩამოყალიბების მეტი შესაძლებლობა. გვინდა შევვხებით შესაძლებლობებს, რომლებსაც გვიქმნის კულტურული ღონისძიებების გამოყენება ზოგადი და სპეციალური განათლების პროცესში. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც განათლებაზე ვსაუბრობთ, ვგულისხმობთ ერთიან საგანმანათლებლო სისტემას, რომელიც მოიცავს: სწავლის და განვითარების აკადემიურ, სოციალურ-ემოციურ და ფიზიკურ ასპექტებს.


კულტურული მემკვიდრეობა ასევე გულისხმობს ტრადიციებს, რომლებიც უკავშირდება უფროსებსა და უმცროსებს შორის ურთიერთობებს (დასაშვები და დაუშვებელი წესები).

მომდევნო თავში განხილულია ხელოვნების მრავალფეროვანი შესაძლებლობები, როდესაც იგი გამოყენებულია ზოგადად განათლების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლების სფეროში მიუხედავად მათი ასაკისა და შესაძლებლობებისა. აუცილებელია აქვე აღვნიშნოთ, რომ, ცნებაში „განათლება“ ქვემოთ იგუ-

ლისხმება სწავლებისა და განვითარების აკადემიური, სოციალურ-ემოციური და ფიზიკური ასპექტები.

**კულტურული ღონისძიებების გამოყენება
რეაბილიტაციასა და თერაპიაში – გზა ღირსეული
მოქალაქეობისაკენ**

რეაბილიტაციასა და თერაპიას, ისევე როგორც განათლებას, საერთო ასპექტები აქვთ და გარკვეულწილად ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი (იხ. ნახაზი 1). რეაბილიტაცია – დაკარგული ფუნქციების აღდგენა, კომპენსირებაა, იგი თერაპიულ გავლენას ახდენს მასზე და აადვილებს სწავლების პროცესს. კარგი თერაპია აუმჯობესებს სწავლებისა და რეაბილიტაციის პროცესს, ხოლო კარგ განათლებას მოაქვს თერაპიული შედეგები და ხელს უწყობს რეაბილიტაციას.



ნახაზი 1: განათლება, რეაბილიტაცია და თერაპია ერთმანეთზეა დამოკიდებული

ურთიერთდამოკიდებულებასთან ერთად მათ ასევე ახასიათებთ ზოგადი და კულტურულ ღონისძიებებთან დაკავშირებული

განსხვავებები. თერაპიას ფსიქოთერაპიის კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ სამეულში, ვინაიდან იგი ეხება ყველაზე ღრმა გრძნობებსა და ფსიქოლოგიას. თერაპევტებს, რომლებიც კულტურულ ღონისძიებებს ახორციელებენ, სჭირდებათ გარკვეული ტრენინგი ფსიქოთერაპიასა და კულტურულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია თერაპიის ისეთი სახეები, როგორცაა მუსიკის თერაპია, ცეკვის თერაპია, ფსიქოდრამა და ხელოვნების თერაპია.

რეაბილიტაცია, თერაპია და განათლება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მჭიდროდ ესაზღვრება ერთმანეთს. კულტურული ღონისძიებების მნიშვნელობა დიდია განათლების სფეროში, თუმცა უფრო მნიშვნელოვანია რეაბილიტაციასა და თერაპიაში.

სიტყვა განათლება ამ კონტექსტში მოიცავს ზოგადად განათლებას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლებას და ინკლუზიურ განათლებას. კულტურულ ღონისძიებებს განათლების სფეროში აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- კულტურული ღონისძიებები გვაზიარებენ ხელოვნების სფეროში ჩაქსოვილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს;
- კულტურული ღონისძიებები განათლების მიღების ერთ-ერთი საშუალებაა.

კულტურული ღონისძიებები გვაძლევს ცოდნის მიღების და უნარ-ჩვევების შექმნის შესაძლებლობას

სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები ხშირ შემთხვევაში სკოლებში გამოყოფილია ცალკე სასწავლო საგნად, რომელსაც ზოგადად „ხელოვნება“ ეწოდება და მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა მუსიკა, ცეკვა, გრაფიკა, დრამა, წერა და ა.შ. ზოგი სასკოლოდანვესებულეა მოსწავლეებს ასევე სთავაზობს შესაძლებლობას დაეუფლონ ხელოვნების ამ დარგებს.

ეს საგნები კურიკულუმის ან კლასგარეშე ღონისძიებების ნაწილია. ზოგ შემთხვევაში ხელოვნება დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან, ადგილობრივ კულტურულ ტრადიციებთან (იხ. კულტურული ღონისძიებები, როგორც კულტურული მემკვიდრეობა).

ამ გზით ბავშვები იძენენ ცოდნას, გამოცდილებას, უნარ-ჩვევებს, რაც მათ ამზადებს სხვა ღონისძიებებში მონაწილეობისათვის და უქმნის ამის შესაძლებლობას. თუმცა, ზოგ ბავშვს არა აქვს მოტივაცია ჩაერთოს ამგვარ ღონისძიებებში და ამას შესაძლოა ამჯობინოს ლაშქრობა, ფეხბურთის თამაში, კითხვა ან სხვა საქმიანობა.

მომდევნო თავში კულტურული ღონისძიებები განხილულია როგორც ზოგადად განათლების, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების განათლების განვითარების საშუალება.

კულტურული ღონისძიებები, როგორც განათლების მიღების საშუალება

განათლების განვითარების პროცესში კულტურული ღონისძიებების როლის გაგების მიზნით, საჭიროა განვსაზღვროთ შემდეგი ცნებები:

- ◆ პოლისტიკური ხედვა და მიდგომა;
- ◆ შემოქმედება;
- ◆ ინტერაქცია და ურთიერთობა;
- ◆ თვითდაჯერებულობა და თვითრეალიზაცია.

მოხივე ეს ასპექტი მეტად მნიშვნელოვანია და მჭიდროდ უკავშირდება ბავშვების განათლებას ინტერაქციის, მგრძნობიარობის და კულტურული ცნობიერების ამაღლების მიზნით.

პოლისტიკური ხედვა და მიდგომა

ბავშვებთან მუშაობისას უნდა გვახსოვდეს, რომ ვმუშაობთ ადამიანებთან, რომლებსაც გააჩნიათ „ნარსული“ გამოცდილებები ან გამოცდილებების „ისტორია.“ ამ გამოცდილებებს შეიძლება ჰქონდეთ ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური ხასიათი. ბავშვი გამოცდილებას იძენს განვითარების ბუნებრივი პროცესის კვალდაკვალ და საკუთარი ინიციატივისა და ცნობისმოყვარეობის შედეგად. თუმცა, გამოცდილებების ნაწილს შეადგენს ასევე გარემოს ზეგავლენა. ეს გამოცდილებები დაკავშირებულია ინტერაქციასთან, ურთიერთობასა და ენასთან.

ბავშვების აღზრდა და განათლება მშობლებს და მასწავლებლებს აძლევს უპირატესობას შეუქმნან მათ ახალი გამოცდილების მიღების შესაძლებლობა და პირობები, რაც საშუალებას მისცემთ თავად ეძიონ და შეიძინონ პირადი გამოცდილება. ეს მოითხოვს გავითვალისწინოთ როგორც განვითარების ყველა ასპექტი, ისე გარემოს გავლენა. სწორედ ეს უდევს საფუძვლად ბავშვის განვითარების განხილვას პოლისტური თვალსაზრისით. აქ შემოთავაზებულ ნახატზე ნაჩვენებია, რომ ბავშვის ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური ფუნქციები გავლენას ახდენს ერთმანეთის განვითარებაზე. ამავდროულად მათ განვითარებას ხელს უწყობს ფიზიკური და სოციალური გარემო.

ახლო (მიკრო) გარემო ადამიანის ყოველდღიური ცხოვრების ფაზის მიხედვით განისაზღვრება. ეს ადამიანისთვის ბავშვობაში შეიძლება იყოს ოჯახი, შემდეგ ოჯახი და საბავშვო ბაღი, მომავალში – სამსახური. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის გარემო, სადაც ადამიანს ყოველდღიურად უწევს ყოფნა. ბავშვს ან მოზრდილს ამ გარემოზე პირდაპირი ან არაპირდაპირი გავლენა აქვს. ეს გავლენა განისაზღვრება ურთიერთობის დინამიკით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით და ა.შ.




ბავშვს შეიძლება ჰქონდეს უშუალო და ირიბი გავლენა ირგვლივ არსებულ გარემოზე იმ შემთხვევაში, თუ კი მის გარშემო ჯანსაღი გარემოა. მეორე მხრივ, ახლო გარემოს აქვს პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა ბავშვზე. ანუ ამ შემთხვევაში გვაქვს ორმხრივი გავლენა და „გაცემა-მიღების“ ურთიერთობა. ეს ურთიერთობა ასევე წარმოადგენს კულტურულ კონტექსტში „გაცემა-მიღების“ ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.

„გაცემასა“ და „მიღებას“ შორის ბალანსი და დამოკიდებულება განსხვავდება ურთიერთობის, ჩვეულებებისა და ტრადიციების მიხედვით და განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ბავშვების მიმართ პატივისცემა, მათი უფლებების დაცვა, ოჯახში არსებული სოციალური ურთიერთობები და დემოკრატია, საზოგადოება და სამუშაო ადგილი.

შორეული (მაკრო) გარემო ურთიერთობის დინამიკის, ჩვეულებებისა და ტრადიციების გარდა მოიცავს კანონებისა და წესების ერთობლიობას, მედიის გავლენას (გაზეთები, რადიო და ტელევიზია). ამ შემთხვევაში ბავშვსა და მოზრდილ ადამიანს აქვს მხოლოდ არაპირდაპირი გავლენა, რომელიც არსებულ ცოდნას და განათლებას აღრმავებს.

ბუნება და კლიმატი, ისევე როგორც გლობალური პოლიტიკა, ეკონომიკა და გლობალური კულტურა, დიდ გავლენას ახდენს ბავშვის ზოგად განვითარებაზე. ზოგადად ცნობილია, რომ ბავშვების ქცევები და დამოკიდებულებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ბუნებრივ და კლიმატურ გარემოში იზრდებიან ისინი.

მშობლები და მასწავლებლები დიდ სიძნელეებს აწყდებიან, როდესაც სურთ ბავშვებს მისცენ შესაძლებლობა განვითარდნენ არა მათი მიზაძვით, არამედ როგორც განსაკუთრებული და ინდივიდუალური პიროვნებები. ამავდროულად, ბავშვებს უნდა გააჩნდეთ სხვა ადამიანებისადმი თანაგრძნობა. ეს მშობლებისა და მასწავლებლების მხრიდან ემპათიას, შემოქმედებითობას და დიდ ძალისხმევას მოითხოვს.



ნახატი 2: პოლისტური მიდგომა

შემოქმედება

რას ნიშნავს ტერმინი „შემოქმედება“? შეიძლება თუ არა ადამიან-მა შეიძინოს და განავითაროს „შემოქმედება“?

ამ ცნების შესახებ უამრავი სამეცნიერო გამოკვლევა ჩატარდა და ბევრ კითხვასაც პასუხი მკვლევარის პროფესიული შეხედულების შესაბამისად გაეცა. ამ ცნების განმარტება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სფეროში მუშაობს მკვლევარი, ფიზიკურ მეცნიერებაში თუ ხელოვნებაში.

არსებობს „შემოქმედების“ მრავალი განსაზღვრება. ყველა დეფინიცია განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა ასპექტში. ერთერთი მათგანი ეკუთვნის ნორვეგიელ მკვლევარს გუნვორ რანდს

(1981), თუმცა მისი განსაზღვრების შემდეგ მრავალმა ნელმა განვლო. „შემოქმედება“ მისეული განსაზღვრა ასეთია:

შემოქმედება, შემოქმედებითობა ეს არის პროცესი, როდესაც ინდივიდი საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარ-ჩვევების და გარემოსთან ინტერაქციის შედეგად ეძებს სიტუაციის შესაბამის ახალ და ორიგინალურ პროდუქტს... პროდუქტი შეიძლება იყოს კონკრეტული ან აბსტრაქტული საგანი (Rand 1981:6).

მნიშვნელოვანია შემოქმედება განვიხილოთ, როგორც პროცესი. არსებობს ორი ტიპის შემოქმედება: ინტუიციური და ანალიტიკური. ინტუიციური შემოქმედება ხორციელდება იმპროვიზაციის გზით და ყოველგვარი დაგეგმვისა და წინასწარი განზრახვის გარეშე. სწორედ ასეთ პროცესს აქვს ადგილი, როდესაც ადამიანი საკუთარი სურვილის მიხედვით ცეკვავს, მღერის ან უკრავს. ანალიტიკური შემოქმედება ნიშნავს რალაცის შექმნას ჩვენი სურვილის მიხედვით, მაგრამ დაგეგმვის შედეგად. ზოგადად შემოქმედების პროცესი ინტუიციური და ანალიტიკური შემოქმედების კომბინაციაა.

შემოქმედება და სტრუქტურა

წლების განმავლობაში დასავლურ ქვეყნებში არსებობდა მითი იმის შესახებ, რომ შემოქმედება უსაზღვრო თავისუფლების და ყოველგვარი სტრუქტურის არარსებობის სინონიმი იყო. ამგვარი აზროვნება გასაგებია ხელოვნებაში სტრუქტურებზე და უნარ-ჩვევებზე დამყარებული სწავლების გამო. კულტურული ღონისძიებებიც ასევე სტრუქტურული ხასიათის იყო.

დღევანდელ რეალობაში მივიჩნევთ, რომ გაზვიადებული სტრუქტურული ხასიათი ზღუდავს შემოქმედებას, ხოლო სტრუქტურის არარსებობა ხშირად მის პარალიზებას იწვევს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შემოქმედების განხორციელების მიზნით საჭიროა არსებობდეს გარკვეული ჩარჩო, რომლის საზღვრებშიც შემოქმედებას განვითარების საშუალება ექნება.

სტრუქტურა გულისხმობს შინაარსს (სათაური, მოთხრობა, მოვლენა და ა.შ.), სტრუქტურულ ელემენტებს, როგორიცაა რითმის განსაზღვრა, ხანგრძლივობა, მოძრაობები, ფორმა და ფერი. ამგვარი ელემენტების განსაზღვრა და იმპროვიზაცია ან ექსპერიმენტი თანდათანობით სხვადასხვა კომბინაციას აყალიბებს.

მეორე მხრივ, პიროვნებამ უნდა გაითვალისწინოს იმ შესაძლო შეზღუდვების არსებობა, რომელიც შემოქმედების დამაბრკოლებელი ფაქტორია.

• შემოქმედება და გარემო

გუნეორ რანდის განსაზღვრება მნიშვნელოვან ასპექტს მოიცავს. მისი აზრით შემოქმედების უნარი არ არის მხოლოდ ღვთისგან ბოძებული ნიჭი. იგი აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი უნარი შეიძლება განუვითაროთ ყველა ადამიანს, მიუხედავად მისი განვითარების დონისა და უნარ-ჩვევებისა, გამომდინარე იქიდან, თუ რა შესაძლებლობებს მისცემს მას გარემო. რანდი ასევე აღნიშნავს, რომ შემოქმედება მუდმივი პროცესია. თუმცა, არსებობს მისი განვითარების პრობლემა სმენის დაქვეითების და მხედველობის დაქვეითების მქონე ბავშვებში. ჩვენ არ ვიცით, ეს შეზღუდვები თავად ბავშვებში არსებობს, თუ მზრუნველებში, რომლებსაც არ ძალუძთ ბავშვების შემოქმედებითობის განვითარება. აქვე უნდა აღინიშნოს, იძლევა თუ არა გარემო განსხვავებულად შესრულების შესაძლებლობას, თუ მოითხოვს მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ „სწორ“ პასუხს.

შემოქმედება და ყოველდღიური ცხოვრება

შემოქმედება გვეხმარება სიძნელეების გადალახვაში, როგორც კონკრეტული და პრაქტიკული, ისე აბსტრაქტული და ფილოსოფიური ხასიათის პრობლემების მოგვარებაში. ბავშვებმა მთელი ენერჯია და შემოქმედების უნარი შეიძლება დახარჯონ იმისათვის, რომ თავი აარიდონ სიტუაციებსა და მოქმედებებს, რომელთაც მშობლები ან მასწავლებლები აიძულებენ, ან მთელი ენერჯია მიმართონ იმაზე, რომ თავიდან აიცილონ დასჯა. ვინ არის ამ შემთხვევაში მართალი, ბავში თუ მშობელი და მასწავლებელი?

როდესაც პრობლემის გადაწყვეტის გზა სიტუაციის შესაბამისია და ორიგინალური ინდივიდისათვის, იგი შემოქმედების შედეგი იქნება. (Rand, 1981). ეს ნიშნავს, რომ მოქმედება, რომელიც ერთი ადამიანის შემოქმედების პროცესის შედეგია, შეიძლება არ იყოს სხვა ინდივიდის შემოქმედების გამოხატულება.

შემოქმედება შეიძლება გამოხატული იყოს კონკრეტული ან აბსტ-

რაქტული სახით, ანუ, შემოქმედების პროცესის შედეგი შეიძლება იყოს კონკრეტული მოქმედება ან საგანი ისევე, როგორც აზრები და გრძნობები. (Rand, 1981).

კულტურული ღონისძიებები ან ხელოვნება, როგორც მას ვუნოდებთ გვაძლევს ბავშვების შემოქმედებითი უნარის განვითარების შესაძლებლობას. თუმცა, თიხის და ფანქრების, მუსიკალური ინსტრუმენტების გამოყენება არ ნიშნავს შემოქმედების განვითარებას. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია კულტურული ღონისძიებების გამოყენების მეთოდიკა შემოქმედების უნარის განვითარების მიზნით.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ მეთოდები საკმარისი არ არის. მზრუნველის ან მასწავლებლის მიერ ბავშვის გამომეტყველების, ხასიათის ცვლილების ისევე, როგორც ინტერაქციისა და ურთიერთობის შემჩნევა და გაგება მათში შემოქმედების უნარის გაღვივების საფუძველია.

ინტერაქცია და ურთიერთობა

ინტერაქცია და ურთიერთობა ყველა ბავშვის სწავლების და განვითარების საფუძველია, მიუხედავად მათი განვითარების დონისა. განვითარება არ ხდება ვაკუუმში. იგი განვითარების ყველა სხვა ასპექტთან ერთად მიმდინარეობს და ეს ასპექტებიც ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. მგრძნობიარე და პასუხისმგებლობის მქონე მზრუნველებს (ან მასწავლებლებს) საჭიროა გააჩნდეთ ემპათია. თუ კი ინტერაქცია და ურთიერთობა ვერ დამყარდა და განვითარდა ბუნებრივი გზით ბავშვობის ადრეულ პერიოდში, კულტურული ღონისძიებები საუკეთესო საშუალება იქნება ამ მიზნის მისაღწევად.

ცნებები ინტერაქცია და ურთიერთობა ხშირად გამოიყენება, მაგრამ სხვადასხვაგვარად აღიქმება. მომდევნო თავში მოცემულია მათი განსაზღვრება, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებთან მუშაობის შედეგად განვითარდა. ამ ბავშვებს ნაკლები ინტერაქცია და ურთიერთობა ჰქონდათ და ეს მათი სწავლებისა და განვითარების მთავარ ბარიერებს წარმოადგენდა.

ინტერაქცია

ინტერაქცია არის ორი ან მეტი ადამიანის მიერ ერთმანეთისადმი, სხვა საგნების ან მესამე პირისადმი ყურადღების მიქცევა.

„პარტნიორები“ ყურადღებას ერთი და იგივე მიზნით ამახვილებენ (ერთმანეთის მიმართ ან მესამე პირის, საგნის მიმართ). ამგვარ ორმხრივ ყურადღებას მუდამ ახლავს ჟესტი და ხმა. ეს ჟესტი და ხმები გამოიხატება დიალოგის, საუბრის, თამაშების სახით. იგი ასევე შეიძლება აღწეროს, როგორც თითოეული „პარტნიორის“ მიერ გამოჩენილი ინიციატივები და რეაქციები, რაც საბოლოოდ მათ შორის კავშირს ამყარებს.

მოქმედებები და რეაქციები განავითარებს ყურადღებას, ასევე დაკვირვების და მოსმენის უნარს. ამგვარ გამოცდილებებს მივყავართ ემპათიის თანდათანობითი განვითარების პროცესამდე (ემპათია არის სხვა ადამიანების მდგომარეობის, გრძნობების ან სიტუაციის გაზიარება).

ინტერაქცია წარმოადგენს ურთიერთობის, სწავლების, აქტიური მონაწილეობის და მოქალაქეობის წინაპირობას.

ურთიერთობა

ურთიერთობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს გაზიარებას. ჩვენ ერთმანეთს ვუზიარებთ ინტერესებს, გრძნობებს, ფიქრებს, აზრებს ან ინფორმაციას გარკვეული კოდების სახით, რომელიც შემდეგ სიგნალის ან სიმბოლოს სახით ჩამოყალიბდება და ურთიერთობის ყველა მონაწილისათვის გასაგებია. თუმცა, ურთიერთობისთვის კოდები არ არის საკმარისი. ურთიერთობა რთული პროცესია ორ ან რამდენიმე ადამიანს შორის. აღსანიშნავია ისეთი უნარ-ჩვევები, როგორიცაა: ყურადღებით ყოფნა, შეხედვა, მოსმენა, მოტივაცია, პასუხის გაცემა. ეს უკანასკნელნი ვითარდება ინტერაქციის პროცესის დროს და მანამ, სანამ ურთიერთობის კოდები დამყარდება.

ურთიერთობის განვითარებას წინ უძღვის სურვილი. ეს სურვილი ვითარდება, როდესაც ჩვილი ბავშვი გაანალიზებს, რომ მის ინიციატივებს შეუძლია გარემოში გარკვეული ცვლილებების მოხდენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვი თანდათან აანალიზებს, რომ შეუძლია გარემოზე გავლენის მოხდენა და სურვილების ასრულება.

იმ შემთხვევაში, თუ კი ინტერაქციისა და ურთიერთობის პროცესი არ დამყარდა, საჭიროა არსებობდეს გარკვეული „იარაღი“ მის განსახორციელებლად. ცეკვა და მუსიკა, ასევე მხატვრობა და სხვა კულტურული ღონისძიებები მნიშვნელოვანია პირდაპირი და არაპირდაპირი ურთიერთობის ან ინტერაქციის დამყარებისთვის.

რეალურ ცხოვრებაში ინტერაქცია და ურთიერთობა ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს გადაკვეთენ. მაღალი ხარისხის ინტერაქცია და ურთიერთობა ხასიათდება შემდეგი თვისებებით: მგრძობიარობა, ყურადღება, აქტიურობა, სპონტანურობა, ამტანობა, სიკეთე, შემოქმედება და ემპათია.

საშუალოდ დამაკმაყოფილებელ სოციალურ და ფიზიკურ გარემოში, ინტერაქცია და ურთიერთობა ბუნებრივი მეთოდებით მყარდება და ვითარდება. თუმცა, ისეთი ფაქტორების არსებობის დროს, როგორცაა შეზღუდული შესაძლებლობების ქონა, უკიდურესი ემოციური დატვირთვა და გარემო ფაქტორები – შიმშილი, ომი, სქესობრივი და სხვა სახის ძალადობა, ინტერაქცია და ურთიერთობა ვერ დამყარდება და განვითარდება. ამ ფაქტორებს შეუძლიათ ბავშვებს და მოზრდილ ადამიანებს დააკარგვინოს ინტერაქციის და ურთიერთობის უნარი.

თუ კი მზრუნველებს და მასწავლებლებს სურთ დაეხმარონ ბავშვებს ურთიერთობის დამყარებასა და განვითარებაში, თავად უნდა ფლობდნენ ყველა იმ თვისებას, რომელიც ამ პროცესისთვის არის აუცილებელი.



ინტერაქცია და ურთიერთობა სწავლების და ზოგადი განვითარების საფუძველია და ასევე მნიშვნელოვანია ბავშვების დახმარებისათვის საკუთარ შესაძლებლობებში რწმენის განვითარების მიზნით.

კულტურული ღონისძიებები, როგორც ინტერაქციის და ურთიერთობის დამყარების საშუალება

კულტურული ღონისძიებები ეხმარება ბავშვებს, მათ მშობლებს და მასწავლებლებს ინტერაქციის და ურთიერთობის პროცესში და აძლიერებს ბავშვების რწმენას და თავდაჯერებულობას.

კულტურული ღონისძიებები, ერთი მხრივ, ქმნიან სპონტანურობის შესაძლებლობას, რომელიც ხელს უწყობს ინტერაქციას და ურთიერთობას. მეორე მხრივ წარმოშობენ ინტერაქციის და ურთიერთობის განვითარების საჭირო სტრუქტურას. ეს ბავშვებს მისცემს საშუალებას გავლენა მოახდინონ საკუთარ ცხოვრებასა და განვითარებაზე.

კულტურული ღონისძიებების გამოყენება

იმ შემთხვევაში, როდესაც მშობლები და მასწავლებლები მიმართავენ კულტურულ ღონისძიებებს განათლების მიზნით, მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა შემდეგ საკითხებზე:

- ♦ ბავშვები;
- ♦ კულტურული ღონისძიებების ბუნება,

ეს ცოდნა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- ♦ კულტურული ღონისძიებების განსაკუთრებული ხასიათი და მათი შესრულებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
- ♦ ბავშვის განვითარების პროცესები;
- ♦ ღონისძიების ჩატარებამდე არსებული მდგომარეობის გათვალისწინება. ფლობს თუ არა ბავშვი იმ შესაძლებლობებსა და უნარ-ჩვევებს, რაც ამ ღონისძიების ჩატარებისთვის არის აუცილებელი?
- ♦ რა სახის გრძნობები შეიძლება აღძრას კულტურულმა ღონისძიებამ?

აღნიშნული მოთხოვნები უფრო განვრცობადია და რიგ შემთხვევებში განსხვავებული, როდესაც კულტურული ღონისძიებები განსაკუთრებულ შემთხვევებში ტარდება.

კულტურული ღონისძიებების ჩატარებისას მშობლები და მასწავლებლები უნდა ფლობდნენ შემდეგ უნარს:

- ბავშვის ინტერესების და პოტენციალის განსაზღვრა;
- ღონისძიებების გაანალიზება და საერთო მიზნის მიღწევაში მისი როლის განსაზღვრა;
- ღონისძიების პრეზენტაცია;
- თავისუფლებისა და სპონტანურობის დაბალანსება სტრუქტურისა და დაგეგმვის ბალანსის შესაბამისად (იხ. შემოქმედება და სტრუქტურა).

ჩვენ შეგვიძლია გავაანალიზოთ და დავგეგმოთ ღონისძიებები ფიზიკური, სოციალური, ემოციური და ინტელექტუალური ფუნქციების განვითარების მიზნით (იხ. ნახატი 2). თუმცა, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ კულტურულმა ღონისძიებებმა შეიძლება გამოიწვიოს შემდეგი შედეგები:

- მოგონებებისა და წარმოდგენების გაცოცხლება;
- გრძნობის გამოხატვა;
- დამოუკიდებლობის გრძობა;
- სოციალური მოთხოვნილებების და ინტერაქციის სტიმულირება;
- სწავლების და ტრენინგის მომზადება;
- კრიტიკული დამოკიდებულებები და მოსაზრებები.

მომდევნო თავში წარმოდგენილია ზემოთხსენებულ ექვს კრიტერიუმთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნება. ყველა ეს კრიტერიუმი ასევე მოიცავს ფიზიკურ, სოციალურ, ემოციურ და ინტელექტუალურ ფუნქციებს. ბავშვის განვითარების პროცესისადმი ჰოლისტიკური მიდგომა ქმნის საფუძველს, რომელიც აქტიური მოქალაქეების ჩამოყალიბების საწინდარია.

მოგონებების და წარმოდგენების გაცოცხლება

გამოცდილებები და წარმოდგენები სწავლების და განვითარებისთვის აუცილებელი ფაქტორებია. დამახსოვრება და სწავლა უფრო ადვილი და ეფექტურია გამოცდილების საფუძველზე. საინტერე-

სო გამოცდილება ბავშვებს აძლევს მოტივაციას უკეთესი და ახალი გამოცდილების შესაძენად.

კულტურული ღონისძიებები გვთავაზობს ემოციური და შემეცნებითი გამოცდილების შექმნის შესაძლებლობას. მათი მეშვეობით ყველას შეუძლია თავისებურად აქტიური იყოს. მაშასადამე, ბავშვს (ან მოზრდილ ადამიანს) ექნება შესაძლებლობა ინდივიდუალური ინტერესების და პოტენციალის შესაბამისად შეიძინოს გამოცდილება და განიცადოს ახალი გრძნობები, ემოციები და გაუჩნდეს ახალი აზრები.

ამგვარი გამოცდილებები მოიცავს შემდეგ ფაქტორებს:

- ♦ სხეულის ფორმა/იმიჯი:
 - ♦ კინესთეტიკური გრძნობა;
 - ♦ სხეულის ზოგადი იმიჯი;
 - ♦ სხეულის ფორმა;
 - ♦ სხეულის ზომა;
 - ♦ სხეულის ბალანსი;
 - ♦ სხეულის ფუნქციები;
 - ♦ მოძრაობები:
 - წონასწორობა,
 - დაცემა,
 - სხეულის წონა და ძალა,
 - სხეულის ძალა,
 - სხეულის მოძრაობების სხვადასხვა ვარიაცია,
 - სხეულის „ეკონომიკური“ მოძრაობა.
 - ♦ მოძრაობის ხარისხი;
- ♦ გრძნობითი გამოცდილება: - დანახვა - მოსმენა - შეხება - ყნოსვა - გემოვნება - მოძრაობა;
- ♦ წარმატება - წარუმატებლობა;
- ♦ საკუთრება - მიცემა - მიღება;
- ♦ სხვისი გრძნობების და მდგომარეობის გათვალისწინება - ემპათია;
- ♦ ემოციები (კარგი და ცუდი, ბედნიერი და სევდიანი, აგრესიული გრძნობები). კარგი და ცუდი გამოცდილება ავითარებს ინდივიდს და საზოგადოებას. გამოცდილება გამოხატვის და გაზიარების წყაროა. გამოცდილება გამოხატვის წყაროა.

გრძნობის გამოხატვა

გამოცდილება ხშირად იწვევს რეაქციების, გრძნობების და აზრების გამოხატვას. ამგვარი „კომენტარები“ შეიძლება გამოიხატოს მუსიკის, ცეკვის, მხატვრობის, დრამის სახით. ადამიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება, რომ გაუჩნდეს საკუთარი თავის გამოხატვის სურვილი.

ხელოვნების მეშვეობით შეგვიძლია გამოვხატოთ:

- გრძნობები;
- აზრები;
- იდეები;
- ხასიათი, იუმორი;
- თანაგრძნობა;
- მოთხოვნილებები;
- სურვილები და ოცნებები.

დამოუკიდებლობა და საკუთარი თავის რეალიზაცია

დამოუკიდებლად აზროვნება და გადაწყვეტილებების მიღება ისევე, როგორც მოქმედება, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნების აუცილებელი საშუალებაა. კულტურული ღონისძიებების გზით შესაძლებელია დამოუკიდებლობის და საკუთარი თავის რეალიზაციის განხორციელება. ყოველდღიურ პრაქტიკულ ცხოვრებაში რთულია დამოუკიდებლობის და საკუთარი თავის რეალიზაციის მიღწევა. ამისი მიზეზია კულტურული სისტემა და ტრადიციები. გასათხოვარ გოგონებს ხშირად არ აძლევენ მარტო, საკუთარ სახლში ცხოვრების უფლებას. ზოგს არ შეუძლია მარტო ცხოვრება უსაფრთხოების განცდის არარსებობის გამო ან შეიძლება არსებობდეს სიძნელები, რაც გამონეწეულია შეზღუდული შესაძლებლობებით.

თუმცა, არ არსებობს მიზეზი, თუ რატომ არ შეიძლება კულტურული ღონისძიებების ჩატარება დამოუკიდებლობის და საკუთარი თავის რეალიზაციის მიზნით. ამ მხრივ მთავარი დაბრკოლებაა განმანათლებლების აზრი ზემოაღნიშნულის მნიშვნელობის შესახებ. თუმცა, პრობლემა ასევე შეიძლება იყოს სისტემა (პოლიტიკური ან რელიგიური), რომელიც არ არის დამოუკიდებლობის მხარდამჭერი. დამოუკიდებლობასა და საკუთარი თავის რეალიზაციის ცნებასთან დაკავშირებულია შემდეგი განსაზღვრებები:

- ინიციატივის განხორციელება (ურთიერთობის დამყარების ინიციატივა);
- არასასურველი ურთიერთობის, კონტაქტის უარყოფა;
- საკუთარი თავის გამოხატვის შესაძლებლობა და ურთიერთობა;
- საკუთარი თავის და სხვებისთვის გადანყვეტილებების მიღება;
- საკუთარ მდგომარეობაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა;
- შემოქმედების უნარი;
- ყოველდღიური საქმიანობის განსაზღვრის უნარი.

სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

ბევრი ბავშვი და მოზრდილი სხვადასხვა მიზეზის გამო მარტოდ გრძნობს თავს. გამოცდილებამ ადამიანებს ასწავლა, რომ სოციალური ურთიერთობები მტკივნეულია და სჯობს თავი აარიდონ მათ განხორციელებას. ნამდვილი მეგობრობა განძია, რომლის გამოცდისშესაძლებლობა ბევრ ბავშვს და მოზრდილ ადამიანს არა აქვს. ბავშვებს, რომლებსაც აიძულებენ ჯარისკაცის ცხოვრებით იცხოვრონ ან რომლებმაც განიცადეს სექსობრივი თუ სხვა სახის ძალადობა, ან ცხოვრობენ ქუჩებში, პრობლემები აქვთ ნამდვილი მეგობრების შექმნასთან დაკავშირებით. იგივე ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს. ზოგიერთმა მეგობრობის სურვილიც კი დაკარგა.

ჩვენ, როგორც ადამიანებს, სოციალური მოთხოვნილებები გვაქვს. მაშასადამე, მათი დაკმაყოფილება მნიშვნელოვანია. თუკი ადამიანებს ლაპარაკი არ შეუძლიათ, შეიძლება ერთად იმღერონ ან იცეკვონ. კულტურული ღონისძიებები ხელს უწყობს ისეთი სოციალური მოთხოვნილებების შესრულებას, როგორცაა:

- სხვებთან ურთიერთობა და კავშირის დამყარება;
- ინტერაქცია – თანამშრომლობა – გაცემა და მიღება – ურთიერთობა;
- გაზიარება;
- დროის მხიარულად გატარება სხვებთან ერთად;
- სიახლოვის განცდა – კონტაქტი;
- მზრუნველობის განცდა და სხვაზე ზრუნვა – ერთმანეთზე ზრუნვა;

- ♦ თავდაჯერებულობის და ნდობის განვითარება;
- ♦ სოციალური ტრენინგი;
- ♦ საკუთარი თავის წარმატებით წარმოდგენა;
- ♦ სოციალური წესების სწავლა.

სწავლება და ტრენინგი

კულტურული ღონისძიებების ჩატარება სწავლების და ტრენინგის მიზნით უფრო წარმატებული შედეგის მომტანია. მხიარული ღონისძიებები ხელს უწყობს მეხსიერების, კონცენტრაციის და სხვა ძირითადი უნარ-ჩვევების განვითარებას და უფრო ეფექტურია.

ცეკვის, მუსიკის, დრამის ან ხელოვნების სხვა სფეროში მუშაობით ადამიანმა შეიძლება უკეთ გააცნობიეროს ზოგიერთი კონცეფცია, ისტორიული მოვლენა და ა.შ.

რიტმსა და მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ძალის მომატებისათვის და სხეულის უკეთ კონტროლირებისათვის. ამგვარი ტრენინგი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, რათა ბავშვი მოემზადოს წერის სწავლისთვის.

ქვემოთ მოცემულია იმ უნარ-ჩვევების ჩამონათვალი, რომლებსაც ბავშვი აუცილებლად უნდა დაეუფლოს. ისინი ასევე წარმოადგენენ სხვა უნარებისა და ცოდნის შეძენის წინაპირობას.

- ♦ ძირითადი უნარ-ჩვევები:
 - ♦ ყურადღება და ცნობიერება;
 - ♦ კონცენტრაცია – რეაქცია;
 - ♦ იმიტაცია;
 - ♦ ძირითადი უნარ-ჩვევები;
 - ♦ მეხსიერება.
- ♦ უნარ-ჩვევები, რომლებიც ხელს უწყობენ დამოუკიდებლობას და საკუთარი თავის რეალიზაციას.
- ♦ გრძნობებზე კონტროლის უნარი, ადეკვატური გრძნობების გამოხატვა.
- ♦ ცნებები:
 - ♦ სივრცე – მიმართულება – ფორმა – მანძილი – ზომა;
 - ♦ დრო;
 - ♦ მათემატიკური გამრავლება – რიცხვები;
 - ♦ წარმატება – თანმიმდევრობა;

- ♦ ნონა;
- ♦ მასალა – შემადგენლობა – ტემპერატურა.
- შემდეგი უნარ-ჩვევების განვითარება:
 - ♦ დაკვირვება;
 - ♦ იმიტაცია;
 - ♦ ნესების შესრულება;
 - ♦ აბსტრაქციის გაგება – სიმბოლოები;
 - ♦ ასოციაცია და ფანტაზია;
 - ♦ კონცეფციები, სიტყვები და წინადადებები.

კრიტიკული დამოკიდებულებები და მოსაზრებები

კრიტიკა აუცილებელი და მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობის და თვითდაჯერებულობის განვითარებისათვის. იგი ასევე მნიშვნელოვანია ბავშვებისათვის, რათა შეაფასონ სიტუაცია და ირგვლივ არსებული გარემო. იგი მათ ეხმარება შეიცნონ, თუ რა არის აუცილებელი და საჭირო სიტუაციის შესაცვლელად.

კრიტიკა დიდ როლს ასრულებს გადაწყვეტილებების მიღების, სწავლის უნარისა და ინდივიდუალიზმის განვითარებაში ისევე, როგორც ისეთი ფართოდ გავრცელებული მავნე ჩვევების უარყოფაში, როგორცაა მაგალითად, ნარკოტიკული ნივთიერებებისადმი მიდრეკილება, ფულის ფლანგვა, ნდობის ბოროტად გამოყენება.

კულტურული ღონისძიებების მეშვეობით, ბავშვებს უყალიბდებათ ძლიერი პიროვნული ხასიათი, ინტერესი და პრობლემების გადაწყვეტის უნარი. დრამა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანმიმდევრობის შესწავლის პროცესში.

საბოლოო სიტყვა ინკლუზიის შესახებ

კულტურული ღონისძიებები გულისხმობს მრავალფეროვნებას, რომელიც იძლევა არა მხოლოდ განსხვავებულობის შესაძლებლობას, არამედ ხელს უწყობს სოციალურ განვითარებასაც. კულტურული ღონისძიებების შემოქმედებითი გამოყენება უფრო მეტ გრძნობას აღძრავს, ვიდრე სხვა, მაგალითად, ლექცია ან სავარჯიშო. სწორედ ეს ქმნის კულტურულ ღონისძიებებს, როგორც ინკლუზიის პრო-

ცესის განვითარების მთავარ ღერძს. თუ კი გვესურს ინკლუზიური საზოგადოების შექმნა, უნდა დავინყოთ ბავშვების განათლებით.

ინკლუზია საერთაშორისო განხილვის საგანია და ბევრი საზოგადოება აწყდება სიძნელეებს მის განხორციელებაში. კულტურული ღონისძიებების მიზანშეწონილი გამოყენება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინკლუზიის პროცესის განვითარებას.

კულტურული ღონისძიებები თავიანთი გამორჩეული ხასიათით განსაკუთრებულ როლს ასრულებენ ინკლუზიის ფილოსოფიის სხვადასხვა მოთხოვნილებების ხორცშესხმაში. გონივრულად გამოყენების შემთხვევაში ეს ღონისძიებები მნიშვნელოვანი იარაღი იქნება ინკლუზიური, უფრო დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში.

დასკვნა

მხარი დავუჭიროთ სწავლებას, განვითარებას და ცოდნის გაღრმავებას.

მხარი დავუჭიროთ იმ რესურსების გამოყენებას და შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენას, რომელიც თითოეულ ინდივიდში დევს.

მხარი დავუჭიროთ იმ პოტენციალის განვითარებას, რომელიც ყველა ადამიანს აქვს და მთელი საზოგადოების სოციალური განვითარების საწინდარია.

თავი 4

საზრუნავო პოეზია

მოდული I

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

რა არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეს არის წერილობითი დებულება (დოკუმენტი) განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (და არა მარტო) პირათთვის, რომლის მიხედვითაც ხორციელდება მათი განათლება. დოკუმენტი აღწერს საგანმანათლებლო მიზნებს მოსწავლეებისთვის და მათი განხორციელებისათვის საჭირო აქტივობებს და რესურსებს.


რა კომპონენტებისაგან შედგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად საჭიროა საკონსულტაციო დამხმარე ჯგუფის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დანერგვაზე სკოლაში.

ამ ჯგუფის წევრები არაინ:

- კლასის მასწავლებელი,
- სპეციალური პედაგოგი,
- მშობელი,
- ფსიქოლოგი,
- სხვა სპეციალისტები (ექიმი, სოციალური მუშაკი),
- განათლების სამინისტროს მულტიდისციპლინარული გუნდი.

გუნდის თითოეულ წევრს თავისი წვლილი შეაქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნასა და განხორციელებაში.



მონაწილე მხარეები

მასწავლებელი

კლასის მასწავლებელი მთავარი მოქმედი პირია, რომელიც კოორდინირებს უწევს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრებს. ის ორგანიზებას უკეთებს და ხელმძღვანელობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გუნდის წევრების საქმიანობას. მასწავლებელს სწავლების პროცესში ხანგრძლივი კონტაქტი აქვს მოსწავლესთან, შესაბამისად, იგი ფლობს ინფორმაციას თითოეული მოსწავლის აკადემიური, ფიზიკური, სოციალური და ყოველდღიური საჭიროებების შესახებ და გადასცემს მას სხვა პროფესიონალებს.

მასწავლებელი მშობელთან და სხვა სპეციალისტებთან შეთანხმებით ირჩევს მოსწავლისათვის გრძელვადიან და მოკლევადიან სასწავლო მიზნებს პრიორიტეტების მიხედვით, ქმნის და ნერგავს სასწავლო პროგრამას, ახდენს რესურსების მოძიებას დასახული

მიზნებისა და პროგრამების განსახორციელებლად გუნდის სხვა სპეციალისტებთან ერთად და მონიტორინგს უწევს მათ მუშაობას.

სპეციალური განათლების მასწავლებელი

განათლების სფეროს პროფესიონალი, რომელსაც პროფესიული ცოდნა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების სწავლების მეთოდებისა და საჭიროებების შესახებ, პასუხს აგებს მათთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენაზე, სასწავლო პროცესის წარმართვასა და სპეციალური მომსახურების განევაზე.

მშობელი

მშობელი სრულად ფლობს ინფორმაციას მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ, ამიტომ იგი ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენისას.

იგი აქტიურად არის ჩართული მიზნის შერჩევასა და დასახული მიზნების განხორციელების პროცესში.

მუდმივი კონტაქტი აქვს მასწავლებელთან და ჯგუფის სხვა წევრებთან. ფლობს ინფორმაციას ბავშვის წარმატებებსა და სასწავლო პროცესში არსებულ სირთულეების შესახებ.

საჭიროებიდან გამომდინარე აწარმოებს ყოველდღიურ ჩანაწერებს მიზანზე მუშაობის შესახებ და უკუკავშირით აძლევს მასწავლებელს. ჩართულია ყველა მიმდინარე სასწავლო აქტივობებში, კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებში.

მოსწავლე

სასურველია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნაში. მონაწილეობას იღებს მისთვის მიზნის შერჩევაში (თვითონ ირჩევს შეთავაზებული მიზნებიდან).

აქტიურ მონაწილეობას იღებს მიზნის განხორციელების პროცესში. თვითონ აფიქსირებს თავის წარმატებებსა და წარუმატებლობას.

სხვა სპეციალისტები**ფსიქოლოგი**

ევალემა მოსწავლეთა შესაძლებლობების შეფასება. მას აკისრია დიდი პასუხისმგებლობა მოსწავლის შემეცნებითი, აკადემიური, სოციალური, ემოციური და ქცევითი ფუნქციონირების დადგენაში. ის აწვდის ინკლუზიური განათლების გუნდს წერილობით ანგარიშს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლის რეალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესახებ. ფსიქოლოგის მეორე მნიშვნელოვანი ამოცანაა მოსწავლის აკადემიურ და სოციალურ ქცევით პრობლემებზე მიმართული სტრატეგიის შემუშავება. ხშირად ფსიქოლოგი ქცევითი კონსულტანტის ფუნქციას ასრულებს. ის ეხმარება პედაგოგებს მთელ კლასთან ან მოსწავლეთა ჯგუფთან სოციალური უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე მუშაობაში.

ოკუპაციური თერაპევტი

აფასებს მოსწავლის ჩართულობას სასკოლო საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (იქნება ეს გაკვეთილის პროცესი თუ სასადილო). ოკუპაციური თერაპევტი შეურჩევს ბავშვს დამხმარე საშუალებებს ან დაასწავლის სასურველი სასკოლო საქმიანობის განხორციელების განსხვავებულ (მორგებულ) ხერხებს, რათა გაიზარდოს ბავშვის ჩართულობა სასკოლო და საკლასო აქტივობებში. გარდა ამისა, ოკუპაციური თერაპევტი მასწავლებელთან თანამშრომლობით არჩევს აქტივობებს, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის უნარების განვითარებას.

ექიმი

დიაგნოზიდან გამომდინარე იძლევა რეკომენდაციებს იმ მედიკამენტებზე რომელსაც ღებულობს მოსწავლე (მედიკამენტების ზეგავლენა, უკუჩვენება, მახასიათებლები)

ძიძები, ექთნები

უზრუნველყოფენ კავშირს მოსწავლის სამედიცინო და სასწავლო საჭიროებებს შორის. ისინი ადგენენ მოსწავლეთა სამედიცინო

ისტორიას, ამონმებენ მათ მხედველობით და სმენით შესაძლებლობებს, აწვდიან გუნდის სხვა წევრებს ინფორმაციას მოსწავლის სპეციფიური სამედიცინო პრობლემის და იმ შედეგის შესახებ, რაც მოყვება მკურნალობას. ექთნები ასევე ეხმარებიან სხვა პროფესიონალებს დაადგინონ, აქვს თუ არა მოსწავლის სასწავლო ან ქცევით პრობლემას სამედიცინო საფუძველი.

სოციალური მუშაკი

დამაკავშირებელი რგოლია ოჯახსა და სკოლას შორის. ეხმარება მასწავლებლებსა და მოსწავლეებს სოციალურ და ემოციურ საკითხებზე მუშაობის დაწყებაში. ის, როგორც კონსულტანტი ემსახურება პედაგოგებს და ინდივიდუალურ მომსახურებას უწევს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსა და მათ ოჯახებს. მას შეუძლია მშობლების გამოკითხვით ჩამოაყალიბოს ოჯახის ისტორია, რაც ზოგჯერ გადამწყვეტია იმის დასადგენად, თუ რა სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება არის საჭირო მოსწავლისათვის.

**ლოგოპედი
მეტყველების თერაპევტი**

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დიდ ნაწილს ახასიათებს კომუნიკაციის პრობლემა. ზოგიერთს მხოლოდ მცირე პრობლემა აქვს და სიტყვებს მკაფიოდ ვერ წარმოთქვამს, ზოგიერთს კი მწირი ლექსიკური მარაგი გააჩნია და შესაბამისად, უჭირს კომუნიკაცია. მეტყველების – ენის თერაპევტი არის ის პროფესიონალი, რომლის სპეციალიზაცია მოსწავლეთა საკომუნიკაციო უნარჩვევებზე მუშაობაა. დაწყებით დონეზე ის მუშაობს მთელ კლასთან ან ცალკეულ მოსწავლეებთან მეტყველების განვითარებაზე, ხოლო შუალედურ დონეზე სიტყვათა მარაგის შევსებაზე.

ადმინისტრატორები

სასწავლო დაწესებულებების დირექტორები, ადმინისტრაცია – აქტიურ მონაწილეობას იღებენ შეზღუდული შესაძლებლობების

მქონე მოსწავლეთა მომსახურების საქმეში. ისინი შეიმუშავენ სპეციალურ განათლებასთან დაკავშირებით, სკოლის პოლიტიკის პერსპექტივას.

რა ეტაპებს მოიცავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა?

- I. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წევრების შეკრება/პრიორიტეტული საკითხების იდენტიფიკაცია;
- II. მოსწავლის შესაძლებლობების შეფასება;
- III. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დასახვა;
- IV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის შემუშავება/დანერგვა;
- V. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი;
- VI. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადაფასება.

I. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წევრების შეკრება

განათლების ინდივიდუალური გეგმის განსახორციელებლად აუცილებელია შეიქმნას სპეციალისტთა და დაინტერესებულ პირთა (მშობელი, მომვლელი, მოსწავლე) გუნდი. მხოლოდ გუნდური მუშაობით შეიძლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარმატებით განხორციელება. გუნდი ირჩევს წამყვან პერსონას, რომელიც ითავებს ორგანიზების საკითხებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წამყვანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მონაწილე: მასწავლებელი, მშობელი, ფსიქოლოგი სხვა.

- მშობლის/მომვლელის, ბავშვის ან პედაგოგის პრიორიტეტული საკითხების დასმა;
- არსებული საკითხებიდან პრიორიტეტული საკითხების გამოყოფა;
- სამოქმედო გეგმის შემუშავება.

II. მოსწავლის შეფასება

იმისათვის, რომ ადეკვატურად დაისახოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნები, საჭიროა მოსწავლის უნარების ძლიერი და

სუსტი მხარეების, რესურსების შეფასება. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმაში შემავალი სპეციალისტები: მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ექიმი, ლოგოპედი სხვა აფასებენ მოსწავლეს.

III. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დასახვა

მიზნის დასახვა.

1. შეირჩეს გრძელვადიანი მიზანი და მოკლევადიანი მიზნები.
 - მიზანი „საჭირო,“ აქტუალური უნდა იყოს მოსწავლისთვის;
 - მოსწავლეს უნდა ჰქონდეს რესურსი მიზნის მისაღწევად;
 - სკოლას უნდა გააჩნდეს რესურსი.

2. განისაზღვროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. ეს ეტაპი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია, რადგან მასზე დამოკიდებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წარამატებული განხორციელება.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიზნები

გამოყოფენ მიზნების ორ ტიპს:

- გრძელვადიანი მიზანი: შეირჩევა დროის შედარებით ხანგრძლივი მონაკეთისათვის (6 თვე, ერთი წელი) და ასახავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის წევრების მოლოდინებს მოსწავლის ამა თუ იმ უნარის (წერა კითხვა აშ.) განვითარების შესახებ;
- მოკლევადიანი მიზანი: კონკრეტული აქტივობების კრებული, რომელთა მიღწევითაც სრულდება გრძელვადიანი მიზანი.


როგორ უნდა დაისახოს „კარგი“ მიზანი?

ინდივიდუალური სასწავლო გეგმისათვის შეხვედრის დროს ხდება სპეციალისტების გუნდის მიერ შეფასების შედეგების წარდგენა.

მიზნის შეფასების კრიტერიუმები:

- გაზომვადი,

- რეალისტური,
- სპეციფიური,
- დროში განერილი,



IV. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელებისთვის საჭირო სამოქმედო გეგმის შემუშავება/დანერგვა

აკადემიური მიზნების დამუშავებას ახორციელებს პედაგოგი:

- მოკლევადიანი მიზნის დროში განერა,
- მიზნისთვის საჭირო აქტივობების შემუშავება,
- ნახალისების სისტემის შექმნა,
- მიზნიდან გამომდინარე საჭირო რესურსების მოძიება ან შექმნა.

სამუშაო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს ასევე მშობელი და სპეციალისტთა ჯგუფი.

რესურს ოთახი

მასწავლებელს ეძლევა შესაძლებლობა გამოიყენოს რესურს ოთახი, რათა, მიზნიდან გამომდინარე მოახდინოს საჭირო პროგრამის შემუშავება და მასალის დამზადება.

V. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი


ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება წინასწარ დაგეგმილი გრაფიკით. მონიტორინგს ახორციელებს მასწავლებელი, საჭიროების შემთხვევაში სხვა სპეციალისტებიც (ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი და სხვა).

VII. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გადაფასება

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმაში გამოყოფილია სპეციალური გრაფა, სადაც ფიქსირდება მიზნის შესრულების ვადები.

კლასის მართვა (მენეჯმენტი)

სასწავლო პროცესი მოიცავს სამ ძირითად კომპონენტს:



გარემო

გარემო ეს არის ადგილი, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი.

გარემო, სადაც მიმდინარეობს ორგანიზებული, მიზანმიმართული სასწავლო პროცესი შეიძლება იყოს:

- ბაღი,
- სკოლა,
- უნივერსიტეტი და სხვა.

სკოლა

სკოლა ეს არის სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები იღებენ ზოგად განათლებას, იძენენ მეგობრებს, იღებენ აკადემიურ და სოციალურ ცოდნა/გამოცდილებას.

კლასი

ოთახი, სადაც მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. ადგილი, სადაც იკრიბება ერთი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფი და მასწავლებელი.

საკლასო ოთახის შემადგენელი კომპონენტები:

- ინვენტარი,
- საკლასო წესები,
- გაკვეთილის განრიგი.

ინვენტარი

სასწავლო პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის ინვენტარს მნიშვნელოვანი როლი აკისრია, განსაკუთრებით ინკლუზიური განათლების განხორციელების შემთხვევაში.

საკლასო წესები

საკლასო წესები, ეს არის კლასში მიღებული ქცევის ნორმები, რომელთა დაცვაც აწესრიგებს კლასში მიმდინარე პროცესებს. მასწავლებელს ეხმარება მართოს „ორმოცი მონადინებული ყაჩაღი“.

ნათლად (მოსწავლისთვის გასაგებად) განერილი საკლასო წესები ეხმარება მასწავლებელს და მოსწავლეებს დროისა და აქტივობების უკეთ ორგანიზებაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წესების დაცვა „სავალდებულოა“, როგორც მოსწავლისთვის, ასევე მასწავლებლისთვისაც.

გაკვეთილის განრიგი

გაკვეთილის განრიგი ეს არის აქტივობების განსაზღვრული თანმიმდევრება, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის ორგანიზებულად და ეტაპობრივად გადაცემას. რაც უფრო მკაფიო და სტრუქტურირებულია გაკვეთილის განრიგი (დანყება, დამთავრება და ა.შ.), მით უფრო ადვილია მოსწავლისათვის საკუთარი ენერჯის განაწილება.

მოსწავლე

სკოლის მომსახურების მომხმარებელი, – ბავშვი/მოზარდი, რომელიც იღებს გარკვეულ ცოდნას სკოლაში:


- აკადემიურ განათლებას,
- სოციალური უნარებს.

მოსწავლის მიზანია, მიიღოს ზოგადი განათლება და დაამყაროს სოციალური ურთიერთობები სხვა მოსწავლეებთან და სკოლის პერსონალთან.


მასწავლებელი

სკოლის მომსახურების გამცემი — წარმართავს საგაკვეთილო პროცესს, გადასცემს მოსწავლეებს აკადემიურ ცოდნას, ხელს უწყობს მოსწავლეების მიერ საზოგადოების ღირებულებებისა და სოციალური ნორმების ათვისებას.

როდის არის საგაკვეთილო პროცესი წარმატებული?



კლასის სასწავლო პროცესის მართვა (მენეჯმენტი)



■ სასწავლო გეგმის საჭიროებისამებრ მორგება:

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, ეს არის ის ძირითადი ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სასწავლო პროგრამის მოსწავლის საჭიროებებზე მორგება (მაგ. ტექსტის გამარტივება, მცირე ზომის ნაწილებად დაყოფა, ვიზუალური მასალით გამდიდრება და ა. შ.).

■ „მოსწავლეების მართვა“

- მოსწავლეებისთვის საინტერესო სასწავლო პროგრამის შეთავაზება;
- დღის/გაკვეთილის გასაგები (მკაფიო) განრიგის შეთავაზება;
- არასასურველი ქცევის მართვა;
- ნახალისების ეფექტიანი სისტემის შემუშავება;

არასასურველი (რთული) ქცევის მართვა:

რა არის არასასურველი ქცევა?

ეს შეიძლება იყოს ქცევა, როცა:

- მოსწავლე ზიანს აყენებს საკუთარ თავს (მაგ. ხელების კბენა);
- ზიანს აყენებს სხვა მოსწავლეს;
- საფრთხეს უქმნის მასწავლებელს;
- აფერხებს, შლის სასწავლო პროცესს.

რა უნდა ვიცოდეთ არასასურველი ქცევის მართვისთვის?

- არასასურველი ქცევის გამომწვევი მიზეზები;
- არასასურველ ქცევაზე მასწავლებლის რეაგირების სტრატეგიები.

ქცევის გამომწვევი მიზეზები

ყველა კონკრეტულ ქცევას აქვს თავისი გამომწვევი მიზეზი – მოქმედება და/ან მოქმედებათა ერთობლიობა, რომელმაც მოახდინა არასასურველი ქცევის პროვოცირება. ხშირ შემთხვევაში არასასურველი ქცევის თავიდან აცილების ყველაზე ეფექტიანი გზაა გამომწვევ მიზეზზე ზემოქმედება. თუ შევცვლით იმ ქმედებებს, რომლებმაც გამოიწვიეს ქცევა, მაშინ შესაბამისად შემცირდება არასასურველი ქცევის ალბათობაც.

არასასურველ ქცევაზე მასწავლებლის რეაგირების სტრატეგიები:

არსებობს არასასურველი ქცევის მართვის მკაფიო სტრატეგიები, რომელიც ინდივიდუალურია ყოველი მოსწავლისათვის. კონკრეტულ სტრატეგიას ამა თუ იმ მოსწავლისათვის ერთობლივად შეიმუშავენ ფსიქოლოგი და მასწავლებელი.

რამდენიმე რეკომენდაცია არასასურველი ქცევის მართვისათვის:

- **დაგეგმილი იგნორირება:** არის სტრატეგია, რომელიც ემსახურება არასაურველი ქცევის შემცირება/აღმოფხვრას მასწავლებლის მიერ ამ ქცევის იგნორირების გზით. უმეტეს შემთხვევაში მოსწავლე მიმართავს დემონსტრატულ (არასაურველი) ქცევას იმისათვის, რომ მოიპოვოს მასწავლებლისა და მოსწავლეების ყურადღება, თავი აარიდოს დავალების შესრულებას და ა.შ. მასწავლებლის მხრიდან ამგვარი ქცევის იგნორირება და შესაბამისად ქცევის უარყოფითი განმტკიცება გვეხმარება ამ ქცევის აღმოფხვრაში.
- **მისაღები ქცევით ჩანაცვლება:** ეს არის სტრატეგია, რომელიც ემსახურება არასაურველი ქცევის შემცირება/აღმოფხვრას სასურველი ქცევის დადებითი განმტკიცების გზით.
- **ტაიმ-აუტი:** არის სტრატეგია, რომელიც ემსახურება არასაურველი ქცევის შემცირება/აღმოფხვრას მოსწავლის მკაცრად განსაზღვრული დროით გარკვეული აქტივობიდან (გაკვეთილიდან, თამაშიდან) გაყვანის გზით, მოსწავლისათვის ნაკლებად სასურველ გარემოში (კლასის კუთხე, დერეფანი და სხვა). ტაიმ-აუტის ტექნიკის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც **სპეციალისტის (ფსიქოლოგის)** მიერ მკაფიოდ არის განსაზღვრული არასაურველი ქცევის გამომწვევი მიზეზები, ქცევის განმამტკიცებელი ფაქტორები და შემუშავებულია ტაიმ-აუტის მკაცრი განრიგი.
- **ნახალისების ეფექტიანი სისტემა**
- **შესაფერისი დავალებები** მოსწავლის შესაძლებლობების შესაბამისად. დავალება არ უნდა იყოს არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი.
- **დღიური (დღის კონტრაქტი):** წერილობით გაფორმებული შეთანხმება მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, რომელშიც ასახულია განსახორციელებელი აქტივობების ნუსხა და მათი განხორციელების შეფასება. დღიური ეხმარება მოსწავლესა და მასწავლებელს სასწავლო აქტივობების დაგეგმვაში, დროის ეფექტურად განაწილებაში და ერთობლივი ძალისხმევის თვალსაჩინო შეფასებაში.
- **მკაფიო საკლასო წესები:** ზუსტად და ნათლად უნდა იყოს განსაზღვრული კლასში მოქცევის წესები

მოდული II

ტრენინგ-მოდული მხედველობისა და სმენის დაქვეითება

ქვემოდული 1: მხედველობის დაქვეითება

ქვემოდული 5 თავისაგან შედგება:

- თავი 1. მხედველობის დაქვეითების განმარტება და სიმპტომები: თეორიულ-პრაქტიკული ნაწილი. მხედველობის დაზიანებების, ტესტების დემონსტრირება. კითხვის ადაპტაციის სავარჯიშო.
- თავი 2: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება – მოკლე მიმოხილვა.
- თავი 3: ინკლუზიური განათლება და მხედველობის დაქვეითება – განმარტება და მეთოდოლოგიის მიმოხილვა, დამხმარე საშუალებების დემონსტრირება.
- თავი 4: პრაქტიკული დემონსტრირება, სტრატეგიების შემუშავების სავარჯიშო.

თავი 1. დიაგნოზის განმარტება და სიმპტომები.

ამ თავში მიმოხილული იქნება: 1) მხედველობის ფუნქციები (სიმახვილე, განათების კონტრასტმგრძნობელობა, მხედველობის არე) და 2) მხედველობის დაზიანების 5 ძირითადი ტიპი.

1) მხედველობის ფუნქციები:

მხედველობითი სისტემა ერთ-ერთია, რომლის მეშვეობითაც ადამიანი გარესამყაროს აღიქვამს.

თვით მხედველობას შემადგენელი ფუნქციები (მახასიათებლები) გააჩნია, რომლის გარეშეც სრულფასოვანი ხედვა შეუძლებელი იქნებოდა. ამ ფუნქციათა დაქვეითება/დაკარგვა იწვევს მხედველობის მნიშვნელოვან დეფიციტს. მხედველობის ფუნქციებია:

1) **სიმახვილე.** მხედველობის სიმახვილე განისაზღვრება როგორც შეფარდება ყველაზე მცირე ზომის მაქსიმალური კონტრასტულობის მქონე აღსაქმელი ობიექტის ზომასა და აღსაქმელ მანძილს შორის. მხედველობის სიმახვილის გაზომვა შესაძლებელია შემდეგი მახასიათებლებით:

• **შემჩნევა**


შემჩნევის უნარი გვიჩვენებს:

- 1) თუ რამდენად პატარა ობიექტის დანახვაა შესაძლებელი ჰომოგენურ (ერთფეროვან) ფონზე ან რამდენად პატარა დეტალების შემჩნევაა შესაძლებელი ობიექტში;
- 2) შემჩნევის სიმახვილე არ ითვლება ზუსტ საზომად, მაგრამ მნიშვნელოვანია საგანმათლებლო მიზნისათვის, ვინაიდან გვეხმარება ფიზიკური გარემოს ადაპტაციაში.

• **ამოცნობაზე დაფუძნებული ოპტოტიპური სიმახვილე:**

- 1) არის მიღებული და რეკომენდებული გზა სიმახვილის გასაზომად;
- 2) გაზომვისას გამოიყენება სომბოლოები.

ოპტოტიპი ნიშნავს ბეჭდურ სიმბოლოებს (მაგალითად ასოებს) და შეფასებისათვის გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანს აღნიშნული ტესტის კითხვებზე სიტყვიერი პასუხის გაცემა შეუძლია. ასოებზე მხედველობის სიმახვილე იზომება მხედველობის არის დაქვეითების ხარისხის დასადგენად (Colenbrander, 1988). აღნიშნული ტესტები უნდა ჩატარდეს სტანდარტიზებულ პირობებში სპეციალური პროცედურების დაცვით (მაგალითად, მნიშვნელოვანია განათება).



სურათი 1. Optotipos de Pigassou. Se utiliza en niños entre dos y cuatro años
გამოიყენება 4 წლის ზემოთ ასაკის ბავშვებისათვის
db.doyma.es/cgi-bin/wdbcgi.exe

- უჯრედული სიმახვილე. ის წარმოდგენილი უნდა იყოს სხვა ტესტებთან ერთად. ტესტის ნიმუშს ცენტრი უნდა ჰქონდეს.
 - 1) გამოიყენება უჯრედები ან მაკონტროლებელი მიჯნები;
 - 2) თუ ადამიანს შეუძლია უჯრედების დანახვა, ეს უკვე რალაც მონაცემებს გვაძლევს მხედველობის უნარის შესახებ;
 - 3) ეს არის უჯრედული სიმახვილის რაოდენობრივი საზომი და არ შეიძლება მისი ავტომატური შედარება ოპტოტიპურ სიმახვილესთან.


გამოიყენება ისეთ დროს, როდესაც ოპტოტიპების გამოყენება შეუძლებელია, როგორცაა კომუნიკაციის დარღვევები, მაგალი-

თად, მცირეწლოვანი ბავშვების, განვითარების მიმე დარღვევის მქონე ადამიანების, ქალა-ტინის ტრავმის ან დამბლის მქონე ადამიანთა შეფასების დროს. უჯრედებიანი მწკრივით მხედველობის სიმახვილის გამოზვა შეიძლება სპეციალურად დაბეჭდილი სხვადასხვა ფიგურისაგან შემდგარი ტესტების ან კომპიუტერული გრაფიკული სისტემების გამოყენებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ოპტოტიპური და უჯრედული სიმახვილის მაჩვენებლები შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავებული იყოს (Fosse, 1992; Fosse ect, 2001).

2) განათების კონტრასტმგრძობელობა:

მხედველობის უნარის ამოსავალი (უმთავრესი) ფაქტორია მგრძობელობა ფიზიკური განათების კონტრასტის მიმართ. კონტრასტის აღქმა საშუალებას გვაძლევს, ობიექტები ფონიდან გამოვყოთ და მათი ფორმა გავარჩიოთ. კონტრასტმგრძობელობის ფუნქციის გაზომვის მეშვეობით განისაზღვრება ჩვენს ირგვლივ არსებული ობიექტების შესახებ სივრცითი ინფორმაციის დამუშავების უნარი, რომელსაც მხედველობის სისტემა ახორციელებს. კონტრასტმგრძობელობის გასაზომად გამოიყენება ოპტოტიპები/უჯრედები ან კომპიუტერული გრაფიკული სისტემები.




Pelli-Robson test კონტრასტმგრძობელობის გასაზომად გამოიყენება სპეციალური ცხრილები.

www.vrmny.com/pe/amd/lwlv.html

3) მხედველობის არე:

მხედველობის დაკარგვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია

მხედველობის ველის დაკარგვა (Colenbrander, 2002). აღსანიშნავია, რომ მხედველობის ფუნქციური არე იცვლება განათების ცვლილებასთან ერთად (Bullimore and Baley, 1995).



მხედველობის ველი არის სივრცე ჩვენს წინ, როდესაც პირდაპირ ვიყურებით უძრავად (თვალის მოძრაობის გარეშე). მის გასაზომად ობიექტი უკნიდან შემოაქვთ და აკვირდებიან, როდის შენიშნავს ეს ადამიანი მის მოძრაობას მხედველობის პერიფერიულ ველში. ბავშვებთან ცენტრალური და პერიფერიული არის გამიჯვნა რთულია. ბავშვი შეიძლება იმდენად დაინტერესებული იყოს მის წინ მდებარე ადამიანის სახით, რომ პერიფერიული სტიმულით არ დაინტერესდეს. ამის ასაცილებლად ზოგჯერ სასარგებლოა ბავშვი ეტლში იჯდეს სარკის წინ და შემოსული სტიმული იქედან შენიშნოს.

www.lea-test.f

2) მხედველობის დაზიანების 5 ძირითადი ტიპი და სიმპტომები

მხედველობის დაქვეითება შეიძლება მოიცავდეს მდგომარეობას სუსტად მხედველობასა და სრულიად უსინათლობას შორის. არსებობს მრავალი დიაგნოზი, ზოგი მათგანი საკმაოდ იშვიათია. მხედველობის დაზიანების შედეგებს შორის მნიშვნელოვანი ინდივიდუალური განსხვავებებია. ერთმანეთისაგან გასხვავდება მხედველობის თანდაყოლილი და შეძენილი დაქვეითებები. მხედველობის ერთი და იგივე უნარის მქონე ორი ადამიანის მხედველობის ფუნქცია შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს. აქ მნიშვნელოვან როლს ინდივიდუალური (მათ შორის, პიროვნული) მახასიათებლები თამაშობს: კოგნიტური (შემეცნებითი) უნარები, ინტრესები, მოტივაცია, სოციალური უნარები და სხვა. ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, მხედველობის ერთი და

იგივე დაზიანების მქონე 2 ადამიანს შესაძლებელია ფუნქციონირების სხვადასხვა დონე აღმოაჩნდეს.

მხედველობის დაზიანების 5 ძირითადი ტიპია:

1) ცენტრალური არის დეფექტი



მაკულა არის ყვეთელი ლაქა ბადურას ცენტრთან ახლოს. მასში არსებული ჩაღრმავება (ფოვია, ფოვიალური არე) პასუხისმგებელია მხედველობის სიმახვილეზე. მაკულარული დეგენერაციის დროს ლაქამ, რომელსაც სკოტომა ეწოდება, შესაძლებელია ცენტრალური მხედველობა დააზიანოს. ეს სკოტომა შეიძლება იყოს ბაცი, მუქი ან ბინდისმაგვარი. ზოგჯერ გამოსახულების ნაწილი შეიძლება გამოიყურებოდეს ტალღისებურად ან დეფორმირებულად.

www.vrmny.com




Amsler grid


ამსლერის ბადე არის მაკულარული დეგენერაციის გამოსაკვლევი ერთ-ერთი საშუალება და მისი ჩატარება სულ რამდენიმე წამს მოითხოვს. მისი ჩატარება სახლის პირობებშიც არის შესაძლებელი.

ჩატარების ინსტრუქციები:

1. თუ სათვალეს ატარებთ, გაიკეთეთ ტესტის ჩატარებისათვის;
2. ფურცელი მოსახერხებელ მანძილზე დაიჭირეთ;
3. დაიფარეთ ერთი თვალი;
4. მეორე თვალით ნახატზე განლაგებულ შავ წერტილს შეხედეთ;
5. გააკეთეთ იგივე მეორე თვალით;
6. დაუყოვნებლივ დაურეკეთ ექიმს, თუკი ქვემოთ ჩამოთვლილი რამ ალგენიშნებათ:
 - ხაზები ტალღისებური და დეფორმირებულია;
 - არსებული შავი წერტილის გარდა ხედავთ სხვა შავ წერტილს ან რაიმე ბუნდოვან ლაქას.

www.vrmny.com/pe/amd/lwlv.html






მაგალითზე დეფორმირებული ტალღისებური ცხრილია წარმოდგენილი და შესაძლებელია მაკულარული დეგენერაციის აღმნიშვნელი ი ყოს.

დეფორმაცია ან სკოტომა (ბრმა ლაქა), რომელსაც თქვენ ხედავთ, შესაძლებელია ამ გამოხატულისაგან განსხვავდებოდეს.
 Medical Review: Kathleen Romito, MD – Family Medicine Carol L. Karp, MD – Ophthalmology Last Updated August 13, 2007.

2) პერიფერიული არის დეფექტი (გვირაბისებული ხედავ)



www.vrrentals.com/dui_nascar_simulator.htm

ასეთ შემთხვევაში ბავშვებთან განათება 30-მდე აუმჯობესებს გამოსახულებას.

- 3) ნისტაგმი. ნორმაში ნისტაგმი არის მოძრაობა, რომელიც შედის კუნთების წრიულ მოძრაობათა რიცხვში. მას ადგილი აქვს, როდესაც თვალსწინ მოძრაობს ერთფეროვანი, მაგრამ დისკრეტულად გაყოფილი (მაგალითად, მოძრავი ზოლების) ფონი.

ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანი დახმარებაა სწორი პერსპექტივის, კუთხის პოვნა.

- 4) სხვა, ახლომხედველობა (Bäckman & Inde, 1975); ამაზე საუბარი დანვრილებით რეფრაქციის დაზიანებებში იქნება.
- 5) ცერებრული დამბლა, სხვა ორგანული დაზიანებები.



ცერებრული დამბლის მქონე ბავშვთა 50-90%-ს აღენიშნება სხვადასხვა ოფტალმოლოგიური ანომალია. ესენია: სტრაბიზმი (სიელმე), ნისტაგმი, მოტორული ნერვის დამბლა, ამბლიოპიები: სუსტადმხედველობა, რეფრაქციის ანომალიები (შორსმხედველობა — პიკერმეტროპია, ახლომხედველობა — მიოპია, ასტიგმატიზმი — განსხვავებული მხედველობა სხვადასხვა თვალში), ფტოზი, ქერქული სიბრმავე და სხვა. www.sbcprn.com/rad7.html

დიაბეტის დროს აგრეთვე შესაძლებელია რეფრაქციის სხვადასხვა დაზიანება გვხვდებოდეს (მიოპია, პრესბიოპია, ასტიგმატიზმი)

www.nuh.nhs.uk/qmc/optometry/refraction.htm

სხვადასხვა დაზიანების შედარება:



რეფრაქციის დაზიანებები:


რეფრაქცია არის ტესტი, რომელიც მხედველობის სიმახვილეს ზომავს. www.nuh.nhs.uk/qmc/optometry/refraction.htm

რეფრაქციის დაზიანება:


- არაფერს გვეუბნება მხედველობის უნარის შესახებ;
- მხოლოდ გვანჯდის ინფორმაციას, რომ ადამიანს ესაჭიროება სათვალე ან კონტაქტური ლინზები.

რეფრაქციის დაზიანებები:

- 1) მიოპია – თუკი თავისუფლად შეგიძლიათ ახლომდებარე ობიექტების დანახვა, მაგრამ გაქვთ სირთულე საგზაო ნიშნების ან დაფაზე დაწერილის წაკითხვის სირთულე სკოლაში, თქვენ შესაძლებელია ახლომხედველი იყოთ.



ნორმალური მხედველობა



ახლომხედველობა (მიოპია)

ექიმები ამ მდგომარეობას განსაზღვრავენ ტერმინით „მიოპია“, რომელიც ძველი საბერძნეთიდან ნამოვიდა და „დახუჭულ თვალებს“ ნიშნავს. ამ დროს რეტინა (ბადურა) გადიდებულია და შეინიშნება მიოპიის უტყუარა ნიშანი — თვალების ჭუჭვა, რათა ობიექტი დაპატარავდეს. ასეთ შემთხვევაში ატარებენ „მინუს“ სათვალეს. მიოპია არ არის დაავადება და არ ნიშნავს „ცუდი თვალების“ ქონას. ეს ბადურის (რეტინის) განხვავებული ფორმის მაჩვენებელია. სწორედ ამ ფორმაზეა დამოკიდებული, თუ რა ტიპის კორექტირებაა საჭირო — სათვალე თუ ლაზერული მკურნალობა.

home.earthlink.net/whcoulter/myopia.html

2) ჰიპეროპია — „პლიუსი“, ობიექტი დაპატარავებულია და საჭიროებს გადიდებას.



ჰიპეროპიის მქონე ადამიანები არიან შორსმხედველები. ტერმინის მნიშვნელობის საპირისპიროდ, შორსმხედველები ბუნდოვნად ხედავენ ყველა მანძილზე, მიუხედავად ფოკუსირების მცდელობისა, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს დაძაბულობა, თავის ტკივილი და თვალის გადაღლა. შორსმხედველობას ადგილი აქვს, როდესაც თვალი ჩვეულებრივზე უფრო ვიწროა. მდგომარეობა, როგორც წესი, მემკვიდრეობითია. ბავშვებში ის უფრო მსუბუქად არის გამოხატული და თვალის ზომის ზრდასთან ერთად 7-8 წლის ასაკისათვის მდგომარეობა შესაძლებელია თავად ალაგდეს. თუმცა ზოგმა ადამიანმა, ვისაც შორსმხედველობა აქვს, შესაძლებელია მის შესახებ არაფერი იცოდეს, რადგან ფოკუსირების კარგი უნარი აქვთ და მხედველობის კორექტირებას სათვალისა თუ კონტაქტური ლინზების გარეშეც ახერხებს.

www.bausch.com/farsightedness_hyperopia.aspx

3) პრესბიოპია (დისტანციური მხედველობა).

პრესბიოპია ბერძნული ტერმინიდან მოდის და „ასაკოვან თვალს“ ნიშნავს. ეს არის ახლომხედველობის უნარის დაქვეითება ასაკთან ერთად, როდესაც მხედველობის თანდანობითი შესუსტება ხდება. ასეთი ადამიანები განიცდიან სირთულეს ახლომხედველობასთან დაკავშირებული საქმის შესრულებისას: გაზეთების კითხვისას, ტელეფონით სარგებლობისას. მათ სათვალის მუდღვიმად ტარების შეჩვევა უწევთ საოჯახო საქმის შესრულების დროსაც კი.



www.docholladay.com/htmlview.aspx?sign

კითხვა

კითხვის უნარი

კითხვის პროცესი მოიცავს 2 აუცილებელ პირობას (ამოცანას):

- დეკოდირება (გაშიფრვა): დაკავშირებულია კითხვის ტექნიკური ასპექტთან – დაბეჭდილი კოდის გაშიფრასთან დაწერილის (წაწერის) გასაგებად და
- გაგება: წაკითხული უკავშირდება წინა გამოცდილებას და ჩარჩოს (framework), რომელიც წაკითხული სიტყვების მნიშვნელობებს გვანჯდის (Høen & Lundberg, 2000).

კოდის გაშიფრვა 2 სხვადასხვა მეთოდითაა შესაძლებელი — ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ კითხვის მეთოდით (ფონოლოგიური სტრატეგია) და მთლიანობითი სიტყვის კითხვის მეთოდით (ორთოგრაფიული სტრატეგია). ეს უკანასკნელი (ორთოგრაფიული) სტრატეგია მოითხოვს სიტყვის გრაფემული გამოსახულების მისავე სემანტიკურ (მნიშვნელობის) შინაარსში პირდაპირი გადატანის უნარს, ხოლო ფონოლოგიური სტრატეგიის გამოყენება დამყარებულია მისი ქვეერთეულების ამოცნობაზე.

მხედველობის დეკოდირების წინაპირობები:

- მხედველობის არხი დამაკმაყოფილებლად უნდა ფუნქციონირებდეს;
- უნდა მოხდეს სიტყვის შემადგენელი ელემენტების იდენტიფიცირება;
- ასოები და სიტყვები ამოცნობილი უნდა იყოს მეხსიერების საცავის მიერ.

იმისათვის, რომ ტექსტი ადვილად გავიგოთ, საჭიროა დეკოდირებაც ასევე ადვილი იყოს. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელი ხდება შინაარსის წვდომა ერთიან ინტელექტუალურ და კულტურულ კონტექსტში, რომლისთვისაც შემეცნებითი რესურსების მობილიზება ხდება. ხოლო თუკი მენტალური (გონებრივი) რესურსების მობილიზება მთლიანად დეკოდირების პროცესზე ხდება, მისი აზრობრივი შინაარსი შესაძლებელია ყურადღების მიღმა დარჩეს (Høen & Lundberg, 2000).

მაშასადამე, კითხვის ფუნქცია ძირითადად ფაქტორთა 2 მთავარ ჯგუფზეა დამოკიდებული:

- ტექნიკური,
- გონებრივი.

აგრეთვე, თვალის მოძრაობა:

- თვალის სწრაფი (ნახტომისებური) მოძრაობა,
- ფიქსაცია,
- რეგრესია (უკან დაბრუნება),
- ხაზებზე გადანაცვლება (სტრიქონების გასწვრივ თვალის გავლება).

აღქმა ხდება მხოლოდ ფიქსაციის დროს:

- კითხვის არე ანუ ფიქსაციის არე არის ასოების რაოდენობა მხედველობის არეში, რომლის დანახვაც დამკვირვებელს ერთი დანახვით შეუძლია.
- ფუნქციური კითხვის მისაღწევად ფიქსაცია და თვალის სწრაფი (ნახტომისებური) მოძრაობა ზუსტი უნდა იყოს.
- ნორმალური მკითხველისთვის მომდევნო სიტყვის სიგრძემ უნდა განაპირობოს თვალის შემდეგი ნახტომი (სწრაფი მოძრაობა).

არსებობს 2 განმარტება:

- აღქმის მოცულობა (the perceptual span).
- ვიზუალური (მხედველობის) მოცულობა (the visual span).
- აღქმის მოცულობას შეადგენს როგორც მხედველობის მოცულობა (ტექსტის ის ნაწილი, რომელიც ერთი ფიქსაციის შედეგად დავინახეთ), ასევე ტექსტის ის ნაწილი, რომლის ცნობაც შეუძლებელია, მაგრამ განაპირობებს თვალის შემდეგ ნახტომს (საკადურ მოძრაობას), რომელიც ჩვენთვის შეუმჩნეველი რჩება, რადგან ის ძალიან სწრაფია და გუგის მიერ ავტომატურად ხორციელდება. სწორედ ამ მოძრაობათა შეჩერებებს (პაუზებს) ეწოდება ფიქსაცია, ობიექტზე ან ობიექტის ერთი ელემენტზე ფიქსაცია.
- მხედველობის (ვიზუალური) მოცულობა განმარტებულია როგორც ასოების რაოდენობა მხედველობის არეში, რომელთა ამოცნობაც ერთი ფიქსაციის დროს არის შესაძლებელი.

სამი ძირითადი მახასიათაებლის (შუქი, კონტრასტი, ზომა) გავლენა კითხვის ადაპტირებაზე და ამ კონტექსტში სხვადასხვა დაქვეითების განხილვა

განათებისადმი (სინათლისადმი) კონტრასტმგრძნობელობის ფუნქციები გავლენას ახდენს მობილურობასა და კითხვაზე.

ყოველდღიური ცხოვრების მხედველობით აღქმისათვის კონტრასტმგრძნობელობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიმახვილე (Owsley & Sloane, 1987; Hyvärinen, 1989; Cornelissen ect., 1995). Cornelissen-ის (1995) კვლევის მიხედვით, მხედველობის სხვადასხვა დარღვევის მქონე ადამიანებში კონტრასტმგრძნობელობა უფრო მჭიდრო კავშირშია ობიექტის შემჩნევასთან და ამოცნობასთან, ვიდრე ოპტოტიპური სიმახვილე.

ამასთან ერთად, ნაჩვენებია, რომ კონტრასტმგრძნობელობა კითხვის უნარისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის პარამეტრია (მაჩვენებელია) (Brown, 1981; Legge ect., 1987; Rubin & Legge, 1989; Whittaker & Lovie-Kitchin, 1993).; Legge (1987), Rubin & Legge (1989) დაადგინეს, რომ ნორმალური მხედველობის მქონე დამკვირვებლები საკმაოდ ტოლერანტულები იყვნენ კონტრასტის შემცირების მიმართ იმ დროს, როდესაც მხედველობის შეზღუდვის მქონე პირებმა ნაკლები ტოლერანტობა გამოავლინეს. Whittaker & Lovie-Kitchin (1993) ამტკიცებენ, რომ *იზოლირებულად (ცალკე) აღებული სუსტი კონტრასტმგრძნობელობა არ გამოიწვევს კითხვის უნარის დაქვეითებას, თუკი კომპენსაციისათვის ნაბეჭდის კონტრასტს გავზრდით.*

სინათლის ეფექტი მხედველობის სიმახვილესა და კითხვაზე

ნორმალური მხედველობის მქონე ადამიანებში ოპტოტიპური სიმახვილე უმჯობესდება სინათლის გაზრდასთან ერთად (Sloan, 1989). მთელმა რიგმა კვლევებმა უჩვენა, რომ მხედველობის უნარის დაქვეითების მქონე ადამიანებში კითხვის უნარზე გავლენას ახდენს სინათლის დონეების ცვალებადობა (Sloan ect, 1973; Eldred, 1992; Cornelissen ect, 1991; Fosse & Valberg, 1996; 2004). ნორმალური მხედველობის მქონე პირებისაგან განსხვავებით, რომელთა კითხვის სიჩქარეზეც მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს ფოტოტიპური განათება (Legge & Rubin, 1986; Bullimore & Bailey, 1995), მაკულარული

(ბადურის ყვითელი ლაქა, რომელიც შუქისადმი არის მგრძობიარე) დარღვევების მქონე პირებში ფონის განათების გაუმჯობესებასთან ერთად მატულობს კითვის ტემპიც (Eldred, 1992; Bowers ect. 2001).

პროცედურები განათების ოპტიმალური პირობების განსაზღვრისათვის კითხვის პროცესში

მხედველობის უნარის დავეკვიითების მქონე პირებისათვის სათანადო განათების მნიშვნელობა საყოველთაოდ აღიარებულია (Lovie-Kichin ect, 1983; LaGrow, 1986; Bowers, ect, 2001; Fosse & Valberg, 2004).

სკოტომების გავლენა თვალის მოძრაობასა და კითხვაზე

Fletcher-მა და სხვ. (1999) აღმოაჩინეს, რომ ცენტრალური სკოტომას მქონე ადამიანების კითხვის ტემპი ორჯერ ნაკლებია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებსაც არაცენტრალური სკოტომა აქვთ. უფრო მეტიც, ცენტრალური სკოტომას მქონე ადამიანები ნუთში საშუალოდ 25 სიტყვას კითხულობენ, ხოლო ვისაც ცენტრალური არე დაზიანებული არა აქვს — 130 სიტყვას (Legge, 1985). ცენტრალური სკოტომას დროს კითხვის ნელი ტემპი განპირობებულია თვალის მწირი და არამყარი ფიქსაციით (Baldasare, ect, 1986; Legge & ect, 1985; Whittaker & Lovie-Kitchen, 1993). თუმცა უფრო ხშირად ცენტრალური სკოტომას მქონე ახალგაზრდები ახერხებენ კითხვის უნარის კომპენსირებას (Legge & ect, 1992).

- პარაცენტრალური მხედველობის დროს ადამიანი კითხულობს ან დეტალების/ობიექტების ინტერპრეტირებას ახდენს არაცენტრალური ბადურის გამოყენებით. ეს ართულებს მცირე ზომის ასოების ან სიტყვების ნაკითხვას, რადგან ვიზუალური უნარი შედარებით სუსტია პერიფერიაში, ვიდრე ცენტრალურ რეგიონში.
- შემჩნევის სუსტი უნარის კომპენსირება უნდა მოხდეს ტექსტის ზომის გადიდებით.
- სტაბილურმა, ოპტიმალურმა განათებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კითხვის გაუმჯობესებისათვის (Gues & ect, 1993; Bullimore & Bailey, 1995; Trauzettel-Klosinski, 1997).
- ნორმაში მკითხველი მეტ ინფორმაციას იღებს მხედველო-

ბის ცენტრალური არის მარჯვენა მხრიდან, ვიდრე მარცხნიდან (Rayner, Well & Pollatsek, 1980). კითხვისას ფიქსაციის ნერტილის მარჯვნივ 8-9 სიმბოლოს შემჩნევა შესაძლებელი მაშინ, როდესაც მარცხნივ ეს მხოლოდ 4 სიმბოლოა. ამდენად მარჯვენა ცენტრალური არის დაზიანება კითხვას უფრო ართულებს, ვიდრე მარცხენა არის დაზიანებისას.

პრაქტიკუმი


ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

როგორ გამოვიყენოთ კონტრასტმგრძნობელობის შესახებ ინფორმაცია გადაადგილებასთან დაკავშირებით? როგორ გამოვიყენოთ კონტრასტმგრძნობელობის შესახებ ინფორმაცია კითხვასთან მიმართებაში?

მხედველობის უნარის შეფასება:

1. დიაგნოზისა და მისი ობიექტური შედეგების განსაზღვრა:
 - დიაგნოზი,
 - ფუნქციური მხედველობა (მიოცავს მხედველობის სხვადასხვა ელემენტს, მაგრამ ძირითადად გვინტერესებს, თუ რა განსხვავებებია სხვადასხვა აქტივობაში ჩართულობის დროს).
2. დაკვირვება:
 - მოძრაობის უნარი (გადაადგილება და ორიენტაცია),
 - მანძილი ისეთი სამუშაოს დროს, რომელიც სიახლოვეს მოითხოვს (მაგალითად პაზლის ანყობა (ნანილებისაგან მთელის ანყობა), კითხვა, წერა და ა.შ.),
 - თავის ქერა (მდებარეობა, პოზა),
 - ნისტაგმი (მოუსვენარი თვალები: თვალის კაკლების უნებლიე რიტმული ორფაზიანი მოძრაობები),
 - სინათლის მიმართ მგრძნობელობა/შუქმგრძნობელობა,
 - ტაცება (მოჭერა grip) — პინცეტისებური (2 თითით pinching) და ჩაელება (grabbing).
3. ფორმალური ტესტები:
 - სუსტი/ძლიერი მხედველობის სიმახვილე სიახლოვის დროს,

- სუსტი/ძლიერი მხედველობის სიმახვილე მანძილზე,
- ამსლერის (Amsler) ცხრილი,
- ფერის აღქმა/გარჩევა ('color vision' „ City University).
City University Color Vision Test www.colblindor.com



4. სხვადასხვა დავალებაში ჩართვისათვის და მისი პროცესის დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებელს ჰქონდეს ინფორმაცია არა მარტო ობიექტური ტესტების მაჩვენებლების შესახებ, არემედ მონაცემები, რომელსაც ის დაკვირვებით მიიღებს. ესენია:

- ფიქსაცია,
- აკომოდაცია (თვალის შიდა, ზედა და ქვედა მიმართულებით მოძრაობა),
- თვალის მოძრაობა ცალ-ცალკე და ერთად
- მხედველობის არე,
- თვალისა და ხელის კოორდინაცია (თვალისა და ხელის შეთანხმებული მოძრაობა, როდესაც მოსწავლეს შეუძლია თვალი გააყოლოს საკუთარი ხელის მოძრაობას).

■ თავი 2. ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება;

მხედველობის დაქვეითების მქონე ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში და სხვადასხვა სახის აქტივობაში შეიძლება შემდეგ სირთულეებს განიცდიდნენ:

- გადაადგილების (მობილობის) სირთულე;
- ორიენტაციის სირთულე;

- ტრანსპორტირების სირთულე;
- უჭირთ ან საერთოდ ვერ სცნობენ ადამიანებს სახეზე;
- უჭირთ მოტორული დავალებების გაგება;
- არსებობს საგანმანათლებლო და შრომით პროცესებში ინტეგრაციის სირთულეები.

ინკლუზიურ კლასში ჩართვის სირთულეები, რომელთა გადალახვაც მოსწავლემ მასწავლებლის დახმარებით უნდა მოახდინოს:

- კითხვის სირთულეები კლასში.
- თეთრ დაფასთან მუშაობის სურთულე: მოსწავლეებს უჭირთ მასზე დანერვილი ტექსტის ზუსტად ამოკითხვა ან სრულიად ვერ კითხულობენ.
- წიგნში წარმოდგენილ ვიზუალურ მასალასთან მუშაობის სირთულე. მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეებს უჭირთ ილუსტრაციების გარჩევა და ამის გამო ჯგუფურ მეცადინეობაში მონაწილეობა.
- სიტყვასთან/წინადადებასთან/ტექსტთან სამუშაო დავალებები, როგორც წესი გვერდზე განთავსებული ტექსტის ადგილმდებარეობის განსაზღვრას საჭიროებს, რაზეც მხედველობის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ჩვეულებრივზე მეტი დრო სჭირდებათ. ამიტომ ისინი ხშირად სავარჯიშოების შესრულებას ვერ ახერხებენ.
- ზოგჯერ მასწავლებლის მიერ მიცემული დავალება კარგ დისტანციურ მხედველობას მოითხოვს, რაც ამ კატეგორიის მოსწავლეებისათვის მიუწვდომელია.
- მოსწავლეები ხშირად ვერ ასწრებენ მიცემული დავალების შესრულებას.
- ვინაიდან დავალებათა უმატესობის შესრულება მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლისათვის შეუძლებელია, გაკვეთილთა ნაწილის მიმართ ისინი დემოტივირებულები რჩებიან.

www.mib.org.uk/.../public_vissummer99.hcsp



www.rnib.org.uk

■ თავი 3. ინკლუზიური განათლება და მხედველობის დაქვეითება;

რეაბილიტაციის მეთოდოლოგია

გულისხმობს: ტექნიკურ მონაცემებსა და სამი მთავარი პრინციპის გამოყენებას.

დანართი 1.

- ტექნიკური მონაცემები

მხედველობის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა უმეტესობას ესაჭიროება გარკვეული ტექნიკური მონაცემები სწავლისათვის და დავალებათა შესრულებისათვის.

მონაცემები (ხელსაწყოები)



ლამპები გამადიდებელი ფუნქციით: ხელის გამადიდებლები შეიძლება ნაცადი იყოს, თუკი საჭიროა მნიშვნელოვანი გადიდება. ხელის ზოგ გამადიდებელს ჩაშენებული ნათურები აქვს, რაც კითხვის დროს კონტრასტს აძლიერებს.

CCTV: ელექტრონული მონაცემობა, რომელიც უზრუნველყოფს მნიშვნელოვან გადიდებას და უდიდეს კონტრასტს ახლომხედველობითი ვალეების შესრულების დროს. ბევრ ასეთ მონაცემობას აგრეთვე



შეუძლია შავ ფონზე თეთრი ასობის ან თეთრ ფონზე შავი ასობის წარმოდგენა.

გამადიდებლები

მონოკულარული (ერთთვალისანი ტელესკოპი): უზრუნველყოფს



ობიექტის უფრო ახლოს დანახვას, ვიდრეის სინამდვილეში არის. ხელის ტელესკოპი არის მონოკულარული და გამოიყენება ერთი თვალისათვის. შეიძლება გამოყენებული იყოს საზგაო ნიშნისათვის, შენობის რუკისათვის ან სწრაფი კვების მენიუსათვის.

ბინოკულარული ტელესკოპი: სათვალეში ჩამონტაჟებული ტელესკოპი შეიძლება იყოს როგორც მონოკულარული, ასევე ბინოკულარული. მისი მოხერხებულად ტარება ხანგრძლივი დროის განმავლობაშია შესაძლებელი, როდესაც ორივე ხელი თავისუფალია. შეიძლება იყოს გამოყენებული თეატრში, კალათბურთის ყურებისას ან კარტის თამაშის დროს.



სათვალეები ფილტრული ლინზე-ბით: გვანდის შუქის ტალღების განსხვავებულ სიგრძეს და ზოგ ადამიანს ხედვას უადვილებს. ის შეიძლება გამოყენებული იქნეს თვალისმომჭრელი შუქის დროს ულტრაიისფერი ან ულტრანაწილური შუქისაგან დასაცავად ან კონტრასტის გასაზრდელად.



სამი მთავარი პრინციპი:

- განათება,
- ზომა,
- კონტრასტი.

მეთოდოლოგია:

Ainscow (1994), Churton-Ginglas & Blair (1998) & Engh (2003) მსჯელობენ განსხვავებული უნარების მქონე ბავშვების სწავლების მეთოდებზე:

- ვიზუალური სწავლება შეადარეთ სწავლების მეთოდს, რომელიც იყენებს ყველა გრძნობას (ვიზუალური, სმენითი, შეხებითი, მოძრაობითი, ყნოსვითი და გემოვნების);
- ინსტრუქციებით მეთოდი შეადარეთ აზრიან ინტერაქციას მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლე(ებ)ს, მასწავლებელსა და მშობელს, სკოლასა და ადგილობრივ საზოგადოებას/თემს შორის;
- ინტეგრირებული სწავლა (აზრიანი, ნიშანდობლივი, მნიშვნელობის მქონე) – მთლიანობითი (ჰოლისტიკური მიდგომა);
- სწავლების პრაქტიკული მეთოდი (სწავლა ქმედების საშუალებით);
- ინდივიდუალური სწავლება/დახმარება/ინსტრუქცია (აკადემიური და დაგანყვეტის/გადაჭრის სტრატეგიები);
- ორგანიზება (მაგალითად, ჯგუფები/წყვილები) აგრეთვე მასწავლებლის მეთოდოლოგიის შემადგენელი ნაწილია:
 - პროექტები – პრეზენტაცია,
 - როლური თამაში,
 - ჯგუფური დისკუსიები,
 - თამაშები.
- სასწავლო გარემო
 - საკლასო ოთახის მონყობის ფორმა – განთავსება,
 - სასწავლო მასალები, კითხვის კუთხე და ა.შ.
 - მოსწავლეებისათვის საკუთარ სწავლებაზე პასუხისმგებლობის დაკისრება.
- გამოცდილება აჩვენებს, რომ მხედველობის შეზღუდვის მქონე ბავშვებისთვის განხორციელებული ადაპტაციები სწავლებისა და საკლასო ოთახის ფუნქციონირების გასაუმ-

ჯობესებლად ასევე სარგებლობის მომტანია მთელი კლასისათვის.

რეგულირება და ადაპტირება

ინდივიდუალური საჭიროება რეგულირებისა და ადაპტირებისათვის

- გარემოს ადაპტირება:
 - განათება,
 - განთავსება,
 - მკვეთრი სინათლე.
- კურიკულუმის ადაპტირება ემყარება:
 - ინდივიდუალურ საჭიროებებს,
 - უნარებს,
 - პოტენციალს,
 - ინტერესებს.
- მასალის ადაპტირება:
 - კონკრეტული მასალები,
 - სხვადასხვა ტიპის მასალის შემუშავება,
 - წერიტი მასალის, ასლების გადიდება.
- მეთოდის ადაპტირება:
 - აზრიანი სწავლება,
 - კონკრეტული,
 - არსებითი.
- კლასის ორგანიზების ადაპტირება:
 - ინტერაქციისთვის სტიმულირება (საერთო აქტივობისადმი),
 - ურთიერთობისთვის სტიმულირება,
 - თანამშრომლობისთვის სტიმულირება.

■ თავი 4. სტრატეგიების შემუშავების სავარჯიშოები. სწავლების მეთოდების შეცვლა

ძირითადი პრინციპია შეცვალო თუ როგორ ასწავლი და არა რას ასწავლი (TES, 1999).

მაგრამ სინამდვილეში მიდგომის შეცვლამ, სწავლების ად-

აპტირებულმა მეთოდებმა შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეზე, თუკი ამ მოსწავლეებზე შესაბამისად არ არის მორგებული.

ქვემოთ მოყვანილია ენის გაკვეთილის სტრუქტურა. გათხოვთ განიხილოთ ის და აქტივობების ადაპტირება იმგვარად დაგეგმეთ, რომ მხედველობის დაქვეითების მქონე მოსწავლეების შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხერხდეს მათი დავალებების შესრულებაში ჩართვა.

დანართი 2.

ნაწილი	დავალების სახეობა	კლასის მენეჯმენტი	დრო
ნაწილი 1	საერთო ტექსტური დავალება	მთელი კლასი	15 წუთი
ნაწილი 2	წინადადებაზე ან სიტყვაზე მუშაობა	მთელი კლასი	15 წუთი
ნაწილი 3	დამოუკიდებელი საკითხავი/საწერი ან სიტყვა/წინადადებაზე სამუშაო დავალება – მასწავლებელი მუშაობს ორ შრომისუნარიან ჯგუფთან	ჯგუფური და დამოუკიდებელი სამუშაო	20 წუთი
ნაწილი 4	გაკვეთილის შეჯამება	მთელი კლასი	10 წუთი

www.rnib.org.uk/.../public_vissummer99.hcsp

გამოყენებული წყაროები:

1. db.doyma.es/cgi-bin/wdbcgi.exe
2. www.vrmny.com/pe/amd/lwlv.html
3. www.lea-test.f
4. www.vrmny.com
5. www.vrmny.com/pe/amd/lwlv.html
6. Medical Review: Kathleen Romito, MD_ Family Medicine. Carol L. Karp, MD - Ophthalmology. Last Updated August 13, 2007
7. www.vrrentals.com/dui_nascar_simulator.htm
8. www.sbcprn.com/rad7.html
9. www.nuh.nhs.uk/qmc/optometry/refraction.htm
10. www.eye-opener.training.co.uk

11. www.nuh.nhs.uk/qmc/optometry/refraction.htm
12. home.earthlink.net/whcoulter/myopia.html
13. www.bausch.com/farsightedness_hyperopia.aspx
14. www.docholladay.com/htmlview.aspx
15. www.colblindor.com
16. www.rnib.org.uk/.../public_vissummer99.hcsp
17. www.rnib.org.uk
18. www.rnib.org.uk/.../public_vissummer99.hcsp

სახელმძღვანელოში მოყვანილი ლიტერატურა

**ტრენინგ-მოდული: მხედველობის
და სმენის დაქვეითებები**

ქვემოდული 2: სმენის დაქვეითება

მოდული 5 თავისაგან შედგება:

თავი 1: დიაგნოზის განმარტება, გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები. აქ მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- რა არის სმენა, როგორ მუშაობს და როგორ ზიანდება;
- რა არის აუდიოგრამა;
- სმენის დაქვეითების ტიპები (დაზიანების ლოკალიზაციისა და დროის მიხედვით) და ხარისხები;
- გამომწვევი მიზეზები;

თავი 2: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება:

პრაქტიკულ-თეორიული ნაწილი

- როდის გვიჩნდება ეჭვი სმენის დაქვეითების შესახებ;
- რა არის სასმენი აპარატი;
- სასმენი აპარატის დემონსტრირება და მოხმარების წესები.

თავი 3: ინკლუზიური განათლება და სმენის დაქვეითება:

- რას განიცდის სმენის დაქვეითების მქონე ადამიანი;

თავი 4: პრაქტიკული დემონსტრირება:

პრაქტიკულ-თეორიული ნაწილი

- სავარჯიშოები სმენის დაქვეითების დემონსტრირებით, განსხვავებული პირობები მოსმენისათვის;

- დისკუსია: სტრატეგიების შემუშავება.


თავი 5: რეკომენდაციები სწავლების პროცესის უკეთ წარმართვისათვის:

- რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის;
- თანაკლასელებისათვის;
- ჯგუფის ზომის შემცირება;
- საკლასო ოთახის ადაპტირება.

ქვემოთაა ახლავს დანართები:

- სავარჯიშოების,
- მდგომარეობის დაძლევის სტრატეგიების,
- რეკომენდაციების სახით.

თავი 1. დიაგნოზის განმარტება, გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები: რა არის სმენა



www.earinc.com/howhearingworks.php


რა არის სმენა?

სმენის შეგრძნება საშუალებას გვაძლევს, რომ შევამჩნიოთ და ამოვიცნოთ ჩვენს გარშემო არსებული აურაცხელი რაოდენობის მქონე ბგერებიდან გარკვეული ბგერები და აგრეთვე განვსაზღვროთ მა-

თი ადგილმდებარეობა. ადამიანისთვის და სხვა ცხოველებისათვის, რომლებსაც ყნოსვის შეგრძნება ცუდად აქვთ განვითარებული, სმენა ნამყვან როლს თამაშობს მსმენელის ყურადღების მიმართვაში გარემოში არსებული ახალი მოვლენისადმი. მეტველებისა და მუსიკის მეშვეობით ადამიანი სოციალურ კომუნიკაციაში მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობს.

[www. answers.com.OXFORD](http://www.answers.com.OXFORD) University Press

გარე ყური



გარე ყური შედგება ყურის ნიჟარისაგან და ყურის არხისაგან. ბგერების ტალღები გროვდება ნიჟარის მიერ და არხის გავლით დაფის აპკს გადაეცემა. ბგერეთა ტალღები დაფის აპკს ეჯახებიან და ვიბრაციას იწვევენ. დაფის აპკი ყოფს გარე და შიდა ყურს .


შუა ყური

შედგება დაფის აპკისგან, 3 პატარა ძვლისაგან. ბგერის ტალღები დაფის აპკს ეჯახება და ძვლების მიერ შიდა ყურს გადაეცემა. შუა ყური გამაძლიერებელივით მუშაობს და ვიბრაციათა ინტენსივობას აძლიერებს, რათა შეასუსტოს განსხვავება ყურში შემავალ ჰაერსა და შიდა ყურის სითხეს შორის.



შიდა ყური

შიდა ყური შესაძლებელია 3 ნაწილად დაიყოს: ნახევრადმრგვალი არხები, ვესტიბულა და კოჰლეა, რომელიც ქალას საფეთქლის ძვალში მდებარეობს. ძვლებიდან წამოსული ვიბრაცია ძვიდეს (სტრემია — რუსული) ძვლის მეშვეობით კოჰლეს გადაეცემა. შიდა ყური მექანიკურ ვიბრაციებს ელექტროქიმიურ იმპულსებად გარდაქმნის კოჰლეაში თმის უჯრედების სტიმულაციის გზით.



კოჰლეს (ლოკოკინას) შიგნით შიდა ყურის სითხის მოძრაობა გამოწვეულია თმის უჯრედთა მოძრაობით. თმის უჯრედთა მოძრაობა ელექტრო-ქიმიურ იმპულსებს უზანვის სმენის ნერვს, ხოლო სმენითი ნერვი მას ტვინის იმ არეს უზანვის, სადაც ისინი ბგერებად გადარაიქმნებიან.

როგორ აზიანებს ხმაური სმენას?

ხმამალალი ბგერები ანადგურებს შიდა ყურის ბოჭკოვან უჯრედებს. განადგურებული უჯრედები აღარ აღდგება. ეს განაპირობებს სმენის დაქვეითებას. ეს იმის შედეგად ხდება, რომ დაზიანებული ბოჭკოები ვეღარ აკონტროლებენ ნერვულ დაბოლოებებს. თანმდევი სიმპტომი შეიძლება იყოს თინიტუსი (TINNITUS), რაც გამოიხატება ყურებში მუდმივი ზრიალით და ჯანმრთელობისთვის უფრო დამაზიანებელი და შემანუხებელია, ვიდრე თვით სმენის დაქვეითება.

როგორ აზიანებს ხმაურით დაქვეითებული სმენა მეტყველებას?

ხმაურით დაქვეითებული სმენა პროგრებადია. ეს პროცესი დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს და ხმაურით დაქვეითებული სმენა

ენოდება. ის უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში ის შესამჩნევი ხდება. ეს მუდმივი მდგომარეობაა და მისი აღდგენა შეუძლებელია. ხმაურისაგან დაუცველობამ დროთა განმავლობაში შეიძლება მიგვიყვანოს ჯანმრთელობის სხვა პრობლემებთან, როგორცაა მაღალი წნევა და შფოთვის მომატებული დონე.

სმენის ხმაურით დაქვეითება შეიძლება ერთჯერადი ძლიერი ხმაურის ზეგავლენით მოხდეს, როგორცაა, მაგალითად, ავტომატური იარაღის ჯერი. ასეთი ბუნების სმენის დაქვეითებას აკუსტიკური ტრავმა ეწოდება. აკუსტიკურმა ტრავმამ შესაძლოა დააზიანოს როგორც შიდა, ისე შუა და ასევე გარე ყური ერთდროულად.

ზოგჯერ ძლიერი ხმის გამომწვევი ბგერების წნევამ შესაძლოა დააზიანოს სხეულის რბილი ქსოვილები, როგორცაა ფილტვები ან ღვიძლი. აფეთქება ასეთი ხმაურის კარგი მაგალითია. შინაგანი ორგანოების ასეთ დაზიანებას ხმაურის გავრცელების არააკუსტიკური ეფექტი ეწოდება.

რა არის აუდიოგრამა?

აუდიოგრამა არსებული სმენის ვიზუალური რეპრეზენტაციაა. ჩვეულებრივ ის გრაფიკულად ზომავს სმენის შემდეგ სიხშირეებს: 250Hz 500 Hz 1000Hz 2000Hz 4000Hz 6000Hz და 8000Hz. ბგერების დახასიათება შესაძლებელია მათი სიხშირის (სიმაღლის) და ინტენსივობის (ხამალა, ხმადაბლა) ტერმინებში. სიხშირე იზომება ჰერცებში (Hz). ინტენსივობა ანუ ხმამაღლობის ან ხმადაბლობის მაჩვენებელი იზომება დეციბელებში (dB).


ვინაიდან სმენის ხმაურით დაქვეითება ძირითადად მაღალ სიხშირეებს შეეხება, ამიტომ ის აზიანებს შემდეგი ბგერების აღქმას: „ჩ“, „ს“, „ფ“ და „პ“-ს, რაც მეტყველების გაგების სირთულეებს ქმნის.

აუდიოგრამის ტიპები

სმენის დაქვეითების ტიპები

სმენის დაქვეითების გასაგებად საჭიროა სმენის კომპონენტების ცოდნა. როდესაც ბგერა გვესმის, ჩვენ ჰაერის მოლეკულების მოძრაობის პატერნების ინტერპრეტაციას ვახორციელებთ. ბგერების

AUDIOGRAM OF FAMILIAR SOUNDS



დახასიათება შესაძლებელია მათი სიხშირის (სიმაღლის) და ინტენსივობის (ხამალა, ხმადაბლა) ტერმინებში. სიხშირე იზომება ჰერცებში (Hz). ნორმალური სმენის მქონე ადამიანს შეუძლია გაიგონოს ბგერები 20 და 20 000 ჰერცს შორის. უმნიშვნელოვანესი ბგერები, რომელიც ყოველდღიურად გვესმის, მერყეობს 250-დან 6 000 ჰერცამდე. მეტყველება შედგება მაღალი და დაბალი სიხშირის ნაზავისაგან. ხმოვანი „უ“ მაგალითად 250-დან 1000 ჰერცის სიხშირეს წარმოადგენს და აღსაქმელად უფრო ადვილია. თანხმოვნები, როგორცაა „ს“, „ჰ“ და „ფ“ უფრო მაღალსიხშიროვანია 1500 — 6 000 ჰერცი და გასაგონად უფრო რთულია. თანხმოვანი გამოხატავს მნიშვნელობის დიდ ნაწილს, რომელიც გვინდა გამოვთქვათ. ადამიანს, რომელსაც მაღალსიხშიროვანი ბგერები არ ესმის, მეტყველების გაგების სირთულე ექნება.

ინტენსივობა ანუ ხმამალალობის ან ხმადაბლობის მაჩვენებელი იზომება დეციბელებში (dB). ნორმალური სმენის მქონე ადამიანს შეუძლია ბგერათა გაგონება 1-დან 140 დეციბელამდე. ჩურჩული დაახლოებით 30 დეციბელია. საუბარი ჩვეულებრივ 45-დან 50 დეციბელამდეა. 90 დეციბელზე ხმამალალი ბეგერები მოსასმენად არასასიამოვნოა. ხმამალალი როკ კონცერტი თავისი ინტენსივობით დაახლოებით 110 დეციბელს უდრის. 120 დეციბელის ან უფრო ხმამალალი ბგერები ტკივილის გამომწვევია და შესაძლოა გამოიწვიოს სმენის დროებითი ან მუდმივი დაქვეითება.

სმენის დაქვეითება შესაძლოა მოხდეს როგორც ინტენსივობის, ისე სიხშირის მხრივ ან ერთდროულად. სმენადაქვეითების სიმძიმე დამოკიდებულია მეტყველების ალქმის ხარისხზე. შესაძლოა იყოს მსუბუქი, საშუალო, მძიმე ან ღრმა. ტერმინი „ყრუ“ ზოგჯერ გამოიყენება ადამიანის აღსანერად, რომელსაც სმენა 90 ან მეტი დეციბელით აქვს დაქვეითებული ან ვერ იყენებს სმენას მეტყველებისა და ენის სანარმოებლად სასმენი აპარატის გამოყენებისთავე კი.

სმენის დაქვეითება შესაძლოა მოხდეს ერთ ან ორივე ყურში. ერთი ყურში სმენის დაქვეითებას უნილატერალური ენოდება, ორივეში ერთდროულად კი – ბილატერალური.

სმენის დაქვეითებაში იგულისხმება:

სმენის დარღვევის ხარისხები:

- **სმენის დაზიანება:** ზოგადი ტერმინი, აერთიანებს სმენის დაქვეითების ყველა ხარისხს;
- **სმენის დაქვეითება:** აქ ერთიანდება სმენის დაკარგვის ყველა ხარისხის მქონე ადამიანი, რომელსაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატის დახმარებით შეუძლია; **ზოგიერთ განმარტებაში სმენის დაქვეითებაში (hearing loss) იგულისხმება ნებისმიერი ტიპის დაზიანება მსუბუქიდან მძიმემდე. სწორედ ამ მნიშვნელობით არის გამოყენებული ის ჩვენს მიმოხილვაში.**
- **ყრუ:** სმენის ისეთი დაქვეითება, როდესაც მეტყველების გაგება სასმენი აპარატივითაც კი შეუძლებელია.

სმენის დაქვეითების მიზეზები:

სმენის უნარის პრენატალური (დაბადებამდე) დაქვეითების მიზეზები სმენის უნარის დაქვეითება დაბადებამდე

- თანდაყოლილი დეფორმაცია
- ავადმყოფობა ორსულობის დროს (მაგალითად, წითელა და ვირუსით გამოწვეული ავადმყოფობები);
- ინტოქსიკანტებითა და მედიკამენტებით გამოწვეული დაზიანებები;
- სინდრომები (სხვა დაავადების თანმდევი შედეგი): სმენის დაქვეითების მქონე ბავშვთა 30%-ს აქვთ განვითარების ერთი ან მეტი შეზღუდვა, როგორცაა ცერებრული დამბლა, მხედველობის დაქვეითება, გონებრივი ჩამორჩენილობა ან ეპილეფსია.
- სმენის უნარის მემკვიდრეობითი დაქვეითება, რაც არანაირი სინდრომის (სხვა ძირითადი მიზეზის, დაავადების) ნაწილი არ არის;
- უმეტესად შეუძლებელია სმენის უნარის თანდაყოლილი დაქვეითების უშუალო მიზეზის დადგენა.

სმენის უნარის დაქვეითება დაბადებისას (ნატალურად)

შეიძლება იყოს გამოწვეული:

- ფიზიკური ტრავმით;
- სისხლჩაქცევით ტვინში;
- სისხლის მიწოდების უკმარისობით;
- ჟანგბადის ნაკლებობით.

სმენის უნარის დაქვეითება დაბადების შემდეგ (პოსტნატალურად)

პოსტნატალური მიზეზები:

- გარე ყური: გოგირდი, ეგზემა ყურში, უცხო სხეულები სმენით არხში, სიმსივნეები;
- შუა ყური: შუა ყურის კატარი (ოტიტი/ყურის ანთება გამონადენით/სითხით),

შუა ყურის ანთება (მწვავე ოტიტი), შუა ყურის ძვლების დაზიანებები (ოტოსკლეროზი, ფიზიკური დარტყმით გამოწვეული ტრავმები), კიბოს იშვიათი ფორმები.

სმენის ანალიზატორი დაზიანების ლოკალიზაციის მიხედვით გამოყოფენ შემდეგი სახის დაქვეითებებს:

კონდუქტიური:

- ჩვეულაბრივ გამოწვეულია გარე ან შიდა ყურის დაზიანებით;
- ყველა სიხშირეს ერთნაირად აზიანებს;
- არასოდეს აჭარბებს 60 დეციბელს — საჭიროა;
- ეს დაქვეითება მძიმე არ არის;
- ზოგი დაქვეითება (სმენის დაკარგვა) ბუნებრივად ლაგდება, იკურნება, ზოგი საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას.

თუ სმენის არხს თითებით დაიცობთ, სმენა დაახლოებით 40 დეციბელით დაგიქვეითდებათ.

სენსონეირონული:

ხმაურით გამოწვეული დაზიანება, ტვინის ტრავმით ან ჟანგბადის ნაკლებობით გამოწვეული თავის ტვინის დაზიანება, ქირურგიული ჩარევა, გარკვეული მედიკამენტების გადაჭარბებული მოხმარება, წნევის უცაბედი ცვლილებები და სხვადასხვა ავადმყოფობა (როგორცაა მენინგიტის, სიმსივნეები, სისხლდენა თავის ტვინში, მენინგის დაავადება – სმენისა და წონასწორობის დაზიანება) პრესბიაიუზი (სიბერით განპირობებული სმენის დაქვეითება).

- სმენის დაქვეითება, რომელიც გამოწვეულია შიდა ყურის ან სმენის ნერვის დაზიანებით;
- სენსონეირონული დაქვეითება ჩვეულებრივ მხოლოდ ზოგ სიხშირეს აზიანებს;
- ეს იმას ნიშნავს, რომ ბგერების შესაძლოა დამახინჯებულად აღიქმებოდეს სასმენი აპარატის გამოყენების დროსაც კი.

- სენსონეირონული დაზიანება შესაძლოა მერყეობდეს მსუბუქიდან მძიმემდე;
- სმენის უნარის სამუდამო დაქვეითება.

www.medscape.com

შერეული: კონდუქტიური და სენსონეირონული დაზიანების კომბინაცია.

სმენის ფსიქოგენური დაქვეითება (დაკარგვა)

სმენის დაკარგვა ყოველგვარი ორგანული მიზეზის გარეშე — ფსიქოსომატური მოვლენა. ხშირად ვლინდება სმენის საშუალო დაქვეითებით.

■ თავი 2. ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება:

სმენის დაქვეითებამ შესაძლოა დააზიანოს ბავშვის როგორც მეტყველების, ასევე სხვისი მეტყველების გაგების უნარი. ეს განსაკუთრებით შეეხება ბავშვებს, რომლებიც სმენის დაქვეითებით დაიბდნენ ან სმენა 2 წლის ასაკამდე დაქვეითდა. სმენდაქვეითებულ ადამიანები ურთიერთობისთვის შეიძლება იყენებდნენ მეტყველებას (ზოგჯერ ორალური კომუნიკაცია ეწოდება), ჟესტების ენას (მანუალური ანუ ხელით კომუნიკაცია) ან ორივეს ერთად. ორალური კომუნიკაცია მეტყველებაზეა ორიენტირებული და შესაძლებელი ხდება სასმენი აპარატის გამოყენებით და ზოგჯერ ტუჩიდან (ბაგიდან) კითხვის გამოყენებით. ხელით (ჟესტებით) კომუნიკაცია მოიცავს ჟესტების ენას.

- ადამიანთა მეტყველება მათ ბურდღუნად, გაუკვევლად ეჩვენებათ;
- დაძაბულები არიან, როდესაც ვინმე საუბრობს ან ჩურჩულებს;
- ძნელად იგებენ ზურგიდან ან მეორე ოთახიდან დაძახებულს;
- ესაჭიროებათ ტუჩების ახლოს დანახვა საუბრის გასაგებად;
- საუბრის გაგება რთულია, როდესაც სმენის დაქვეითების


მქონე ადამიანი ჯგუფში იმყოფება, მაგალითად, ეკლესიაში ან გაკვეთილების დროს;

- საჭიროა ტელევიზორის ან რადიო ხმის მაღლა აწევა;
- აქვთ ტელეფონით მოსამენილი საუბრის მკაფიოდ გაგების სირთულე;
- გაგების (გაგონების) სირთულე თეატრში, კინოში ან სხვა გასართობ ადგილას;
- ძნელია ხმაურიან ადგილას ყოფნა, მაგალითად რესტორანში ან მანქანაში;
- იძულებულნი არიან შეზღუდონ სოციალური აქტივობები სმენისა და კომუნიკაციის სირთულეების გამო;
- ოჯახი, მეგობრები ან კოლეგები აღნიშნავენ, რომ ხშირად უნევთ გამეორება.

როდის გვიჩნდება ეჭვი სმენის დაქვეითების (დაკარგვის) შესახებ? ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს, რომლებიც:

- არ რეაგირებენ უცაბედ ხმამაღალ ბგერებზე;
- არ აბრუნებენ თავს სუსტი ბგერების მიმართულებით, განსაკუთრებით სუსტი ინტენსივობის (სიხშირის) ხმაურების მიმართულებით;
- უჭირთ ხმების ადგილმდებარეობის განსაზღვრა;
- გადატანილი აქვთ ყურის მრავლობითი ინფექციები;
- არ რეაგირებენ ყვირილზე ან ლაპარაკზე უკნიდან ან სხვა ოთახიდან;
- აღნიშნებათ მეტყველების განვითარების შეფერხება/ჩამორჩენა (დაგვიანება);
- მწირი ლექსიკა;
- ცუდი წარმოთქმა;
- ლაპარაკობენ ან ძალიან ხმამაღლა ან ძალიან ჩუმად;
- დაყინებით უყურებენ მოსაუბრეს სახეში;
- დადიან მოსაუბრესთან ახლო მანძილზე;
- აქეთ-იქით იყურებიან და თვალებით კონტაქტს ერიდებიან;
- ვერ იგებენ მარტივ მიმართვასაც კი (მესიჯს);
- სხვაგან „დაფრინავენ“, როდესაც გარშემო ზეპირი აქტივობები მიმდინარეობს;
- გაფანტულები/უყურადღებოები არიან;

- გულდანყვეტილი და იმედგაცრუებულები (ფრუსტრირებულიები) არიან ზეპირი აქტივობების დროს;
- რადიოსთან, ტელევიზორთან და მაგნიტოფონთან ახლოს სხდებიან;
- რადიოს, ტელევიზორის და მაგნიტოფონის მოსმენა ხმამაღლა ურჩევნიათ.



რა არის სასმენი აპარატი და რა შესაძლებლობებს იძლევა? პრაქტიკული ნაწილი სმენის აპარატებით

სასმენი აპარატი

სასმენი აპარატი არ იწვევს ნორმალურ სმენას, ის ახდენს სმენის დაქვეითების საშუალო ხარისხის კორექციას მაქსიმუმ 35-50%-ით.

სასმენი აპარატის სურათი

მნიშვნელოვანი რეკომენდაციები სასმენის აპარატის ხმარებასთან დაკავშირებით:

- სმენადაქვეითებულ ადამიანებთან ურთიერთობისას მნიშვნელოვანია საუბრისას ფიზიკური სიახლოვე; სასმენი აპარატი ეფექტურია 2,5 - 3 მეტრში;

- რაც უფრო ადრე დაიწყებს ბავშვი სმენის აპარატის გამოყენებას, მით უფრო სწრაფად მიეჩვევა მეტყველების გაგებას სმენის აპარატის დახმარებით;
- ყველანაირი ხმაურის აღრევა ხდება, ყველაზე უარესია ლაპარაკით გამონვეული ხმაური.

■ თავი 3. ინკლუზიური განათლება და სმენის დაქვეითება:

ინკლუზიური განათლების ზოგადი პრინციპები დაწვრილებით უკვე განხილული იყო თავში მხედველობის დაქვეითების შესახებ, ამიტომ მასზე აქ დაწვრილებით აღარ შევჩერდებით.

რას განიცდის სმენის დაქვეითების მქონე ადამიანი? დაძლევის სტრატეგიები და რამდენიმე რეკომენდაცია მასთან ურთიერთობის დროს. სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლეთა მდგომარეობა:

- დიდ ენეგრიას ხარჯავენ მოსმენაზე, აღქმაზე, გაგებასა და ფიქრზე;
- წყვეტენ ხელის აწევას;
- ხდებიან პასიურები საკლასო ოთახში;
- სანამ პასუხს მოიფიქრებენ, თანაკლასელები პასუხობენ;

დაუთმეთ მეტი დრო.

მიანოდეთ ინფორმაცია ზეპირად და ვიზუალურად!

■ თავი 4. პრაქტიკული დემონსტრირება: სავარჯიშოები სტრატეგიების შემუშავებისათვის

პრაქტიკულ-თეორიული ნაწილი

შედგება:

- სავარჯიშოები სმენის დაქვეითების დემონსტრირებით, მიმოკური სავარჯიშო, განსხვავებული პირობები მოსმენისათვის;
- დისკუსია: სტრატეგიების შემუშავება.
განსხვავებული პირობები მოსმენისათვის: ზურგით, სიარულით, ახლოს.

მიმიკურ-ჟესტური სავარჯიშო „მიზაძვა“

აღნიშნული სავარჯიშო ამოებჭდილი უნდა იყოს და დანართის სახით დარიგდეს

ზმნა:

- იატაკის მონმენდა;
- სიარული;
- ველოსიპედით სიარული;
- ძილი;
- კითხვა;
- დაუთოვება;
- ცურვა;
- წერა.

- ცხენი;
- ვეფხვი;
- ჩიტი;
- გველი;
- კენგურუ.

პროფესიები:

- დურგალი;
- მძლოლი;
- მხატვარი;
- ექიმი;
- სტომატოლოგი.

არსებითი სახელი:

- ფული;
- სახლი;
- ქალი;
- ბეჭედი;
- მაკრატელი;
- სიგარეტი.

გრძნობები:

- ბედნიერი;
- სევდიანი;
- კმაყოფილი;
- მშვიდი.

ზედსართავი სახელი:

- თბილი;
- ცივი;
- პატარა;
- დიდი;
- დანაყრებული (საკვებით);
- დაღლილი/ გადაღლილი.

გამოხატვა, ექსპრესია:

- თავის ტკივილი;
- თმის დაბანა;
- ფეხსაცმლის განმენდა;
- ტენისის თამაში;
- პიანინოზე/გიტარაზე დაკვრა;
- კბილის გახეხვა;
- ჩაცმა.

ცხოველები:

- სპილო;

სავარჯიშოები სმენის ადაპტაციისათვის (სხვადასხვა მეთოდი სწავლებისათვის: დისტანცია, მდებარეობის კუთხე, ბაგის დანახვა, ხმაური, სხვადასხვა ინტონაცია):

მასალა: რომელიმე ცნობილი ზღაპრის დასურათებული წიგნი.
მონაწილეები: 7 შენაცვლებადი მოხალისე.

- სავარჯიშო 1: მისი მიზანია დისტანციის მნიშვნელობის ხაზგასმა, როდესაც ურთიერთობა სმენადაქვეითებულ ადამიანთან გვაქვს. მოხალისე, რომელიც სმენადაქვეითებულთა კლასის მასწავლებელს თამაშობს, ჯგუფისაგან მოშორებით უძრავად დგას და კითხულობს ზღაპრის რომელიმე ნაწილს. ის ინფორმირებულია, რომ ტექსტი სმენადაქვეითებულებს უნდა წაუკითხოს, მაგრამ მას არ ეძლევა ინსტრუქცია, თუ რა ინტონაციითა და რამდენად ხმამაღლა უნდა იკითხოს. ჯგუფის მონაწილეებს ამ დროს ყურები თითებით აქვთ დაცობილი, რაც სმენის 40%-ით დაქვეითების ტოლფასია. ჯგუფი ცდილობს გაიგოს, თუ რას კითხულობს „მასწავლებელი“. მცირე მონაკვეთის (დაახლოებით 1 გვერდის) წაკითხვის შემდეგ, ჯგუფი განიხილავს გაგებასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ძლიერ მხარეებს, რომელიც მასწავლებელმა კითხვის დროს გამოიყენა. აღნიშნული ძლიერი და სუსტი მხარეების დაფაზე ჩამონერა ხდება, რომელიც 2 სხვა სავარჯიშოს კომენტარებთან ერთად ჩამოყალიბდება მასწავლებლის რეკომენდაციებად, რომელიც სმენადაქვეითებულ მოსწავლეებს ასწავლის.
- სავარჯიშო 2: ხმაურის უარყოფითი გავლენა სმენადაქვეითებული ადამიანისათვის სხვისი ლაპარაკის აღქმის დროს: „მასწავლებელი“ ზურგით დგას და კითხულობს ტექსტის მონაკვეთს. 3 მოხალისე გარშემო დადის და სხვადასხვა სახის ხმაურს გამოსცემს. ყურდაცობილი ჯგუფის წევრები — „სმენადაქვეითებულები“ ცდილობენ გაიგონ ტექსტის შინაარსი. სავარჯიშოს დამთავრების შემდეგ ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების მიმოხილვა და დაფაზე ჩამონერა.


- სავარჯიშო 3: ბაგის დანახვის მნიშვნელობა სმენადაქვეითებულ მოსწავლეებთან ურთიერთობისას. მოხალისე მასწავლებელი ზურგით დგას და წიგნიდან მონაკვეთს კითხულობს. „მოსწავლეები“ — ჯგუფის წევრები კვლავ ყურდაცობილები ცდილობენ ტექსტის შინაარსი გაიგონ. შემდეგ ხდება მასწავლებლის კითხვის ძლიერი სტრატეგიების განხილვა, რაც ეხმარებოდათ მათ ტექსტის გაგებაში მის ბაგის დანახვის შეუძლებლობის პირობებში და სუსტი მხარეების, რომელიც დაკავშირებულია ბაგიდან დამატებითი ინფორმაციის მიღების შეუძლებლობის გამო. ძლიერი და სუსტი მხარეების ჩამოწერა კვლავ დაფაზე ხდება.
- სავარჯიშო 4: მოსწავლესთან მიმართებაში სწორი კუთხის არჩევა და გაკვეთილის მსვლელობისას აქეთ-იქეთ სიარულის მანევრობა. მოხალისე მასწავლებელი ტესტს კითხულობს და პარალელურად ბავშვებს შორის დადის. ამ დროს „სმენადაქვეითებული“ მოსწავლეები მის ბაგეს ხან ხედავენ, ხან ვერა. ამასთანავე, პერიოდულად მცირდება ან იზრდება დისტანციაც. კითხვის დასრულების შემდეგ ჯგუფი განიხილავს გაკვეთილზე მოსიარულე მასწავლებლისაგან მიღებული ინფორმაციის მოცულობას და სირთულეებს, რომელიც დაკავშირებული იყო ტესტის გაგებასთან და ამ შთაბეჭდილებათა დაფაზე ჩაწერა ხდება.

განხილვა: სამივე დავალების დასრულების შემდეგ ხდება ძლიერი და სუსტი მხარეების მიმოხილვა და რეკომენდაციების შემუშავება სმენადაქვეითებულ მოსწავლეთა სწავლების დროს.

დასკვნა:

გახსოვდეთ:

- მდებარეობის კუთხე ძალიან მნიშვნელოვანია, ის დაახლოებით 45° უნდა იყოს;
- ინტონაცია ძალიან მნიშვნელოვანია (განსხვავებული უნდა იყოს სხვადასხვა ხასიათის გადმოსაცემად).



eschuweiler@ksd.state.ks.us


უესტების ენა გადმოსცემს თითოეულ ბგერას და ყოველი ენისათვის სპეციფიკურია

■ თავი 5. რეკომენდაციები სწავლის პროცესის უკეთესად წარმართვისთვის:

სმენადაქვეითებელ მოსწავლეებს ზოგადად ესაჭიროებათ:

ცოდნა საკუთარი მდგომარეობისა და ურთიერთობის შესაძლებლობების შესახებ:

1. მოტივირებული მასწავლებლები, რომლებიც განვითარებისაკენ მიისწრაფიან;
2. ინფორმირებული თანაკლასელები;
3. ჯგუფის ზომის შემცირება;
4. საკლასო ოთახის მოწყობა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით.



www.lifeprint.com

- მასწავლებლები, რომლებიც მიისწრაფიან:
 - მიიღონ ცოდნა სმენის დაქვეითების შესახებ;
 - თავდაჯერებულნი არიან მასწავლებლის როლის შესრულებისას;
 - მოკლე მანძილს ინარჩუნებენ სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლესთან ურთიერთობისას;
 - სახეში უყურებენ მოსწავლეს საუბრისა და სწავლების დროს (ზრდიან ბაგიდან კითხვის შესაძლებლობას);
 - ახდენენ გაკვეთილის ვიზუალიზაციას, იყენებენ თვალსაჩინო მასალას (დაფა, თემის დასახელება, პროექტორი, ფოტოები, თვალსაჩინო სურათები/ნივთები, სხეულის ენა, დანერილი ინსტრუქციები (მიმართვები)/შეჯამება);
 - თავს იკავებს საკლასო ოთახში სიარულისაგან;
 - აკონტროლებენ კომუნიკაციას ბავშვების ჯგუფში (სახელებით მიმართავენ), რადგან სმენის დაქვეითების მქონე მოსწავლისათვის უფრო ადვილია მიხვდეს, თუ ვინ ლაპარაკობს;
 - ეხმარებიან მოსწავლეებს ზოგადი წარმოდგენა იქინიო გარემოში განვითარებული მოვლენების შესახებ;

- იცავენ სწავლების კარგ სტრუქტურას – რუტინას – წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობას (მოსწავლემ იცის, თუ შემდეგ რა მოდის ინსტრუქციის გარეშე);
- ამზადებენ მოსწავლეს და აჯამებენ ნასწავლს (მნიშვნელოვანია ახალი სიტყვების მნიშვნელობების ახსნა);
- გარკვევით საუბრობენ რომელიმე საგანსა თუ აქტივობაში შეტანილი/შესატანი ცვლილებების შესახებ;
- გამეორება არის იარაღი;
- იყენებენ სახელწოდებებსა და განმარტებებს;
- იმეორებს მოსწავლეების ნათქვამს;
- საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს კომუნიკაციაში;
- უნდა დარწმუნდეს, რომ მოსწავლეები გულისყურით ისმენენ;
- არ აგრძელებს საუბარს, როდესაც მოსწავლე სხვა რამით არის დაკავებული – თვალებით კონტაქტი;
- საუბრობს მკაფიოდ, ნორმალური ტემპით და სიხშირით – გადაჭარბებულად არ იყენებს პირის მოძრაობებს;
- აკეთებს ჯგუფური აქტივობების ადაპტირებას;
- იყენებს შესაძლო ტექნიკურ აღჭურვილობას.

2. ინფორმირებული თანაკლასელები (მოსწავლესა და მშობელთან შეთანხმებით);

3. ჯგუფის ზომის შემცირება (ზოგად სიტუაციაში გარკვევა, ბაგიდან კითხვის შესაძლებლობა, ხმაურის შემცირება);

4. საკლასო ოთახის მოწყობა სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით:

- სათანადოაკუსტიკა (მაგალითად, რბილი კედლები, ფარდები, ნიგნები);
- ოთახები, სადაც გარედან ხმაური ძალიან არ შემოდის;
- კარგი განათება (სინათლე მასწავლებლისა და თანაკლასელების სახეებს უნდა ანათებდეს. მნიშვნელოვანია მასწავლებელს ახსოვდეს, რომ სმენადაქვეითებულ მოსწავლესთან საუბრისას ფანჯარასთან ზურგით არ უნდა იდგეს);
- მოსწავლე უნდა იჯდეს წინ, ფანჯრის საპირისპირო მიმართულებით, მაგრამ ამავე დროს თანაკლასელების დანახვა ადვილად უნდა შეეძლოს (ცხენის ნალის ფორმით ან წრეზე ჯდომა შესაძლებელია კარგი იდეა იყოს).

გამოყენებული წყაროები:

1. www.earinc.com/howhearingworks.php
2. www.answers.com. OXFORD University Press
3. www.medscape.com
4. eschuweiler@ksd.state.ks.us
5. www.lifeprint.com

ტრენინგ მოდული „გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვა“

ქვემოდული 1: „ფიზიკური შეზღუდვა“

ქვემოდული 5 თავისაგან შედგება:

- თავი 1: ინკლუზიური განათლების განმარტება;
- თავი 2: ინკლუზიური განათლების პრინციპები;
- თავი 3: სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკა;
- თავი 4: ცერებრული დამბლის განსაზღვრება და გამოვლინებები;
- თავი 5: ძირითადი სირთულეები, რომელებიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება.

მე-2 და მე-5 თავის შემდეგ გათვალისწინებულია პრაქტიკული: ჯგუფებში მუშაობა.

თავი 1. ინკლუზიური განათლების განმარტება

- ინკლუზიური განათლება განმარტებულია როგორც ადაპტირებული, ინდივიდუალურად მორგებული განათლება ყველა ბავშვისათვის. ბავშვები განათლებას იღებენ თანაბარ და ასაკობრივად შესაფერის ჯგუფებში (თანატოლებთან ერთად) განსახვავებული საჭიროებების, უნარებისა და კომპეტენციის ფონზე.

- ინკლუზიური განათლება ნიშნავს საჭირო დახმარების აღმოჩენას ჩვეულებრივ კლასში; მოიაზრებს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვების სწავლებას თანატოლებთან ერთად.

რა არის ინკლუზიური განათლების წარმატების საწინდარი:

- ყველა დონეზე მართვის (ლიდერობის) მოქნილობა;
- მასწავლებლების თანამშრომლობა;
- შეფასების აქცენტების (ფოკუსის) შეცვლა;
- მოსწავლეებისა და თანამშრომელთა მხარდაჭერა.
- მშობელთა ეფექტური ჩართულობა;
- თანამშრომლობითი სწავლების მოდელები;

■ თავი 2: ინკლუზიური განათლების პრინციპები:

რა უნდა იცოდეს ინკლუზიური განათლების პროცესში ჩართულმა მასწავლებელმა (პროფესიული ტრენინგის ჩარჩო).

ამ თავში აღწერილი იქნება:

- I. სოციალური ინკლუზია;
- II. ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია;
- III. სწავლების სტრატეგიები აზრიანი სწავლისათვის;

I. სოციალური ინკლუზია:

ადამიანური ურთიერთობების როლი სწავლაში

ურთიერთობა

- ურთიერთობა ორმხრივია და სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადამიანებისათვის;
- თავად ურთიერთობა აუცილებელი პირობაა სწავლისა და განვითარებისათვის;
- ადამიანებს თანდაყოლილი ყურადღება და ინტერესი აქვთ სხვა ადამიანთა მიმართ.

ახლო ურთიერთობა:

- ფიზიკური და ემოციური ურთიერთობა;
- ადამიანები ერთმანეთს უსმენენ, ემოციურად ჩართულნი არიან და სხვისი მდგომარეობის გაგებას ცდილობენ;
- ატმოსფერო მოსიყვარულე და თბილია;
- აქცენტი კეთდება „აქ და ახლა“ სიტუაციაზე;
- ურთიერთობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე მას-წავლებელი/ მოზრდილია პასუხისმგებელი.

მოსმენა:

- მოსმენა ნიშნავს წინასწარგანწყობის გარეშე იკისრო მოვლენებზე დაკვირვების პასუხისმგებლობა;
- მოზარდს უნდა შეეძლოს წვდომა გრძნობის ყველა ორგანოთი და არა მარტო ყურით.

თანასწორუფლებიანი და განონასწორებული ურთიერთობა:

- ურთიერთობაში მონაწილე ორი მხარე თანასწორუფლებიანია;
- თანასწორუფლებიანობა გამოიხატება ერთმანეთისადმი ინტერესსა და პასუხისმგებლობაში;
- მონაწილეები ერთმანეთის აზრს აფასებენ.

ახლო ურთიერთობა ყალიბდება და ვითარდება შეხების საშუალებით:

- მე ვეხები ვინმეს ფიზიკურად, კოგნიტურად (შემეცნებითად) და ემოციურად;
- მე მეხებიან.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფიზიკური კონტაქტის დროს გასათვალისწინებელია ინდივიდუალური მგრძნობელობა შეხებისადმი. თუკი შეხება ზედმეტად ძლიერი გამღიზიანებელია ბავშვისათვის, მსგავსი ურთიერთობისაგან თავი უნდა შევიკავოთ.

კომუნიკაციის სახეობები:

- სიტყვები კომუნიკაციის მხოლოდ ერთ პატარა ასპექტს შეადგენს;

- გამომეტყველება, შესტები, სხეულის ენა, ტონი და ხმის ტემბრის ცვალებადობა მნიშვნელოვანია.

II. ინდივიდუალიზაცია და დიფერენციაცია:

თავის ტვინზე ჩატარებული კვლევები ამტკიცებს, რომ:

- არცერთი ბავშვი ერთმანეთს არ ჰგავს;
- სწავლის ეფექტურობისათვის საჭიროა დიფერენცირება.

დიფერენცირებული სწავლება (ინსტრუქციები) ნიშნავს ისეთი გზების მოძიებას, რომელიც მოსწავლეებს გასწავლებული შესაძლებლობებით, ინტერესებით ან საგანმანათლებლო საჭიროებებით ყოველდღიურ სწავლებაში დაეხმარება ცნებების გაცნობიერებაში, გამოიყენებაში, განვითარებაში და წარმოდგენაში.

- შეზღუდული უნარის მქონე მოსწავლეებს უნდა შევთავაზოთ სასწავლო აქტივობები, რომლებიც მათ საჭირო უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისა და ინდივიდუალური რესურსების გამოვლენის საშუალებას მისცემთ.
- დიფერენცირებული (განხვავებული) შეიძლება იყოს შინაარსი, პროცესი, პროდუქტი ან საკლასო ოთახის გარემო.

III. სწავლების სტრატეგიები აზრიანი სწავლისათვის:

სწავლის პროცესის ნებისმიერი ასპექტის დიფერენციაცია მოსწავლის *შეფასებით* იწყება. დიფერენციაციისთვის მზადების დროს მასწავლებლები ახდენენ კლასის ყველა მოსწავლის არსებული განხვავებების ტესტირებას მომზადების დონეში, ინტერესებსა და სწავლის სტილში.

- აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, თუ როგორ არის მოსწავლე ყოჩაღი და არა რამდენად ყოჩაღია მოსწავლე.
- მოსწავლეები განხვავდებიან როგორც მასალის აღქმის, ასევე დასწავლის სტრატეგიებით და ემოციური დამოკიდებულებით დასასწავლი მასალისადმი. ამდენად, ყოველ მოსწავლეს გააჩნია სწავლის ინდივიდუალური პროფილი.

სწავლის პროფილი

	ძლიერი მხარეები	საჭიროებები	ინტერესები/უპირატესობის მინიჭება
ამოცნობა (გაცნობიერება) (ისწავლო „რა“)			
სტარტეგია (ისწავლო „როგორ“)			
ემოცია (ისწავლო „რატომ“)			

დასწავლას ადგილი აქვს (ან არა აქვს) მოსწავლეთა თვისებებისა და ინსტრუმენტების, გარემო (საშუალება, შუამავლობა: media) და იმ მეთოდების გადაკვეთაში, რასაც ისინი აწყდებიან.

სწავლის უნივერსალური მეთოდიკა:

- აუმჯობესებს სწავლის მისაწვდომობას;
- აქცენტი გადააქვს „პრობლემური მოსწავლიდან,“ პრობლემურ კურიკულუმზე“;
- პოულობს მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და ინტერესებს (ტვინის სამივე ქსელის გათვალისწინებით – ისწავლო რა, როგორ და რატომ);
- ეყრდნობა სასწავლო კურიკულუმის მოქნილობის აუცილებელ იდეას.

პრაქტიკუმი. ჯგუფებში მუშაობა:

გთხოვთ გაიხსენოთ მაგალითი თქვენი სასკოლო პრაქტიკიდან და შედგინოთ სასწავლო პროფილი ერთი სასწავლო საგნისათვის.

თავი 3: სწავლების მეთოდოლოგია და პრაქტიკა

სწავლის უნივერსალური მეთოდიკის პრინციპები:

- პრინციპი 1: გაცნობიერებული სწავლის მხარდაჭერა,

ნარდგინების (პრეზენტაციის) დროს მრავალფეროვანი, მოქნილი მეთოდების გამოყენება;

- პრინციპი 2: სტრატეგიული სწავლის მხარდაჭერა, გამოხატვისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოქნილი მეთოდების გამოყენება;
- პრინციპი 3: ემოციური (აფექტური) სწავლების მხარდაჭერა, ჩართულობის მრავალფეროვანი, მოქნილი არჩევანის საშუალება.

ზოგადი რეკომენდაცია: მიეცით მოსწავლეებს არჩევანის საშუალება, რომ ხელი მიუწვდეთ, გამოიყენონ და ჩაერთონ სასწავლო მასალებთან მუშაობაში.

ეს ალტერნატივები ამცირებს დაბრკოლებებს, რომელიც შეზღუდული უნარის მქონე მოსწავლეს გააჩნია და ამავე დროს სხვა მოსწავლეების შესაძლებლობებსაც ზღვრის!

ინკლუზიური საკლასო ოთახის ორგანიზება:

ადექვატური კურიკულუმი და აკადემიური ორგანიზება

შენიშვნა: მოცემული ცხრილები (დანართები) ამობეჭდილი დანართის სახით უნდა დაურიგდეთ მასწავლებლებს.

კურიკულუმი – სწავლების კომპლექსური გეგმა; აგრეთვე გეგმის განსახორციელებლად საჭირო მასალა/საშუალებები, მეთოდები და შეფასებები.

კურიკულუმი 4 მთავარი კომპონენტისგან შედგება:

- სწავლების მიზნები და ძირითადი პრინციპები;
- საშუალებები და მასალები, რომელიც მასწავლებლებმა უნდა გამოიყენონ;
- სწავლების სპეციფიკური მეთოდები;
- შეფასების საშუალებები მოსწავლეთა პროგრესის (წინსვლის) გასაზომად.

გაკვეთილების დაგეგმვა ინკლუზიური კლასისთვის

1. შინაარსი;
2. გაკვეთილების ფორმატი;

3. მასალა;
 4. სასწავლო ჯგუფები;
 5. თანამშრომლობითი სწავლების მოდელები;
 6. შეფასება.
1. აირჩიეთ შესაფერისი შინაარსი
 - შინაარსი, რაც მოტივაციას უმაღლებს და მისწავდომია ყველასათვის;
 - პრაქტიკული სწავლა;
 - რეალური სამყაროს არსებითი მნიშვნელობა სწავლისთვის;
 - დაგეგმეთ მოსწავლესთან/მშობელთან ერთად;
 - ჩამოაყალიბეთ მთავარი შეკითხვა ან პრობლემა.
 2. მოახდინეთ გაკვეთილის სხვადასხვა ფორმატის კომბინირება:
 - თანამშრომლობითი სწავლა;
 - თამაშები;
 - გარემოზე ორიენტირებული განათლება;
 - სასარგებლო სწავლება;
 - პროექტზე დაფუძნებული სწავლება (კვლევითი დავალება კონკრეტულ საკითხზე);
 - მაგიდასთან (ფორმალური) სწავლება;
 - საზოგადოების შემსწავლელი ჯგუფები;
 - ცენტრები/სადგურები;
 - ხელოვნება განათლებაში (სახვითი ხელოვნება, მუსიკა, ცეკვა, დრამა).
 3. გამოიყენეთ მრავალფეროვანი მასალები;
 - მასალა არის ფიზიკური საგანი ან მოწყობილობა, რომელიც გამოიყენება ცოდინის შესაძენად და გასავრცელებლად.
 - მასწავლებელმა უნდა გადასცეს ინფორმაცია ბევრი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით და მისცეს მოსწავლეს ცოდნის გამოხატვის ფორმის არჩევის საშუალება. ეს თითოეულ მოსწავლეს აძლევს საშუალებას მიიღოს წარმატებას და ისწავლოს მისთვის ყველაზე შესაფერის გზით (დანართი 1.).

დანართი 1: მასალა და იდეები გასწავლებულ მოსწავლეებთან მუშაობისათვის:

ბეჭდური მასალა:

სახელმძღვანელო,

სავარჯიშოების წიგნი,

ჩვეულებრივი წიგნი (რომელიც არ არის სახელმძღვანელო),

პოსტერი,

სათაურები (თეზისური კონსპექტი), მონახაზები, ცხრილები,

გაზეთები/ჟურნალები,

კომიქსები,

განცხადებები/რეკლამები,

პამფლეტები,

რუკები,

ენციკლოპედია,

კომპიუტერული მასალა,

ელექტრონული წიგნები/ტექსტები,

მულტიმედია პრეზენტაციის საშუალებები (HyperStudio, Power Point),

ინტერნეტი,

ინტერაქტიული პროგრამა,

აპლიკაციები,

ილუსტრაციები,

ცნებების რუკა,

ვიდეო/ანიმაცია,

CD-ROM,

გამოსახულებები,

ფოტოები,

გამოსახულებები,

ცხრილები, განრიგები,

გრაფები,

სქემები,

ცხრილები,

რუკები,

საგნები,

კალკულატორი.

მოსწავლეთა პასუხის საშუალებები:

კლამი/ფანქარი,
სლაიდები/სატაურები,
კომპიუტერული საშუალებები/ხატვა,
დიაგრამა/გრაფიკული პრეზენტაცია,
ვიდეო,
აუდიო (კასეტა/CD),
მუსიკა,
ციფრული პორტფოლიო,
მონაცემთა შეგროვება (data collection),
სამგანზომილებიანი პროექტი.

ალტერნატიული რეპრეზენტაცია

პროგრამა, რომელიც სხვადასხვა რეპრეზენტაციებს და მართვის სისტემებს გათვალისწინებს;

გრაფიკული ორგანიზატორი; (მაგალითად, inspiration);

ელექტრონული ტექტი, რომელსაც თან ახლავს გახმოვანება (მეტყველება);

გამოსახულებების ტექსტობრივი და აუდიო არწერილობები;

ვიდეო მასალის ზეპირი აღწერა;

ტაქტილური (ტექსტილის, მოცულობითი, ტექსტურისაგან შემდგარი) გრაფები;

ხმის ამოცნობა;

ხმის ამოცნობა და ტექსტში გადატანა;

რეგულირებადი ციფრული გამოსახულებები (მაგალითად, რუკები);

ტექტის აზრის ანიმაცია;

სიტყვებით მოლაპარაკე პროცესორი (talking word processor).

4. გამოიყენეთ მოქნილი სასწავლო ჯგუფები:

- დაფუძნებული მსგავს ან განსხვავებულ მიზნებზე, ინტერესებზე, საჭიროებებზე ან უნარებზე;
- მივცეთ მოსწავლეებს ცოდნის (გამოცდილების) გაზიარების და ერთმანეთის სწავლების შესაძლებლობა.

5. თანამშრომლობითი სწავლების მოდელები:

- ერთობლივი სწავლება;
- პარალელური სწავლება;
- კონსულტაცია;
- გუნდური მუშაობა;
- ორმხრივი განათლების (ლიცენზიის) მქონე მასწავლებელი.

6. მრავალჯერადი შეფასება

შეფასების ორი მთავარი კომპონენტი:

- მოსწავლეთა აკადემიური პროგრესი (სწავლების პროგრამების გასაუმჯობესებლად);
- ორგანიზების პროცესის შეფასება (სასწავლო გარემოს სამომავლო ცვლილებების განსაზღვრა).

ალტერნატიული შეფასება

განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეთა მოსწრების შეფასება:

- ტესტირების ადაპტირება (იხილეთ ცხრილი 2);
- სანდო შეფასება ემყარება „აზრიან შესრულებას/რეალიზებას, რომელიც რეალური სამყაროს კონტექსტში მიმდინარეობს“ (ცხრილი 3).

ცხრილი 2. იდეები ტესტირების ადაპტირების შესახებ

- ნება მიეცით მოსწავლეს, თავიდან ჩააბაროს ტესტი;
- მოამარაგეთ სასწავლო სახელმძღვანელოებით;
- შეამცირეთ ტესტის ზომა ზოგიერთი მოსწავლისათვის (საკითხების რაოდენობის შემცირების გზით) ან ნება დართეთ მოსწავლეს, თავად შეამციროს ტესტი;
- წაუკითხეთ ტესტი მოსწავლეს;
- მოამზადეთ მოსწავლე ტესტირებისათვის: გააცანით შინაარსი, ტესტის ჩაბარების ფორმა და დრო;
- ნება მიეცით მოსწავლეს, ჩააბაროს 2 მსგავსი ტესტი და გამოიყენეთ 1 საშუალო ქულა ან გამოიყენეთ ორიდან საუ-

- კეთესო ქულა;
- გამოიყენებთ „ვის უნდა გახდეს მილიონერი“ სტრატეგია: ნება მიეცით ზოგიერთ მოსწავლეს გამოიყენოს 50/50-ზე ან არჩევანს კლასს დაეკითხეთ;
 - გამოიყენებთ დიდი შიფტი ტექსტის შედგენისას ან გაადიდებთ ორიგინალის ასლები;
 - მიეცით გადაშლილი ტესტი და ნება დართეთ, გამოიყენონ (შტრიხი შეცდომების გადასასწორებლად) და ნებოვანი ქაღალდი (post-it notes) მნიშვნელოვანი მონაკვეთების მოსანიშნად;
 - ნაუკითხეთ დავალება ხმამაღლა და დარწმუნდით, რომ ყველა მოსწავლემ გაიგო. გაამეორებინეთ მოსწავლეებს დავალება სხვა მოსწავლეებისათვის;
 - მოიყვანეთ მაგალითები ტესტის თითოეულ დავალებაზე;
 - მიეცით მოსწავლეს დამხმარე მასალის („შპარგალკის“) გამოყენების საშუალება;
 - ნება დართეთ მოსწავლეებს დაწერონ ტესტის სათაურები (საკითხები);
 - ჰკითხეთ მოსწავლეებს, თუ ტესტირების რა ფორმა სურთ;
 - ნება დართეთ მოსწავლეს, ტესტირებაზე მოიტანონ დამხმარე საშუალებები (პატარა ფურცლები შავი სამუშაოსათვის);
 - აუხსენით მოსწავლეებს, რომ შეუძლიათ ერთი რომელიმე საკითხის გამოტოვება;
 - შეასვენებთ ტესტირებისას;
 - მიეცით საშუალება დაგისვან შეკითხვები ტესტირების დროს;
 - მიეცით საშუალება ზეპირად უპასოხონ ტესტის ერთ შეკითხვას;
 - ნება დართეთ ტესტის საკითხებს პასუხი გასცენ სხვადასხვა ფორმით (დახაზონ დიაგრამა, გასცენ მოკლე პასუხი);
 - შეადგინეთ 75 შეკითხვისაგან შემდგარი ტესტი. მოსწავლემ უპასუხოს 50 შეკითხვას;
 - ჩააბარებინეთ მოსწავლეს თანამშრომლობითი ტესტი, რომელსაც ის სხვა მოსწავლეებთან ერთად შეასრულებს.

ცხრილი 3. სანდო (რეალისტური) შეფასებები სხვადასხვა მოსწავლისათვის

- პორტფოლიო.
- გამოფენები.
- წერილობითი ტესტები.
- პრეზენტაციები.
- მოსწავლის მიერ შედგენილი ტესტები/გამოცდები.
- ფორმალური წერილობითი დავალებები.
- თვითშეფასება.
- სასწავლო ლოგოები.
- აუდიო ჩანაწერები (ანგარიშები).
- ვიდეო ჩანაწერები (ანგარიშები).
- შერჩეული სამუშაო მაგალითები.
- ერთობლივი გამოცდები.
- ლაბორატორიები.
- ჟურნალები.
- დასკვნები/ჩანაწერები.
- ესეები.
- სააზროვნო წერიტი დავალებები.
- განხილვები (დებატები/დისკურია)
- ქულების ფურცლები.
- თავსატეხები და თამაშები.
- გამოკითხვები.
- ნიმუშები (მოდელები).
- ფოტოგრაფიული ესეები.
- კოლაჟები.
- ყოველდღიური სამუშაო.
- დაკვირვებები.
- ხელოვნებაზე ორიენტირებული სამუშაო.
- კითხვები.
- ინტერვიუები.
- ფოკუს ჯგუფები.
- დრამა/წარმოდგენა.

„თუ იმ მეთოდებით ვერ სწავლობენ, რომლებსაც სწავლებისას ვიყენებთ, მოდით ვასწავლოთ სწავლის გზა (მეთოდები)“

აზრიანი სწავლების სტრატეგიები

გააზრებული (ანალიტიკური) სწავლება

1. მასწავლებლები მუდმივად ეწევიან ანალიზს, თვითშეფასებას და საკუთარი მუშაობის შედეგების შეფასებას:
 - იკვლევენ სწავლების სტრატეგიების (მიდგომების) ძლიერ და სუსტ მხარეებს და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესების გეგმას ადგენენ.
 - აფასებენ საკუთარი მუშაობის შედეგებს და ეძებენ მასალებს სხვადასხვა წყაროებში.
 - მზად არიან მიიღონ და სცადონ ახალი იდეები.
 - აწარმოებენ სხვადასხვა სახის ჩანაწერებს სამუშაოს გაანალიზების მიზნით.
 - რეგულარულად სთხოვენ კოლეგებს რჩევას და უკუკავშირს საკუთარი მუშაობის შესახებ.

2. მასწავლებელი იყენებს ყველა ხელმისაწვდომ რესურსს მოსწავლეთა გაგებისა და შეფასებისათვის:
 - აანალიზებენ ინფორმაციას, რომელიც მიიღეს მშობლის/მოსწავლის/მასწავლებლის შეხვედრებზე.
 - აანალიზებენ მოსწავლეთა შეფასების შედეგებს კურიკულუმთან დაკავშირებული გადანყვეტილებების მისაღებად და სწავლების შესაბამისი მეთოდების გამოსაყენებლად.
 - განუწყვეტილად ადვენებენ თვალყურს მოსწავლეთა პროგრესს კლასში.

3. მასწავლებლები, როგორც ადამიანები, რომლებიც მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლობენ, აღიარებენ პროფესიული ზრდის მნიშვნელობას:
 - იყენებენ პროფესიულ ლიტერატურას, ორგანიზაციებს, რესურსებს, ტრენინგებსა და სხვა საშუალებებს ახალი ცოდნის შესაძენად.
 - ინფორმირებულნი არიან პედაგოგიური და შინაარსობრივი ცვლილებების შესახებ, რომლებიც კურიკულუმზე

გავლენას ახდენენ.

- იყენებენ რესურს-ბიბლიოთეკას საკლასო ოთახის აქტივობების დასაგეგმად და მასალების და იდეების მოსაპოვებლად.
- აწარმოებენ პროფესიულ ჟურნალს იდეების და სწავლების პროცესში მიღებული გამოცდილების ჩასაწერად.
- მუშაობენ გასხვავებულ გუნდებში, როგორცაა გადამკვეთი (განსხვავებული) კურიკულუმების ან საკლასო აქტივობების დაგეგმვაზე მომუშავე გუნდები. გუნდები ასევე მსჯელობენ სწავლების მეთოდების ხარისხზე.
- ეფექტურად მუშაობენ პროფესიულ გუნდში მთავარი მიზნის მისაღწევად, მაგალითდ თემატური საკითხების დასაგეგმად ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესადგენად.
- იღებენ და აძლევენ რჩევებს, უკუკავშირს, ახდენენ მხარდაჭერას და ღიად აკრიტიკებენ ერთმანეთს.
- პატივს სცემენ გუნდის წევრების მიერ შეტანილ წვლილს.

■ თავი 4. ცერებრული დამლის განსაზღვრება და გამოვლინებები.

ცერებრული დამბლა

აქ მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:

ცერებრული დამბლის განსაზღვრება და სტატისტიკა;

გამოვლინებები

სამედიცინო განსაზღვრება: ცერებრული დამბლა მიეკუთვნება მოუმწიფებელი ტვინის არაპროგრესულ ანომალიას და წარ-



მოადგენს მოძრაობისა და პოზის დარღვევას. ცერებრული დამბლის გამომწვევი მიზეზი შეიძლება იწვევდეს აგერთვე სხვა დარღვევებსაც, როგორცაა გონებრივი ჩამორჩენილობა, გულყრები, მხედველობითი და სმენითი დეფიციტები და ქცევის პრობლემები (Batshaw M.L., Perret Y.M. Caring and Coping. The Family of a child with Disabilities. With Symme W. Trachtenberg. *Children with disabilities..* Paul Brookes Publishing Co. Baltimore. London. Toronto. Sydney. 1996). სხვადასხვა მონაცემით, ყოველ 1000 ახალშობილზე იბადება 3-5 ბავშვი სხვადასხვა ხარისხის ცერებრული დამბლით. ეს დაავადება მამაკაცებსა და ქალებში ერთნაირი სიხშირით გვხვდება (Carr A. A Child and Adolescent Clinical Psychology. An Contextual Approach. London. N.Y. 1999).

ნახატზე ნაჩვენები აღწერილობები:

ცერებრული დამბლის ფორმები:

სპასტიური - დაჭიმული კუნთები. ყველაზე გავრცელებული ფორმა.

ატაქსიური - წონასწორობის სუსტი შეგრძნება. ხშირად იწვევს დავარდნას და შეჯახებას.

ატეტოიდური - ხელების, თავისა და თვალების მუდმივი მოძრაობები.

რიგიდობა - დაჭიმული კუნთები, რაც ხელს უშლის მოძრაობათა შესრულებას.

ტრემორი - უკოტროლებელი კანკალი, რაც მოძრაობათა კოორდინაციას უშლის ხელს.

www.ecaucp.org/

- ცერებრული დამბლა ტვინის მონაკვეთების დაზიანების ან განვითარების დარღვევის შედეგია;
- დამბლა: სისუსტე ან კუნთების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- ცერებრული დამბლა ადამიანის მოძრაობის, წონასწორობის შენარჩუნებისა და სხეულის ჭერის უნარზე ახდენს გავლენას;
- იწვევს სხვადასხვა ტიპის შეზღუდვებს მსუბუქი მოუქნელობიდან მძიმე სპაზმამდე.

არასწორი პოზები ხელს უშლის მოძრაობების შესრულებას და მოტორული ჩვევების ჩამოყალიბებას ბავშვებში.

ბავშვთა ცერებრული დამბლის დროს დარღვეულია არა მარტო ნებითი მოძრობების შესრულება, არამედ შესუსტებულია შეგრძნებაც, რის გამოც სხეულის და მისი ნაწილების მოძრაობის შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბებაც გართულებულია. ხშირია ტაქტილური აღქმის დეფეციტი — ბავშვებს უჭირთ ხელის მოსინჯვით საგნების, მათი თვისებების ცნობა.

1. არასწორი პოზების გამო ხშირია ხელის და თვალის შეთანხმებული მოძრაობის დარღვევა. ბავშვს უჭირს თვალი მიაყოლოს საკუთარ ან სხვის მოძრაობას. ეს აფერხებს საგნების მოხმარების ჩვევების ჩამოყალიბებას და შემდგომში სასწავლო ჩვევების (კითხვა, წერა) ათვისებას.
2. ბავშვები სწრაფად იფიტებიან. მათ უჭირთ ხანგრძლივად გარკვეული საქმიანობის შესრულება ან თამაში. დაღლის შემთხვევაში ეწყებათ მოუსვენრობა, უნებლიე მოძრაობები.
3. ხშირია მეტყველების დარღვევები, რაც გამოიხატება ბგერების და სიტყვების გამოთქმის გაძნელებაში. სახის, ტუჩების და ენის კუნთების ტონუსის დეფექტის გამო მათი მოძრაობა ძლიერ შეზღუდულია. ამასთან ერთად, არასწორი სუნთქვაც აძლიერებს ბგერათწარმოქმნის პროცესის დარღვევას. ასეთი სახის მეტყველების დარღვევა ანუ დიზართრია დამოკიდებულია სამეტყველო კუნთების კონტროლის და კოორდინაციის დაზიანების ხარისხზე. ბავშვის მეტყველება შეიძლება იყოს ნელი, ძნელად გასარჩევი, ხმა შეცვლილი, თითქოს ცხვირში ლაპარაკობენ. მეტყველება წყვეტილია, ხმის მოდულაცია — ცვალებადი. მეტყველების პრობლემები რთულდება, თუ ბავშვს სმენაც დაქვეითებული აქვს ერთ ან ორივე ყურში. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების 20%-ს სმენის სიმახვილე დაქვეითებული აქვს ერთ ან ორივე ყურში, რაც ართულებს მეტყველების განვითარებას — ბგერების სწორად გაგებას და წარმოთქმას. ხშირია ყლაპვის გაძნელება, ღეჭვის, კბეჩის მოძრაობების შესრულების გაძნელება. ასეთ ბავშვებს აქვთ წოვის სირთულე ჩვილობაში, რის გამოც ვერ იღებენ საკმარის საკვებს.
4. ბავშვებს ხშირად მხედველობით-სივრცითი წარმოდგენების და სხეულის სქემის განვითარების შეფერხება აქვთ. რადგანაც მოტორული ფუნქციების დარღვევის გამო ბავშვი აქტიური არ არის, დამოუკიდებლად ვერ ახერხებს საგნების

მოსინჯვას, პირში ჩადებას, ცოცვას, ხოხვას, მისი სენსორული და მოტორული განვითარება ძლიერ ფერხდება. მას უჭირს მანძილების და მხარეების გარჩევა.

5. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვების 20%-ს აქვთ გულ-ყრები (ეპილეფსიური შეტევები) თავის ტვინის დაზიანებულ უბნებში ნეირონების პათოლოგიური აქტიურობის გამო.

■ თავი 5: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება

1. მთავარი პრობლემა ბავშვის მოტორული ფუნქციების განვითარების დარღვევაა, რაც ფიზიკური და ფსიქიკური განვითარებისათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნის. ჩვილი ბავშვი გარემოს მოძრაობებით და შეგრძნებებით შეიცნობს. იგი გარემოს და საგნებს სხვადასხვა მოძრაობებით, საკუთარი სხეულის გადაადგილებით და სხვადასხვა შეგრძნებებით სწავლობს. ჩვილ ბავშვს უკვე ოთხი თვის ასაკისათვის თავისუფლად შეუძლია თავის მდგომარეობის კონტროლი და მისი თავისუფალი მოძრუნება სივრცეში. 4-6 თვის ასაკში ბავშვი ჯდომას სწავლობს, 6-8 თვის ასაკში სწავლობს აქტიურ ცოცვას, ხოლო 8-12 თვის ასაკში კი ფეხზე დგება და შეუძლია ჯდომის პოზის შენარჩუნება. 12-18 თვის ასაკში ბავშვი სიარულს იწყებს, წონასწორობის შესანარჩუნებლად აქტიურად იყენებს ხელებს. მოტორული განვითარების განვითარებასთან ერთად ბავშვს შესაძლებლობა ეძლევა აქტიურად შეისწავლოს გარემო — მიცოცდეს, ხელი მოკიდოს, პირში ჩაიდოს, მოსინჯოს. ბავშვთა ცერებრული დამბლის მქონე ბავშვი ასეთ აქტივობას მოკლებულია. იმის გამო, რომ მას თავის, კისრის, ზურგის არასწორი მდებარეობა აქვს, დროულად ვერ იჭერს თავს, ვერ ჯდება, ვერ იცვლის პოზას, ვერ ცოცავს და ვერ დგება დამოუკიდებლად, ბავშვს უჭირს საგნების ხელში დაჭერა და მოსინჯვა.
2. მოტორული ფუნქციის დაზიანების ხარისხის მიხედვით ბავშვებს უჭირთ თვითმომსახურების ჩვევების ათვისება და მათი დამოუკიდებელი განხორციელება.
3. სკოლის ასაკის პერიოდის სირთულეები: ყოველი მათგანი დამოკიდებულია დაავადების სიმძიმეზე.

- დამოუკიდებელი გადაადგილება, გარემოს შესაბამისი მონყობა დამოუკიდებელი გადაადგილების შესამსუბუქებლად;
 - ფანქრის და კალმის ხმარება;
 - გაკვეთილზე დიდხანს ყოფნის სირთულე.
4. მეტყველების მოტორული და არტიკულატორული მხარის დარღვევები მათ მეტყველებას ნაკლებად გასაგებს ხდის.
 5. იმის გამო, რომ ბავშვს უჭირს დამოუკიდებელი მოძრაობა, პასიურია, ვერ თამაშობს სხვა ბავშვებთან, გარემო პირობების შეუსატყვისობის გამო ვერ დაყავთ საბავშვო ბაღსა და სკოლაში, ბავშვი იზოლირებულია. ეს კი აფერხებს სოციალური ჩვევების ჩამოყალიბებას, მისი ემოციური სფეროს განვითარებას.
 6. ბავშვს შეიძლება ჰქონდეს ემოციური სფეროს პრობლემები. ცერებრული დამბლის მქონე ბავშვებში ხშირია სხვადასხვა სახის შიშები, ემოციური არამდგრადობა, გუნების სწრაფი ცვლილებები. ამას ემატება საკუთარი უსუსურობის და გარიყულობის განცდა, რაც კიდევ უფრო ართულებს მათ ემოციურ მდგომარეობას.
 7. მნიშვნელოვანია მოზრდილის პროფესიული ორიენტაცია და რთული მოტორული დარღვევების შემთხვევაში მისი მაქსიმალური დამოუკიდებლობის მიღწევა ყოველდღიურ ცხოვრებაში. (Carr, Betshow, Perret).

პრაქტიკუმი. ჯგუფებში მუშაობა:

გთხოვთ გაიხსენოთ შემთხვევა თქვენი სასკოლო პრაქტიკიდან და აღწეროთ ფიზიკური შეზღუდვის მქონე მოსწავლე. აიღეთ მშობლის მიერ არჩეული მიზანი და დაგეგმეთ რამდენიმე სასწავლო საგნის განხორციელება: თითოეული მასწავლებლის როლი, საკლასო ოთახების მონყობა, მოსწავლის მდებარეობა, დავალების სპეციფიკა, თანაკლასელთა ჯგუფებში მუშაობა განსხვავებული დავალებების დროს.

გამოყენებული წყაროები:

1. www.wasatchfrontcp.org/

2. Batshaw M.L., Perret Y.M. Caring and Coping. The Family of a child with Disabilities. With Symme W. Trachtenberg. *Children with disabilities..* Paul Brookes Publishing Co. Baltimore. London. Toronto. Sydney. 1996
3. Carr A. A Child and Adolescent Clinical Psychology. An Contextual Approach. London. N.Y. 1999
4. www.ecaucp.org/

ტრენინგ-მოდული

„გონებრივი და ფიზიკური შეზღუდვა“

ქვემოდული 2: გონებრივი შეზღუდვა

ქვემოდული 4 თავისაგან შედგება:

- თავი 1: შეზღუდულობის სოციალური და სამედიცინო მოდელები. გამომწვევი მიზეზები, გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება და გამოვლინებები.
- თავი 2: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება.
- თავი 3: სწავლის უნარის დაქვეითების განმარტება, გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები.
- თავი 4: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება.

მე-2 და მე-4 თავების შემდეგ არის პრაქტიკუმები.

სქელი შრიფტით აღნიშნულია პრეზენტაციაში წარმოდგენილი ტექსტი.

■ თავი 1. გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება და გამოვლინებები:

აქ მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. შეზღუდულობის სოციალური და სამედიცინო მოდელები;
2. გონებრივი ჩამორჩენილობის გამომწვევი მიზეზები;
3. გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება და კრიტიკული უმები.

- გონებრივი განვითარების ჩამორჩენილობა (აგრეთვე შეფერხება, სწავლის უნარის დაქვეითება) მიეკუთვნება იმ მდგომარეობებს, რომლის მქონე მოსწავლეებიც შესაძლებელია ინკლუზიური განათლების პროცესში იყვნენ ჩართულები.
- გონებრივი ჩამორჩენილობა შეზღუდული შესაძლებლობის ერთ-ერთ სახედ განიხილება.
- არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის 2 სხვადასხვა მოდელი, რომლის განსხვავება არა მარტო განსზღვრებაშია, არამედ მიდგომაში და მიზნებში. ეს მოდელებია სამედიცინო და სოციალური.

შეზღუდულობის სამედიცინო მოდელი:

- შეზღუდვა განიხილება როგორც უშუალოდ ადამინში არსებული პრობლემა, რომელიც გამონვეულია ავადმყოფობით, ტრავმით ან ჯანმრთელობის მდგომარეობის დარღვევით; ამ შემთხვევაში შეზღუდვა საჭიროებს პროფესიონალების მიერ წარმართულ ინდივიდუალურ მკურნალობას;
- შეზღუდვის მკურნალობის მიზანია განკურნება ან ინდივიდუალური რეგულირება და ქცევის შეცვლა.
- ცდილობს შეზღუდვის სამედიცინო საშუალებით განკურნებას, ფუნქციონირების გაფართოებას ან გაუმჯობესებას, რაც ადამიანს ნორმალური ფუნქციონირების საშუალებას მისცემს.

შეზღუდულობის სოციალური მოდელი:

- შეზღუდვა განიხილება როგორც სოციალურად (საზოგადოებით) განპირობებული და საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა.
- პრობლემის გადაჭრა საჭიროებს სოციალურ ზომებს და შეზღუდვის მქონე ადამიანების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ჩართულობისათვის გარემოს აუცილებელ მოდიფიკაციას, რაზედაც პასუხიმგებლობას ფართო გაგებით საზოგადოება უნდა იღებდეს თავის თავზე.

გონებრივი ჩამორჩენილობის გამომწვევი მიზეზები:
 გამოიყოფა ფაქტორთა 3 ჯგუფი, რომელიც შეიძლება გონებრივი ჩამორჩენილობას იწვევდეს:

- პრენატალური (მუცლადყოფნის პერიოდი);
- პერინატალური (მშობიარობის);
- პოსტნატალური (დაბადების შემდგომ).

პრენატალური ფაქტორები:

- ქრომოსომული დაავადებები (როგორცაა დაუნის სინდრომი);
- მეტაბოლიზმის თანდაყოლილი დარღვევები (ფენილკეტონურია, მუკოპოლისაქარიდოზი);
- დედის ინფექციები (ციტომეგალოვირუსი, ლისტერიოზი) და ინტოქსიკაცია ნამლებით;
- ალკოჰოლი.

პერინატალური ფაქტორები:

- მწვავე პლაცენტარული უკმარისობა;
- რთული მშობიარობა;
- ასფიქსია (ჟანგბადის მინოდების შეწყვეტა) ან ჰიპოქსია (ჟანგბადის ნაკლებობა);
- ქალა-ტვინის სამშობიარო ტრავმა.

პოსტნატალური ფაქტორები:

- ქალა-ტვინის დაზიანება;
- ინფექციები (ჰერპესი და სხვა), მენინგიტი, ენცეფალიტი;
- ტოქსიკურ-მეტაბოლური დარღვევები;
- გულყრითი (ეპილეფსიური) სინდრომები: ვესტის, ლენოქს-გასტოს სინდრომები და სხვა;
- გარემოს ქრონიკული დეპრევაცია (ცუდი პირობები, ძალადობა, შეურაცხყოფა და სხვა).

გონებრივი ჩამორჩენილობის განმარტება:

- მრავალგანზომილებიანი მიდგომის თანახმად (AAMR - American Association of Mental Retardation, 2002), გონებრივი ჩამორჩენილობა არის შეზღუდვა, რომელიც ხასიათდება მნიშვნე-

ნელოვანი შეზღუდვით როგორც ინტელექტუალურ ფუნქციონირებაში, ასევე ადაპტურ ქცევაში და გამოიხატება კოგნიტურ (შემეცნებით), სოციალურ და ადაპტურ უნარებში. ადაპტური ქცევაში იგულისხმება მომნიშვნელობა, სწავლა, პიროვნული დამოუკიდებლობა და სოციალური პასუხისმგებლობა. შესაბამისად, ადაპტური ქცევის დეფიციტი მოიაზრებს ჩამორჩენას მომნიშვნელობაში, სწავლაში, პიროვნულ დამოუკიდებლობასა და სოციალურ პასუხისმგებლობაში. ადაპტაციური უნარებია: კომუნიკაცია, თვითმომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა.

ეს შეზღუდვა ვლინდება 18 წლის ასაკამდე სპეციფიკურ გარემოში (სახლი, სკოლა, საზოგადოება) და განსაზღვრავს სპეციალური დახმარების ხარისხს. (AAMR – American Association of Mental Retardation, 2002). მრავალგანზომილებიანი მოდელი სამედიცინო მიდგომისაგან განსხვავებით ყურადღებას ამახვილებს არა დეფიციტზე და სუსტ მხარეებზე, არამედ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, გარემოსთან ადაპტაციის ხარისხზე. ამდენად ის გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხს განსაზღვრავს პიროვნების ნორმალური ცხოვრებისათვის (ფუნქციონირებისათვის) საჭირო დახმარების ხარისხისა და სახის მიხედვით. გამოყოფენ დახმარების 4 დონეს:

1. **დროებითი:** არ ესაჭიროება მუდმივი დახმარება, მაგრამ შეიძლება დასჭირდეს დროებითი მხარდაჭერა გარკვეულ შემთხვევაში, მაგალითად, პროფესიის ათვისება, სამუშაოს მოვნა.
2. **შეზღუდული:** პერიოდულად ესაჭიროება გარკვეული სახის დახმარება, მაგალითად ფინანსების განკარგვაში და განაწილებაში, პროფესიის ათვისებაში და ჩვევების გავარჯიშებაში.
3. **ექსტენსიური (ფართო):** ესაჭიროება ყოველდღიური დახმარება ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში.
4. **ყოველმომცველი:** მოითხოვს მუდმივ, დიდი ინტენსიობის დახმარებას ცხოვრების ყველა ასპექტში.

AAMR-ის გონებრივი ჩამორჩენილობის კრიტერიუმებია:

გონებრივი ჩამორჩენილობა იწვევს შეზღუდვებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. იგი ხასიათდება:

- საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტით;
- თანმხლები შეზღუდვებით ადაპტაციურ ჩვევებში შემდეგი

2 ან მეტი სფეროდან:

- კომუნიკაცია;
- თვითმომსახურება;
- სახლის მოვლა;
- სოციალური ჩვევები;
- საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩვევები;
- თვითრეგულაცია;
- აკადემიური ფუნქციონალური ჩვევები;
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
- შრომითი საქმიანობა;
- დასვენება

- გონებრივი ჩამორჩენილობა ვლინდება 18 წლამდე.

■ თავი 2. ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება:

როგორც ზემოთაც იყო აღწერილი, ფუნქციონირების და ადაპტაციური უნარების განვითარების დონე და, აქედან გამომდინარე, სირთულეები, რომელიც გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ადამიანს გააჩნია, დამოკიდებულია მისი ჩამორჩენის ხარისხზე. ამ თავში მოკლედ იქნება მიმოხილული გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხები ინტელექტის კოეფიციენტის მიხედვით და ის ძირითადი სირთულეები, რომელიც ცალკეულ ჩამორჩენილობას ახლავს. რას ნიშნავს ინტელექტის კოეფიციენტი და როგორ იზომება გონებრივი ჩამორჩენილობა:

- ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) ტრადიციულად იზომება ვექსლერის ტესტით (WISC-R).
- ამ ტესტის თანახმად, ინტელექტის ნორმალური მაჩვენებელი მერყეობს 90-სა და 110-ს შორის.
- გონებრივ ჩამორჩენილობაზე მაშინ საუბრობენ, როდესაც ინტელექტის კოეფიციენტი (IQ) 70-ზე ნაკლებია.
- გამოყოფენ გონებრივი ჩამორჩენილობის 4 ხარისხს:
 - მსუბუქი (კოეფიციენტი 50-69);
 - საშუალო (35-49);
 - მძიმე (20-34);

ლრმა (20-ის ქვემოთ) (Carr A. A Child and Adolescent Clinical Psychology. An Contextual Approach. London. N.Y. 1999).

- მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობის დროს (IQ=50-69) შემდეგი მახასიათებლები ვლინდება:
- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 9-12 წელს;
- სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები სკოლაში;
- აქვს უნარი იმუშაოს, დაამყაროს ნორმალური სოციალური ურთიერთობები და მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ=36-49):
- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 6-9 წელს;
- განვითარების თვალსაჩინო შეფერხება ბავშვობაში;
- დამოუკიდებლად თვითმოვლის უნარის გარკვეული დონე;
- უმრავლესობას შეუძლია შეიძინოს ადექვატური კომუნიკაციური და აკადემიური უნარები;
- დასჭირდება სხვადასხვა დონის დახმარება საზოგადოებაში ცხოვრებისა და მუშაობისათვის.
- მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ=20-49):
- მოზრდილებში გონებრივი ასაკი შეესაბამება 3-6 წელს;
- ჩვეულებრივ საჭიროებს მუდმივ დახმარებას;
- ღრმა გონებრივი ჩამორჩენილობა (IQ 20-ზე ნაკლებია);
- მოზრდილებში ასაკი შეესაბამება 3 წლის ქვემოთ ასაკს;
- შედეგი გამოიხატება მძიმე შეზღუდვაში თვითმოვლაში, ტრალეტის შეუკავებლობაში, კომუნიკაციასა და გადაადგილებაში.

რითი ხასიათდება გონებრივი ჩამორჩენილობა:

- შეუქცევად ხასიათს ატარებს (არ არის გაკურნებადი);
- ხასიათდება განვითარების ინდივიდუალური ტემპით და ინდივიდუალური შესაძლებლობებით;

AAMR-ის ჩამონათვალის შესაბამისად, შესაძლებელია შეგვხვდეს შემდეგი სახის პრობლემები:

- ინტელექტუალური,
- სოციალური ფუნქციონირების,
- ადაპტაციური ქცევის.

რაში გამოიხატება გონებრივი ჩამორჩენილობა:

- აზროვნების სპეციფიკურობა: არის თვალსაჩინო (კონკრეტული) და სიტუაციური და მისი განზოგადება, აბსტრაგირება სხვა სიტუაციაში რთულია.
- სწავლის ნელი ტემპი: ესაჭიროებათ მრავალჯერადი გამეორება და ინფორმაციის განმეორება დროში გახანგრძლივებულია (მაგალითად, დასწავლილი მასალის გადმოცემის გაუმჯობესება შესაძლებელია 3 თვის შემდეგ აღმოვაჩინოთ);
- ყურადღების დარღვევა: რთულია როგორც გარკვეულ აქტივობაში ჩართვა, ასევე მიმდინარე აქტივობიდან ახალ აქტივობაზე გადართვა;
- მეტყველების ჩამორჩენა: დამოკიდებულია გონებრივი ჩამორჩენილობის ხარისხზე და შესაძლებელია გამოხატული იყოს არტიკულაციის დარღვევაში, ლექსიკური მარაგის სიმწირეში, სინტაქსური მხარის დარღვევაში, გაბმული მეტყველების დარღვევაში (ამბის მოყოლა) ან შესაძლებელია ძლიერი ჩამორჩენაც, რაც გამოიხატება მეტყველებით კომუნიკაციის უნარის სრულ უქონლობაში.
- მოტორული პრობლემები:
 - უჭირს ხელის ნატიფი მოძრაობების შესრულება, რომელიც მონანილეობს კალმის, მაკრატლის, დანაჩანგლის ხმარებაში და, შესაბამისად, შეფერხებულია ამ უნარების განვითარებაც;
 - თანმიმდევრული, რამდენიმე საფეხურისაგან შემდგარი მოტორული აქტის შესრულება: მისი დაგეგმვა და კონტროლი. რთულადეუფლებიანთვითმომსახურების ჩვევებს: ჩაცმა-გახდა, ჭამა, ტუალეტი, დაბანა.
- სოციალური ადაპტაციის პრობლემები: მაგალითად, საზოგადოებრივ ადგილას მოქცევის ჩვევები (მალაზიაში, ტრანსპორტში, თეატრში და ა.შ.). ეს სირთულე განპირობებულია მეტყველების, ზოგადად კომუნიკაციის და შემეცნებითი უნარების ჩამორჩენით. შესაბამისად, სოციალური ჩვევების დაუფლება რთულად და ხანგრძლივად ხდება.
- ემოციური მოუზნებლობა: შესაძლებელია ემოციების გამოხატვის ინტენსივობა იყოს ძალიან ძლიერი, არის მათი შეკავებისა და კონტროლის სირთულე. ამავე დროს ასეთი

ადამიანებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების დამოკიდებულებას, კეთილგანწყობას, სიტობის და მწვევედ რეაგირებენ, თუკი ამას ვერ გრძნობენ.

რა ვასწავლოთ გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე ბავშვს?

- აკადემიური ჩვევები (წერა-კითხვა, ანგარიში);
- წინააკადემიური (ინსტრუქციის მოსმენა, გაგება, შესრულება, ჯეროვნების დაცვა, ხაზების გავლება, ფერების სწავლა და ა.შ.);
- ფუნქციონალური: სახლის მოვლა, თვითმოვლა, ფუნქციონალური კითხვა, ფულის მოხმარება, საზოგადოებრივი ქცევის ჩვევები.

პრაქტიკუმი

მოიყვანეთ გონებრივი ჩამორჩენილობის მაგალითი თქვენი სასკოლო პრაქტიკიდან. დაწვრილებით აღწერეთ აკადემიური და სხვა სირთულეები.

განხილვა

შენიშვნა: აღნიშნული მაგალითი გამოყენებული იქნება შემდეგ პრაქტიკულ დავალებაში.

■ თავი 3. სწავლის უნარის დაქვეითების განმარტება, გამომწვევი მიზეზები და გამოვლინებები

მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- სწავლის უნარის დაქვეითების განმარტება;
- რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლის უნარის დაქვეითების სხვა მდგომარეობებისგან გარჩევა?
- სწავლის უნარის დაქვეითების გამომწვევი მიზეზები;
- სწავლის უნარის დაქვეითების ტიპები.

თუ მასწავლებელი ამჩნევს მნიშვნელოვან განსვლას სამეცნიერო (ჰუმანიტარულ) და მათემატიკურ უნარებს შორის, შესაძ-

ლებელია მას საქმე არა გონებრივ ჩამორჩენილობასთან, არამედ სწავლის უნარის დაქვეითებასთან აქვს.

სწავლის უნარის დაქვეითება არ არის დაბალი ინტელექტის მაჩვენებელი. აღნიშნული დაქვეითების მქონე ადამიანები ინტელექტის ნორმალურ დონეს ვერ აღწევენ ტვინში ინფორმაციის პროცესირების ერთი ან რამდენიმე უნარის დეფიციტის გამო.

აშშ-სა და კანადაში ტერმინი სწავლის უნარის დაქვეითება აერთიანებს ისეთ დარღვევათა რიგს, რომელიც აკადემიურ და სოციალურ უნარებს აზიანებს, მათ შორის:

- მეტყველებას,
- მოსმენას,
- კითხვას, წერას, მართლწერას,
- ინფორმაციის გააზრებას;
- დაგეგმვის უნარს (ორგანიზებას).

რატომ არის მნიშვნელოვანი სწავლის უნარის დაქვეითების გარჩევა გონებრივი ჩამორჩენილობისაგან ან ე.წ. ნორმალური მდგომარეობისაგან? ამას რამდენიმე საფუძველი გააჩნია:

- ერთის მხრივ სწავლის უნარის დაქვეითების „განკურნება“ შეუძლებელია, მაგრამ მიზანმიმართული ზომების მეშვეობით შესაძლებელია აკადემიური მოსწრების ამაღლება;
- სწავლის უნარის დაქვეითება ხშირად ასოცირდება სიზარმაცესთან, რადგან ზოგ საგანში მოსწრება საკმაოდ მაღალია, რის გამოც ხდება მოსწავლის საჭიროების იგნორირება;
- სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლე საჭიროებს განათლების ინდივიდუალურ გეგმას.

მიმოხილვა

სწავლის უნარის დაქვეითების გაერთიანებული ეროვნული კომიტეტი (The National Joint Committee for Learning Disabilities (NJCLD)) სწავლის უნარის დაქვეითებას განსაზღვრავს როგორც „დარღვევათა ჰეტეროგენულ (მრავალფეროვან) ჯგუფს, რაც გამოიხატება შემდეგი უნარების ათვისებისა და გამოყენების დეფიციტში: მეტყველება,

მოსმენა, კითხვა, წერა, მათემატიკა. ეს დარღვევები შინაგანია და ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციის შედეგია. თუმცა სწავლის უნარის დაქვეითება შესაძლოა სხვა შეზღუდვებთან ერთად გვხვდებოდეს (მაგალითად, სენსორული დაზიანება, გონებრივი ჩამორჩენილობა, სოციალური და ემოციური აშლილობა) ან გარემოს ზეგავლენის შედეგი იყოს (მაგალითად, კულტურული სხვაობები, არასაკმარისი აღზრდა, ფსიქოგენური ფაქტორები), ის ამ მდგომარეობათა პირდაპირი შედეგი არ არის. „The NJCLD იყენებს ამ ტერმინს იმ განხვავების ხაზგასამელად, რომელიც არსებობს ბავშვის სწავლის უნარსა და მის მიღწევებს შორის.

მიზეზები და რისკ-ფაქტორები

სწავლის უნარის დაქვეითების მიზეზები არ არის ზუსტად დადგენილი და ზოგჯერ არ არსებობს თვალსაჩინო მიზეზი. თუმცა, ნევროლოგიური დაზიანების მიზეზებიდან შეიძლება გამოიყოს:

- მემკვიდრეობითობა — სწავლის უნარის დაქვეითება ხშირად ოჯახის წევრებს აქვთ.
- პრობლემები ორსულობის და დაბადების დროს — სწავლის უნარის დაქვეითება შეიძლება გამოწვეული იყოს ანომალიებით მოუმნიფებელ ტვინში, დაავადებით ან დაზიანებით, ნაყოფზე ალკოჰოლური ან მედიკამენტოზური გავლენა, მცირე წონა დაბადებისას, უანგბადის ნაკლებობა, მოუმნიფებელი ნაყოფის შობა ან გახანგრძლივებული მშობიარობა.
- შემთხვევა დაბადების შემდეგ: სწავლის უნარის დაქვეითება შესაძლებელია აგრეთვე გამოწვეული იყოს თავის დაზიანებით, არასაკმარისი კვებით ან ინტოქსიკაციით (ტყვია, პესტიციდები).

სწავლის უნარის დაქვეითების ტიპები

სწავლის უნარის დაქვეითება შესაძლებელია განისაზღვროს როგორც ინფორმაციის პროცესირების ტიპის მიხედვით, რომელიც დარღვეულია ან პროცესირების დეფიციტთან დაკავშირებული სპეციფიკური სირთულეები.

ინფორმაციის პროცესირების დეფიციტი

სწავლის უნარის დაქვეითება სხვადასხვა კატეგორიად იყოფა, რომელიც გამომდინარეობს სწავლის პროცესში ინფორმაციის პროცესირების ოთხი საფეხურიდან. ეს ოთხი საფეხურია: შესავალი, ინტეგრაცია, შენახვა და გამოსავალი.

• შესავალი

ეს არის გრძნობის ორგანოებით აღქმული ინფორმაცია, როგორცაა, მაგალითად, სმენითი და მხედველობითი აღქმა. მხედველობით აღქმასთან დაკავშირებული სირთულეები შეიძლება განაპირობებდეს პრობლემებს ფორმის ცნობაში, დანახული ობიექტების მდებარეობასა და ზომასთან დაკავშირებით. შესაძლებელია სირთულე თანმიმდევრობის აღქმას უკავშირდებოდეს, რაც განაპირობებს დროითი ინტერვალის პროცესირებას ან დროებით (არამუდმივ) აღქმას. სმენითი აღქმის სირთულეები შესაძლოა უკავშირდებოდეს რამდენიმე ბგერიდან ერთის გამოყოფის სირთულეს, როგორცაა, მაგალითად, მასწავლებლის ხმის გამოყოფა სხვათა შორის. ზოგ ბავშვს ტაქტილური (შეხებითი) შესავლის პრობლემა აქვს. ასეთ ბავშვებს შესაძლებელია ჰქონდეთ ტკივილისადმი უგრძნობლობა ან არ მოსწონდეთ შეხება.

• ინტეგრაცია

ამ საფეხურზე ხდება აღქმული ინფორმაციის ინტეგრირება, ინტერპრეტაცია, კატეგორიზაცია, თანმიმდევრობის განსაზღვრა ან წინა გამოცდილებასთან დაკავშირება. მსგავსი სირთულის მქონე მოსწავლეს შესაძლებელია არ ჰქონდეს უნარი ამბავი სწორი თანმიმდევრობით გადმოსცეს, არ შეეძლოს ინფორმაციის თანმიმდევრობის დამახსოვრება როგორცაა კვირის დღეები, შეეძლოს ახალი ცნების (კონცეპტის) გაგება, მაგრამ არ შეეძლოს მისი სწავლის სხვა სფეროებში განზოგადება, შეეძლოს ფაქტების სწავლა, მაგრამ არ შეეძლოს მათი საერთო „დიდ სურათში“ გაერთიანება. ლარიზი ლექსიკონი განაპირობებს გაგების სირთულეს.

• შენახვა

მეხსიერების პრობლემა შეიძლება დაკავშირებული იყოს ხანმოკლე ან მუშა ან გრძელვადიან მეხსიერებასთან. სირთულეთა უმატესობა წარმოიქმნება ხანმოკლე მეხსიერებასთან დაკავშირებით, რამაც შესაძლოა განაპირობოს ახალი მასალის დასწავლა ჩვეუ-

ლებრივზე მეტ გამოვრებას საჭიროებდეს. მხედველობითი მეხსი-
რების პრობლემები შესაძლებელია განაპირობებდეს მართლწერის
სირთულეს.

- გამოსავალი

ინფორმაცია ტვინიდან გამოდის სიტყვების ანუ ენის მეშ-
ვეობით ან კუნთური აქტივობის მეშვეობით, როგორცაა პო-
ზები, წერა ან კითხვა. მეტყველების გამოსავალის პრობლემები
განაპირობებს ზეპირი მეტყველების პრობლემებს, მაგალითად,
დასმულ შეკითხვაზე პასუხის გაცემას, რისთვისაც ამ ადამიანმა
საცავში არსებული ინფორმაცია უნდა აღადგინოს, დააღაგოს
აზრობრივად და აზრი სიტყვებში გადაიტანოს, სანამ ლაპარაკს
დაიწყებდეს. აღნიშნულმა მიზეზმა შესაძლოა განაპირობოს წერით
მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეებიც. მოტორული (სა-
მოძრაო) უნარების სირთულეები განაპირობებს მსხვილ და ნატიფ
მოტორიკასთან დაკავშირებული უნარების პრობლემებს. მსხვილი
მოტორიკის პრობლემის მქონე ადამიანი შეიძლება იყოს მოუქნელი,
ხშირად უცდებოდეთ ფეხი, ეცემოდნენ ან საგნებს ეჯახებოდნენ.
შეიძლება უჭირდეთ სირბილი, ცოცვა, ან ველოსიპედის ტარების
სწავლა. ნატიფი მოტორიკის პრობლემის მქონე ადამიანებს შეიძლება
ჰქონდეთ სირთულე ღილების და თასმების შეკვრაში ან ხელით
წერაში.

■ თავი 4: ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის პროცესში და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება

აქ მიმოხილული იქნება შემდეგი საკითხები:

- პრობლემები, რომელიც შეიძლება სწავლის პროცესში გა-
მოვლინდეს;
- სირთულეები ყოველდღიურ ცხოვრებაში.

პრობლემები, რომელიც სწავლის პროცესში გვხვდება

სწავლის უნარის სპეციფიკური დაქვეითებები

ინფორმაციის პროცესირების დეფიციტი ნებისმიერ სფეროში შეიძლება გამოიხატებოდეს სწავლის უნარის სხვადასხვა დაქვეითების სახით.

- **კითხვის უნარის დაქვეითება (ICD-10 and DSM-IV codes: F81.0/315.00)**

სწავლის უნარის ყველაზე გავრცელებული დაქვეითებაა. სწავლის უნარის სხვადასხვა სპეციფიკური დაქვეითების მქონე მოსწავლეთა 70-80%-ს აღნიშნება კითხვის დეფიციტი. ტერმინი დისლექსია ხშირად გამოიყენება კითხვის უუნარობის სინონიმად, თუმცა ბევრი მკვლევარი აღნიშნავს, რომ არსებობს კითხვის უუნარობის მრავალი სახეობა, რომელთაგან დისლექსია მხოლოდ ერთია. კითხვის უუნარობამ შესაძლოა დაარღვიოს კითხვის პროცესის ნებისმიერი ნაწილი, რაც შესაძლებელია იყოს სიტყვის ცნობის დეფიციტი, სიტყვის დეკოდირება, კითხვის ხარისხი, პროსოდიკა (გამოთქმით კითხვა) და ნაკითხულის გაგება.

კითხვის უუნარობის საერთო ნიშანია ფონემატური გაცნობიერების დეფიციტი – ბგერათა სიტყვაში გაერთიანება და სიტყვიდან ბგერების გამოყოფა, ასობის ბგერებად გარდაქმნა ან ასოთა კომბინაციის სპეციფიკურ ბგერებად გარდაქმნა (ბგერა-სიმბოლოს შესაბამისობა).

- **წერის უნარის დაქვეითება (ICD-10 and DSM-IV codes F81.1/315.2)**

მეტყველებისა და ენის დარღვევებს აგრეთვე დისფაზიას ან აფაზიას უწოდებენ (coded F80.0-F80.2/315.31 in ICD-10 and DSM-IV).

წერის უნარის დარღვევა შეიძლება გამოიხატებოდეს ხელით წერის დარღვევაში, მართლწერაში, აზრების (იდეების) დალაგებაში და შეთანხმებაში. ტერმინი „დისგრაფია“ ხშირად ზოგად ტერმინად გამოიყენება წერის დარღვევებისათვის. ზოგიერთი, მაგალითად დისლექსიის საერთაშორისო ასოციაცია, იყენებს ტერმინს „დისგრაფია“ ხელით წერის პრობლემების აღსანიშნავად.

- **მატემატიკის უნარის დაქვეითება (ICD-10 and DSM-IV codes F81.2-3/315.1)**

ზოგჯერ დისკალკულია ეწოდება და შეიძლება გამოიხატებოდეს ისეთ სირთულეებში, როგორიცაა მათემატიკური ცნებების დასწავლის სირთულე (რაოდენობა, თანრიგის წონა და დრო) მათემატიკური ფაქტების დამახსოვრების დეფიციტი, რიცხვების დალაგების სირთულე.

• **სწავლის უნარის არავერბალური (არა-სამეტყველო) დაქვეითება [ICD-10 – ში ის აღწერილი არ არის]**

სწავლის უნარის არავერბალური დაქვეითება ხშირად გამოიხატება მოტორულ მოუქნელობაში, ღარიბ მხედველობით-სივრცით უნარებში, პრობლემურ სოციალურ ურთიერთობებში, მათემატიკის სირთულეებში და დაგეგმვის უნარში. ასეთ ადამიანებს ხშირად აქვთ კარგად განვითარებული ვერბალური (სამეტყველო) სფერო, მეტყველების ადრეული ჩამოყალიბებით, მდიდარი ლექსიკით, წერა-კითხვის ადრეული განვითარებით, ბრწყინვალე მექანიკური მახსოვრობით და სმენითი მეხსიერებით და მჭერმეტყველებით.

• **დისპრაქსია**

დისპრაქსიას ზოგჯერ მოტორულ დაგეგმვას უწოდებენ და ის უკავშირდება მოტორული უნარების სხვადასხვა სახის სირთულეებს. დისპრაქსია შეიძლება გამოიხატებოდეს ერთსაფეხურიანი დავალებების შესრულების სირთულეში, როგორცაა თმის დავარცხნა, რამდენიმე საფეხურიან დავალებების შესრულებაში, როგორცაა კბილების გახეხვა ან ჩაცმა ან სივრცით დაგეგმვაში, როგორცაა ერთი საგნის მეორესთან მიმართებაში ზუსტად განთავსება.

• **თხრობის ან მოსმენის დარღვევა**

ხშირად ახლავს თან ისეთ დეფიციტებს როგორცაა მეხსიერების, სოციალური უნარების და შემსრულებლობით ფუნქციების (დაგეგმვა და დროის კონტროლი) დეფიციტებთან.

• **სმენითი პროცესირების დარღვევა**

გამოიხატება ერთზე მეტი დავალების გაგების უნარი და ვიზუალურად სწავლის მნიშვნელოვნად ძლიერი უნარი.

დიაგნოსტიკა

სწავლის უნარის დაქვეითების ქონას მშობელი ხშირად სკოლაში წასვლამდე დიდი ხნით ადრე ამჩნევს. მაგრამ პრობლემა თვალსაჩინო ხდება უკვე სკოლაში, როდესაც მას სწავლის სირთულეები უჩნდება. კითხვის უნარის სირთულე, როგორც წესი, სწავლის უნარის დაქვეითების ერთ-ერთი პირველი ნიშანია.

სწავლის უნარის დაქვეითების დიაგნოსტიკებას ახდენს სკოლის ფსიქოლოგი, კლინიკური ფსიქოლოგი ან ნეიროფსიქოლოგი ინტელექტისა და აკადემიური მიღწევის ტესტების გამოყენებით, სწავლის შედეგების, სოციალური ურთიერთობებისა მიდრეკილებების მიხედვით. სხვა შეფასებები შეიძლება მოიცავდეს აღქმას, ცნობას, მეხსიერებას, ყურადღებას და სამეცნიერო უნარებს. დამაჯამებელი ინფორმაცია გვიჩვენებს, თუ რამდენად იყენებს ბავშვი არსებულ უნარებს.

დაბალი აკადემიური მიღწევაში შესაძლებელია სხვადასხვა ჩარევა. თუმცა საფუძვლადმდებარე პროცესირების დეფიციტი მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება, თვით აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება შესაძლებელია მიზანმიმართული ჩარევის (ინტერვენციის) მეშვეობით. ზოგი მიმართულია ადაპტირებასა და კომპენსირებაზე (ადაპტირება): რეგულირება, აღჭურვილობა და ასისტენტი, ხოლო ზოგი (სპეცილიზებული ინსტრუქციები) კი სუსტი სფეროების გაუმჯობესებაზე. პრაქტიკა ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია უნარების (კომპეტენციის) განვითარებისათვის მიუხედავად იმისა, თუ რა დონიდან დაიწყო მუშაობა. ბავშვები, რომლებიც ბაზისური უნარების სისუსტით იწყებენ, როგორცაა, მაგალითად, კითხვა, შეიძლება აუცილებელი პრაქტიკის გარეშე დარჩნენ, ვინაიდან თანატოლებს უნდა წამოეწიონ. ამდენად, მცირე სისუსტე შეიძლება თოვლის გუნდასავით დიდ პრობლემად იქცეს.

კვლევების თანახმად, ადრეული კორექტირება სწავლის უნარის დაქვეითების გამოვლინებებს მნიშვნელოვნად ამცირებს. სკოლაში შესაბამისი ადაპტირება ამცირებს უძღურებისა და უუნარობის განცდას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ პრობლემის მქონე მოსწავლეებმა დახმარება შესაბამის აკადემიურ სფეროში მიიღონ და აქცენტი გადატანილი არ იყოს მუსიკაზე ან სპორტზე.

სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ადამიანებზე ზეგავლენა (პრობლემები ყოველდღიურ ცხოვრებაში და ინკლუზიაში)

ადამიანები სწავლის უნარის დაქვეითებით შესაძლებელია საზოგადოებისაგან იზოლაციისაკენ მიისწრაფოდნენ, ვინაიდან ისინი განიცდიან:

- სირცხილის გრძნობას იმ სირთულეების გამო, რასთანაც მათ ბრძოლა უწევთ, როგორცაა წერა-კითხვის სირთულეები, ყურადღებისა ან მეხსიერების პრობლემები.
- შიში ან უსუსურობა, კრიტიციზმი, დაცინვა ან უარყოფა.
- შიში, რომ სხვები იფიქრებენ, რომ ის არის სულელი ან უუნარო.
- სირცხვილი იმის გამო, რომ არ შეუძლიათ კითვა ან მართლწერა.
- აკლდებიან ყოველდღიურ დისკუსიებსა გაგების უუნარობის გამო.
- დეპრესია.
- მარტოობა.
- ვერ ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და ნაწილს არ შეუძლია ოჯახის რჩენა.

http://en.wikipedia.org/wiki/Learning_disabilities.

პრაქტიკტიკუმი:

ჯგუფებში მუშაობა

გამოიყანეთ წინა პრაქტიკული დავალების აღწერილობა და დაგეგმეთ მათემატიკის ან ქართულის გაკვეთილი როგორც დღევანდელი, ასევე წინა ქვემოდულის (ფიზიკური შეზღუდვა) მიხედვით.

დისკუსია

გამოყენებული წყაროები:

1. AAMR – American Association of Mental Retardation, 2002
2. Carr A. A Child and Adolescent Clinical Psychology. An Contextual Approach. London. N.Y. 1999
3. http://en.wikipedia.org/wiki/Learning_disabilities.
4. აგრეთვე ნორვეგიულ სახელმძღვანელოში მოყვანილი წყაროები

ყურადღების დეფიციტი
და ჰიპერაქტიურობის სინდრომი
AD/HD

ისტორია

კლინიკური ტერმინი *ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი* ხმარებაში შემოვიდა მეოცე საუკუნის შუა წლებში, რომდესაც ექიმებმა იპოვეს ზოგადი დასახელება დაავადებებისთვის, რომლებსაც ადრე უწოდებდნენ „ტვინის მინიმალური დისფუნქციას“, „სწავლის/ქცევის დარღვევა“ ან „ჰიპერაქტიულობას“. მკვლევარებს სჯერათ, რომ ეს დაავადება ადრეც მოიხსენიებოდა სხვადასხვა კონტექსტში.

ქრისტეს შობამდე 493 წელს, ექიმ - მეცნიერმა ჰიპოკრატემ აღწერა მდგომარეობა, რომელიც ყურადღების დეფიციტს და ჰიპერაქტიურობის სინდრომს ჰგავდა. ის აღწერდა პაციენტებს, რომლებსაც ჰქონდათ „სენსორულ გაღიზიანებაზე სწრაფი რეაქცია, მაგრამ ნაკლები სიმტკიცე, რადგან „სული“ მალევე გადადიოდა სხვა შთაბეჭდილებებზე.“ ჰიპოკრატე ამ მდგომარეობას „ცეცხლის და წყლის ბალანსის დარღვევით“ ხსნიდა. მისი აზრით, ამ ბალანსის დარღვევას კურნავდა ხორბლის პურის ქერით ჩანაცვლება, ხორცის - თევზით, დიდი რაოდენობით სითხის მიღება და სხვადასხვა ფიზიკური ქმედება.

განსაზღვრება: რა არის ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (AD/HD)?

ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევით გამოწვეულ სიმპტომთა ერთობლიობას.

AD/HD- მოკლე დახასიათება

- ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტი – უყურადღებობა, გაფანტულობა.

- იმპულსურობა: უნებლიე ქცევის შეჩერების და გაკონტროლების სირთულე.
 - ჰიპერაქტიულობა-მოტორული მოუსვენრობა, ზედმეტ მოძრაობათა სიჭარბე, „დაქოქილი ზამბარა“.
- ამას ხშირად ერთვის ემოციური გაუნონანსორებლობა, აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება.

გამოყოფენ ორ ფორმას

■ I – ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტი (ჰიპერაქტიულობის გარეშე) – მახასიათებლები:

- მეოცნებე,
- ინერტული,
- აპათიური,
- მოდუნებული,
- ზანტი, მორცხვი.

■ II – ყურადღების დეფიციტი იმპულსურობითა და ჰიპერაქტივობით

მახასიათებლები:

- მოუსვენარი,
- იმპულსური,
- ზედმეტად აქტიური,
- აგრესიული,
- წესების იგნორირება:
 - o სასკოლო განრიგის,
 - o საგაკვეთილო განრიგის,
 - o თამაშის წესების,
 - o ოჯახში არსებული წესების.

ყოველივე ეს აფერხებს ადამიანის სრულფასოვან ჩართვას სოციალურ აქტივობებში.

სტატისტიკა

მსოფლიოში ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის გავრცელება ოდნავ აღემატება 5% – ს. ამერიკის შეერთებულ შტატებში დაავადება აღენიშნება მამაკაცთა 10 % და ქალთა 4% – ს.

მიზეზები:

რა ინვესსიის ყურადღების დეფიციტსა და ჰიპერაქტივობის სინდრომს?

AD/HD-ს არ ინვესსიის ერთი კონკრეტული მიზეზი, მკვლევარები ცდილობენ სინდრომის გამომწვევი მიზეზების: გენეტიკურ, ბიოქიმიურ, ნეირობიოლოგიურ და გარემო პირობებთან დაკავშირებულ ფაქტორთა ახსნას.

ერთ-ერთი პირველი შეკითხვა რომელიც გაუჩნდება მშობელს არის: „რატომ? რა შეიცვალა?“ „ეს ჩემი ბრალია?“ ამჟამად მცირე დასაბუთება არსებობს იმ ფაქტისა, რომ ამ სინდრომს მხოლოდ სოციალური და აღზრდის ფაქტორები ინვესსიის უმეტესი მიზეზები ნეირობიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორებისკენ მიგვანიშნებენ. გარემო ფაქტორებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ, რადგან მათ შეუძლიათ გარკვეული დადებითი ან უარყოფითი ზეგავლენის მოხდენა AD/HD ზე.

მშობლისა და აღზრდელის ყურადღება მთლიანად უნდა იყოს მიმართული სწავლების საუკეთესო სტრატეგიების შერჩევისკენ. მეცნიერები შეისწავლიან AD/HD-ის მიზეზებს იმ იმედით, რომ იპოვონ საუკეთესო სამკურნალო საშუალება და მიაგნონ პრევენციის მეთოდებს. ისინი დღითიდღე მეტ სამხილს პოულობენ იმის დასადასტურებლად, რომ დაავადებას ინვესსიის არა სახლის გარემო, არამედ სხვადასხვა ბიოლოგიური ფაქტორები. ამის ცოდნა მშობლებს გაათავისუფლებს დანაშაულის გრძნობისგან.

ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს გამომწვევი მიზეზები: ზოგი მათგანი გაურკვეველია, ხოლო ზოგიც ნამდვილი აღმოჩენაა.

გარემო ფაქტორები

კვლევებმა დაადგინა, რომ არის გარკვეული კორელაცია ფეხმძიმობისას სიგარეტისა და ალკოჰოლის მოხმარებასა და ნაყოფის AD/HD - თი დაავადების შორის. სიფრთხილის მიზნით უპირანი იქნებოდა თუ ფეხმძიმე ქალები თავს შეიკავებენ მავნე ჩვევებისაგან.

აგრეთვე ერთ - ერთი გარემო ფაქტორია სკოლამდელი ასაკის ბავშვების სხეულში დიდი რაოდენობით ტყვიის არსებობა, თუმცა საღებავიდან ამ ნივთიერების ამოღების შემდეგ ეს პრობლემა ნაკ-

ლებად აქტუალური გახდა. რისკის ჯგუფად რჩებიან ბავშვები რომლებიც ძველ, ტყვიის შემცველი საღებავით შეღებილ სახლებში ცხოვრობენ.

ტვინის ტრავმა

ერთ – ერთი უძველესი თეორია, დაავადების განვითარებას თავის ტვინის ტრავმასაც მიაწერს. თუმცა არის შემთხვევები, როდესაც თავის ტვინის ტრავმა იწვევს AD/HD-ის მსგავს სიმპტომატიკას, მაგრამ სინამდვილეში ეს არ არის კლასიკური AD/HD.

საჭმლის დანამატები და შაქარი

არსებობს აზრი, რომ ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი შეიძლება გამოიწვიოს უკონტროლოდ რაფინირებულმა შაქრის მიღებამ და საჭმლის დანამატებმა ან ეს ფაქტორები ხელს უწყობენ რამდენიმე სიმპტომის განვითარებას. 1982 წელს აშშს ჯანმრთელობის ნაციონალურმა ინსტიტუტმა ჩაატარა კონფერენცია, რომელზეც განიხილებოდა სწორედ ეს საკითხი. აღმოჩნდა, რომ დიეტამ ზეგავლენა მოახდინა 5%-ზე, განსაკუთრებით კი მცირეწლოვანებზე, რომლებსაც საჭმლის ალერგიები აღენიშნებოდათ. დღესდღეობით არ არსებობს უტყუარი სამხილი იმისა, რომ შაქარს ან საჭმლის დანამატებს უშუალო კავშირი აქვთ AD/HD-სთან.

გენეტიკა

რადგან ყურადღების დარღვევები ოჯახში ხშირად მეორდება, ისინი გენეტიკურად ითვლებიან. კვლევებმა აჩვენეს, რომ AD/HD-ით დაავადებულთა 25%-ში მსგავსი სინდრომი ოჯახის წევრებსაც აღენიშნებოდათ.

AD/HD-ს სინდრომის გამომწვევი გენეტიკური კომპონენტი შეისწავლეს ტყუების და ნაწილები ბავშვების მაგალითზე;

აღმოჩნდა რომ:

- აღინიშნება AD/HD-ს უფრო მეტი სიხშირე მკვიდრ და-ძმას შორის, ვიდრე ნახევარ და ძმას შორის;
- აგრეთვე, ჰიპერაქტიული ბავშვების მშობლები ხასიათდებიან ფსიქოლოგიური დარღვევების სიჭარბით;

- მშობლები, ასევე ხასიათდებიან ისტერიულობით, ნერვოზებით.

გენეტიკურმა კვლევებმა დაადგინეს, რომ AD/HD – აღინიშნება ბავშვების მამრობითი სქესის ნათესავეებში. ბიძაშვილ-მამიდაშვილებსა და მათ შვილებს შორის.

მკვლევარები განაგრძობენ სინდრომის გენეტიკის შესწავლას და ცდილობენ პასუხისმგებელი გენის აღმოჩენას. წყაროდ გამოიყენება 1999 წელს ჩამოყალიბებული ყურადღების დეფიციტური ანტიპერაქტიული სინდრომის გენეტიკური ქსელი.

AD/HD-ს მიზეზებზე ჩატარებული უახლესი კვლევები

იმისათვის. რომ უკეთ გავიგოთ მეცნიერთა მიერ ჩატარებული კვლევები, საჭიროა ტვინის სტრუქტურის ზედაპირული ცოდნა. ერთ-ერთი ნაწილი, რომლებსაც მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ არის თავის ტვინის ქერქის ფრონტალური (შუბლის) ნილები. ფრონტალური ნილების მეშვეობით ჩვენ ვწყვეტთ პრობლემებს, ვისახავთ გეგმებს, ვაანალიზებთ სხვების ქცევას და ვაკავებთ იმპულსებს. მარჯვენა და მარცხენა ნილები ერთმანეთს კორპუს კალოზუმით (ნერვულ ბოჭკოთა გროვა) უკავშირდებიან.

ბაზალური განგლია ენოდება ერთმანეთთან დაკავშირებულ რუხ ნივთიერებას. რომელიც მოთავსებულია ნახევარსფეროში, უკავშირდება ნათხემს და მასთან ერთად ახდენს მოძრაობის კოორდინაციას. ნათხემი სამ ნაწილადაა დაყოფილი. შუა ნაწილს ვერმისი ენოდება.

ტვინის ყველა ნაწილი შესწავლილია სხვადასხვა გამოკვლევების მეშვეობით. მაგ: ფუნქციური მაგნიტური რეზონანსი, პოსიტრონთა გამოსხივების ტომოგრაფია და ერთი პოსიტრონის გამოსხივების კომპიუტერული ტომოგრაფია. 2002 წელს მკვლევარებმა ამ მეთოდების გამოყენებით ერთმანეთს შეადარეს 152 ყურადღების დეფიციტი და ანტიპერაქტიულობის სინდრომის მქონე ბავშვი და იგივე ასაკისა და სქესის 139 ჯანმრთელი ბავშვი. ყურადღების დეფიციტი და ანტიპერაქტიულობის სინდრომის მქონე ბავშვებს აღენიშნათ შუბლის წილის, საფეთქლის რუხი ნივთიერების, კაუდატ ბირთვის და ნათხემის არეებში ტვინის ზომის შემცირება.


ამავე კვლევამ აჩვენა, რომ ნამლებზე მყოფ ბავშვებში თეთრი ნივთიერება იმავე ზომის იყო როგორც ჯანმრთელებში, ხოლო საღ

ბავშვებში, ბევრად მცირე. თეთრი ნივთიერება შედგება ბოჭკოებისაგან, რომლიც ტვინის სხვადასხვა რეგიონების შორ მანძილზე დაკავშირებას უზრუნველყოფს. ბავშვის ზრდასა და ტვინის ჩამოყალიბებისას ისინი სქელდებიან.

მიუხედავად ამისა, მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მაგნიტურ-რეზონანსული კვლევა ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოსტიკაში გამოუსადეგარია. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ ჩამოთვლილი კვლევის სხვა მეთოდებზეც.

სისხლის მიმოქცევის, ჟანგბადის გადატანის პრობლემა

გამოკვლევამ აჩვენა, რომ ხშირ შემთხვევაში ADHD-ის დროს თავის ტვინის შუბლის წილებს მიეწოდება ნაკლები ჟანგბადი, ვიდრე ეს ნორმის შემთხვევაში (სურ 1). შუბლის წილები ძირითადად ნებელობით პროცესებში მონაწილეობენ.



რასთან ერთად გვხვდება AD/HD?

სწავლის უნარის დაქვეითება

AD/HD-ის მქონე ბავშვთა 10-20%-ს აღენიშნება სწავლის უუნარობა. სკოლამდელი ასაკის ბავშვებში ეს გამოვლინდება სიტყვების გაგების უუნარობასა და სიტყვებით აზრის გამოხატვის შეფერხებაში. სკოლის ასაკის ბავშვებში კი თავს იჩენს წერა-კითხვის სიძნელეები და არითმეტიკული ჩამორჩენა. დისლექსიაც ფართოდ გავრცელებულია. კითხვის სირთულეები იპყრობს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა 8%-ს.

ტურეტის სინდრომი

AD/HD-ის მქონე მცირე პროცენტს აღნიშნება ნევროლოგიული დაავადება – ტურეტის სინდრომი. დაავადებას ახასიათებს სხვადასხვა სახის ტიკები, როგორცაა თვალის ხამხამი, სახის მანჭვა, განმეორებითი ნერვული მანერები და ა.შ. ამ ქცევის კონტროლი შესაძლებელია ნამლებით. სინდრომი ძალზედ იშვიათია, თუმცა თითქმის ყოველთვის AD/HD-სთან არის დაკავშირებული.

დიაგნოსტიკა

ფორმალური დიაგნოზი ეფუძნება რამდენიმე კრიტერიუმს, რომელიც აღნიშნულია მენტალური დაავადებების დიაგნოსტიკურ და სტატისტიკურ სახელმძღვანელოს მე-4 გამოცემაში. (DSM - IV). კრიტიკოსები აღნიშნავენ რომ ეს კრიტერიუმები სუბიექტური და გაურკვეველია. ისინი არ გულისხმობენ რაიმე ნევროლოგიურ ტესტებს. ეს კრიტერიუმები შექმნილია კვლევების ჩასატარებლად. ქვემოთ ჩამოთვლილი სახელმძღვანელოს კრიტერიუმების მიხედვით ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი სამ სახედ იყოფა:

1. ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომის კომბინირებული ტიპი: თუ ბოლო 6 თვის განმავლობაში აღინიშნა კრიტერიუმები 1ა და 1ბ.
2. ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომის უმეტესად უყურადღებო ტიპი: თუ ბოლო 6 თვის განმავლობაში მხოლოდ კრიტერიუმი 1ა აღინიშნა.
3. ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი, უმეტესად ჰიპერაქტიული – იმპულსური ტიპი: თუ ბოლო 6 თვის განმავლობაში მხოლოდ კრიტერიუმი 1ბ აღინიშნა

ტერმინი ყურადღების დეფიციტური დარღვევა გაქრა სახელმძღვანელოს განახლებისას. მას ამჟამად ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომს უწოდებენ და სხვადასხვა ფორმით მოიხსენიებენ. მაგალითად, პირველადი ჰიპერაქტიულობით გამოწვეულ დაავადებას (ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის

სინდრომი, უმეტესად ჰიპერაქტიულ – იმპულსური ტიპი), პირველადი უყურადღებობით გამონვეულ დაავადებას (ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი, უმეტესად უყურადღებო ტიპი) და ორივე მიზეზით გამონვეულ დაავადებას (ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომი, კომბინირებული ტიპი).

არ არსებობს რაიმე ობიექტური ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური ტესტი, რომელიც დაადასტურებს დაავადების არსებობას, შესაბამისად მსგავსი ტესტები დიაგნოსტიკაში არ გამოიყენება.

DSM - IV-ის კრიტერიუმები AD/HD – სთვის

I.

Ⓛ ჩამოთვლილიდან 6 ან მეტი აღინიშნება 6 თვის განმავლობაში და არ ესადაგება განვითარების დონეს:

1. არ აქცევს ყურადღებას დეტალებს და დავალებებში ხშირად უშვებს შეცდომებს,
2. უჭირს დავალებებსა და თამაშზე ყურადღების დიდი ხნით შეჩერება,
3. ხშირად არ უსმენს, როდესაც პირისპირ ესაუბრებიან,
4. უჭირს ინსტრუქციების მიდევნა,
5. უჭირს ღონისძიებების ორგანიზება,
6. თავს არიდებს ან არ სიამოვნებს ისეთი ქმედება, რომელიც დიდი ხნით გონების დაძაბვას მოითხოვს,
7. ხშირად კარგავს ნივთებს,
8. ადვილად ეფანტება ყურადღება,
9. ყოველდღიურ ქმედებებში გულმავინყია.

II.

Ⓛ ჩამოთვლილი ჰიპერაქტიულ – იმპულსური ქმედებებიდან 6 ან მეტი აღინიშნება ბოლო 6 თვის მანძილზე, რაც არ შეესაბამება მისი განვითარების დონეს:

1. ხშირად ათამაშებს ხელებს და იკლავს სკამზე ჯდომისას,
2. ხშირად დგება, როდესაც ეს მიუღებელია,
3. ხშირად დარბის და ძვრება იქ, სადაც არ შეიძლება (ზრდასრულები მოუსვენრები არიან),

4. არ შეუძლია წყნარად თამაში ან გართობა,
5. „დაქოქილია“ და თითქოს „ძრავაზეა შეერთებული“,
6. ბევრს ლაპარაკობს.

იმპულსიურობა

1. ხშირად იძლევა პასუხს კითხვის დამთავრებამდე,
2. უჭირს თავისი ჯერის დალოდება,
3. ხშირად ეჩრება სხვების საუბარში.

II. ზოგიერთი სიმპტომი 7 წლამდე აღინიშნებოდა.

III. ზოგი სიმპტომი ორ ან მეტ გარემოში იჩენს თავს (სკოლა/სამსახური და სახლი)

IV. არსებობს ნათელი სამხილი სოციალურ, სკოლის და სამსახურში ფუნქციონირების დარღვევისა.

V. სიმპტომები არ გვხვდება მხოლოდ განვითარების დარღვევის, შიზოფრენიის ან სხვა ფსიქოზური დაავადების შემთხვევაში. სიმპტომებს არ ესადაგება რაიმე სხვა დაავადება.

დაავადებების და სხვა ჯანმრთელობის პრობლემების ინტერნაციონალური სტატისტიკური კლასიფიკაციის მე-10 გამოშვებაში AD/HD-ის „ჰიპერკინეზურ დაავადებას“ უწოდებენ. თუ ამას თან ქცევის დარღვევაც ახლავს, მაშინ „ჰიპერკინეზულ ქცევით დარღვევას“. მეორენაირად დაავადებას „აქტიურობის და ყურადღების დაზიანებას“ ეძახიან. ან „სხვა ჰიპერკინეზულ დარღვევას“ და „დაუდგენელ ჰიპერკინეზულ დარღვევას“. ეს უკანასკნელი ხანდახან მოიხსენიება როგორც „ჰიპერკინეზული სინდრომი“.

ამერიკელ პედიატრთა აკადემიის, გაიდლაინის მიხედვით, ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოზი შემდეგი სამი კრიტერიუმის შესრულების შედეგად ისმევა:

- DSM - IV - ის მიხედვით;
- ბავშვის სიმპტომთა ერთ გარემოებაზე მეტგან დაფიქსირება;
- თანმხლები დაავადებების ძიება.

პირველი კრიტერიუმის დაკმაყოფილება კონერსის შეფასების სკალით შეიძლება. მეორე კრიტერიუმს პაციენტის ისტორიის შეკრების შემდეგ ვპასუხობთ. ის რომ სიმპტომები ერთ გარემოზე მეტგან

გვხვდება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან შეიძლება მიზეზი არა ბავშვიდან, არამედ მშობლისგან ან სკოლიდან გამომდინარეობდეს. მესამე კრიტერიუმის დასადგენად ვიყენებთ ინტელექტის, ფსიქოლოგიურ ან ნეიროფსიქოლოგიურ ტესტებს.

დაავადების კონტროლისა და პრევენციის ცენტრი იტყობინება, რომ დიაგნოზი მხოლოდ პროფესიონალმა უნდა დასვას, რადგან სიმპტომები შეიძლება ფიზიკურმა ან ფიზიოლოგიურმა დარღვევებმა გამოიწვიოს. (მაგ: ჰიპოთირეოდიზმი). ხშირად ერთ-ერთ სიმპტომს ფიზიკურად და გონებრივად ჯანმრთელი ხალხიც გამოხატავს ხოლმე. პოზიტიური დიაგნოზი ისმევა იმ შემთხვევაში, თუ სიმპტომების სიმძიმე გავლენას ახდენს ინდივიდუალის წარჩინებაზე სკოლაში, სამსახურში ან ნებისმიერ სოციალურ გარემოში.

AD/HD ხშირად დიდობაშიც გვხვდება. მათი დიაგნოსტიკა იმავი კრიტერიუმებით ხდება იმისი გათვალისწინებით, რომ სიმპტომები 7 წლის ასაკამდეც აღინიშნებოდა. დიდებში წამყვანი სიმპტომი უყურადღებობაა და ამის გამო ისინი ცხოვრებაში მრავალ უსიამოვნებას აწყდებიან. ხშირი თანმხლები დაავადებაა წინააღმდეგობრივი გამომწვევი დაავადება. AD/HD-ით დაავადებულთა 20–25% სწავლის უუნარობით გამოირჩევა. ეს უფრო ხშირი უყურადღებობის სიმპტომების არსებობისასაა.

ძირითადი სირთულეები, რომელიც სწავლის დროს და ცხოვრებისეულ სიტუაციებში გვხვდება.

რისკ-ფაქტორები



1. ინდივიდთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

- იმპულსურობა;
- აგრესია;
- „ფეთქებადი“ ტემპერამენტი;
- ნევროლოგიური დარღვევები;
- დაბალი მოსწრება სკოლის საგნებში;
- გაცდენები;
- სუსტად განვითარებული სოციალური ნორმების დაცვა;
- დეპრესია და შფოთვა;
- დაბალი ან ძალიან მაღალი თვითშეფასება.

2. ოჯახთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

- ოჯახური გათიშულობა და გულგრილობა;
- სუსტი სოციალური და ემოციური მიჯაჭვულობა მშობელსა და ბავშვს შორის;
- არათანმიმდევრული ან აგრესიული აღზრდა;
- კონტროლის და მეთვალყურეობის ნაკლებობა;
- მშობლების ალკოჰოლიზმი, ნარკომანია, სხვა;
- ფსიქიკური პრობლემები;
- მწირი სოციალური კავშირები;
- ხშირი ოჯახური კონფლიქტი;
- ნეგატიური ურთიერთობა მშობლებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

3. სკოლასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

- ნაკლებად მოტივირებული სტუდენტი დაბალი მოსწრებით;
- ბუნდოვანი წესები;
- ხშირი კონფლიქტი და არახელსაყრელი ატმოსფერო საკლასო ოთახში;
- სტუდენტების ნაკლები ჩართვა სასწავლო პროცესში;
- არაკომპეტენტური მასწავლებელი;
- სუსტად დაგეგმილი პრევენციული ზომები.

4. თანატოლებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები:

- თანატოლების მიერ უარყოფა;

- არამყარი ურთიერთობები;
- კრიმინალის მიმართ დადებითი დამოკიდებულება.

როგორ დავეხმაროთ ადამიანებს AD/HD სინდრომით

- მედიკამენტოზური მკურნალობისა და ქცევის მართვის სტრატეგიების ეფექტური თანხვედრა;
- მშობლების მასწავლებლების სხვა სპეციალისტების შეთანხმებული მიზანმიმართული მუშაობა;
- მოსწავლისათვის გასაგები და ადვილად შესასრულებელი დღის რუტინის (გეგმის) შემუშავება;
- მოსწავლისათვის გასაგები და ადვილად შესასრულებელი კლასის რუტინის შექმნა;
- მოსწავლისათვის შესაფერისი აქტივობების შემუშავება;
- ეფექტიანი წახალისების სისტემის შემუშავება.

გუნდური მუშაობა

მშობლის, მასწავლებლის და სხვა სპეციალისტების ერთობლივი ორგანიზებული, მიზანმიმართული მუშაობა არის წარმატების გარანტი ნებისმიერ საქმიანობაში. საკმაოდ ძნელია AD/HD-ის მქონე მოსწავლის სასწავლო პროცესის დაგეგმვა და შემდგომში განხორციელება, მაგრამ ეს არ არის შეუძლებელი! ზემოთ აღნიშნულ გუნდს შესწევს ძალა, გაართვას თავი ნებისმიერ სირთულეს.

დღის რუტინა

ადამიანებს AD/HD-თ აქვთ სირთულეები საკუთარი დროის ან აქტივობების (მოქმედებების) ორგანიზებაში, რაც თავის მხრივ იწვევს რიგ სირთულეებს:

- მოუწესრიგებელი ოთახი;
- არაპუნქტუალურობა;
- დაუმთავრებელი საქმეები და სხვა;

ეს ყველაფერი ადამიანს ბევრ სირთულეს უქმნის ცხოვრებაში. ამის აღმოსაფხვრელად ერთ-ერთი საშუალება არის დღის რუტინა:

წინასწარ ჩამოწერილი, ნათლად (ვიზუალურად) აღსაქმელი აქტივობების ნუსხა, რომლის თანდათანობითი შესრულება გამოიწვევს ზემოთ ჩამოთვლილ სიძნელეებს. დღის რუტინა შეიძლება ასახავდეს მთელი დღის აქტივობებს მაგ. გაღვიძება-დაძინებამდე ან ერთ რომელიმე მონაკვეთს, რომელშიც ყველაზე მეტად უჭირს ადამიანს.

კლასის რუტინა


ნებისმიერ სკოლაში, კლასში არის გარკვეული წესები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლასის ეფექტიან ფუნქციონირებას. რაც უფრო ნათელია მოსწავლისთვის არსებული წესები, მით უფრო უადვილდება მათი დაცვა. თუ მან იცის აქტივობების თანმიმდევრობა, აქვს პასუხი კითხვებზე: „მერე რა მოდის?“ „რა დამრჩა?“ და სხვა, კლასში უფრო პროდუქტიულია.

მოსწავლისთვის შესაფერისი აქტივობების შემუშავება

რაც უფრო მორგებულია აქტივობა მოსწავლის შესაძლებლობებს, მით უფრო წარმატებული და მოტივირებულია მოსწავლე. ეს თავის მხრივ გამოიწვევს მოსწავლის მხრიდან არასასურველი ქმედებების საკმაოდ ვრცელ სიას, რომლებიც დავალების თავის არიდების მიზნით ხორციელდება ხოლმე.

ეფექტური ნახალისების სისტემის შემუშავება

მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლისთვის შეირჩეს ეფექტიანი ნახალისების სისტემა, რათა ყოველთვის მოტივირებული იყოს მიზნის მიღწევისას. ის ხომ საკმაოდ ბევრ ენერგიას ხარჯავს მუშაობის პროცესში იმისთვის, რომ მიაღწიოს წარმატებას. თუ მასწავლებელი სხვა სპეციალისტებთან ერთად (ფსიქოლოგი, სხვა) შესძლებს ეფექტიანი ნახალისების სისტემის შემუშავებას, ეს გაზრდის მოსწავლის მოტივაციას, შრომის უნარიანობას და საბოლოოდ მიიღწევა ყველა ის მიზანი, რაც დასახული იყო მასწავლებლის მიერ.



დისლექსია

რა არის დისლექსია?

დისლექსია სწავლის უნარის დაქვეითებაა, რაც ძირითადად კითხვისა და მართლწერის სირთულეებში ვლინდება. დისლექსიის მქონე ბავშვებს სირთულეები კითხვისას, წერისას და ანგარიშის დროს უჩნდებათ.

ფაქტები და სტატისტიკა

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სკოლის ასაკის ბავშვების 5-9% დისლექსიით არის დაავადებული. თუმცა ზოგიერთებმა პროცენტული მაჩვენებელი 17-ამდე ასწიეს. ახალმა კვლევებმა აჩვენა, რომ დისლექსია ამერიკაში უფრო ხშირად მცირე ბიზნესის მფლობელებს შორის გვხვდება და დაახლოებით 20-35%-ს შეადგენს.

დისლექსია დაწყებით კლასებში სიტყვების დონეზე კითხვის ჩამოყალიბების დეფიციტია. ეს სირთულე ვიზუალური სიმბოლოების (ასოების) ვერბალურ ბგერებთან დაკავშირების დაქვეითებული უნარის გამო იქმნება. ითვლება, რომ დისლექსია ბავშვის განვითარების დროს ყალიბდება. კვლევების უმეტესობა დისლექსიიდან გამორიცხავს შემთხვევებს, რომელიც შესაძლოა გარე ფაქტორების – ვთქვათ, განათლების ნაკლებობა ან სენსორული დეფიციტი – ზემოქმედებით შეიძლება აიხსნას. დისლექსიის ხარისხი შესაბამისი მკურნალობით,

მომზადებით და დამხმარე ტექნოლოგიების გამოყენებით მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს.

ფიზიოლოგია

თანამედროვე ტექნოლოგიებმა, როგორებიცაა: ფუნქციონალური მანგიტურ-რეზონანსული კვლევა ე.წ. კომპიუტერული გამოკლევა (FMRI) და პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფია, ნათლად აჩვენა სტრუქტურული ცვლილებების არსებობა კითხვის სირთულეების მქონე ბავშვების თავის ტვინში. აღმოჩნდა, რომ დისლექსიის მქონე ადამიანებს აქვთ გამოხატული დეფიციტი მარცხენა ჰემისფეროს არეებში, რომელიც უშუალოდ კითხვაში მონაწილეობს. იგი მოიცავს შუბლის ქვედა ხვეულს, თხემის ქვედა და შუა ნილს და საფეთქლის ქერქს.

მეცნიერულმა კვლევებმა აჩვენა, რომ დისლექსიის შემთხვევაში თავის ტვინში არის ანატომიური განსხვავებები, რაც თავის ტვინის ქერქსა და თალამუსში (შუამდებარე ტვინი) შეინიშნება. 1979 წელს, ალბერტ გალაბურდამ (ჰარვარდის სამედიცინო სკოლა) შეამჩნია დისლექსიის მქონე პაციენტების თავის ტვინის მეტყველების ცენტრში არსებული ანატომიური ცვლილებები. ეს იყო მიკროსკოპული ცვლილებები, რომელთაც ექტოპიები და მიკროხვეულები ეწოდებოდათ. ორივე გავლენას ახდენს ქერქის ტიპურ ექვს შრიან სტრუქტურაზე. ექტოპია ნეირონების გროვაა, რომელიც ქვედა შრებიდან ყველაზე მეტად ამოვიდა ზედაპირზე. მიკროხვეული კი ქერქის ის უბანია, რომელიც ექვსის მაგივრად ოთხ შრეს შეიცავს. ეს ცვლილებები გავლენას ახდენს ქერქის კავშირსა და ფუნქციონირებაზე იმ არეებთან, რომლებიც დაკავშირებულია სმენით და მხედველობით ფუნქციებთან. ეს თითქოს ეთანხმება იმ ჰიპოთეზას, რომ დისლექსია ფონოლოგიური დეფიციტით არის გამოწვეული.

დიაგნოზი

დისლექსიის დიაგნოზი კვალიფიცირებული პროფესიონალის, მაგალითად, ნევროლოგის და განათლების სფეროში სპეციალიზირებული ფსიქოლოგის მიერ ისმება. შეფასება ძირითადად მოიცავს კითხვის უნარის დონის განსაზღვრას, საგნების სწრაფი დასახელების ტესტს, მოკლევადიანი მეხსიერების და თანმიმდევრულობის უნარის შეფასებას. ასევე, არარსებული სიტყვების კითხვას, რათა შეფასდეს

ფონოლოგიური კოდირების უნარი. როგორც წესი, შეფასება ასევე მოიცავს IQ ტესტს, რათა დადგინდეს სწავლების პროფილის ძლიერი და სუსტი მხარეები.

ზოგადი

დისლექსიის მქონე ადამიანი:

- შეიძლება იყოს გონებამახვილი, საზრიანი და კარგი მეტყველების მქონე, თუმცა მათი კითხვის, წერისა და მართლწერის დონე არ შეესაბამება ასაკობრივ ნორმას;
- შესაძლოა ჰქონდეთ დაბალი აკადემიური მოსწრება კითხვა-სა და წერასთან დაკავშირებული პრობლემების გამო;
- შეიძლება ჰქონდეთ კარგი მეტყველების უნარი, მაგრამ გამოავლინონ სისუსტე წერაში;
- დისლექსია ძირითადად გავლენას ახდენს კითხვის უნარზე და არა ზოგადად მოსწავლის ინტელექტზე;
- შესაძლოა დამალონ კითხვითი სისუსტე კომპენსატორული „სტრატეგიით“;
- შეიძლება უკეთ სწავლობდნენ ხელის შეხებით, დემონსტრირებით, ექსპერიმენტით, დაკვირვებით და მხედველობის დახმარებით;
- შესაძლოა გამოავლინოს ტალანტი სხვა სფეროში, როგორც არის ხელოვნება, დრამა, დიზაინი, მუსიკა, სპორტი, მექანიკა, ვაჭრობა, ბიზნესი, მშენებლობა ან ინჟინერია;
- სკოლაში ჰქონდეთ ყურადღებასთან დაკავშირებული პრობლემები. მაგალითად: ხშირად „დაფრინავდნენ“ ოცნებებში, მარტივად იკარგებოდნენ ან არ ჰქონდეთ დროის შეგრძნება და ჰქონდეთ პრობლემები ყურადღების კონცენტრაციასთან;
- გაუცნობიერებლად გამოავლინონ სარკისებური კითხვა ან წერა;
- ციფრებს შეიძლება კითხულობდნენ უკუღმა და გადახტომით;
- უცხო ენის სწავლა შესაძლოა დიდ სირთულესთან იყოს დაკავშირებული.

ფონოლოგიური დისლექსია

ფონოლოგიური დისლექსია დამახასიათებელია მათთვის, ვისაც შეუძლია სიტყვების ხმამაღლა წაკითხვა, მაგრამ აქვს არარსებული სიტყვების ბგერითი ანალიზის ან სიტყვების გამოთქმის პრობლემა. კასტლეს და კოლთჰარტს კვლევისას ჰყავდათ 56 დისლექსიის მქონე და 56 დისლექსიის არ მქონე ბიჭი. მათ უნდა წაეკითხათ არსებული და არარსებული სიტყვები. ბიჭების უმეტესობას (55%) აღმოაჩნდა ფონოლოგიური დისლექსია ანუ ასოების (გრაფემული სიმბოლოების) სიტყვაში გაერთიანების დეფიციტი ხმამაღლა კითხვის დროს.

გენეტიკური ფაქტორი

როგორც ჩანს, დისლექსიას გენეტიკური კომპონენტიც გააჩნია. ასე მაგალითად, იგი შეიძლება გამოვლინდეს ერთი და იგივე ოჯახის სხვადასხვა წევრებში. კითხვითი სიძნელეები შეიძლება განსხვავებული სიმწვავის იყოს. მდგომარეობა მხოლოდ ბავშვობით არ შემოიფარგლება და შეიძლება მოზრდილ ასაკამდე გასტანოს. კვლევებმა აჩვენეს, რომ დისლექსია ბიჭებში უფრო ხშირად გვხვდება.

ქვემოთ ჩამოთვლილია დისლექსიის განმამტკიცებელი ფაქტორები და გამომწვევი მიზეზები, რომელთაც კითხვის სირთულეებამდე მივყავართ.

- **სმენითი პროცესირების/გადამუშავების დარღვევა** — არის მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს სმენითი ინფორმაციის დამუშავებაზე. მან შეიძლება შექმნას პრობლემები სმენით მებსიერებასა და მიმდინარეობაში. ბევრ დისლექსიის მქონე ადამიანს აქვს სმენითი პროცესირების დარღვევები, რომელიც მოიცავს სმენით ცვლილებებს. სმენითი პროცესირების დარღვევა ცნობილია როგორც დისლექსიის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი.

- **კლატერინგი (არეული, აბდა-უბდა საუბარი)**
მეტყველების დარღვევაა, რომელიც გულისხმობს როგორც მეტყველების სიჩქარის, ასევე რითმის ცვლილებას (აჩქარება-შენელება). საუბარში იკვეთება სწრაფი და წყვეტილი მომენტები, რომელსაც მცდარი ფრაზირებისკენ მივყავართ.

- დისპრაქსია

ნევროლოგიური დარღვევაა, რომლის დროსაც ადამანს განსაზღვრული დავალებების შესრულება უჭირს. კერძოდ: წონასწორობის დაცვა, ნატიფი მოტორიკის კონტროლი და კინესთეტიკური კოორდინაცია. დისპრაქსიისათვის ასევე დამახასიათებელია მოკლევადიანი მოტორული მეხსიერების და დაგეგმვის პრობლემები.

- ვერბალური დისპრაქსია

ნევროლოგიური დარღვევაა, რომელიც ხასიათდება ბგერების წარმოთქმის სირთულეებით. ეს გამოწვეულია თავის ტვინში მეტყველების უბნის მოუმწიფებლობით.

- დისგრაფია

ნევროლოგიური დარღვევაა, რომელიც თავდაპირველად წერის ან ბეჭდვის დროს ვლინდება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება გავლენა იქონიოს თვალისა და ხელის კოორდინაციაზე. დისგრაფია დისპრაქსიისგან განსხვავდება იმით, რომ დისგრაფიის დროს პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს სიტყვა დასაწერად ან შესასრულებელი დავალების სწორი თანმიმდევრობა, მაგრამ განხორციელების დროს არასწორი რიგითობა ამოირჩიოს.

- დისკალკულია

ნევროლოგიური დარღვევაა, რომელის დროსაც გვხვდება ნუმერაციის საფუძვლების სწავლების პრობლემა. ასეთ ადამიანებს შეიძლება ესმოდეთ ძალიან რთული მათემატიკური კონცეფციები და პრინციპები, მაგრამ უჭირდეთ მარტივი ფორმულების, მიმატება და გამოკლების აღქმაც კი.

განვითარებადი დისლექსიის თეორიები

მომდევნო თეორიებს არ უნდა შეეხედოთ როგორც კონკურენტებს, ეს არის თეორიები, რომელიც ცდილობს კვლევაზე დაფუძნებით აიხსნას მსგავსი სიმპტომების გამომწვევი მიზეზები.

ევოლუციური ჰიპოთეზა

ეს თეორია ამტკიცებს, რომ კითხვა არის არაბუნებრივი აქტი, რომელიც განახორციელეს ადამიანებმა ძალიან დიდი ხნის წინ ჩვენს

ევოლუციურ ისტორიაში (დალბი, 1986). ასზე ნაკლები წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დასავლურმა საზოგადოებამ კითხვა მასობრივი გახადა. ამიტომაც ის ძალა, რომელიც კითხვას აყალიბებს ჩვენს ქცევად ჯერ-ჯერობით ძალიან სუსტია. დღესაც კი მსოფლიოს ბევრ კუთხეში კითხვა არ არის ხელმისაწვდომი მოსახლეობის უმრავლესობისათვის. არ არსებობს მაგალითი იმისა, რომ დისლექსიას „პათოლოგია“ უდევს საფუძვლად, მაგრამ გვაქვს ნათხემის ვარიაციების და განსხვავებების მტკიცებულებები. ეს ის არსებითი განსხვავებებია, რომელიც თან სდევს კითხვის, როგორც არაბუნებრივი ამოცანის შესრულებას.

ფონოლოგიური ჰიპოთეზა

ფონოლოგიური ჰიპოთეზა ამტკიცებს, რომ დისლექსიის მქონე ადამიანებს აქვთ სპეციფიური შეზღუდვა რეპრეზენტაციაში, შენახვასა და/ან მეტყველების ბგერების აღდგენაში. ეს ხსნის კითხვის შეზღუდულ უნარს იმის საფუძველზე, რომ ანბანური სისტემის კითხვის სწავლებისთვის საჭიროა გრაფემ/ფონემური შესაბამისობა, რაზეც დიდ გავლენას იქონიებს ანბანური სისტემის კითხვის ფონეტიკური მეთოდით სწავლება.

ენის გავლენა მართლწერაზე

ზოგირეთმა კვლევამ დაამტკიცა, რომ იმ ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები, სადაც ასო და ბგერა ერთმანეთთან შეთანხმებულია (მაგ. ქართული, იტალიური) ნაკლებად განიცდიან დისლექსიის გავლენას, ვიდრე იმ ენობრივი ჯგუფის წარმომადგენლები სადაც ასო და ბგერა ნაკლებ შესაბამისობაშია (მაგ. ინგლისური და ფრანგული).

კითხვის მექანიზმები მოკლედ

კითხვის უნარი

კითხვის პროცესი მოიცავს 2 აუცილებელ პირობას (ამოცანას):

- **დეკოდირება (გაშიფრვა):** დაკავშირებულია კითხვის ტექნიკურ ასპექტთან – დაბეჭდილი კოდის გაშიფვრასთან დაწერილის (წანერის) გასაგებად.

- **გაგება:** ნაკითხული უკავშირდება წინა გამოცდილებას და სამოქმედო სქემას (framework), რომელიც ნაკითხული სიტყვების მნიშვნელობებს გვანჯდის (Høien & Lundberg, 2000).

კოდის გაშიფრვა 2 სხვადასხვა მეთოდითაა შესაძლებელი: ასო-ასო ან მარცვალ-მარცვალ კითხვის მეთოდით (ფონოლოგიური სტრატეგია) და მთლიანი სიტყვის კითხვის მეთოდით (ორთოგრაფიული სტრატეგია). ეს უკანასკნელი (ორთოგრაფიული) სტრატეგია მოითხოვს სიტყვის გრაფემული გამოსახულების მისსავე სემანტიკურ (მნიშვნელობის) შინაარსში პირდაპირი გადატანის უნარს, ხოლო ფონოლოგიური სტრატეგიის გამოყენება დამყარებულია მისი ქვეერთეულების ამოცნობაზე.

მეტყველება, სმენა და მოსმენა

მეტყველების გვიან დაწყება შეიძლება დისლექსიის ადრეული ნიშანი იყოს. ბევრ დისლექსიის მქონე ადამიანში გვხვდება სმენით მიღებული ინფორმაციის გაშიფრვის და გადამუშავების პრობლემა. ადრეული ენაბლუობა და კლატერინგი შეიძლება დისლექსიის გამაფრთხილებელ ნიშნებად ჩაითვალოს.

დისლექსიის მქონე ბევრ ადამიანს შესაძლოა გამოთქმით მეტყველებასთანაც ჰქონდეს პრობლემა. ხშირად ერევათ ბგერები მრავალ მარცვლიან სიტყვებში (მაგ: ცხიველი ცხოველის ნაცვლად, ბისგეტი – სპაგეტი, ვირტმფრენი – ვერტმფრენი, ჰანგაბერგი – ჰამბურგერი, ჟურლინი – ჟურნალი და ა.შ.). ასევე დამახასიათებელია პრობლემები სრული წინადადების გამოთქმისას. შეიძლება უჭირდეთ რ-ს, ლ-ს, მ-ს და ნ-ს სწორად გამოთქმა. ხშირად ვხვდებით „მოუმწიფებელ“ საუბარს. მეორე ან მესამე კლასში შესაძლოა კიდევ ამბობდნენ „წიელი და მვანე“-ს წითლისა და მწვანეს მაგივრად. ასევე შეიძლება ჰქონდეთ სწრაფი, აბდა-უბდა და მერყევი საუბარი. რადგან კითხვისას აუცილებელია სიტყვების გამოთქმა. ბუნებრივია, რომ მეტყველების პრობლემის მქონე ბავშვებს მოგვიანებით კითხვაშიც უჭნდებათ სირთულეები. ბევრს აქვს მეტყველების პრობლემა, რომელიც სმენითი გადამუშავების დარღვევასთან არის კავშირში. ბევრ დისლექსიის მქონე ადამიანს ასევე ექმნება პრობლემა ფონემატურ ანალიზთან.

**მეტყველება/სმენის დეფიციტის და დისლექსიის
საერთო ინდიკატორები:**

1. ერევათ ჯერ/შემდეგ, მარჯვენა/მარცხენა და ა.შ;
2. უჭირთ ანბანის სწავლა;
3. უჭირთ ტექსტში სიტყვების ამოცნობა;
4. უჭირთ რითმული სიტყვების წარმოთქმა ან სიტყვაში ხმოვნების (ფონოლოგიური უნარი) გამოდიფერენცირება;
5. უჭირთ სიტყვაში ბგერების ერთმანეთისგან განსხვავება (სმენითი დისკრიმინაცია) ;
6. სირთულე ასოების ბგერების სწავლაში;
7. უჭირთ საგნისა და მისი შესაბამისი სიტყვის ხატის ერთმანეთთან დაკავშირება;
8. წინადადებაში ერევათ სიტყვათა თანმიმდევრობა;
9. შეცდომით ლაპარაკის შიშის გამო, ზოგი ბავშვი ხდება მორცხვი და გარიყული ან ხდება ჭირვეული.

კითხვა და მართლწერა

- **მართლწერის შეცდომები** – ასოებისა და ბგერების ურთიერთშესატყვისობასთან დაკავშირებული სირთულეების გამო, მოსწავლემ შესაძლოა არასწორად დაწეროს სიტყვა;
- **ასოთა სივრცეში განლაგება** – ხშირად ბავშვები სარკისებურ შეცდომებს უშვებენ წერისას და კითხვისას. მაგ: ხე- ძე და ა.შ;
- **კითხვა** – რადგან დისლექსიის მქონე მოსწავლეებს კარგი ხაგრძლივი მეხსიერება აქვთ, ისინი იზეპირებენ სიტყვის გამოსახულებას და ცდილობენ „პირად იკითხოონ“, ამიტომ მათ ხშირად ეშლებათ სიტყვის დაბოლოებები და ვერ ცნობენ სიტყვას ახალ წინადადებაში;
- **სიტყვათა მარაგი** – მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ზეპირი მეტყველებისას მდიდარი სიტყვათა მარაგი ჰქონდეთ, წერისას ისინი მხოლოდ პატარა ნაწილს იყენებენ.

წერა და მოტორული უნარები

კვლევებმა დაადგინეს, რომ დისლექსიის დროს ხშირია მოტორული უნარების დარღვევა, რაც მოუქნელობასა და ცუდ კოორდინაციაში ვლინდება.

კითხვის პრობლემების გამო, დისლექსიის მქონე ადამიანს შეიძლება კალმით წერის დროსაც შეექმნას პრობლემები: შენელებული წერა ან ცუდი კალიგრაფია.

მათემატიკური უნარები

დისლექსია არ უნდა აგვერიოს დისკალკულაციაში, რომელიც მათემატიკაში სწავლების უუნარობას ნიშნავს. კითხვაში პრობლემების მიუხედავად დისლექსიის მქონე ადამიანები შესაძლოა დაჯილდოვებულნი იყვნენ მათემატიკური ნიჭით. თუმცადა, შესაძლოა პრობლემები ჰქონდეთ ამოცანის პირობის გაგებაში. შესაძლოა სირთულეები მათემატიკური ფაქტების დამახსოვრებაში, მაგ. გამრავლების ტაბულა, განტოლების ამოხსნის ეტაპები და სხვა მსგავსი მათემატიკური ამოცანები.

როგორ დავეხმაროთ დისლექსიის მქონე მოსწავლეებს

დისლექსიის მქონე ადამიანის განკურნება შეუძლებელია, მაგრამ შესაბამისი განათლების პროგრამის საშუალებით, შესაძლებელია წერა-კითხვის სწავლება.

სამი ნაბიჯი წარმატებისკენ

1. ადრეული დიაგნოსტირება;
2. სწავლების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება;
3. თანამშრომლობა მშობლებსა და სკოლის გუნდს შორის.

ადრეული დიაგნოსტირება

რაც უფრო მალე მოხდება დისლექსიის „აღმოჩენა“, მით გაუადვილდება – მოსწავლეს „ცხოვრება“ და მასწავლებელს მუშაობა.

სწავლების ინდივიდუალური გეგმის შემუშავება

ეფექტიანი სასწავლო გეგმა წარმატების საწინდარია. მასწავლებელმა და სხვა სპეციალისტებმა მოსწავლის ძლიერი მხარეების გათვალისწინებით უნდა შეიმუშავონ მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რაც სასწავლო პროცესს უფრო ეფექტიანს გახდის.

დამხმარე საშუალებების მოკლე ჩამონათვალი:

- კითხვის დროს ტექსტისთვის თითის გაყოლება;
- ხმამაღლა კითხვა;
- „ფერადი სახაზავი“, ფერადი გამჭვირვალე შუშა ტექსტზე. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ თუ ტექსტის ფონი იცვლება დის-ლექსიის მქონე მოსწავლეებს უადვილდებათ კითხვა. ხშირ შემთხვევაში ამ მეთოდს (ფერადი ფონი) იყენებენ ინტერნეტ გვერდების დიზაინში;
- წერისას ასოების მიმართულებების აღნიშვნა;
- განსხვავებების ხმამაღალი აღნიშვნა;
- მეტი დროის მიცემა დავალების გადაწერის დროს.

თანამშრომლობა მშობელსა და სკოლის გუნდს შორის:

მოსწავლე სკოლაში განსაზღვრულ დროს ატარებს, უმეტესს კი — სახლში. საშინაო დავალებების კარგი სისტემა წარმატების საწინდარია. მშობლის ჩართულობა ბავშვის სასწავლო პროცესში მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლის განვითარების დონეს.

მულტიენსორული მეთოდი

აქტივობები

- სიტყვის ბარათები;
- მოძრავი ანბანი + სურათი;
- „ანბანი“ კომპიუტერული თამაში;
- გიგანტები და ლილიპუტები;
- ფერადი სიტყვები.

სიტყვის ბარათები და მოძრავი ანბანი

1. მოსწავლე პოულობს სურათის შესაბამის სიტყვას სხვა სიტყვებიდან;
2. მოსწავლე ასო-ასო აწყობს სიტყვას სურათის და ტექსტის დახმარებით;
3. მოსწავლე ასო-ასო აწყობს სიტყვას მხოლოდ სურათით;
4. მოსწავლე ასო-ასო აწყობს სიტყვას მხოლოდ სიტყვიერი ინსტრუქციით „კატა“ და ადარებს ტექსტს.

გიგანტები და ლილიპუტები

მოსწავლე და მასწავლებელი დაფაზე წერენ სხვადასხვა ზომის ასოებს (ძირითადად ასოებს, რომელთა დაწერა-ამოცნობაში მოსწავლეს აქვს პრობლემა). მოსწავლე ასახელებს განსხვავებებს ასოებს შორის.

ფერადი სიტყვები

მასწავლებელი ან მოსწავლე ფერადი ცარცით წერს დაფაზე სხვადასხვა სიტყვებს, ნაცნობს და უცნობს. მოსწავლეები კითხულობენ ნაცნობ სიტყვებს და პოულობენ ნაცნობ ასოებს უცნობ სიტყვებში.



კატა
კ ა ტ ა

დათვური სამსახური

როგორ შეიძლება შევუშალოთ ხელი არამიზნობრივი დახმარებით:

1. ხელის შეშლა

- სამუშაო გარემოში სიმშვიდის დარღვევა;
- არამიზნობრივი ან ბუნდოვანი კითხვების დასმა;
- უცხო თემაზე გადახვევა;
- მოუთმენლობა;
- დავალების შესრულების პროცესის შეწყვეტა;

2. არამიზნობრივი დახმარება:

- გაუთავებელი გადამონმება მოთხოვნებისა, რომელიც ბავშვმა უკვე გაიგო;
- უკვე ცნობილი ინფორმაციის ხელახლა მინოდება;
- ამოცანის სიმარტივის აქცენტირება (როდესაც ბავშვისათვის ის რთულია);
- ბავშვის ინიციატივით აღშფოთება, როდესაც საქმე დავალების შესრულებას ეხება;

3. გადამეტებული დახმარება:

- „ფანქრის ხელში ჩადება“;
- მოსწავლის მაგივრად წიგნის გადაშლა;
- სკამის გასწორება;
- ერთი და იგივე დავალების გამეორება;
- ზედმეტი რჩევების მიცემა.

როგორ მოქმედებს გადამეტებული დახმარება სხვაზე?

თვითშეფასებით თვალსაზრისით:

- ინვეს უარყოფით თვითშეფასებას;
- ინვეს ნერვულ აგზნებას და შფოთვას;
- აფერხებს კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების უნარის განვითარებას;
- ამცირებს დამოუკიდებლობის ხარისხს;

მიღწევის თვალსაზრისით:

- მიყვავართ უარყოფით შედეგებამდე;
- მიყვავართ ინიციატივის ბლოკირებამდე;
- ზრდის სტრესს;
- მიყვავართ კონფლიქტამდე.

სოციალური ქცევის თვალსაზრისით:

- აქცევს ინდივიდს დამოკიდებულად;
- ინვეს პროტესტს;
- ინვეს უკმაყოფილებას;
- ინვეს ჩაკეტილობას;
- ბადებს მოუთმენლობას;
- ინვეს აგრესიას.

რეკომენდაციები მშობლებისთვის

რეკომენდაციები საშინაო დავალების შესრულების დროს

ყურადღების გაფანტვის პრევენცია

- მშვიდი სამუშაო ადგილი;
- მხოლოდ ის სამუშაო მასალა, რომელიც საჭიროა დავალების შესრულებისას;
- სტაბილური სიტუაციის შექმნა: დავალებაზე მუშაობისას მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ყურადღების გაფანტველი ფაქტორები მაგ: ტელევიზორის, ტელეფონის ან სხვა ხმა;
- კონცენტრირებული მშვიდი დაკვირვება;

მიზნობრივი დახმარება

- მკაფიო ინსტრუქციების მიცემა;
- დავალების სირთულეების მორგება მოსწავლის შესაძლებლობებზე;
- მითითებები ამოცანის დავალების გასაგებად;
- შეცდომებზე კომპეტენტური მინიშნება (კორექტირება შესწორების შესაძლო მიმართულებით, პერსპექტივით);
- განსაკუთრებული საკითხების (ინსტრუქციების) გარჩევა;
- გართულებული მოთხოვნებისათვის (ამოცანებისათვის) თავის არიდება;
- გამაფრთხილებელი და თანამშრომლობითი ურთიერთობა.

როგორ მოქმედებს მშობლის დახმარება ბავშვზე?

თანამშრომლობისა და მხარდამჭერი ურთიერთობის საფუძველზე მიღწეული მიზნები თავისთავად ჯილდოს ფუნქციას ასრულებს და ამავე დროს კრიტიკისა და შენიშვნების მიცემის საჭიროებას ამცირებს.

რა გავლენა აქვს თანამშრომლობით ურთიერთობას ბავშვზე?

თვითშეფასების თვალსაზრისით:

- ნდობის ამაღლება;
- თვითრწმენის ზრდა;
- პირველადი შიშების შემცირება;
- პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებული სტრესის შემცირება;

დადებითი შედეგის მისაღწევად მიმართული ქცევის თვალსაზრისით ბავშვები ხდებიან:

- უფრო ყურადღებიანები;
- უფრო დამოუკიდებლები;
- უფრო პასუხისმგებლობიანები;
- უშვებენ ნაკლებ შეცდომებს;
- მუშაობენ უფრო მიზანმიმართულად და კომპეტენტურად;
- ამცირებს საერთო სტრესს;
- ზრდის მიღწევათა დონეს.

სოციალური ქცევის თვალსაზრისით:

- უფრო მეტად უსმენენ სხვებს;
- იზრდება თანამშრომლობისათვის მზაობა;
- მცირდება კონფლიქტების რაოდენობა.

დეკლარაციები, კონვენციები, კანონები

სალამანკას დეკლარაცია, მიღებული იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე — განათლების სპეციალური საჭირებანი, ხელმისაწვდომობა და ხარისხი, სალამანკა, ესპანეთი, 1994 წლის 7-10 ივნისს;

მსოფლიო დეკლარაცია განათლება ყველასათვის — ძირითადი სასწავლო საჭიროებების უზრუნველყოფა მიღებული იუნესკოს მსოფლიო კონფერენციაზე „განათლება ყველასათვის“: 1990 წლის 9 მარტს;

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია — მიღებული გენერალური ასამბლეის 217 (III) რეზოლუციით 1948 წლის 10 დეკემბერს;

დეკლარაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ — მიღებული გენერალური ასამბლეის 3447 (XXX) რეზოლუციით 1975 წლის 9 დეკემბერს;

კონვენცია განათლების სფეროში დისკრიმინაციის წინააღმდეგ — მიღებული იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე 1960 წლის 14 დეკემბერს;

დაკარის მოქმედების საზღვრები, მიღებული მსოფლიო განათლების ფორუმზე სენეგალის დედაქალაქ დაკარში 2000 წელს;

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული რეაბილიტაციისა და დასაქმების შესახებ — შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია 159, მიღებული გენერალურ კონფერენციაზე 1983 წლის 1 ივნისს;

კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2006 წელი;

ბავშვის უფლებების კონვენცია — მიღებული გენერალური ასამბლეის 1959 წლის 20 ნოემბრის 1386 (XIV) რეზოლუციით;

საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ — 2005წ;

საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ — 1995წ;

ეროვნული სასწავლო გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის -2007

სშირად დასმული შეკითხვები

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებენ დათრგუნული ბავშვები. მათი ასეთი მდგომარეობის მიზეზის გამოკვლევა დიდ ძალისხმევას ითხოვს. გაკვეთილზე როგორ უნდა მოვახერხოთ ამაზე ზრუნვა?

მოსწავლეები სხვადასხვა მიზეზების გამო შეიძლება იყვნენ დათრგუნულები. შესაძლოა, მოსწავლეებს ჰქონდეთ ოჯახური პრობლემები, თანაკლასელებთან კონფლიქტი და სხვა ფსიქოლოგიური პრობლემები, რის გამოც ისინი ხდებიან უფრო ჩაკეტილები, ნაკლებად კომუნიკაბელურები და დეპრესიულები. ასეთ მოსწავლეებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ.

საჭიროა, კლასის დამრიგებელმა გაარკვიოს ის მიზეზები, რის გამოც მოსწავლე ასეთ მდგომარეობაშია. მასწავლებელმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ასეთი მოსწავლის მშობლებთან. ასევე, სასურველია, რომ მან ჩართოს სხვა პროფესიონალებიც (მაგ. ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი) მოსწავლის პრობლემების დაძლევაში.

მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელი ზოგადად ზრუნავდეს დადებითი სასწავლო გარემოს შესაქმნელად, რაც გამოიხატება იმაში, რომ მოსწავლეები იყვნენ ერთმანეთის მიმართ ემპათიურები (ერთმანეთის მიმართ გამოხატავდნენ თანაგრძობას და ურთიერთგაგებას). თანაკლასელების მხრიდან დათრგუნული მოსწავლის მხარდაჭერამ შესაძლოა ყველაზე ნაყოფიერი შედეგები გამოიღოს.

თუკი სკოლას არ გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეუძლია თუ არა მას უარი განუცხადოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდის მშობლებს შვილის მიღებაზე სკოლაში ან მოსთხოვოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დახმარება ამ მიმართულებით?

თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მშობელს შვილის მიღებაზე უარს ეუბნება სკოლა, მშობელმა უნდა მოითხოვოს ამ უარის არგუმენტაცია. შესაძლოა, სკოლას არ ჰქონდეს პანდუსი და სპეციალური ტულაქტი, რათა ეტლიანი მოსწავლე მიიღოს ან სკოლაში უკვე საკმარისი მოსწავლე სწავლობდეს და სხვა. მიუხედავად ამისა, სასურველია რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში შემოსვლის ფაქტმა თავად განაპირობოს სკოლის ადაპტაცია.

მშობელს ასევე შეუძლია მიმართოს იმ სკოლებს, სადაც ინკლუზიური სწავლების პრინციპები ხორციელდება. ასეთი სკოლები დღეს უკვე არსებობს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის თანამშრომლები სათანადო კონსულტაციას გაუწევენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს.

როგორი უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდის შეფასება? არის რაიმე სპეციალური მითითებები ამ მიმართულებით?

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები სკოლაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით სწავლობენ, სადაც მოსწავლის შესაძლებლობებია გათვალისწინებული და დასახულია როგორც წლიური სასწავლო მიზნები. ასევე გათვლილია მოსწავლის აკადემიური წინსვლა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს, უმრავლესობისაგან განსხვავებით, შეიძლება ბევრად მარტივი წლიური სასწავლო მიზანი ჰქონდეს. თუ მოსწავლე წარმატებით გაართმევს თავს ამ მიზნის მიღწევას, ის მაღალ ნიშანს დაიმსახურებს.

როგორ მოხდება იმ მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, რომლებსაც მოუწევთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა, ისინი ხომ ძირითად საგაკვეთილო დროში ნაკლებად მოახერხებენ მასალის დაძლევას და საჭირო იქნება ინდივიდუალური დრო?

სკოლას, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები სწავლობენ, შეუძლია სპეციალური განათლების პედაგოგი დაიქირაოს. ამ შემთხვევაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს დახმარებას აღმოუჩენს მათ პრობლემებზე ორიენტირებული მასწავლებელი.

სკოლამ საჭიროების მიხედვით თავად უნდა გადაწყვეტოს მასწავლებლის დამატებითი ანაზღაურებისა თუ სპეციალური მასწავლებლის ან დამხმარე მასწავლებლის დაქირავების საკითხი.

ზოგადად, ყველა მასწავლებლის მოვალეობაა გაკვეთილების შემდეგ გარკვეული დრო დაუთმოს მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებს, დახმარება გაუწიონ მათ პრობლემების გადაჭრაში. ეს ეხება არა მხოლოდ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებს.

სკოლაში არის ნერვიულად დაავადებული ბავშვი, რას მირჩევთ მასთან ურთიერთობაში?

მოსწავლის ქცევითი და ემოციური დარღვევების შემთხვევაში, სასურველია აქტიურად ჩაერთოს სკოლის ფსიქოლოგი და ის პედაგოგები, რომლებსაც ამ მოსწავლესთან შეხება აქვთ. მათ უნდა პქონდეთ მჭიდრო ურთიერთობა მშობლებთან, რადგან ასეთი პრობლემების მხოლოდ სკოლის ძალისხმევით გადანყვეტა შეუძლებელია. ფსიქოლოგებისგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როგორც მშობლების, ისე პედაგოგების მიერ, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოხდეს ამ პრობლემის მაქსიმალურად მოგვარება.

ჯგუფში არის ყრუ-მუნჯი მოსწავლე, მშობლებს არა აქვთ საშუალება რომ იგი სპეციალურ სკოლაში წაიყვანოს, როგორ მოვიქცეთ ჩვენ?

თუ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში სწავლობს სმენადაქვეითებული მოსწავლე ეს უკვე მისასაღმებელია და ნიშნავს, რომ ამ სკოლაში ინკლუზიური განათლების მთავარი პრინციპი ხორციელდება.

თბილისსა და ქუთაისში არსებობს ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა სპეციალური სკოლა, სადაც ასევე არის შესაძლებელი სმენადაქვეითებული მოსწავლის სწავლა და ეს არავითარ დანახარჯებთან არ არის დაკავშირებული. საჭიროების შემთხვევაში, ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია, სპეციალურ სკოლაში სწავლოს. თბილისში ფუნქციონირებს თბილისის 203-ე ყრუ და სმენადაქვეითებულ ბავშვთა საშუალო სკოლა (ნუცუბიძის ქუჩა 5), ხოლო ქუთაისში 45-ე ყრუ ბავშვთა საბაზო სკოლა მუშაობს.

ყრუ-მუნჯ და სმენადაქვეითებულ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს შეუძლიათ მიმართონ საქართველოს ყრუთა კავშირს (თბილისი, მაიაკოვსკის ქ. 6), სადაც სათანადო რჩევასა და რეკომენდაციებს მიიღებენ.

ყრუ-მუნჯ და სმენადაქვეითებულ მოსწავლეებთან მუშაობის წარმატება დამოკიდებულია სმენის დარღვევის დროულ გამოვლინებაზე. მასწავლებელმა უნდა იცოდეს მოსწავლის სმენის დარღვევის ხასიათი, დრო, მიზეზი და ხარისხი. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება სმენადაქვეითებულ მოსწავლესთან სმენის და მეტყველების გასავითარებელი მეცადინეობების ჩატარება. როცა საქმე გვაქვს

ყრუ-მუნჯ მოსწავლესთან აუცილებელია მასთან სურდოპედაგოგი მუშაობდეს და მოსწავლე ჟესტურ ენას ფლობდეს.

სასურველია, თუ ყრუ-მუნჯი და სმენადაქვეითებული მოსწავლე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ისწავლის თანატოლებთან ერთად და სკოლა შეეცდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმისა და სპეციალური სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით დააკმაყოფილოს სმენადაქვეითებული მოსწავლის საგანმანათლებლო მოთხოვნები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში ყრუ-მუნჯი მოსწავლის ჩართვისათვის აუცილებელია სკოლას ყავდეს ჟესტური ენის სპეციალისტი და სასურველია სკოლაში იყოს სპეციალური განათლების პედაგოგიც. გაკვეთილზე მასწავლებელთან ერთად ჟესტური ენის სპეციალისტიც უნდა მუშაობდეს.

აქვს თუ არა შეზღუდული შესაძლებლობის მოზარდს, თუკი მას არ დაუმთავრებია სწავლება, ახლა გააგრძელოს (ის ახაკით უფროსია სხვა მოსწავლეებზე)?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს, თუ მას არასოდეს არ უვლია სკოლაში ან მან გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეწყვიტა სწავლა, შეუძლია გააგრძელოს სკოლაში სწავლა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სკოლამ სპეციალურად ასეთი მოსწავლისათვის უნდა შეიმუშაოს.

სასურველია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე თანატოლებთან ერთად იყოს საკლასო ოთახში და კლასგარეშე ცხოვრებაშიც მათთან ერთად იღებდეს მონაწილეობას. რაც შეეხება სასწავლო პროგრამას, ეს სკოლამ უნდა განსაზღვროს, თუ რომელი კლასის სტანდარტს უნდა დაეფუძნოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. ანუ, შეიძლება მოსწავლე თანატოლებთან ერთად მაგალითად მე-8 კლასში ესწრებოდეს გაკვეთილს და ამ კლასის მოსწავლედ ითვლებოდეს, მაგრამ მე-5 კლასის სასწავლო მასალას სწავლობდეს კონკრეტულად მისთვის შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით.

როგორ უნდა მოიქცეს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდის მშობელი, თუკი მას უარს ეუბნებიან სკოლაში მიღებაზე?

თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის მშობელს შვილის მიღებაზე უარს ეუბნება სკოლა, მშობელმა უნდა მოითხოვოს ამ უარის არგუმენტაცია. თუ უარი არგუმენტირებულია და სკოლას

ძალიან მარტივიც კი იყოს. თუ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლემ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო მიზანი დაძლია, ნიშნავს, რომ მაღალი აკადემიური შეფასება დაიმსახურა. შემთხვევაში ამოსავალია მოსწავლის შესაძლებლობის გათვალისწინება და ამ შესაძლებლობის შეფასება. რიგ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლემ შეიძლება სასწავლო სტანდარტის მხოლოდ რამდენიმე მოთხოვნა დააკმაყოფილოს, მაგრამ ის მაღალ შეფასებას იმსახურებდეს, რადგანაც თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს მიაღწია. ამ შემთხვევაში მოსწავლე კლასიდან კლასში მაღალი ნიშნებით გადადის.

საინტერესოა ინკლუზიური განათლება რას გულისხმობს და რა მიმართულებით განვითარდება?

ბავშვთა კონვენციის თანახმად „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი (იგულისხმება, როგორც გონებრივი და ასევე ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვა) სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, ეხმარება მისი თვითრწმენის ჩამოყალიბებას და ამსუბუქებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში“.

ინკლუზია ნიშნავს ჩართულობას – ანუ ამგვარი განათლების ძირითადი აზრია, რომ ყველა ბავშვი მაქსიმალურად იყოს ჩართული საკუთარ განათლებისა და სხვებთან სოციალიზაციის პროცესში. აქედან გამომდინარე ინკლუზიის მიზანია ბავშვების სოციალიზაცია.

ინკლუზიური განათლება ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლას. ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპია, რომ ყველა მოსწავლე, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებებისა და თავისებურებებისა, სკოლაში ერთად უნდა სწავლობდეს. სწორედ ამიტომ, ინკლუზიური განათლება გულისხმობს, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, ასევე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების, მანანწალა, უსახლკარო და სოციალური პრობლემების მქონე ბავშვების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. ყველა ეს მოსწავლე სპეციალური საგანმანათლებლო მოთხოვნებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლედ ითვლება.

ინკლუზიური განათლების მიზნებია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვების განათლების ხელშეწყობა, მათი სოციალური ინტეგრაცია, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და განვითარება. სკოლამ სათანადო პირობები

უნდა შექმნას, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებმა შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი სულიერი სამყარო, დაიცვან საკუთარი აზრი, უფლებები და პიროვნული ღირსება.

ყველა სკოლაში უნდა იყოს ინკლუზიური სწავლება, თუ განათლების სამინისტროს შერჩეული აქვს სკოლები ასეთი სწავლების დასაწესად?

ზოგადი განათლების კანონის თანახმად, არცერთ სკოლას არ აქვს უფლება შეზღუდული შესაძლებლობების მოსწავლეს მიღებაზე უარი უთხრას. გამონაკლისი ის შემთხვევაა, როდესაც სკოლას შეუძლია დაასაბუთოს, რომ არ აქვს სათანადო პირობები, რათა კონკრეტული პრობლემების მქონე მოსწავლის განათლება შეძლოს.

სკოლამ ყურადღება უნდა დაუთმოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს და მათთვის ინდივიდუალური სასწავლო სტრატეგიები შეიმუშავოს.

ინკლუზიური განათლების მეთოდოლოგიების შემუშავება და დანერგვა დაიწყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შუასაბიჯების ცენტრმა, პირველ ეტაპზე, ინკლუზიური განათლების დანერგვის თბილისის 10 სკოლაში მიმდინარეობს.

VIII კლასში გვყავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე. ბევრმა მშობელმა არჩია თავიანთი შვილი პარალელურ კლასში გადაეყვანა. როგორ უნდა დავარწმუნოთ, რომ მათი არგუმენტი სწავლების ხარისხის დანევაზე ამ კლასში უსაფუძვლოა და ეს არ არის ერთ ინკლუზიურ მოზარდზე დამოკიდებული?

სკოლის თანამშრომლებმა, დირექტორმა და მოსწავლეებმა მშობლებს უნდა აუხსნან, რომ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა სხვა მოსწავლეებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, მათ სოციალურ ინტეგრაციას გულისხმობს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების განათლების ხელშეწყობა, მათი ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოვლენა და მათთვის სათანადო პირობების შექმნა ნიშნავს, რომ ასეთ სკოლაში სასწავლო პროცესი უფრო მრავალმხრივი და საინტერესოა. იმ კლასში, სადაც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები არიან, მოსწავლეები ცხოვრებისეულ მაგალითზე სწავლობენ ურთიერთგაგებასა და თანაგრძნობას. ასეთ გარემოში სწავლების მეთოდიკა უფრო მრავალფეროვანია, რაც ერთნაირად წაადგება,

როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეს ასევე მის თანაკლასელებსაც.

მეორე კლასში გვყავს გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი, რომელიც ძალიან ჩამორჩა პროგრამას, ვერ ახერხებს 20-ის ფარგლებში მიმატება-გამოკლებას, უჭირს ნაკითხულის გაანალიზება. მოვითხოვე, რომ დარჩენილიყო იმავე კლასში, რაზეც დირექცია უარს მეუბნება. გთხოვთ მიპასუხოთ, მე, როგორც მასწავლებელი როგორ მოვიქცე? გადავიყვანო თუ არა მომდევნო კლასში?

მენტალური პრობლემის მქონე მოსწავლე სკოლაში კონკრეტულად მისთვის შექმნილი სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა სწავლობდეს. მასწავლებელი პასუხისმგებელია, რომ მოსწავლეს ის სასწავლო მიზანი დაუსახოს, რისი მიღწევაც მას შეუძლია.

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანა პრობლემა არ იქნება, თუ მართებულად იქნება გაანალიზებული მოსწავლის შესაძლებლობები.

შეზღუდული უნარების მქონე მოზარდი, რომელსაც საერთოდ არ უვლია სკოლაში, ოჯახის სურვილისამებრ, შეგვიძლია თუ არა ჩავრიცხოთ სკოლის მოსწავლეთა სიაში მიმდინარე სასწავლო წლის 1 იანვრიდან?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდი სკოლაში იმ შემთხვევაშიც უნდა ჩაირიცხოს, თუ მას აქამდე არ უვლია სასწავლო დაწესებულებაში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა სკოლამ სპეციალურად კონკრეტული მოსწავლისათვის უნდა შეიმუშაოს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი შეგვიძლია ჩავრიცხოთ სკოლის მოსწავლეთა სიაში, როგორც სასწავლო წლის დასაწყისში, ასევე მიმდინარე სასწავლო წლის 1 იანვრიდან.

გვაქვს თუ არა უფლება, ყოფილ ექვსკლასდამთავრებულ 18 წლამდე ასაკის მოზარდთან სპეციალური სასწავლო გეგმის შესაბამისად ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ, სკოლამდე მოახდინოს მისი კლასიდან კლასში გადაყვანა? აუცილებელია ექსტერნის წესის გამოყენება?

თუკი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზარდი დადის სკოლაში და სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას შეუძლია ასეთი მოსწავლე კლასიდან კლასში გადაიყვანოს.

ექსტერნის წესის გამოყენება აუცილებელია, ოღონდ სკოლა

თვითონ გადანყვეტს, თუ რა ფორმით შეაფასებს ასეთ მოსწავლეს. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლე შეიძლება წერიტი ან ზეპირი გამოცდით ან მხოლოდ გასაუბრების საფუძველზე შეფასდეს.

რა დონის ბავშვი ექვემდებარება ინკლუზიურ სწავლებას და ვის შეუძლია ამის დადგენა?

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების მდგომარეობას, როცა საქმე სამედიცინო პრობლემას ეხება, განსაზღვრავენ შესაბამისი პროფესიონალები. შეზღუდული შესაძლებლობები სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით განისაზღვრება: მხედველობისა და სმენის დაქვეითება და სიყრუე და სიბრმავე; ფიზიკური დარღვევები და ორთოპედიული დარღვევები; აუტიზმი; მეტყველების დაზიანება; ემოციური და ქცევითი დარღვევები; გონებრივი ჩამორჩენა; ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანებით გამოწვეული დარღვევები; ტვინის ტრავმა, ცერებრული დამბლა, ეპილევსია და სხვა.

არიან მოსწავლეები, რომელთაც სწავლის უნარის დაქვეითება აღენიშნებათ. სწავლის უნარის დაქვეითება მოქმედებს ადამიანის ტვინის შესაძლებლობებზე აღიქვას, გაიაზროს, დაიმახსოვროს და გადასცეს ინფორმაცია. ეს მოვლენა შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც ჩავარდნა მოსწავლის ინტელექტსა და მის ასაკობრივ კატეგორიაში მიღწეულ უნარ—ჩვევებს შორის. ამ მოვლენის შემსუბუქება შეიძლება შესაბამისი სასწავლო სტრატეგიების გამოყენებით და სასწავლო გარემოს მოდიფიცირებით.

ინკლუზიური განათლების არსის ფართე გაგება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა ბავშვის ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელები, მანანწალა და უსახლკარო ბავშვები, სოციალური პრობლემების და შეფერხებული განვითარების მქონე ბავშვებიც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და მოთხოვნების მქონე მოსწავლეებად ითვლებიან.

ინკლუზიური განათლება გულისხმობს ფიზიკურად, სოციალურად და ინტელექტუალურად ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესს.

როგორ შეიძლება საგაკვეთილო საათში შევძლოთ ინკლუზიურ ბავშვებსაც (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები

ბი)ავათვისებინოთ იმავე მოცულობის მასალა და განუვითაროთ იგივე უნარ-ჩვევა, რასაც სხვა მოსწავლეებთან ვახერხებთ განკუთვნილ დროში?

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლე სკოლაში კონკრეტულად მისთვის შექმნილი სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა სწავლობდეს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმაში მოსწავლის შესაძლებლობებია გათვალისწინებული და დასახულია წლიური სასწავლო მიზანი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეს, უმრავლესობისაგან განსახვავებით, შეიძლება ბევრად მარტივი წლიური სასწავლო მიზანი ჰქონდეს. მასწავლებელი პასუხისმგებელია, რომ მოსწავლეს ის სასწავლო მიზანი დაუსახოს, რისი მიღწევაც მას შეუძლია. შესაბამისად, მასწავლებელი ვალდებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ის მოცულობის მასალა ასწავლოს და ის უნარ-ჩვევები განუვითაროს, რაც მოსწავლის შესაძლებლობების ფარგლებში მოიაზრება.

ხომ არ გეგმავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების ცალკე გამოყვანას?

განათლების სისტემის რეფორმის ფონზე სპეციალისტებისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა ინკლუზიური განათლება, რაც სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ჩართვას და მათ თანატოლებთან ერთად სწავლას გულისხმობს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები მრავალი წლის მანძილზე პრაქტიკულად იზოლირებულები იყვნენ თანატოლებისაგან. დღეისათვის ისინი საპილოტე სკოლებში რეალურად არიან ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.

ბავშვთა უფლებების კონვენციის თანახმად ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება, მეტიც ყველა ბავშვს შეუძლია ისწავლოს მიუხედავად მისი ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური და სხვა მდგომარეობებისა.

შესაბამისად, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების განცალკევება გამორიცხულია, პირიქით, მომავალში უფრო მეტი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე ისწავლის სკოლებში.

რას გულისხმობს ტერმინი ემოციური და ქცევითი დარღვევები?

რთული ხასიათის მქონე ბავშვებს შესაძლოა ემოციური და ქცევითი დარღვევისადმი მიდრეკილება აღენიშნებოდეთ.

ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეები მასწავლებლის მხრიდან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვენ. ზოგიერთ შემთხვევაში მოსწავლეს სკოლაში შემოსვლამდე უკვე აღენიშნება ემოციური და ქცევითი პრობლემები, მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ეს მდგომარეობა მას სკოლაში სწავლის პერიოდში უვითარდება, რაც შესაძლებელია, სკოლაში შექმნილი არასათანდო ვითარებითაც იყოს განპირობებული. ასეთი მოსწავლეების მდგომარეობის გაუარესება ან გაუმჯობესება ბევრად არის დამოკიდებული პედაგოგებისა და თანატოლების ქცევაზე. სკოლაში უნდა იყოს შექმნილი ისეთი გარემო, სადაც ყველა მოსწავლეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა.

ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეების სასწავლო პროგრამა და სწავლის მეთოდები არ უნდა იყოს განსხვავებული სხვა მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პროგრამისაგან. ასეთ მოსწავლეებს სოციალური ქცევის სპეციფიკური ინსტრუქციები სჭირდებათ, ამიტომ პედაგოგს სოციალური ადაპტაციისათვის აუცილებელი ქცევების სწავლების პრინციპების ცოდნა მოეთხოვება.

სოციალური უნარ-ჩვევათა სწავლება ნიშნავს მოსწავლისათვის ადექვატური საკომუნიკაციო ჩვევის გამომუშავებას, თვითდისციპლინასა და პრობლემათა გადაწყვეტის უნარის ჩამოყალიბებას.

მოსწავლის უნარი ურთიერთობა დამყაროს თანატოლებთან, მასწავლებელთან, ოჯახთან, დაკავშირებულია მისი სოციალური ქცევის განვითარებასა და რეგულაციასთან. სოციალური უნარ-ჩვევებს მოსწავლე სხვადასხვა სოციალურ კონტექსტში ითვისებს – სახლი, სკოლა, თემი. სკოლა უმნიშვნელოვნანეს გავლენას ახდენს ბავშვის ემოციურ, სოციალურ და ქცევით განვითარებაზე.

ემოციური და ქცევითი პრობლემების მქონე მოსწავლეებს ნაკლებად მკაცრი გარემო უნდა შევუქმნათ და გავითვალისწინოთ, რომ ყურადღების გაფანტულობა, იმპულსური ქცევა, ჰიპერაქტიურობა საკმაოდ ფართოდაა გავრცელებული ბავშვებში. ზოგიერთ მოსწავლეს არ შეუძლია დიდი დრო დაუთმოს ერთი საქმის კეთებას, არ აქვს სხვების მოსმენის უნარი და გაკვეთილის მიმდინარეობის დროს გამუდმებით საუბრობს.

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს:

- თუ მოსწავლე უარს ამბობს მანავლებლის მითითებების შესრულებაზე და აგრესიულად იქცევა, არ შეიძლება ის კლასიდან გავაგდოთ ან გარკვეული პერიოდით ცალკე მოვათავსოთ. პედაგოგი უნდა შეეცადოს გამოავლინოს და გაითვალისწინოს მოსწავლის ინტერესები, შეინარჩუნოს მის მიმართ კეთილგანწყობა. სასურველია მთელი კლასი ჩაერთოს ამ პროცესში;
- თუ მოსწავლე თანატოლებთან ხშირად ჩხუბობს და აგრესიულია, პედაგოგმა სასურველია არ აუკრძალოს სხვა მოსწავლეებს ასეთ ბავშვთან ურთიერთობა, არამედ მისცეს მას დამშვიდების დრო და შეეცადოს ასწავლოს მას თანატოლებთან ურთიერთობების დამყარების ნესები. სასურველია მთელი კლასი ჩაერთოს ამ პროცესში;
- თუ მოსწავლემ გაკვეთილი არ იცის და სწავლის უნარის დაქვეითებასთან გვაქვს საქმე, პედაგოგი სასურველია მუდმივად ცუდ ნიშანს არ უწერდეს მოსწავლეს ან დავალების აუცილებლად შესრულებას არ თხოვდეს მას, არამედ მოსწავლის ინტერესებზე დაყრდნობით ადგენდეს დავალებას. სასურველია მასწავლებელმა ასეთი მოსწავლის აკადემიური მიღწევების შეფასების ინდივიდუალურ მეთოდი შეიმუშაოს. მიზანშეწონილია სწავლის პროცესში თანატოლების დახმარებას მივმართოთ;
- თუ მოსწავლე დეპრესიულია გაკვეთილზე, შესვენებაზე თანატოლებთან ურთიერთობას არ ამყარებს, პედაგოგმა მას ხშირი შენიშვნები არ უნდა მისცეს, არამედ შეეცადოს თანატოლებთან დამეგობროს ის. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული როლი პედაგოგმა კლასელებს უნდა მიანიჭოს.

ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა სკოლაში თანატოლის მიერ თანატოლის დახმარებას ენიჭება. არსებობს მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მოსწავლის მიერ ჩამორჩენილი ან ნაკლის მქონე თანატოლის მეცადინეობა დადებით შედეგებს იძლევა.

კლასში მეტყველების პრობლემის მქონე მოსწავლე გვყავს, მას განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. როგორ უნდა მოიქცეს ამ დროს მასწავლებელი?

ზოგიერთ მოსწავლეს, დარღვეული აქვს მეტყველების ადექვატურობა. ამ შემთხვევაში პედაგოგი დიდი ყურადღებით უნდა მოეპყროს მოსწავლეს, აგრძნობინოს, რომ აინტერესებს მისი საუბარი, დაუკვირდეს მის უესტიკულაციას და შეამომოს საკუთარი თავი, რომ სწორად გაიგო ბავშვის ნათქვამი. ასეთ შემთხვევაში:

- მასწავლებელმა არასოდეს არ უნდა შეაწყვეტინოს მეტყველების პრობლემის მქონე მოსწავლეს საუბარი;
- მასწავლებელმა აქტიურად უნდა ჩართოს ასეთი მოსწავლე საკლასო დისკუსიებში, ყურადღებით უნდა მოუსმინოს მას და ნახაღისოს;
- მეტყველების პრობლემის მქონე მოსწავლეს მასწავლებელმა სასურველია არ დაუსვას ბევრი შეკითხვა ერთდროულად, რათა მას გრძელი პასუხი არ მოყვეს.

როგორ უნდა მოვიქცეთ თუ კლასში ცაცია მოსწავლე სწავლობს?

სკოლის ასაკის ბავშვებს შორის ცაციების რაოდენობა მეყვობს 15-დან 29%-მდე. ეს ნიშნავს, რომ 100 სკოლის მონაფიდან 15 მაინც ცაციაა. ცაცია მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს რომ:

- დანყებითი კლასების მოსწავლეებმა, მათ შორის ცაციებმა, თავად უნდა აირჩიონ, თუ რომელი ხელით ურჩევნიათ წერა, ხატვა და სხვა დავალებების შესრულება. ცაცია ბავშვისათვის მარჯვენა ხელით წერის, ხატვის და სხვა სოციალურად მნიშვნელოვანი მოქმედებების შესრულების დაძალებამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე.
- ზოგიერთი მშობელი მასწავლებლისაგან მოითხოვს მიაჩვიოს ბავშვი მარჯვენა ხელით წერას. ასეთ შემთხვევაში მასწავლებელმა უნდა ურჩიოს მშობლებს კონსულტაციისათვის ფსიქოლოგს მიმართონ;
- ბავშვის ცაციობა არ უნდა გახდეს არაჯანსაღი ყურადღებისა და დაცივნის საგანი. ცაციას ცუდი კალიგრაფია, წერის წელი ტემპი არ უნდა იყოს მისი აკადემიური მოსწრების უარყოფითად შეფასების კრიტერიუმი.

როგორ უნდა ვიმუშავოთ მოსწავლესთან, რომელიც გაკვეთილზე უყურადღებობას იჩენს სასწავლო პროცესისადმი, თუმცა ყოველთვის შეუძლია კითხვებზე პასუხის გაცემა და ამოცანების ამოხსნა? შესაძლებელია თუ არა მისი ყურადღების კონცენტრაცია და რა გზებით?

ხშირია შემთხვევები, როცა მასწავლებელი მოსწავლის ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს, ყურადღების გაფანტულობას უჩივის. იმაზე, თუ როგორ მოახდენს ყურადღების კონცენტრაციას მოსწავლე გაკვეთილზე დიდად არის დამოკიდებული მისი აკადემიური მოსწრება.

როგორ დავეხმაროთ უყურადღებო მოსწავლეს?

საგრძობლად დავეხმარებით მოსწავლეს, თუ წინასწარ ჩამოვწერთ აქტივობების ნათლად აღსაქმელ ნუსხას, რომელიც თანდათანობით უნდა შესრულდეს. ნებისმიერ სკოლაში, კლასში არის გარკვეული წესები, რაც კლასის ეფექტიან ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. რაც უფრო ნათელია მოსწავლისთვის არსებული წესები მით უადვილდება მას მათი დაცვა. თუ მან იცის აქტივობების თანმიმდევრობა, აქვს პასუხი კითხვებზე: „მერე რა მოდის?“ „რა დამრჩა?“ და სხვა, მით უფრო პროდუქტიულია ის კლასში. მასწავლებელმა უნდა შეიცნოს ბავშვის ინდივიდუალური მოთხოვნები – სად, რა სიტუაციაში და რატომ არის მოსწავლე უყურადღებო.

რაც უფრო მორგებულია დავალება მოსწავლის შესაძლებლობებს, მით უფრო წარმატებული და მოტივირებულია მოსწავლე. მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლე წავახალისოთ. ნახალისება გაზრდის მოსწავლის ყურადღებასა და მოტივაციას, შრომის უნარიანობას.

მოსწავლეს, რომელსაც ყურადღების კონცენტრაცია უჭირს არ უნდა დავურღვიოთ სიმშვიდე სამუშაო გარემოში, დავალებაზე მუშაობისას მინიმუმამდე უნდა იყოს დაყვანილი ყურადღების გამფანტველი ფაქტორები. მასწავლებელმა მიზანმიმართული და გასაგები კითხვები უნდა დასვას, არ გადაუხვიოს არჩეულ თემას, არ შეაწყვეტინოს მოსწავლეს დავალების შესრულების პროცესი. თავად დავალება მოსწავლის შესაძლებლობებს უნდა მოვარგოთ, დავალების გასაგებად მკაფიო ინსტრუქციები და მითითებები უნდა მივცეთ მოსწავლეს. თუ შესაძლებელია, რთული მასალა მასწავლებელმა გაკვეთილის დასაწყისშივე უნდა ახსნას. მასალის ახსნისას აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული ვიზუალური მასალა.

ტერმინოლოგიური ლექსიკონი

ადრეული სკრინინგი და იდენტიფიკაცია — ადრეული სკრინინგის მიზანია დაავადების, თუ დარღვევის რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე აღმოჩენა და დადგენა, ანუ მისი იდენტიფიკაცია. ეს კი შესაბამისად უზრუნველყოფს ადრეულ ინტერვენციას, ანუ ჩარევას და პროცესის მართვას მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

აკადემიური მოსწრება — აკადემიური მოსწრება (აკადემია ბერძნულად სამეცნიერო დაწესებულებას ნიშნავს) არის სასწავლო პროცესის მოცემულ ეტაპზე მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების შეჯამებული შეფასება საგნობრივი პროგრამებით გათვალისწინებული მოთხოვნებით. აკადემიური მოსწრების განსაზღვრისას მხედველობაში არ მიიღება მოსწავლის დისციპლინარული დახასიათება და ის პიროვნული თვისებები, რომელთა განვითარებაც არ არის საგნობრივი პროგრამის მიზანი.

აუტიზმი — ბავშვს პრობლემები აქვს სოციალურ განვითარებაში, ქცევაში, მეტყველებაში, ვერ ამყარებს ურთიერთობას თანატოლებთან. აუტიზმის მძიმე ფორმას ახასიათებს გარემოს მიმართ გულგრილობა.

ბავშვზე ორიენტირებული/ცენტრირებული პედაგოგია — ეს არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება უპირატესად მოსწავლის მოთხოვნებსა და საჭიროებებზე. ამ მიდგომას დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო გეგმის შექმნის და ჩამოყალიბების პროცესში.

ბილატერალური — ორმხრივი

ბრაილის შრიფტი — ეს არის მხედველობის არ მქონე პირებისათვის შექმნილი შრიფტი ფრანგი ტიფლოპედაგოგის ლუი ბრაილის მიერ.

გონებრივი ჩამორჩენილობა — ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა. აღნიშნული მდგომარეობა აღმოცენდება ადრეულ ასაკში და მთელი ცხოვრების მანძილზე ახდენს გავლენას ადამიანის ფსიქიკურ განვითარებასა და ჩვევების ჩამოყალიბებაზე. ამერიკის გონებრივი ჩამორჩენილობის ასოციაციის (AAMAR) განმარტებით, გონებრივი ჩამორჩენილობა არის მნიშვნელოვანი გადახრა ზოგადი ინტელექტუალური ფუნქციონირების დონიდან, რომელიც ადაპტაციური ქცევის დეფიციტს უკავშირდება და ვლინდება ადამიანის განვითარების პერიოდში. ის ხასიათდება ინტელექტუალური უნა-

რების დაქვეითებით და ადაპტაციური უნარების (კომუნიკაცია, თვით-მომსახურება, სოციალური ჩვევები, სწავლა, მუშაობა, დასვენება, საოჯახო საქმიანობა) ორ ან მეტ სფეროში დარღვევით. **მსუბუქი:** საშუალოზე მნიშვნელოვად დაბალი ინტელექტი, თუმცა შეუძლია გარემოს სოციალურ მოთხოვნებთან გამკლავება. **საშუალო:** საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება პერიოდული დახმარება. **ძლიერი** საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება მუდმივი დახმარება, შეუძლია ელემენტალური ჩვევების დასწავლა. **მძიმე:** ძალიან დაბალი ინტელექტი, ესაჭიროება მოვლა და მუდმივი ზედამხედველობა. არსებობს უფრო მძიმე ფორმაც, როდესაც სიმძიმის დადგენა შეუძლებელია.

დისკრიმინაცია — (ლათ. Discriminatio, განსხვავება) ნიშნავს ადამიანების უთანასწორო, არასამართლიან მოპყრობას, სხვა ადამიანების ან განსაკუთრებით რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანების ჯგუფის წინააღმდეგ. კერძოდ დისკრიმინაცია შეიძლება იყოს რასობრივი, ეთნიკური, სქესობრივი, რელიგიური და ა. შ.

დისლექსია - (ბერძ. dys ნიშნავს მცირეს, lexis - სიტყვებს). დისლექსია ვინრო მნიშვნელობით - კითხვის უნარის დაქვეითებას, ხოლო ფართო მნიშვნელობით კი — მეტყველებით გაშუალებული დასწავლის უნარის დაქვეითებას ნიშნავს, რომელიც ხასიათდება კითხვის, წერისა და ზეპირი მეტყველების პრობლემებით.

ეპილეფსია — (ბერძ. epilambanein — „მოულოდნელობით შეპყრობილი“) ასეთი სახელწოდება დაავადებამ შეიძინა მისთვის დამახასიათებელი სიმპტომის — კრუნჩხვითი გულყრის გამო. ეპილეფსია თავის ტვინის ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ხასიათდება განმეორებითი ეპილეფსიური გულყრით.

თვითმართვა — ეს არის ადამიანის უნარ-ჩვევა გააცნობიეროს და მართოს საკუთარი ქცევა. თვითმართვის უნარ-ჩვევებში შედის: მსხვილი და ნატიფი მოტორული ჩვევები (მოძრაობასთან, ძალის გამოყენებასთან, სიზუსტესთან დაკავშირებული ჩვევები), სივრცეში ორიენტაცია, მოქმედებების დაგეგმვა და შესრულება, დროის მართვა (დროის ეფექტიანი და ადეკვატური გამოყენება), უსაფრთხოების დაცვა, ჯასალი ცხოვრების წესის დაცვა, ქცევის ნორმების გათვალისწინება (ადამიანთა ჯგუფების შესატყვისი წესების ცოდნა და გამოყენება) და გააზრებული არჩევანის გაკეთება (მიზნის და შედეგის გათვალისწინება).

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა — არის სასწავლო გეგმა

განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე კონკრეტული მოსწავლისათვის და ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ითვალისწინებს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის განსხვავებულსა და სპეციფიურ საგანმანათლებლო მოთხოვნებს. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას მასწავლებელი ძირითადად ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას, მაგრამ თუ მოსწავლის შესაძლებლობები არ იძლევა ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის საშუალებას, მასწავლებელი, სხვა სპეციალისტებთან ერთად განსაზღვრავს სპეციფიკურ შედეგებს და ამ შედეგების მიღწევის განსაკუთრებულ გზას.

ინკლუზიური განათლება — ინკლუზიური განათლება გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლეების ჩართვას სასწავლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად. სასკოლო სასწავლო გეგმაში გათვალისწინებული უნდა იყოს ვინ არის პასუხისმგებელი ამ საკითხების კოორდინირებაზე. (ეს პიროვნება შეიძლება იყოს დირექციის წევრი, მომსახურე პერსონალი, მასწავლებელი ან მშობელი. ამ პიროვნებასთან უნდა იყოს დანიშნული შეხვედრების დრო, როდესაც სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეების მშობლები შეძლებენ მასთან საუბარს შესაძლო პრობლემებზე და მათი გადაჭრის გზებზე).

თუ სკოლას ჰყავს განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, აუცილებლად უნდა განსაზღვროს რას აკეთებს იმისათვის, რომ ამ მოსწავლის განათლებისათვის ადეკვატური პირობები შეიქმნას (მაგ. მას შეიძლება ჰქონდეს განსაკუთრებული საგაკვეთილო განრიგი ან სპეციალური სივრცე, სადაც შეძლებს დასვენებას და სხვა.).

კონვერგენცია — შეთავსება

მარგინალური ჯგუფი — მარგინალობის (ლათ. margin) ცნებით, ჩვეულებრივ, აღინიშნება ის ინდივიდები თუ ჯგუფები, რომელთა ფასეულობები და ქცევის მოდელები ზუსტად და მკაფიოდ არ თავსდება რომელიმე კულტურულ სივრცეში, არამედ ქმნის გარდამავალ საფეხურს ამ სივრცეებს შორის.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება — მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. ეს განსხვავდება მასწავლებელზე

ფოკუსირებული მიდგომისაგან, სადაც მასწავლებელს აქვს ლიდერის აქტიური როლი, ხოლო მოსწავლეს პასიური მიმღების როლი. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის მიმართულების მიმცემი.

ძველი საგანმანათლებლო პროგრამები და სტანდარტები გათვლილი იყო მეტწილად, ეგრეთ წოდებულ „საშუალო მოსწავლეზე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საშუალო აკადემიური მოსწავლის მოსწავლეს უნდა შესძლებოდა სტანდარტის მოთხოვნების შესრულება. ასეთი მიდგომა გულისხმობდა, რომ მოსწავლეების ნაწილი ვერ შეასრულებდა სტანდარტს და შესაბამისად, საგანმანათლებლო სივრცის გარეთ ხვდებოდა. ძველი საგანმანათლებლო პროგრამები ასევე პრაქტიკულად განათლების გარეშე ტოვებდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდა მოქალაქეებს და, შესაბამისად, გზას უკეტავდა მათ შემდგომი განვითარებისათვის.

ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია უკლებლივ ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემული ყველა შედეგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის. სხვა საქმე, რომ ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი ხარისხით აღწევს ამ შედეგებს.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების საწინააღმდეგო პრინციპებია, მაგალითად, მასალაზე, თემაზე, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება, სადაც უფრო მნიშვნელოვანია არა ის, თუ როგორ სწავლობს მოსწავლე და რა მიღწევები აქვს, არამედ ის, თუ რას სწავლობს.

მულტილატერალური — მრავალმხრივი

პანდუსი — (ფრანგ. *pente dous* — დამრეცი ფერდობი) სწორკუთხა ფორმის ან მრუდწირული ფორმის დახრილი ბაქანია, რომელსაც იყენებენ კიბის ნაცვლად იმისათვის რომ ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირს, რომელიც გადაადგილდება ეტლით არ გაუჭირდეს მოძრაობა.

რეკრუტირება — სამუშაო პერსონალის შერჩევა

რესურს-ოთახები — სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის სპეციალურად მოწყობილი ოთახი. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, რომლებიც ჩვეულებრივ კლასებში სწავლობენ, მოკლე დროით რესურს ოთახში ისვენებენ და დავალებებს ასრულებენ. შესაძლოა მას-

წავლებელმა რესურს ოთახში ინდივიდუალური მეცადინეობა ჩაატაროს მოსწავლესთან. რესურს ოთახი აღჭურვილი და ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეების მოთხოვნებისა და მოთხოვნილებები შესაბამისად.

სასწავლო მიზანი — სასწავლო მიზანი არის მოსწავლის/სტუდენტის მიერ სწავლით შესაძენი წინასწარ განსაზღვრული შედეგი და ახლი გამოცდილება. იგი მოიცავს მოსწავლეთა უმრავლესობის მიერ ასათვისებელი ინფორმაციის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებების ერთობლიობას (შესაბამისად შინაარსი, მოცულობა, სირთულე, განვითარების დონე და ტენდენცია).

სასწავლო მიზნებს განსაზღვრავს მასწავლებელი ან საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო პროცესის ნებისმიერი მონაკვეთისათვის (გაკვეთილი, კვირა, ტრიმესტრი, სასწავლო წელი, სწავლის საფეხური და სხვა). სასწავლო მიზნების განსაზღვრა ეფუძნება მოსწავლეთა **მისწრაფებების, საჭიროებებისა და შესაძლებლობების** ანალიზის შედეგებს. გათვალისწინებულია მოსწავლის ფიზიკური თუ ფსიქიკური მონაცემები, ასევე ასაკის შესაფრისი შესაძლებლობები და ასაკის შესაფრისი ინტერესები.

სასწავლო მიზნები, საზოგადოდ, განსაზღვრავს სასწავლო გეგმებს. საქართველოში საჯარო სკოლების სასწავლო მიზნები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმის მოთხოვნებს, ხოლო მასწავლებლის მიერ დასახული სასწავლო გეგმები – სკოლის სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. ეროვნული სასწავლო გეგმა კი საქართველოს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განისაზღვრება.

სოციალური უნარ-ჩვევები – სოციალური უნარ-ჩვევების არის იმ უნარ-ჩვევათა კრებული, რომლებიც უზრუნველყოფს ადამიანთა თანაარსებობას. სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებას საფუძვლად უდევს სოციალური შემეცნება. ეს არის ადამიანის ცოდნა მეორე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის აზრების, გრძნობების და განზრახვების შესახებ. სოციალურ შემეცნებას აქვს უდიდესი ზეგავლენა იმაზე, თუ როგორი მიმართება ჩამოუყალიბდება ბავშვს სხვა ბავშვებისა და უფროსებისადმი; როგორ განუვითარდება მას სხვის პატივისცემის და ურთიერთგაგების ჩვევები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე — მოსწავლე, რომელსაც განსხვავებული და სპეციფიკური სასწავლო მოთხოვნები გააჩნია დაგანსხვავებულ სასწავლო სტრა-

ტეგიისა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას საჭიროებს სკოლის მხრიდან. განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლედ ითვლება:

1. შეზღუდული შესაძლებლობებისა და შეფერხებული განვითარების მქონე მოსწავლეები;
2. სწავლის უნარის დაქვეითებისა და სოციალური ჩამორჩენის მქონე მოსწავლეები;
3. ყველა ის მოსწავლე, ვინც სკოლიდან და სასწავლო პროცესიდან გარიყულია.

სტერეოტიპული ქცევა — არის განმეორებითი მოძრაობა, მდგომარეობა ან სიტყვების გამოცემა, რომლებიც დამახასიათებელია გონებრივი ჩამორჩენილობის, აუტიზმის და სხვა ზოგიერთი დარღვევისათვის. სტერეოტიპული ქცევა შეიძლება იყოს ისეთი მარტივი მოძრაობა, როგორცაა სხეულის რწევა-ქანაობა ან ისეთი კომპლექსური, როგორცაა საკუთარი თავის მოფერება ფეხების გადაჯვარედინება და/ან ადგილზე სვლა, მოძრაობა.

სწავლის მოტივაცია — ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან — შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს. არსებობს შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი და გარეგანი მოტივაციით. საინტერესო აქტივობები ეფუძნება მოსწავლის შინაგან მოტივაციას. შინაგანად მოტივირებული მოსწავლისათვის უფრო მნიშვნელოვანია თავად აქტივობა, ვიდრე მოსალოდნელი ჯილდო.

გარეგან მოტივაციას კი მაშინ აქვს ადგილი, როცა მოსწავლე შესრულებული სასწავლო აქტივობისათვის მოელის ნახალისებას, ჯილდოს (კარგი ქულა, შექება, კლასში გარკვეული სტატუსის მოპოვება და ა.შ.) ამ დროს განხორციელებული სასწავლო აქტივობა შესაძლებელია მოსწავლისათვის არ იყოს საინტერესო.

ზოგიერთი მოსწავლე დიდი ენთუზიაზმით ეკიდება სწავლას, რადგან მას აინტერესებს საგანი და სწავლის პროცესი. მაგრამ არიან ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც მასწავლებლის მხარდაჭერის გარეშე სწავლისადმი დიდ ინტერესს არ იჩენენ. მათ მუდმივად სჭირდებათ შექება, სტიმული და თანადგომა.

ამრიგად, მოსწავლის სასწავლო აქტივობას განაპირობებს რო-

გორც გარეგანი, ისე მისი შინაგანი მოტივაცია. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის წარმატებებს.

სწავლების მეთოდები — სწავლების მეთოდი არის მასალის მიწოდების სისტემური გეგმა, გზა, ტექნიკა. მასწავლებელი იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდებს, რათა მოახდინოს სასწავლო პროცესის წარმართვა. ძირითადად არსებობს შემდეგი სახის მეთოდები: დიდაქტიკური მეთოდი, სოკრატული მეთოდი, კვებით სწავლება, სოციალური სწავლება და ა.შ.

სწავლების ხერხები — სწავლების პროცესში გამოიყენებენ სწავლების სხვადასხვა ხერხს, რომელიც შეესაბამება სწავლების სხვადასხვა მეთოდების ძირითად პრინციპებს. სწავლების ხერხებია: სიმულაცია-როლური თამაში (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), გონებრივი იერიში (ძირითადად, სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), ვიზუალიზაცია – თვალსაჩინოების გამოყენება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს), ინსტრუქციის ნაბიჯ-ნაბიჯ მიწოდება (სწავლების პრაქტიკული მეთოდის გამოყენების დროს), არაორდინალური კავშირების გაკეთება (სწავლების სოკრატული მეთოდის გამოყენების დროს), რეზიუმირება – შეჯამება (სწავლების დიდაქტიკური მეთოდის გამოყენების დროს) და სხვა.

სწავლის უნარის დაქვეითება/დარღვევა – ინფორმაციის შენახვის, გადამუშავებისა და ახალი ინფორმაციის პროდუცირების სხვადასხვა სახისა თუ ხარისხის დაბრკოლებები. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მნიშვნელოვან ნაწილს სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეები შეადგენენ. ასეთ მოსწავლეებს სირთულეები აქვთ როგორც აკადემიურ მოსწრებაში, ასევე თანატოლებთან ურთიერთობაში და საკლასო ოთახში მოქცევის წესების ათვისებაში.

ტოლერანტობა – (ინგლ. Tolerance) – თანამედროვე ტერმინი, რომელიც სოციალურ, კულტურულ და რელიგიურ კონტექსტში დებატებისას გამოიყენება, როგორც დისკრიმინაციის ერთგვარი ანტითეზისი. ტერმინს ხშირად უცხო რელიგიურ მრწამსთან მიმართებაში იყენებენ, ისევე როგორც ზოგიერთ უფრო ვიწრო კატეგორიებზე, როგორცაა დისკრიმინაცია არატრადიციული სექსუალური და სოციალური ორიენტაციისადმი.

ქალა-ტვინის ტრამვა – არის გარე ფიზიკური ძალით გამონ-

ვეული და ტვინის შექნილი დაზიანება, რაც არახელსაყრელ გავლენას ახდენს პიროვნების შემეცნებით, კომუნიკაციურ, თუ ემოციურ-მოტივაციურ სფეროზე. აქ იგულისხმება ქალას ღია ან დახურული დაზიანების შედეგად გამოწვეულ იმ ერთი ან რამდენიმე სფეროს გაუარესება, როგორცაა, მეტყველება, მეხსიერება, ყურადღება, აბსტრაქტული აზროვნება, შეგრძნების, აღქმის და მოძრაობის უნარები, და ფსიქო-სოციალური ქცევა.

ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი — წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების დარღვევას, რომელიც მოიცავს: ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (უყურადღებობა, გონებაგაფანტულობა), იმპულსურობას (უნებლიე ქცევის შეჩერებისა და გაკონტროლების სირთულე), ჰიპერაქტივობას (ფიზიკური მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასას ხშირად ერთვის ემციური მოუმწიფებლობა, აგრესიულობა და დაბალი აკადემიური მოსწრება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეები (შშმ) — „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი“ არის ბავშვი, რომლის მდგომარეობა შეზღუდული შესაძლებლობის კატეგორიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმების მიხედვითაა განსაზღვრული. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აღენიშნება განვითარების დარღვევის ერთი ან რამდენიმე სახის შეფერხება, ასეთ მოსწავლეს განსაკუთრებული საგანმანათლებლო მოთხოვნები და მოთხოვნილებები აქვს. სიტყვა „ინვალიდი“ 1995 წლიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, ამოღებულია ხმარებიდან და ჩანაცვლებულია ტერმინით „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“.

ჰიდროცეფალია — ანუ წყალმანკი ისეთი პათოლოგიური მდგომარეობაა, როდესაც ქალაში მომატებულია თავ-ზურგ-ტვინის სითხის რაოდენობა. **ცერებრული დამბლა** — იმ სინდრომთა ჯგუფია, რომლებიც აღმოცენდება ბავშვის თავის ტვინის პერინატალური (მშობიარობის პერიოდში) და პოსტნატალური (დაბადებიდან პირველ თვეებში) დაზიანების შედეგად. იგი ვლინდება ბავშვის მოტორული განვითარების — კუნთთა ტონუსისა და მოძრაობის კოორდინაციის დარღვევით.

ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული ვებ-გვერდების მოკლე სია

www.mes.gov.ge.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვებ-გვერდი.

www.ganattleba.org

ეროვნული სასწავლე გეგმებისა და შეფასების ვენტრის ვებ-გვერდი, რომელიც შეიცავს სრულ ინფორმაციას ეროვნულ სასწავლო გეგმების შესახებ. აქ მოიძიებთ ინფორმაციას ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადების, პილოტირებისა და და დანერგვის, საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავებასა და ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელების თაობაზე.

<http://www.inclusion.ge> ეს ვებ-გვერდი ქართულენოვანია და შეიცავს ინფორმაციას ინკლუზიური განათლების შესახებ. აქ ნახავთ სტატიებს ინკლუზიური განათლებაზე, სატრენინგო მოდულებს მასწავლებლებისათვის, ინფორმაციას თბილისის ათ სკოლაში განხორციელებული ინკლუზიური განათლების პროექტების შესახებ, მცირე ტერმინოლოგიურ ლექსიკონს და სხვა.

<http://www.disability.ge/>

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავს ნებისმიერი ადამინისათვის შეიქმნას თანაბარი პირობები პოტენციალის გამოსავლენად და მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მაქსიმალური ჩართვა საზოგადოებაში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში.

www.ldonline.org

ეს ვებ-გვერდი მრავალფეროვან ინფორმაციას შეიცავს სწავლის უნარის დაქვეითების, სასწავლო სტრატეგიებისა და ინკლუზიური განათლების შესახებ.

<http://specialed.about.com/>

თუ თქვენს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს არ აქვთ წარმატება თქვენს კლასში, ისარგებლეთ ამ ვებ-გვერდით, რათა ნახოთ რა უნდა შეცვალოთ და როგორ.

<http://www.cloudnet.com/~edrbsass/edexc.htm#index>

ამ ვებ-გვერდზე ნახავთ სასწავლო გეგმებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისათვის.

<http://www.floridainclusionnetwork.com/> აქ მოცემულია კონსულტაციები, ინფორმაცია და რჩევები განათლების მუშაკთათვის, ოჯახებისათვის და საზოგადოების წევრებისათვის ინკლუზიურ სწავლასთან დაკავშირებით.

<http://www.edweek.org/index.html>

ამ ვებ-გვერდზე ყურადღება გამახვილებულია განათლების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

<http://www.cec.sped.org/>

ეს ვებ-გვერდი „განსაკუთრებული ბავშვების საბჭოს“ ეკუთვნის. ეს გახლავთ უმსხვილესი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ემსახურება ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებული ბავშვების, განათლების შედეგების დახვეწას. ეს ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობას სათანადო პოლიტიკა გაატაროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებთან მიმართებაში, იგი ადგენს პროფესიულ სტანდარტებს, უზრუნველყოფს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, ხელს უწყობს პროფესიონალებს პროფესიული პრაქტიკის დახვეწაში.

<http://www.uni.edu/coe/inclusion/index.html>

<http://www.uni.edu/coe/inclusion/strategies/>

აქ გაცნობით: შინაარსის/ქცევის სტრატეგიებს; როგორი უნდა იყოს ინკლუზიური საკლასო ოთახი; ადაპტაციის ცხრა წესს; როგორ შეექმნათ დამხმარეთა ჯგუფი; როგორ გამოვიყენოთ თამაშობები დავალების ანალიზის და ქვე-უნარების შესაფასებლად.

ამ ინფორმაციის გამოყენება შეუძლიათ ზოგადი განათლების პედაგოგებს, სპეციალიზირებული განათლების პედაგოგებს, მშობლებსა და სკოლის თანამშრომლებს, ყველას, ვისაც აინტერესებს, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ინკლუზიური სწავლება სკოლებში.

<http://www.inclusion.com/>

ყველაფერი ინკლუზიის შესახებ — პრაქტიკული მეცადინეობები, ნიგნები, ვიდეომასალა, რესურსები, ტრენინგები, ბიულეტენი, და ა.შ.

<http://www.fpg.unc.edu/~ecri/>

ECRI- Early Childhood Research Institute on Inclusion

სკოლამდელი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები თანატოლებთან ერთად სწავლობენ. აქ მოცემულია კვლევითი ცენტრის მასალები, რომელიც გამოადგებათ განათლების მუშაკებს, მკვლევარებსა და მცირეწლოვანი ბავშვების ოჯახებს.

<http://www.nectas.unc.edu/inclusion/>

ეს ვებ-გვერდი იძლევა ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სახის მომსახურება შეიძლება გაენიოთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს; აქვეა ინფორმაცია კანონდებლობასა და პოლიტიკაზე, კვლევებზე, ქმედით პრაქტიკაზე, დაფინანსებაზე, სიახლეებსა და პერსონალის განითარებაზე.

<http://circleofinclusion.org/>

ამ ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დაბადებიდან რვა წლის ასაკამდე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების თაობაზე. აქ ნახავთ მასალებს ინკლუზიური პროგრამების, მეთოდებისა და პრაქტიკის შესახებ.

<http://www.rushservices.com/Inclusion/homepage.htm>

ამ ვებ-გვერდზე მოცემულია მთელი რიგი შეკითხვებისა, რომელიც დაგეხმარებათ იმის გარკვევაში თუ რამდენად გამართლებულია ინკლუზია კონკრეტული ბავშვისათვის.

http://www.ldonline.org/ld_indepth/teaching_techniques/childlit_socskills.html

ეს გვერდი გამიზნულია მშობელთათვის, ოჯახის წევრთა და პედაგოგთათვის. აქ ბევრი მაგალითი და გაკვეთილის გეგმაა მოცემული. ასევე მოთხრობილია მრავალფეროვანი და საინტერესო სოციალური ისტორიები.

<http://www.cast.org>

აქ გაეცნობით ინკლუზიური განათლების შესახებ უახლეს კვლევებს, პროექტებსა და გამოცემებს.

<http://www.ed.gov/about/offices/list/ovae/pi/AdultEd/disaccess.html>

აშშ-ს განათლების დეპარტამენტი – სპეციალური ტექნიკური განათლების განყოფილება; ეს ვებ-გვერდი ინფორმაციას იძლევა უნივერსალური დიზაინის შესახებ.

<http://www.dec-sped.org/journals.html>

ამ ვებგვერდზე ინკლუზიური განათლების შესახებ ბევრი საინტერესო კვლევა და სტატია ქვეყნდება.

http://nectac.org/inclusion/meetings/rs_embed.asp

ამ ვებ-გვერდზე მოცემულია რჩევები, თუ როგორ უნდა გამოიყენოთ ინკლუზიური გამოცდილება სკოლამდელ გარემოში.

<http://www.kurzweilededu.com/>

კურცვაილი (Kurzweil) არის პროგრამა, რომელიც სკანირებას უკეთებს საკითხავ მასალას და ხმამაღლა უკითხავს მას მოსწავლეებს. ეს განსაკუთრებით უსინათლო და სუსტი მხედველობის მქონე მოსწავლეებისთვის არის გამიზნული, მაგრამ ასევე გამოიყენება იმ მოსწავლეთათვის რომელთაც უჭირთ კითხვა.

<http://www.addinschool.com/elementary/impulsive.htm>

ამ ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის თაობაზე (ADHD).

<http://www.childdevelopmentinfo.com/learning/teacher.shtml>

ამ ვებ-გვერდზე მოცემულია ზოგიერთი რჩევა, თუ როგორ უნდა იმუშაოს მასწავლებელმა სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან.

<http://www.ctserc.org/library/bibfiles/identification-sed.pdf>

ამ ვებ-გვერდზე მოცემულია ემოციურ და ქცევით დარღვევებზე გამოქვეყნებული კვლევებისა და სტატიების ჩამონათვალი.

<http://curry.edschool.virginia.edu/go/readquest/>

ეს ვებ-გვერდი ყურადღებას ამახვილებს თუ, როგორ უნდა გაიაზროს ნაკითხულის შინაარსი იმ მოსწავლემ, რომელსაც კითხვის პრობლემები აქვს.

<http://resourceroom.net>

ეს ვებ-გვერდი სწავლის უნარის დაქვეითების მქონე მოსწავლეების განათლებაზე საუბრობს. აქ მოცემულია გაკვეთილის გეგმები და მასალები, რეკომენდაციები.

<http://www.teachingid.org>

ამ ვებ-გვერდზე აღწერილია ინკლუზიური განათლების სფეროში უახლეს გამოცდილებასა და კვლევაზე დაფუძნებული პრაქტიკის

შედეგები. აქვე შეგიძლიათ დასვათ შეკითხვები, რომელზეც ექსპერტები გიპასუხებენ.

<http://www.adsb.on.ca>

ეს ვებ-გვერდი ძალიან მდიდარია ინფორმაციით. ძირითადი თემა ასეთია: „ბავშვები, რომლებიც ერთად სწავლობენ, ერთად ცხოვრებას სწავლობენ.“ აქ საუბარია სამართლებრივ პირობებზე, მასწავლებლის კომპეტენციებზე, სწავლების სტრატეგიებზე, ინკლუზიისათვის მზადებაზე, ინკლუზიის რესურსებზე და სხვა.

<http://www.newhorizons.org>

ამ ვებ-გვერდზე არის ინფორმაცია, პედაგოგებისა და მშობლებისათვის იმის თაობაზე, თუ როგორ მოვეუაროთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს.

www.unesco.org

ეს არის Unesco-ს (გაერთიანებული ერების საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ორგანიზაციის) მთავარი ვებ-გვერდი. ორგანიზაციის დანიშნულებაა წვლილი შეიტანოს მშვიდობასა და უსაფრთხოებაში საერთაშორისო თანამშრომლობით განათლების, მეცნიერებისა და კულტურის პროგრამების მეშვეობით.

